

სამართლის ჟურნალი



თსუ იურიდიული ფაკულტეტი

№2, 2025

სარჩევი

გიორგი დავითაშვილი

დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე და მიზეზობრივი კავშირის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში

ეკატერინე შენგელია, ირაკლი ლეონიძე

აუცილებელი გზა და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები
სანოტარო პრაქტიკაში

მიხეილ ბიჭია

სამართლის ორი ჰიპოტაზის ვაინბერგერის ონტოლოგიაში: ნორმები და ცხოვრება

თამარ მსხვილიძე

მკვიდრი ხალხების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კონცეპტუალურ ქრილში

ნანა უზნაძე

პაციენტის ინფორმირებული თანხმობა და ექიმის სამოქალაქო სამართლებრივი
პასუხისმგებლობა სტანდარტული მკურნალობისა და კლინიკური კვლევების ფარგლებში

ია უჭმაჭურიძე

მემკვიდრეობის დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისათვის

ნინო ფანჩიძე

პრივატიზაცია, როგორც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობის ისტორიული
კომპონენტი ქართულ სამართალში

რევაზ ფუტყარაძე

მარწმუნებლის ქონების პრეზუმფცია კერძო სამართლის დოქტრინასა და სასამართლო
პრაქტიკაში

გიორგი აბულაძე

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მიმართ შრომითი დისკრიმინაციის
აკრძალვის ფარგლები და მათი მნიშვნელობა საერთაშორისო საგაქრო სამართალში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის ჟურნალი

№2, 2025



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

UDC (უაკ) 34(051.2)

ს-216

მთავარი რედაქტორი

ირაკლი ბურდული (პროფ., თსუ)

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი დავითაშვილი (პროფ., თსუ)

გიორგი დგებუაძე (ასოც. პროფ., თსუ)

გიორგი ხუბუა (პროფ., თსუ)

ბესარიონ ზოიძე (პროფ., თსუ)

თამარ ზარანდია (ასოც. პროფ., თსუ)

თევდორე ნინიძე (პროფ., თსუ)

ლადო ჭანტურია (პროფ., თსუ)

ლაშა ბრეგვაძე (პროფ., თსუ; თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა
და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი)

ლელა ჯანაშვილი (ასოც. პროფ., თსუ)

ნუგზარ სურგულაძე (პროფ., თსუ)

პაატა ტურავა (პროფ., თსუ)

ნათია ჩიტაშვილი (ასოც. პროფ., თსუ)

ბერნჰარდ კემპენი (პროფ. კიოლნის უნივერსიტეტი)

კრისტიან ფონ კოელნი (პროფ. კიოლნის უნივერსიტეტი)

არტაკ მკრტიჩიანი (პროფ., ლა კორუნიის უნივერსიტეტი)

დარიუშ შპოპერი (პროფ., პომერანიის უნივერსიტეტი სლუპსკში)

იან ლიდერი (პროფ., ფრაიბურგის უნივერსიტეტი)

ტიცინა ქიუზი (პროფ., ზაარლანდის უნივერსიტეტი)

ხოსე მარია დე დიოს მარსერი (პროფ., ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი)

ჯოან ლუის პერეს ფრანსეჩი (პროფ., ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი)

მმართველი რედაქტორი

ნათია ჩიტაშვილი (ასოც. პროფ., თსუ)

ტექნიკური რედაქტორები:

ირაკლი ლეონიძე

ანა მღვდელაძე

გამოქვეყნებული სტატიის შინაარსის სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი და მისი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრთა შეხედულებებს.

ჟურნალი ფლობს საერთაშორისო ლიცენზიას **CC BY-SA**

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადანვევტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გამომცემლობა, 2026

P-ISSN 1987-7668

E-ISSN 2720-782X

ჟურნალის ელექტრონული გამოცემა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.jlaw.tsu.ge

შინაარსი

გიორგი დავითაშვილი

დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე და მიზეზობრივი
კავშირის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში 5

ეკატერინე შენგელია, ირაკლი ლეონიძე

აუცილებელი გზა და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები
სანოტარო პრაქტიკაში 16

მიხეილ ბიჭია

სამართლის ორი ჰიპოტაზის ვაინბერგერის ონტოლოგიაში:
ნორმები და ცხოვრება 26

თამარ მსხვილიძე

მკვიდრი ხალხების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კონცეპტუალურ ჭრილში 38

ნანა უზნაძე

პაციენტის ინფორმირებული თანხმობა და ექიმის სამოქალაქო სამართლებრივი
პასუხისმგებლობა სტანდარტული მკურნალობისა და კლინიკური კვლევების
ფარგლებში 60

ია უჯმაჯურიძე

მემკვიდრეობის დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისათვის 83

ნინო ფანჩიძე

პრივატიზაცია, როგორც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობის
ისტორიული კომპონენტი ქართულ სამართალში 104

რევაზ ფუტყარაძე

მარწმუნებლის ქონების პრეზუმფცია კერძო სამართლის დოქტრინასა
და სასამართლო პრაქტიკაში 124

გიორგი აბულაძე

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მიმართ შრომითი
დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები 140

კობა ბარამია

მოსამართლის შეკითხვების ფარგლები შეჯიბრებით პროცესში 158

გიგა ნარიმანიძე

ყადაღის გამოყენების საფუძვლები და მიზანშეწონილობის სამართლებრივი
შეფასება სისხლის სამართლის პროცესში 175

ლევან ძნელაძე

ფულის გათეთრება, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული
დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების კონფისკაციის
შემაფერხებელი ფაქტორი 192

მარიამ ბალავაძე

ხელოვნური ინტელექტი და სიძულვილის ენა 215

ლევან ღავთაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია პარლამენტის
წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის
კონსტიტუციურობის განხილვისას 232

ნანა ღვალაძე

ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების
ჭრილში: საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები 256

ნიკოლოზ წერეთელი

ფრანგული *Laïcité* და სინდისის თავისუფლება 271

ანდრეას კანი, დევიდ კ. დონალდი, გიორგი მახარობლიშვილი (მთარგმნელი)

აღმასრულებელ პირთა კომპენსაციის რისკები და უპირატესობები..... 287

გიორგი დავითაშვილი*

დანაშაულის ობიექტი, ობიექტური მხარე და მიზეზობრივი კავშირის საკითხი ქართულ ჩვენულებით სამართალში

სტატია ეძღვნება დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს და მიზეზობრივი კავშირის საკითხს ქართული ჩვენულებითი სამართლის მიხედვით. აღნიშნული საკითხები განხილულია სვანური და ხევსურული ჩვენულებითი სამართლის მასალების მიხედვით. მათ თანახმად, დანაშაულის ობიექტს წარმოადგენდა, როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო ინტერესი, ხოლო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა დგებოდა მხოლოდ დანაშაულებრივ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობისას. განსახილველი საკითხების ანალიზისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ობიექტური შერაცხვის პრინციპი, რომელიც ხევსურულ სამართალში შემორჩა. მასალების მიხედვით, ზოგიერთი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ფაქტორს წარმოადგენდა დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი და იარაღი.

საკვანძო სიტყვები: ქართული ჩვენულებითი სამართალი, დანაშაულის ობიექტი, დანაშაულის ობიექტური მხარე, მიზეზობრივი კავშირი.

1. შესავალი

ქართული ჩვენულებითი სამართლის მიხედვით დანაშაულის ობიექტის და ობიექტური მხარის საკითხი შესწავლილი არაა. აქ მოკლედ შევეხებით ამ საკითხის ძირითად ასპექტებს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია სვანური და ხევსურული ჩვენულებითი სამართლის მასალების საფუძველზე, რადგანაც საქართველოს ამ ორ მთიან კუთხეში მეოცე საუკუნეშიც კი საკმაოდ სრულყოფილი სახით შემორჩა შორეული წარსულიდან მომდინარე დაუნერეელი სახის ადგილობრივი ჩვენულებითი სამართლის მოქმედება, სისხლის აღების ინსტიტუტით, თუ დანაშაულებისათვის გათვალისწინებული კომპოზიციების სისტემით.

2. დანაშაულის ობიექტისა და ობიექტური მხარის ზოგადი ასპექტები ქართულ ჩვენულებით სამართალში

ქართული ჩვენულებითი სამართლის მასალების მიხედვით ჩანს, რომ დანაშაულის ობიექტი შეიძლება იყოს, როგორც საჯარო (საზოგადოების – სოფლის, თემის, თემთაშორისი გაერთიანების), ისე კერძო (ცალკეული პირის, ოჯახის, ნათესაური ერთეულის) ინტერესი, თუ სიკეთე. მაგალითად, საზოგადო სიკეთე დაცული ჩვენულებითი სამართლით იყო საზოგადოების თავისუფლება, საზოგადოებრივი საკუთრება, საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა. კერძო სიკეთე კი იყო ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრების უფლება, ღირსება და სხვა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კერძო ინტერესის ხელმყოფი დანაშაულის ობიექტი ყველა შემთხვევაში იყო ოჯახის, გვარის (გვარის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულის) ღირსება. ნებისმიერი დანაშაული წარმოადგენდა დაზარალებული მხარის (დაზარალებ-

* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.

ბულის ოჯახის, გვარის) შეურაცხყოფას. კერძოდ, ადამიანის მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, გაქურდვა, ბინის გატეხვა და სხვა დანაშაული რაიმე კონკრეტული სიკეთის (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების) ხელყოფის გარდა, გულისხმობდა დაზარალებულის ღირსების დამცირებასაც. დაზარალებული თავს გრძნობდა შერცხვენილად, შეურაცხყოფილად, დამარცხებულად.

დანაშაულის ობიექტური მხარის თვალსაზრისით ქართული ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა დანაშაულებს, გამოხატულს, როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. დანაშაულთა უმრავლესობა მოქმედებით გამოიხატება, თუმცა გვხვდება უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულები. უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებს მაგალითად, მიეკუთვნება საერთო საზოგადოებრივი საქმისადმი თავის არიდება. მაგალითად, სასოფლო გზის მშენებლობისას თუ შეკეთებისას, თუ სოფლის მცხოვრებთაგან ვინმე სამუშაოს თავს აარიდებდა, მაშინ მას საზოგადოების ყრილობა სჯიდა¹.

ქართულ ჩვეულებით სამართალში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დანაშაულებრივ შედეგს, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტური შერაცხვის პრინციპს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა (განსაკუთრებით ხევსურეთში). დანაშაულებრივი შედეგი შეიძლება ყოფილიყო მატერიალურიც და არამატერიალურიც. ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დანაშაულებრივი შედეგი უპირატესად მატერიალურ ხასიათს ატარებდა. გვხვდება, როგორც ქონებრივი ხასიათის შედეგი: ქონების ხელყოფა, განადგურება, ისე, ზიანის მიყენება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. არამატერიალური შედეგი კი უპირველეს ყოვლისა გამოიხატებოდა პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვაში, ამ თვალსაზრისით, გამოსარჩევია ისეთი დანაშაული, როგორიცაა შეურაცხყოფა, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა. მაგალითად, სიტყვიერი შეურაცხყოფა, მიცვალებულის აუგად მოხსენიება, სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევა და სხვა². სვანეთში დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა ქალისათვის ლეჩაქის ჩამოხდა და ნაწნავის მოჭრა, ასევე, კერიის შეურაცხყოფა, კერძოდ, კერიისათვის ფეხის კვრა, კერიის წაქცევა, კერიას ცეცხლზე ნავთის დასხმა, კერიის გარეთ გამოთრევა³. კერიის ასეთი შეურაცხყოფა ოჯახის უდიდეს დამცირებას, ღირსების შელახვას წარმოადგენდა და საკმაოდ მძიმე ქონებრივ სასჯელს იწვევდა სვანური ჩვეულებითი სამართალით. არამატერიალური შედეგი გამოხატული პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვაში გვხვდება ასევე, ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, როგორიცაა უკანონო ქორწინება, მეუღლის საპატიო მიზეზის გარეშე მიტოვება (სვანურად „ცვარობ“), ქალის მოტაცება, მეუღლის ღალატი და სხვა. ქართულ ჩვეულებით სამართალში გვხვდება არამატერიალური დანაშაულებრივი შედეგი გამოხატული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაშიც. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა გამოიხატებოდა საზოგადოების თანდასწრებით ლანძღვა-გინებაში, აყალმაყალის ატეხვაში, ჩხუბში და სხვა. საინტერესოა, რომ ხევსურეთში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდნენ ქალის მხრიდან და საზოგადოება, კულტის მსახურნი აჯარიმებდნენ ქალებს საჯაროდ შუღლისთვის, „ჭყვილი-კივილისთვის“ და სხვა⁴.

¹ დავითაშვილი გ., დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2017, 418-422.

² დავითაშვილი გ., დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2017, 523-527.

³ ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 111, 120; ჩართოლანი მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, 135-139.

⁴ ოჩიაური ალ., ქართულ ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005, 251.

3. მიზეზობრივი კავშირის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი პირობა იყო მიზეზობრივი კავშირის არსებობა დანაშაულებრივ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სადავოც გამხდარიყო საკითხი ქმედებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა-არარსებობასთან დაკავშირებით (აღნიშნული ხევესურეთში ფიქსირდება). ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით აღნიშნული კავშირის დადგენა აუცილებელი იყო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. ხევესურული ჩვეულებითი სამართლით მკვლელობისათვის პასუხს აგებდა მხოლოდ ის ვინც უშუალოდ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა მსხვერპლს⁵. ხევესურეთში იტყოდნენ: „დრამა და სისხლისთვის გაძლოა ხელს მოსდევსო“⁶. ეს ნიშნავდა, რომ მკვლელობისათვის გათვალისწინებული ქონებრივი გადასახადის („დრამის“) გადახდა და დადგენილი ვალდებულებების შესრულება ეკისრებოდა მას, ვისი ხელითაც უშუალოდ იქნა მკვლელობა ჩადენილი. აუცილებლად უნდა დადგენილიყო, თუ ვინ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა მოკლულს. დაჭრილის გარდაცვალება შესაძლოა დაჭრიდან საკმაოდ დროის შემდეგ მომხდარიყო და ამ ხნის განმავლობაში იგი სხვასაც დაეჭრა ან ჯგუფური შუღლისას არაერთი ჭრილობა მიეღო სხვადასხვა მოწინააღმდეგისგან. ზუსტად უნდა დადგენილიყო, თუ რომელი ჭრილობა იყო სასიკვდილო, რომ ხევესურული ჩვეულებითი სამართლით („რჯულით“) მკვლელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მის მიმყენებელს დაკისრებოდა. ამდენად, ხევესურეთში მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მხოლოდ მას, ვის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობდა უშუალო, პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი და დამნაშავის ქმედება აუცილებელი პირობა იყო დანაშაულებრივი შედეგის. მკვლელობის უშუალოდ ჩამდენის თანამონაწილე, დამხმარე ხევესურული ჩვეულებითი სამართლით მკვლელობისათვის პასუხს არ აგებდა, მას შეიძლება დაკისრებოდა მხოლოდ გარკვეული გადასახადი, ე. წ. „ხელჩასამართაოს“ სახით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ იგი არასასიკვდილო (თუნდაც უმნიშვნელო) ჭრილობას მიაყენებდა მოკლულს⁷. ჯგუფური შუღლის დროს თითოეული დამჭრელი მხოლოდ უშუალოდ მის მიერ მიყენებული ჭრილობისათვის აგებდა პასუხს. პასუხისმგებლობის ასეთი წესები ხევესურეთში ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედებით იყო განპირობებული.

სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით კი შესაძლებელია მკვლელობისათვის, ან დაჭრისათვის გარკვეული პასუხი ეგო იმ შუღლის წამომწყებს, რომელსაც მკვლელობა, ან დაჭრა მოჰყვა. მას არსებითად ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ვიდრე მკვლელობის, ან დაჭრის უშუალოდ ჩამდენს⁸. მაგალითად, პროფესორ მიხეილ კეკელიას მიერ სვანეთში ჩა-

⁵ *მერებაშვილი ჯ.*, მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 47, 75; *კეკელია მ.*, მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 42. სტატიაში ვიყენებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მიხეილ კეკელიასა და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ (არსებობდა 1986-1994 წლებში) თანამშრომლების მიერ საველე-ეთნოგრაფიული გზით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებულ მასალებს, რომლებიც მათ მიერ არის აღწუსებული სხვადასხვა ეთნოგრაფიულ რვეულებში.

⁶ *ოჩიაური ალ.*, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევესურეთში, თბ., 2019, 87.

⁷ *მერებაშვილი ჯ.*, მასალები ხევესურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 75.

⁸ *კეკელია მ.*, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 70; №7, 1970, 53.

წერილ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მორევმა (მედიატორმა მოსამართლეებმა) ჩხუბში თვალის დაზიანებისათვის დაადგინეს 16 000 მანეთის⁹ გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ. აქედან 12 000 მანეთი დააკისრეს ზიანის უშუალოდ მიმყენებელს, ხოლო დანარჩენი – 4 000 მანეთი კი ჩხუბის წამომწყებს¹⁰. აქ შუღლის წამომწყების პასუხისმგებლობის საფუძველს განაპირობებდა მიზეზობრივი კავშირი ჩხუბის დამწყების მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბის დამწყებს უშუალო მონაწილეობა მკვლელობის ჩადენაში არ მიუღია და არც სურვილი ჰქონდა ასეთი შედეგის დადგომის. სვანური ჩვეულებითი სამართლის თვალსაზრისით მას რომ არ აეტეხა შუღლი, მკვლელობა, ან დაჭრა საერთოდ არ მოხდებოდა, ე. ი. ჩხუბის წამომწყების მოქმედება სვანეთში ალიქმებოდა დანაშაულებრივი შედეგის დადგომის აუცილებელ პირობად, რის გამოც გარკვეული პასუხისმგებლობა მას უნდა დაკისრებოდა. ამდენად, სვანეთში მკვლელობისათვის, ან დაჭრა-დასახიჩრებისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მას ვისი ხელითაც ეს დანაშაული მოხდა, ვის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობდა უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ამის გარდა, არსებითად მცირე პასუხისმგებლობა, დგებოდა იმ ჩხუბის წამომწყების, მაპროვოცირებლის მიმართ, რომელსაც დანაშაულის ჩადენა მოჰყვა. პასუხისმგებლობის, კერძოდ, დაზარალებული მხარისათვის გადასახდელი საზღაურის სიმცირე განპირობებული იყო იმით, რომ ჩხუბის წამომწყების მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის უშუალო გამომწვევი არ იყო.

ხევსურეთში მკვლელობისას გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ასევე, მკვლელობის იარაღის მიმცემს, ასევე პირს, რომლის ენის მიტანამაც განაპირობა მკვლელობა. ამ შემთხვევებში პასუხისმგებლობა მაშინაც დგებოდა, როდესაც იარაღის მიცემა, ან ენის მიტანა მკვლელობის პროვოცირების მიზნით არ ყოფილა. გასათვალისწინებელია, რომ ენის მიტანა, თუ იარაღის მიმცემი მკვლელობისათვის და შესაბამისად, მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის პასუხს არ აგებდა. მათ უნდა გადაეხადათ, ე. წ. „არბითი“ 5 ძროხის¹¹ ოდენობით, რომელიც მკვლელობისათვის გათვალისწინებულ საზღაურში არ შედიოდა. ამ სახის პასუხისმგებლობა იმიტომ იყო სახეზე, რომ ხევსურები გარკვეულ მიზეზობრივ კავშირს ხედავდნენ იარაღის გადაცემას, ენის მიტანასა და დამდგარ შედეგს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დადგომა არ მოხდებოდა. „არბითის“ გადახდა ხევსურული რჯულით მაშინაც ხდებოდა, თუ მკვლელობა არც ენის მიტანით იყო ჩადენილი და არც სხვისი იარაღით. ამ შემთხვევაში „არბითს“ იხდიდა პიროვნება, რომელიც ჩხუბის პროვოცირებას გამოიწვევდა, კერძოდ, ჩხუბს დაიწყებდა, სხვების ჩხუბს გამოიწვევდა, შემ-

⁹ შემთხვევა მოხდა საბჭოთა პერიოდში და აქ იგულისხმება საბჭოთა მანეთი 1961 წლის ფულის რეფორმამდე.

¹⁰ *კეკელია მ.*, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეგული №7, 1970, 53.

¹¹ ხევსურეთში ქონებრივი საზღაურის ძირითად ეკვივალენტს წარმოადგენდა ძროხა. აქ „დრამა“, ანუ ქონებრივი საზღაური ძროხებით განისაზღვრებოდა. ხევსურეთში განასხვავებდნენ ქონებრივი საზღაურის გადახდას „ხელითი“ და „ფეხითი“ ძროხის სახით. „ფეხით“ ძროხაში იგულისხმებოდა კომპოზიციის გადახდა უშუალოდ საქონლით, ძროხით. „ხელითში“ კი იგულისხმებოდა სპილენძის ჭურჭელი, ქვაბები, ტაფები, ტაშტები, თულუხები, თუნგები, ქაფქირები, ფარდაგი, ვერცხლეული, სარტყელი, იარაღი, საარაყე ქვაბი, კოკა, საოჯახო ნივთები ლოგინისა და ტანსაცმლის გარდა. ხევსურეთში „დრამის“ შეფასებისას სწორედ „ხელითი“ ძროხა იგულისხმებოდა. იმ ნივთების უმრავლესობა, რომლებიც „დრამაში“ გაიცემოდა, წინასწარ იყო შეფასებული, ძროხასთან, როგორც ძირითად გაცვლით ერთეულთან მიმართებაში. მაგალითად, ხევსურული ჩვეულებითი სამართლის თანახმად ერთი „ხელითი“ ძროხა უდრიდა 4 კგ. სპილენძს. „დრამაში“ ხდებოდა სწორედ სპილენძის ჭურჭლის – სპილენძის ქვაბების, ტაშტების და სხვა, გადახდა. საოჯახო ნივთების ნაწილი წინასწარ იყო შეფასებული და აწონვა არ ჭირდებოდა. მაგალითად, თულუხი (წყლის საზიდი) ერთ ხელით ძროხად იყო შეფასებული.

დეგ თვითონ გამოეცლებოდა და ამ ჩხუბის შედეგად მკვლელობა და დაჭრა მოხდებოდა. თუ დანაშაული ჩადენილი იქნებოდა აღნიშნული ფაქტორების გარეშე, „არბითი“ დაეკისრებოდა იმ პიროვნებას, რომელმაც არაფერი გააკეთა იმ შუღლის აღსაკვეთად, რომელსაც დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა. კერძოდ, ალ. ოჩიაური მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში „არბითი“ დაეკისრებოდა იმ პიროვნებას, რომელიც დაესწრო შუღლს და არ გააშველა მოჩხუბარნი. იგივეს ადასტურებს რ. ხარაძე.¹² ხევესურეთში შუღლს ვინც შეესწრებოდა ვალდებული იყო მოშუღლარები გაეშველებინა. მოშუღლართათვის გვერდის ავლა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. თუ ასეთიც არავინ იყო, მაშინ „არბითს“ გადაახდევინებდნენ მას ვინც ამ შუღლის დროს სოფელში სახლში იყო, კარები ღია ჰქონდა და გასაშველებლად არ გამოვიდა,¹³ რაც თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში დანაშაულის შემხებლობად განიხილება. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში პიროვნებას იმიტომ შეიძლება დაკისრებოდა „არბითის“ გადახდა, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია მიმდინარე შუღლის თაობაზე. საფიქრებელია, რომ მისი სახლის ღია კარი (რაზეც აქცენტს აკეთებს ალ. ოჩიაური) გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ მას სოფელში, მისთვის ახლო არეალში მიმდინარე ამ შუღლის შესახებ არაფერი გაეგო და აქედან გამომდინარე, მიიჩნეოდა, რომ ამ პიროვნებას შეეძლო მოშუღლარები გაეშველებინა და თავიდან აეცილებინა დანაშაულებრივი შედეგი. შესაბამისად, მისი უმოქმედება განიხილებოდა დანაშაულებრივი შედეგის დადგომის პირობად. ამდენად, ხევესურული რჯული გარკვეულ მიზეზობრივ კავშირს ხედავდა, შუღლის შემსწრე პირის უმოქმედებასა და შუღლის შედეგად დამდგარ მძიმე შედეგს შორის და პირს, რომელმაც არ გააშველა მოშუღლარები, მიუხედავად იმისა, რომ შუღლისას იქვე იმყოფებოდა, ან სოფელში სახლში იყო და ღია კარები ჰქონდა, გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებდა ე. წ. „არბითის“ სახით. მოშუღლართა გაშველებისაგან თავის არიდება კი, როგორც არავაჟკაცური, სამარცხვინო საქციელი, ხევესურეთში „არბითის“ დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ვინმე, რომელიც შესაძლოა „მეარბითე“ ყოფილიყო, კერძოდ, ენის მიმტანი, დამნაშავისათვის იარაღის მიმცემი, ჩხუბის წამომწყები, ზოგადად დანაშაულის წამქეზებელი, არ იყო სახეზე.

ქართულ ჩვეულებით სამართალში, კერძოდ, სვანეთსა და ხევესურეთში დანაშაულებრივი შედეგის მიზეზად განიხილებოდა ნებისმიერი ქმედება (უმოქმედებაც კი), რომელიც ამ შედეგის დადგომის აუცილებელი პირობა იყო. აქ იგულისხმებოდა ქმედებები, რომელთა გარეშეც, ხალხური წარმოდგენით, აღნიშნული დანაშაულებრივი შედეგი არ დადგებოდა. ყველა პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო დანაშაულებრივ შედეგს, შეიძლება ჩაითვალოს ერთმანეთის ეკვივალენტურ პირობად. ყველა ქმედებისათვის, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის პირობას წარმოადგენდა, გათვალისწინებული იყო გარკვეული პასუხისმგებლობა. დანაშაულებრივი შედეგის უშუალოდ გამომწვევი ქმედებისათვის მეტი პასუხისმგებლობის დაკისრება ხდებოდა, ვიდრე იმ ქმედებისათვის, რომელიც ამ შედეგის უშუალო გამომწვევი არ იყო.

მიზეზობრივი კავშირის საკითხი ხევესურეთსა და სვანეთში შესაძლოა დამდგარიყო მაშინაც, როდესაც პიროვნებას უშუალო, პირდაპირი მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული დაზარალებულისათვის ზიანის მიყენებაში, თუმცა კონკრეტულ ვითარებაში ჩვეულებითი სამართლით მას პასუხისმგებლობა მაინც ეკისრებოდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მოპასუხე

¹² ოჩიაური ალ., ხევესურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 36; ალექსი ოჩიაურის პირადი არქივი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში; ხარაძე რ., ხევესურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 188.

¹³ ოჩიაური ალ., ხევესურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3, 36.

სხვა პიროვნებას სადმე გაგზავნიდა, ან წაიყვანდა და მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ეს პიროვნება ძალდატანების გარეშე გარდაიცვლებოდა, ან მას რაიმე ხასიათის ზიანი მიაღებოდა.

ხევესურეთში გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პიროვნებას, როდესაც ადამიანის სიკვდილში არავის მიუძღვოდა ბრალი, ის არავის მოუკლავს, მაგრამ დაზარალებული მხარე პასუხს ითხოვდა ამ მძიმე შედეგისათვის კონკრეტული პიროვნებისაგან, რომლის ხელითაც კაცი მკვდარი არ იყო, მაგრამ მას რაღაც კავშირი ჰქონდა იმასთან, რომ ეს მძიმე შედეგი დადგა. ეს ხდებოდა მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი პიროვნება მეორეს სადმე გააგზავნიდა ან წაიყოლებდა და სრულიად შემთხვევით, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს უკანასკნელი ამ გზაზე გარდაიცვლებოდა. ამ საკითხზე ინფორმაციას ალ ოჩიაურის მიერ შეკრებილ მასალებში ვხვდებით: „კაცი თუ ისე მოკვდა, რომ ბრალი სხვას ედებოდა, და მისი ხელით კი არ არის მომკვდარი, მკვდრის პატრონი ცდილობს თავი დასდოს“¹⁴ და ის კი თავს არ იდებს, მაგის სიკვდილი ჩემი ბრალი არ არისო, ასე საარდარაოდ¹⁵ რომ გახდება საქმე, მაგალითად, თუ ვინმემ სადმე გაგზავნა ან გაიყოლა კაცი და ამ გზაზე შემთხვევით მოკვდა, მკვდრის პატრონი იტყვის: მაგას რომ არ გაეგზავნა არ მოკვდებოდაო. თავი უნდა დაიდოს, თუ არა მოვკლავო. აუტყდება კაც-შუაკაცი¹⁶ და გაიყვანს „რჯულში“¹⁷. „რჯული“ ასეთ შემთხვევაში გაათავებს (გადაწყვეტს) სამარხს. სამარხი ქვიან იმას, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულმა უნდა გადაიხადოს თექვსმეტი ძროხა დრამა. შუაკაცები „დრამას“ მიუტანენ დაზარალებულს და მერე ბრალდებულს მიიყვანენ იმის სახლში საკლავით და სასმლით და მოხდება შერიგება საბოლოო¹⁸. როგორც ალ. ოჩიაური აღნიშნავს, ასეთ დროს დაზარალებულმა მხარემ შეიძლება ბრალდებულისაგან „თავის დადება“ ანუ სწორედ მკვლელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მოითხოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლით იმუქრება. ბრალდებული მხარე კი ცხადია, უარყოფს მისი მხრიდან „თავის დადების ვალდებულებას, რადგანაც ხევესურული „რჯულით“ მეხელედ, ანუ მკვლელად და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლად მკვლელობისათვის, როგორც აღინიშნა, ითვლება ის, ვისი ხელითაც, უშუალოდ ვის მიერაც არის მოკლული პიროვნება. აქ კი მკვლელობას, როგორც ასეთს, საერთოდ არა აქვს ადგილი. კაცი სრულიად შემთხვევით კვდება, ისე რომ, მის გამგზავნს ან თან გამყოლს ამაში ხელი არა აქვს და ბრალი არ მიუძღვის. მაგრამ „რჯული“ (სამედიცინო სასამართლო) მას მაინც აკისრებს ე. წ. „სამარხს“ – 16 ძროხა დრამის გადახდას. როგორც ჩანს, „რჯული“ გარკვეულწილად იზიარებს დაზარალებული მხარის პოზიციას, კერძოდ იმ ნაწილში, რომ არ გაეგზავნა, ან თან არ გაეყოლა არ მოკვდებოდა, თუმცა სამედიცინო სასამართლო გამგზავნს, თუ გამყოლს, მკვლელად არ განიხილავს და აკისრებს პასუხისმგებლობას არა დანაშაულისათვის (მკვლელობისათვის), არამედ „სამარხს“. ხევესურეთში „სამარხი“ ნიშნავს მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯს. ეს ის ქონებრივი ზიანია, რომელიც განი-

¹⁴ თავის დადება – ხევესურეთში მკვლელობისათვის ხევესურული ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული ყოველგვარი პასუხისმგებლობის, მათ შორის ქონებრივი საზღაურის, დაკისრება.

¹⁵ საარდარაოდ – სადაოდ, საკამათოდ.

¹⁶ კაც-შუაკაცი – შუამავალი, შუაკაცი ხევესურეთში, რომლის მიზანს წარმოადგენდა დაპირისპირებული მხარეების, მოსისხლეების შერიგება. სწორედ კაც-შუაკაცები ითანხმებდნენ მოდავე მხარეებს სამედიცინო სასამართლოს, ანუ „რჯულის“ ჩატარებაზე. სამედიცინო სასამართლო კი ხევესურეთში მხარეთა საბოლოოდ შერიგების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი იყო.

¹⁷ რჯული – სამედიცინო სასამართლო ხევესურეთში. ხევესურეთში „რჯული“ ნიშნავდა, ადგილობრივ ჩვეულებით სამართალსაც.

¹⁸ ოჩიაური ალ., ხევესურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1, 10.

ცადა გარდაცვლილის ოჯახმა. აღნიშნული ხარჯი კი ეკისრება გარდაცვლილის სადმე გამგზავნს, თუ წამყვანს. როგორც ჩანს, ხევისურეთში „სამარხის“ ოდენობა განსაზღვრული იყო 16 ძროხის ოდენობით¹⁹.

ჩვენი ვარაუდით, ანალოგიური შედეგი დადგებოდა მაშინაც, როდესაც სხვა პირის მიერ სადმე გაგზავნილი, თუ წაყვანილი გზაში უბედური შემთხვევის შედეგად კი არ გარდაიცვლებოდა, არამედ მიიღებდა სხეულის დაზიანებას (მაგალითად, დასახიჩრდებოდა), კერძოდ, მის გამგზავნს, თუ წამყვანს დაეკისრებოდა არა სხეულის დაზიანებისათვის ხევისურული „რჯულით“ (სამართლით) დადგენილი საზღაური, არამედ მკურნალობის ხარჯის (თუ ასეთს ადგილი ექნებოდა) ანაზღაურება.

მსგავს ვითარებაში სამედიცინო სასამართლოს მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას და მისი ოდენობის განსაზღვრას ვხვდებით სვანეთშიც. ბ. ნიჟარაძეს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც XIX საუკუნის 60-იან წლებში ჰქონია ადგილი. ერთმა სვანმა, სახელად გიერგმა, რომელიც არაერთხელ ყოფილა სვანეთის გარეთ წამყოფი (მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმს), გადანყვიტა ქუთაისში წასულიყო. ასე შორს წასვლას მარტო ვერ გაბედავდა და ამიტომ სხვებსაც შესთავაზა მასთან ერთად გამგზავრება. თავდაპირველად ქუთაისში წასვლაზე მას ყველამ უარი უთხრა, მაგრამ შემდეგ იმდენი უჩიჩინა მათ, რომ რამდენიმე თანასოფელი მაინც დაითანხმა. თითოეული მათგანი ქუთაისში სწორედ მისი იმედით წავიდა. მან დაარწმუნა ისინი, რომ ქუთაისში მუშაობით, თუ ვაჭრობით ფულს იშოვნინებენ. ამ მგზავრობისას მათ ბევრი ტანჯვა-წვალება გადახდათ, პოლიციის მიერ დაკავებულნიც იყვნენ სამიკიტნოში ჩხუბის და ყველაფრის დალენვისათვის, სიკვდილსაც ძლივს გადარჩნენ მძიმე კლიმატური პირობების გამო (იანვრის თვე იყო) და უკან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე მათგანმა დიდხანს იავადა (ზოგმა ნახევარი წელი, ზოგმა ერთი წელი). ამის გამო ზოგიერთებმა ქუთაისში წამყვანს ბრალი წაუყენეს, რომ სწორედ მის გამო გამოიარეს მათ ეს ტანჯვა და დიდი ხნის განმავლობაში (ერთ წლამდე) ისინი სახლის საქმეს მოცდნენ. ამდენად, მგზავრობის დროს განცდილი ტანჯვა და ავადმყოფობის გამო საქმეს მოცდენა დაბრალდა მომჩივანთა ქუთაისში წამყვანს, რადგანაც მას რომ ისინი ქუთაისში არ წაეყვანა, ყოველივე ამას ადგილი არ ექნებოდა. მედიცინოებმა განსჯის შემდეგ მომჩივნების ქუთაისში წამყვანს სამი დღიური მიწის გადახდა დააკისრეს დაზარალებულთათვის²⁰. ამ შემთხვევაში პიროვნებას იმიტომ უჩივლეს, რომ მომჩივნები ქუთაისში სწორედ მან წაიყვანა და პასუხისმგებლობა ყველა იმ ნეგატიურ შედეგზე, რომელიც ამ მოგზაურობას მოჰყვა, მათ შორის წაყვანილთა დაბრუნების შემდეგ ავადმყოფობასა და მისგან გამონეულ განაცდურზე, სრულად წამყვანს

¹⁹ „სამარხი“ იგივე მნიშვნელობით ქართული სამართლის ძეგლებშიც გვხვდება. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის 92-ე მუხლის მიხედვით, ფათერაკით, ანუ არაგანზრახი მკვლელობისათვის, მკვლელობის ჩამდენს არ ეკისრება რაიმე სასჯელი არაგანზრახ სხვისი სიცოცხლის მოსპობისათვის. მან დაზარალებულ მხარეს მხოლოდ „სამარხი“ უნდა გადაუხადოს, ანუ უნდა აუნაზღაუროს ის მატერიალური ზიანი, რომელიც მოკლულის ოჯახს მიაღდა (ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, თბ., 1963, 504-505). ასევე, 187-ე მუხლის მიხედვით, ათ წლამდე პირის მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის, ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება, რადგანაც „ყმანვილობით და უჭკუობით უქნია“. ყმანვილის მშობლებმა მხოლოდ „სამარხი“ უნდა გადაუხადონ მოკლულის ოჯახს (იქვე, 527-528). ორივე შემთხვევაში სახეზეა დღევანდელი გაგებით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა „სამარხის“ სახით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა კი არ დგება. განსახილველ შემთხვევაშიც „სამარხის“ დაკისრება გამგზავნისთვის დღევანდელი გაგებით სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობად შეიძლება განვიხილოთ.

²⁰ ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, 192-209.

დაეკისრა. ამ შემთხვევებში სხვისი წამყვანის, ან გამგზავნის პასუხისმგებლობა დგებოდა იმისდა მიუხედავად, მან ეს პიროვნება წაიყოლა, ან გააგზავნა საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე (მაგალითად, რაიმეში დამხმარედ), თუ მისივე ინტერესისთვის. აქ მთავარი იყო, რომ იგი უნდა ყოფილიყო დაზარალებულის თან წამყვანის, თუ გაგზავნის ინიციატორი. ბ. ნიჟარაძის მიერ მოყვანილ შემთხვევაში კარგად გამოჩნდა, რომ გიერგს დიდი ძალისხმევა დასჭირდა თანასოფლელების ქუთაისში წასვლაზე დასათანხმებლად და ეს უკანასკნელნი საკუთარი ინიციატივით არ გაჰყოლიან მას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გიერგს პასუხისმგებლობა არც დაეკისრებოდა. აღნიშნული დებულება შეიძლება გავავრცელოთ ხევსურეთთან დაკავშირებულ შემთხვევაზეც.

ჩვეულებითი სამართალი ხალხის მართლშეგნებას ეფუძნება და შესაბამისად, მისი ნორმების შინაარსს განაპირობებს ის, თუ როგორ აღიქვამს ამა თუ იმ სიტუაციას საზოგადოება. მოტანილი კონკრეტული შემთხვევები გვიჩვენებს, რომ საზოგადოებას ადამიანის უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალებით თუ დაზიანებით გამოწვეული მატერიალური ზიანის მიყენებაში ბრალეულად შესაძლოა ჩაეთვალოს პიროვნება, რომელსაც უშუალოდ არ მიუყენებია ზიანი დაზარალებულისთვის. კერძოდ, დაზარალებული მხარე სვანეთსა და ხევსურეთში ბრალეულად მიიჩნევდა პიროვნებას, რომელმაც დაზარალებული სადმე გააგზავნა, ან წაიყოლა და იგი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო გარდაიცვალა, ან დაზიანდა, თუ მატერიალური ზიანი მიადგა, თუნდაც უბედური შემთხვევის გამო. ამ დროს დაზარალებული მიიჩნევდა: სხვას რომ არ გაეგზავნა, ან არ წაეყოლა ხომ არაფერი დაემართებოდა, მისთვის მძიმე შედეგი არ დადგებოდა, ანუ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება პიროვნების მიერ დაზარალებულის გაგზავნასა, თუ თან წაყოლას, ამის შედეგად დამდგარი შედეგის აუცილებელ პირობად განიხილავს და მათ შორის ხედავს მიზეზობრივ კავშირს, რის გამოც დღის წესრიგში დგება ამ შედეგით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მაგალითად, გარდაცვალების შემთხვევაში იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ჩვეულებრივ მოსდევდა ხოლმე პიროვნების გარდაცვალებას (დაკრძალვის, მიცვალებულის ყოველგვარი ხარჯი). ასეთ შემთხვევებში დაზარალებული მხარე თვლიდა, რომ გამგზავნის, ან გამყოლს და დაზარალებულ მხარეს შორის თანასწორობა დაირღვა და აუცილებელია მისი აღდგენა, რისი კომპენსაციაც დამდგარი მატერიალური ზიანის ანაზღაურება უნდა ყოფილიყო. აღნიშნული სიტუაციის ამგვარი აღქმა ჩვეულებითი სამართლის ნორმაშიც აისახა და განისაზღვრა, რომ პირს მატერიალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრებოდა, თუ მის მიერ გაგზავნილ, ან წამყვან პიროვნებას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო რაიმე ზიანი მიადგებოდა.

4. დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო და იარაღი ქართულ ჩვეულებით სამართალში

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილს და დროს. მაგალითად, სალოცავის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენა²¹, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ბინაში შეღწევით ჩადენილი ქურდობა²², უფრო მძიმე

²¹ *ოჩიაური ალ.*, მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, თბ., 2019, 130-131, 139, 152, 157; *ჯალაბაძე დ.*, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2003, 37-38.

სასჯელის გამომწვევი იყო. დანაშაულის ჩადენის დროს მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი დანაშაულის ჩადენისას, როგორიცაა მაგალითად, უქმის გატეხვა, რაც უქმე დღეებში მუშაობაში გამოიხატებოდა. აღნიშნული დანაშაულისათვის საქართველოს ზოგიერთ, განსაკუთრებით კი მთის რეგიონებში, ფიქსირდება ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლით გავთლისწინებული სასჯელი. მაგალითად, ხევსურეთში, უქმე დღეს მუშაობისათვის გვხვდება დამნაშავეთა გარკვეული ვადით საზოგადოებიდან მოკვეთა²³. აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილიყო მხოლოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, კერძოდ, უქმე დღეებში. ცხადია, თიბვა, ხვნა--თესვა, სახლის მშენებლობა თავისთავად არანაირ დანაშაულს არ წარმოადგენდა, თუმცა იგივე ქმედებები განხორციელებული უქმე დღეებში ჩვეულებითი სამართლით დანაშაულად ითვლებოდა და საზოგადოების მხრიდან სასჯელს განაპირობებდა.

ზოგიერთი დანაშაულისას კი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი ჩადენის იარაღს. მაგალითად, „არბითის“ გადახდა ხევსურეთში მხოლოდ და მხოლოდ რკინის იარაღით ჩადენილი მკვლელობისას ხორციელდებოდა²⁴. მკვლელობა ძირითადად რკინის იარაღით ხდებოდა, თუმცა თეორიულად შესაძლებელია სხვა საშუალებითაც მომხდარიყო და ამ შემთხვევაში „არბითის“ გადახდას ადგილი აღარ ექნებოდა. სვანური და ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დაჭრისას სხეულის დაზიანების სიმძიმის განმაპირობებელი ფაქტორი იყო დანაშაულის ჩადენის იარაღის სახეობა. კერძოდ, სვანეთში თოფით მიყენებული ჭრილობა უფრო დიდ გადასახადს ითვალისწინებდა, ვიდრე ხანჯლით მიყენებული²⁵. ხევსურეთშიც თოფით მიყენებული ნებისმიერი სიმძიმის ჭრილობა ითვლებოდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველად. ამიტომ, თოფის ტყვიით მიყენებული თუნდაც მსუბუქი ჭრილობა აქ დიდ გადასახადს მოითხოვდა და ანალოგიური სიმძიმის სხვა იარაღით მიყენებული ჭრილობა ნაკლებად ფასობდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ თოფით მიყენებული ჭრილობა მომეტებული საფრთხის მატარებელი იყო²⁶.

5. დასკვნა

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დანაშაულის ობიექტს წარმოადგენდა, როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო ინტერესი. ქართულ ჩვეულებით სამართალში გვხვდება, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედებით გამოხატული დანაშაულები.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მკვლელობისა და დაჭრა-დასახინჩრებისათვის სრული (ხევსურეთში) და ძირითადი (სვანეთში) პასუხისმგებლობა ეკისრებოდა იმ პირს, რომლის ქმედებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის დადგინდებოდა უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ეს ქმედება უნდა ყოფილიყო დანაშაულებრივი შედეგის დადგომის აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც აღნიშნული შედეგი ვერ დადგებოდა. იგულისხმება პირი, რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა მკვლელობა, ან დაჭრა.

²² ზოიძე ო., მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 63; მერებაშვილი ჯ., მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 39.

²³ ოჩიაური ალ., ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, 180.

²⁴ ჯალაბაძე დ., მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 36.

²⁵ Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М., 1890, 71; კეკელია მ., მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №6, 1969, 51.

²⁶ დავითაშვილი გ., დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2017, 294.

მკვლევლობისა და დაჭრა-დასახიჩრებისას ხევისურული და სვანური ჩვეულებითი სამართლით გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა (ბევრად მცირე, ვიდრე დანაშაულის უშუალოდ ჩამდენს) დამნაშავისათვის იარაღის მიმცემს, ენის მიმტანს, შუღლის წამომწყებს. ასეთი ქმედება სვანეთსა და ხევისურეთში დანაშაულებრივი შედეგის დადგომის აუცილებელ პირობად მიიჩნეოდა (თუმცა არა უშუალო მიზეზად) და გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევდა. ასევე, ხევისურეთში პასუხისმგებლობა შესაძლოა დაკისრებოდა პირს (წინასწარ განსაზღვრული პირობების არსებობისას), რომელიც დანაშაულის გამომწვევ შუღლს შეესწრო, ან შუღლის დროს სოფელში იყო და სახლის კარები ღია ჰქონდა და არაფერი გააკეთა მხარეების გასაშველებლად. ამდენად, ხევისურეთში დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის გამოუყენებლობა (უმოქმედება) განიხილებოდა დანაშაულებრივი შედეგის დადგომის პირობად, წინააღმდეგ შემთხვევაში ამისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ხევისურული ჩვეულებითი სამართალით, ადგილი არ ექნებოდა.

სვანეთსა და ხევისურეთში მატერიალური ზიანის ანაზღაურება შესაძლოა დაკისრებოდა პირს, მაშინაც, როდესაც პირის სიკვდილი, ან სხეულის დაზიანება, ან მატერიალური ზიანის განცდა არ მომხდარა ვინმეს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად. მაგალითად, თუ ერთი პიროვნება სხვას სადმე გააგზავნიდა, ან წაიყოლებდა და ეს პირი წამყვანის, თუ გამგზავნისაგან დამოუკიდებელი მიზეზით გარდაიცვლებოდა, ან სხეულს დაიზიანებდა, რაიმე სახის მატერიალურ ზარალს განიცდიდა. ამ შემთხვევაში მატერიალური ზიანის ანაზღაურების განმაპირობებელი იყო ის გარემოება, რომ საზოგადოება ერთი პიროვნების მიერ მეორის სხვაგან გაგზავნას, თუ თან წაყოლას, განიხილავდა აღნიშნული შედეგების დადგომის აუცილებელ პირობად, რის გამოც ითვლებოდა, რომ აღნიშნულ მოქმედებებსა და დამდგარ შედეგს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი.

ზოგიერთი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ფაქტორს ქართულ ჩვეულებით სამართალში წარმოადგენდა მისი ჩადენის ადგილი (მაგალითად, სალოცავის ტერიტორია, ეკლესია), დრო (უქმის გატეხვისას) და იარაღი (მაგალითად, გარკვეული სახდელის, კერძოდ, „არბითის“ დაკისრება შესაძლოა გამოენვია მკვლევლობის ჩადენას მხოლოდ და მხოლოდ რკინის იარაღით. ასევე, სვანეთსა და ხევისურეთში თოფით დაჭრა უფრო მეტ გადასახადს ითვალისწინებდა, ვიდრე ანალოგიური ჭრილობის მიყენება ხანჯლით, თუ ხმლით).

ბიბლიოგრაფია:

1. დავითაშვილი გ., დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2017.
2. ზოიძე ო., მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988.
3. კეკელია მ., მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №4, 1968.
4. კეკელია მ., მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №6, 1969.
5. კეკელია მ., მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი №7, 1970.
6. კეკელია მ., მასალები ხევისურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988.
7. მერებაშვილი ჯ., მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1989.
8. მერებაშვილი ჯ., მასალები ხევისურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეველი, 1988.
9. ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962.
10. ოჩიაური ალ., ხევისურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990.
11. ოჩიაური ალ., მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევისურეთში, თბ., 2019.

12. *ოჩიაური ალ.*, ქართულ ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი), თბ., 2005.
13. *ოჩიაური ალ.*, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №1.
14. *ოჩიაური ალ.*, ხევსურეთის რჯული, 1945, პირადი არქივი, რვეული №3.
15. *დოლიძე ი.* (გამომც.), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1963.
16. *ჩართოლანი მ.*, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.
17. *ხარაძე რ.*, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947.
18. *ჯალაბაძე დ.*, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, „უნივერსალი“, თბ., 2003.
19. *Ковалевский М.*, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М., 1890.

ეკატერინე შენგელია*

ირაკლი ლეონიძე**

აუცილებელი გზა და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები სანოტარო პრაქტიკაში

აუცილებელი გზის მოთხოვნა მესაკუთრეს უფლებამოსილს ხდის მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს წარუდგინოს მოთხოვნა, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს დაამყაროს კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან. მოთხოვნა აერთიანებს, როგორც კერძო ისე საჯარო ინტერესებს, რაც უნდა შეფასდეს: შეთანხმებული კომპენსაციის, ვადის, უფლების ბოროტად გამოყენების გარკვევის, რელევანტური მტკიცებულებების მოძიების და თმენის ვალდებულების გათვალისწინებით. სტატიის მიზანია გამოიკვეთოს სანოტარო მედიაციის უპირატესობა სამეზობლო ურთიერთობებში წარმოშობილი სადავო შემთხვევების შესაფასებლად, არის თუ არა სანოტარო მედიატორი დავის გადაწყვეტის დროული, ეფექტიანი და სასარგებლო შესაძლებლობა. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას აუცილებელი გზის შესახებ განიხილავს სასამართლო და თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი დაამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, აუცილებელი გზა, სასამართლო, ნოტარიუსი, სანოტარო მოქმედება, სანოტარო მედიატორი, საკუთრების უფლების დაცვა.

*Quod alias non fuit licitum necessitas licitum facit****

1. შესავალი

აუცილებელი გზის უფლება უალტერნატივო შემთხვევებს გულისხმობს და აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი,¹ მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გზის მოთხოვნა სხვა სანივთო უფლებით: აღნაგობით ან სერვიტუტით არ შეიძლება.² აუცილებლობაა განმსაზღვრელი ურთიერთობის მონესრიგებისთვის.³ აუცილებელი გზის დადგენა მოიცავს მრავალ საინტერესო საკითხს, თუმცა ამ ნაშრომით შეუძლებელია ყველას ამომწურავად გადმოცემა. ამიტომ კვლევაში განხილულია მათგან რამდენიმე აქტუალური საკითხი სანოტარო პრაქტიკაში.

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, სანოტარო სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ნოტარიუსი.

** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მედიატორი, ფრაიბურგის ალბერტ ლუდვიგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბიზნესის, შრომისა და სოციალური სამართლის ინსტიტუტის მკვლევარი.

*** (ლათ.) აუცილებლობა კანონიერად ხდის იმას, რომელიც სხვა ვითარებაში უკანონოდ ჩაითვლებოდა.

¹ ზარანდია თ., სანივთო სამართალი, თბ., 2023, 280.

² ჭანტურია ლ. (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი/ნიგნი II/სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბ., 2018, 223, 276, 283-284.

³ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 125.

2. აუცილებელი გზა, როგორც კანონისმიერი სანივთო უფლება და განსხვავება სხვა სანივთო უფლებებთან

აუცილებელი გზა და სხვა სანივთო უფლებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისაღწევი შედეგის ალტერნატივები, თუმცა განსხვავებული პირობებით. ნოტარიუსმა მხარეებს უნდა აუხსნას, რომ აუცილებელი გზის მოთხოვნა, როგორც უკიდურესი მოთხოვნა მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ, საჭიროებს აუცილებლად შემონმდეს გამორიცხულია თუ არა შედეგის მიღწევის სხვა საშუალებები. „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი ნესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას“⁴ – ის რაც ერთი მესაკუთრისთვის აუცილებელი გზაა, მეორე მესაკუთრის „ხელყოფილი“ საკუთრებაა, ამიტომ, ზღვარი ხშირად შეზღუდვებს შორის მერყეობს, რაც ნოტარიუსის მიერ შეიძლება განხილულ იქნეს ურთიერთდაკავშირებულ საკითხებად, რომლებიც უნდა გამოირიცხოს (ან მიენიჭოს უპირატესობა მხარეთა ინტერესის გათვალისწინებით) სსკ-ის 180-ე მუხლთან მიმართებით.

საჯარო აქტის ფორმით უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების (ნასყიდობა, უზუფრუქტი, აღნაგობა, ქირავენობა, იჯარა, იპოთეკა და სხვა) შედგენისას ნოტარიუსი ვალდებულია უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გამოითხოვოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.⁵ სასამართლო პრაქტიკაში ნოტარიუსის ეს ვალდებულება განიმარტება საჯარო რეესტრის დანიშნულების ჩრილში იმ უფლებათა პუბლიკაციის მიზნების შეფასებით, რომლებიც, კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან და წინდახედულობის ნორმიდან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ თითოეული პირისათვის ხელმისაწვდომია. ის გარემოება, რომ ამა თუ იმ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, ცნობილია და შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება ხელმისაწვდომია მოქალაქისთვის, თუმცა ნოტარიუსიც უნდა დარწმუნდეს, რომ კონკრეტულ უძრავ ქონებაზე არსებობს შესაბამისი ამონაწერი.⁶

მართალია, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაღდეს სხვას, თუმცა აკრძალვა ვერ უზრუნველყოფს მინის მესაკუთრის დაცვას აუცილებელი გზის დაუსაბუთებელი მოთხოვნისგან.⁷ სანოტარო პრაქტიკაში სანივთო უფლებების გამიჯვნის ფუნქცია ნოტარიუსს ეკისრება, რომელიც სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით სამართლებრივ კონსულ-

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384.

⁵ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 და 47-ე მუხლები. „იმ აქტის დასამოწმებლად (გარიგების, მონაბობის და სხვა), რომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა“. აღნიშნული წესით შესრულებული სანოტარო აქტი არის საჯარო აქტი.

⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-8-8-2017. შეად. ხუბაშვილი თ., საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საჯარო რეესტრში რეგისტრირებადი ვალდებულებები, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016, 162.

⁷ შეად. Martínez Velencoso L. M., The Land Register in European Law: a Comparative and Economic Analysis, in the Book: Transfer of Immovables in European Private Law, Cambridge – New York, Part 1, 2017, 3-5.

ტაციას უწევს პირებს და მათი თხოვნით ადგენს დოკუმენტების პროექტებს, უფლებამოსილი დაინტერესებულ პირს გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული სანოტარო მოქმედების შესრულებასთან.

აღნაგობის უფლებით მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვნის, გაქირავების უფლება. აღნაგობის უფლება შეიძლება გავრცელდეს მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ არის აუცილებელი აღნაგობისათვის, მაგრამ იძლევა ნაგებობით უკეთ სარგებლობის შესაძლებლობას. აღნაგობის უფლების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 99 წელს.⁸

უზუფრუქტით უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისგან განსხვავებით, მას არ აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უზუფრუქტის გაუქმების შემდეგ მესაკუთრე ხდება არსებული ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობების მონაწილე.⁹

სერვიტუტით მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ. სერვიტუტის დადგენის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენისათვის გათვალისწინებული წესები. საზღაური შეიძლება განისაზღვროს პერიოდული გადასახდელის სახით.¹⁰ სერვიტუტი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი უფლებამოსილ პირს უქმნის თავისი მიწის ნაკვეთით სარგებლობის შეღავათს. სერვიტუტის განხორციელებისას უფლებამოსილი პირი უნდა გაუფრთხილდეს გამოყენებული (დატვირთული) მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესებს.¹¹ სერვიტუტით მხარეებმა შეიძლება შეათანხმონ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლება, საკუთარ მიწის ნაკვეთამდე მისვლისთვის გამოიყენოს დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთი. ამით გზის სერვიტუტი ჰგავს აუცილებელი გზის უფლებას,¹² თუმცა, თუ გზის სერვიტუტი წარმოიშობა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, აუცილებელი გზის უფლება წარმოიშობა კანონის საფუძველზე, მაგრამ ინტერესთა ურთიერთგამომრიცხავი ბუნება ქმნის პრობლემას აუცილებელი გზის დასადგენად.

მაგალითი: ნავთობსადენის მშენებლობის დროს კერძო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ კომპანიის მიერ წარდგენილი მოთხოვნა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აუცილებელი გზის უფლების ქრილში დასაშვებად ცნო და დააკმაყოფილა. სასამართლომ მიუთითა

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლი.

⁹ იქვე, 242-ე მუხლი.

¹⁰ იქვე, 247-ე მუხლი.

¹¹ იქვე, 248-ე მუხლი.

¹² რუსიაშვილი გ., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ., სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბ., 2019, 358.

თა, რომ აუცილებელი გზა წარმოადგენს სანივთო უფლებას¹³ და მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, სსკ-ის 180-ე მუხლის საფუძველზე, წარმოეშობა თმენის ვალდებულება, რაც უკავშირდება სწორედ ამ ნორმის გამოყენებას და არა აღნაგობის ან სერვიტუტის უფლების მოპოვებას, რადგან კომპანიას მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვს ნავთობის მილსადენის გასაყვანად, ხოლო შეძენილი ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის კომპანიას ესაჭიროება აუცილებელი კავშირი ნავთობის ქსელთან.¹⁴ არსებობდა მოლოდინი, რომ ამ ტიპის შემთხვევებში სასამართლოს სერვიტუტის უფლებისთვის მიენიჭებინა უპირატესობა, თუმცა პრაქტიკა სსკ-ის 180-ე მუხლით განვითარდა.

აუცილებელი გზის უფლების თაობაზე სარჩელის წარდგენისას მოსარჩელემ უნდა მიუთითოს სსკ-ის 180-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები: ა) ის უნდა იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე; ბ) მიწის ნაკვეთს არ უნდა გააჩნდეს ჯეროვანი კავშირი საჯარო გზასთან; გ) მეზობელი ნაკვეთის აუცილებელ გზად გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ნივთის ფაქტობრივი მდებარეობითა და ფუნქციური დანიშნულებისამებრ გამოყენებით; დ) მეზობელი მიწის ნაკვეთი უნდა იყოს მიზნის მიღწევის ერთადერთი პროპორციული საშუალება. იმის მიხედვით, თუ ჩამოთვლილთაგან რომელ ფაქტებს შეედავება მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრე, განისაზღვრება მტკიცების საგანი და შედავებათა პროცესუალური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა შორის ნაწილდება მტკიცების ტვირთი.

სანოტარო პრაქტიკაში სანივთო საფუძვლების განსხვავება შეიძლება სწორედ ამ წინაპირობების „დ“ პუნქტის შეფასებისას გამოიკვეთოს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს დაინტერესებული პირის თხოვნით, რომელსაც სურს მიმართოს სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედავებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე პირი. ამ შემთხვევაში ნოტარიუსს უფლება აქვს, გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არა უმეტეს 10 დღის ვადით. თუ ნოტარიუსის მიერ დადგენილ ვადაში სასამართლოდან მიღებული არ იქნა ცნობა დაინტერესებული პირის განცხადების შეტანის შესახებ, ნოტარიუსი ასრულებს სანოტარო მოქმედებას. ასევე, ნოტარიუსს შეუძლია მხარეებს შესთავაზოს სანოტარო მედიაცია.¹⁵

3. სანოტარო მედიაცია სამეზობლო დავებში

აქვს თუ არა ნოტარიუსს სადავო სამეზობლო ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება? მისი ფუნქცია მხოლოდ აუცილებელი გზის დადგენისთვის ახსნა-განმარტებით შემოიფარგლება, თუ დავის პრევენციით? ფაქტია, თუ არ არის გამიჯნული და რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საზღვრები, მაშინ სადავოა გამიჯნული და რეგისტრირებული გზის დადგენა დაუზუსტებელი ფართობების ნაკვეთებს შორის. პრობლემა აქ არა მხოლოდ გზის დადგენაშია, არამედ მიწის ნაკვეთების რეგისტრაციაში და თუ არ მონესრიგდა მიწის რეგისტრაციის ძირითადი სისტემური საკითხები მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლებში, მაშინ აუცი-

¹³ იხ. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, სსმ, 41, 19/12/2008, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული უფლებები და ვალდებულებები.

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1416-1548-04.

¹⁵ საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, 04/12/2009, 46-ე მუხლი.

ლებელ გზასთან დაკავშირებული საკითხები ნოტარიუსის პასუხისმგებლობისთვის სარისკო ბუნებისაა.¹⁶

სანოტარო მედიაცია არის კერძოსამართლებრივი დავის გადაწყვეტის პროცესი, რომელშიც მხარეები ნებაყოფლობით საწყისებზე (ყველა მხარის თანხმობით) ან „მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სავალდებულო წესით, ერთი ან მეტი მედიატორი ნოტარიუსის დახმარებით, აწარმოებენ მოლაპარაკებას სადავო საკითხების თაობაზე შეთანხმების მიღწევის მიზნით. ნოტარიუსი უფლებამოსილია, განახორციელოს მედიაცია სამეზობლოსამართლებრივ დავებზე, ხოლო მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში შეადგინოს მორიგების აქტი, რომელიც დასტურდება სანოტარო წესით, საჯარო აქტის ფორმით.

სამეზობლო ურთიერთობებში მინის საკუთრების სოციალური სისტემის ცვლილება, საგზაო უზრუნველყოფა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის მნიშვნელობა ერთმანეთთან დაკავშირებული თემებია, რომელთა შეფასება – პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ მსაზღვრელებს ეფუძნება. თუ სასამართლოში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით და თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, სანოტარო მედიაციაში ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში.

ზოგადად, აუცილებელი გზის მოთხოვნა შეიძლება იყოს დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ,¹⁷ რაც შეუსაბამობას წარმოშობს მამინ, როდესაც სასამართლო ზღუდავს მესაკუთრის უფლებას¹⁸ და სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით არ მიჯნავს ერთმანეთისგან აუცილებელი გზის მოთხოვნას, საკუთრების უფლების ჩამორთმევას, სერვიტუტის, აღნაგობის და სხვა სანივთო უფლების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნებს. მინასთან დაკავშირებული კერძოსაკუთრებითი ურთიერთობები კვლავ გამოწვევაა სამოქალაქო ბრუნვისთვის,¹⁹ ამიტომ, საერთო მიდგომის ჩამოყალიბება გზის მოთხოვნასთან დაკავშირებით შეზღუდულია. ცალკეულ შემთხვევებში, ხელშეკრულების საგნად მინის ნაკვეთის აღმოჩენა, თავიდანვე გზის გარკვევის საკითხს არ მოიცავს ან მხარეები არ აქცევენ ყურადღებას ნაკვეთთან მისასვლელი გზის არსებობას – ნახაზზე სრულყოფილად არ განისაზღვრება ნაკვეთთან მისასვლელი გზა ან კიდეც, მოთხოვნის წარმდგენი მესაკუთრე ცდილობს ცალმხრივად პირობების შეთავაზებას. ამ დროს მხარეთა ინტერესები ურთიერთსაპირისპიროა.²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის გა-

¹⁶ შეად. Bar C., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Veneziano A. and Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DCFR), 2008, 3987-3988. ასევე, იხ. შენგელია ე., ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, თბ., 2012.

¹⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-554-529-2016.

¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან მიმართებით.

¹⁹ ზოიძე ბ., კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, VIII, 2015, 15.

²⁰ კობალაძე ლ., იურიდიული ინტერესი სამოქალაქო პროცესში, საიუბილეო გამოცემა: სერგო ჯორბენაძე 90, თბ., 2019, 203.

დაწყვეტილებაში დადგინდა, რომ ნაკვეთის შეძენისას გარიგების მხარეებს ნაკვეთთან მისასვლელი გზის უზრუნველყოფა არ მოუხდენიათ და ეს რისკი მხარეებს მიემართება და არა მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს.²¹

მედიატორმა ნოტარიუსმა მხარეებს უნდა განუმარტოს მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების სამართლებრივი შედეგები და შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგები. სასურველია, მხარეებს ესმოდეთ, რომ სსკ-ის 180-ე მუხლით სხვისი საკუთრებით სარგებლობის უფლება არის საკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის კანონისმიერი (არასახელშეკრულებო) უფლება მეზობელი მესაკუთრის თანხმობის მიუხედავად, თუმცა მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენება სხვა მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ შესაძლებელია სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ან სსკ-ის 180-ე მუხლის ფარგლებში მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან კომპენსაციის შეთანხმებითაც. როგორც აღინიშნა, თუ სანოტარო მედიაციის პროცესში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა, ნოტარიუსი შეადგენს მორიგების აქტს და დაადასტურებს სანოტარო წესით.

მედიატორი ნოტარიუსი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მორიგების აქტის დადასტურებაზე, თუ მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების შინაარსი აშკარად ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ ნორმებს, ზნეობას ან საჯარო წესრიგს. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიული ინტერესი შეიძლება ჩაანაცვლოს სანოტარო მედიაციაში მხარეთა მონაწილეობით მიღწეულმა შეთანხმებამ და აუცილებელი გზის დადგენის შესახებ ორმხრივი ინტერესის წარმოჩენამ იმ გარემოში, სადაც სარჩელსა და შესაგებელს ანაცვლებს მოლაპარაკება. მედიაციაში შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა გამოხატავს პრობლემის შეფასების ფართო არეალს, სადაც გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები არიან მხარეები, მტკიცების ტვირთის განაწილების, მტკიცებულებებისა და მოთხოვნების მტკიცების გარეშე. ეს ცვლის პირობებს, როდესაც სასამართლოში აღნიშნულ საკითხებს წამყვანი მნიშვნელობა აქვს.

4. კომპენსაციის შესახებ შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმების პრივილეგია და აღსრულების გარანტიები

მხარეთა კონსენსუსის შედეგია ნოტარიუსის მიერ კომპენსაციის შესახებ შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმება, ცალკეულ შემთხვევაში კომპენსაციის თანხის დეპოზიტში მიღება. ერთი მხრივ, ფულის ნოტარიუსისათვის გადაცემას აქვს იგივე იურიდიული შედეგები, რაც სასამართლოსთვის გადაცემას, ხოლო მეორე მხრივ, ნოტარიუსი დეპოზიტში (სადეპოზიტო ანგარიშზე) იღებს ფულს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა თხოვნით. ნოტარიუსი დეპოზიტში მიღების ოქმში აღნიშნავს გადაცემის მიზეზებს, გადამცემის მითითებებს ფულის მესამე პირისათვის (კრედიტორისადმი) გადაცემის შესახებ და არ ამოწმებს ვალდებულების წარმოქმნის საფუძველს.²² ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს იმ სანოტარო აქტის აღსასრულებლად, რომლის საფუძველზე დადგენილი ვალდებულების აღსრულება კანონმდებლობის შესაბამისად დაიშვება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ არის გასული ვალდებულების შესრულების

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1513-2018(ბ).

²² შეად. ბიჭია მ., საზიარო უფლებების სამართლებრივი ბუნების დადგენა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2022, 53.

ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადები. კომპენსაციის შესახებ შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმება, შემდგომში სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი საფუძველია. მხარის მიერ სანოტარო მედიაციის ფარგლებში შემდგარი მორიგების აქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულება ხორციელდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.²³

სანოტარო პრაქტიკაში კომპენსაციის შესახებ შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმების პრივილეგია შეიძლება გამოიკვეთოს სასამართლო პრაქტიკაში კომპენსაციის განსაზღვრის სირთულეებით და იმ საკითხის შეფასებით, თუ რამდენად ეფექტიანი და სასარგებლოა დავის გადაწყვეტა სანოტარო მედიაციაში. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში²⁴ მიიჩნია, რომ აუცილებელი გზისთვის მოსარჩელისთვის ყოველთვიურად 200 ლარის დაკისრება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან ეს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა მას, რის გამოც ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს 20 ლარის გადახდა, მაშინ როდესაც, წლების შემდეგ სხვა საქმეში დადგინდა, რომ თუ აუცილებელი გზის ვალდებულებით დატვირთულ მიწის ნაკვეთს აქვს კომერციული დანიშნულება, თმენისათვის კომპენსაცია შესაძლოა განისაზღვროს მისი გაქირავების ფასით, რადგან იჯარით გაცემა არის უძრავი ქონების ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულებით სარგებლობის ყველაზე გავრცელებული ფორმა.²⁵

სასამართლომ დაადგინა, რომ მილსადენის კომპანიის მიერ მეზობელი მესაკუთრისთვის შეთავაზებული თანხა სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია იყო და არა მიწის ნაკვეთის შესყიდვისათვის შეთავაზებული ფასი ან მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაციისთვის განკუთვნილი თანხა.²⁶ რამდენიმე საქმეში სასამართლომ განსაზღვრა, რომ ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შეფასებისას, სასამართლო უფლებამოსილია, რომ არ გაითვალისწინოს კომპენსაციის გამოანგარიშების ის წესი, რომელსაც ექსპერტი სთავაზობს დამკვეთს.²⁷ კომპენსაცია ერთჯერადი გადახდით განსხვავებულად დაიანგარიშება. საქმეში მეზობელმა მესაკუთრემ კომპენსაციად მოითხოვა მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შესაბამისი თანხა, რადგან გაზსადენი მიწის ნაკვეთის შუაში გადიოდა და მიწის დარჩენილი ნაწილი გამოუყენებელი რჩებოდა/მიწის ნაკვეთი კარგავდა ფუნქციას. ასევე, კომპენსაციის გამოანგარიშებისას მნიშვნელოვანია დადგინდეს ზემოქმედების მასშტაბი, რომელსაც მეზობელი მიწის ნაკვეთი განიცდის. მიწის ფოტომასალებთან დაკავშირებით განიმარტა, რომ იგი, იურიდიული ძალის თვალსაზრისით, არ შეიძლება საექსპერტო კვლევის გამაბათილებელ მტკიცებულებად ჩაითვალოს.²⁸ კიდევ ერთ საქმეზე, სადაც მხოლოდ აუცილებელი გზის უფ-

²³ საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, 04/12/2009, 38¹ მუხლი.

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-328-648-05.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-172-2021. დამატებით: კომპენსაციის ფორმა და შინაარსი (ღირებულება) დაკვირვებას საჭიროებს. ასევე, იხ. ზოიძე ბ., ფორმალში ქართულ სამართალში – უპირატესად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „საჯარო სამართლის ჟურნალი“, №1, 2023, 124.

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-802-1122-07.

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-797-746-2010.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1070-1009-2015.

ლების დადგენა განიხილებოდა, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავის ფარგლებში კომპენსაციის საკითხი არ დამდგარა და ბუნებრივია, საკასაციო სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებდა, თუმცა, ის არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ მოპასუხეებმა დაკარგეს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.²⁹

5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 917-ე პარაგრაფი

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 917-ე პარაგრაფი მოქმედებს არა მხოლოდ, აუცილებელი გზის მოთხოვნისთვის, არამედ მომარაგების და მიწოდების ხაზების გატარებისთვის მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენებით.³⁰ 917-ე პარაგრაფი ასეთ დროს მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოიყენონ, თუ მიწის კანონმდებლობა ნაკლებად შემზღუდველ მონესრიგებას არ ადგენს.³¹ აუცილებელი გზის ფარგლები, უნდა შეიზღუდოს მიწის ნაკვეთზე გასავლელი გზის გარკვეული სიგრძითა და სიგანით, თუმცა აღნიშნული პარაგრაფი შეზღუდვის ფარგლებს არ განსაზღვრავს. აუცილებელი გზის ფარგლებში უნდა შეირჩეს ისეთი მარშრუტი, რომელიც თმენის ვალდებულების მქონე მიწის ნაკვეთის მესაკუთრისთვის ნაკლებად მზლუდავი იქნება. მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრების უფლება მხოლოდ აუცილებლობის ფარგლებით შეიძლება შეიზღუდოს.³² აუცილებელი გზის უფლების მქონე პირის ინტერესები თავისთვის ყველაზე ეფექტური მარშრუტის შერჩევის დროს, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესებთან მიმართებით უპირატესი არაა. ამ წინაპირობების გათვალისწინებით ერთ-ერთ საქმეში აუცილებელი გზა შეიზღუდა სამი მეტრის სიგანით, რადგანაც მიწის ნაკვეთამდე მისასვლელად საჭირო გზის განსაზღვრისას მოაზრებული იყო მანქანით გადაადგილების შესაძლებლობაც.³³

არის თუ არა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვალდებული ითმინოს გარკვეული შეზღუდვები, დამოკიდებულია ადგილობრივი მიწის სამართლის მიხედვით საკითხის მონესრიგებაზე, თუმცა მათი დებულებები ანაცვლებს სამოქალაქო კოდექსის ზოგად მონესრიგებას სამეზობლო სამართალთან დაკავშირებით მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, რამდენადაც ისინი კონკრეტული საკითხის სრულ მონესრიგებას გვთავაზობენ.³⁴ სასამართლოები გსკ-ის 906-ე და შემდგომი პარაგრაფების დანაწესებით უშუალოდ არეგულირებენ საკითხებს და არ სჭირდებათ ანალოგია. გერმანიის კანონმდებლობა არ კრძალავს, 917-ე პარაგრაფის გამოყენებას მნიშვნელოვანი კომუნიკაციის ხაზების მეზობლის მიწაზე გაყვანის შემთხვევებში. დგინდება, თუ როგორ განაწილება წარმოებისა და ტექნიკური ხარჯები მეზობლებს შორის, როდესაც საქმე გვაქვს მომარაგების და მიწოდების ხაზებით თანასარგებლობასთან. მეზობე-

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-58-2019.

³⁰ ინდივიდუალური და ზოგად-სოციალური მიდგომის შესახებ იხ. *van der Walt A. J., Raphulu T. N., The Right of Way of Way of Necessity: a Constitutional Analysis*, Journal of Contemporary Roman-Dutch Law, Vol. 77, 2014, 475.

³¹ *Prütting H., Wegen G., Weinreich G. (Hrsg.), BGB – Kommentar, BGB §917 BGB – Notweg.*

³² *Tomuschat C., Currie D. P., Kommers D. P., Kerr R., Basic Law for the Federal Republic of Germany*, German Bundestag, 2022, 88. იხ. ასევე, *Raphulu T. N., The Right of Way of Necessity: a Constitutional Analysis*, Master Thesis №17439140, Stellenbosch University, 2013, 149-150.

³³ OLG Hamm, AZ: I-5 U 30/19, 18.11.2019.

³⁴ *Müller P., Recent Developments in Land Tenure and Land Policies in Germany*, Land Economics, University of Wisconsin Madison, Vol. X., №3, 1964, 271.

ლი ვალდებულია ითმინოს თავისი მინის ნაკვეთის გამოყენება სავალდებულო გზად და არაა ვალდებული რაიმე ქმედება განახორციელოს სავალდებულო გზის შესანარჩუნებლად, მაგრამ თუ ის ასევე იყენებს ამ გზას, მაშინ მხარეებს შორის გზის მონყოფის ხარჯები უნდა გადანაწილდეს.³⁵ გსკ-ში აუცილებელი გზის მოთხოვნის უფლება და ამ უფლების გამოორიცხვა ორ დამოუკიდებელ პარაგრაფშია ჩამოყალიბებული.³⁶

6. დასკვნა

აუცილებელი გზის დადგენისას მესაკუთრისთვის გაცხადებული პირობის სავალდებულობა განისაზღვრება: საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან კავშირის არარსებობით, ამ გზის გარეშე მინის ჯეროვანი გამოყენების შეუძლებლობით, აუცილებლობითა და მესაკუთრის თვითნებური მოქმედების გამოორიცხვით. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში შეფასებულია, როგორც მატერიალური ისე საპროცესო ასპექტების გათვალისწინებით, თუმცა თმენის ვალდებულებისა და კომპენსაციის შეფასებისას, უფლების ბოროტად გამოყენების ნაწილში კვლავ არათანმხედრ წარმოდგენებს ქმნის. საკითხი, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან მოთხოვნა აუცილებელი გზის შესახებ, დასაბუთების მიუხედავად, შეიძლება ზედმეტად ზღუდავდეს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის უფლებებს.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.
3. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“, 04/12/2009.
4. „მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“, 03/06/2016.
5. ვინტერი გ., ყალიჩავა კ., სამართლის ტრანსფერი და შინაგანი დინამიკა ტრანსფორმაციულ ქვეყნებში: საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის განვითარების მაგალითი, „საჯარო სამართლის ჟურნალი“, №1, 2023.
6. ზარანდია თ., სანივთო სამართალი, თბ., 2023.
7. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003.
8. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005.
9. ზოიძე ბ., კონსტიტუციის ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმების პრობლემები, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, VIII, 2015.
10. ზოიძე ბ., ფორმალში ქართულ სამართალში – უპირატესად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „საჯარო სამართლის ჟურნალი“, №1, 2023.
11. კობალაძე ლ., იურიდიული ინტერესი სამოქალაქო პროცესში, საიუბილეო გამოცემა: სერგო ჯორბენაძე 90, თბ., 2019.

³⁵ BGH Karlsruhe, AZ: V ZR 172/07, 04.07.2008.

³⁶ სსკ-ში უფლება და მისი გამოორიცხვა ერთ ნორმაშია იხ.: აუცილებელი გზით სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული პრაქტიკა: ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 77-80; ვინტერი გ., ყალიჩავა კ., სამართლის ტრანსფერი და შინაგანი დინამიკა ტრანსფორმაციულ ქვეყნებში: საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის განვითარების მაგალითი, „საჯარო სამართლის ჟურნალი“, №1, 2023, 7-8; ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 268.

12. ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014.
13. რუსიაშვილი გ., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ., სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბ., 2019.
14. შენგელია ე., ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები, საიუბილეო კრებული: რომან შენგელია 70, თბ., 2012.
15. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბ., 2014.
16. ჭანტურია ლ. (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი/წიგნი II/სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბ., 2018.
17. ხუბაშვილი თ., საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საჯარო რეესტრში რეგისტრირებადი ვალდებულებები, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2016.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1416-1548-04.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-802-1122-07.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-797-746-2010.
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1070-1009-2015.
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-554-529-2016.
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-58-2019.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-172-2021.
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-328-648-05.
26. Bar C., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Veneziano A. and Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference (DCFR), 2008.
27. Müller P., Recent Developments in Land Tenure and Land Policies in Germany, Land Economics, University of Wisconsin Madison, Vol. X., №3, 1964.
28. Prütting H., Wegen G., Weinreich G. (Hrsg.), BGB – Kommentar, BGB §917 BGB – Notweg.
29. Raphulu T. N., The Right of Way of Necessity: a Constitutional Analysis, Master Thesis №17439140, Stellenbosch University, 2013.
30. Tomuschat C., Currie D. P., Kommers D. P., Kerr R., Basic Law for the Federal Republic of Germany, German Bundestag, 2022.
31. Martínez Velencoso L. M., The Land Register in European Law: a Comparative and Economic Analysis, in the Book: Transfer of Immovables in European Private Law, Cambridge – New York, Part 1, 2017.
32. van der Walt A. J., Raphulu T. N., The Right of Way of Way of Necessity: a Constitutional Analysis, Journal of Contemporary Roman-Dutch Law, Vol. 77, 2014.
33. OLG Hamm, AZ: I-5 U 30/19, 18.11.2019.

მიხეილ ბიჭია*

სამართლის ორი ჰიპოთასი ვაინბერგერის ონტოლოგიაში: ნორმატი და სხოვრება

სამართლის ბუნების დადგენა არის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი სამართლის თეორიაში. ვაინბერგერის მიხედვით, სამართალი დინამიკური, ცოცხალი და ავტოპოიეზისური (თვითშემოქმედი) ორგანიზმია, რომელიც ერთდროულად მოიცავს ორ ძირითად ჰიპოთასს – ნორმებსა და სოციალურ ცხოვრებას. შესაბამისად, სამართალი არაა მხოლოდ მკაცრი წესებისა და კანონების სისტემა.

ესაა მცდელობა, გაანალიზდეს ამ ორ ასპექტს შორის არსებული დიალექტიკა, ასევე, დაიძლიოს ტრადიციული დაპირისპირება ნორმატიულ იდეალიზმსა და სოციალურ რეალიზმს შორის. ვაინბერგერი ცდილობს, გამოკვეთოს სამართლის ფარგლებში მათი ჰარმონიული თანაარსებობა. მისი ხედვით, სამართალი არის ჰოლისტური სისტემა, რომელიც მოქმედებს არა მხოლოდ კანონების მიხედვით, არამედ სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე. ამასთან, თეორიისა და პრაქტიკის მკვეთრი დაშორება დაუშვებელია, რადგან ისინი განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთშემავსებელია. ამიტომ ვაინბერგერი ცდილობს, ორგანულად დააკავშიროს თეორია და პრაქტიკა. ამდენად, სამართალი არის ცოცხალი და მრავალმხრივი სისტემა, სადაც წესები და სოციალური ურთიერთობები ჰარმონიულად თანაარსებობენ.

საკვანძო სიტყვები: სამართლის ორბუნებიანობა, ონტოლოგია, სოციალური რეალიზმი, ვაინბერგერი, ავტოპოიეზისური (ავტოპოიეტური) სისტემა

1. შესავალი

სამართლის ფილოსოფია წლების განმავლობაში ცდილობს, მოიძიოს პასუხები საკვანძო კითხვებზე: რაა სამართალი და როგორ მოქმედებს იგი სხვადასხვა სოციალურ გარემოში? რამდენად მნიშვნელოვანია სამართლის ბუნების გარკვევა და რა გავლენა აქვს მას სოციალურ გარემოზე?

თანამედროვე გლობალიზაციის ფონზე ეს კითხვები გამოირჩევა განსაკუთრებული სიმწვავეთა და პრაქტიკული მნიშვნელობით. სამართლის ბუნების სიღრმისეული და კომპლექსური გააზრება, რომელიც ითვალისწინებს მის ნორმატიულ და სოციალურ ასპექტებს, გადამწყვეტია სამართლებრივი რეგულირებისა და სტაბილურობისთვის. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცნობილი ჩეხ-ავსტრიელი სამართლის ფილოსოფოსის – ოტა ვაინბერგერის – ხედვები. ის სწავლობდა პრალის უნივერსიტეტში და უკვე თავისი ფილოსოფიური დისერტაციიდან მოყოლებული წარმოაჩენდა ლოგიკისა და სამართლის ურთიერთკავშირს. ამ დისერტაციის საფუძველზე მის მიერ 1958 წელს გამოცემული წიგნი „Die Sollszatsproblematik in der modernen Logik“ საფუძვლად დაედო დეონტიკური ლოგიკის (ანუ ნორმატიული ლოგიკის) დისციპლინას. დასავლეთში მოხვედრის შემდეგ ვაინბერგერმა კიდევ

* სამართლის დოქტორი, თსუ-ის მოწვეული ლექტორი, NEU ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის პროფესორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, მედიატორი, ადვოკატი.

უფრო განამტკიცა თავისი ავტორიტეტი ვრცელი წიგნის „Rechtslogik“ (1970) გამოცემით. მან დასაწყისში მიიღო მოწვეული ლექტორის თანამდებობა ავსტრიის რამდენიმე უნივერსიტეტში და ბოლოს, 1972 წლიდან 1989 წლამდე იყო გრაციის უნივერსიტეტის სამართლის ფილოსოფიის პროფესორი.¹

ოტა ვაინბერგერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორ სფეროში: ნორმების ლოგიკის განვითარებასა და ანალიტიკურ სამართლის თეორიაში. მისი ნაშრომები დიდ გავლენას ახდენს სამართლის დარგში, განსაკუთრებით ნორმატიული ლოგიკის კუთხით, სადაც ის სიღრმისეულად ამახვილებს ყურადღებას სამართლებრივ ნორმებსა და მათ კრიტიკულ გააზრებაზე. ამ კუთხით დასაადგენია, ვის მოსაზრებებს ეფუძნება ვაინბერგერის ხედვა და რამდენად რეალისტულია ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მხარის (სამართლის ნორმებისა და სოციალური ინსტიტუტების) ჰარმონიულად თანაარსებობა.

ასევე, კვლევის მიზანია, გაირკვეს, რამდენად შეიძლება ვაინბერგერის სამართლის ონტოლოგიისა და ანალიტიკური იურისპრუდენციის შესახებ მოსაზრებით დაიძლიოს ტრადიციული დიქტომია ნორმატიულ იდეალიზმსა და სოციალურ რეალიზმს შორის. ამ ჭრილში მნიშვნელოვანია, გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რას მოიაზრებს ვაინბერგერი სამართალში – მხოლოდ წესების ერთობლიობას, მხოლოდ ემპირიულ რეალობას თუ მოვლენას, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ ნორმებსა და სოციალურ კონტექსტს.

2. ნორმატიული იდეალიზმი vs სოციალური რეალიზმი

ოტა ვაინბერგერი განიხილავს სამართლის არსს, მისი მოქმედების, ნორმატიული და სოციალური რეალობის საფუძვლებს. სამართლის ონტოლოგია გულისხმობს სამართლის არსისა და მოქმედების ახსნას.² ვაინბერგერი ცდილობს, დაძლიოს თანამედროვე იურისპრუდენციის ერთ-ერთი ყველაზე რთული დიქტომია – ნორმატიული იდეალიზმისა და სოციალური რეალობის დაპირისპირება. ვაინბერგერი აკრიტიკებს შეხედულებებს, რომლებიც ეფუძნება ან ძალიან ფორმალურ წესებს (კელზენის წმინდა ნორმატივიზმი), ან მხოლოდ რეალურ ფაქტებს (ექსტრემალური რეალიზმი), რაც მას საშუალებას აძლევს, ჩამოაყალიბოს სამართლის არსის დიალექტიკური გააზრება.

ავსტრიელი მეცნიერის ანალიტიკური მიდგომის ღირსება ისაა, რომ ვაინბერგერი სამართალს განიხილავს არა როგორც სტატიკურ ნორმატიულ სისტემას, არამედ როგორც ცოცხალ სოციალურ პროცესს, რომელიც მუდამ იცვლება და ვითარდება ფაქტობრივი რეალობის შესაბამისად. ის სამართლის ონტოლოგიას მიიჩნევს თეორიად, რომელიც შეისწავლის სამართლის არსს, ასევე, მის გავლენას ადამიანის ცხოვრებასა და საზოგადოებაზე. მისი აზრით, **სამართალი არაა მხოლოდ ნორმატიული წესების კრებული; ის „ცოცხლობს“ და მოქმედებს რეალურ ყოველდღიურ ურთიერთობებში.** ამიტომ სამართლის ნორმები არაა მხოლოდ იდეები ან აბსტრაქციები; სამართალი ურთიერთქმედებს და რეალურად ახდენს გავლენას სოციალურ გარემოზე,³ რაც სამართლის ონტოლოგიის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს.

¹ Koller P., Ota Weinberger: In Memoriam, Ratio Juris, Vol. 22, No. 3, 2009, 416-417.

² Weinberger O., Rechtsontologie und analytische Jurisprudenz, Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social, Vol. 10, México, 1984, 393.

³ იქვე, 398.

ამ კონცეფციიდან გამომდინარე, წარმოიშობა ფუნდამენტური კითხვა: როგორ შეუძლია ნორმებს, რომლებიც თავისი ბუნებით ლოგიკურად განსხვავდება ემპირიული ფაქტებისგან, მოახდინოს გავლენა სოციალურ გარემოზე? ეს იდეა პირდაპირ უკავშირდება რ. დვორკინის სამართლის თეორიას, რომლის თანახმად, სამართალი მხოლოდ პოზიტიური სამართლის ნორმების ერთობლიობაა, არაა, არამედ მოიცავს ღირებულებით და სოციალური კონტექსტით განპირობებულ ასპექტებს.⁴ შესაბამისად, სამართალი მოქმედებს სრულად მაშინ, როცა ის ეფუძნება სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საწყისებს. ამ შემთხვევაში სამართალი არის არა უბრალოდ ფორმალური წესები, არამედ ამ პრინციპების დაცვის რეალური გარანტია.⁵

აღნიშნული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, ნორმები არ არის მხოლოდ იდეები, არამედ ისინი ადამიანური რეალობის ნაწილია. ნორმები უკავშირდება ყოველდღიური ცხოვრების ფაქტებს; ნორმატიული წესები განსაზღვრავს, რა უნდა ვქნათ (მაგალითად, კანონები, მორალური ნორმები).⁶ ისინი მოიცავს წესებს, **პრინციპებს ან კატეგორიებს, რომლებიც ლოგიკურ-ფორმალურ სისტემაში განსაზღვრავს, რა უნდა გააკეთოს პირმა (მოვალეობა),** რისი უფლება აქვს მას (**ნებადართულობა**) და რისი განხორციელება არის დაუშვებელი (**აკრძალვა**).⁷

ჰარტის აზრით, სამართალი არის წესების სისტემა, რომელიც განსხვავდება როგორც ბრძანებებისგან, ისე მორალური ნორმებისგან.⁸ ამ გაგებით, ჰარტის პირველადი და მეორეული წესების თეორია ნაწილობრივ ხსნის აღნიშნულ პრობლემას. ეს იმითაა განპირობებული, რომ სამართლის უნიკალურობა პირველადი და მეორეული წესების ურთიერთქმედებაა, ანუ მათი შიდა ლოგიკა.⁹ თუმცა, ეს ვერ ხსნის სრულად ონტოლოგიურ საკითხს – როგორ არსებობს ნორმები და რა ხდის მათ მოქმედს.

3. ტრანსნაციონალური სამართლებრივი წესრიგი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სამართლის არსის გაგება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის უკვე არ ფუნქციონირებს მხოლოდ ეროვნული ნიადაგიდან გამომდინარე. ეს იმითაა განპირობებული, რომ, როგორც ჰარდტი და ნეგრი აღნიშნავენ, სამართალი და ძალაუფლება სულ უფრო მეტად მოქმედებს ტრანსნაციონალურ ქსელურ სტრუქტურებში, სადაც სამართალი არ არის მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის ინსტრუმენტი, არამედ გარდაიქმნება ტრანსნაციონალური მმართველობის მექანიზმად.¹⁰ ეს ახალი რეალობა წარმოშობს შემდეგ ფუნდამენტურ შეკითხვას: თუ სამართალი არ ეფუძნება კლასიკურ სუვერენულ ავტორიტეტს, მაშინ როგორ იძენს ის ლეგიტიმურობას და როგორ მოქმედებს? მათი აზრით, ამ შეკითხვაზე პასუხი ისაა, რომ თანამედროვე სამართლებრივი ნორმე-

⁴ იხ. დვორკინი რ.მ., წარმოადგენს თუ არა სამართალი წესების სისტემას, ნიგნში: „სამართლის ფილოსოფია“, რედ. დვორკინი რ., თბ., 2010, 41.

⁵ იხ. Kaufmann A., The ontological Structure of Law, Natural Law Forum, 8, 1963, 82.

⁶ იხ. Weinberger O., 'Is' and 'Ought' Reconsidered: Comment on G. H. von Wright's Lecture 'Is and Ought', Archiv für Rechts- und Sozialphilosophie/ Archives for Philosophy of Law and Social Philosophy, Vol. 70, No. 4, 1984, 467.

⁷ Wright von G. H., Deontic Logic, Mind, 60, No. 237, 1951, 1.

⁸ Hart H.L.A., The Concept of Law, 2nd edition, Oxford, 1994, 8-13.

⁹ იქვე, 27-29.

¹⁰ Hardt M., Negri A., Empire, Cambridge, MA: Harvard University Press, 2000, 9-15.

ბი და ინსტიტუტები მოქმედებენ, როგორც გლობალური ბიოპოლიტიკური წესრიგის ნაწილი, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდების ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.¹¹ სწორედ ამ კომპლექსური რეალობის ანალიზისთვის ვაინბერგერი ცდილობს, გამოავლინოს, როგორ ცვლის სამართალი საზოგადოებას და, პირიქით, როგორ აყალიბებს იგივე სოციალური კონტექსტი (საზოგადოება) სამართალს.¹²

ამასთან, **საზოგადოების წევრები ხშირად ერთსა და იმავე ნორმას განსხვავებულ დატვირთვას ანიჭებენ.**¹³ მაგალითად, თუ არსებობს წესი „იყავი პატიოსანი“, სხვადასხვა ადამიანი ამ ნორმას განსხვავებული მიზნისთვის იყენებს. ერთი ადამიანი პატიოსანია ბიზნესში წარმატების მისაღწევად იმისათვის, რომ მომხმარებლების ნდობა მოიპოვოს, მეორე პატიოსნებას იყენებს კარგი რეპუტაციის შესაქმნელად საზოგადოებაში და ა.შ. შესაბამისად, ერთი ნორმა შეიძლება სხვადასხვა ადამიანისთვის განსხვავებული დატვირთვითა და მიზნით გამოიყენებოდეს; ნორმის მნიშვნელობა მრავალფეროვანია, რაც დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტსა და ადრესატზე.

ეს **მრავალფეროვნება** განსაკუთრებით თვალშისაცემია სადავო შემთხვევის დროს, როდესაც **სამართლის ნორმა იძენს განუსაზღვრელ ხასიათს და „ღია ტექსტურის“ ფორმით გამოიყენება.**¹⁴ სწორედ ამ განუსაზღვრელობამ განაპირობა თეორიაში ორი მიდგომის ჩამოყალიბება: სამართლებრივი ფორმალიზმი თვალსაუბრით კანონში არსებულ ხარვეზებზე და მიიჩნევს, რომ გადანეწყებილები ფორმალურად უნდა პასუხობდეს კანონს თუ დამკვიდრებულ პრეცედენტს, ხოლო სამართლებრივი სკეპტიციზმი ვერ ითვალისწინებს ობიექტურ სინამდვილეს. თუმცა ორივე მიდგომა საფრთხის შემცველი უკიდურესობაა,¹⁵ ვინაიდან სინამდვილეში, **სამართალი არც მთლიანად ფორმალურია და არც მთლიანად განუსაზღვრელი.**¹⁶ შესაბამისად, მისი შინაარსი ცვალებადია კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით.

სწორედ ამის საფუძველზე ვაინბერგერი აღიარებს, რომ სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული რეალობასთან, რადგან **ნორმები მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, როცა ისინი მოქმედებენ კონკრეტულ სოციალურ გარემოში.**¹⁷ ამიტომ ვაინბერგერი ცდილობს, დაახლოვოს სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, რათა დაძლიოს მათ შორის არსებული უფსკრული და უპასუხოს გლობალიზაციის პირობებში წარმოშობილ ახალ გამოწვევებს.

ამასთან, ამ კუთხით სამართლის ონტოლოგია ნიშნავს არა მხოლოდ იმის კვლევას, რომ ნორმები აბსტრაქტულად არსებობს, არამედ იმის გაგებას, თუ რა ფუნქციას ასრულებს ისინი სოციალურ რეალობაში. ეს მიდგომა ეხმარება ვაინბერგერის იდეას სამართლის ნორმები-

¹¹ იქვე, 22-23.

¹² Weinberger O., *Rechtsontologie und analytische Jurisprudenz*, Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social, Vol. 10, México, 1984, 394-395.

¹³ იხ. Weinberger O., 'Is' and 'Ought' Reconsidered: Comment on G. H. von Wright's Lecture "Is and Ought", *Archiv für Rechts- und Sozialphilosophie/ Archives for Philosophy of Law and Social Philosophy*, Vol. 70, No. 4, 1984, 468.

¹⁴ Hart H.L.A., *Concept of Law*, 3rd Ed., Oxford, 2012, 121.

¹⁵ იხ. ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რედ. დვორკინი რ., თბ., 2010, 17.

¹⁶ იხ. Hart H.L.A., *Concept of Law*, 3rd Ed., Oxford, 2012, 140-141.

¹⁷ იხ. მუთჰორსტი ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეოთხე – ცნება – სისტემა, მთარგმნელი: მაისურაძე დ., თბ., 2019, 9-10.

სა და სოციალური ფაქტების ურთიერთქმედებაზე. შედეგად, თანამედროვე იურისპრუდენციაში სამართლის ონტოლოგიის კვლევა გულისხმობს არა სამართლის შესწავლას თეორიული ცნებების დონეზე, არამედ ნორმების გააზრებას პრაქტიკული გამოყენებისა და სოციალურ კონტექსტში.¹⁸

ამდენად, „სამართლის ონტოლოგიის“ ქუდქვეშ ვაინბერგერი იკვლევს შემდეგ საკითხებს: რაა სამართალი? როგორ მოქმედებს ის? რაა სამართლის ნორმათა ონტოლოგიური სტატუსი? როგორ უკავშირდება სამართალი სოციალურ რეალობას?¹⁹

4. თეორიული და პრაქტიკული იურისპრუდენციის სინთეზი

ვაინბერგერის ანალიტიკური იურისპრუდენციის მეთოდოლოგიური ინოვაცია ისაა, რომ იგი ცდილობს, გააერთიანოს კონცეპტუალური ანალიზისა და ემპირიული დაკვირვების მეთოდები.²⁰ ეს არ არის მარტივი ინტერდისციპლინური მიდგომა, არამედ ახალი ანალიტიკური ჩარჩოს შექმნის მცდელობა, რომელიც შეძლებს სამართლის ღრმა თეორიული ანალიზისა და პრაქტიკული ეფექტურობის ერთდროულ გამოკვლევას. ამ კონტექსტში ვაინბერგერის მიზანი არაა სამართლის მხოლოდ „აღწერა“ ან „ახსნა“, არამედ მისი ფუნქციონირების ლოგიკის გამოვლენა. ამ გზით ვაინბერგერი ცდილობს ანალიტიკური იურისპრუდენციის ცენტრალური საკითხის ჩამოყალიბებას – დაადგინოს, როგორი კავშირი და ურთიერთქმედებაა სამართლის აზრობრივ-ნორმატიულ და ინსტიტუციურ-რეალურ სინამდვილეს შორის. ეს კონცეპტუალური ჩარჩო თეორეტიკოსებს საშუალებას აძლევს, გადალახონ ტრადიციული დიქტომია წმინდა ნორმატივიზმსა და სოციოლოგიურ რეალიზმს შორის.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თოიბნერის ავტოპოიეზისური (თვითშემოქმედი) სისტემების კონცეფცია. თოიბნერის მიხედვით, სამართალი მოქმედებს, როგორც თვითშემოქმედი სისტემა, რომელიც დამოუკიდებლად აყალიბებს საკუთარ ნორმატიულ სტრუქტურას.²¹ ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის სისტემა არა მხოლოდ რეაგირებს გარე იმპულსებზე, არამედ ქმნის საკუთარ „კოდს“ (წესებსა თუ ლოგიკას), რომლითაც ადგენს, როგორ აიხსნას და აღსრულდეს ეს იმპულსები (ახალი კანონები, შეცვლილი გარემოებები). ამ გზით სამართლის სოციალური რეალობა განსაკუთრებულ ავტონომიას იძენს.²²

ეს მიდგომა ავსებს ვაინბერგერის ონტოლოგიურ ანალიზს, რადგან ხსნის, თუ როგორ ინარჩუნებს სამართალი თავის იდენტობას სოციალური ცვლილებების ფონზე და, ამავე დროს, რჩება მგრძნობიარე აღნიშნული ცვლილებების მიმართ. შესაბამისად, ამ გზით აიხსნება სამართლის სისტემის შიდა ლოგიკა. ვაინბერგერისთვის **ანალიტიკური იურისპრუდენცია არის მეთოდი**, რომელიც განსაზღვრავს სამართლის სტრუქტურასა და მის თეორიულ საფუძვლებს, **მოიცავს არა მხოლოდ სამართლის თეორიულ შემეცნებას, არამედ მის პრაქტიკულ გამოყენებასაც**, რაც საშუალებას იძლევა, დადგინდეს, როგორ მოქმედებს სამართალი

¹⁸ იხ. Vile M. J. C., Legal Ontology and Legal Reasoning, The American Journal of Jurisprudence, 7(1), 1962, 169-172.

¹⁹ Weinberger O., Rechtstontologie und analytische Jurisprudenz, Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social, Vol. 10, México, 1984, 395-396.

²⁰ იქვე, 394-395.

²¹ Teubner G., Law as an Autopoietic System, Oxford: Blackwell, 1993, 1-4.

²² იქვე, 12-15.

ლი რეალურ ცხოვრებაში. ავტორი თვლის, რომ თეორიული ანალიზი უნდა იყოს დაბალანსებული სამართლის პრაქტიკულ ასპექტებთან, რომ სამართლის შესახებ სრული წარმოდგენა შეგვექმნას.²³ ანალიტიკური იურისპრუდენცია და ნორმების ლოგიკა ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული; ის ეფუძნება ნორმების გარკვეულ ლოგიკას. შესაბამისად, თუ სამართლის ნორმები და მათი ლოგიკური კავშირები არ იქნება სათანადოდ გააზრებული, მაშინ შეუძლებელია სამართლის არსის სრულად გაგება.²⁴

ამდენად, სამართალი **თვითშემოქმედი (autopoietic) სოციალური სისტემაა**, რომელიც თავად ქმნის საკუთარ ნორმებსა და წესებს. ის არის არა მხოლოდ გარედან მომდინარე ბრძანებების ზეგავლენის შედეგი ან გარედან შემოტანილი წესების კრებული, არამედ **ცოცხალი და მუდმივად განვითარებადი ორგანიზმი**. სამართალი ქმნის სტაბილურ სოციალურ წესრიგსა და პრაქტიკულ სამართლებრივ სისტემას, რომელიც საკუთარ თავს იცავს როგორც შიგნიდან – საკუთარ სტრუქტურებსა და პროცედურებზე დაყრდნობით, ისე გარედან – გარესამყაროსგან მომდინარე ზეგავლენებისგან. ამ გზით სამართლის სისტემას აქვს ორი ძირითადი თვისება:

- სამართლის **ნორმები და წესები თავისი შიდა ლოგიკით ინარჩუნებს ერთიანობისა და თვითმყოფადობის ხარისხს**, თავად ქმნის და არეგულირებს საკუთარ ელემენტებს;
- ამავდროულად, **სამართლის სისტემა რეაგირებას ახდენს გარედან მომდინარე ცვლილებებსა და გამოწვევებზე**, თუმცა ამას აკეთებს საკუთარი შინაგანი ლოგიკისა და წესების ფარგლებში.²⁵

ეს მრავალდონიანი მიდგომა საშუალებას იძლევა, დაიძლიოს ტრადიციული ფორმალიზმისა და რეალიზმის დუალიზმი. გაინტერგრირების თქმით, ანალიტიკური იურისპრუდენცია არ უგულებელყოფს სამართლის პრაქტიკულ ასპექტებს, არამედ ცდილობს მათ ინტეგრაციას ლოგიკურ სტრუქტურაში. ის მიიჩნევს, რომ სამართლის ონტოლოგია და ანალიტიკური იურისპრუდენცია ერთმანეთს ავსებს, კერძოდ: სამართლის **ონტოლოგია იძლევა საშუალებას, დადგინდეს სამართლის ძირითადი არსი და ბუნება**, ხოლო **ანალიტიკური იურისპრუდენცია გვთავაზობს ინსტრუმენტებს ამ ბუნების ზუსტი და საფუძვლიანი შესწავლისთვის**.²⁶ ფორმალური ლოგიკა და შინაარსობრივი მნიშვნელობა ერთმანეთს ავსებს, ამ ორი მიდგომის კომბინაციით კი შესაძლებელია სამართლის უფრო სრულყოფილი კვლევა-გაგება.

5. ინსტიტუციური ფაქტებისა და ნორმატიული რეალობის ანალიზი

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამართლის სტრუქტურული თეორიის ფუნდამენტური იდეები. გაინტერგრირების სამართალს განიხილავს ინსტიტუციურ ფაქტად სერლის გაგებით, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ადამიანურ ნებას, ღირებულებებსა და ქმედებებს. სერლის მიხედვით, სოციალური რეალობა იქმნება კოლექტიური განზრახვებისა და ინსტიტუციური ფაქტების მეშვეობით, სადაც წესები განსაზღვრავენ სოციალურ ობიექტებსა

²³ Weinberger O., Rechtsontologie und analytische Jurisprudenz, Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social, Vol. 10, México, 1984, 394.

²⁴ იხ. Weinberger O., A philosophical Approach to Norm Logic, Ratio Juris, Vol. 14, No. 1, 2001, 141.

²⁵ იხ. Teubner G., Law as an Autopoietic System, Oxford: Blackwell, 1993, 13-15.

²⁶ Weinberger O., Rechtsontologie und analytische Jurisprudenz, Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social, Vol. 10, México, 1984, 396-399.

და ურთიერთობებს, ხოლო ადამიანები იღებენ საერთო წესებსა და ნორმებს.²⁷ ეს იმას ნიშნავს, რომ ინსტიტუციური ფაქტები, როგორიცაა: ფული, საკუთრება, სამართალი, „ცოცხლდება“ მხოლოდ საზოგადოების მიერ შესაბამისი ნორმებისა და ღირებულებების აღიარებისას. ამიტომ სამართლის არსის გასააზრებლად აუცილებელია პრაქტიკული წინადადებებისა და ცნებების გამოყენება, რაც სამართლის თეორიის ენობრივ საფუძველს ქმნის.²⁸

ამის გათვალისწინებით, ვაინბერგერი მიიჩნევს, რომ სამართალი მოქმედებს, როგორც ინსტიტუციური ფაქტი, რომელიც ერთდროულად ჩამოყალიბებულია ადამიანთა შეთანხმებით და მონაწილეობს სოციალური რეალობის ფორმირებასა თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში. ეს ორმხრივი პროცესი ადასტურებს, რომ **სამართალი არც მხოლოდ აზრობრივია და არც მხოლოდ მატერიალური, არამედ ინტერსუბიექტური მოვლენაა.**²⁹ ე.ი. ის ყალიბდება ადამიანთა ურთიერთქმედებით და, ამავე დროს, ზეგავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე.

ადამიანების სამყარო მოიცავს არა მხოლოდ წმინდა ფიზიკურ ფაქტებსა და რეალობებს, არამედ ინსტიტუციურ ფაქტებსაც – ესენი არის საგნები, რომლებიც მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ სოციალური წესების კონტექსტში. მაგალითად, პლასტიკის ნაჭერი ხდება კრედიტ-ბარათი, მაჯაზე დამაგრებული მექანიზმი – საათი, მეტალის დისკები კი – მონეტები. ფიზიკურად ეს უბრალოდ ნივთებია, მაგრამ მათ კონკრეტული მნიშვნელობა ენიჭებათ იმ სოციალური წესების წყალობით, რაც მათ ირგვლივ არსებობს. სამართალი სწორედ ასეთი ინსტიტუციური ფენომენია, რომელიც მოქმედებს ორ დონეზე: ერთი მხრივ, ის ქმნის „ინსტიტუტებს“ (ინსტიტუციურ ფაქტებს), როგორიცაა: კონტრაქტი, საკუთრება, ქორწინება, ნდობა, ფონდი (Stiftung) და ა.შ. ეს ყველაფერი მხოლოდ სამართლებრივი ნორმების წყალობით არსებობს; მეორე მხრივ, ორგანიზაციული თვალსაზრისით, სამართალი „ინსტიტუციურია“ იმ გაგებით, რომ იგი ხორციელდება „ინსტიტუტების“ მეშვეობით, როგორიცაა: სასამართლოები, საკანონმდებლო ორგანოები, პროკურატურის ორგანოები, პოლიცია და ა.შ. ეს ხედვა ეხმარება იურისტებს სამართლის ბუნების უკეთ გაგებაში.³⁰

სოციალური ინსტიტუტები მკაცრად ფორმალიზებულია სახელმწიფო სამართლის ფარგლებში, რაც კარგად ჩანს ყოველდღიურობაში. მაგალითად, რკინიგზის ბილეთების გაცემა დარეგულირებულია კანონებით. ბილეთის ყიდვა ნიშნავს სატრანსპორტო გადაზიდვის კონტრაქტის დადებას, რაც კომპანიას აკისრებს დანიშნულების ადგილას მგზავრის გადაყვანის მოვალეობას. ესაა ნორმატიულად დადგენილი შეზღუდვა (წესი), რომლის დარღვევისთვისაც კანონი ჯარიმას ითვალისწინებს. ასევე, ცალკე გამოყოფენ ე.წ. „ფიზიკურ შეზღუდვებს“. მაგალითად, ბილეთის გარეშე პირი ფიზიკურად ვერ მოხვდება თვითმფრინავში, რადგან მოქმედებს ბარიერები (მონმდება პასპორტი, ბარგი გადის შემოწმებას და სხვა). აქ ნორმატიული წესები იქცევა შემზღუდველ ბარიერებად. უფრო რთულია საკუთრების უფლების სისტემა, რომელიც მხოლოდ ფიზიკური კონტროლი არაა; საკუთრება ვრცელდება როგორც ფიზიკურ ნივთებზე (მანქანა, სახლი), ისე აბსტრაქტულ „ინსტიტუციურ ნივთებზე“ (აქციები, ფასიანი ქაღალდები და სხვა). შედეგად, ჩვენ ირგვლივ არსებული სამყარო ეფუძნება „ინსტი-

²⁷ Searle J., The Construction of Social Reality, New York: Free Press, 1995, 2-5.

²⁸ იქვე, 7-8.

²⁹ Weinberger O., Rechtstheorie und analytische Jurisprudenz, Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social, Vol. 10, México, 1984, 394-395.

³⁰ MacCormick N., Institutions of law, an essay in legal theory, New York, 2007, 11-12.

ტუციურ რეალობებს“ – ისეთ საგნებსა და უფლებებს, რომლებიც არსებობენ სამართლებრივი წესების წყალობით. ეს წესები იმდენად ღრმადაა ინტეგრირებული ჩვენს ცხოვრებაში, რომ მათი შეუსრულებლობა ფიზიკურად შეუძლებელი ხდება, რადგან ისინი ფიზიკური შეზღუდვების ნაცვლად მოქმედებს.³¹

ვაინბერგერი სამართალს დამაჯერებლად აკავშირებს სოციალურ და ნორმატიულ რეალობასთან, რაც კიდევ უფრო ღრმად ავსებს სამართლის ონტოლოგიის საკითხებს. ეს მიდგომა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ **სამართალი არის აბსტრაქტული წესების სისტემა, რომელიც ადამიანებმა შექმნეს სოციალური ურთიერთობების დასარეგულირებლად**. მართალია, სამართალი „ცოცხლდება“ მისი მხოლოდ რეალური გამოყენებისას, მაგრამ მას, ამავე დროს, აქვს „მეტაფიზიკური“ (უხილავი) უნარი, დადგეს მატერიალურ სამყაროზე მაღლა, მართოს ჩვენი ქცევა და შექმნას წესრიგი საზოგადოებაში.³² სამართლის მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ იურიდიული კონსტრუქციების შექმნა, არამედ არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირება, სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით.³³

შესაბამისად, **სამართალს აქვს ორმხრივი ბუნება**: ის ერთდროულად არის **აბსტრაქტული და მეტაფიზიკური ხასიათის**. ეს დუალისტური ბუნება საშუალებას იძლევა, რომ სამართალმა ერთდროულად მოიცვას როგორც ნორმატიული, ისე სოციალური რეალობის საფუძვლები. სწორედ ამიტომ, სამართალი ერთდროულად ნორმატიული და სოციალური კატეგორიაა, რომელიც არა მარტო წესების ერთობლიობაა, არამედ ადამიანებს შორის ურთიერთობების რეგულატორიც. ამით ის საზოგადოებრივ წესრიგსა და სტაბილურობას ქმნის.

ვაინბერგერის სამართლის დინამიკის სტრუქტურულ-თეორიული ანალიზი აჩვენებს სამართლის ნორმებსა და სოციალურ მოვლენებს შორის ნორმატიულ-ლოგიკურ კავშირს. ამასთან, ვაინბერგერი აკრიტიკებს რადიკალურ სოციოლოგიურ რეალიზმს, რომელიც სამართლის არსს განსაზღვრავს მხოლოდ გარეგან სოციალურ ფაქტორებზე დაყრდნობით. ის მიიჩნევს, რომ იურიდიული არგუმენტაცია ეფუძნება არა მხოლოდ ფორმალურ (ნორმათა) ლოგიკას, არამედ მის შინაარსობრივ მნიშვნელობასაც.³⁴

სამართალი ასრულებს **ორმაგ ფუნქციას: ქმნის სოციალურ წესრიგს და იმავდროულად იცავს ინდივიდის უფლებებს**. ეს ორმაგი ფუნქცია განაპირობებს სამართლის კომპლექსურ ბუნებას, რადგან მუდმივად უნდა აწონასწორებდეს პირად თავისუფლებასა და საზოგადოებრივ ინტერესებს. შესაბამისად, სამართალი უნდა იყოს დაფუძნებული როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ საჭიროებებზე.

წმინდა სამართლის თეორია ცდილობს სამართლის „განმენდას“ სოციალური კომპლექსურობისგან და მისი ავთენტური ბუნების განსაზღვრას. ეს მიდგომა სამართალს განიხილავს დამოუკიდებელ სისტემად, რომელიც უნდა გათავისუფლდეს უცხო ელემენტებისგან – ფსიქოლოგიისგან, სოციოლოგიისგან, ეთიკისა და პოლიტიკური თეორიისგან. ამ გაგებით, ყველა

³¹ იქვე, 33-34.

³² Wolf E., *Recht und Welt. Bemerkungen zu der gleichnamigen Schrift von Gerhart Husserl* (Sonderdruck aus der Festschrift für Edmund Husserl), *Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft/ Journal of Institutional and theoretical Economics*, Bd. 90, H. 2, 1931, 332-333.

³³ იხ. Husserl G., *Rechtssubjekt und Rechtsperson*, *Archiv für die civilistische Praxis*, 127. Bd., H. 2, 1927, 193-194; ბიჭია მ., ფენომენოლოგიური ძიებანი გერჰარტ ჰუსერლის სამეცნიერო ნაშრომში „სამართლის სუბიექტი და სამართლებრივი პირი“, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2024, 43.

³⁴ Weinberger O., *Rechtstheorie und analytische Jurisprudenz*, *Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social*, Vol. 10, México, 1984, 397.

გარეგანი ფაქტი (მაგალითად, პარლამენტის სხდომა ან სასამართლო გადაწყვეტილება) თავისთავად ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ იურიდიულ მნიშვნელობას მას ნორმა ანიჭებს. სწორედ ამიტომ **ნორმა განსაზღვრავს, როგორ უნდა იყოს გაგებული ფაქტები და მიენიჭოს მას სამართლებრივი დატვირთვა**. ნორმა არ აღწერს რეალობას („რა ხდება“), არამედ ასახავს იმას, რა „უნდა იყოს“ ან „უნდა მოხდეს“ (ანუ ჯერარსულ სფეროს), რაც განასხვავებს მას არსის სფეროსგან (იმისგან, რაც „არის“). ამ ლოგიკის შესაბამისად, **ნორმა არის ერთი სუბიექტის მიერ სხვისი ქცევის მართვის (რეგულირების) წესი**, რომელიც შეიცავს **ბრძანებას, ნებადართულობას ან უფლებამოსილების მინიჭებას კონკრეტული ქმედების განხორციელებაზე**.³⁵

კელზენის აზრით, სამართალი ვერ დაიყვანება ფაქტამდე; ნორმა განიხილება ჯერარსად, ნების გამომხატველი აქტი კი – არსად.³⁶ ამგვარად, სამართლის ნორმა არის „მოდელი“, რომელიც ადგენს ჯერარსული ხასიათის უფლება-მოვალეობებს სუბიექტებს შორის. ეს მოდელი განიხილება ფორმალურ ელემენტად, რომლის ძალითაც ფაქტობრივი ურთიერთობები იძენენ სამართლებრივ ფორმას. შესაბამისად, ნორმატივიზმის ფარგლებში სამართლებრივი ურთიერთობა ყალიბდება არა საზოგადოებრივ, არამედ წმინდა იურიდიულ საფუძველზე.³⁷

ამ თეორიული ჩარჩოს განვითარებისას ვაინბერგერი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ განსხვავებას **“de lege lata” (არსებულ კანონსა) და “de lege ferenda” (სასურველ კანონს) შორის**. ეს განსხვავება არსებითია სამართლისთვის, რადგან ის მიჯნავს არსებული სამართლებრივი სისტემის ობიექტურ აღწერას სამართლის რეფორმის სუბიექტური წინადადებებისგან.³⁸ ამიტომაც, კელზენის წმინდა თეორიის მიხედვით, მეცნიერული იურისპრუდენცია უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ **“de lege lata”-ს** სფეროში, რათა არ ჩაერიოს პოლიტიკურ-სოციალური შეფასებები.

ვაინბერგერი აკრიტიკებს „წმინდა სამართლის თეორიის სკოლის“ იდეებს და მიიჩნევს, რომ ნორმები არის არა მხოლოდ ნების აქტები ან ბრძანებები, არამედ კომპლექსური ინტერპრეტაციის სისტემები, რომლებსაც საკუთარი წესები და ლოგიკა აქვთ სამართლის სფეროში. მისი ხედვა გამორჩეულია იმით, რომ **სამართალს განიხილავს როგორც ჰოლისტურ პროექტს, რომელშიც აუცილებელია თეორიული და პრაქტიკული მხარეების გათვალისწინება**. ამ გზით ვაინბერგერმა გააერთიანა სამართლის ფორმალური (ნორმატიული) და სოციალური (პოლიტიკური, სოციალურ-ფენომენოლოგიური) ასპექტები. შესაბამისად, ამ შემთხვევაში **სამართალი გაიგება ცოცხალ და დინამიკურ სოციალურ ორგანიზმად**. ამასთან, ვაინბერგერი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამართლებრივ-პოლიტიკური არგუმენტაცია სტრუქტურული ანალიზისთვის მიუწვდომელია და არ მიეკუთვნება იურისპრუდენციის სფეროს. ის ამტკიცებს, რომ სამართლებრივი პრობლემატიკის, იურიდიული აზროვნებისა და არგუმენტაციის მთელი სფერო სტრუქტურულად შეიძლება და უნდა გაანალიზდეს.³⁹ ვაინბერგერის ეს კრიტიკაც ისევ უბრუნდება სამართლის თავდაპირველ ორმაგ ფუნქციას – თუ სამართალი რეალურად მოქმედებს როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე, მა-

³⁵ იხ. *Kelsen H.*, *Pure Theory of Law*, translated from the Second German edition by *Knight M.*, Clark, New Jersey, 2005, 1-6; ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 39-40.

³⁶ იხ. *Kelsen H.*, *Pure Theory of Law*, translator: *Knight M.*, Berkley and Los Angeles, 1967, 5.

³⁷ იხ. *ბიჭია მ.*, სამოქალაქო სამართლის მეთოდოლოგიური პრობლემები, თბ., 2023, 32-33.

³⁸ *Weinberger O.*, *Rechtstheorie und analytische Jurisprudenz*, Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social, Vol. 10, México, 1984, 397.

³⁹ იქვე, 403-404.

შინ მისი სრულად გაგება შეუძლებელია სოციალური და პოლიტიკური კომპონენტების გარეშე.

ვაინბერგერის მიერ შემოთავაზებული სამართლის არსებობის ნორმატივისტულ-ინსტიტუციონალისტური კონცეფცია არის მნიშვნელოვანი სამართლის ონტოლოგიის გასარკვევად. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, მართლწესრიგი შეიძლება ჩაითვალოს რეალურად არსებულ სისტემად მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმათა სისტემა პრაქტიკულად ხორციელდება დროში მოქმედი ინსტიტუციური ორგანიზაციების მიერ. ამასთან, წინამდებარე ნაშრომი საყურადღებოა როგორც სამართლის ფილოსოფიაში, ისე პრაქტიკულ იურისპრუდენციაშიც, რადგან ავტორი ნათლად აჩვენებს, რომ სამართლის გასაგებად არაა საკმარისი მხოლოდ სამართლის ნორმების ანალიზი, არამედ საჭიროა ინსტიტუციური სამართლებრივი რეალობის შესწავლა. ეს ინტეგრირებული ხედვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე იურიდიული აზროვნებისთვის. მისი ღირსებაა როგორც კონცეპტუალური სიახლეების შემოთავაზება, ისე ჰოლისტური (კომპლექსური) მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის რთული და მრავალგანზომილებიანი ბუნების სრულ ანალიზს.

6. დასკვნა

ვაინბერგერის თვალსაზრისით, **სამართალი** არ არის მხოლოდ სტატიკური წესების ერთიანობა, არამედ **დინამიკური და თვითშემოქმედი (ავტოპოიეზისური) სისტემა, რომელიც ორგანულად ერწყმის სოციალურ გარემოს**. ის მუდმივად აყალიბებს აბსტრაქტულ ნორმებს რეალური კონტექსტის მიხედვით. ვაინბერგერის მიხედვით, სამართლის ნორმატიული და სოციალური ასპექტები არ უნდა განიხილებოდეს განცალკევებულად; **ნორმებს მხოლოდ მაშინ ენიჭება მნიშვნელობა, როცა ისინი იქმნება კონკრეტული სოციალური კონტექსტისა და პრაქტიკის გათვალისწინებით**. ამიტომ სამართალი მოქნილია და ადაპტირდება ცვალებად სოციალურ გარემოში. შესაბამისად, ვაინბერგერის თეორიის მთავარი თეზა ისაა, რომ სამართალი მოიცავს ორ ძირითად ჰიპოთესას: ნორმებსა და სოციალურ ცხოვრებას. ამ ორ სფეროს შორის კავშირი ქმნის სამართლის განვითარების მთლიან ხედვას.

ვაინბერგერის ხედვა დიდ გავლენას ახდენს სამართლის თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკაზე შემდეგი მიზეზების გამო: *პირველი*, ის მნიშვნელოვნად ამცირებს ტრადიციულ ფორმალისტულ და სოციალურ რეალიზმს შორის მკვეთრ დაპირისპირებას. ამ გზით **სამართალი ასრულებს ორმაგ ფუნქციას: ითვალისწინებს საზოგადოების დინამიკურ ბუნებას და იცავს სტაბილურობას**. *მეორე*, ვაინბერგერის ანალიტიკური იურისპრუდენცია ადასტურებს, რომ **სამართლის ღრმა გაგება მოითხოვს როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას**. *მესამე*, მისი სისტემა მნიშვნელოვანია გლობალიზებული სამართლებრივი გამოწვევების ფონზე, სადაც **სამართალი უნდა იყოს ჰოლისტური (ერთიანი) და მოქნილი**.

ამდენად, ვაინბერგერის მიდგომის მნიშვნელობას ადასტურებს რამდენიმე ინდიკატორი:

- სამართლის სრულად გასაგებად აუცილებელია ნორმების შიდა ლოგიკისა და მათი სოციალური ფუნქციების გათვალისწინება;
- სამართალი მგრძნობიარეა გარესამყაროს ცვლილებებისადმი; მას აქვს ადაპტაციის უნარი;

- სამართლის ნორმებსა და სოციალურ ფაქტებს შორის არსებობს ჰარმონიული ურთიერთობა, თუმცა ისინი, ამავე დროს, ერთმანეთზე ურთიერთქმედებენ;
- პრაქტიკული გააზრების დახმარებით სამართალი ცოცხალი სოციალური ორგანიზმია, რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სამართლებრივ ურთიერთობებს;
- სამართლის რთული ბუნების უკეთ გასაგებად საჭიროა თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია.

სამართალი იქმნება ადამიანთა მიერ და ვრცელდება ფართოდ სოციალურ ურთიერთობებზე, რაც უზრუნველყოფს მის ავტონომიასა და მდგრადობას. ეს საშუალებას იძლევა, ეფექტურად პასუხობდეს გლობალურ გამოწვევებს (კლიმატის ცვლილება, საერთაშორისო უსაფრთხოება და სხვა) და გაძლიერდეს როგორც ინდივიდების, ისე ინსტიტუტების ეთიკურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ვაინბერგერის მიდგომა მნიშვნელოვანია თანამედროვე სამართლისთვის, რადგან აერთიანებს თეორიასა და პრაქტიკას, ხსნის სამართლის კომპლექსურ ბუნებას და უზრუნველყოფს მის უფრო ღრმა, ჰოლისტიკურ ანალიზს.

ბიბლიოგრაფია:

1. ბიჭია მ., ფენომენოლოგიური ძიებანი გერჰარტ ჰუსერლის სამეცნიერო ნაშრომში „სამართლის სუბიექტი და სამართლებრივი პირი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2024, 43.
2. ბიჭია მ., სამოქალაქო სამართლის მეთოდოლოგიური პრობლემები, თბ., 2023, 32-33.
3. დვორკინი რ. მ., წარმოადგენს თუ არა სამართალი წესების სისტემას, წიგნში: „სამართლის ფილოსოფია“, რედაქტორი: დვორკინი რ.მ., თბ., 2010, 41.
4. მუთჰორსტი ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი – ცნება – სისტემა, მთარგმნელი: მაისურაძე დ., თბ., 2019, 9-10.
5. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 39-40.
6. ჰარტი ჰ.ლ.ა., პოზიტივიზმი და სამართლისა (კანონისა) და მორალის გამიჯვნა, წიგნში: სამართლის ფილოსოფია, რედაქტორი: დვორკინი რ., თბ., 2010, 17.
7. Hardt M., Negri A., Empire, Cambridge, MA: Harvard University Press, 2000, 9–15, 22-23.
8. Hart H.L.A., Concept of Law, 3rd Ed., Oxford, 2012, 121, 140-141.
9. Hart H.L.A., The Concept of Law, 2nd edition, Oxford, 1994, 8-13, 27-29.
10. Husserl G., Rechtssubjekt und Rechtsperson, Archiv für die civilistische Praxis, 127. Bd., H. 2, 1927, 193-194.
11. Kaufmann A., The ontological Structure of Law, Natural Law Forum, 8, 1963, 82.
12. Kelsen H., Pure theory of law, translated from the Second German edition by Knight M., Clark, New Jersey, 2005, 1-6.
13. Kelsen H., Pure Theory of Law, translator: Knight M., Berkley and Los Angeles, 1967, 5.
14. Koller P., Ota Weinberger: In Memoriam, Ratio Juris, Vol. 22, No. 3, 2009, 416-417.
15. MacCormick N., Institutions of law, an essay in legal theory, New York, 2007, 11-12; 33-34.
16. Searle J., The Construction of Social Reality, New York: Free Press, 1995, 2-5.
17. Teubner G., Law as an Autopoietic System, Oxford: Blackwell, 1993, 1-4, 12-15.
18. Vile M. J. C., Legal Ontology and Legal Reasoning, The American Journal of Jurisprudence, 7(1), 1962, 169-172.
19. Weinberger O., A philosophical Approach to Norm Logic, Ratio Juris, Vol. 14, No. 1, 2001, 141.

20. *Weinberger O.*, Rechtsontologie und analytische Jurisprudenz, Memoria del XI. Congreso Mundial Ordinario de Filosofía del Derecho y Filosofía Social, Vol. 10, México, 1984, 394-399, 403-404, 416-417.
21. *Weinberger O.*, 'Is' and 'Ought' Reconsidered: Comment on G. H. von Wright's Lecture "Is and Ought", Archiv für Rechts- und Sozialphilosophie/ Archives for Philosophy of Law and Social Philosophy, Vol. 70, No. 4, 1984, 467-468.
22. *Wright von G. H.*, Deontic Logic, Mind, 60, No. 237, 1951, 1.
23. *Wolf E.*, Recht und Welt. Bemerkungen zu der gleichnamigen Schrift von Gerhart Husserl (Sonderdruck aus der Festschrift für Edmund Husserl), Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft/ Journal of Institutional and theoretical Economics, Bd. 90, H. 2, 1931, 332-333.

თამარ მსხვილიძე*

მკვიდრი ხალხების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კონცეპტუალურ ჭრილში

არის თუ არა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის (IPR) ამჟამინდელი რეჟიმი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (ICH) დაცვის ადეკვატური მოდელი? ინტელექტუალური საკუთრების სისტემები, როგორც წესი, აღიარებენ ინდივიდუალურ საკუთრებას, ხოლო ტრადიციულ ცოდნას კოლექტიურად ფლობენ და ზეპირად გადასცემენ, რაც ართულებს მის ინტელექტუალურ კატეგორიებში (პატენტები, საავტორო უფლებები, სასაქონლო ნიშნები) მოქცევას. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მითვისება არა მხოლოდ ეკონომიკურ ზიანს იწვევს, არამედ არღვევს საზოგადოების იდენტობას და ადამიანის უფლებებს. ინტელექტუალური საკუთრების არსებული ზომები შეიძლება სასარგებლო იყოს იმ ხალხისათვის, რომელთა ძირითადი მიზანი შემოქმედებითი ნამუშევრების უნებართვო გამოყენების თავიდან აცილება და ტრადიციული ხელოვნების თანამედროვე ადაპტაციების კომერციული გამოყენებაა. ეკონომიკურ პოტენციალზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მექანიზმებმა შეიძლება გამორიცხოს არამატერიალური მემკვიდრეობის რესურსების უნებართვო სარგებლობა.

საკვანძო სიტყვები: არამატერიალური მემკვიდრეობა, ინტელექტუალური საკუთრება, მკვიდრი თემი, ტრადიციული კულტურული გამოხატვა.

1. შესავალი

კულტურული მემკვიდრეობა ადამიანის იდენტობის ფუნდამენტური ასპექტია, ასახავს საზოგადოების საერთო გამოცდილებასა და შეხედულებებს. ის ხელშესახებ კავშირს ქმნის წარსულთან, აყალიბებს ანმეოს და გავლენას ახდენს მომავალზე. ბოლო წლებში კულტურული მემკვიდრეობა იქცა საერთაშორისო სამართლით დაცულ და აღიარებულ ადამიანის უფლებად, როგორც ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის აუცილებელი კომპონენტი. მემკვიდრეობის დაცვა გადამწყვეტია მომავალი თაობებისთვის კულტურული, ისტორიული და ესთეტიკური მნიშვნელობის შესანარჩუნებლად.

ბუნებრივია ჩნდება კითხვები: რა კავშირია ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობას შორის? ინტელექტუალური საკუთრების რომელი სამართლებრივი მექანიზმია რელევანტური შემოქმედებითი ცოდნის დასაცავად? როდის არის ტრადიციული კულტურისაგან „სესხება“ ლეგიტიმური შთაგონება და როდის შეუსაბამო ადაპტაცია ან იმიტირება? საზოგადოების იდენტობის ცენტრში მყოფი არამატერიალური მემკვიდრეობა წარსულს ანმეოსა და მომავალთან აკავშირებს, ის ასევე „ცოცხალია“ – მუდმივად განახლებადი. თანამედროვე ინტერპრეტაცია ან ადაპტაცია ხშირად საავტორო უფლებების დაცვის მიზნით ახალ „ნაწარმოებად“ გვევლინება. შესაბამისად, გასათვალისწინებელია მთელი რიგი საკითხები, რაც თემებს საშუალებას მისცემს აკონტროლოს თავისი

* სამართლის დოქტორი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართლის მკვლევარი, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ცოდნის კომერციალიზაცია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მეშვეობით. მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული საკანონმდებლო ინსტრუმენტების არსებობა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს გლობალურ ბაზარზე საკუთარი მემკვიდრეობითი რესურსების რეალიზებისა და ადეკვატური უპირატესობებით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს. დროთა განმავლობაში სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა გააძლიეროს თემთა მზაობა ეკონომიკური განვითარების მდგრადი მოდელის ხელშეწყობისა და იმ გარდაუვალი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებისათვის, რაც ახლავს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

2. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები

კულტურული მემკვიდრეობის, როგორც კაცობრიობის საერთო საზრუნავის ერთ-ერთი მთავარი იდეა ის არის, რომ მომავალ თაობებს უფლება აქვს გაიზიაროს ეს მემკვიდრეობა. ამის გარანტიას მხოლოდ შეთანხმებული გლობალური მოქმედება იძლევა. როცა საქმე არამატერიალურ მემკვიდრეობას ეხება თაობათაშორისი ასპექტი თავად ასეთი მემკვიდრეობის კონცეფციის ნაწილია, რასთან ცოცხალი კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემა.¹

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა თავისი ხასიათით განუყოფლად არის დაკავშირებული ხალხებსა და თემებთან, განისაზღვრება აშკარა ადამიანური განზომილებით და მიაწინებს კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ცნებიდან „საზოგადოებების, ჯგუფებისა და ინდივიდების კულტურული მემკვიდრეობის“ პროგრესულ გადასვლაზე. მეტიც, მას აქვს თანდაყოლილი უნარი „გაჩნდეს“ საზღვრებთან ახლოს და/ან საზღვრებზე, „ადვილად გაექცეს სახელმწიფოს ტერიტორიულ იურისდიქციას“, რადგან დედამიწაზე არ არსებობს საცხოვრებლად გამოსადეგი ტერიტორია, საიდანაც მისი გამორიცხვა იქნებოდა შესაძლებელი. შედეგად, რეგულაციები ასევე უნდა ეხებოდეს ტრანსსასაზღვრო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოსატყვის დაცვას.²

2003 წლის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის იუნესკოს კონვენცია სფეროს ცენტრალურ საცნობარო წერტილად ითვლება და საერთაშორისო სამართლის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის ამ ფორმის დაცვის ღონისძიებებს წარმოადგენს. კონვენციის მეორე მუხლის თანახმად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ნიშნავს ადათ-წესებს, წარმოსახვისა და გამოხატვის ფორმებს, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ასევე მათთან დაკავშირებულ საშუალებებს, საგნებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს, აღიარებული საერთაშორისო, ჯგუფებისა და ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეული პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად. თაობიდან თაობაში გადაცემული ასეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა გაერთიანებების, ჯგუფების მიერ მუდმივ განახლებას განიცდის მათი გარემო პირობების, ბუნებასთან ურთიერთმოქმედებისა და ისტორიის შესაბამისად და აყალიბებს მათში თვითმყოფადობისა და მემკვიდრეობის გრძნობას.³ მოცემული აღწერილობის საფუძველზე, არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას სამი არსებითი კომპონენტი აქვს, კერძოდ: სოციალური („საზოგადოებები, ჯგუფები, ზოგიერთ შემ-

¹ Lixinski L., International Human Rights and Intangible Cultural Heritage, Intangible Cultural Heritage in International Law, Oxford University Press, 2013, 12.

² Gkana A., Safeguarding shared Intangible Cultural Heritage: A “bridge over troubled water”? Vol. 18, 2020, 177.

³ Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage, Paris 2003.

თხვევაში ინდივიდები“), ობიექტური (ასეთი მემკვიდრეობის გამოვლინება) და ტერიტორიული (კულტურული სივრცე).⁴

არამატერიალური მემკვიდრეობის ბუნების გათვალისწინებით უცნაურად მოგვეჩვენება იმის აღიარება, რომ ინტელექტუალური მემკვიდრეობა არა ტერიტორიებზე, არამედ ძირითადად ადამიანებსა და ცხოვრების წესში დაფუძნებული რეალობაა. აქ, საქმე ეხება განსახიერებულ ცოდნასა და გამოხატვის ფორმებს, რომელთა განვითარება-გადაცემა ხშირად დამოკიდებულია შესტებსა და მოძრაობებზე, ანუ სხეულის მოქმედებებით გამოხატულ სწავლის უნარებსა და ცოდნაზე.⁵ აბორიგენთათვის შექმნა საჩუქარია. სიცოცხლის ყველა ელემენტი წმინდა და პატივსაცემია – წყალი, მიწა და ცა; თევზები, ცხოველები, ფრინველები, ადამიანები; ხეები და მცენარეები. აბორიგენმა ხალხმა მრავალი თაობის განმავლობაში განავითარა ეკოლოგიის, ფლორის, ფაუნის, მედიცინისა და სულიერების ფართო ცოდნა. უხსოვარი დროიდან ისინი გადასცემდნენ სიმღერებს, ისტორიებს, დიზაინებს და საქმის კეთების გზებს, რაც ასახავდა მათ წარსულს, კულტურას, ეთიკასა და შემოქმედებითობას, ეფუძნებოდა ჩვეულებით კანონებსა და პროტოკოლებს. ცოდნის, სულიერებისა და ხელოვნების ფორმების ერთობლიობა ცნობილია, როგორც ტრადიციული ცოდნა. ზოგადად ითვლება, რომ ის ეკუთვნის აბორიგენ მოსახლეობას და არა ერთ ან რამდენიმე ადამიანს.⁶ ამგვარად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ინტელექტუალური საკუთრების კონტექსტში აღწერილია ტრადიციულ ცოდნად (TK), რომელიც განასახიერებს მკვიდრი და ადგილობრივი თემების ადათური ცხოვრების წესს. ის მოიცავს „ისტორიებს, ცეკვას, ენებს, სიმბოლოებს, ხელნაკეთ ნივთებს, კოსმოლოგიას, სამედიცინო და გარემოსდაცვით ცოდნას“, რომელთა გამოყენება ხშირად ეკონომიკურად გამართლებულია (WIPO 2016).⁷

ზოგიერთ ადგილობრივ საზოგადოებაში მატერიალურ და არამატერიალურ საკუთრებას შორის მცირე განსხვავებაა. ნივთის ღირებულება შეიძლება დაუკავშირდეს არა ფიზიკურ ფორმას, არამედ იმ არამატერიალურ აქტივებსა და ცოდნას, რომელსაც წარმოადგენს: როგორიცაა სიმღერები, ცეკვები ან დიზაინი. ამდენად, კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს არტეფაქტებს, ადგილებს, შემოქმედ არსებებს, წინაპართა სულებს, ისტორიებსა და სიმღერებს, რომლებიც ანმყოში იმ საგნებისა და დროის გამოვლინებებია, რასაც ჩვენ „წარსულად“ მივიჩნევთ. „საკუთრების“, „წარსულისა“ და „ანმყო“ ცნებები შესაძლოა არასაკმარისი იყოს ამ ურთიერთობების აღსაწერად. მიუხედავად იმისა, რომ ხალხებში, თემებსა და საზოგადოებებში ადგილობრივი ტერმინები ერთგვაროვანი არ არის „კუთვნილების“ ცნება შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს, რადგან „საკუთრებისგან“ განსხვავებით ის ხაზს უსვამს ურთიერთობას და არა კომოდიტიზაციას.⁸

⁴ *Urbinati S.*, The Role for Communities, groups and Individuals under the Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage, *Cultural Heritage, Cultural Rights, Cultural Diversity, New Developments in International Law*, Borelli e Lenzerini (eds), 2012, 202.

⁵ *Arantes A.*, The Governance of Safeguarding Comments on Article 2.3 of UNESCO's Convention for the Safeguarding of Intangible Cultural Heritage, 2019, 9.

⁶ *Brascoupé S., Endemann K.*, Intellectual Property and Aboriginal People: A Working Paper, Intellectual Property Policy Directorate, Industry Canada, Fall 1999, 1.

⁷ *Rogers L.*, Intangible cultural heritage and international environmental law: the cultural dimension of environmental protection, *Heritage, Sustainability and Social Justice*, Vol. 29, 2017, 32.

⁸ *Nicholas G., Bell C., Bannister K., Ouzman S., Anderson J.*, Intellectual Property Issues in Heritage Management, *Heritage & Society*, September 2009, 264, 265.

არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი ნორმების გამოყენებას ორი ძირითადი წინააღმდეგობა ახლავს. პირველი ეხება ასეთი მემკვიდრეობის ბუნებას. არამატერიალური მემკვიდრეობა ნიშნავს „არაგანსაზღვრებად“ ყოფნას, შესაბამისად, დაცვის უზრუნველყოფის ნებისმიერი მცდელობა უშედეგო იქნება ობიექტის არარსებობის გამო. დაცული შეიძლება იყოს არა მთლიანად გამოხატულება, არამედ მხოლოდ ხელშესახები აქტივები – ის კონკრეტული ნამუშევრები, რომელთა კატალოგიზაცია და დოკუმენტირება შესაძლებელია.⁹ და მეორე, ინტელექტუალური საკუთრების მექანიზმების განხორციელება გართულებულია, რადგან ბევრ საზოგადოებას მრავალმხრივი წარმოდგენა აქვს საკუთრებასა და ფლობაზე.¹⁰ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა განსხვავდება იუნესკოს კონვენციის „დაცვის“ ცნებისაგან. კონვენცია უფრო მეტად ეხება კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირებას, დოკუმენტირებას, გადაცემას, კონსერვაციას, დაცვას, აღორძინებას და პოპულარიზაციას შენარჩუნების, სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ის არ მოიცავს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, მაგალითად, ვის ეკუთვნის ან უნდა ეკუთვნოდეს არამატერიალური შემოქმედების გამოხატულება, როგორც კერძო საკუთრება? კომერციულად ვინ ისარგებლებს არამატერიალური ტრადიციული შემოქმედების გამოყენების ექსკლუზიური უფლებით? უნდა იარსებოს თუ არა სამართლებრივმა მექანიზმებმა კულტურული გამოხატვის დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი გამოყენებისაგან დასაცავად?¹¹

3. ინტელექტუალური საკუთრება და ტრადიციული კულტურული გამოხატულებები (TCE)

ინფორმაციული საზოგადოება თავისი ბუნებით ძირს უთხრის სოციალურ ნორმებსა და ინსტიტუტებს, რითაც აძლიერებს კულტურის მნიშვნელობას, როგორც ღირებულებებისა და მორალური ვალდებულებების ერთობლიობას. ანთროპოლოგმა ჰარისონმა აღნიშნა, რომ კულტურული იდენტობა შეიძლება გახდეს მწირი რესურსი, რომელიც უნდა დავიცვათ პირადი თუ კოლექტიური საკუთრების სახით. მემკვიდრეობა, კულტურის რეტროსპექტული გამოხატულება, გარდაიქმნება მაღალპოლიტიზებულ პროდუქტად. ეკონომიკური მნიშვნელობა ინტელექტუალური საკუთრების ღირებულებას ზრდის. საავტორო უფლებები, პატენტები, სასაქონლო ნიშნები და კომერციული საიდუმლოებები კეთილდღეობის გასაღებად იქცა იმ ეპოქაში, სადაც პროტოტიპების კონტროლი ისეთივე მომგებიანია, როგორც მათი რეპლიკაცია. გლობალურ ბაზრებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დასაცავად მასშტაბური კონტროლის რეჟიმები სჭირდებათ. როგორიცაა, TRIPS-ის შეთანხმება და მსგავსი სა-

⁹ Lixinski L., *International Human Rights and Intangible Cultural Heritage*, Intangible Cultural Heritage in International Law, Oxford University Press, 2013,14.

¹⁰ ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, თემების გარშემო ყველაფერი ღვთაებამ შექმნა, ნებისმიერი რამის ბატონობის განზრახვა მას სერიოზულ შეურაცხყოფას მიაყენებდა. მაგ; თუ საზოგადოების წევრი თიხისგან ქანდაკებას ამზადებს, ის მაინც იმ მიწად აღიქმება, რისგანაც შეიქმნა. ამ სკულპტურას არანაირი დამატებითი ღირებულება არ აქვს იმ ფაქტით, რომ მხატვარმა მასში შრომა ჩადო და ნედლეული გარდაქმნა, რადგან ეს უშვებს ვარაუდს, რომ ღვთაების გარდასახვა ადამიანის ხელით შეიძლება. ამ გაგებით, ტრანსფორმაციის უნარი საჩუქარია, მისი მითვისება ან მონეტიზაცია კი შეუძლებელია. Lixinski L., *International Human Rights and Intangible Cultural Heritage*, Intangible Cultural Heritage in International Law, Oxford University Press, 2013,15.

¹¹ Wendland W., *Intangible Heritage and Intellectual Property: challenges and future prospects*, WIPO 2004,101.

მართლებრივი ინსტრუმენტები. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დროში გახანგრძლივების მცდელობებზე უფრო მნიშვნელოვანია ასეთ საკუთრებად კვალიფიკაციის დრამატული გაფართოება. პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიამ და ბიოტექნოლოგიამ ინტელექტუალური საკუთრების დამკვიდრებისთვის ახალი პანორამები გახსნა, მათ შორის გენების თანმიმდევრობები, სიცოცხლის ფორმები და მონაცემთა ბაზებში ინფორმაციით მანიპულირება. მსგავსი გავლენის ზრდამ მორალური პანიკა გამოიწვია საზოგადოების პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.¹²

WIPO მსჯელობს ტრადიციული ცოდნის სისტემებსა და ფოლკლორის გამოხატულებებში ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესაძლო აღიარების შესახებ, ასევე განიხილავს ტრადიციული ცოდნისაგან მიღებული ან მასზე დაფუძნებული ინოვაციების მიმართ სამართლებრივი კონტროლის დაწესების შესაძლებლობას. მაგალითად, ავსტრალიაში მკვიდრი ხალხის კლდის მხატვრობის ამსახველი მაისურების წარმოება შეჩერდა კულტურული დაწესებულების საავტორო უფლებების დარღვევის გამო. მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედების ავტორი უცნობია, ხანგრძლივი დროის გასვლის გამო საავტორო უფლებები სავარაუდოდ აღარ არსებობდა, ის მოქმედებდა კულტურული დაწესებულების დაფინანსებული მკვლევარის, ერიკ ჯოზეფ ბრენდლის მიერ 1960-1970-იან წლებში შექმნილ იმ ნახატებსა და სურათებზე, რომლებიც 1973 წელს გამოქვეყნდა ნიგში. ფოტოების გადაღებამ მართლაც წარმოშვა საავტორო უფლებები მესამე მხარის წინააღმდეგ. კლდის მხატვრობის სურათები იშვიათია, თავად ადგილი საზოგადოებისთვის შეზღუდულია, მაისურების მწარმოებლებმა კი პირდაპირ ამ უნიკალური პუბლიკაციიდან გააკეთეს ასლები. დაწესებულებამ, ბრენდლის ქვრივთან ერთად წერილი გაუგზავნა მაისურების დამამზადებელ კომპანიას. საკითხი ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მოგვარდა.¹³

ინტელექტუალურ საკუთრებასა და ტრადიციული ცოდნის გამოხატულებებს შორის ურთიერთობა ათწლეულების განმავლობაში განხილვის საგანი იყო. 1970 და 1980-იან წლებში ფოლკლორის დაცვის საერთაშორისო მექანიზმის შექმნამ უშედეგოდ ჩაიარა. 1971 წელს იუნესკომ წარადგინა დოკუმენტი „ფოლკლორის დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტის შექმნის შესაძლებლობა“, თუმცა მისი საყოველთაო დაცვა საავტორო უფლებების გამოყენებით არარეალურად მიიჩნიეს. მცდელობა მიზნად ისახავდა საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ზომების განვითარებას.¹⁴ 1973 წელს ბოლივიამ იუნესკოს მიმართა საავტორო უფლებების უნივერსალური კონვენციის ოქმის შემუშავების თხოვნით, რომელიც ყველა ერის პოპულარულ ხელოვნებასა და კულტურულ მემკვიდრეობას დაიცავდა. 1980 წელს გენერალური კონფერენციის ოცდამეერთე სესიაზე იუნესკოს სთხოვეს ფოლკლორის დაცვის საერთაშორისო რეგულაციის დამკვიდრებასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარება. იუნესკომ და WIPO-მ 1982 წელს პირველ სამთავრობო ექსპერტთა შეხვედრისას შეიმუშავეს ეროვნული კანონმდებლობის მოდელური ნორმები „ფოლკლორის გამოხატვის უკანონო და სხვა საზიანო ქმედებებისაგან დასაცავად.“ დადგინდა „ფოლკლორის“ განმარტება,

¹² Brown M. F., *International Journal of Cultural Property Heritage Trouble: Recent Work on the Protection of Intangible Cultural Property*, 2005, 44.

¹³ Torsen M., Anderson J., *Intellectual Property and the Safeguarding of Traditional Cultures: Legal Issues and Practical Options for Museums, Libraries and Archives*, WIPO, December 2010, 19.

¹⁴ Aikawa N., *An Historical Overview of the Preparation of the UNESCO International Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage*, Vol. 56, 2004, 138.

რომელიც უფრო ადეკვატური იყო გლობალური, ვიდრე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მიდგომისთვის. 1984 წელს სცადეს სამოძღვლო კანონებზე დაფუძნებული საყოველთაო მექანიზმის შემუშავება. საერთაშორისო ხელშეკრულების შექმნის ეს ინიციატივა კვლავ ნაადრევად მიიჩნეეს. ინტელექტუალური საკუთრებისა და ფოლკლორის გამოხატულებების შესახებ საერთაშორისო ფორუმი და რეგიონალური კონსულტაციები დაორგანიზდა 1997 და 1999 წლებში.¹⁵ 1997 წლის აპრილში, ტაილანდის ქალაქ ფუკეტში გაიმართა UNESCO-WIPO-ს ფოლკლორის დაცვის მსოფლიო ფორუმი. 1998, 1999 წლებში WIPO-მ 28 ქვეყანაში ჩაატარა ფაქტების დამდგენი მისიები, რათა გამოეცლინა ტრადიციული ცოდნის მფლობელების ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოლოდინები. მისიების მიზნებისთვის, „ტრადიციული ცოდნა“ მოიცავდა ისტორიულ კულტურულ გამოხატულებებს, როგორც ქვეჯგუფს. კონსულტაციებში ჩართულ 3000-ზე მეტ პირს შორის იყვნენ მკვიდრი და ადგილობრივი თემები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიკოსები, მკვლევარები, მთავრობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.¹⁶

2000 წლის ბოლოს შეიქმნა WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების, გენეტიკური რესურსების, ტრადიციული ცოდნისა და ფოლკლორის სამთავრობათაშორისო კომიტეტი. კომიტეტი წელიწადში ორჯერ იკრიბება, თავის სესიებზე აერთიანებს სახელმწიფოთა, მკვიდრი და ადგილობრივი თემების, არასამთავრობო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის იუნესკოს 250 წარმომადგენელს. WIPO-ს სამდივნომ გამოაქვეყნა დეტალური კითხვარი ეროვნული გამოცდილების შესახებ, ჩაატარა ყოვლისმომცველი ანალიტიკური კვლევების სერია. ამან საფუძველი ჩაუყარა მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკურ დებატებს და ხელი შეუწყო პრაქტიკული ინსტრუმენტების შემუშავებას.¹⁷ ინტელექტუალური საკუთრების ტრადიციულ ცოდნასა და კულტურულ გამოხატულებებთან დაკავშირებული გამოცდილების შეგროვების და ანალიზის გზით ხელმისაწვდომი გახდა ვრცელი, ემპირიული ინფორმაცია. შედეგად, მიღებული გადაწყვეტილებები „მოქმედი, მორგებული და რეალურად სასარგებლოა თემებისათვის“. უკვე განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები. მაგალითად, ხელნაკეთობებთან დაკავშირებით გეოგრაფიული აღნიშვნები სიაში აღირიცხა პორტუგალიასა და მექსიკაში; ახალ ზელანდიაში მცხოვრებმა მაორის ხალხმა ცოტა ხნის წინ დაარე-

¹⁵ Wendland W., *Intangible Heritage and Intellectual Property: challenges and future prospects*, WIPO 2004, 98,99.

ზოგიერთი თემი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ინტელექტუალურ საკუთრებაზე დაფუძნებულ მიდგომებს, რომელიც არ შეესაბამება მკვიდრი მოსახლეობის საჭიროებებსა და ინტერესებს. WIPO-ს კონსულტაციებმა თემებთან ნათლად აჩვენა, რომ ინტელექტუალური საკუთრების განზომილებამ შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ შეავსოს ჰოლისტიკური და ინტეგრირებული ზომები საზოგადოების მიერ პრაქტიკაში გამოყენებული ტრადიციული კულტურების შესანარჩუნებლად.

¹⁶ *Intellectual Property and Traditional Cultural Expressions/Folklore Booklet n° 1*, WIPO, 2005,3. 1997 წლიდან WIPO-ს მუშაობაზე დიდი გავლენა იქონია მკვიდრი ხალხის წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა კონსულტაციებმა. ადგილობრივი თემები იბრძვიან საკუთარი ცოდნისა და კულტურული გამოხატვის ხელმისაწვდომობის და გამოყენების კონტროლის უფლებისათვის. ისინი ითხოვენ ტრადიციული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების არავტორიზებული რეპროდუქციის, ადაპტაციის, გავრცელების, შესრულების და/ან დამამცირებელი, კულტურულად და სულიერად შეურაცხყოფელი გამოყენების თავიდან აცილებას; ხელნაკეთი ნივთების დაცვას, განსაკუთრებით მათი „სტილის“ იმიტაციისაგან; ავთენტურობისა და წარმოშობის შესახებ ცრუ, შეცდომაში შემყვანი განცხადებების აღკვეთას; ტრადიციული სიმბოლოების სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაციაზე უარის თქმას. Wendland W., *Intangible Heritage and Intellectual Property: challenges and future prospects*, WIPO 2004,100.

¹⁷ *Intellectual Property and Traditional Cultural Expressions/Folklore Booklet n° 1*, WIPO, 2005, 4.

გისტორია სერტიფიცირების სასაქონლო ნიშანი *Māori* ხელოვნებისა და ხელნაკეთობების ავტენტურობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად; ავსტრალიამ საავტორო უფლებების შესახებ კანონში შეიტანა ცვლილებები, რომლითაც ადგილობრივი კულტურული მასალების საერთო მორალური უფლებები შექმნა.¹⁸ საინტერესოა შემთხვევა, როცა ტრადიციულ კულტურულ გამოხატვასთან მიმართებით მორალური უფლებები დაირღვა. 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების კონტექსტში, ლოზანის ოლიმპიურმა მუზეუმმა ნებართვის გარეშე საიტზე განათავსა ავსტრალიელი აბორიგენების სამი ნამუშევარი. ქმედებამ მხატვრები შეურაცხყო, რადგან ნახატები დაკავშირებული იყო მათი მიწის ცოდნასთან. გასაჩივრების შემდეგ მუზეუმმა სურათები ვებგვერდიდან აიღო, საკითხი შეთანხმებით დასრულდა. მხატვრებმა მიიღეს ანაზღაურება და მუზეუმის ფონდის პრეზიდენტის ბოდიშის წერილი კულტურული ზიანის მიყენებისათვის.¹⁹

ფოტოები, ხმის ჩანაწერები და ფილმები, რომლებიც ასახავს ადგილობრივ, ტრადიციულ პრაქტიკებსა და ცოდნას, ხშირად ექვემდებარება საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონმდებლობას. ტრადიციული კულტურების თანამედროვე გამოხატულებები დაცულია საავტორო უფლებებით, თუ ისინი აკმაყოფილებენ საჭირო კრიტერიუმებს. საავტორო უფლებების შესახებ უპირატესი საერთაშორისო ინსტრუმენტი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის 15.4 მუხლი განსაკუთრებულ დაცვას ითვალისწინებს „უცნობი ავტორების“ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებისათვის – დებულება, რომელიც კონვენციას სპეციალურად დაემატა ტრადიციული კულტურული გამოხატვის დასაცავად.²⁰ ის ასევე საერთაშორისო დონეზე დაცულია WIPO-ს შესრულებისა და ფონოგრამების ხელშეკრულებით (WPPT). სპეციალური დაცვა არსებობს კულტურული გამოხატვის კომპილაციებისა და მონაცემთა ბაზებისთვის. ადგილობრივ თემთა მიერ სერტიფიცირების და კოლექტიური სასაქონლო ნიშნები, ავტენტურობის ეტიკეტები გამოიყენება ტონგაში, პანამასა და ახალ ზელანდიაში ტრადიციული შემოქმედების ყალბი ნამუშევრების გაყიდვების შესაზღუდად.²¹

1963 წელს მკვლევარი ცოლ-ქმარი ავსტრალიის არნემი-ლენდის ცენტრალურ ნაწილში გაემგზავრა. სავლელ სამუშაოებისას, ფილმსა და აუდიო ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ჯალამბუს ცერემონია ასახეს. ის ირიტჯას გლოვის ერთ-ერთ ბოლო აქტს წარმოადგენს – როცა ცხედარი ჯალამბუსია (ხის ფულურო) დასვენებული. ვიდეოში მონაწილეობდა ადგილობრივი ხალხის ლიდერი ჯავა. 1997 წელს მისმა ვაჟმა, ჯო გუმბულამ თავისი ჯგუფის *Soft Sands*-ისათვის დაწერა სიმღერა *“Djiliwirri”*. ვიდეოკლიპის შექმნისას გადაწყვიტა აწმყო წარსულთან შეერწყა და გამოიყენა მამამისის 1963 წლის ჩანაწერი, რომლის მონაწილე ყველა ადამიანი გარდაცვლილი იყო. ნებართვის გარეშე, დაცული მასალის კომერციულ ვიდეოკლიპში ინტეგრირება არღვევდა წყვილის საავტორო უფლებებს, რადგან სწორედ მათ ეკუთვნოდათ უფლებები ამ ნამუშევრებსა და მომიჯნავე ობიექტებზე. ორიგინალი ფილმი *“Djalambu”* (1963) დღემდე საგანმანათლებლო მიზნებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი საზოგადოების თაო-

¹⁸ Wendland W., *Intangible Heritage and Intellectual Property: challenges and future prospects*, WIPO 2004, 104.

¹⁹ Torsen M., Anderson J., *Intellectual Property and the Safeguarding of Traditional Cultures: Legal Issues and Practical Options for Museums, Libraries and Archives*, WIPO, December 2010, 39.

²⁰ Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works, September 28, 1979.

²¹ Torsen M., Anderson J., *Intellectual Property and the Safeguarding of Traditional Cultures: Legal Issues and Practical Options for Museums, Libraries and Archives*, WIPO, December 2010, 16.

ბებისათვის, არსებობდა მისი დიგიტალიზაციისა და ვებსაიტზე განთავსების წინადადებებიც. შესაბამისად, საზოგადოება ფილმს საკუთრებად აღიქვამდა. საინტერესოა ვის უნდა ჰქონდეს ჩანაწერებთან დაკავშირებით გადანაწილებების მიღების უფლება: მკვლევარებს? საზოგადოებას? არქივს? საავტორო უფლების მფლობელი ცოლი გულმოდგინედ ცდილობდა ნამუშევრის არაავტორიზებული სარგებლობის თავიდან აცილებას. სრული კონტროლის პირობებში, იგი თემებს არ აძლევდა მასალის გამოყენების ნებართვას. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ზოგიერთ შემთხვევაში გასცა ასლის გადაღების უფლება.²²

4. ტრადიციული კულტურული გამოხატვის (TCE) კომერციალიზაცია

ინტელექტუალური საკუთრების სისტემა იცავს გამომგონებლობასა და შემოქმედებითობას. ინტელექტუალური საკუთრების სქემა ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებებს, ტრადიციულ ცოდნას კი არ ჰყავს ერთი „გამომგონებელი“, „ავტორი“ ან „შემქმნელი“ ან ხშირად ისინი ანონიმურია. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მიხედვით შემქმნელი საზოგადოებას გააცნობს შინაარსს, ვადის გასვლის შემდეგ ცოდნა გახდება საზოგადოებრივი კუთვნილების ნაწილი. ამის საპირისპიროდ, ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ხანია ეწინააღმდეგება ძველი ცოდნის საზოგადოებრივ სიკეთეში ჩართვას და ცდილობს კულტურად განსაზღვრული უნიკალური საკუთრების შენარჩუნებას. მოგებით მოტივირებული კორპორაციები მკვიდრი დიზაინის გამოყენებას გაყიდვების ან ბაზრის წილის გაზრდის საშუალებად მიიჩნევენ. თემებს ნაკლები ძალაუფლება და რესურსები აქვთ, რაც ართულებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეფექტურ დაცვას.²³

2013 წელს The Walt Disney Company-მ განაცხადი შეიტანა შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების ოფისში (USPTO) ტერმინის „*Día de los Muertos*“ სასაქონლო ნიშნის მისაღებად. ლათინური ამერიკის ტრადიციული დღესასწაული „მკვდართა დღე“, რომელიც 1, 2 ნოემბერს აღინიშნება, 2008 წელს იუნესკომ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა. ყოველ წელს ხალხი პატივს მიაგებს ოჯახის დაკარგულ წევრებს და მეგობრებს საკურთხეველის აგებით, მსვლელობის გამართვით, საფლავების მორთვითა და შესანიშნავი სამსხვერპლოებზე მიტანით. Disney-ის სასაქონლო ნიშანი სურდა იმ ფილმისათვის, რომლის გამოშვებასაც გეგმავდა. ტრადიციული კულტურული გამოხატვის მითვისების ამ მცდელობამ აჟიოტაჟი გამოიწვია. საბოლოოდ, მან რეგისტრაციის განაცხადი უკან გაიწვია.²⁴

²² Torsen M., Anderson J., Intellectual Property and the Safeguarding of Traditional Cultures: Legal Issues and Practical Options for Museums, Libraries and Archives, WIPO, December 2010, 10. ზოგ შემთხვევაში ქალბატონი ამტკიცებდა, რომ დაწესებულებებს არ აქვს მისი კოლექციების ონლაინ კატალოგში განთავსების უფლება. ვითარება უსამართლოდ შეიძლება ჩაითვალოს იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც სურს თავისი კულტურის შესახებ ჩანერგილი მასალის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა წარიმართოს მოლაპარაკებები? ადგილობრივი მოსახლეობისა და ტრადიციული თემებისთვის გამოწვევაა, რომ უმეტესად არ შეუძლიათ საავტორო უფლებების მფლობელთან შეთანხმების მიზნით ფიზიკური კონტაქტის დამყარება ადგილმდებარეობის თუ ენობრივ სირთულეთა გამო.

²³ Fasi M. A., A review of the practices related to the protection of indigenous designs and traditional cultural expressions under intellectual property law in Canada and India, International Journal of Intellectual Property Management, Vol. 13, Nos. 3/4, 2023, 449.

²⁴ Awopetu R., In Defense of Culture: Protecting Traditional Cultural Expressions in Intellectual Property, Emory Law Journal, Vol. 69, Issue 4, 2020, 747, 748, 772. Disney-ის ქმედებაზე საპასუხოდ გავრცელდა „ტვიტები“ როგორიცაა: „უთხარით @Disney-ს არ გამოიყენოს „მკვდართა დღე“ სასაქონლო ნიშნად. „კულტურა არ

ტრადიციული ცოდნა, სიმბოლოები, ისტორიები, სიმღერები და ენა ზოგჯერ ექსპლუატაციის ობიექტი ხდება კულტურული ნორმების შეუსაბამოდ ან სათანადო ატრიბუციის გარეშე. სხვადასხვა სასამართლომ შეაჩერა კულტურული ქონების არაავტორიზებული კოპირება კომერციული სარგებლის მიღების მიზნით. მაგალითებია: კლდის მხატვრობის გამოსახულებით მაისურები; საკვები პროდუქტები, რომლებიც მარკეტინგში იყენებენ კულტურულ გამოხატულებებს ან სიმბოლოებს. პროდუქციის გასაყიდად რეკლამა ხშირად ეფუძნება არქეოლოგიურ ძეგლებს დაწყებული აღდგომის კუნძულის გიგანტური ქვის თავებით, დამთავრებული Tollund Man-ის სახით, რომელიც დანიური ტორფის ჭაობიდან აღებული შესანიშნავად შემონახული სხეულია სახის კრემის გასაყიდად.²⁵

საავტორო უფლებების შესახებ კანონი ნაკლებად ეწინააღმდეგება არაადგილობრივ სუბიექტთა მიერ ტრადიციული კულტურული გამოხატვის (TCE) მითვისებას. აშშ-ში TCE-ის შემცველი ნაწარმოებების საავტორო უფლებებისა და სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია ზოგჯერ დაშვებულია. 2002 წელს Disney-მ გამოუშვა ანიმაციური ფილმი „ლილო და სტიჩი“, ობოლი ჰავაელი გოგონასა და გამორიყული უცხოპლანეტელის ისტორია. ფილმში გამოყენებული ორი „mele inoa“ ძლიერი ეთნიკური იდენტობითა და ჰავაის კონტრევოლუციაში შეტანილი წვლილით ცნობილ, მე-19 საუკუნის ორ მმართველს – მეფე Kalakaua-სა და დედოფალ Lili'uokalani-ის ეძღვნებოდა. „მელე ინოა“ არის წმინდა სახელის გალობა ვინმეს პატივსაცემად. ორი გალობა, რომელიც ჰავაელების მკვიდრი სიამაყის წყაროდ ითვლება ლილოს სახელით შესრულდა ერთ სიმღერად. დისნიმ საავტორო უფლებებით დაიცვა მუსიკა. ამან ჰავაის მკვიდრი მოსახლეობა აღაშფოთა, ეს წარმოდგენა შეფასდა „არაზუსტი და კულტურულად უგრძნობი“. ²⁶

ზოგიერთ შემთხვევაში ტრადიციული კულტურული გამოხატულება დამახინჯებულია, კერძოდ იცვლება მისი მნიშვნელობა ან ღირებულებები. საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი იზრდება, როდესაც შელახული ტრადიციული კულტურული გამოხატულება წმინდაა. 2013 წელს ნაიკმა გამოუშვა ქალის სპორტული ტანსაცმლის კოლექცია „Pro Tattoo Tech“ ტრადიციული პოლინეზიური ტატუებით შთაგონებული. ნიმუში სამოელი მამაკაცის ტატუდან ადაპტირდა პროდუქტზე გადასატანად. კომპოზიციის განთავსება სამოას კულტურის უპატივცემულობად მიიჩნის, რადგან Nike-მა გამოიყენა მხოლოდ კაცებისთვის განკუთვნილი ნიმუშები და განლაგება.²⁷ ჩვეულებითი წესების უგულებელყოფამ, რომლებიც განსაზღვრავს სქესის მიხედვით ამ ტატუების ტარების უფლებას, გამოიწვია აჟიოტაჟი. მთავრობამ გააკრიტიკა ბიზნესი ტრადიციული ადგილობრივი ტიპოგრაფიის კანონიერ

იყიდება!“ „თანახმა ვართ თუ არა @DisneyPixar-ის მიერ ჩვენი კულტურის კომერციალიზაციაზე?“ ანალოგიურად, ზენოლა გაძლიერდა Walt Disney Company-ზე, რათა უარი თქვას სასაქონლო ნიშანზე „Hakuna Matata“, რომელიც ცნობილი გახდა ბლოკბასტერული „მეფე ლომის“ ფრენჩაიზით. 2018 წლის იანვრის მონაცემებით 138 000-ზე მეტი ხელმოწერის მქონე ონლაინ პეტიციამ დაგმო რეგისტრაცია, როგორც „სისარბზე დაფუძნებული და არა მხოლოდ swahili-ის ხალხის, არამედ მთლიანად აფრიკის სულისკვეთების შეურაცხმყოფელი.“

²⁵ Nicholas G., Bell C., Bannister K., Ouzman S., Anderson J., Intellectual Property Issues in Heritage Management, Heritage & Society, September 2009, 264.

²⁶ Awopetu R., In Defense of Culture: Protecting Traditional Cultural Expressions in Intellectual Property, Emory Law Journal, Vol. 69, Issue 4, 2020, 770, <<https://scholarlycommons.law.emory.edu/elj/vol69/iss4/3>> [25.05.2025].

²⁷ Martinet L., Traditional Cultural Expressions and International Intellectual Property Law, International Journal of Legal Information 47.1, 2019, 11.

მფლობელებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე გამოყენებისათვის. შეიქმნა ონლაინ პეტიცია, რომელშიც Nike დაადანაშაულეს დიზაინის მოპარვაში, რაც წყნარი ოკეანის მკვიდრი თემებისა და გაეროს ადგილობრივ ხალხთა უფლებების დეკლარაციის (UNDRIP) აშკარა დარღვევაა. მსოფლიოს მასშტაბით ადგილობრივი ტატუების შეურაცხყოფელი და უპატივცემულო გამოყენების გაკრიტიკების შემდეგ Nike იძულებული გახდა ტანსაცმელი გაყიდვიდან ამოეღო და საჯაროდ ბოდიში მოეხადა.²⁸

2019 წლის მაისში Nike-მა დაიწყო შეზღუდული წარმოების *“Air Force 1 Puerto Rico”*-ს პროდუქტის გაყიდვა. ფეხსაცმელი მორთული იყო პანამასა და კოლუმბიაში მცხოვრები ადგილობრივი თემის – გუნას ხალხის შექმნილი ნიმუშებით. ტრადიციული კომპოზიცია შეიცავს ნათელ, მოდურ მოტივებს, გეომეტრიულ ილუსტრაციებს, რომელიც გამოსატყვევს გუნას ხალხის მსოფლმხედველობას. Nike-მა შეცდომით ტრადიციული დიზაინი მიაწერა პუერტო-რიკოს კულტურას. გუნას ოფიციალური პირები კატეგორიულად შეენიშნა მდგომარეობა მათი მოდელით ფეხსაცმლის გავრცელებას. სოფელმა მწარმოებელი დაადანაშაულა დაცული ტრადიციული დიზაინის პლაგიატში. შედეგად, Nike-მა შეაჩერა სპორტული ნაწარმის გამოშვება. გუნას ლიდერებმა განცხადება გაავრცელეს, რომ არ უპირისპირდებოდნენ ნიმუშების კომერციალიზაციას, თუმცა საზოგადოების ინფორმირების გარეშე ამის გაკეთებამ ისინი გააბრაზა.²⁹

ეთნიკური უმცირესობების კულტურულ თავისებურებებზე დაფუძნებული ეკოლოგიური ცოდნა, ხელნაკეთი ნივთები, რიტუალები და საშემსრულებლო ხელოვნება იმსახურებს დაცვას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არქტიკა უფრო და უფრო მეტ ადამიანსა და კომერციულ სანარმოს იზიდავს, რომლებიც ცდილობენ ამგვარი ცოდნის გამოყენებას (ან სულ მცირე შეგროვებას). მაგალითად, ბრიტანული ფირმა *Kokon To Zai*-მ ბოდიში მოიხადა და გაყიდვიდან ამოიღო ინუიტების წმინდა პარკას დიზაინი, რომელიც 2006 წლის ფილმიდან *“The Journals of Knud Rasmussen”* აიღო და გამოიყენა ტანსაცმლის ახალ ხაზში. არქტიკული ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და მდგრადობის გასაძლიერებლად პროგრამების შექმნა გრძელვადიან გავლენას მოახდენს ადგილობრივი მოსახლეობის მიწასთან ურთიერთქმედებასა და მათი საზოგადოებების ფუნქციონირებაზე. გლობალიზაციის ფონზე მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ რეგიონებში მასობრივი კულტურისა და მრავალფეროვნების შენარჩუნება.³⁰

ზოგ შემთხვევაში კოლექტიური სასაქონლო ნიშნები ეხმარება ადგილობრივ კულტურებსა და თემებს მათი დიზაინის შენარჩუნებაში. ინდოეთის გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონი მოიცავს სხვადასხვა თემატიკას, მათ შორის ტრადიციული კულტურული გამოხატვის ნამუშევრებს. ერთ-ერთი ასეთია უნიკალური გეომეტრიული ნიმუშებით დამზადებული Kullu-ს შალი. გეოგრაფიულ აღნიშვნად მისი აღიარებით, არსებობს სარჩელის აღძვრის საფუძველი ყველა იმ პროდუქტის წინააღმდეგ, რომელიც ავთენტურ Kullu შალად იყი-

²⁸ Fasi M. A., A review of the practices related to the protection of indigenous designs and traditional cultural expressions under intellectual property law in Canada and India, International Journal of Intellectual Property Management, Vol.13, Nos. 3/4, 2023, 452.

²⁹ Fasi M. A., A review of the practices related to the protection of indigenous designs and traditional cultural expressions under intellectual property law in Canada and India, International Journal of Intellectual Property Management, Vol. 13, Nos. 3/4, 2023, 453.

³⁰ Wheelersburg R. P., Melvin S., Indigenous Intellectual Property Rights in the Arctic, Arctic Yearbook, January 2019, 1, 2.

დება.³¹ სიზალის კალათებს კენიის ტაიტა-ტავეტას ოლქის ადგილობრივი მოსახლეობა ტრადიციული ოსტატობით ამზადებს. ეს ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა. სავაჭრო კალათების მქსოველთა ჯგუფმა დააარსა ტაიტას კალათების ასოციაცია და დარეგისტრირდა კოლექტიური სასაქონლო ნიშნის *“Taita Basket”*-ის ერთადერთ მფლობელად. ასოციაციის წევრები ამ ნიშანს მარკეტინგისა და პროდუქციის დაცვისათვის იყენებენ, რათა აიცილონ დიზაინის კოპირება და ადგილობრივი ინტელექტუალური საკუთრების ბოროტად გამოყენება. ასოციაციამ შექმნა ნიშნის გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, ხარისხის მოთხოვნები და დიზაინი. ნიშანი დარეგისტრირდა ძლიერი, იდენტიფიცირებადი და ღირებული რეგიონული ბრენდის შესაქმნელად.³² 1998 წელს ახალი ზელანდიის საცურაო კოსტუმების მწარმოებელმა კომპანიამ *Moontide* გამოუშვა ქალის საბანაო ტანსაცმლის ახალი ხაზი, რომელიც დამზადებულია მაორის ხალხის კორუს დიზაინით შექმნილი მასალისაგან. კომპანიამ პროდუქცია მაორის მენარმესთან ერთად შეიმუშავა და კორუს მოტივის გამოყენებაზე ადგილობრივი საზოგადოების უხუცესთან მოლაპარაკება გამართა. დიზაინის ელემენტის გამოყენებას ორი საკითხი არეგულირებდა: კომერციული სიცოცხლისუნარიანობა და კულტურული პატივისცემა. გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი *Ngati Ranginui*-ის ხალხის ქვეტომს პირირაკაუ ჰაპუს მოხმარდა.³³

2018 წლის დასაწყისში ჩიკაგოში დაფუძნებულმა, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა, რესტორნების ქსელმა *Aloha Poke Co.* რამდენიმე მცირე ბიზნესს გაუგზავნა წერილები *“Aloha Poke”*-ს გარკვეული ვარიაციის შემცველი სახელების გამოყენების შეწყვეტის შესახებ. შეტყობინების მიმღებ ბიზნესმენტთა უმეტესობა ჰავაელი იყო. ალოჰას მნიშვნელობა ჰავაის ტრადიციულ მემკვიდრეობასთან ასოცირდება. „ალოჰას სული“ ჰავაის ფენომენი, მათი იდენტობის ტოლფასია, ხოლო ალოჰა პოპულარული მისალმებაა. სიტყვა „პოკე“ ტრადიციულ ჰავაიურ კერძს აღნიშნავს. ადგილობრივი აქტივისტი ვირუსულად გავრცელებულ ვიდეოში საუბრობდა როგორ ხდება ალოჰას იდეის „სრული კომერციალიზაცია და დისკრედიტაცია.“ ჰავაის საქმეთა ოფისმა განაცხადა, რომ „შეძრწუნებულია მკვიდრი მოსახლეობის ტრადიციულ ენაზე კონტროლის დამყარების მცდელობებით.“ კულტურული გამოხატვის მითვისებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა, შეერთებულ შტატებში სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონი TCE-ის დასაცავად საშუალებებს განსაზღვრავს. კერძოდ, ლანჰემის აქტის მე-2 (ა) მუხლის ინტერპრეტაცია ხელს უნდა უშლიდეს არაადგილობრივი სუბიექტების მიერ ტრადიციული კულტურული გამოხატვის სასაქონლო ნიშნებად დარეგისტრირებას.³⁴ ნიშნების ფედერალური რეგისტრაციის ჩარჩოს შემცველი ლანჰემის აქტი კონკრეტულად არ ადგენს შეიძლება თუ არა ტრადიციული კულტურული გამოხატვის რეგისტრაცია, თუმცა

³¹ Torsen M., Intellectual Property and Traditional Cultural Expressions: A Synopsis of Current Issues, *Intercultural Human Rights Law Review*, Vol. 3, 2008, 212.

³² Fasi M. A., A review of the practices related to the protection of indigenous designs and traditional cultural expressions under intellectual property law in Canada and India, *International Journal of Intellectual Property Management*, Vol. 13, Nos. 3/4, 2023, 456.

³³ Intellectual Property and Traditional Cultural Expressions/Folklore Booklet n° 1, WIPO, 2005, 14.

³⁴ ლანჰემის აქტის მე-2 (ა) მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადი უარყოფილ იქნება, თუ ნიშანი მოიცავს ამორალურ, მატყუარა ან სკანდალურ სიმბოლოს; ისეთ თემას, რომელმაც შეიძლება დააკნინოს, ცრულ მიაწოდოს ცოცხალ თუ გარდაცვლილ პირებთან, ინსტიტუტებთან, შეხედულებებსა და ეროვნულ სიმბოლოებთან კავშირზე, ან გამოიწვიოს მათი რეპუტაციის შელახვა. Lanham Trademark Act 1946. *Awopetu R.*, In Defense of Culture: Protecting Traditional Cultural Expressions in Intellectual Property, *Emory Law Journal*, Vol 69, Issue 4, 2020, 747, 748.

მასზე უარის თქმა უზრუნველყოფს კულტურული გამოხატვის დაცვას. TCE-ის სასაქონლო ნიშნებად რეგისტრაციაზე უარის თქმა შესაძლებელია მაგალითად, „განმასხვავებლობის“ არარსებობის გამო ან იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომ ნიშნის გამოყენება დამამცირებელია. „ალოჰა პოკეს“ დავა აჩვენებს, რომ მკვიდრი მოსახლეობა არა მხოლოდ ვერ სარგებლობს ტრადიციული კულტურული გამოხატვის კომერციული გამოყენებით, არამედ უკანონო მითვისების გამო მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის. ზოგიერთი ჰავაის მკვიდრი ბიზნესი ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდა აბრების, ლოგოების და სხვა მარკეტინგული მასალების შეცვლის გამო. USPTO-ს მონაცემთა ბაზაში ძიებისას გამოვლინდა ტერმინ „ალოჰას“ საფუძველზე ძალიან ბევრი რეგისტრაცია. მათი უმეტესობა ჰავაის ადგილობრივ მოსახლეობასთან ყალბ კავშირზე მიაწინებდა, რაც ლანჰემის აქტის დარღვევაა.³⁵

ლანჰემის აქტის მე-2 (ა) მუხლის არსებობის მიუხედავად ტერმინი „ბულა“ გახდა ბევრი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საგანი შტატებში. 2018 წლის სექტემბერში, ფლორიდელმა რესტორატორმა მოიპოვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია (Bula Nation Inc.) რამაც ფიჯის მთავრობა გააბრაზა. „ბულა“ ფიჯიში გავრცელებული მისაღებაა და ფართო კულტურული მნიშვნელობა აქვს. ფიჯის ხელისუფლებამ რეგისტრაციის გასაჩივრების მიზნით დაიწყო მზადება აშშ-ის ადმინისტრაციაში (USPTO) საჭირო დოკუმენტაციის წარდგენისა და საკითხის WIPO-ში დასმის მიზნით. გენერალურმა პროკურორმა რესტორატორის ქმედებებს „მემკვიდრეობის მითვისების აშკარა შემთხვევა“ უწოდა. ფიჯელი აქტივისტის ონლაინ პეტიციით პირველივე დღეს 5000 ხელმოწერა შეგროვდა. იგი ამტკიცებდა, რომ WIPO უნდა დაეხმაროს მსოფლიოს მასშტაბით სასაქონლო ნიშნების ოფისებს სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში, რათა თავიდან იქნას აცილებული კულტურის მითვისება. ფიჯელი პოლიტიკოსების განცხადებით, თუ USPTO მე-2 (ა) მუხლის შესაბამისად გააუქმებდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიმართვის საჭიროება აღარ იარსებებდა.³⁶

ინტელექტუალური საკუთრება ქმნის შეზღუდულ მონოპოლიებს შემოქმედებისა და გამომგონებლობის პროდუქტების მიმართ. თუ გაქვს უფლება საკუთრებაში მიიღო რაღაც და სხვებს შეუშალო ხელი მის გამოყენებაში ლიცენზიის გადასახადის გარეშე, საბოლოო ჯამში წაგებული რჩება საზოგადოება. სიმღერის „Happy Birthday to You“-ს მაგალითი საკმაოდ მრავლისმომცველია. ნაკლებად ცნობილი ფაქტია, რომ ის საავტორო უფლებით არის დაცული შეერთებულ შტატებში.³⁷ ეს კანონი ვადის გაგრძელების გამო 2030 წლამდე მოქმედებს რაც ნიშნავს, რომ აშშ-ში არავის აქვს უფლება საჯაროდ იმღეროს „Happy Birthday to You“ ჰონორარის გადახდის გარეშე. ამ უხერხულ სიტუაციაში, საავტორო უფლებების მფლობელებმა სასამართლო პროცესების მეშვეობით რამდენიმე ასეულ რესტორანს სიმღერის შესრულება აუკრძალეს. ამ კანონს „მიკი მაუსის აქტს“ უწოდებენ, რადგან ძირითადად Walt Disney Inc.-ის ადვოკატთა ლობირების შედეგია, რათა თავიდან აიცილოს მიკი მაუსის საზოგადოებრივ კუთვნილებაში მოხვედრა. Disney-მ აგრესიული პოლიტიკა გაატარა, ყველა იმ

³⁵ Awopetu R., In Defense of Culture: Protecting Traditional Cultural Expressions in Intellectual Property, Emory Law Journal, Vol. 69, Issue 4, 2020, 763, 773-774.

³⁶ Awopetu R., In Defense of Culture: Protecting Traditional Cultural Expressions in Intellectual Property, Emory Law Journal, Vol. 69, Issue 4, 2020, 773.

³⁷ Lixinski L., International Human Rights and Intangible Cultural Heritage, Intangible Cultural Heritage in International Law, Oxford University Press, 2013, 5, 6.

პირს უჩივლა, ვინც მათი პერსონაჟების გამოსახულებას უნებართვოდ იყენებდა.³⁸ ფაქტია, ეკონომიკური სარგებლის უმეტეს ნაწილს არა შემქმნელები ან ავტორები, არამედ ის კორპორაციები იღებს, რომლებიც აკონტროლებენ საავტორო უფლებებით დაცული მასალების გავრცელებას.

ინტელექტუალურ მემკვიდრეობასა და მის გამოხატვაზე ზეგავლენის მომხდენი საფრთხეების შეუფასებლობა არ შეიძლება. ხშირად ხდება ადგილობრივი ცოდნის გამოყენება კომერციულ პროდუქტში (მაგალითად, ძვირადღირებული მედიკამენტი) ან გარეშე პირთა მიერ ტომობრივი სახელებისა და იდენტიფიკატორების (წმინდა სიმბოლოები, მხატვრული დიზაინი) მითვისება.³⁹

The Washington Redskins საქმეში, სპორტული გუნდის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ადგილობრივმა თემმა გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ ის ზოგადად საზიანო იყო მკვიდრი მოსახლეობისადმი რასისტული ფორმების გავლენების გამო. საქმეში ხაზი გაესვა სასაქონლო ნიშნების გასაჩივრების მნიშვნელობას საზოგადოების ტრადიციული კულტურის ესენციალიზაციის და კომერციული სტერეოტიპიზაციისაგან დასაცავად. საფეხბურთო გუნდისთვის ამერიკელი ინდიელების დაკნინებული სახელის დარქმევა ბადებს კითხვებს, რომლებიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ფინანსურ ასპექტებს ეხება. თუმცა, დავის არსი გასცდა ამ საკითხს და ადამიანის ღირსების, როგორც კულტურული იდენტობის ნაწილს შეეხო. 2014 წელს აშშ-ის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების ოფისმა გააუქმა სახელწოდება „Redskins“, როგორც შეურაცხმყოფელი.

ტრადიციული ნოუ-ჰაუ მოიცავს უაღრესად ფართო არეალს: ფაუნისა და ფლორის სამკურნალო თვისებებს, ბიომრავალფეროვნების, გენეტიკური და ბუნებრივი რესურსების შესახებ ცოდნას. სამედიცინო კორპორაციები, ფარმაცევტული კომპანიები და კოსმეტიკური ბრენდები ცდილობენ ადგილობრივი და ეკოლოგიური ცოდნის მითვისებას ტრადიციული მცენარეული მედიცინისა და კოსმეტიკის წარმოებისათვის. ბიომეკობრეობა არღვევს ეთნიკური თემების უფლებას შეინარჩუნოს და გააკონტროლოს თავისი მემკვიდრეობა. მექსიკური ენოლას სოიოს ჯიშის ირგვლივ არსებული დავა ასახავს ასეთი მითვისების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ შემთხვევას.⁴⁰

სამხრეთ აფრიკის სანების ტომის ხალხი საუკუნეების განმავლობაში იყენებდა ჰუდიას მცენარეს მადის დამთრგუნველ საშუალებად. ფარმაცევტული კომპანიები ტომთან წინასწარი კონსულტაციისა და კომპენსირების გარეშე ცდილობდნენ მცენარისგან წონის დაკლების მედიკამენტის შემუშავებას. მრავალწლიანი სასამართლო დავების შემდეგ, სანებმა საბოლოოდ კომპენსაცია მიიღეს.⁴¹ ანალოგიურად, აშშ-ში 1995 წელს კურკუმას მიერ ჭრილობების შეხორცების თვისებებზე პატენტი მიეცა ორ ამერიკელ მკვლევარს. გადანყვეტილება 1996

³⁸ Lixinski L., *International Human Rights and Intangible Cultural Heritage*, Intangible Cultural Heritage in International Law, Oxford University Press, 2013, 5.

³⁹ Farah D. P., *Conflict between Intellectual Property Rights and Human Rights: A Case Study on Intangible Cultural Heritage*, Oregon Law Review, Vol.94, 2015, 145.

⁴⁰ Polymenopoulou E., *Indigenous Cultural Heritage and Artistic Expressions: "Localizing" Intellectual Property Rights and UNESCO Claims*, Canadian Journal of Human Rights, 2017, 95.

⁴¹ Amusan L., *Politics of Biopiracy: An Adventure Into Hoodia/Xhoba Patenting in Southern Africa*, African Journal of Traditional, Complementary and Alternative Medicines, 2017, 103-108. Higgs R., Kapepiso F., *Tracing the curation of Indigenous knowledge in a biopiracy case*, AlterNative An International Journal of Indigenous Peoples 16 (1), February 2020, 50-63.

წელს ინდოეთის სამეცნიერო და სამრეწველო კვლევების საბჭომ (CSIR) გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ კურკუმას გამოყენება ჭრილობების განკურნებისათვის ინდოეთის ტრადიციული ცოდნის ნაწილი იყო, ადგილობრივ თემებში საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა, შესაბამისად, სიახლეს არ წარმოადგენდა. სამართლებრივი ჩარევის შედეგად, საბოლოოდ გაცემული პატენტი გაუქმდა.⁴²

ზემოთ განხილული საქმეები ასახავს მკვიდრი მოსახლეობის მიერ წლების განმავლობაში წარმოებულ ბრძოლას. აუცილებელია ვაღიაროთ, რომ თაობიდან თაობას გადაცემული ცოდნა მხოლოდ მოპოვების რესურსი არ არის. ის ცოცხალი ტრადიციაა, გადაჯაჭვული ადამიანების იდენტობასთან, ღირებულებებსა და სულიერებასთან.

5. არამატერიალური კულტურული საკუთრების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

ადეკვატურია თუ არა იმ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, რომელიც ხელმისაწვდომია თანამედროვე ტრადიციებზე დაფუძნებული ხელოვნების და წარმოდგენებისთვის? არსებობს ბალანსი მკვიდრი ჯგუფებისა და ფართო საზოგადოების საჭიროებებს შორის? აუცილებელია თუ არა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ახალი ფორმა შემოქმედებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის?

ტრადიციული კულტურული მასალების თანამედროვე შემოქმედების წყაროდ გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს თემთა ეკონომიკურ განვითარებას საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნის, ტურიზმის და ადგილობრივი პროდუქტებიდან შემოსავლების მიღების გზით. ინტელექტუალური საკუთრება უზრუნველყოფს ხელოვნებისა და ხელოსნობის წარმოშობის სერტიფიცირებას (სასაქონლო ნიშნების მეშვეობით) ან ყალბი ნაწარმის „ავთენტურად“ წარმოჩენასთან ბრძოლას (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობის საშუალებით). ტრადიციული გამოვლინებები შთაგონების საფუძველია ისეთი კულტურული ინდუსტრიებისთვის, როგორიცაა გართობა, მოდა, გამომცემლობა, ხელნაკეთობები და დიზაინი. დღეს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესი ქმნის სიმდიდრეს თაობიდან თაობას გადაცემული, ადათური ფორმებისა და მასალების გამოყენებით. მაგალითად, ინდოეთსა და ნიგერიაში საგამომცემლო, მუსიკალური და აუდიოვიზუალური ინდუსტრიები ადგილობრივ კულტურულ მასალებს ეყრდნობა.⁴³

აფრიკაში მცხოვრებმა აშანტებმა განავითარეს **კენტეს ზოლიანი ქსოვის ტრადიცია, სხვადასხვა დიზაინით ზოლები ისე არის ნაქარგი, რომ ნაჭერი ჭადრაკის დაფას წააგავს. პროდუქტი მრავალფეროვანი მაქმანების მოზაიკური ტექსტილია, რომელთა ფორმები ასახავს უძველეს მოვლენებს, მნიშვნელოვან პიროვნებათა სოციალურ აზრებსა და მხატვრულ კავშირებს. ქსოვილი სამეფო სამოსად ითვლება და განსაკუთრებული შემთხვე-**

⁴² Bhowmick A., Deb Roy S., De M., A Brief Review on the Turmeric Patent Case with its Implications on the Documentation of Traditional Knowledge, Vol. 1, 2021, 83-88.

⁴³ ადათებზე დაფუძნებული გამოხატვის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფით შესაძლებელია ეთნიკური ჯგუფების ავთენტური შემოქმედების კომერციალიზაცია. ხელოსნური პროდუქციის მარკეტინგის მეშვეობით საზოგადოება აძლიერებს კულტურულ იდენტობასა და მრავალფეროვნებას. მკვიდრი ხალხი იყენებს თავის ინტელექტუალურ შემოქმედებას კულტურული გამოხატვის დაცვისა და შეურაცხმყოფელი გამოყენების თავიდან ასარიდებლად. Intellectual Property and Traditional Cultural Expressions/Folklore Booklet n° 1, WIPO, 2005, 7.

ვებისთვის არის განკუთვნილი. ეთნიკური ჯგუფი იყენებს უნიკალურ პიგმენტებსა და კომპოზიციებს განსაცვიფრებელი ტრადიციული დიზაინის შესაქმნელად. აბრეშუმის ძაფთა ფერის განსხვავებული სიმბოლური მნიშვნელობა ასახავს სტატუსის სხვადასხვა დონეს. **1980-იან წლებში, ქსოვილის გლობალურ ბაზრებზე გამოჩნდა ყალბი კენტეს მასალები, რამაც გამოიწვია შეშფოთება მისი შენარჩუნების კუთხით.**⁴⁴ აშანტის ხალხი ძირითადად თანამედროვე განასა და მეზობელ, დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში ცხოვრობს. განას 2005 წლის საავტორო უფლებების შესახებ კანონი უზრუნველყოფს კენტეს ქსოვილის დაცვას, თუმცა ის არ ვრცელდება იმ მოსაზღვრე სახელმწიფოებზე, რომელთანაც არ არის გაფორმებული რეგიონალური ან საერთაშორისო დოკუმენტი.⁴⁵

„დაცვის“ ცნება ორი მნიშვნელობით გამოიყენება. „პოზიტიური“ (ტრადიციული კულტურული გამოხატულებებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლების მოპოვება კომერციალიზაციის მიზნით) და „თავდაცვითი“ ფორმა (მიზნად ისახავს კულტურული ადათების, მისგან წარმოებულის მიმართ ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეჟიმის არგავრცელებას). ზოგიერთ შემთხვევაში, „თავდაცვითი“ მექანიზმი თემებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „პოზიტიური“, განსაკუთრებით წმინდა სულიერი გამოხატულებების მიმართ. ახალ ზელანდიას, შეერთებულ შტატებს და ანდების თანამეგობრობას მიღებული აქვთ *sui generis* ზომები ადგილობრივი, სიმბოლოების სასაქონლო ნიშნებად უნებართვო რეგისტრაციის წინააღმდეგ. მაგალითად, ახალ ზელანდიაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია აღარ არის შესაძლებელი, თუ გამოყენება სავარაუდოდ შეურაცხყოფს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, მათ შორის ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას მაორებს. აშშ-ის 1990 წლის „ინდიელთა ხელოვნებისა და ხელოსნობის შესახებ“ კანონის (IACA) საფუძველზე შექმნილი შესაბამისი საბჭო იცავს აბორიგენთა არტეფაქტების ავთენტურობას. კანონი ეწინააღმდეგება ისეთი პროდუქციის გაყიდვას, რომელსაც მითითებული აქვს „დამზადებულია ინდიელთა მიერ“ რეალურად კი არ არის მათი ნაწარმი. ამდენად, ინტელექტუალური საკუთრების ადაპტირებული და ახალი *sui generis* სისტემების გარდა, გამოსაყენებელი ვარიანტები შეიძლება იყოს სავაჭრო პრაქტიკისა და ეტიკეტირების კანონები, კონტრაქტები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობა.⁴⁶

ვიზუალური ხელოვნება და ხელნაკეთობები ავსტრალიაში მცხოვრები თემებისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. 2002 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, ადგილობრივი ავთენტური ნამუშევრებისა და ნაკეთობების ინდუსტრიის ბრუნვა დაახლოებით 130 მილიონი აშშ დოლარია, საიდანაც ადგილობრივი მოსახლეობა 30 მილიონს იღებს. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობისაა საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალი დონე. ეროვნული ინსტიტუტი „Artesanias de Colombia“ პასუხისმგებელია ხელნაკეთთა მიმართულების განვითარებასა და პოპულარიზაციაზე. უმეტეს შემთხვევაში, კოლუმბიაში ხელნაკეთი ნივთები მცირე თემთა ერთადერთი სავაჭრო პროდუქტია. ამ სექტორში ძირითადად ქალები არიან დასაქმებულნი, რაც მცირე შემოსავლის მქონე

⁴⁴ Fasi M. A., A review of the practices related to the protection of indigenous designs and traditional cultural expressions under intellectual property law in Canada and India, *International Journal of Intellectual Property Management*, Vol. 13, Nos. 3/4, 2023, 454-455.

⁴⁵ Torsen M., *Intellectual Property and Traditional Cultural Expressions: A Synopsis of Current Issues*, *Intercultural Human Rights Law Review*, Vol. 3, 2008, 209.

⁴⁶ Wendland W., *Intangible Heritage and Intellectual Property: challenges and future prospects*, WIPO 2004, 100.

ან მარტოხელა მშობლების ოჯახებში დოვლათის განაწილების მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება.⁴⁷

WIPO-ს საქმიანობა მანდატის შესაბამისად ტრადიციული გამოხატვის (TCE) დაცვას ეხება. კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და შენარჩუნებას შორის მნიშვნელოვანი კავშირია. მაგალითად, შენახვის პროცესმა (მასალების ჩანერა, დოკუმენტირება და გამოქვეყნება) შეიძლება უნებლიეთ შექმნას TCE-ის საზოგადოებრივ კუთვნილებად გადაქცევის რისკი, რითაც მას გამოიყენებენ მკვიდრი თემის სურვილის საწინააღმდეგოდ. ტრადიციული გამოხატვის აღბეჭდვისას პირმა შესაძლოა საავტორო უფლება შეიძინოს იმ ფორმაზე, რომლითაც ის არის ჩანერილი (მაგ. TCE-ის ფოტო, ფილმი ან ხმის ჩანაწერი).⁴⁸

ადეკვატურია თუ არა ტრადიციული კულტურული მასალების თანამედროვე ადაპტაციების, ინტერპრეტაციებისა და შესრულების უკვე არსებული დაცვა, თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლებები უნდა დაწესდეს ძირითად და ერთობლივად შემუშავებულ მასალებზეც, რომლებიც „საზოგადოებრივ საკუთრებად“ ითვლება? ამ კითხვაზე პასუხები განსხვავებულია. რამდენიმე სახელმწიფო და დაინტერესებული მხარე ვარაუდობს, რომ ფოლკლორს საყოველთაო კუთვნილების ხასიათი ხელს არ შეუშლის განვითარდეს. საზოგადოება შეინარჩუნებს არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას საავტორო უფლებების დაწესებით, როცა ავთენტური გამოხატულება თანამედროვე შემოქმედებაში გამოიყენება. ტრადიციაზე დაფუძნებული „მომავლისკენ მიმართული“ ასეთი სტიმულები ხელს უწყობს თემთა ეკონომიკურ განვითარებას, იდენტობის შენარჩუნებას. მეორე მხრივ, მკვიდრი ხალხების წარმომადგენლები WIPO-ს კომიტეტის სესიებზე აქტიურად ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივი კუთვნილება არ არის ადგილობრივ ჯგუფთა აღიარებული კონცეფცია, რადგან ფოლკლორული ნიმუშები არასდროს დაცულა ინტელექტუალური საკუთრების ფორმით. ყველა ისტორიული მასალა არ უნდა დაექვემდებაროს დაცვას მხოლოდ იმიტომ, რომ საკმარისად ახალი არ არის? თითქმის ყველაფერს კულტურული და ისტორიული წარსული აქვს, ამიტომ უნდა იარსებოს სისტემებმა, რათა თემებს სარგებელი მოუტანოს ტრადიციაზე დაფუძნებულმა ყველა ქმნილებამ.⁴⁹

6. კოლექტიური მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივი დილემა: არის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ეფექტიანი რეჟიმი?

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებსა და არამატერიალურ მემკვიდრეობას შორის კონფლიქტი გამომდინარეობს იქიდან, რომ პირველი მიზნად ისახავს ინდივიდების (ადამიანური თუ კორპორატიული) საკუთრების უფლებებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვას, მეორე კონკრეტული საზოგადოების, ჯგუფის საერთო მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

⁴⁷ Intellectual Property and Traditional Cultural Expressions/Folklore Booklet n°1, WIPO, 2005, 7.

⁴⁸ მაგალითად, საუკუნეების წინ ქსოვილის ნაჭერზე დაწერილი ლეგენდის ინტელექტუალური საკუთრების ფორმით დაცვა შეიძლება სასარგებლო იყოს მისი მასშტაბზე რეპროდუცირების თავიდან ასაცილებლად. თუ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცის ლეგენდა და მისი წარმოსათქმელი ენა, გამოიყენება ისეთი ფორმა მომავალი თაობებისათვის გადაცემას, რომ შეუნახოს ხელს და თუკი ქსოვილი ღებობას დაიწყებს უზრუნველყოფილი იქნება შენარჩუნება. დაცვის ღონისძიებებმა შესაძლოა წაახალისოს საზოგადოების გარეთ თქმულების პოპულარიზაცია, რათა სხვებს პატივისცემა გაუჩნდეს მის მიმართ. Intellectual Property and Traditional Cultural Expressions/Folklore Booklet n°1, WIPO, 2005, 11.

⁴⁹ Wendland W., Intangible Heritage and Intellectual Property: challenges and future prospects, WIPO 2004, 103, 104.

ამგვარად, წარმოიშვა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ორი მნიშვნელოვანი ასპექტი: ტრადიციულ ცოდნასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღიარება და მესამე პირთა მიერ არაავტორიზებული წვდომის პრობლემა. როგორც იურიდიულ მეცნიერებაში აღინიშნა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გამოყენების ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი ამ კონტექსტში არამატერიალური კულტურული საკუთრების პროდუქტად გადაქცევაა, რაც მას ეკონომიკური ღირებულების მქონე ნივთებად გარდაქმნის, რომელთა გაცვლა კომერციული მოგების მისაღებად შესაძლებელია ისეთი საშუალებებით, როგორიცაა ლიცენზირება, გაქირავება ან გაყიდვა. რენტაბელური მნიშვნელობის მქონე ინტელექტუალური საკუთრება ასახავს საზოგადოების ურთიერთქმედებას გარემოსთან და არის ეკონომიკური განვითარების საშუალება.⁵⁰

1994 წელს განხილულ მნიშვნელოვან საქმეში,⁵¹ ავსტრალიის ფედერალურმა სასამართლომ დაადასტურა მკვიდრი ხელოვნებისა და კულტურული გამოხატვის საავტორო უფლებების დარღვევა. ცნობილი ავსტრალიელი მხატვრების ნამუშევრები დაიტანეს ვიეტნამიდან შემოტანილ პროდუქტზე ეტიკეტით „აბორიგენული ხალიჩები.“ რამდენიმე მათგანი ორიგინალური ნამუშევრის პირდაპირი ეგზემპლარი იყო, ზოგი გამარტივებული დიზაინით უშუალო ასლებს არ წარმოადგენდა, თუმცა კოპირება ამახინჯებდა ტომის იმიჯის მხატვრულ მნიშვნელობებს, რახან მწარმოებლის შეცვლის შედეგად გაყალბდა მათი კულტურული გზავნილი. 1993 წელს მხატვრებმა საავტორო უფლებების დარღვევის საფუძვლით სარჩელი შეიტანეს ხალიჩების იმპორტიორი კომპანიის *Indofurn Pty Ltd*-ის წინააღმდეგ და მოიგეს დავა.⁵² ხალიჩები აღმოაჩინა აბორიგენ მხატვართა ეროვნულმა ასოციაციამ (*NIAAA*), მაშინ როცა სიდნეის მაღაზიის გამყიდველი დაინტერესდა იყო თუ არა გასაყიდი „აბორიგენული ხალიჩები“ ავთენტური. ასოციაციის თანამშრომლებმა შემომწმებისას ადგილობრივ მხატვართა ორიგინალური ნამუშევრების ასლები ამოიცნეს. სამივე ცნობილი ხელოვანის პერსონალურ გამოფენებს ავსტრალიის ეროვნული გალერეა მასპინძლობდა. ხალიჩებზე დატანილი ერთ-ერთი მხატვრის ნამუშევარი, 1993 წელს მსოფლიოს მკვიდრი ხალხების საერთაშორისო წლის აღსანიშნავად გამოსულ 85 ცენტიან საფოსტო მარკაზე გამოსახული, „Goose Egg Hunt“ ეროვნული გალერეის საკუთრება იყო. ცოცხლად დარჩენილი, საერთაშორისოდ აღიარებული ბანდუკის ნახატები 1988 წელს მასწავლებელთა და სტუდენტთა განათლების მიზნით შექმნილ, გალერეის აბორიგენული კულტურის საგანმანათლებლო პლატფორმიდან აიღეს. მან, თავისი და ორი გარდაცვლილი მხატვრის სახელით სარჩელი შეიტანა პერტში დაფუძნებული კომპანიის წინააღმდეგ. 1992 წლის ივნისში ხალიჩების წარმოებისა და იმპორტის დაწყების შემდეგ, „ინდოფურნმა“ დასავლეთ ავსტრალიის აბორიგენთა იურიდიულ სამსახურს საავტორო უფლებების ნებართვის შესახებ კონსულტაცია სთხოვა. ადგილობრივ მხატვართა ასოციაციას წერილი გაუგზავნეს, აცნობეს ნახატების რეპროდუცირებისა და ხალიჩების იმპორტის შესახებ. წერილს თან ერთვოდა პროდუქტის ფოტოები, ხელოვანთა მონაცემები და 750 ავსტრალიური დოლარის ჩეკი. არასწორი მისამართის გამო წერილი ასოციაციას არ მიუღია. ნოემბერში წერილის ასლი *NIAAA*-ს გაეგზავნა, რომლის თანამშრომლები დაუკავშირდნენ მხატვრებს. ისი-

⁵⁰ *Farah D. P., Conflict between Intellectual Property Rights and Human Rights: A Case Study on Intangible Cultural Heritage, Oregon Law Review, Vol.94, 2015, 142, 143.*

⁵¹ *Milpurrru And Others v. Indofurn Pty Ltd 1994 Federal Court of Australia.*

⁵² *Janke T., Minding Culture: Case Studies on Intellectual Property and Traditional Cultural Expressions, Geneva, 2003, WIPO, 9.*

ნი აღშფოთდნენ ნამუშევრების ამგვარად გამოყენების გამო, უარი თქვეს ნებართვის გაცემაზე და ასოციაციას დახმარება სთხოვეს უკანონო იმპორტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩეკი დაბრუნდა და სამართალწარმოება დაიწყო. აღმოჩნდა, რომ კომპანიამ დაახლოებით 850 კვადრატული მეტრის 200 ხალიჩა შემოიტანა, ზოგიერთი 4000 ავსტრალიურ დოლარზე მეტ ფასად გაიყიდა. სასამართლომ მოპასუხეს გაუყიდავი, 366.59 მ² ხალიჩების დაბრუნება, დაახლოებით 188,640 ავსტრალიური დოლარის, მათ შორის საავტორო უფლებების შელახვისათვის 12,000-ის ოდენობის ზიანის ანაზღაურება დააკისრა. მხატვრებს ინდივიდუალურის ნაცვლად კოლექტიური ანაზღაურება მიეცა, რათა კულტურული პრაქტიკის შესაბამისად განაწილება შეძლებოდათ.⁵³ სასამართლომ ავსტრალიის საავტორო უფლებების კანონის დარღვევად მიიჩნია ნახატებით სარგებლობა. გარდა ამისა, აბორიგენული ჩვეულებითი კანონის თანახმად, კულტურული ნარატივების შემცველი ხელოვნების ნიმუშების შექმნის უფლება ტრადიციულ მეურვეებს გააჩნიათ, რომლებსაც აღიარებს ხალხი და საზოგადოება. ტრადიციულ მფლობელებს აქვთ კოლექტიური უფლებამოსილება განსაზღვრონ ვის და რა კონტექსტში შეუძლია ხელოვნების ფორმების გამოყენება. მათ იციან და პასუხისმგებელნი არიან ადათ-წესებზე, ღირებულებებსა და პროტოკოლებზე. მოსამართლის განცხადებით, ხელოვნების ნიმუშებთან მნიშვნელოვანი კავშირის მქონე საზოგადოების წევრები ასევე განიცდიდნენ რისხვასა და ტანჯვას. შედეგად, სასამართლომ შეიმუშავა კულტურული ზიანის ახალი ზომა, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა უფლებრივი შელახვა და ტანჯვა გაფართოვდა, მოიცვა საზოგადოების განცდილი ტკივილიც.⁵⁴ ეფექტიანი დაცვა მოითხოვს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ აღიარებას, როგორც არსებული, ასევე *sui generis* (უნიკალური და სპეციალური) რეჟიმების ფარგლებში. კულტურული მემკვიდრეობის ჰეტეროგენულობა შეუძლებელს ხდის ერთიანი, უნივერსალური გადანაცვების მიღებას. ამდენად, აუცილებელია მფლობელების აღჭურვა შესაბამისი მექანიზმების მენიუთი, რათა იარსებოს დაცვის სხვადასხვა ტიპოლოგიას შორის არჩევანის შესაძლებლობამ. ამ პერსპექტივიდან ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, განიხილება არა როგორც ამოცანა, არამედ პოლიტიკური მიზნების ინსტრუმენტი. ამრიგად, ეფექტური დამცავი ვარიანტები უნდა მოიცავდეს ინტელექტუალური საკუთრების ახალ, ინოვაციურ სისტემებს.⁵⁵

განხილულ საკმეში აბორიგენი მხატვრები იმედოვნებდნენ არამატერიალური კულტურული ელემენტების დაცვას. ხალიჩები არასწორად გადმოსცემდა მათ ნამუშევრებს, უგულებელყოფდა ჩვეულებით კანონებს, ღირებულებებსა და პროტოკოლებს, რის გამოც თემი და ხელოვანები განაწყენდნენ. ადგილობრივი ავთენტური ნაწარმოებები უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ „ხელოვნების ნიმუშები“ სიტყვის დასავლური გაგებით. ისინი კულტურული ისტორიების გამოხატულებაა, გაჟღენთილი კოლექტიური და სულიერი მნიშვნელობების მრავალფეროვანი სპექტრით, მათი მხატვრობა მორალურ პასუხისმგებლობას ატარებს. რა მოხდებოდა, თუ ხალიჩების მწარმოებლები მოისმენდნენ წმინდა ისტორიებს, რაზეც დაფუძნებულია ნიმუშები და შემდეგ შექმნიდნენ ამ ამბების საკუთარ, ძალიან განსხვავებულ ვიზუალურ გამოსახულებებს? ასეთი ხალიჩები შესაძლოა ახალ საავტორო ნიმუშებად ქცეულიყო, რადგან

⁵³ Janke T., *Minding Culture: Case Studies on Intellectual Property and Traditional Cultural Expressions*, Geneva, 2003, WIPO, 10, 18.

⁵⁴ Torsen M., Anderson J., *Intellectual Property and the Safeguarding of Traditional Cultures: Legal Issues and Practical Options for Museums, Libraries and Archives*, WIPO, December 2010, 25.

⁵⁵ Farah P. D., *Conflict between Intellectual Property Rights and Human Rights: A Case Study on Intangible Cultural Heritage*, Oregon Law Review, Vol. 94, No.1, 2015, 146.

მათი გამოხატულება არსებულისაგან განსხვავებული იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ჰიპოთეტურ სცენარშიც არსებობს რეალური ისტორიების ბოროტად გამოყენების ან არასწორად წარმოდგენის ელემენტი.⁵⁶

აუცილებელია შეფასდეს, რამდენად ადეკვატურია ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (IPR) ზოგიერთი დაბრკოლების დასაძლევად. რადგან ტრადიციული კულტურული გამოხატვის უმეტესობას არამატერიალური ხასიათი აქვს, ინტელექტუალური საკუთრების ნორმები კი საიმედო სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს უნებართვო გამოყენების თავიდან ასარიდებლად. მიუხედავად ამისა, ინტელექტუალური საკუთრების ამჟამინდელი ჩარჩო არ იძლევა დამაკმაყოფილებელ საფუძველს არამატერიალური მემკვიდრეობის თავისებურებისა და მახასიათებლების დაცვისათვის. კერძოდ, გამოცდილებამ აჩვენა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მთავარი ნაკლი მისი ინდივიდუალური, ეგოცენტრული ბუნებაა, რაც შეუთავსებელია არამატერიალური მემკვიდრეობის კოლექტივისტურ ბუნებასთან. გარდა ამისა, ტრადიციული თემების ინტერესები კულტურული მემკვიდრეობის მიმართ თაობათაშორისა და გაცილებით დიდხანს გრძელდება, ვიდრე ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა უმეტესობა. კიდევ ერთი დაბრკოლება ინტელექტუალური საკუთრების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ხარჯებია.⁵⁷

საზოგადოებრივი კუთვნილება საავტორო უფლებების დაცვით არ სარგებლობს. ყველა სუბიექტს შეუძლია ნამუშევრის ნებისმიერი, მათ შორის კომერციული მიზნით გამოყენება, ავტორის ნებართვის გარეშე. 1989 წელს აბორიგენმა მხატვარმა ტერი იუმბულუმმა 1988 წლის 10 დოლარიან საიუბილეო კუპიურაზე მისი *“Morning Star Pole”*-ის რეპროდუქციის საფუძველზე სარჩელი შეიტანა ავსტრალიის სარეზერვო ბანკის, შეთანხმების მწარმოებელი აგენტისა და შპს აბორიგენ მხატვართა სააგენტოს წინააღმდეგ. ბანკი ეყრდნობოდა განმცხადებელსა და აგენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც რეპროდუქციების ნებართვას იძლეოდა. ის გარკვეული თანხის გადახდით, პასუხისმგებლობის აღიარების გარეშე განმცხადებელთან მორიგდა. სამართალწარმოება გაგრძელდა მხატვარსა და აგენტს შორის, თუმცა მოსამართლემ ამ ნაწილში სარჩელი უარყო. მოსარჩელის მტკიცებით მოტყუებით შეითანხმეს ნებართვაზე და ხელშეკრულება შეცდომით დაიდო აგენტის არაკეთილსინდისიერი საქციელის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა შეცდომა გარიგების შინაარსში, აგენტი არ მოქცეულა არაეთიკურად, თავად მოსარჩელეს კი ხელშეკრულების არსის გაგების საკმარისი უნარი გააჩნდა. ამ დასკვნამ დაადგინა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ არაკეთილსინდისიერი პრინციპების გამოყენების სტანდარტი. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელოვნების ნიმუშის რეპროდუქციასთან დაკავშირებული აბორიგენების ტრადიციული უფლებები არ იყო დაცული არსებული კანონმდებლობით. აგენტის არგუმენტით, რეპროდუქციის უფლებას იძლეოდა 1968 წლის საავტორო უფლებების შესახებ კანონის 65-ე და 68-ე მუხლები, რომელთა მიხედვით მუდმივი საჯარო გამოფენის მქონე ქანდაკების რეპროდუქცირება შეიძლებელია. ამ შემთხვევაში, მხატვრული ნაწარმოები – ცერემონიალური ბოძი სიდნეის მუზეუმში იყო გამოფენილი. მოსარჩელის მტკიცებით, ნამუშევარი არ იყო ქანდაკება. მოსამართლემ არ გაიზიარა ეს შეხედულება და განაცხადა: „თუ არგუმენტი 65-ე და 68-ე მუხლებთან

⁵⁶ Torsen M., Anderson J., Intellectual Property and the Safeguarding of Traditional Cultures: Legal Issues and Practical Options for Museums, Libraries and Archives, WIPO, December 2010, 29.

⁵⁷ Farah P. D., Conflict between Intellectual Property Rights and Human Rights: A Case Study on Intangible Cultural Heritage, Oregon Law Review, Vol. 94, No.1, 2015, 146, 147.

დაკავშირებით სწორია, მაშინ ზოგიერთი აბორიგენი მხატვარი ნამდვილად ვერ იაზრებს რა გავლენას ახდენს გამოყენა მათი ნამუშევრების საავტორო უფლებებზე.“ სარჩელი წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა სამართალწარმოების დადებითმა ეფექტმა გამოიწვია მოქმედი კანონმდებლობის ნაკლოვანებების კონტექსტში ადგილობრივი ხელოვნების სათანადო დაცვის შესახებ დებატების სტიმულირება.⁵⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, პოზიტიური დაცვა თემებს საშუალებას აძლევს „დაიცვან ცოდნა, აკონტროლონ მისი გამოყენება და ისარგებლონ კომერციული ექსპლუატაციით“. ტრადიციული ცოდნისა და კულტურული გამოხატვის მფლობელი იძენს ინტელექტუალური საკუთრების ან სხვა ექსკლუზიურ უფლებებს ქონებასა და კომერციულ სარგელზე, აკონტროლებს მესამე პირთა მიერ მათ გამოყენებას.⁵⁹ როდესაც ტრადიციული ცოდნა (TK) ჩანერილი ან განსახიერებულია კულტურულ გამოხატვაში (TCE), ისინი პირდაპირ უკავშირდება ერთმანეთს. ასეთ შემთხვევებში ხდება ადგილობრივი TCE-ის მითვისება ან საიდუმლო, კონფიდენციალური ცოდნის გამოყენება წიგნებსა და ხელოვნების ნიმუშებში. ამ კუთხით, აღსანიშნავია ავსტრალიის ფედერალური სასამართლოს საქმე *Foster v Mountford*. ანთროპოლოგი მაუნტფორდი 1980-იან წლებში აქლემებით გაემგზავრა სამხრეთ ავსტრალიაში აბორიგენებთან. ის შეხვდა პიტჯანტაჯარას ხალხის წარმომადგენლებს და მათი ჩვეულებების, ტრადიციების შესახებ ჩანაწერიც გააკეთა. შეგროვებული ინფორმაცია თემის თანხმობის გარეშე გამოაქვეყნა *“Nomads of the Desert”*-ში. წიგნი განსაკუთრებით კარგად გაიყიდა ავსტრალიაში. აბორიგენების უმაღლესმა ორგანომ, პიტჯანტაჯარას საბჭომ სარჩელი შეიტანა მაუნტფორდის წინააღმდეგ საიდუმლო მასალის უნებართვო გამოქვეყნებისა და კონფიდენციალურობის დარღვევისათვის. საბჭომ მოითხოვა მასალის გამოქვეყნების აკრძალვა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ ოფიციალურად დაადგინა ადგილობრივთა ტრადიციული ცოდნის კონფიდენციალურობის შენარჩუნების შესაძლებლობა. საქმიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ქვეყანამ აბორიგენების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ხოლო 2003 წელს „აბორიგენტა კანონი“ მიიღო.⁶⁰

7. დასკვნა

კულტურული ადათებისა და ადგილობრივი ესკიზების შემცველი ტრადიციული ცოდნა ინარჩუნებს უძველეს ჩვეულებებს. ინტელექტუალური საკუთრების რეგულაციები შეიძლება სათანადოდ ვერ პასუხობდეს მკვიდრი დიზაინისა და მემკვიდრეობის დაცვის უნიკალურ გამოწვევებს. ეთნიკურ თემებს, კულტურული აქტივების მუდმივ მცველებს, სურთ

⁵⁸ <<https://classic.austlii.edu.au/au/journals/AboriginalLawB/1992/26.html>> [25.09.2025]. სააგენტო და ბანკი მოქმედებდა სათანადო იურიდიული უფლებამოსილებით და სადავო აბორიგენული დიზაინი საზოგადოებრივ კუთვნილებას წარმოადგენდა. მოსამართლის აღნიშვნით, ნამუშევრის წმინდა ხასიათი და მხატვრის მიმართ მისი საზოგადოებიდან გამოთქმული კრიტიკა მეტყველებს ავსტრალიის საავტორო უფლებების კანონის მიერ TCE-ის არასათანადო დაცვაზე. *Torsen M., Intellectual Property and Traditional Cultural Expressions: A Synopsis of Current Issues, Intercultural Human Rights Law Review, Vol. 3, 2008, 206, 207.*

⁵⁹ *Shabalala D. B., Intellectual Property, Traditional Knowledge, and Traditional Cultural Expressions in Native American Tribal Codes, Akron Law Review: Vol. 51, Issue 4, July 2018, 1089, 1090.*

⁶⁰ *Polymenopoulou E., Indigenous Cultural Heritage and Artistic Expressions: “Localizing” Intellectual Property Rights and UNESCO Claims, Canadian Journal of Human Rights, 2017, 98.*

დაიცვან მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური და სამართლებრივი სქემები არ ითვალისწინებს ადგილობრივ ხალხთა საჭიროებებს, ზოგიერთი ტომი ცდილობს არ იზოლირდეს და საერთაშორისო დონეზე იბრძოდეს დაცვის მექანიზმებისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში რთული სათქმელია ვინ ისარგებლებს არამატერიალური მემკვიდრეობის ელემენტების კომერციალიზაციით, რადგან ბევრ ხალხს არ აქვს რესურსი თავიდანვე განახორციელოს ინვესტიციები ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად (მაგალითად, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის საფასური). **ამასთან**, მნიშვნელოვანი ბარიერი ტრადიციული ცოდნის ფორმალური დოკუმენტაციის არარსებობაა. ადგილობრივი საზოგადოებრივი პრაქტიკა ხშირად ზეპირად გადაეცემა, რაც მას ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის პატენტების შემომონებლებისა და წერილობით დოკუმენტებზე დამოკიდებული სამართლებრივი სისტემებისათვის. ასეთ შემთხვევებში, ტრადიციული ცოდნით სარგებლობს არაადგილობრივი, იღებს პატენტს თემთა მიერ საუკუნეების განმავლობაში გამოყენებულ პრაქტიკებსა და რესურსებზე. დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის გამო ადგილობრივი ჯგუფები დაუცველნი ხდებიან ბიომეკობრეობის მიმართ, რადგან მათი ცოდნა ოფიციალურად არ არის ჩანერილი და ითვლება, რომ „ახალია“ იმ სამართლებრივი სისტემების მიერ, რომლებიც არ ცნობენ ზეპირ ტრადიციებს.

მკვიდრი მოსახლეობა მათ შესახებ არსებულ, კულტურული ინსტიტუტების კოლექციებში, დაცულ მასალაზე წვდომას ცდილობს ხელახალი ინტერპრეტაციის თანამედროვე მნიშვნელობებით შექმნის მიზნით. ადგილობრივების მიერ მასალით სარგებლობას არ ითვალისწინებს საავტორო უფლებების კანონმდებლობის ნორმები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ის კომერციულად ღირებულია. ტექნოლოგიური გარემოს შეცვლასა და საავტორო უფლებების ევოლუციასთან ერთად, მკვიდრი ინტერესები შეიძლება უხერხულად აღმოჩნდეს სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა. როგორ უნდა შეურიგდეს ერთი შეხედვით, ეს კონფლიქტური უფლებები და ინტერესები ერთმანეთს? ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უნარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემებისათვის, რომლებსაც სჭირდებათ გამოხატულებებზე კონტროლის შენარჩუნება. არაადგილობრივ აქტორთა მიერ ტრადიციული გამოვლინებების გამოყენება გამოიწვევს იდენტობის კრიზისს, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოების საერთო კეთილდღეობაზე. სამწუხაროდ, ინტელექტუალური საკუთრების არსებული რეჟიმი არ გვთავაზობს სიცოცხლისუნარიან გადაწყვეტას, რადგან დროში შეზღუდვის გამო აქტივი შესაძლოა საზოგადოებრივი კუთვნილების ნაწილი გახდეს.

ბიბლიოგრაფია:

1. *Aikawa N.*, An Historical Overview of the Preparation of the UNESCO International Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage, Vol. 56, 2004.
2. *Amusan L.*, Politics of Biopiracy: An Adventure Into Hoodia/Xhoba Patenting in Southern Africa, *African Journal of Traditional, Complementary and Alternative Medicines*, 2017.
3. *Arantes A.*, The Governance of Safeguarding Comments on Article 2.3 of UNESCO's Convention for the Safeguarding of Intangible Cultural Heritage, 2019.
4. *Awopetu R.*, In Defense of Culture: Protecting Traditional Cultural Expressions in Intellectual Property, *Emory Law Journal*, Vol. 69, Issue 4, 2020.
5. *Bhowmick A., Deb Roy S., De M.*, A Brief Review on the Turmeric Patent Case with its Implications on the Documentation of Traditional Knowledge, Vol. 1, 2021.

6. *Brascoupé S., Endemann K.*, Intellectual Property and Aboriginal People: A Working Paper, Intellectual Property Policy Directorate, Industry Canada, Fall 1999.
7. *Brown M. F.*, International Journal of Cultural Property Heritage Trouble: Recent Work on the Protection of Intangible Cultural Property, 2005.
8. *Farah D. P.*, Conflict between Intellectual Property Rights and Human Rights: A Case Study on Intangible Cultural Heritage, Oregon Law Review, Vol.94, 2015.
9. *Fasi M. A.*, A review of the practices related to the protection of indigenous designs and traditional cultural expressions under intellectual property law in Canada and India, International Journal of Intellectual Property Management, Vol. 13, Nos. 3/4, 2023.
10. *Gkana A.*, Safeguarding shared Intangible Cultural Heritage: A “bridge over troubled water”? Vol. 18, 2020.
11. *Higgs R., Kapepiso F.*, Tracing the curation of Indigenous knowledge in a biopiracy case, AlterNative An International Journal of Indigenous Peoples 16 (1), February 2020.
12. Intellectual Property and Traditional Cultural Expressions/Folklore Booklet n° 1, WIPO, 2005.
13. *Janke T.*, Minding Culture: Case Studies on Intellectual Property and Traditional Cultural Expressions, Geneva, 2003, WIPO.
14. *Lixinski L.*, International Human Rights and Intangible Cultural Heritage, Intangible Cultural Heritage in International Law, Oxford University Press, 2013.
15. *Martinet L.*, Traditional Cultural Expressions and International Intellectual Property Law, International Journal of Legal Information 47.1, 2019.
16. *Nicholas G., Bell C., Bannister K., Ouzman S., Anderson J.*, Intellectual Property Issues in Heritage Management, Heritage & Society, September 2009.
17. *Polymenopoulou E.*, Indigenous Cultural Heritage and Artistic Expressions: “Localizing” Intellectual Property Rights and UNESCO Claims, Canadian Journal of Human Rights, 2017.
18. *Rogers L.*, Intangible cultural heritage and international environmental law: the cultural dimension of environmental protection, Heritage, Sustainability and Social Justice, Vol. 29, 2017.
19. *Shabalala D. B.*, Intellectual Property, Traditional Knowledge, and Traditional Cultural Expressions in Native American Tribal Codes, Akron Law Review: Vol. 51, Issue 4, July 2018.
20. *Torsen M.*, Intellectual Property and Traditional Cultural Expressions: A Synopsis of Current Issues, Intercultural Human Rights Law Review, Vol. 3, 2008.
21. *Torsen M., Anderson J.*, Intellectual Property and the Safeguarding of Traditional Cultures: Legal Issues and Practical Options for Museums, Libraries and Archives, WIPO, December 2010.
22. *Urbinati S.*, The Role for Communities, groups and Individuals under the Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage, Cultural Heritage, Cultural Rights, Cultural Diversity, New Developments in International Law, Borelli e Lenzerini (eds), 2012.
23. *Wendland W.*, Intangible Heritage and Intellectual Property: challenges and future prospects, WIPO 2004.
24. *Wheelersburg R. P., Melvin S.*, Indigenous Intellectual Property Rights in the Arctic, Arctic Yearbook, January 2019.
25. Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works, September 28, 1979.
26. Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage, Paris 2003.

ნანა უზნაძე*

პაციენტის ინფორმირებული თანხმობა და ექიმის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა სტანდარტული მკურნალობისა და კლინიკური კვლევების ფარგლებში

ინფორმირებული თანხმობა თანამედროვე სამედიცინო ურთიერთობების არსებით ელემენტს, პაციენტის ავტონომიის გამოხატულებასა და საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ პრინციპს წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს ინფორმირებული თანხმობის სამოქალაქო-სამართლებრივ საფუძვლებს, მისი ნამდვილობისთვის აუცილებელ ელემენტებს, პასუხისმგებლობას ინფორმირებულობის სტანდარტის დარღვევისთვის და ინფორმირებული თანხმობის სპეციალურ შემთხვევას კლინიკური კვლევების კონტექსტში. იმდენად, რამდენადაც მთავარი ყურადღება გამახვილებულია ინფორმირებული თანხმობის მომწესრიგებელ ქართულ სამართლებრივ ჩარჩოზე, ნაშრომი ასევე მიმოიხილავს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკასა და რეგულაციებს სამედიცინო პრაქტიკაში დღეს არსებული გამოწვევებისა და რეკომენდაციების შეთავაზების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ინფორმირებული თანხმობა, პაციენტის ავტონომია, კლინიკური კვლევა, სამედიცინო სამართალი.

1. შესავალი

ინფორმირებული თანხმობა ფუნდამენტური პრინციპია, სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტია, რომელიც თანამედროვე სამედიცინო ურთიერთობების არსებით ელემენტს წარმოადგენს. მისი მიზანია პაციენტის ავტონომიის დაცვა სამედიცინო მომსახურების დროს წარმოშობილ ურთიერთობებში. ის თვითგამორკვევის პრინციპის გამოვლინებას უწყობს ხელს, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები და პაციენტები კომუნიცირებენ მკურნალობის შესაბამისი კურსის დაგეგმვის მიზნით.¹ სამედიცინო ურთიერთობების წარმოშობის ადრეულ ეტაპზე განვითარებული სამედიცინო პატერნალიზმისგან განსხვავებით, რომლის სახელმძღვანელო პრინციპი იყო, რომ მკურნალობის დაგეგმვისას ექიმს გადაეწყვიტა რა იქნებოდა პაციენტისთვის უკეთესი,² თანამედროვე სამედიცინო ურთიერთობები უფრო თანასწორობასა და შეთანხმებაზე დაფუძნებულ ურთიერთობად გარდაიქმნა,³ რომელიც ეყრდნობა პაციენტის ავტონომიის პრინციპს. პაციენტის ავტონომია მოითხოვს, რომ სამედიცინო ინტერვენციები წარიმართოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პაციენტი სრულყოფილად იქნება ინფორმირებული ჩარევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ და სა-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი, კლინიკური კვლევების ორგანიზაციის – შპს „გლობალ ქლინიკალ თრაიალს ჯორჯია“ – დირექტორის მოადგილე.

¹ Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S., Informed Consent Legal Theory and Clinical Practice, Second Edition, Oxford University Press, 2001, 3.

² ბიჭია მ., გაგუა ი., პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2024, 26.

³ Kurniawan I.G., Chandra A., The Civil Law Aspects of Informed Consent to Medical Procedures, SASI, 30(3), 327.

კუთარ თავისუფალ ნებაზე რაიმე ფაქტორის ზემოქმედების გარეშე გამოხატავს თანხმობას.⁴ საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს ინფორმირებულ თანხმობას, არეგულირებს მის შინაარსობრივ მახასიათებლებსა და თანხმობის მიღების პროცედურულ წესს, ასევე უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს. ინფორმირებული თანხმობა, ერთი მხრივ, მოიაზრება საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის უფლებების შინაარსში, როგორც არსობრივი კომპონენტი, ხოლო მეორე მხრივ, დეტალურად არის რეგულირებული ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქოსამართლებრივი ჩარჩო პაციენტის ავტონომიის დაცვას, ინფორმირებული თანხმობის პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ნაშრომი მიმოიხილავს ინფორმირებული თანხმობის ნამდვილობისთვის აუცილებელ ელემენტებს, პასუხისმგებლობის საფუძვლებს ინფორმირების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ასევე განიხილავს ინფორმირებული თანხმობის სპეციალურ ფორმას კლინიკური კვლევების კონტექსტში. დამატებით, ნაშრომი გააანალიზებს პაციენტის უფლების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივ მექანიზმებს და შეინავლის ამ თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს.

2. პაციენტის უფლების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები ინფორმირებულ თანხმობასთან კავშირში

2.1. ინფორმირებული თანხმობის კონცეფციის ისტორიული ევოლუცია

ინფორმირებული თანხმობის კონცეფციის განვითარება პაციენტის ავტონომიის ღირებულების გააზრებას უკავშირდება.⁵ „ინფორმირებული თანხმობა ეფუძნება პიროვნების ავტონომიის პატივისცემის პრინციპს და იმ იდეას, რომ უშუალოდ უფლებამოსილ პირს აქვს უფლება გააკონტროლოს თავისი სამედიცინო დახმარება და კვლევაში მონაწილეობა. [...] ეს პრინციპი ეფუძნება ორ ფუნდამენტურ იდეას: (ა) ყველას აქვს ინდივიდუალური უფლება, მართოს საკუთარი თავი და (ბ) ყველას აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად აირჩიოს თავისი ბედი.“⁶

ინფორმირებული თანხმობის თაობაზე პირველ პრეცედენტულ საქმედ მოიაზრება *Slater v. Baker and Stapleton*, რომლის ფარგლებშიც, თუმცა სასამართლოს არ განუხილავს საქმე ინფორმირებული თანხმობის დარღვევის ასპექტში, მოსამართლემ იმსჯელა, რომ პაციენტს აქვს საჭიროება, სათანადოდ იცოს ინფორმირებული იმ პროცედურების თაობაზე, რომლებიც მას ჩაუტარდება.⁷

ტრადიციულად, ინფორმირებული თანხმობა არ ყოფილა იმდენად ყოვლისმომცველი შინაარსის, როგორიც ის თანამედროვე გაგებითაა. მისი არსობრივი მახასიათებლები ეტა-

⁴ *Freeman v Home Office* [1986] 1 All ER 1036

⁵ *Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S., Informed Consent Legal Theory and Clinical Practice*, Second Edition, Oxford University Press, 2001, 42.

⁶ ბიჭია მ., გაგუა ი., პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2024, 32.

⁷ *Miller, Robert D., Slater v. Baker and Stapleton (C.B. 1767): Unpublished Monographs by Robert D. Miller*, Madison WI, 2019, 12-13.

პოზრივად შეივსო სასამართლო პრაქტიკით თუ მარეგულირებელი აქტებით და საერთაშორისო სტანდარტებით.⁸ მაგალითად, პაციენტის ავტონომიაზე, გადაწყვეტა თუ რა მოუვიდოდა მის სხეულს, პირველად 1914 წლის გადაწყვეტილებაში იმსჯელა სასამართლომ.⁹ ტერმინი „ინფორმირებული თანხმობა“ პირველად¹⁰ 1957 წლის გადაწყვეტილებაში გამოიყენეს ექიმის ვალდებულებაზე მსჯელობის ნაწილში, გაემჟღავნებინა პაციენტებისთვის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღებისთვის.¹¹ მოგვიანებით სასამართლომ განიხილა ე.წ. „გონიერი პრაქტიკოსის“ სტანდარტი, რომლის მიხედვითაც პაციენტისთვის რისკების გამჟღავნების ვალდებულება შემოიფარგლება იმ შინაარსით, რა ინფორმაციის გაზიარებასაც გონიერი სამედიცინო პრაქტიკოსი ჩათვლიდა საჭიროდ ანალოგიურ ვითარებაში.¹² შემდგომ გადაწყვეტილებებში ყურადღება დაეთმო პაციენტის პერსპექტივას და სასამართლო ამჯერად „გონიერი პაციენტის“ სტანდარტს დაეყრდნო, რომლის მიხედვითაც ექიმს გასამჟღავნებელი ინფორმაციის შინაარსი უნდა განესაზღვრა იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციის ცოდნა დასჭირდებოდა გონიერ პაციენტს გადაწყვეტილების მისაღებად.¹³ ინფორმირებული თანხმობის თანამედროვე შინაარსთან კავშირში საკვანძოა გადაწყვეტილება საქმეზე *Montgomery v Lanarkshire Health Board*, რომლის ფარგლებშიც მოსამართლემ იმსჯელა რა მოცულობით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია პაციენტს რისკების ანალიზის ნაწილში.¹⁴

2.2. ინფორმირებული თანხმობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის ღირსებას¹⁵ და ფიზიკურ ხელშეუვალობას,¹⁶ მათი უზრუნველყოფის მიზნით კი აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებსა და სამედიცინო მომსახურების ხარისხს.¹⁷ სამედიცინო ჩარევა, თუნდაც მკურნალობის მიზნებისათვის, არღვევს ფიზიკურ მთლიანობას, ხოლო ამ ქმედებას კანონიერად, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, მხოლოდ პაციენტის ინფორმირებული თანხმობა აქცევს.¹⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადამიანის სხეულსა და ჯანმრთელობას დაცულ სამართლებრივ სიკეთებად მოიაზრებს და შესაძლებელს ხდის დარღვეული უფლების აღდგენასა და პატივის, ღირსებისა და პირადი ხელშეუხებლობის დაცვას სასამართლოს მეშვეო-

⁸ Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S., Informed Consent Legal Theory and Clinical Practice, Second Edition, Oxford University Press, 2001, 41-65.

⁹ Schloendorff v. Society of New York Hospital, 105 N.E. 92 (N.Y. 1914)

¹⁰ Miller R.D., History of the Use of the Term "Informed Consent" up to Salgo, გამოქვეყნებული Minds@UW-ზე, 2020, <https://minds.wisconsin.edu/bitstream/handle/1793/80623/HISTORY%20OF%20THE%20TERM%20INFORMED%20CONSENT.pdf?sequence=1&isAllowed=y> [10.12.2025]

¹¹ Salgo v. Leland Stanford Jr. University Board of Trustees, 154 Cal.App.2d 560, 317 P.2d 170 (Cal. Dist. Ct. App. 1957).

¹² Natanson v. Kline, 186 Kan. 393, 350 P.2d 1093 (Kan. 1960).

¹³ Canterbury v. Spence, 464 F.2d 772 (D.C. Cir. 1972).

¹⁴ Montgomery v Lanarkshire Health Board [2015] UKSC 11.

¹⁵ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, მუხლი 9 (1).

¹⁶ იქვე, 10 (2).

¹⁷ იქვე, 28 (2).

¹⁸ ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“ No. 2 (3) 2023, 3.

ბით.¹⁹ სამართლის ზოგადი დანაწესია, რომ თანხმობის გარეშე ჩატარებული მკურნალობა დარღვევას წარმოადგენს. ერთი მხრივ, ინფორმირებული თანხმობა პაციენტის თვითგამორკვევის უფლების შემადგენელი კომპონენტია, ხოლო მეორე მხრივ, დელიქტურ სამართალში ის არის სამედიცინო ჩარევის კანონიერების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.²⁰

2.3. ინფორმირებული თანხმობის მატერიალური და პროცესუალური შინაარსი

მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსით ინფორმირებული თანხმობა, ერთი მხრივ, ძირითადი უფლებების დაცვის საშუალებაა, როგორებიცაა პაციენტის ავტონომია, ღირსება,²¹ ფიზიკური მთლიანობა, მეორე მხრივ კი ის არის მარეგულირებელი მოთხოვნა,²² ფუნდამენტური ეთიკური პრინციპი²³ კლინიკური კვლევების ჩატარების პროცესში.²⁴

პროცესუალური თვალსაზრისით, წერილობით გაფორმებული ინფორმირებული თანხმობა მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს სამედიცინო დავებში.²⁵ ის ამსუბუქებს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მტკიცების ტვირთს პაციენტის ინფორმირების ჭრილში.²⁶

2.4. პასუხისმგებლობა ინფორმირებული თანხმობის ვალდებულების დარღვევისთვის

პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე სამედიცინო პროცედურის ჩატარებამ შესაძლოა გამოიწვიოს როგორც დელიქტური, ისე – სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წარმოშობა.²⁷ საქართველოში ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა ხშირ შემთხვევაში სახელშეკრულებო ხასიათისაა, რაც განაპირობებს ინფორმირებული თანხმობის მოპოვებას სამედიცინო პროცედურის ჩატარებამდე, რამდენადაც ხელშეკრულება არ დაიდება პაციენტის სა-

¹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, მუხლი 18 (1).

²⁰ ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“, No. 2 (3) 2023, 4.

²¹ The Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, ETS No 164, 1997, preamble, articles 1, 5.

²² Regulation (EU) No 536/2014 of the European Parliament and of the Council of 16 April 2014 on Clinical Trials on Medicinal Products for Human Use, and Repealing Directive 2001/20/EC, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02014R0536-20221205>> [10.12.2025]

²³ ICH Harmonised Guideline for Good Clinical Practice E6 (R3), Final Version Adopted on 06 January 2025, article 2, <https://database.ich.org/sites/default/files/ICH_E6%28R3%29_Step4_FinalGuideline_2025_0106.pdf> [10.12.2025].

²⁴ U.S. Food and Drug Administration, 21 Code of Federal Regulations (C.F.R.) part 50, Last Amended on 04 September 2025 <<https://www.ecfr.gov/current/title-21/chapter-I/subchapter-A/part-50>> [10.12.2025]

²⁵ Kurniawan I.G., Chandra A., The Civil Law Aspects of Informed Consent to Medical Procedures, SASI, 30(3), 330.

²⁶ ბიჭია მ., სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი № 2 (70), 2021, 91. იხ., აგრეთვე: ბიჭია მ., ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, რედ. კორკელია კ., თბ., 2022, 188.

²⁷ ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“, No. 2 (3) 2023, 5.

თანადო ინფორმირების გარეშე.²⁸ თუმცა, როდესაც ინფორმირების ვალდებულება ირღვევა, მოთხოვნა სახელშეკრულებო ვალდებულებიდან შეიძლება წარმოიშვას. იმავდროულად, მკურნალობა შესაბამისი უფლებამოსილების (თანხმობის) გარეშე, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანი, დელიქტური პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველია. შესაბამისად, ინფორმირებული თანხმობიდან გამომდინარე დარღვევებს ორმაგი ბუნება აქვთ და ექვემდებარებიან როგორც სახელშეკრულებო, ისე – დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებს.²⁹

2.4.1. პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულების კონტექსტში

სახელშეკრულებო ვალდებულების ქრილში, როგორც უკვე აღინიშნა, პაციენტის ინფორმირების სტანდარტის დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების დარღვევასაც, რამდენადაც სამედიცინო მომსახურების მიმღებ სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება, მათ შორის, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ჩასატარებელი პროცედურის, მისი რისკების, მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების შემადგენელი ელემენტია.³⁰ ამრიგად, ამ წინაპირობის დაუცველობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს.

2.4.2. პასუხისმგებლობა დელიქტისთვის

როდესაც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს აქვს პაციენტის ინფორმირების მოვალეობა და აღნიშნულს არ ასრულებს,³¹ რასაც შედეგად მოჰყვა ზიანი და რაც არ მოხდებოდა, პაციენტს რომ ინფორმაცია და არჩევანის თავისუფლება ჰქონოდა უარი ეთქვა ასეთ სამედიცინო ინტერვენციაზე, იკვეთება დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობა. ამ კონტექსტში პაციენტი ვალდებულია ამტკიცოს, რომ ინფორმირებული თანხმობა არ ყოფილა სათანადოდ მოპოვებული, ხოლო სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, ამტკიცოს, რომ ინფორმირებული თანხმობა მოპოვებულია, ან, თანხმობის არსებობის პირობებშიც კი შედეგი თავიდან ვერ იქნებოდა აცილებული და გამორიცხოს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან.

როგორც უკვე აღინიშნა, ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო ინტერვენციის კანონიერების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს, შესაბამისად, თანხმობის გარეშე ჩატარებული მკურნალობის ნებისმიერი არასასურველი შედეგი ექიმის პასუხისმგებლობას იმთავითვე იწვევს, განურჩევლად სამედიცინო შეცდომის არსებობისა.³²

²⁸ ბიჭია მ., პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები (ქართული და ევროპული მიდგომები), ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №12, 2019, 59.

²⁹ იქვე, 60.

³⁰ German Civil Code (BGB), 10/08/2021, §630(c) <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/index.html> [10.12.2025].

³¹ გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ინფორმირების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძვლები, როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. „თერაპიული პრივილეგია“, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

³² ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“, No. 2 (3) 2023, 5.

საქართველოს კანონმდებლობით, ინფორმირებული თანხმობა განმარტებულია, როგორც „პაციენტის ან მისი ნათესავის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ.“³³ აღნიშნული განმარტება მოიაზრებს ორ კომპონენტს: (1) უფლებამოსილი სუბიექტის თანხმობა და (2) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება რისკების თაობაზე.

მსგავსად, გერმანიის კანონმდებლობა, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს აკისრებს როგორც თანხმობის მოპოვების, ისე – პაციენტის სათანადოდ ინფორმირების ვალდებულებას.³⁴ საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვითაც, პაციენტის თანხმობა წარმოადგენს სამედიცინო ქმედებების კანონიერების წინაპირობას.³⁵ გერმანიაში, ისევე, როგორც საფრანგეთში, პაციენტის თანხმობა ადამიანის ღირსებისა და ავტონომიის კონსტიტუციური ღირებულებების შემადგენელი ელემენტია და სამოქალაქო კანონმდებლობა განამტკიცებს მათი დაცვის მექანიზმებს როგორც დელიქტის ზოგადი პრინციპების, ისე – სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მეშვეობით, ასეთის არსებობისას.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმირებული თანხმობის მიზანი პირადი ავტონომიისა და ფიზიკური მთლიანობის დაცვაა. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები არ არიან თავისუფალნი რომ პატერნალისტურად იმოქმედონ, პირიქით, კანონმდებლობა მათგან მოითხოვს, რომ პაციენტის თვითგამორკვევას პატივი სცენ. პაციენტის ავტონომია განიმარტება, როგორც „პაციენტის უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა საკითხი“.³⁶

3. ინფორმირებული თანხმობის ნამდვილობისთვის აუცილებელი ელემენტები

საიმისოდ, რომ ექიმის პასუხისმგებლობა გამოირიცხოს პაციენტის ინფორმირების კონტექსტში, მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის არსებობა არ კმარა. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი თანხმობა მიღებული იყოს შესაბამისი წინაპირობების დაცვით, უფლებამოსილი სუბიექტის მიერ, რომელსაც შეუძლია მიწოდებული ინფორმაციის აღქმა, გაანალიზება და გადაწყვეტილების თავისუფლად, ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე მიღება. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და არეგულირებს ინფორმირებული თანხმობის ნამდვილობისთვის აუცილებელი წინაპირობებს:

3.1. ნებაყოფლობითობა

თანხმობა ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ იგი გამოვლენილია თავისუფალი ნების საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობაც, მოქმედი სხვა რეგულა-

³³ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლი 3, „კ“ ქვეპუნქტი.

³⁴ German Civil Code (BGB), 10/08/2021, §630(d); §630(e), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/index.html> [10.12.2025].

³⁵ Public Health Code of France, version of October 1, 2020, Article L1111-4, <https://www.legifrance.gouv.fr/codes/article_lc/LEGIARTI000041721056> [10.12.2025].

³⁶ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლი 3, „ა“ ქვეპუნქტი.

ციების მსგავსად მოითხოვს, რომ პაციენტის თანხმობა გამოხატული იყოს ნებაყოფლობით, ყოველგვარი იძულების გარეშე. ნებაყოფლობითი თანხმობა საკუთარ თავში მოიაზრებს უარის თქმის უფლებასაც, მაშასადამე, პაციენტი თავისუფალია აირჩიოს მკურნალობა, ან უარი თქვას მასზე, ნებისმიერი მიზეზით. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ ითვალისწინებს პაციენტის უფლებას, უარი თქვას ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე, სამეცნიერო კვლევაში ან სამედიცინო განათლების პროცესში მონაწილეობაზე.³⁷ თუკი პაციენტს არ სურს მკურნალობის ჩატარება, თუნდაც აღნიშნული მისი ჯანმრთელობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყოს, ექიმი არ არის უფლებამოსილი აიძულოს ან რაიმე ზეგავლენა მოახდინოს მასზე.³⁸ ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პაციენტი არ არის შეზღუდული მის მიერ უკვე გაცემული თანხმობით და სამედიცინო ჩარევამდე ნებისმიერ დროს შეუძლია აზრი შეიცვალოს. მაგალითად, სამედიცინო – ბიოლოგიური კვლევის პროცესში მონაწილე სუბიექტს უნდა ეცნობოს, რომ უფლებამოსილია კვლევის ნებისმიერ ეტაპზე განაცხადოს უარი კვლევაში მონაწილეობაზე, მიზეზის მითითების გარეშე.³⁹ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რეგულაციების კოდექსის თანახმად, პაციენტს მაქსიმალური შესაძლებლობა უნდა მიეცეს საიმისოდ, რომ გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა მონაწილეობა კვლევაში და აღნიშნული უნდა განხორციელდეს ყოველგვარი იძულების ან არასათანადო ზეგავლენის მაქსიმალური მინიმიზაციის პირობებში.⁴⁰ ამდენად, ნებაყოფლობითობა ინფორმირებული თანხმობის არსებითი ელემენტია.

3.2. ინფორმაციის გამჟღავნება

3.2.1. ინფორმაციის შინაარსი

ინფორმირებული თანხმობის გრამატიკული განმარტებიდანაც გამომდინარეობს, რომ თანხმობა უნდა მიიღწეოდეს პაციენტის ინფორმირების პირობებში. სამედიცინო პროფესიონალი ვალდებულია, პაციენტს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც მას სჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების არსისა და საჭიროების, მოსალოდნელი შედეგების, რისკების, მკურნალობის ალტერნატივების, სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგებისა და სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური თუ სოციალური საკითხების შესახებ.⁴¹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექიმი არ არის ვალდებული დეტალურად ჩამოთვალოს მოვლენების განვითარების ყვე-

³⁷ იქვე, მუხლი 9.

³⁸ „ზეგავლენის მოხდენა“ ბუნდოვანი ტერმინია, რამდენადაც პაციენტი, მით უფრო, როდესაც მძიმე დაავადებას ებრძვის, ისედაც წნეხქვეშაა და მასზე ბევრი ფაქტორი ზემოქმედებს, ამდენად, ექიმის ვალდებულებაა ინფორმირების დროს თავიდან აიცილოს, ერთი მხრივ, არასაჭირო შიშის გამოწვევა მკურნალობაზე დათანხმების მიზნით, მეორე მხრივ კი არარეალისტური მოლოდინების წარმოქმნა მკურნალობის მოსალოდნელ სიკეთეებთან მიმართებით. დამატებით იხ., *Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S., Informed Consent Legal Theory and Clinical Practice, Second Edition, Oxford University Press, 2001, 68-69.*

³⁹ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლი 109.

⁴⁰ U.S. Food and Drug Administration, 21 Code of Federal Regulations (C.F.R.) §50.20, Last Amended on 04 September 2025, <<https://www.ecfr.gov/current/title-21/chapter-I/subchapter-A/part-50/subpart-B/section-50.20>> [10.12.2025].

⁴¹ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, სსმ, 19, 25/05/2000, მუხლი 4, ქვეპუნქტი „ბ“.

ლა შესაძლო სცენარი, თუმცა მნიშვნელოვანია, პაციენტს ინფორმაცია მიენოდოს რეალურად მოსალოდნელი რისკების თაობაზე.⁴²

საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, საფრანგეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კოდექსი მოითხოვს, რომ ექიმმა აცნობოს პაციენტს პროცედურასთან დაკავშირებული ყველა სერიოზული რისკის, შესაძლო შედეგების, უარის თქმის პროგნოზირებადი შედეგების თაობაზე.⁴³ ანალოგიურად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მიუთითებს ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნაზე სამედიცინო ჩარევის ბუნების, მასთან დაკავშირებული რისკების, მისი საჭიროების, გადაუდებლობის, დიაგნოზის გათვალისწინებით წარმატების შანსების თაობაზე.⁴⁴

3.2.2. ინფორმაციის მოცულობა

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზი აჩვენებს, რომ სამედიცინო პერსონალი ვალდებულია პაციენტს ინფორმაცია მიაწოდოს იმ მოცულობით, რაც მას სჭირდება მკურნალობის დაგეგმვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული მოთხოვნა პაციენტის ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარეობს და მისი დამკვიდრება უკავშირდება საქმეს *Montgomery v Lanarkshire Health Board*, რომლის ფარგლებშიც პირველად დაინერგა პაციენტზე ორიენტირებული ტესტი ინფორმირებული თანხმობის კონტექსტში. სასამართლომ მიუთითა, რომ ექიმი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ პაციენტი ინფორმირებული იქნება ნებისმიერ რეკომენდებულ მკურნალობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკის თაობაზე.⁴⁵ აღნიშნული ტესტის თანახმად, მისაწოდებელი ინფორმაციის შეფასებისას ექიმმა უნდა იხელმძღვანელოს „გონიერი პაციენტის“ სტანდარტით, რაც გულისხმობს ყველა შესაძლო ინფორმაციის გამჟღავნებას, რასაც გონიერი პაციენტი მნიშვნელოვნად ჩათვლიდა გადაწყვეტილების მიღებისთვის.⁴⁶

3.2.3. გასაგები ენა

პაციენტს ინფორმაცია უნდა მიენოდოს გასაგებ ენაზე, სპეციფიკური სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე.⁴⁷ „ინფორმაცია გასაგები უნდა იყოს პაციენტისთვის ენისა და შინაარსის თვალსაზრისით, სადაც გასათვალისწინებელია ალქმის ინდივიდუალური შესაძლებლობა და შესაბამისად, პაციენტის მდგომარეობა.“⁴⁸ ალქმადობის თვალსაზრისით

⁴² ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“, No. 2 (3) 2023, 8.

⁴³ Public Health Code of France, version of October 1, 2020, Article L1111-2, <https://www.legifrance.gouv.fr/codes/article_lc/LEGIARTI000020890189/2012-10-05> [10.12.2025].

⁴⁴ German Civil Code (BGB), 10/08/2021,) §630(e), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/index.html> [10.12.2025].

⁴⁵ *Montgomery v Lanarkshire Health Board* [2015] UKSC 11.

⁴⁶ ბიჭია მ., ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, რედ. კორკელია კ., თბ., 2022, 190, 195.

⁴⁷ ბიჭია მ., პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები (ქართული და ევროპული მიდგომები), ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №12, 2019, 54.

⁴⁸ ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი No. 2 (3) 2023, 7.

ასევე დიდი ყურადღება ენიჭება დროის ფაქტორს. პაციენტს უნდა მიეცეს სათანადო დრო საიმისოდ, რომ მიწოდებული ინფორმაცია გაიაზროს, გააანალიზოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს.⁴⁹ მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც წერილობითი ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტი გადაეცემა, რომელიც გაცნობის მიზნებისათვის საკმაოდ მოცულობითი შეიძლება იყოს. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსით ინფორმაციის მიწოდების კონტექსტში ასევე გათვალისწინებულია, რომ პაციენტს უნდა მიეცეს საკმარისი დრო გადაწყვეტილების მიღებისთვის.⁵⁰ ამ თვალსაზრისით, სამედიცინო დანესებულების რეგისტრატურაში წერილობით გაფორმებული დოკუმენტი, თუნდაც პაციენტის მიერ იყოს ხელმოწერილი, ვერ ჩაითვლება ვალიდურ დოკუმენტად, რამდენადაც პაციენტს არ ეძლევა შესაბამისი დრო, რომ სათანადოდ გაეცნოს დოკუმენტის შინაარსს. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული პროცესი მხოლოდ ფორმალურია,⁵¹ რაც უგულებელყოფს ამ პროცესის დანიშნულებას, რამდენადაც „ინფორმირებული თანხმობა მხოლოდ ადმინისტრაციული ფორმალუბა კი არა, ჯანდაცვის მუშაკებსა და პაციენტებს შორის უწყვეტი კომუნიკაციის პროცესია“.⁵²

3.2.4. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების გამომრიცხავი გარემოებები

ინფორმაციის მიწოდების კონტექსტში აღსანიშნავია, რომ შესაძლოა არსებობდეს გამონაკლისი გარემოებები, მაგალითად, ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა არ იყოს სავალდებულო, თუ პაციენტი თავად არის მედიკოსი ან კარგად ერკვევა კონკრეტულ საკითხებში უკვე ჩატარებული მკურნალობიდან გამომდინარე, თუ ინფორმაცია ისედაც ცხადია და არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს, ან იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი სტრესიდან გამომდინარე პაციენტი თავად ამბობს უარს ინფორმირებულობაზე.⁵³ აღნიშნულის მიუხედავად, პაციენტს ზოგადი წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს, თუ რა ინფორმაციის მიღებაზე აცხადებს უარს.⁵⁴

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს შემთხვევა, როდესაც პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. „ნაგულისხმევი თანხმობის“ პრეზუმფცია, რომლის სახელმძღვანელო პრინციპია, რომ ნებისმიერი პაციენტი გამოხატავდა თანხმობას მკურნალობაზე, რომ ჰქონოდა ასეთი თანხმობის გაცხადების ფიზიკური შესაძლებლობა.⁵⁵ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის თანახმად, გადაუდებელი დახმარება განიმარტება, როგორც „სამედიცინო დახმარება, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი,

⁴⁹ ბიჭია მ., ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, კორკელია კ. (რედ.), თბ., 2022, 181.

⁵⁰ German Civil Code (BGB), 10/08/2021, §630(e)(2.2), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/index.html> [10.12.2025].

⁵¹ ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი No. 2 (3) 2023, 48.

⁵² Kurniawan I.G., Chandra A., The Civil Law Aspects of Informed Consent to Medical Procedures, SASI, 30(3), 331.

⁵³ ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი No. 2 (3) 2023, 34-35, 49.

⁵⁴ იქვე, 49.

⁵⁵ Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S., Informed Consent Legal Theory and Clinical Practice, Second Edition, Oxford University Press, 2001, 76.

ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება ან შესაძლებლობის შეზღუდვა.⁵⁶ როდესაც იკვეთება გადაუდებელი სამედიცინო საჭიროება, რომელიც გამორიცხავს პაციენტის ინფორმირებული თანხმობის დროულად მიღების შესაძლებლობას,⁵⁷ კანონმდებელი ანიჭებს უფლებამოსილებას საექიმო საქმიანობის სუბიექტს, არ დაელოდოს ინფორმირებულ თანხმობას და გადაწყვეტილება მიიღოს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით.⁵⁸ ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს, რათა დაასაბუთოს სამედიცინო ჩარევის გადაუდებლობა და ჩატარებული მოქმედებების გონივრულობა.⁵⁹

პაციენტის ინფორმირების ვალდებულების კიდევ ერთ გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს ე.წ. „თერაპიული პრივილეგია“, რომლის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ ექიმი უფლებამოსილია არ მიანდოს პაციენტს ინფორმაცია საკუთარ ჯანმრთელობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ ინფორმაციის მიწოდებას კრიტიკულად უარყოფითი შედეგი ექნება მის სამომავლო თერაპიასა და ზოგადად, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.⁶⁰

3.3. ინფორმაციის აღქმისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი

ინფორმირებული თანხმობის კონცეფციის განვითარების ადრეულ ეტაპზე მსჯელობის საგნად იქცა, უნდა შეფასებულიყო თუ არა პაციენტის ინფორმირების ვალდებულება დაკმაყოფილებულად ინფორმაციის უბრალო მიწოდებით, თუ აუცილებელი იყო ექიმი დარწმუნებულიყო, რომ პაციენტმა გაიგო და აღიქვა ინფორმაციის შინაარსი.⁶¹ ინფორმირებული თანხმობის მიზანი ვერ მიიღწევა, თუ ადრესატი ვერ აღიქვამს მიწოდებულ ინფორმაციას. ამასთან, მნიშვნელოვანია, პაციენტს ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების უნარი. ინფორმირებული თანხმობა ნამდვილი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ მას გასცემს პაციენტი, რომელსაც აქვს როგორც სამართლებრივი უფლებამოსილება, ისე – გონებრივი შესაძლებლობა, რომ გააცნობიეროს და მიიღოს გადაწყვეტილება შემდგომი მკურნალობის თაობაზე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის სამედიცინო ჩარევის ჩატარება, სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესში მისი ჩართვა დასაშვებია მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) განცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო ასეთი ნების არარსებობისას – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით.“⁶² ამასთან, პაციენტის მცირეწლოვნების ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის

⁵⁶ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლი 3, „ტ¹“ ქვეპუნქტი.

⁵⁷ ბიჭია მ., ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, რედ. კორკელია კ., თბ., 2022, 181.

⁵⁸ საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, სსმ, 18, 28/06/2001, მუხლი 45 (2).

⁵⁹ ბიჭია მ., გაგუა ი., პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი № 1, 2024, 40.

⁶⁰ Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S., Informed Consent Legal Theory and Clinical Practice, Second Edition, Oxford University Press, 2001, 79.

⁶¹ იქვე, 67.

⁶² საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლები: 11, 110.

არქონის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი ინფორმირებული თანხმობისთვის წერილობითი ფორმის მოთხოვნას ადგენს.⁶³

იმის მიუხედავად, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს უფლებამოსილ პირთა წრეს, საგულისხმოა, რომ უფლებების პირველადი სუბიექტის სურვილები მხედველობის მიღმა არ რჩება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესავის მიერ გაცემულია თანხმობა, მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ თავად პაციენტი არ იყოს წინააღმდეგი სამედიცინო განათლების ან სამედიცინო – ბიოლოგიური კვლევის პროცესში მონაწილეობაზე.⁶⁴

ამასთან, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემია,⁶⁵ რომელიც შეიძლება შეეხებოდეს ძალიან მგრძნობიარე საკითხებს, როგორებიცაა სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობა, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაცია ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა, აივ ინფექციის/შიდსის დიაგნოსტიკა,⁶⁶ შესაბამისად, გასათვალისწინებელია არასრულწლოვნის ინტერესი, არ გამჟღავნდეს ასეთი ინფორმაცია. ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობისას, თუ 14-დან 18-წლამდე არასრულწლოვანი პაციენტი წინააღმდეგია, რომ მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს მიენოდოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ექიმი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს ასეთი ინფორმაცია და ინფორმირებული თანხმობა პირადად პაციენტისგან მიიღოს თუ მიიჩნევს, რომ პაციენტი სწორად აფასებს საკუთარ მდგომარეობას.⁶⁷ აღნიშნული მიდგომა,⁶⁸ პრიორიტეტს თავად უფლებათა სუბიექტს ანიჭებს და პაციენტებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი კოგნიტური და ემოციური რესურსი, აძლევს შესაძლებლობას თავად მიიღონ გადაწყვეტილება მკურნალობის თაობაზე.⁶⁹

ამდენად, „განუზრჩევლად იმისა, კანონი მოითხოვს თუ არა გაცნობიერებას, პაციენტის ფაქტობრივი აღქმა ინფორმირებული თანხმობის იდეის განუყოფელი კომპონენტია.“⁷⁰

3.4. ფორმა

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული გამონაკლისების გათვალისწინებით ინფორმირებული თანხმობა შესაძლოა გაიცეს როგორც წერილობით, ისე – ზეპირად, წერილობითი ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორი ძირითადი ფუნქციის გამო:

⁶³ საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, სსმ, 18, 28/06/2001, მუხლი 47 (2).

⁶⁴ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლი 110.

⁶⁵ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, ვებგვერდი, 03/07/2023, მუხლი 3, „ბ“ ქვეპუნქტი.

⁶⁶ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, სსმ, 19, 25/05/2000, მუხლი 40.

⁶⁷ იქვე, მუხლები: 40-41.

⁶⁸ აღნიშნული მიდგომა ცნობილია ე.წ. „გილიკის კომპეტენციის“ სახელით, რომელიც დაინერგა საქმეზე: *Gillick v West Norfolk and Wisbech Area Health Authority* [1986] AC 112, რომლის მიხედვითაც, მცირეწლოვანი უფლებამოსილია გასცეს თანხმობა მშობლების ინფორმირების ან მათი ნებართვის გარეშე იმ შემთხვევაში თუ ის გამოავლენს „საკმარის აღქმას და ინტელექტს შემოთავაზებულის სრულად გასაგებად.“ დამატებით იხ.: <<https://www.lawteacher.net/cases/gillick-v-west-norfolk.php>> [10.12.2025]

⁶⁹ *Vashakidze M.*, Protection of the Best Interests of a Child in the Medical Field (According to the Legislation in Force in Georgia), *International Journal of Law: Law and World*, Vol.10 (1), 2023, 137.

⁷⁰ *Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S.*, Informed Consent Legal Theory and Clinical Practice, Second Edition, Oxford University Press, 2001, 67.

- (1) წერილობითი თანხმობა უფრო გასაგებს და აღქმადს ხდის ადრესატისთვის ინფორმაციას. შესაძლოა ექიმმა ვერბალურადაც დეტალურად მიაწოდოს პაციენტს აუცილებელი ინფორმაცია, თუმცა ვიზუალიზაცია ეხმარება მას მნიშვნელოვან დეტალებზე ყურადღების გამახვილებაში.
- (2) პაციენტის თანხმობის წერილობით დოკუმენტირება ამარტივებს მტკიცების ტვირთს დავის წარმოშობის შემთხვევაში.⁷¹ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს ინფორმირებულ თანხმობაზე, ბრალის გამორიცხვის მტკიცების ტვირთი ზიანის მიმყენებელს ეკისრება,⁷² შესაბამისად, რაც უფრო დეტალურია სამედიცინო დოკუმენტაცია ჩატარებული პროცედურების, მათ შორის, სათანადოდ მიღებული ინფორმირებული თანხმობის შესახებ, მით უფრო დიდია შანსი იმისა, რომ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობა გამოირიცხოს.

საქართველოს კანონმდებლობა სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად ითვალისწინებს ინფორმირებული თანხმობის როგორც ზეპირ, ისე – წერილობით ფორმას, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, მაღალი რისკის შემცველ სამედიცინო პროცედურებთან მიმართებით სავალდებულო წესით მოითხოვს წერილობითი ფორმის არსებობას. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „სამედიცინო ჩარევების ჩამონათვალი, რომელთა ჩატარებისათვის აუცილებელია წერილობითი თანხმობა, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“⁷³ წერილობითი ინფორმირებული თანხმობა აუცილებელია ნებისმიერი ქირურგიული ოპერაციის, აბორტის, ქირურგიული კონტრაცეფციის, გენეტიკური ტესტირების, ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიოთერაპიის, სხივური თერაპიის და მაღალი რისკის შემცველი სხვა სამედიცინო ჩარევების შემთხვევაში, რომლის ამომწურავი ჩამონათვალი პირდაპირ განსაზღვრულია კანონმდებლობით.⁷⁴

4. პასუხისმგებლობა ინფორმირებული თანხმობის მიღების წესის დარღვევისთვის

როდესაც სამედიცინო ჩარევა ტარდება ინფორმირებული თანხმობის გარეშე და პაციენტს ადგება ზიანი, ან არ არსებობს ფიზიკური ზიანი, მაგრამ ირღვევა მათი უფლება ავტონომიაზე, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ მიუთითებს, რომ „პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისთვის, რომლებიც გამოწვეულია პაციენტის უფლებების დარღვევით.“⁷⁵

⁷¹ ბიჭია მ., სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი № 2 (70), 2021, 91. იხ., აგრეთვე: ბიჭია მ., ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, რედ. კორკელია კ., თბ., 2022, 188.

⁷² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, მუხლი 1007.

⁷³ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლი 8 (1).

⁷⁴ საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, სსმ, 18, 28/06/2001, მუხლი 44 (2). იხ., აგრეთვე: საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, სსმ, 19, 25/05/2000, მუხლი 22 (2).

⁷⁵ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, სსმ, 19, 25/05/2000, მუხლი 10, „ა.ა.“ ქვეუწყებტი.

საქართველოს კანონმდებლობა როგორც დელიქტურ, ისე – სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას იძლევა.

სამედიცინო ჩარევის წარმატებით დასრულება, თუ ის ინფორმირებული თანხმობის მიღების გარეშე ჩატარდა, პასუხისმგებლობის გამომრიცხავ საფუძველი არ არის. თანხმობის არარსებობა ქმედებას მართლსაწინააღმდეგოს ხდის იქიდან გამომდინარე, რომ პაციენტს პირად ავტონომიაში შეჭრას წარმოადგენს. შესაბამისად, თუ პაციენტს ადგება ზიანი (იქნება აღნიშნული გამოხატული ფიზიკურ დაზიანებაში, ტკივილში თუ ფსიქოლოგიურ ტრავმაში), დგება პასუხისმგებლობა.⁷⁶

ინფორმირებული თანხმობის კონტექსტში, თუ პაციენტი დაამტკიცებს რომ ჩაუტარდა პროცედურა, რომელსაც ჰქონდა არასასურველი განვითარება და აღნიშნულის თაობაზე არ მიუღია სათანადო გაფრთხილება, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელმა უნდა ამტკიცოს, რომ სათანადო თანხმობა მოპოვებული აქვს.

გარდა აღნიშნულისა, პაციენტმა შესაძლოა მოთხოვნა სახელშეკრულებო სამართლის ნორმებზეც დააფუძნოს. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება და, შესაბამისად, მისი რეკვიზიტები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის, როგორც ზემოთ აღინიშნა გერმანიის კანონმდებლობის მაგალითზე, სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.⁷⁷ შესაბამისად, თუ ექიმი არღვევს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, აღნიშნული სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა.

როდესაც ირღვევა ინფორმირებული თანხმობის პრინციპი, მოთხოვნის სათანადოდ შერჩევის მიზნებისათვის უნდა შეფასდეს რომელი სამართლებრივი სიკეთე ილახება, რა არის მოთხოვნის მიზანი. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც ქონებრივი, ისე – არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას შესაბამისი წინაპირობების არსებობისას.⁷⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი წარმოადგენს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას ისეთ შემთხვევაში, თუ პაციენტის პირადი ავტონომიის დარღვევამ განაპირობა მაგალითად, ღირსების ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შელახვა.⁷⁹ ინფორმირებულობის სტანდარტის დარღვევა, რამაც შედეგად გამოიწვია სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობის ხელყოფა, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით.^{80 / 81}

⁷⁶ აღნიშნულის საპირისპიროდ, თუკი პაციენტს სათანადოდ განემარტა შესაძლო რისკების თაობაზე, მაგრამ მაინც განაცხადა თანხმობა და ზიანი დადგა წარმატებული მკურნალობისა და ექიმის ბრალეულობის გამორიცხვის მიუხედავად, ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა არ დადგება. იხ., *Bichia M., Peculiarities of Medical Torts in Georgian Judicial Practice, South Caucasus Law Journal*, 09/2018- 2019, 226.

⁷⁷ German Civil Code (BGB), 10/08/2021,) §630(c)(2), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/index.html> [10.12.2025].

⁷⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, მუხლი 18 (6).

⁷⁹ ბიჭია მ., პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები (ქართული და ევროპული მიდგომები), ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №12, 2019, 63.

⁸⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, მუხლი 413 (2).

⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-645-2019.

მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს პრეროგატივაა, რომელიც ითვალისწინებს ზიანის მიმყენებლის ბრალს, დარღვევის სიმძიმეს და მის გავლენას მოსარჩელის ემოციურ კეთილდღეობაზე.⁸²

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დამფუძნებელ ნორმას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით და ზიანის მიმყენებელს ეკისრება პასუხისმგებლობა, გამორიცხოს საკუთარი ბრალი ზიანის დადგომაში.⁸³

ინფორმირებულ თანხმობასთან კავშირში ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე განვიხილოთ შემდეგი ჰიპოთეტური მაგალითი:

პაციენტმა მიმართა კლინიკას რუტინული აპენდექტომიის ჩასატარებლად. ექიმმა პაციენტს მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია პროცედურის შესახებ, თუმცა არ უცნობებია ოპერაციის იშვიათი, თუმცა მოსალოდნელი გართულების შესახებ, რომელიც შესაძლოა გამოხატულიყო მწვავე შინაგან სისხლდენაში, ან/და მუცლის კედლის შიდა გარსის ანთებაში (პერიტონიტი). ჩატარებული პროცედურის შემდეგ განვითარდა პერიტონიტი, რამაც გამოიწვია დამატებითი გამოკვლევებისა და მკურნალობის საჭიროება და პაციენტის სიცოცხლეს შეუქმნა საფრთხე. მოცემული შემთხვევის გათვალისწინებით, გონიერი პაციენტის სტანდარტით, შეფასების საგანია აღნიშნული გართულებების თაობაზე ინფორმირების პირობებში პაციენტი მაინც ჩაიტარებდა პროცედურას, თუ მიმართავდა მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდებს, როგორცაა, მაგალითად ანტიბიოტიკოთერაპია. თუ გონიერი პაციენტის სტანდარტით დადგინდება, რომ პაციენტი არ მიმართავდა ინვაზიურ პროცედურას რისკების შესახებ სათანადო ინფორმირების პირობებში, ასეთ შემთხვევაში იკვეთება ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. აღნიშნულ შემთხვევაში პაციენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ქონებრივი ზიანი, რომელიც გამოიხატა დამატებითი გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო ხარჯებში, მიუღებელ შემოსავალში, ასევე მორალური ზიანი იმ ტკივილისა და ტანჯვისთვის, რაც ოპერაციის გართულებას მოჰყვა შედეგად.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიზანია პაციენტის კომპენსაცია და არა ექიმის დასჯა, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ექიმის პასუხისმგებლობა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმებით შემოიფარგლება. პაციენტი აგრეთვე უფლებამოსილია მოითხოვოს სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება,⁸⁴ ხოლო შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, უკიდურეს შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც შეიძლება დადგეს.

5. ინფორმირებული თანხმობა კლინიკურ კვლევაში მონაწილეობის თაობაზე

5.1. ისტორიული ევოლუცია

ინფორმირებული თანხმობის სპეციალურ ფორმას წარმოადგენს ინფორმირებული თანხმობა კლინიკურ კვლევაში მონაწილეობისთვის. ცალკეული მსგავსებების მიუხედავად, სტანდარტული სამედიცინო მომსახურებისა და კვლევის პროცესის ინფორმირებული თან-

⁸² ბიჭია მ., გაგუა ი., პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2024, 39 – 40.

⁸³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, მუხლი 1007.

⁸⁴ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, სსმ, 19, 25/05/2000, მუხლი 10 (გ).

ხმოზა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვითარდა.⁸⁵ მაშინ, როდესაც კვლევებში მონაწილე პაციენტების ინფორმირებული თანხმობის მარეგულირებელი დებულებები პროფესიული კოდექსებით, საკანონმდებლო რეგულაციებით თუ საერთაშორისო სარეკომენდაციო სტანდარტებით განისაზღვრა, სტანდარტული გაგებით, ინფორმირებული ფორმის ჩამოყალიბებაში ძირითადი წვლილი სასამართლო პრაქტიკას მიუძღვის, რაც ზემოთ იყო განხილული.⁸⁶

ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევების მომწესრიგებელი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის საჭიროება ნაციონალური რეჟიმის დროს საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეებზე ჩატარებულ სამედიცინო ექსპერიმენტებს უკავშირდება, რის გამოც II მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ შექმნილმა ნიურნბერგის სასამართლომ გაასამართლა ექიმი ექსპერიმენტატორები და შემუშავდა ეთიკის კოდექსი, ე.წ. „ნიურნბერგის კოდექსი“ რომელიც, მიუხედავად ზოგადი ხასიათისა, პირველ მარეგულირებელ დოკუმენტად ითვლება ადამიანის მონაწილეობით ჩატარებული კვლევებისთვის.⁸⁷ ნიურნბერგის კოდექსი, რომელიც ჯამში 10 პრინციპს მოიცავს, პირველ და უზენაეს ღირებულებად ნებაყოფლობითი ინფორმირებული თანხმობის პრინციპს მოიხსენიებს, რომელიც მოიაზრებს სამედიცინო ექსპერიმენტის მონაწილის თანხმობას, რომელსაც შეუძლია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება, აქვს შესაძლებლობა მიიღოს ყოველგვარი ზეგავლენისგან თავისუფალი არჩევანი და ინფორმირებულია ექსპერიმენტის ბუნების, ხანგრძლივობისა და მიზნების, მოსალოდნელი დისკომფორტისა და საფრთხეების შესახებ.⁸⁸ ნიურნბერგის კოდექსი, მიუხედავად იმისა, რომ ამომწურავად არ ფარავდა ინფორმირებული თანხმობის დღეს აღიარებულ აუცილებელ ელემენტებს, მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ საფუძვლად დაედო ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევების პროცესის ინფორმირებული თანხმობის კონცეფციას. ნიურნბერგის კოდექსი პრაქტიკაში აქტიურად ვერ დაინერგა, შესაბამისად, უფრო სრულყოფილი მონესრიგებისა და კვლევებში პრაქტიკული გამოყენების მიზნით მსოფლიოს სამედიცინო ასოციაციამ შეიმუშავა ჰელსინკის დეკლარაცია, რომლის მიზანიც იყო კლინიკურ კვლევაში მონაწილე ექიმებისთვის რეკომენდაციების დადგენა.⁸⁹

ჰელსინკის დეკლარაცია, რომელიც ბოლოს 2024 წლის ოქტომბერში გადაისინჯა, უფრო ფართოდ აწესრიგებს ინფორმირებული თანხმობის შინაარსს და მოიცავს ინფორმირებული თანხმობის ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა თავისუფალი, ნებაყოფლობითი, გაცნობიერებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე იმ პოტენციური მონაწილის მიერ, რომელიც მარტივი და მისთვის გასაგები ენით ინფორმირებულია კვლევის მიზნების, მოსალოდნელი შედეგების, რისკისა და სარგებლის, დაფინანსების და კვლევასთან დაკავშირებული სხვა არსებითი ინფორმაციის თაობაზე.⁹⁰

⁸⁵ Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S., Informed Consent Legal Theory and Clinical Practice, Second Edition, Oxford University Press, 2001, 249.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ Annas G. J., The Changing Landscape of Human Experimentation: Nuremberg, Helsinki, and beyond, Health Matrix: Journal of Law-Medicine 2, No. 2, 1992, 120-121.

⁸⁸ Shuster E., Fifty Years Later: The Significance of the Nuremberg Code, The New England Journal of Medicine, 1997, 1436.

⁸⁹ Annas G. J., The Changing Landscape of Human Experimentation: Nuremberg, Helsinki, and beyond, Health Matrix: Journal of Law-Medicine 2, No. 2, 1992, 122.

⁹⁰ WMA Declaration of Helsinki – Ethical Principles for Medical Research Involving Human Participants, Adopted by the 18th WMA General Assembly, Helsinki, Finland, 1964, Last Amended in 2024, articles 25 – 32, <<https://www.wma.net/policies-post/wma-declaration-of-helsinki/>>[10.12.2025].

ჰელსინკის დეკლარაციის სამართლებრივ – ეთიკურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, მოგვიანებით შემუშავდა ორი ძირითადი ჩარჩო დოკუმენტი: ჰარმონიზაციის საერთაშორისო კონფერენციის კარგი კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო წესები (ICH GCP)⁹¹ და ევროკავშირის კლინიკური კვლევების დირექტივა 2001/20/EC,⁹² რომელიც შემდგომ ჩანაცვლდა ევროკავშირის კლინიკური კვლევების რეგულაციით (No. 536/2014).⁹³ აღნიშნული დოკუმენტები თანამედროვე კლინიკური კვლევების მარეგულირებელ ჩარჩოს ქმნიან ადგილობრივ საკანონმდებლო აქტებთან ერთად.

5.2. საქართველოს კანონმდებლობა კლინიკური კვლევის შესახებ

კლინიკური კვლევა ფარმაცევტული პროდუქტის წარმოების წინაპირობას წარმოადგენს. მანამ, სანამ მედიკამენტი სავაჭრო ნებართვას მოიპოვებს, ის განვითარების რამდენიმე საფეხურიან პროცესს გადის, რაც მოიცავს ლაბორატორიულ გამოკვლევებს (მოლეკულის აღმოჩენა და შექმნა), ცხოველურ მოდელებში ჩატარებულ წინაკლინიკურ კვლევებს, დამამუშავებელი შედეგების შემთხვევაში კი, დამოუკიდებელი ადგილობრივი ეთიკის კომიტეტისა ჯანდაცვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის ფარგლებში ტარდება კლინიკური კვლევა, რომლის დროსაც ფრთხილად შერჩეული პროცედურების, მკაცრი სამედიცინო მეთვალყურეობისა და მარეგულირებელი ორგანოების ზედამხედველობის პირობებში შესისწავლება საკვლევი მედიკამენტის ზემოქმედება ადამიანებზე მათი უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის დადგენის მიზნით.⁹⁴

საქართველოს კანონმდებლობით ფარმაცევტული პროდუქტის კლინიკური კვლევა (გამოცდა, გამოკვლევა) განიმარტება, როგორც „ფარმაცოლოგიური საშუალების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლა არასასურველი რეაქციების დადგენის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების ხარისხის შეფასების მიზნით.“⁹⁵ განსხვავებით სტანდარტული თერაპიისგან, კლინიკური კვლევა მოიაზრებს მკურნალობას ისეთი მედიკამენტის გამოყენებით, რომელიც შესწავლის, კვლევის პროცესშია (ე.წ. „საკვლევი მედიკამენტი“) და რომლის რისკისა და სარგებლიანობის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ არის დაგროვებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, კლინიკურ კვლევაში მონაწილეობის მიღებამდე პაციენტის ინფორმირებულ თანხმობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. გარდა ინფორმირებული თანხმობის მახასიათებელი სტანდარტული ელემენტებისა, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, კვლევის მონაწილე სუბიექტი აანალიზებდეს, რომ ასეთი თერაპია ექსპერიმენტულია და პაციენტი მარეგულირებლის მიერ დამტკიცებულ და ფარმაცევტულ ბაზარზე ხელმისაწვდომ მედიკა-

⁹¹ ICH Harmonised Guideline for Good Clinical Practice E6 (R3), Final Version Adopted on 06 January 2025, <https://database.ich.org/sites/default/files/ICH_E6%28R3%29_Step4_FinalGuideline_2025_0106.pdf> [10.12.2025].

⁹² Directive 2001/20/EC of the European Parliament and of the Council of 4 April 2001 on the Approximation of the Laws, Regulations and Administrative Provisions of the Member States Relating to the Implementation of Good Clinical Practice in the Conduct of Clinical Trials on Medicinal Products for Human Use.

⁹³ Regulation (EU) No 536/2014 of the European Parliament and of the Council of 16 April 2014 on Clinical Trials on Medicinal Products for Human Use, and Repealing Directive 2001/20/EC, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02014R0536-20221205>> [10.12.2025]

⁹⁴ Bertschi, E., Biomedical Research and the Uncertain Future of Clinical Trials, FDLI Update Magazine, no. 6, 2001, 47.

⁹⁵ საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 17-18, 05/05/1997, მუხლი 1¹, პუნქტი 45.

მენტს კი არ იღებს, არამედ, ისეთ პრეპარატს, რომლის ზემოქმედება შესწავლის საგანია. კლინიკური კვლევის მარეგულირებელი დოკუმენტები აღნიშნულ ელემენტზე მნიშვნელოვნად აქცენტირებენ.

კლინიკურ კვლევაში პაციენტი ვერ მიიღებს მონაწილეობას, თუ ის არ გასცემს წერილობით ინფორმირებულ თანხმობას. „ინფორმირებული თანხმობა ეფუძნება პიროვნების ავტონომიის პატივისცემის პრინციპს და იმ იდეას, რომ უშუალოდ უფლებამოსილ პირს აქვს უფლება გააკონტროლოს თავის სამედიცინო დახმარება და კვლევაში მონაწილეობა.“⁹⁶

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ პაციენტს „წინასწარ უნდა მიეწოდოს სრული ინფორმაცია კვლევის მიზნების, მეთოდების, მოსალოდნელი შედეგების, კვლევის რისკის და მასთან დაკავშირებული შესაძლო დისკომფორტის შესახებ.“⁹⁷ პაციენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს თქვას უარი კვლევაში მონაწილეობაზე, თანხმობის გაცემის მიუხედავად.⁹⁸

განსხვავებული და სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, კლინიკურ კვლევაში გამოსაყენებელ ინფორმირებულ თანხმობას ქართული თუ საერთაშორისო კანონმდებლობა უფრო მკაცრად არეგულირებს და დეტალურად განსაზღვრავს მის შინაარსს, ფორმასა და თანხმობის გაცემის პროცესს. უნდა აღინიშნოს, რომ კლინიკური კვლევა ვერ ჩატარდება სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე შექმნილი ეთიკის კომიტეტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“ მიერ გაცემული ნებართვის გარეშე.⁹⁹ გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღნიშნული ორგანოები ხელმძღვანელობენ შემოთავაზებული საკვლევი მედიკამენტის რისკისა და სარგებლის შეწონვის მეთოდით და ნებართვას გასცემენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი სარგებელი აჭარბებს რისკებს, კერძოდ, როგორც საქართველოს კანონმდებლობა მიუთითებს, „ადამიანის, როგორც კვლევის ობიექტის ინტერესები და კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეცნიერებისა და საზოგადოების ინტერესები. კვლევის რისკი შემცირებული უნდა იქნეს მინიმუმამდე. იგი არ უნდა აჭარბებდეს კვლევის ობიექტისთვის მოსალოდნელ სარგებლობას და/ან კვლევის მიზნების მნიშვნელობას.“¹⁰⁰

ნებართვის გასაცემად წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალში ერთ-ერთია კვლევის სუბიექტის საინფორმაციო ფურცლისა და წერილობით ინფორმირებული თანხმობის ნიმუში, რომელიც შედგენილი უნდა იყოს კარგი კლინიკური პრაქტიკის (GCP) სახელმძღვანელო წესების შესაბამისად.¹⁰¹

⁹⁶ ბიჭია მ., გაგუა ი., პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი № 1, 2024, 32.

⁹⁷ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლი 109.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ „ფარმაცოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილება, მუხლი 2 (1).

¹⁰⁰ საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, მუხლი 108.

¹⁰¹ „ფარმაცოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის

5.3. კლინიკურ კვლევაში გამოსაყენებელი ინფორმირებული თანხმობის ფორმის არსებითი მახასიათებლები

კარგი კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო წესები საერთაშორისო ხარისხის სტანდარტს წარმოადგენს კლინიკური კვლევის მიმდინარეობის თითოეული ასპექტის სათანადოდ ჩასატარებლად და იმავდროულად იცავს კვლევაში მონაწილე პაციენტების უფლებებს, ფიზიკურ მთლიანობასა და კონფიდენციალურობას.¹⁰² კარგი კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო წესები (შემდგომში, "ICH – GCP") დეტალურად აწესრიგებს როგორც ინფორმირებული თანხმობის ფორმის არსებობის თუ ტექნიკურ მახასიათებლებს, ისე – თავად თანხმობის მოპოვების პროცესთან დაკავშირებულ ელემენტებს და ევროკავშირის კლინიკური კვლევების რეგულაციასთან (შემდგომში, "EU CTR") ერთად ძირითად მარეგულირებელ ჩარჩოს წარმოადგენს ინფორმირებული თანხმობის ფორმისთვის. დებულებები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) შინაარსთან დაკავშირებული:

რეგულაციები ითვალისწინებს, რომ კვლევაში მონაწილე სუბიექტს დეტალური ინფორმაცია უნდა მიენოდოს კვლევის მიზნების, პროცედურების, საკვლევი მედიკამენტის რაობის (მათ შორის, იმის მითითებით, რომ მედიკამენტი ექსპერიმენტულია, ანუ კვლევის პროცესშია), მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსალოდნელი რისკებისა და სარგებლის, მკურნალობის ალტერნატივების, კვლევის პროცესში მიღებული დაზიანებების თუ კომპენსაციის თაობაზე.¹⁰³

ბ) ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცესთან დაკავშირებული:

მნიშვნელოვანია, მონაწილეზე არ მოხდეს არასათანადო ზეგავლენა¹⁰⁴ და მას უნდა განემარტოს, რომ კვლევაში მონაწილეობით უარს არ ამბობს საკუთარ უფლებებზე.¹⁰⁵ სახელმძღვანელო წესები ადგენს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს თანხმობა¹⁰⁶ და იმ პირთა ჩამონათვალსაც, რომელიც უფლებამოსილია გასცეს თანხმობა.¹⁰⁷

გ) ტექნიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული:

ინფორმირებული თანხმობის ფორმა უნდა იყოს შედგენილი გასაგებ ენაზე, არ უნდა იყოს რთულად აღქმადი და არასაჭიროდ ვრცელი.¹⁰⁸

ინფორმირებული თანხმობის ფორმა ექვემდებარება სამედიცინო დაწესებულების ბაზაზე შექმნილი ეთიკის კომიტეტის მიერ დამტკიცებას.¹⁰⁹ ეთიკის კომიტეტის წევრები უნდა დარწმუნდნენ, რომ ინფორმირებული თანხმობის ფორმის შინაარსი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და მოქმედ რეგულაციებს. შესაბამისი ნებართვების გაცემის შემდეგ სა-

ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილება, დანართი №1, მუხლი 2, ქვეპუნქტი"ე".

¹⁰² Vijayanathan A, Nawawi O., The importance of Good Clinical Practice guidelines and its role in clinical trials, Biomedical Imaging and Intervention Journal, 2008, 1.

¹⁰³ ICH-GCP §2.8.10; EU CTR 29(2).

¹⁰⁴ ICH-GCP §2.8.3; EU CTR 2 (2) (21).

¹⁰⁵ ICH-GCP §2.8.4

¹⁰⁶ ICH-GCP §2.8.5; EU CTR 29 (1).

¹⁰⁷ ICH – GCP §2.8.7; EU CTR 29 (1).

¹⁰⁸ ICH-GCP §2.2; EU CTR 29(2)(b).

¹⁰⁹ ICH-GCP §2.8.1 (a)

მედიცინო დანესებულებამ უნდა მოიპოვოს პაციენტის ინფორმირებული თანხმობა, რაც დასტურდება მარეგულირებელი ორგანოების მიერ წინასწარ დამტკიცებული თანხმობის ფორმის ხელმოწერით, რის შემდეგაც იწყება კვლევის პრაქტიკული ნაწილი.

კლინიკურ კვლევაში გამოსაყენებელი ინფორმირებული თანხმობისთვის საერთაშორისო რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნები იმდენად მკაცრი და დეტალურია, რომ თვითონ ფორმის შინაარსობრივი ნაკლოვანება მინიმუმამდეა დაყვანილი. ამასთან, თანხმობა ყოველთვის წერილობითი ფორმით მიიღწევა: პაციენტი მონაწილეობას ვერ მიიღებს კვლევაში, თუ არ არსებობს მისი წინასწარი წერილობითი ინფორმირებული თანხმობა. ამ თვალსაზრისით ხარვეზული შესაძლოა იყოს არა იმდენად შინაარსობრივი მხარე, არამედ, თანხმობის მოპოვების პროცესი, კერძოდ, ჰქონდა თუ არა პაციენტს საკმარისი დრო დოკუმენტის გასაცნობად, განმარტა თუ არა ყველა გაუგებარი დეტალი, უპასუხეს თუ არა მის შეკითხვებს და სხვ.

კლინიკური კვლევებისთვის განკუთვნილი ინფორმირებული თანხმობის ფორმა იმ მახასიათებლით გამოირჩევა, რომ ის შეიძლება გახდეს სტანდარტი, ნიმუში სხვა სამედიცინო ჩარევების დროს გამოსაყენებელი ინფორმირებული თანხმობის ფორმებისთვის, შესაბამისი განსხვავებების გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობის განსაზღვრისა და მოთხოვნის წარდგენის თვალსაზრისით, კლინიკური კვლევის პროცესში ინფორმირებული თანხმობის სტანდარტის დარღვევაც იმავე სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, რასაც ჩვეულებრივი სამედიცინო თერაპიის დროს და კლინიკური კვლევის მონაწილეს ნებისმიერი სხვა პაციენტის მსგავსად წარმოეშობა მოთხოვნის უფლება. თუმცა, ვინაიდან კლინიკური კვლევები მიმდინარეობს არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩოს ზედამხედველობის პირობებში,¹¹⁰ პასუხისმგებლობას იღებს დამატებით კიდევ ერთი სუბიექტი – კლინიკური კვლევის სპონსორი, საკვლევი მედიკამენტის შემმუშავებელი ფარმაცევტული კომპანია, რომელიც ვალდებულია ჰქონდეს დაზღვევა, რომელიც უზრუნველყოფს კლინიკურ კვლევაში მონაწილეობიდან და უშუალოდ საკვლევი მედიკამენტის მოქმედებიდან გამომდინარე ჯანმრთელობის გაუარესებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას.¹¹¹ ICH – GCP სახელმძღვანელო წესების თანახმად, სპონსორი ვალდებულია წარმოადგინოს დაზღვევა, ან აუნაზღაუროს მკვლევარს / სამედიცინო დანესებულებას კვლევასთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნებიდან წარმოშობილი ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული წარმოადგენს არასწორი სამედიცინო პრაქტიკის შედეგს.¹¹²

საგულისხმოა, აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, თუ თანხმობა სათანადო წესით არ არის მოპოვებული, კლინიკური კვლევის წამყვანი სპეციალისტი – მთავარი მკვლევარი, ადგილობრივი პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურებაში ან/და პროფესიული საქმიანობის უფლების შეწყვეტა-შეჩერებაში, შესაძ-

¹¹⁰ ICH-GCP სახელმძღვანელო წესები E6 (R2) რედაქციით, აღიარებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 2 აგვისტოს N MOH 1 22 00000089 ბრძანებით და წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს. დამატებით იხ., <<https://rama.moh.gov.ge/geo/static/466/klinikuri-kvleva>> [10.12.2025].

¹¹¹ „ფარმაცეპტული საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული ავთიჯის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილება, დანართი №1, მუხლი 2, ქვეპუნქტი“ზ“.

¹¹² ICH-GCP, §3.14.1.

ლოა დამატებით საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან სანქციების ობიექტი გახდეს.¹¹³

კლინიკურ კვლევებთან მიმართებით სასამართლო გადაწყვეტილებები მწირია. მიუხედავად იმისა, რომ კვლევებთან მიმართებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ უმსჯელია, მან მტკიცების ტვირთის ნაწილში განმარტა: „პაციენტის ინფორმირებული თანხმობა არ განიხილება, როგორც უბრალო ნების გამოვლენა, არამედ როგორც პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის შესაძლებლობას, გააკეთოს ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული არჩევანი დაგეგმილი სამედიცინო ჩარევის თაობაზე. ამავდროულად, პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ინფორმაციის და განმარტების ვალდებულების სრულფასოვან შესრულებაზე ეკისრება კლინიკას.“¹¹⁴

მტკიცების ტვირთის თვალსაზრისით ზოგადი წესის მსგავსად სამედიცინო დაწესებულებამ / მკვლევარმა უნდა ამტკიცოს, რომ თანხმობა სათანადო წესის დაცვით იყო მოპოვებული. იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმირებული თანხმობის წერილობითი ფორმა სავალდებულო მოთხოვნაა, აღნიშნული მტკიცების ტვირთს ამარტივებს, თუმცა მნიშვნელოვანია მკვლევარმა ამტკიცოს, რომ სუბიექტს სათანადოდ განემარტა თანხმობის დოკუმენტში მოცემული ყველა ინფორმაცია, ასევე ყველა სხვა ინფორმაცია, რომლის შესახებაც კითხვები წარმოიშვა.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ კლინიკური კვლევების კონტექსტში საქართველო მიჰყვება საერთაშორისო რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს: მოითხოვება წერილობითი ინფორმირებული თანხმობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა იმავდროულად არ გამოირიცხება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაბამისი წინაპირობების არსებობისას.

6. დასკვნა

ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო კონტექსტში მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეთიკური დოქტრინაა, რომელიც ადამიანის ღირსებისა და პირადი ავტონომიის პატივისცემას უზრუნველყოფს.¹¹⁵ საქართველოს ზოგადი თუ სპეციალიზებული კანონმდებლობა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის წევრი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მონესრიგებით ხასიათდება და შესაბამის მოთხოვნას ადგენს ინფორმირებული თანხმობის მოპოვების კონტექსტში, რომლის სახელმძღვანელო პრინციპია, რომ დაუშვებელია სამედიცინო ჩარევა წინასწარ მიღებული ნებაყოფლობითი ინფორმირებული თანხმობის გარეშე.

¹¹³ მაგალითად, აშშ-ს სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაცია (US FDA) აწარმოებს მკვლევრების ე.წ. „შავ სიას“, რომელიც აერთიანებს დისკვალიფიცირებულ ან შეზღუდვის ფარგლებში მოქცეულ მკვლევრებს, რომლებსაც არ აქვთ უფლება უხელმძღვანელონ კლინიკურ კვლევას, ან ასეთი უფლება აქვთ მხოლოდ ცალკეული წინაპირობების არსებობისას. მიუხედავად იმისა, რომ FDA-ს იურისდიქცია საქართველოზე არ ვრცელდება, ქართველი მკვლევრის „შავ სიაში“ მოხვედრა ნიშნავს, რომ მისი მონაწილეობით ჩატარებული კვლევის შედეგებს სპონსორი ვერ გამოიყენებს თუ გადაწყვეტს სავაჭრო ნებართვისთვის მიმართოს აშშ-ს სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაციას. დამატებით იხ., <<https://www.accessdata.fda.gov/scripts/SDA/sdNavigation.cfm?sd=clinicalinvestigatorsdisqualificationproceedings>> [10.12.2025].

¹¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-645-2019.

¹¹⁵ დულაშვილი გ., ინფორმირებული თანხმობა მედიცინაში, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი №. 1/2022, 126.

სამედიცინო პრაქტიკაში ინფორმირებული თანხმობის პროცესი ისეთი გამართული არ არის, როგორც საკანონმდებლო ტექსტში. გასათვალისწინებელია, რომ არსებობს შემდეგი გამოწვევები პრაქტიკაში:

ნაშრომში აღინიშნა ინფორმირებული თანხმობისთვის დამახასიათებელი აუცილებელი ელემენტების შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთია წერილობითი ინფორმირებული თანხმობა. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ინფორმირებული თანხმობის ფორმებს ისე ეპყრობიან, როგორც ფორმალობას და პაციენტები ხელს აწერენ ყველაზე სტრესულ დროს (მაგალითად., ოპერაციის წინ), როდესაც არ აქვთ ემოციური რესურსი, რომ სათანადოდ გაიაზრონ დოკუმენტი. ამასთან, ასეთი დოკუმენტი მრავალჯერადი გამოყენებისთვის წინასწარ შედგენილი შაბლონური და ტექნიკური დოკუმენტია, რომელიც ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის წინ ერთნაირად გამოიყენება ჩარევაზე მორგებული შინაარსის ცვლილების გარეშე. ამ თვალსაზრისით, კლინიკური კვლევებისთვის გათვალისწინებული ინფორმირებული თანხმობის ფორმა ბევრად დახვეწილი და სრულყოფილი დოკუმენტია, რომელიც უფრო მკაცრ მოთხოვნებს ექვემდებარება და რისკები იმისა, რომ შინაარსობრივად ხარვეზული იქნება, მცირეა. ხოლო სტანდარტულ ინფორმირებული თანხმობის ფორმებს პრობლემა აქვთ როგორც შინაარსის, ისე პროცედურული თვალსაზრისითაც.

გარდა აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ ინფორმირებული თანხმობის ფორმის მთავარი მიზანია, რომ პაციენტმა აღიქვას და გაიაზროს ინფორმაცია და არა მხოლოდ ის, რომ ფორმალურად დაკმაყოფილდეს თანხმობის მოპოვების მოთხოვნა. ინფორმირებული თანხმობის წერილობითი დოკუმენტი არ წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოსთვის განკუთვნილ დოკუმენტს, არამედ მისი პირველადი დანიშნულება პაციენტის ავტონომიის უზრუნველყოფაა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველო აღიარებს ინფორმირებულ თანხმობას არა როგორც ფორმალობას, არამედ, როგორც პაციენტის ფუნდამენტური უფლების გამოვლინებას.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.
3. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.
4. საქართველოს კანონი „ნამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 17-18, 05/05/1997.
5. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, სსმ, 19, 25/05/2000.
6. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, სსმ, 18, 28/06/2001.
7. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 03/07/2023.
8. „ფარმაცეპტული საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილება.
9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 2 აგვისტოს N MOH 1 22 00000089 ბრძანება.
10. ბიჭია მ., პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები (ქართული და ევროპული მიდგომები), ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №12, 2019, 54, 59, 63.

11. ბიჭია მ., სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 2 (70), 2021, 91.
12. ბიჭია მ., ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, რედ. კორკელია კ., თბ., 2022, 181, 188, 190, 195.
13. ბიჭია მ., გაგუა ი., პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები პრაქტიკაში, „სამართლის ჟურნალი“ № 1, 2024, 26, 32, 39-40.
14. დულაშვილი გ., ინფორმირებული თანხმობა მედიცინაში, „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“, No. 1/2022, 126.
15. ჰაგენლოხი უ., პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“, No. 2 (3) 2023, 3 – 5, 34-35, 48-49.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-645-2019.
17. German Civil Code (BGB), 10/08/2021.
18. Public Health Code of France, version of October 1, 2020.
19. WMA Declaration of Helsinki – Ethical Principles for Medical Research Involving Human Participants, Adopted by the 18th WMA General Assembly, Helsinki, Finland, 1964, Last Amended in 2024.
20. ICH Harmonised Guideline for Good Clinical Practice E6 (R3), Final Version Adopted on 06 January 2025.
21. The Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, ETS No 164, 1997.
22. Directive 2001/20/EC of the European Parliament and of the Council of 4 April 2001 on the Approximation of the Laws, Regulations and Administrative Provisions of the Member States Relating to the Implementation of Good Clinical Practice in the Conduct of Clinical Trials on Medicinal Products for Human Use.
23. Regulation (EU) No 536/2014 of the European Parliament and of the Council of 16 April 2014 on Clinical Trials on Medicinal Products for Human Use, and Repealing Directive 2001/20/EC.
24. U.S. Food and Drug Administration, 21 Code of Federal Regulations (C.F.R.) part 50, Last Amended on 04 September 2025.
25. Annas G. J., The Changing Landscape of Human Experimentation: Nuremberg, Helsinki, and beyond, Health Matrix: Journal of Law-Medicine 2, No. 2, 1992, 120-122.
26. Berg J.W., Appelbaum P.S., Lidz C.W., Parker L.S., Informed Consent Legal Theory and Clinical Practice, Second Edition, Oxford University Press, 2001, 3, 41-65, 68-69, 76, 79, 249.
27. Bertschi, E., Biomedical Research and the Uncertain Future of Clinical Trials, FDLI Update Magazine, no. 6, 2001, 47.
28. Bichia M., Peculiarities of Medical Torts in Georgian Judicial Practice, South Caucasus Law Journal, 09/2018-2019, 226.
29. Kurniawan I.G., Chandra A., The Civil Law Aspects of Informed Consent to Medical Procedures, SASI, 30(3), 327, 330, 331.
30. Miller, Robert D., Slater v. Baker and Stapleton (C.B. 1767): Unpublished Monographs by Robert D. Miller, Madison WI, 2019, 12-13.
31. Miller R.D., History of the Use of the Term “Informed Consent” up to Salgo, გამოქვეყნებული Minds@UW-ზე, 2020, 1.

32. Shuster E., Fifty Years Later: The Significance of the Nuremberg Code, The New England Journal of Medicine, 1997, 1436.
33. Vashakidze M., Protection of the Best Interests of a Child in the Medical Field (According to the Legislation in Force in Georgia), International Journal of Law: Law and World, Vol.10 (1), 2023, 137.
34. Vijayananthan A, Nawawi O., The importance of Good Clinical Practice guidelines and its role in clinical trials, Biomedical Imaging and Intervention Journal, 2008, 1.
35. Canterbury v. Spence, 464 F.2d 772 (D.C. Cir. 1972).
36. *Freeman v Home Office* [1986] 1 All ER 1036.
37. *Gillick v West Norfolk and Wisbech Area Health Authority* [1986] AC 112.
38. *Montgomery v Lanarkshire Health Board* [2015] UKSC 11.
39. *Natanson v. Kline*, 186 Kan. 393, 350 P.2d 1093 (Kan. 1960).
40. *Salgo v. Leland Stanford Jr. University Board of Trustees*, 154 Cal.App.2d 560, 317 P.2d 170 (Cal. Dist. Ct. App. 1957).
41. *Schloendorff v. Society of New York Hospital*, 105 N.E. 92 (N.Y. 1914).
42. <https://www.accessdata.fda.gov/scripts/SDA/sdNavigation.cfm?sd=clinicalinvestigatorsdisqualificationproceedings>

ია უმაჯაურიძე*

მემკვიდრეების დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისათვის

წარმოდგენილი სტატიის მიზანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ „კრედიტორთა ინტერესში“ მემკვიდრეების დელიქტური ვალდებულების მოქცევის და ამ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფარგლების დადგენა. იმის გათვალისწინებით, რომ დელიქტი, როგორც ვალდებულების წარმოშობის სახე, სადავო კატეგორიაა და, როგორც წესი, სასამართლოს მიერ დადგენას საჭიროებს, სტატიის ერთი თავი ეთმობა კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილების საპროცესოსამართლებრივ საკითხებს. ცალკე გამოყოფილია ხანდაზმულობის საკითხი, როგორც მემკვიდრეთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა. სტატია გამოკვეთს აღნიშნული ნორმის განმარტებისათვის სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობასა და სასამართლოს როლს მტკიცებულებათა მოპოვების საქმეში. სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია „პიროვნული უფლების“ შინაარსზე, მის პირადად შესასრულებელ ვალდებულებასთან შეპირისპირებით. განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება გერმანულ სასამართლო პრაქტიკის ნიმუშთან ერთად. გერმანულ სამართალთან შედარებულია სამკვიდროს გაყოფამდე თანამემკვიდრეთა პასუხისმგებლობის თავისებურება.

საკვანძო სიტყვები: კრედიტორთა ინტერესები, დელიქტური პასუხისმგებლობა, ქონებრივი პასუხისმგებლობა, პირადად შესასრულებელი ვალდებულება, უნივერსალური მემკვიდრეობა, მალიგორად გაყოფა, მოთხოვნის წარდგენის ვადა.

1. შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის¹ 1484-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მემკვიდრეების კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

სამოქალაქო კოდექსის ეს ნორმა მრავლისმომცველად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მის დეტალურ განხილვას ამ სტატიაში არ შევუდგებით და ძირითადად „კრედიტორთა ინტერესების“ შინაარსზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მემკვიდრეობა მხოლოდ სარგებლის მომტანი არ არის, მემკვიდრე მემკვიდრეების ვალდებულებებზეც არის პასუხისმგებელი. რა მოცულობის შეიძლება იყოს „კრედიტორთა ინტერესი“? ამ კითხვაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პასუხი მხოლოდ ის არის, რომ ამ ინტერესს „მიღებული აქტივის ფარგლებით“ საზღვრავს, თუმცა ეს არ უნდა იყოს საკმარისი „კრედიტორთა ინტერესის“ შინაარსის დადგენისათვის. აღნიშნული, დაცვითი ფუნქციის მატარებელი,^{2,3} ნორმის დებულება პასუხის მხოლოდ რაოდენობრივი ნაწილია, თუმცა კრედი-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი – მოსამართლის თანაშემწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიწვეული სპეციალისტი.

¹ პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-650-616-2015, §21.

ტორთა ინტერესის შინაარსი დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით უნდა განისაზღვროს.

ინტერესი, როგორც სამართლებრივი კატეგორია, სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივად დაცული ინტერესი, იგივე, უფლება.⁴ 1484-ე მუხლში ასახული უფლების შინაარსის დადგენის მიზნისთვის დაისმის საკითხი, შეიძლება, თუ არა შეუსრულებელ სახელშეკრულებო⁵ ან კანონისმიერ⁶ ვალდებულებებთან ერთად კრედიტორთა ინტერესი გავრცელდეს დელიქტურ ვალდებულებებზე? მაშინ, როდესაც დელიქტური ვალდებულება უმეტესად დამტკიცებას, სასამართლო პროცესის ან ადმინისტრაციული პროცედურის მეშვეობით დადასტურებას საჭიროებს.

„დელიქტური სამართლის ფუნქციაა ზიანის მიყენების აურაცხელი შემთხვევებიდან ამოირჩიოს ისეთი, როდესაც დაზარალებულს შეეძლება მიყენებული ზიანის სიმძიმე სხვა პირს დააკისროს.“⁷

ქონების მესაკუთრისთვის მიყენებული ზიანი მხოლოდ გარკვეულ პირობებში ანაზღაურდება. თუ გავისვენებთ, რომის სამართალში მოქმედებდა პრინციპი *casum sentit dominus*⁸ იგივე – *res perit suo domino*,⁹ თუმცა „ეს ასეა მანამ, სანამ არ არსებობს ზარალის დაკისრების კონკრეტული მიზეზი. ასეთი დაკისრება, როგორც წესი, გამართლებულია *culpa*-ს ან *dolus*-ის (დელიქტური პასუხისმგებლობა) საფუძველზე, მაგრამ არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც შემთხვევითი ზარალიც კი არ ეკისრება მესაკუთრეს.“¹⁰ „ეს წესი, რომელსაც ზოგჯერ «საკუთრების წესს» უწოდებენ გამოხატავს ფუძემდებლურ და ბუნებრივ იდეას: თუ ვინმე განიცდის ზიანს, მაშინ, პრინციპში მან თვითონ უნდა იკისროს ეს ზიანი. ყველა თვითონ ატარებს საკუთრებასთან დაკავშირებულ რისკს, თუ სხვა პირი არ არის პასუხისმგებელი ზიანის გამო.

შესაბამისად, უნდა არსებობდეს კონკრეტული მიზეზები, რომლებიც ამართლებს დაზარალებულისგან ზიანის სხვა პირზე დაკისრების უფლების მოპოვებას.

³ ბერეკაშვილი დ., სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2020, 143 <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Diana_Berekashvili.pdf> [25.09.2025].

⁴ ბიჭია მ., უფლების შინაარსი სამოქალაქო სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2023, 41.

⁵ იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № ას-567-538-2015, §1.4. (სამოტივაციო ნაწილი).

⁶ „დიდ პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით გათვალისწინებულ კრედიტორთა რიცხვს განეკუთვნებიან პირები, რომლებმაც სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის შესაბამისად დავალების გარეშე, საკუთარი ხარჯებით დაკრძალეს მიცვალებული.“ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე № 3კ/441-01, სამოტივაციო ნაწილი.

⁷ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ხელშეკრულება, უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტი, ნინიძე თ., (რედ.) სუმბათაშვილი ე. (მთარგმნელი), თბ., 2001, 287.

⁸ შემთხვევას მესაკუთრე განიცდის.

⁹ ნივთი თავისი ბატონისთვის არის დაკარგული, მისი დაკარგვა მესაკუთრესთან კავშირშია. ორივე ტერმინთან დაკავშირებით იხ. *Wacke A., Casum Sentit Dominus: Liability for Accidental Damages in Roman and Modern German Law of Property and Obligation* (სტატიის გადამუშავებული და შემოკლებული ინგლისური ვერსია), <<https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jsouaf1987&div=49&id=&page=>> [23.09.2025], იხ. ციტირება: *Wacke A., Gafahrehöhung als Besitzerverschulden*, in *Festschrift Henz Hübner*, Berlin/New York 1984, 669-695.

¹⁰ *Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford, 1996, 154, fn. 12.

ამგვარად, დელიქტური სამართალი ითვალისწინებს – ძალიან ზოგადად, ბუნდოვნად რომ ვთქვათ – სხვა პირისთვის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას და შესაბამისად, ზიანის დაკისრებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი პირი «უფრო მჭიდრო კავშირშია» ზიანთან, ვიდრე დაზარალებული.¹¹

სტატიის მიზანია იმ საკითხების კვლევა, თუ რა ვითარებაში ჩაითვლება დელიქტური ვალდებულება „კრედიტორთა ინტერესების“ ნაწილად, რა შემთხვევებში დაეკისრებათ მემკვიდრეებს მამკვიდრებლის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისტორიული და შედარებითი მეთოდები.

ისტორიული კვლევის მეთოდის გამოყენება სამართალში ხომ აღიარებულია, როგორც მარტივ ლოგიკურ დასკვნამდე მისვლის გზა, რომელსაც წინ უძღვის უდიდესი შრომა.¹²

შედარებითი მეთოდის გამოყენებისას კი მკვლევრის საქმიანობა იმ ძირითად დაშვებაზეა აგებული, რომ „ყველაფერი შედარებადია“.¹³

მემკვიდრეთა დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლების კვლევის მიზნით, სტატიაში აღწერილია ამ ინსტიტუტის რომის სამართალში აღმოცენებული საფუძვლები და შუა საუკუნეების დროინდელი სამართლებრივი მიდგომები. სტატიაში წარმოდგენილია ქართული სამემკვიდრეო სამართლის ისტორიული ინსტიტუტი „მალიგორად გაყოფა“, რაც ნათლად წარმოაჩენს უნივერსალური მემკვიდრეობის პრინციპის ისტორიულ ფესვებს.

შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით მიმოხილულია სხვადასხვა სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებული ნორმები სამკვიდროს მიღების და სამკვიდროდან გამომდინარე პრეტენზიების წარდგენის ვადებთან დაკავშირებით.

2. დელიქტური პასუხისმგებლობა, როგორც ქონებრივი პასუხისმგებლობა

«delict» (მომდინარეობს «delinquere»-დან, აქედან – ასევე სიტყვა «delinquent») არის სამოქალაქო ტერმინი, რომელიც ზოგადად გამოიყენება სამოქალაქო სამართლებრივი (სისხლის სამართლებრივის საპირისპირო) გადაცდომის მნიშვნელობით. საერთო სამართლის სისტემაში მისი ანალოგია «tort», რომელსაც, თავის მხრივ, ეტიმოლოგიური ფესვები აქვს ლათინურ ტერმინ «tortus»-ში, მნიშვნელობით: «მრუდე» ან «დეფორმირებული».¹⁴

იმის მიუხედავად, რომ ინგლისური „ტორტი“ („tort“) და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გავრცელებული „დელიქტი“ („delict“) თანამედროვე სამართალში ეკვივალენტური მნიშვნელობით გამოიყენება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დელიქტის და დელიქტურის¹⁵ გამოყენება არჩიეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძ-

¹¹ Koziol H., Basic Questions of Tort Law from a Germanic Perspective, Wien, 2012, 1.

¹² ცვარიანი ბ., სამართლის ლეგენდა – ანტონინ სკალია, „სამართლის მეთოდები“, 2-2018, 56.

¹³ Örücü E., Something Old, Something New in Comparative Law, Journal of International and Comparative Law, 2015, 336, <<https://www.jicl.org.uk/journal/december-2015/something-old-something-new-in-comparative-law>> [05.11.2025].

¹⁴ Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford, 1996, 907.

¹⁵ თუ დელიქტი არამართლზომიერი ქმედებაა, რომელიც ზიანს იწვევს, -ურ სუფიქსის დართვით წარმოებული დელიქტური ქართულ ენაში მოქნილად დამკვიდრდა.

ვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამ ნორმიდან გამომდინარე, ზიანის მიყენების გამო წარმოშობილი ვალდებულება ისეთივე ვალდებულებაა, როგორც, მაგალითად, ხელშეკრულებიდან ან უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი. თუ ეს ასეა, მაშინ დელიქტური ვალდებულება მარტივად შეიძლება მოთავსდეს თავდაპირველად ხსენებულ 1484-ე მუხლით განსაზღვრულ „კრედიტორთა ინტერესში“ და ამ ინტერესის მსაზღვრელად მხოლოდ მიღებული აქტივის ფარგლები უნდა განვიხილოთ, თუმცა საკითხი არც ასეთი მარტივი უნდა იყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ დელიქტური ურთიერთობა ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებაში გამოიხატება. „დელიქტური სამართლის საფუძველია პასუხისმგებლობის პრინციპი.“¹⁶ „სამოქალაქო პასუხისმგებლობა განიმარტება, როგორც პირის ვალდებულება აუნაზღაუროს სხვა პირს მიყენებული ზიანი“,¹⁷ მაგრამ ზიანის გამო ქონებრივი პასუხისმგებლობა შეუზღუდავი არ არის. „ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რომელიც დამყარებულია *condition sine qua non* ფორმულას ან რომ არა (*“but-for”*) ტესტს, ყველა სამართლებრივ სისტემაში, საფრანგეთში კი, გარკვეული დათქმებით, ზედმეტად ფართომასშტაბიანად ითვლება, როგორც ბრალეულობის საფუძველზე, ასევე მკაცრი პასუხისმგებლობის წესებით და გამოიყენება *შეფასებით მსჯელობაზე დაფუძნებული დამატებითი კრიტერიუმები*.“¹⁸ იერინგის, ვისი მოსაზრებითაც: „ანაზღაურებისთვის ვალდებულს ხდის არა თავისთავად ზიანი, არამედ ბრალი“¹⁹ შემდეგ სამართალი მნიშვნელოვნად განვითარდა და დღეს ბრალი პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთ-ერთი, ზოგჯერ არასავალდებულო ელემენტია, თუმცა ბრალის გარდა, პასუხისმგებლობის შეზღუდვის სხვა არაერთი კრიტერიუმი გამოიყენება; დაზღვევის გავლენით კი, პასუხისმგებლობის „დამსჯელობითი“ ან „ნორმატიული“ ფუნქცია მხოლოდ კი არ შეიცვალა, ზოგან ნაიშალა კიდევ,²⁰ მით უფრო, ისეთ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურდება. ამ საკითხს უფრო ღრმად აქ არ განვიხილავთ და საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, ქონებრივი ზიანით შევიზრუდებით, რადგან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებიდან უნდა დავასკვნათ, რომ არაქონებრივი ზიანის გამო პასუხისმგებლობის მემკვიდრეებზე გადასვლა გამოირიცხება.²¹ აქვე აღვნიშნავთ, რომ საკითხს, მოიცავს თუ არა არაქონებრივი ზიანის გამო პასუხისმგებლობა ზემოთ ნახსენებ „კრედიტორთა ინტერესს“, დამატებით ქვემოთაც შევხებით.

„ზიანი შეიძლება იყოს მოვლენათა შემთხვევითი თანანაყოფის, ბოროტი განზრახვის, გაუფრთხილებლობის ან დაუძლეველი ძალის შედეგი“,²² თუმცა ყოველი საგნისა თუ სიკეთის

¹⁶ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ხელშეკრულება, უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტი, ნინიძე თ., (რედ.) სუმბათაშვილი ე. (მთარგმნელი), თბ., 2001, 370.

¹⁷ Vicente D. M., Comparative Law of Obligations, Cheltenham, 2021, 267.

¹⁸ Koziol H., Harmonisation and Fundamental Questions of European Tort Law, Wien, 2017, 129.

¹⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ხელშეკრულება, უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტი, სუმბათაშვილი ე. (მთარგმნელი), ნინიძე თ. (რედ.), თბ., 2001, 321.

²⁰ Geneviève V., Tort Liability, in: Introduction to French Law, Bermann G. A., Etienne P. (eds.), Alphen aan den Rijn, 2008, 244.

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-650-616-2015, §21.

²² ჩიკვაშვილი შ., დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული, თბ., 2003, 181.

ზიანში გამოხატული ცვლილება შეიძლება ვერ გამოსწორდეს იმგვარად, რომ ეს საგანი თუ სიკეთე პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს. სამართლის ძირითად სისტემებში „ქონებრივი სანქცია, რომელიც გამოიყენება ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველთვის მიზნად ისახავს დაზარალებულის დარღვეული უფლების აღდგენას ან კომპენსაციას.“²³ საერთო სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელ არა მხოლოდ ფაქტობრივი ზიანის, არამედ დამატებითი ანაზღაურების დაკისრებას „ექვსის თვალთ უყურებენ. მაგალითად, ინგლისურენოვანი ტერმინი **Punitive Damages** გერმანულად თარგმნეს, როგორც **Strafschadenersatz**, რაც «სისხლისსამართლებრივი ზიანის ანაზღაურებას» ნიშნავს. ამით გერმანელი იურისტები მიაწინებენ, რომ რეალურ ზიანზე რამდენჯერმე აღმატებული თანხის დაკისრებით ამერიკულ სამართალს ზიანის ანაზღაურების კერძოსამართლებრივ სივრცეში შემოაქვს სისხლისსამართლებრივი ჯარიმის ელემენტები, რაც, როგორც წესი, კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ტრადიციების მქონე სახელმწიფოებისათვის მიუღებელია.“²⁴ საქართველომაც ის გზა აირჩია, რომელიც ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისკენ არის მიმართული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლიდან გამომდინარე, როგორც ქონების დაზიანება, ისე ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების გამო გაზრდილი ხარჯები ფულთი ანაზღაურდება. სხვაგვარი ანაზღაურება მოქმედი სამართლით გამორიცხულია.

გამონაკლისია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, ქმედების განხორციელების მოთხოვნის უფლება, რაც გულისხმობს პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების უარყოფას მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებით, რა საშუალებებითაც ისინი გავრცელდა; ან, ცილისწამების გამო, სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნებას სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით, საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“²⁵ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. ამასთან, ცილისწამებით მიყენებული ზიანის გამო ბოდიშის მოხდა მკაფიოდ არის აკრძალული ამავე მუხლის მე-2 პუნქტით.

რომ შევაჯამოთ, ზოგადი წესით, „ქონებრივი სანქციის გამოყენებით ხდება უფლებადარღვეული პირის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა. როგორც წესი, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა შეესაბამება მიყენებული ზიანის ოდენობას, თუმცა აქაც შეიძლება არსებობდეს გამონაკლისები. სწორედ დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენაში ჩანს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკომპენსაციო ხასიათი“.²⁶ ეს კომპენსაცია მიყენებული ზიანის ფულადი ეკვივალენტია. ფულისთვის დამახასიათებელი უნივერსალურობის გამო, ფულში გამოხატული ვალდებულების შესრულება გადაცემადი კატეგორიაა, ამიტომ დელიქტური ვალდებულების მატარებელი პირის ჩანაცვლება შესაძლებელია.

²³ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 37.

²⁴ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, თბ., 2014, 676.

²⁵ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19, 15/07/2004.

²⁶ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2009, 53.

3. დელიქტური ვალდებულება, როგორც კრედიტორთა ინტერესის ნაწილი

3.1. ისტორიული ექსკურსი

ჯერ კიდევ რომის სამართალში, მართალია, შეზღუდული სახით, მაგრამ მემკვიდრეები პასუხს აგებდნენ მამკვიდრებლის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო.

აკვილიუსის (Aquillian)²⁷ სარჩელის მიხედვით, სამართალდამრღვევის გარდაცვალების შემთხვევაში, დელიქტების გამო, საქმე მემკვიდრეების მიმართ არ აღიძვრებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი მემკვიდრეები გამდიდრდნენ სამართალდარღვევის ხარჯზე. მაგრამ სამართალდამრღვევის წინააღმდეგ დაწყებული საქმის განხილვა გრძელდებოდა დაზარალებულის მემკვიდრეების სასარგებლოდ.²⁸

სტანდარტული საკუთრების მისაგებლები, ანუ ვინდიკაცია, მფლობელობის აკრძალვები და კლასიკურ რომის სამართლის *actio ad exhibendum* („ნივთის წარმოდგენის იძულების სარჩელები“) ხელმისაწვდომი იყო ქურდის ან მისი მემკვიდრის წინააღმდეგ;²⁹ *Actio furti*³⁰ შეიძლებოდა წარმართულიყო ქურდის, მაგრამ არა მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ.³¹

მემკვიდრეებზე არ გადადიოდა პირადი ხასიათის მოთხოვნები, როგორიც იყო *iniuria*³²-დან წარმოშობილი. სარჩელი (*actio iniuriarum*) ერთი წლის ვადაში უნდა აღძვრულიყო. თუ მოსარჩელე მეტხანს დაავიანებდა, შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ იგი განსაკუთრებით არ იყო განაწყენებული სამართალდარღვევის ჩადენით. მოპასუხე, რომელიც სამართალდამრღვევად იქნებოდა ცნობილი, ექვემდებარებოდა *infamia*-ს.³³ სარჩელი არ გადადიოდა მხარეთა მემკვიდრეებზე ან მათ წინააღმდეგ (*D.47.10.13.pr.*).³⁴

შუა საუკუნეების იურისტები მემკვიდრეებს ყველა სახელშეკრულებო მოთხოვნაზე პასუხისმგებლად მიიჩნევდნენ, თუმცა დელიქტური მოთხოვნების წარდგენა მათ წინააღმდეგ მხოლოდ მათი გამდიდრების ფარგლებში შეიძლებოდა. ასეთი შეზღუდული მიდგომა გაუმართლებელი იყო ზარალის ანაზღაურების მოთხოვნებთან მიმართებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, გადამწყვეტი ცვლილება კანონიკოსების შრომის შედეგად განხორციელდა, რომლებიც გარდაცვლილის მიერ ჩადენილი ცოდვების ანაზღაურებას მემკვიდრეების ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე მოვალეობად მიიჩნევდნენ. ისინი დელიქტური მოთხოვნების გაცემის შესაძლებლობას ხსნიდნენ მათ სახელშეკრულებო მოთხოვნებად გარდაქმნით – სამართალდამრღვევის მიერ სიკვდილის წინ მოძღვრისთვის მიცემული დაპირება ცოდვების გამოს-

²⁷ სტანდარტული პროცესი აკვილიუსის სამართლის მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ზიანის მიყენების გამო დაზარალებული პირისთვის. იხ. *Mousourakis G., Fundamentals of Roman Private Law, Berlin, 2012, 260.*

²⁸ *Du Plessis P. J., Borkowski's Textbook on Roman Law, 6th edition, Oxford, 2020, 330, 350.*

²⁹ იქვე, 337-338.

³⁰ ქურდობის გამო სარჩელი. იხ. იქვე, 338.

³¹ იქვე, 340.

³² რომში ტერმინი *iniuria* ფართო გაგებით ნიშნავდა უკანონობას ან უფლების არარსებობას. როგორც კონკრეტული დელიქტის სახელწოდებას, მას უფრო კონკრეტული მნიშვნელობა ჰქონდა: აღნიშნავდა თავისუფალი ადამიანის სხეულის, პატივის ან რეპუტაციის განზრახ და უკანონო ხელყოფას. იხ. *Mousourakis G., Fundamentals of Roman Private Law, Berlin, 2012, 263.*

³³ სანქციის სახეობა, რომელიც გამოიყენებოდა უხამსი ქცევის სხვადასხვა ფორმის მიმართ და მოიცავდა გარკვეულ სამოქალაქო შეზღუდვებს. იხ. *Mousourakis G., Fundamentals of Roman Private Law, Berlin, 2012, 98, sq. 58.*

³⁴ *Du Plessis P. J., Borkowski's Textbook on Roman Law, 6th edition, Oxford, 2020, 346.*

ყიდვის შესახებ განიმარტებოდა, როგორც დაზარალებულის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება.³⁵

3.2. თანამედროვე მიდგომები

თანამედროვე კონტინენტური სამართლის სესტემებში „მემკვიდრეს“ („heir“, „héritier“ „erede“, „heredero“, „herdeiro“, „Erbe“, „erfgenaam“) მკაცრად სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია: ის ნიშნავს პირს, ვინც მემკვიდრეობით იღებს გარდაცვლილი პირის მთელ აქტივებსა და ვალდებულებებს, როგორც უნივერსალური მემკვიდრე, რითაც განსხვავდება „ლეგატარი“-სგან, ვინც მხოლოდ სარგებელს იღებს ანდერძის საფუძველზე, და ვინც (გარდა *legata per vindicationem* შემთხვევისა) სარგებლის მისაღებად მემკვიდრეს უნდა მიმართოს. უნივერსალური მემკვიდრეობა, დომინანტური ანდერძის თავისუფლების მსგავსად, დამახასიათებელია ყველა ევროპული სამართლის სისტემისთვის, ინგლისური სამართლის ჩათვლით და ისიც რომის სამართლის მემკვიდრეა. უნივერსალური მემკვიდრეობის პრინციპი სავალდებულო ხასიათისაა და მოანდერძე მას ვერ გააუქმებს. მისი მიზანია გარდაცვლილის სამკვიდროს დაცვა იმგვარად, რომ შენარჩუნდეს გარდაცვლილის კრედიტორების მიერ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.³⁶

ქართულ „მემკვიდრეობის სამართალში, რომელიც მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის უნივერსალურობის პრინციპს ეფუძნება, 1330-ე და 1484-ე მუხლები, სხვებთან ერთად, დაცვითი ფუნქციის მატარებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამემკვიდრეო სამართლებრივ ურთიერთობებში მამკვიდრებლის ჩანაცვლებით ამ უკანასკნელის უფლება-მოვალეობებს მემკვიდრე ღებულობს და მხოლოდ ისეთი უფლება-მოვალეობებისაგან იქნება თავისუფალი, რაც ცალსახად და არაორაზროვნად მამკვიდრებლის პირადი უფლების (ვალდებულების) ხასიათიდან გამომდინარეობდა, მხოლოდ მისი მონაწილეობით იყო განხორციელებადი და მისთვის იყო განკუთვნილი.“³⁷

ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ვალდებულებები, რაც ფულის გადახდით შეიძლება შესრულდეს, ექცევა კრედიტორთა ინტერესში და უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, კრედიტორთა ინტერესიდან უნდა გამოირიცხოს პირადი ხასიათის ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ როდესაც საქმე გვაქვს პირად ვალდებულებასთან, ის არ უნდა წარმოვიდგინოთ პირადი უფლების ანტიპოდად. სამართლის მეცნიერებაში „აქტუალური გახდა საკითხი, თუ რამდენად არის ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები „წმინდად“ პიროვნული უფლებები³⁸ და იცავს თუ არა იგი მის ეკონომიკურ ინტერესებსაც.“³⁹ გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ადამიანის ღირსების უფლებიდან მომდინარე პიროვნული უფლების ერთი-

³⁵ Vukotić M., A Comparative Perspective on the Liability of Heirs, Anali Pravnog Fakulteta U Beogradu, 1/2024, 54 <https://anali.rs/xml/202-/2024c/2024-1c/Anali_2024-1c-04.pdf> [04.11.2025].

³⁶ Reid K. G C., Schmidt J. P., Zimmermann R., Administration of Estates, Reid K. G C., Schmidt J. P., Zimmermann R. (eds.), Oxford, 2025, 3, 299.

³⁷ ბერეკაშვილი დ., სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2020, 143. <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Diana_Berekashvili.pdf> [25.09.2025].

³⁸ „ეს ისეთი აბსოლუტური უფლებებია, რომელნიც ყველა ადამიანს აქვს და რომელთა მეშვეობით ხდება მისი ღირსების, პატივისა და ინდივიდუალობის პატივისცემა.“ იხ. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 97.

³⁹ ქათამაძე ნ., პირადი არაქონებრივი უფლების ქონებრივი ღირებულების განსაზღვრის პრობლემა სამოქალაქო ბრუნვაში, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2020, 167.

ან და ზოგად ცნებაში უნდა იქნეს მოაზრებული პიროვნულობის ისეთი მახასიათებლები, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა უფლების მფლობელის მიერ გადანაცემების მიღება, შეიძლება მათი სამოქალაქო ბრუნვაში დაშვება და მემკვიდრეობით გადაცემაც. ეს შესაძლებელია ეხებოდეს სახელის, საქმიანი რეპუტაციის ან პიროვნულობის სხვა მახასიათებლების, ხმის, სასცენო სახის, იმიჯის უფლებას.⁴⁰ ამასთან, „უფლებათა მეორე კატეგორიად უნდა გამოიყოს ე. წ. წმინდა პიროვნული უფლებები, რომლებიც თავიანთი იდეალური ღირებულების გათვალისწინებით, წარმოშობენ მხოლოდ დაცვის უფლებას, სწორედ ამ ნაწილის მიმართ უნდა გავრცელდეს სსკ-ის მე-19 მუხლითა და «სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი აკრძალვა გარდაცვალების შემდეგ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების გამორიცხის შესახებ უფლების პიროვნებასთან მჭიდრო კავშირის გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ ტიპის უფლების მქონე სუბიექტის მემკვიდრეები დარღვევისას აღჭურვილნი არიან მხოლოდ დაცვითი ბერკეტებით, რაც არ გულისხმობს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამოსილებას.“⁴¹ ამ დასკვნებიდან გამომდინარე, თუ პიროვნული უფლების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა გამონაკლისად შეიძლება განვიხილოთ, პირადი ვალდებულების მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთაც გამოჩნდა, ასეთი გამონაკლისი დაშვებული არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის პირველი ნაწილი კრძალავს ვალდებულების მემკვიდრეებისთვის გადაცემას, თუ ეს ვალდებულება მხოლოდ მამკვიდრებლის პირადი მონაწილეობით შეიძლებოდა შესრულებულიყო. „453-ე მუხლი ერთ კონკრეტულ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. კერძოდ, ეს ხდება მაშინ, როცა ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, თუ გარდაიცვალა მწერალი, რომელსაც გამომცემლობასთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ახალი რომანი, რომელსაც ის წერდა ამ გამომცემლობას უნდა გამოეცა, მაგრამ მწერალი ისე გარდაიცვალა, რომ რომანის დამთავრება ვერ მოასწრო. 453-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით შეუძლებელია, რომ ეს ვალდებულება მემკვიდრემ შეასრულოს.“⁴² სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრედიტორების მოთხოვნის უფლება არ შეიძლება გავრცელდეს იმ ვალდებულებებზე, რაც შეიძლება მხოლოდ კრედიტორის პირადი მონაწილეობით შესრულდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 453-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, ეს ვალდებულება სახელშეკრულებოა და პირადად შესასრულებელ ისეთ ვალდებულებას გულისხმობს, რასაც ქონებრივი ინტერესი უკავშირდება. აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგალითად, პირადად შესასრულებელი ისეთი დელიქტური ვალდებულება, როგორიც არის ცნობების უარყოფა მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებით, რა საშუალებებითაც ისინი გავრცელდა. თუ 453-ე მუხლი მხოლოდ პირადად შესასრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებას გამორიცხავს მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესის არეალიდან, ხოლო 1484-ე მუხლი ამ ინტერესს ყოველგვარ ქონებრივ ვალდებულებას უკავშირებს, მხოლოდ პირადი მონაწილეობით შესასრულებლის გარდა, **არაფერი ეწინააღმდეგება იმას, რომ კრედიტორთა ინტერესი დელიქტურ ვალდებულებებზეც გავრცელდეს და ამ ვალდებულებე-**

⁴⁰ იქვე, 175.

⁴¹ იქვე, 175-176.

⁴² *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, *ჭანტურია ლ. (მთ. რედ.)*, თბ., 2001, 565.

ბიდან მხოლოდ ის გამოირიცხოს, რაც ისეთი ქმედების განხორციელებით შეიძლება გამოიხატოს, როგორც ცნობების უარყოფა ან მსგავსია.

4. მემკვიდრეობის ქონებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვა სამკვიდრო აქტით

როგორც აღინიშნა, მემკვიდრეობი მამკვიდრებლის ვალდებულებებისთვის პასუხს სამკვიდრო აქტის ფარგლებში აგებენ, ამასთან თავიანთი წილის პროპორციულად.

აღსანიშნავია, რომ როგორც კონტინენტური სამართლის, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში კრედიტორთა დაკმაყოფილება ხდება მიღებული სამკვიდრო ქონების ფარგლებში.⁴³ სხვებს შორის, სამკვიდრო ქონებიდან ხდება გარდაცვლილის დელიქტური ვალდებულებების დაკმაყოფილება. ინგლისში გამოჩნდის ცილისწამების და შეცდენის შესახებ მოთხოვნები.⁴⁴ შედარებით იშვიათად, მაგალითად ავსტრიის კანონმდებლობით, შესაძლებელია, მემკვიდრემ მთელი თავისი ქონებით აგოს პასუხი გარდაცვლილის ყველა ვალზე, შეზღუდვად.⁴⁵

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მემკვიდრეობის სამართლის ისტორია იცნობს მალიგორად გაყოფის წესს, რაც უნივერსალური მემკვიდრეობის პრინციპის ჩანასახად უნდა ჩაითვალოს. „მალიგორად გაყოფა ნიშნავდა გარდაცვლილი პირის ვალაუვალობისას მისი კრედიტორების დაკმაყოფილებას ქონებისა და ვალების თანაფარდობის მიხედვით. მოვალის ქონების მალიგორად გაყოფით კრედიტორების დაკმაყოფილება ხდებოდა გარდაცვლილი მოვალის ქონების პროპორციის მიხედვით მის ვალებთან. ვალი მოვალის მემკვიდრეების ქონებაზე არ გადადიოდა. თუ ვალების გადასახდელად, მოვალის ქონება საკმარისი არ აღმოჩნდებოდა ვალის ნაწილი აუნაზღაურებელი რჩებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ერთ-ერთი წიგნის 137-138-ე მუხლებით დადგენილი იყო მოვალის გარდაცვალებისას ქონების მალიგორად გაყოფის წესი: „137. თუ კაცი ამოვარდეს და აღარა დარჩეს ეს, რაც საქონელი დარჩეს, მალიგორად უნდა, – რამდენიც მოვალე იყოს ისრე გაიყონ, რა გინდ ბევრი ემართოს, რაც დარჩომია, ის არის ...“. „138. თუ ქალს მეტი არა დარჩეს რა და საქონელიც დარჩეს, ცოტა რამე სარჩო იმ ქალს უნდა მისცენ და სხვა მოვალეებს მალიგორად გაუყონ. მაგრამ თუ საქონელი არა დარჩა რა, ქალს არა ეთხოება რა. თუ საქონელი და ნასყიდი რამ დარჩა, მოვალეს იქიდან მიეცემის, თორემ სამკუიდრო მამულიდან ბატონი არ მისცემს.“⁴⁶

აღნიშნულიდან დგინდება, რომ საქართველოში ოდითგანვე დაცული იყო გარდაცვლილის კრედიტორთა ინტერესები და ისინი სამკვიდროს ფარგლებში კმაყოფილდებოდნენ.

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლით, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტიდან. „სამკვიდროში შედის და სამკვიდრო აქტივს წარმოადგენს მამკვიდრებლის ქონებრივი უფლე-

⁴³ ზემოთ, სქ. 36.

⁴⁴ Schwind M. A., Liability for Obligations of the Inheritance, in: International Encyclopedia of Comparative Law, vol. V, Succession, Neumayer K. H., Drobnig U. (eds.), Tübingen, 2018, 8-6.

⁴⁵ Lintl A., Austria, in: European Succession Laws, 2nd edition, ed. by Hayton D., Cornwall, 2002, 34.

⁴⁶ უჯმაჯურიძე ი., მალიგორად გაყოფა, ენციკლოპედიაში „საქართველო“, მეხუთე ტომი, თბ., 2023, 482.

ბები (საკუთრების უფლება, მფლობელობის უფლება, აღნაგობის უფლება, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და სხვ.). სამკვიდროში შედის ასევე ის ქონებრივი მოვალეობები, რომლებიც მამკვიდრებელს ჰქონდა და სიცოცხლეში არ შეუსრულებია (მაგალითად, მამკვიდრებლის მიერ ნასესხები ფულის დაბრუნების მოვალეობა).⁴⁷

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლიდან გამომდინარე, „ყველა ქონებრივი უფლება და მოვალეობა არ შედის სამკვიდროში. კერძოდ, სამკვიდროში არ შედის ისეთი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათის გამო მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს.“⁴⁸

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მამკვიდრებლის კრედიტორებმა თავიანთი მოთხოვნები შეიძლება მიაქციონ მხოლოდ სამკვიდრო აქტივზე, რაც მამკვიდრებელს ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. აღნიშნულიდან მკაფიოდ გამომდინარეობს, რომ **კრედიტორები დელიქტური ვალდებულების შესრულებას მემკვიდრეების პირადი ქონებიდან ვერ მოითხოვენ.**

5. კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილების საპროცესოსამართლებრივი საკითხები

5.1. კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით მოთხოვნათა წარდგენის ვადები

სამკვიდროს მიღების დროისთვის უცნობი პრეტენზიების მოგვიანებით წარდგენამ მემკვიდრეები შეიძლება გაუთვალისწინებელი ფინანსური წნეხის ქვეშ მოაქციოს.⁴⁹ ამიტომ მემკვიდრეების პასუხისმგებლობის შეზღუდვის ერთ-ერთ ფორმად გვევლინება ხანდაზმულობის ვადა.

როგორც აღინიშნა, სამართლის ძირითად სისტემებში სამკვიდრო პასივიდან დელიქტური ვალდებულებები არ გამოირიცხება. როგორც წესი, ასეთი ვალდებულებების გამო მოთხოვნები კრედიტორებმა ხანდაზმულობის ვადაში უნდა წარადგინონ, ეს ვადა ქვეყნების კანონმდებლობით დგინდება.

მაგალითად, უნგრეთში, კრედიტორებისთვის სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის ვადა 5 წელს შეადგენს სამკვიდროს დაუფლების დღიდან. ეს სარჩელები მოიცავს ყველა დაუკმაყოფილებელ ვალდებულებას, რომლებიც არ არის პირადი ხასიათის, იმის მიუხედავად, ვადამოსული იყო თუ არა სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის, თუ მოგვიანებით დადგა მათი შესრულების ვადა.⁵⁰

გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, კრედიტორების მიმართ, რომლებიც თავიანთ მოთხოვნებს გარდაცვალებიდან ხუთ წელზე მეტი ხნის შემდეგ წარადგენენ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს „დუმისის გამო“ შესაგებელი (*Verschweigungseinrede*): მემკვიდრეს შეუძ-

⁴⁷ ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, *ჭანტურია ლ. (მთ. რედ.)*, თბ., 2000, 383.

⁴⁸ იქვე, 385.

⁴⁹ Vukotić M., A Comparative Perspective on the Liability of Heirs, *Anali Pravnog Fakulteta U Beogradu*, 1/2024, 65 <https://anali.rs/xml/202-/2024c/2024-1c/Anali_2024-1c-04.pdf> [04.11.2025].

⁵⁰ Reid K. G C., Schmidt J. P., Zimmermann R., *Administration of Estates*, ed. by: Reid K. G C., Schmidt J. P., Zimmermann R., Oxford, 2025, 288.

ლია უარი თქვას მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, თუ აქტივები ამონურულია სხვა ვალდებულებების შესრულების გამო [გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (გსკ), §1974].⁵¹

თურქეთის ახალი სამოქალაქო კოდექსით, რომელიც 2002 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, მემკვიდრეები სრულად აგებენ პასუხს გარდაცვლილის ვალეზზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აჭარბებს გარდაცვლილის აქტივების ღირებულებას. ამასთან, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას თავის წილზე მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ შეტყობიდან სამი თვის ვადაში. მემკვიდრეებს ასევე შეუძლიათ მოითხოვონ სამკვიდროს ოფიციალურად განადგურება, თუ არცერთი არ არის მზად სამკვიდროს მისაღებად.⁵² შესაბამისად, კრედიტორებმა აღნიშნულ ვადაში უნდა შეძლონ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება, სხვა შემთხვევაში შეიძლება, მათ ვერ მიაღწიონ აღსრულებას სამკვიდრო ქონების ხარჯზე.

ნიშანდობლივია, რომ ბელგიის კანონმდებლობით მემკვიდრეს 30 წლის განმავლობაში აქვს ოფციის⁵³ განხორციელების უფლება. იმის გამო, რომ სამკვიდროს მიღების ფორმა გავლენას ახდენს მის პასუხისმგებლობაზე მამკვიდრებლის ვალდებულებების გამო, შესაძლებელია, რომ სამკვიდროს მიმართ მოთხოვნების ბედი ამ ვადის ამონურვის თარიღსაც დაუკავშირდეს.⁵⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე. „სამკვიდროს გახსნის დროსთან დაკავშირებულია სამკვიდროს მისაღებად მემკვიდრეთა რიცხვის, სამკვიდროს შემადგენლობის განსაზღვრა, სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმის, კრედიტორთა მიერ პრეტენზიების წაყენების, სამკვიდრო მონუმობის გაცემის ვადები და სხვ.“⁵⁵

ამავე კოდექსის 1488-ე მუხლის თანახმად, 1. მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად.

2. თუ მემკვიდრეების კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან.

3. ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას.

„კრედიტორთა მოთხოვნების განსხვავებული ვადებია დადგენილი იმისდა მიხედვით, ცნობილი იყო თუ არა კრედიტორებისათვის სამკვიდროს გახსნის შესახებ. როცა კრედიტო-

⁵¹ Vukotić M., A Comparative Perspective on the Liability of Heirs, Anali Pravnog Fakulteta U Beogradu, 1/2024, 65 <https://anali.rs/xml/202-/2024c/2024-1c/Anali_2024-1c-04.pdf> [04.11.2025].

⁵² Ansay T., Law of Succession, in: Introduction to Turkish Law, ed. by Ansay T., Wallace D. Jr. (eds.), 6th Edition, Alpen aan den Rijn, 2011, 144.

⁵³ არჩევანის უფლება სამკვიდროს მიღების ფორმასთან დაკავშირებით. ოფციის გარდაცვლილის მიერ განსაზღვრა შეუძლებელია. იხ. Verboke A., Zantbek von A., Belgium, in: European Succession Laws, 2nd edition, ed. by Hayton D., Cornwall, 2002, 37-38.

⁵⁴ Reid K. G C., Schmidt J. P., Zimmermann R., Administration of Estates, ed. by: Reid K. G C., Schmidt J. P., Zimmermann R., Oxford, 2025, 110.

⁵⁵ ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, ჟანტურია ლ. (მთ. რედ.), თბ., 2000, 375.

რებისათვის ცნობილი იყო, რომ სამკვიდრო გაიხსნა, მაშინ მათ მოთხოვნა უნდა წარადგინონ ექვი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს მოთხოვნის ვადა დამდგარია თუ არა.⁵⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან შეგვიძლია მივუთითოთ საქმეზე,⁵⁷ რომლის მიხედვით, „2007 წლის 20 ივნისს, დაახლოებით 16.25 საათზე, ... საავტომობილო გზის მესამე კმ-ზე ... ავტომანქანა «მერსედეს-ბენც 200» ..., რომელსაც მართავდა თ.მ-ძე, გადავიდა საპირისპირო მარჯვენა მხარეს და შეეჯახა მოძრავ ავტომანქანა «ფორდ-ტრანზიტს» ..., რომელსაც მართავდა ო.ფ-ძე.

შეჯახების შედეგად გარდაიცვალა ავტომანქანა «მერსედესის» მძღოლი თ. მ-ძე.

საქმეზე ჩატარებული ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ... თ.მ-ძის მოქმედება არ შეესაბამებოდა მოძრაობის წესების 30.1 მუხლის მოთხოვნებს, რომლის დაცვის შემთხვევაშიც, შესაძლებელი იქნებოდა ავტოავარიის თავიდან აცილება. ...

ავტოავარიის შედეგად ო.ფ-ძემ მიიღო სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხასიათის დაზიანება, კერძოდ აღენიშნებოდა ცხვირის ძვლის, ორთავე ყვრიმალის, ზედა ყბების, ქვედა ყბის სასახსრე თავების ორმხრივ მოხეტილობები, მარჯვენა სახსრის თავის ამოვარდნილობა, ორთავე თვალბუდის ჰემატომა, თავის ქალის მძიმე ტრავმა, ტვინის დაუფიქლობა, სახის მრავლობითი ესკორაციები.

... ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის სამკურნალოდ ო.ფ-ძემ გადაიხადა 2089.88 ლარი. ავტომანქანის საჯარიმოზე დგომისა და ევაკუატორის გამოძახებისათვის გადახდილ იქნა 108 ლარი, 6060 ლარის ღირებულების ზიანი მიადგა ავტომობილს.

ი., ლ. და ა. მ-ძეები არიან თ. მ-ძის მემკვიდრეები, რომლებმაც ფაქტობრივად მიიღეს სამკვიდრო.

[სააპელაციო] პალატამ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლის თანახმად მიიჩნია, რომ 2007 წლის 20 ივნისს გაიხსნა თ. მ-ძის სამკვიდრო, ო. ფ-ძეს 2007 წლის 20 დეკემბრამდე მოთხოვნა მემკვიდრეებისათვის არ წარუდგენია, არ აღუძრავს სარჩელი და არც სახელმწიფო ოგანოებისთვის მიუმართავს სამოქალაქო უფლებების დასაცავად. შესაბამისად, ო.ფ-ძის მოთხოვნა ხანდაზმულია.“

საკასაციო საჩივრის განხილვისას საკასაციო პალატამ ხაზი გაუსვა, რომ „სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას სასამართლო დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებს, რომლის თანახმად მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. ამ წესის დაუცველობა იწვევს მოთხოვნის უფლების დაკარგვას. პალატა თვლის, რომ მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის – მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩე-

⁵⁶ იქვე, 516.

⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № ას-143-136-10.

ლო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი შეიძლება არ დააკმაყოფილს სასამართლომ თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე გააკეთებს მითითებას ამის თაობაზე.^{58,59}

5.2. მტკიცების ტვირთი, მტკიცებულებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, დელიქტური ვალდებულება სანქციის სახეს ატარებს და, როგორც წესი, სამართალწარმოების შედეგად ეკისრება პირს. ამ ვალდებულების დადასტურება შეიძლება გართულდეს, როდესაც ვალდებულ პირებად მემკვიდრეები გვევლინებიან. მოსალოდნელია, რომ მემკვიდრეები წარადგენენ მოთხოვნის გამომრიცხველ შესაგებელს, სხვებს შორის, მიუთითებენ ხანდაზმულობაზე. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება მემკვიდრის არა უფლება, არამედ ვალდებულებაა, თუ იგი არ მიუთითებს ხანდაზმულობის ფაქტზე, დაკარგავს ამ საფუძველით მამკვიდრებლის დელიქტური ვალდებულებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას.⁶⁰

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის მტკიცების ტვირთი აკისრია მამკვიდრებლის კრედიტორებს.⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმიდან გამომდინარე, რომ კრედიტორის მიერ წარსადგენი მტკიცებულებაა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. თუმცა, რადგან ამ განჩინებით დელიქტური ვალდებულების დადასტურებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხები არ დადგენილა და საბოლოოდ სარჩელი ხანდაზმულობის საფუძველით არ დაკმაყოფილდა, მიუვითითებთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაზე.⁶²

გადაწყვეტილების ანალიზით დგინდება, რომ სარჩელი აღიძრა პირის მემკვიდრეების წინააღმდეგ, რომელმაც გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა, შემხვევის შედეგად კი, თვითონ გარდაიცვალა. ამასთან, შემთხვევის შედეგად, მოსარჩელის ქონებას, კერძოდ, სპეციალიზებულ ავტომობილს, მიაღდა 95 000 ლარის ოდენობით⁶³ ზიანი. ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ მემკვიდრეებს მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში, თითოეულის წილის პროპორციულად.

⁵⁸ აღნიშნული განჩინების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები.

⁵⁹ საკასაციო სასამართლომ განჩინებაში ასევე აღნიშნა შემდეგი: „შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მიერ ამ ინსტიტუტთა მნიშვნელობა არასწორადაა გაგებული და შესაბამისად არასწორადაა განმარტებული გამოყენებული ნორმის შინაარსი, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგან ამონაწერი პრეტენზიის წარდგენის ვადა, რის გამოც მოსარჩელეს დაკარგული აქვს მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ.“

⁶⁰ იხ. ზემოთ, თავი 5.1., სქ. 56, დამატებით: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-171-160-2017 და მასში მითითებული სხვა საქმეები.

⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № 3კ/441-01, სამოტივაციო ნაწილი.

⁶² გადაწყვეტილების ელექტრონული ასლი, დეპერსონალიზებული ფორმით, სხვებს შორის, საქმის ნომრის დაფარვით, მომენოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 22.09.2025, № 2-0185/11815211 წერილით.

⁶³ მოსარჩელემ ზიანი გამოთვალა, როგორც სხვაობა ავტომობილის დაზიანებამდე ფასსა და დაზიანებულ მდგომარეობაში ფასს შორის.

საქმის „შესაგებელში მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლზე და განმარტებულია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში კონკრეტული ზიანის დადგომაში არა მხოლოდ დამზიანებელს, არამედ ასევე დაზარალებულსაც შეაქვს თავისი «წვლილი». 415-ე მუხლიდან სამართლებრივი შედეგის სახით გამომდინარეობს, რომ ზიანი დაზარალებულსა და დამზიანებლის პასუხისმგებლობის თანაფარდობის საფუძველზე უნდა გადანაწილდეს მათ შორის. ...

დაზუსტებულ შესაგებელში მოპასუხე ... ასევე აღნიშნავს, რომ მოპასუხეები არ არიან კრედიტორები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლიდან გამომდინარე. კრედიტორი შეიძლება არსებობდეს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო დელიქტურ ვალდებულებებში კრედიტორად რომ იქნეს პირი მიჩნეული, უნდა არსებობდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, სხვაგვარად დელიქტურ შემთხვევებში პირი კრედიტორად ვერ იქნება მიჩნეული.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის ... წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო.⁶⁴

მხარეთა ახსნა-განმარტებასთან ერთად, სასამართლო ძირითადად დაეყრდნო საქმეზე წარდგენილ შემდეგ მტკიცებულებებს: გარდაცვალების მოწმობა, სამკვიდრო მოწმობა, გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის დასკვნა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნები ფოტოსურათებით, დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „იმის მიუხედავად, რომ არ არის წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული შემაჯამებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოძიების დროს მიცემულ გამოკითხვის ოქმებს, როგორც კანონიერ წერილობით მტკიცებულებებს, შეაფასებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.“ სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა, რომ: „მოპასუხეს არ წარმოუდგენია -----⁶⁵ მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. წარმოდგენილი მტკიცებულებები შეეხება მხოლოდ -----⁶⁶ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის საკითხს.⁶⁷

სასამართლომ მამკვიდრებლის ბრალეულობა თვითონ შეაფასა. გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების ნაწილის მიხედვით: „ქმედების მართლწინააღმდეგობა დადგენილია ექსპერტიზის დასკვნით, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2021 წლის 10 თებერვლის დასკვნის მიხედვით, ექსპერტმა კატეგორიულად დაასკვნა, რომ მძღოლ ----- მოქმედება არ შეესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

⁶⁴ აღნიშნული გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი.

⁶⁵ როგორც ჩანს, მოსარჩელის მძღოლი.

⁶⁶ როგორც ჩანს, მამკვიდრებლის.

⁶⁷ ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღნიშნა შემდეგი: „მოპასუხის მიერ ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილ მითითებაზე ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სასამართლო არ იმსჯელებს, როგორც დავგვიანებით წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე.“

გარდა ამისა, წარმოდგენილია გამოკითხვის ოქმი, რომელიც ასახავს თვითმხილველი პირის --- განმარტებას. მისი გადმოცემით, ცემენტშიდს დაეჯახა მაღალი სიჩქარით მოძრავი «მიცუბიშის» მარკის ავტომანქანა, რომელიც გადავიდა საპირისპირო ზოლში. ამ მტკიცებულებების საწინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხეს არ წარმოუდგენია.“

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ: „ბრალეულობის შეფასებისას მონმდება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ნების და ყურადღებანიანობის ხარისხი. ამის მიხედვით განისაზღვრება, იგი განზრახ მოქმედებდა, თუ გაუფრთხილებლობით. ამასთან, პირის ბრალეულობა მხოლოდ ქმედების შედეგისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით არ მონმდება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიზნისთვის, პირის სუბიექტურ განწყობასთან ერთად, მხედველობაში მიიღება ობიექტური კრიტერიუმები, ანუ პასუხისმგებლობის მიზნისთვის პირის ბრალეულად მიჩნევისას, ასევე მონმდება კონკრეტულ გარემოში მოქმედი გარემოებები, ამ გარემოებების გავლენა პირის ქმედებაზე. სასამართლომ სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმათა სისტემური და ლოგიკური განმარტების გზით უნდა განსაზღვროს ვალდებული პირის მიერ საკუთარი ქმედების შეფასების, ქმედებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი – ბრალი და ისე შეუფარდოს შესაბამისი ნორმა მხარეთა მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ ვითარებას.

საქმის გარემოებების შეფასების შედეგად, სასამართლო ასკვნის, რომ ზიანი, რაც გამოიხატა მოსარჩელის კუთვნილი სპეციალური ავტომანქანის დაზიანებით, მიყენებულია მოპასუხეთა მამკვიდრებლის ---- ბრალეული ქმედების შედეგად. საქმეზე არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომ --- ავტომანქანას მართავდა ისეთ მდგომარეობაში, რაც გამოიწვია მის ბრალეულობას.

მოპასუხე მხრის მიერ შესაგებელში მითითების მიუხედავად, ვერ დადასტურდა, რომ ზიანის მიყენებაში ---- გარდა, სხვა პირი, თუნდაც მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანის მძღოლიც, მონაწილეობდა.“

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი ტიპის საქმეებში მტკიცებულებებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ მამკვიდრებლის მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“⁶⁸ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

საგზაოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ზიანის მიყენების გარდა, სხვა დელიქტის, მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების საქმეზეც იგივე მნიშვნელობის უნდა იყოს ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ გარდაცვლილის მოქმედება ზიანის მიყენების მომენტში წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგოს და არ არსებობს მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოება, როგორიც არის, მაგალითად, აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, გარდაცვლილის ფსიქიკური აშლილობა და სხვა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დელიქტის გამო მემკვიდრეების მიმართ წარდგენილ სარჩელზე მოსარჩელის მიერ მტკიცებულებების მოპოვება პრაქტიკაში სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. დელიქტები, რომელსაც ბრალეული პირის გარდაცვალება მოჰყვა, როგორც წესი, დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. საქართველოს სისხლის სამართლის

⁶⁸ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ გვერდი, 03/01/2014.

საპროცესო კოდექსის⁶⁹ 56-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაზარალებული მონმის უფლება-მოვალეობებით სარგებლობს, ამიტომ გამოძიების მიმდინარეობისას მას ხელი არ მიუწვდება სისხლის სამართლის საქმის მასალებზე, რომელთა შორის ინახება უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები ან საქმის მასალები შეიცავს მტკიცებულებების მოპოვებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოს დახმარება მოსარჩელისთვის შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

6. საქართველოსა და გერმანიის სასამართლო პრაქტიკის ნიმუშების მიმოხილვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის ლაკონურობის გათვალისწინებით, „კრედიტორთა ინტერესების“ შინაარსის დასადგენად სასამართლო პრაქტიკას შეუძლებელი მნიშვნელობა აქვს. სასამართლოს როლი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ „ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სანქციის შინაარსს ქმნის. ამიტომ ამ შინაარსში რაც უფრო მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ორივე მხარის ინტერესები, სანქცია მით უფრო ცხოველმყოფელია.“⁷⁰ სამწუხაროდ, საქართველოში მემკვიდრეების დელიქტურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრაქტიკა მწირია, ამიტომ კვლავაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოთ დასახელებულ გადაწყვეტილებაზე მივანიშნებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ „1484-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, მემკვიდრეები ვალდებული არიან სამკვიდრო აქტივის ფარგლებში, აქტივში თავიანთი წილის პროპორციულად, დააკმაყოფილონ ყველა კრედიტორი. კრედიტორში იგულისხმება როგორც ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე, რომელსაც გააჩნდა მოთხოვნის უფლება გარდაცვლილი პირის მიმართ, ისე ნებისმიერი არაპირადი ხასიათის მოთხოვნის მქონე პირი, რომელსაც ეს მოთხოვნა კანონის ან დელიქტის საფუძველზე წარმოეშვა.

ამ განმარტებისას სასამართლო ემყარება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ განმარტებასაც, რომლის მიხედვით: «მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამონაცვლეობის ყველაზე გავრცელებულ სახეს სწორედ სამემკვიდრეო ურთიერთობები წარმოადგენს და ამ შემთხვევაში, მემკვიდრის პასუხისმგებლობის ფარგლები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით» (იხ. სუსგ: № ას-650-616-2015, 26.07.2017 წ. §21, № ას-567-538-2015, 16.10.2015წ. §1.4., № ას-461-435-2014, 30.08.2014, §33).

2021 წლის 29 ოქტომბერს გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონმობის მიხედვით, სამკვიდრო ქონება მთლიანად შეფასებულია 784 440 ლარად. სასარჩელო მოთხოვნა შეადგენს 95 000 ლარს. შესაბამისად, მიღებული სამკვიდრო აქტივით იფარება სასამართლოს მიერ დადასტურებული დელიქტური ვალდებულება.“

ამ გადაწყვეტილებიდან უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით გათვალისწინებულ „კრედიტორთა ინტერესებს“ შორის შეუზღუდავად ექცევა მემკვიდრეთა ქონებრივი დელიქტური ვალდებულებები. ამასთან, რამდენიმე მემკვიდრის

⁶⁹ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009.

⁷⁰ ზოიძე ბ., ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, თბ., 1989, 7.

არსებობის შემთხვევაში, თითოეულის ვალდებულების მოცულობა სამკვიდროში მათი წილების პროპორციულად განისაზღვრება. მათი პასუხისმგებლობა სოლიდარული არ არის.

მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფარგლებთან დაკავშირებით, საინტერესო საქმე იძებნება გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში, რომელზეც გადაწყვეტილება გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ (**Bundesgerichtshof, BGH**) 1962 წლის 20 თებერვალს მიიღო.⁷¹ საქმის გარემოებების მიხედვით, მოპასუხის ბრალით მომხდარი საგზაო შემთხვევის შედეგად, პირი სასიკვდილოდ დაშავდა და 4 საათის შემდეგ გარდაიცვალა. გარდაცვლილის ერთადერთი მემკვიდრეები იყვნენ: მისი მეუღლე და ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან (თითოეულმა სამკვიდროს 1/2 მიიღო) გარდაცვლილს დანიშნული ჰყავდა ანდერძის აღმასრულებელი. გარდაცვლილი იყო მენარმე და მართავდა შოკოლადის ქარხანას. შემთხვევის დროს იგი აშენებდა საკუთარ საწარმოს ობიექტს და შეკვეთილი ჰქონდა დაახლოებით 900 000 გერმანული მარკის (DM) ღირებულების დანადგარები. მას გადახდილი ჰქონდა ავანსი. შეკვეთა ასევე შეიცავდა სხვა ორი საწარმოს მიერ შეკვეთილ დანადგარებს, დაახლოებით DM 332 000-ის ღირებულებით (რისთვისაც გარდაცვლილს წინასწარ გადახდილი ჰქონდა DM 75 000). მენარმის გარდაცვალების შემდეგ აღმასრულებლის და მემკვიდრეების ერთობლივი გადაწყვეტილებით, შეკვეთები გააუქმეს. მიმწოდებლებმა დანადგარის სხვა მყიდველები გამოიყვანეს, მაგრამ მოითხოვეს DM 61 000 ზიანის ანაზღაურების მიზნით (მიუღებელი შემოსავალი და მათი წარმომადგენლისთვის გადახდილი საკომისიო). მოლაპარაკების პროცესში მემკვიდრეებმა დაადასტურეს, რომ გადაიხდიდნენ DM 10 000-ს კომპენსაციის სახით. აღმასრულებელმა აღძრა სარჩელი და მოითხოვა DM 10 000-ის მოპასუხისთვის დაკისრება. საქმის განხილვის დროს მოპასუხემ აღნიშნა, რომ მიმწოდებლისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების საფუძველი წარმოიშვა მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ და მემკვიდრეების მიერ დამოუკიდებლად იყო მიღებული გადაწყვეტილება პროექტიდან გასვლის და შეკვეთილი დანადგარების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. მიმწოდებლებთან ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამოუწვევია არც მენარმისთვის ზიანის მიყენებას და, არც მის გარდაცვალებას. მეტიც, გარდაცვლილს არ გააჩნდა მოთხოვნა სამართალდამრღვევის მიმართ, რაც შეიძლებოდა მემკვიდრეებს გადასცემოდათ, მოსარჩელემ აღძრა მესამე პირის სარჩელი, რაც მიზეზობრივ კავშირში არ ყოფილა კაუზატიურ გარემოებასთან.

სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ. BGH-ის მიერ საკასაციო საჩივარი უარყოფილ იქნა. უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მენარმეს სატრანსპორტო შემთხვევიდან გარდაცვალებამდე მისი მემკვიდრეებისთვის რომ განეცხადებინა, რომ არ მიელოთ შეკვეთილი დანადგარები, ისინი ვერ მოითხოვდნენ კომპენსაციის გადახდას სამართალდამრღვევისგან მიმწოდებლისთვის ანაზღაურების გადახდის მიზნით. სასამართლოს არგუმენტაციის მიხედვით, გარდაცვლილის ქონება, რაც ბგბ-ს §1922-ის მიხედვით, მის მემკვიდრეებს გადაეცემათ, მოიცავს ყველა სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ ქონებას (*wertbezogenen Rechtsverhältnisse*), რაც პირს გააჩნდა გარდაცვალების მომენტში. ეს ასევე მოიცავს უფლებებს და ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშვა სამკვიდროს გახსნის შემდეგ იმ სამართლებრივ

⁷¹ საქმე VI ZR 65/61 იხ. NJW 1962, № 20, 911-912, ციტირებულია – *Borysiak W.*, §18 – Succession of Claims for Compensation for Property Damage Resulting from the Death of a Business Owner in: Shaping the Status of Heirs by Contractual Components under the Polish and German Inheritance Law, Comparative Challenges and the Perspective of Approximation of Legal Systems, *Bartosz K., Macierzyńska-Franaszczuk E., Rott-Pietrzyk E., Fryderyk Z.* (eds.), Osnabrück, 2023, 207, fr. 1.

ბივი ურთიერთობის გათვალისწინებით, რაშიც გარდაცვლილი იმყოფებოდა გადაცვალების მომენტში. კერძოდ, ბგბ-ს §1922-ის მე-2 პუნქტის მიხედვით, მემკვიდრეები პასუხისმგებლები არიან გარდაცვლილის სიკვდილის შემდეგ წარმოშობილ ვალეზზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გარდაცვლილმა მხოლოდ ვალდებულების წარმოშობის ვითარება შექმნა, მაგალითად, ზიანის მიყენებით, მაგრამ შედეგი, რაც ვალიდებულების აღებას მოჰყვა, წარმოიქმნა სამკვიდროს გახსნის შემდეგ. თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს საპირისპირო საქმეში, როდესაც ზიანი მიაყენეს გარდაცვლილს, რამაც მისი ყოფილი ქონების შემცირება გამოიწვია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამკვიდრო გაიხსნა. ეს ზიანი გარდაცვლილს პირადად არ შეეხება, ამიტომ ის არ შეიძლება გადაეცეთ მემკვიდრეებს.

გადაწყვეტილება გაზიარებულ იქნა გერმანულ დოქტრინაში. მასთან დაკავშირებით, გამოითქვა მოსაზრება, რომ ყოველ საქმეზე უნდა შეფასდეს, ჰქონდა თუ არა გარდაცვლილს საკუთარი მოთხოვნის წარდგენის უფლება ზიანის მიმყენებელი მხარის წინააღმდეგ მის სიცოცხლეში, ან შესაძლო ზიანი შეიძლებოდა თუ არა განეცადათ მხოლოდ მემკვიდრეებს. მემკვიდრეებს შეუძლიათ გარდაცვალებაში ბრალეული პირის მიმართ წარადგინონ ზიანის ანაზღაურების მხოლოდ ის მოთხოვნები, რომელთა განხორციელებაც გარდაცვლილს სიცოცხლეშივე შეეძლო, მაშინაც კი, თუ ზიანის გამომწვევი მოვლენის შედეგებმა პირის გარდაცვალების შემდეგაც მოახდინა მის ქონებაზე (ანუ სამკვიდროზე) გავლენა. ამ მხრივ, გერმანული დოქტრინა მიუთითებს სამართლებრივი პოზიციების მემკვიდრეობითობაზე (*die schwebenden Rechtslagen*). თუ გარდაცვლილის კანონიერი ინტერესების დარღვევა მის სიცოცხლეში მოხდა, მაშინაც კი, თუ ზიანი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დადგა, მემკვიდრეებს მაინც ექნებათ ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებლისგან. მიუხედავად ამისა, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგად გაუქმებული მომწოდებლების მიერ გაწეული მომსახურება არ წარმოადგენს „გარდაცვლილის დანაკარგს“ და არც მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ რაიმე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს წარმოშობს, რადგან მომწოდებლები ზიანის (რაც გარდაცვალებით გამოიხატა) მიმყენებელთან მიმართებით მესამე მხარეს წარმოადგენენ, რომლის წინაშეც იგი არ არის პასუხისმგებელი.⁷²

აღნიშნული გადაწყვეტილების პოლონურ სამართალთან შედარებისას, მკვლევარი აღნიშნავს, რომ: პოლონურ სამართალში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები (მიუხედავად იმისა, ისინი დელიქტური, თუ სახელშეკრულებო სამართლის ნორმებიდან არის წარმოშობილი) მემკვიდრეობით გადადის ზოგადი პირობებით. მემკვიდრეებს ექვემდებარებათ ანაზღაურების მოთხოვნები და ვალდებულებები, მაგალითად, ზიანის ანაზღაურება გამოწვეული სხვისი ქონების განადგურებით ან დაზიანებით, პირადი უფლებების დარღვევით ან ვალდებულების შეუსრულებლობით, ან არასათანადოდ შესრულებით. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გადადის დაზარალებულის მემკვიდრეებზე, ხოლო მისი ანაზღაურების ვალდებულება გადადის სამართალდამრღვევის მემკვიდრეებზე. ასეთი მოთხოვნები გადადის უფლებამოსილი მხარის მემკვიდრეებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ვალდებულება არ არის შესრულებული, იყო თუ არა ვალდებულების წყარო კონკრეტული შეთანხმებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

⁷² Borysiak W., §18 – Succession of Claims for Compensation for Property Damage Resulting from the Death of a Business Owner in: Shaping the Status of Heirs by Contractual Components under the Polish and German Inheritance Law, Comparative Challenges and the Perspective of Approximation of Legal Systems, Bartosz K., Macierzyńska-Franaszczyk E., Rott-Pietrzyk E., Fryderyk Z. (eds.), Osnabrück, 2023, 207-212.

მემკვიდრეობით გადაეცემა არა მხოლოდ გარდაცვლილის უფლებები და მოვალეობები, არამედ ის სამართლებრივი მდგომარეობაც, რომელშიც ის იმყოფებოდა გარდაცვალების დროს. ეს ასევე ეხება იმ სამართლებრივ სიტუაციებსაც, როდესაც პირის გარდაცვალებამდე დელიქტური ვალდებულების ზოგიერთი პირობა დაკმაყოფილებული იყო, მაგრამ არა ყველა.⁷³

ქართულ სამართალთან შედარების მიზნით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ევროპული კანონმდებლობით და პრაქტიკით არა მხოლოდ დელიქტიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები გადადის მემკვიდრეებზე, არამედ მამკვიდრებლის უკანასკნელად გამოსატული ნება და ის მდგომარეობა, რაშიც იმყოფებოდა მამკვიდრებელი ხელშეკრულების მხარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართალი თანამემკვიდრეები სოლიდარული მოვალეობიდან არიან (§2058, გსკ), რაც ნიშნავს, რომ კრედიტორს შეუძლია მთელი თავისი მოთხოვნა წარუდგინოს ნებისმიერ თანამემკვიდრეს, თუმცა გერმანული სამართალი თანამემკვიდრეებს ანიჭებს საკუთარი პასუხისმგებლობის შეზღუდვის უფლებას თავიანთი წილებით, სამკვიდროს გაყოფამდე (§2059, გსკ). ეს ნიშნავს, რომ კრედიტორი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდება ერთი თანამემკვიდრის წილადმდე, შეძლებს მხოლოდ სამკვიდროში ამ მემკვიდრის წილზე აღსრულების მიქცევას (თუ სარჩელი წარდგენილია გაუყოფელ სამკვიდროსთან დაკავშირებით, *Teilungseinrede*). კრედიტორმა, რომელსაც სურს თავისი მოთხოვნის აღსრულება მთელ სამკვიდრო აქტივზე მიაქციოს, უნდა იდავოს ყველა თანამემკვიდრის მიმართ (*Gesamthandsklage*). ეს ნესი იმას უსვამს ხაზს, რომ თანამემკვიდრეების შემთხვევაში, სამკვიდროსთან დაკავშირებული ვალეების დაფარვა სამკვიდრო ქონების განაწილებამდე სასურველი გამოსავალია.⁷⁴ მსგავსი ნესი გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1334-ე მუხლის პირველი წინადადებიდან, რომლის მიხედვით: თუ მემკვიდრე რამდენიმეა, მათ შორის სამკვიდროს გაყოფამდე იგი ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. ამასთან, 1484-ე მუხლი ითვალისწინებს მემკვიდრეთა პასუხისმგებლობას მიღებული სამკვიდროს ფარგლებში, ამიტომ სამკვიდროს გაყოფამდე კრედიტორების სასამართლოს გზით დაკმაყოფილება შეუძლებელია, მაგრამ მემკვიდრეებს შეუძლიათ, ნებაყოფლობით დააკმაყოფილონ კრედიტორები, სხვებს შორის, შეასრულონ დელიქტური ვალდებულებები სამკვიდროს გაყოფამდე.

7. დასკვნა

კრედიტორების მოთხოვნის საფუძველზე მათ სასარგებლოდ ვალეების ამოღება მემკვიდრეთა უფლებების დაცვის საშუალება არ არის, ის მიმართულია მამკვიდრებლის კრედიტორების ინტერესების დასაკმაყოფილებლად.⁷⁵ წარმოდგენილ ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის იმ დებულებაზე, რომელიც ადგენს გარდაცვლილი პირის კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილების ფარგლებს. ჩამოყალიბებულა დასკვნა, რომ მემკვიდრეები პასუხს აგებენ ფულადი დელიქტური ვალდებუ-

⁷³ იქვე, 213-214.

⁷⁴ Vukotić M., A Comparative Perspective on the Liability of Heirs, Anali Pravnog Fakulteta U Beogradu, 1/2024, 62-63 <https://anali.rs/xml/202-/2024c/2024-1c/Anali_2024-1c-04.pdf> [04.11.2025].

⁷⁵ Zaika Y. O., Kukhariev O. Ye., Skrypnyk V. L., Mytnyk A. A., Peculiarities of Protection of Rights and Interests of Heirs: Theoretical Aspects, International Journal of Criminology and Sociology, 2021, 10, 361 <<https://lifescienceglobal.com/pms/index.php/ijcs/article/view/7084/3703>> [05.11.2025].

ლებების გამო, მიღებული სამკვიდროს ფარგლებში, ამასთან, თითოეულის მიერ მიღებული წილის პროპორციულად და არა სოლიდარულად. სტატიაში დეტალურად არის განხილული მემკვიდრეების მიმართ დელიქტურ დავებთან დაკავშირებული საპროცესო საკითხები. გამოკვეთილია, თუ რა მტკიცებულებებია წარსადგენი პროცესზე და რა მნიშვნელობა აქვთ მათ დელიქტის გამო დაზარალებულთა ქონებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ხაზი გაესვა სასამართლო პრაქტიკის სიმწირეს და ამ პრაქტიკის მნიშვნელობას ნორმის განმარტებისათვის. ასევე გამოიკვეთა, რომ დელიქტური ვალდებულებების გამო სასამართლოსთვის მიმართვა საპროცესო სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ არის გამორიცხული, დელიქტური ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის შედარებითი იშვიათობა იმის შედეგი იყოს, რომ კრედიტორებს გაუმართლებლად მიაჩნიათ იმ ზიანის გამო დავა, რომელსაც ქმედებაში ბრალეული მამკვიდრებლის გარდაცვალება მოჰყვა. შესაძლოა, მათ ურჩევნიათ, აპატიონ მემკვიდრეებს, ვიდრე ჩართონ მათთვის მტკივნეული მოვლენების გამო დავაში.

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში ნაკლებად დამუშავებულ საკითხს, ამიტომ, ის ღირებული მასალა უნდა აღმოჩნდეს მემკვიდრეთა დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხების შემდგომი კვლევისათვის.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.
2. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 24/06/2004.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
4. ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, *ქანტურია ლ. (მთ. რედ.)*, თბ., 2000, 375, 383, 385, 516.
5. ბერეკაშვილი დ., სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2020, 143 <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Diana_Berekashvili.pdf> [25.09.2025].
6. ბიჭია მ., უფლების შინაარსი სამოქალაქო სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, № 2, 2023, 41.
7. დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2009, 53.
8. ზოიძე ბ., ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, თბ., 1989, 7.
9. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 37.
10. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 97.
11. უჯმაჯურიძე ი., მალიგორად გაყოფა, ენციკლოპედიაში „საქართველო“, მე-5 ტომი, თბ., 2023, 482.
12. ქათამაძე ნ., პირადი არაქონებრივი უფლების ქონებრივი ღირებულების განსაზღვრის პრობლემა სამოქალაქო ბრუნვაში, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2020, 167, 175-176.
13. ჩიკვაშვილი შ., დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული, თბ., 2003, 181.
14. ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ხელშეკრულება, უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტი, *ნინიძე თ. (რედ.)*, *სუმბათაშვილი ე. (მთარგ.)*, თბ., 2001, 287, 321, 370.
15. ცვარიანი ბ., სამართლის ლეგენდა – ანტონინ სკალია, „სამართლის მეთოდები“, 2-2018, 56.
16. *ქანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, *ქანტურია ლ. (მთ. რედ.)*, თბ., 2001, 565.

17. *Ansary T.*, Law of Succession, in: Introduction to Turkish Law, *Ansary T., Wallace D. Jr. (eds.)*, 6th Edition, Alpen aan den Rijn, 2011, 144.
18. *Borysiak W.*, §18 – Succession of Claims for Compensation for Property Damage Resulting from the Death of a Business Owner in: Shaping the Status of Heirs by Contractual Components under the Polish and German Inheritance Law, Comparative Challenges and the Perspective of Approximation of Legal Systems, *Bartosz K., Macierzyńska-Franaszczyk E., Rott-Pietrzyk E., Fryderyk Z. (eds.)*, Osnabrück, 2023, 207-212, 213-214.
19. *Du Plessis P. J.*, *Borkowski's Textbook on Roman Law*, 6th edition, Oxford, 2020, 330, 337-338, 340, 346, 350.
20. *Geneviève V.*, Tort Liability, in: Introduction to French Law, *Bermann G. A., Etienne P. (eds.)*, Alphen aan den Rijn, 2008, 244.
21. *Kozioł H.*, Basic Questions of Tort Law from a Germanic Perspective, Wien, 2012, 1.
22. *Lintl A.*, Austria, in: European Succession Laws, 2nd edition, ed. by *Hayton D.*, Cornwall, 2002, 34.
23. *Mousourakis G.*, Fundamentals of Roman Private Law, Berlin, 2012, 98, 260, 263.
24. *Örücü E.*, Something Old, Something New in Comparative Law, Journal of International and Comparative Law, 2015, 336, <<https://www.jicl.org.uk/journal/december-2015/something-old-something-new-in-comparative-law>> [05.11.2025].
25. *Reid K. G C., Schmidt J. P., Zimmermann R.*, Administration of Estates, *Reid K. G C., Schmidt J. P., Zimmermann R. (eds.)*, Oxford, 2025, 110, 288, 299.
26. *Verboke A., Zantbek von A.*, Belgium, in: European Succession Laws, 2nd edition, ed. by *Hayton D.*, Cornwall, 2002, 37-38.
27. *Vicente D. M.*, Comparative Law of Obligations, Cheltenham, 2021, 267.
28. *Vukotić M.*, A Comparative Perspective on the Liability of Heirs, Anali Pravnog Fakulteta U Beogradu, 1/2024, 54, 62-63, 65 <https://anali.rs/xml/202-/2024c/2024-1c/Anali_2024-1c-04.pdf> [04.11.2025].
29. *Wacke A.*, Casum Sentit Dominus: Liability for Accidental Damages in Roman and Modern German Law of Property and Obligation (სტატიის გადამუშავებული და შემოკლებული ინგლისური ვერსია), 1, <<https://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jsouaf1987&div=49&id=&page=>>> [23.09.2025].
30. *Zaika Y. O., Kukhariev O. Ye., Skrypnyk V. L., Mytnyk A. A.*, Peculiarities of Protection of Rights and Interests of Heirs: Theoretical Aspects, International Journal of Criminology and Sociology, 2021, 10, 361 <<https://lifescienceglobal.com/pms/index.php/ijcs/article/view/7084/3703>> [05.11.2025].
31. *Zimmermann R.*, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford, 1996, 154, 907.
32. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2025 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-650-616-2015.
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე № ას-171-160-2017.
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № ას-567-538-2015.
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება საქმეზე № ას-143-136-10.
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე № 3კ/441-01.
38. BGH, 20.02.1962, VI ZR 65/61 იხ. NJW 1962, № 20, 911-912.

6060 ფანავიძე*

პრივატიზაცია, როგორც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობის ისტორიული კომპონენტი ქართულ სამართალში

საკუთრების უფლება კონსტიტუციით გარანტირებულ სანივთო უფლებას წარმოადგენს, რომლის სრულყოფილი რეალიზაცია როგორც სახელმწიფოსათვის, ისე სამოქალაქო ბრუნვის თითოეული სუბიექტისათვის, არაერთი მიმართულების განსავითარებლად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობასა და რეალიზაციასაც მოიაზრებს.

მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიების ფარგლებში, მრავალმხრივ დაფორმირდა როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის არაერთი ხერხი, ასევე თავისი შინაარსით ამ უფლების სრულყოფილად არსებობის უზრუნველყოფისა და გარანტირების მრავალი ბერკეტი, მათ შორის მიწის რეფორმის სახით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების არაერთი შემთხვევა და კერძო სამართლის სუბიექტებისთვის შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადაცემა.

მიმდინარე კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს ფუნდამენტური სანივთო უფლების, საკუთრების უფლების წარმოშობის ისტორიული ხერხის, პრივატიზაციისა და მის გარშემო არსებული სახელმწიფო ღონისძიებების მნიშვნელობა ქართულ სანივთო სამართალში, რომელიც დღემდე გავლენას ახდენს უძრავ ნივთებზე ფიზიკურ პირთა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასა და ზოგადად მოქალაქეთა სანივთო უფლებების განმტკიცებაზე. შედეგად კი წარმოჩინდება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების როლი, მოქალაქეთა არსებული თუ შესაძლო უფლების წარმოშობის, რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძვლებსა და მოთხოვნის ფარგლებთან დაკავშირებით.

კვლევის საგანს წარმოადგენს, უძრავ ქონებაზე, კერძოდ კი მიწის ნაკვეთებზე, საკუთრების უფლების წარმოშობის ერთი-ერთი უმთავრესი ხერხის, პრივატიზაციის სახით წარმოდგენილი, მიწის რეფორმის ისტორიული კომპონენტის, როგორც თავად კონკრეტული მნიშვნელობის ღონისძიების, განხილვა და შედეგების შეჯამება წარსული და ამჟამინდელი საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში, დღეის მდგომარეობით დამყარებული სანივთოსამართლებრივი ნესრიგის კვალდაკვალ.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება, საკუთრების უფლების წარმოშობა, მიწის რეფორმა, უძრავი ქონების პრივატიზაცია, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკუთრების უფლების რეგისტრაცია, კერძო მესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობა.

1. შესავალი

საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის, კერძო საკუთრების უფლების არარსებობა ბუნებრივ და არც თუ ისე უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა. ადამიანს არ გააჩნდა საკუთარი მეურნეობის წარმოების უფლება, ვინაიდან უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა და ყველა მოქალაქე ვალდებული იყო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას კოლექტიური იდეოლოგიის რეალიზაციისათვის მიჰყოლოდა და სა-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

კუთარი ძალების, შრომისა და გარჯის ნაყოფი სხვისთვის, ამ შემთხვევაში კი სახელმწიფოსთვის გადაეცა განსაკარგავად. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რისი ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორიც სწორედ მოქალაქეების დაუოკებელი სწრაფვა გახლდათ, ჰქონოდათ რაიმე საკუთარი, შეექმნათ და ეწარმოებინათ საკუთარ მიწაზე, განეული შრომის შედეგი კი საკუთარი ოჯახებისათვის მოეხმარათ სრულად და სათანადოდ, რამაც საბოლოოდ სისტემის არაეფექტურობა და რღვევა კი გამოიწვია, სახელმწიფოებმა სოციალისტური მეურნეობის სისტემებიდან, თანამედროვე ეკონომიკურ ბაზარზე გადასასვლელად, რეფორმებიდან მთავარ მიმართულებად სახელმწიფოს ქონების განკერძოება ანუ პრივატიზაცია მიიჩნიეს.

საქართველოშიც, რა საკვირველია, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ოფიციალურად განკერძოება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური წესწყობილების დამყარებამდე ქართველ გლეხებს გარკვეული ტერიტორიები საკუთრად მიაჩნდათ და ეს იმდროინდელი საქართველოს მთელი ტერიტორიის მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი, მოქალაქეებს ოფიციალური დოკუმენტებით აღნიშნული უძრავი ქონებები არ ჰქონიათ საკუთრებაში გადაცემული. საბჭოთა რეალობის ფარგლებში კი, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქის კერძო საკუთრებად მხოლოდ მისი პირადი და აუცილებელი ნივთები წარმოადგენდა,¹ ხალხს მაინც არ დაუთრგუნავთ შინაგანი სწრაფვა უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების მოპოვების თვალსაზრისით, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ იმგვარ ტერიტორიებს, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროს არ მუშავდებოდა კოლექტიურად და სახელმწიფო არ ეპატრონებოდა, გლეხი თავად უვლიდა და მალულად ეწეოდა საოჯახო მეურნეობას. აღნიშნული შედეგად გამოიხატა იმაში, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მოქალაქეებს ფაქტობრივად საკუთარი ნებითვე, თავად ჰქონდათ განაწილებული გარკვეული ტერიტორიები და ერთმანეთის კერძო საკუთრებაში შეჭრისაგან თავს იკავებდნენ. მოგვიანებით კი, როდესაც სახელმწიფომ ოფიციალურად დაიწყო მის საკუთრებად მიჩნეული უძრავი ქონების მოქალაქეებისათვის გადაცემა, ანუ პრივატიზაციის პროცესი, ხალხმა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ისედაც საკუთარ ქონებად მიაჩნდათ და ისე უვლიდნენ როგორც საკუთარს, მიწის განკერძოების შედეგად მიიღეს როგორც საკუთრების, ისე მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც მრავალი ათწლეულის შემდეგაც კი, დღემდე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში კანონიერი რეგისტრაციის უტყუარ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, სხვა რეფორმებთან ერთად, თავისი მრავალფეროვნებით, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხებში ფუნდამენტური მნიშვნელობის კომპონენტი აღმოჩნდა. ამ მრავალწლიანი პროცესის კვალდაკვალ კი, მოქალაქეებს უამრავი სირთულისა და წნეხის წინაშე დადგომა მოუწიათ, რომ დაეცვათ თავიანთი საკუთრების უფლება და შესაძლებლობა ჰქონოდათ სრულყოფილი რეალიზაცია მოეხდინათ ამ უფლების, ისე როგორც კანონით არის დადგენილი და კონსტიტუციით გარანტირებული. სწორედ ამ პროცესის გამორკვევას, სირთულეების იდენტიფიცირებასა და დახასიათებას, არსებული და განვლილი საკანონმდებლო რეგულირებისა და პრაქტიკული კომპონენტების შეჯერების საფუძველზე, საკუთრების უფლების წარმოშობის ამ ფუნდამენტურ და ისტორიულ ელემენტს ეხება წინამდებარე სტატია.

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8, თბ., 1984, 587.

მიმდინარე კვლევა წარმოებულია ისტორიულ-სამართლებრივი, ნორმატიული, სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით, სადაც განხილული იქნება უძრავ ნივთებზე საკუთრების მოპოვების ერთ-ერთი ხერხი – პრივატიზაცია, ყველა იმ განვითარების ასპექტით, რაც მისთვის არის დამახასიათებელი და რამაც საბოლოო ჯამში გარდამტეხი მნიშვნელობა იქონია მოქალაქეთა საკუთრების უფლების წარმოშობისა და ამ უფლების სრულყოფილი რეალიზაციის პროცესში, პოსტსაბჭოთა საქართველოს სამართლებრივ რეალობაში, რაც დღევანდელი მდგომარეობითაც აქტუალურ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით.

2. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის არსი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის არსი მიწის, შენობა-ნაგებობისა თუ სხვა უძრავი ქონების საკუთრებისა და განკარგვის უფლების სახელმწიფოდან კერძო პირებზე გადაცემას გულისხმობს. ეს პროცესი მიზნად ისახავს ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზეგავლენის შემცირებას და კერძო სექტორის როლის გაზრდას, ზემოხსენებული აქტივების მართვისა და განვითარების პროცესში.² პრივატიზაცია შეიძლება მოიცავდეს, როგორც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემას, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო ამოცანათა შესრულების პასუხისმგებლობის კერძო პირებისთვის გადაცემას.³ თუმცა, ვინაიდან ამ შემთხვევაში განხილვის ობიექტს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია წარმოადგენს, მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკერძოების განხილვაზე იქნება ყურადღება შეჩერებული.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია არის სახელმწიფო საკუთრების ობიექტის სახალხო საკუთრებიდან კერძო მფლობელობაში ტრანსფორმაციის პროცესი.⁴ ამ პროცესის შედეგად პრივატიზებულ ობიექტებზე, უძრავ ნივთებზე, მესაკუთრეებად კერძო პირები გვევლინებიან, რამაც შედეგად უნდა გამოიწვიოს სამოქალაქო ბრუნვის განვითარება, ამ პროცესში კერძო პირების ჩართულობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა და მოქალაქეთა სოციალური პირობების გაუმჯობესება. მიუხედავად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთისა, რომლებიც, შესაძლოა ითქვას, რომ ძირითადად სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება, ვინაიდან არსით თითოეული მათგანი სახელმწიფოსათვის გარკვეულ პასუხისმგებლობებს ამსუბუქებს ან სულაც ათავისუფლებს ამ პასუხისმგებლობებისგან მას, უცილობლად ხაზგასასმელია ინდივიდუალური პირისათვის კონკრეტული სიკეთის მომტანი, კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილი, საკუთრების უფლების რეალიზაციისა და ამ უფლების გათავისების მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა საქართველოს რეალობის კვალდაკვალ.

საბჭოთა კავშირში შემავალი სოციალისტური რესპუბლიკები, მათ შორის რა საკვირველია საქართველოც, კერძო საკუთრების უფლებას ფაქტობრივად არ აღიარებდა და საკუთრების უფლებაში მხოლოდ სახელმწიფო და კოლექტიური დაწესებულებების (კოლმეურნეო-

² *Imomniyozov D.*, Economic and Legal Nature of The Concept Of Privatization, Central Asian Journal of Theoretical and Applied Sciences, Vol. 04, Issue: 01, 2023, 81.

³ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2018, 62.

⁴ *Nellis J.*, The World Bank, Privatization and Enterprise Reform in Transition Economics: A Retrospective Analysis, Washington D.C., 2002, 22.

ბები, პროფკავშირული თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები) საკუთრებას მოიაზრებდა და საბჭოთა კანონმდებლობაც, მიწას მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებად განიხილავდა.⁵ ჯერ კიდევ საბჭოთა რეალობის ფარგლებში, ეკონომიკური კრიზისის ფონზე, კავშირში შემავალი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის პერიოდში, როდესაც 1990 ან 1991 წლებში არც ერთ სხვა რესპუბლიკას პრივატიზების არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია, საქართველოში 1991 წელს მოესწრო მთელს საბჭოთა სივრცეში პირველი პრივატიზების აქტი, რომელსაც წარმოადგენდა მაღაზია „გოლიათის“ ღია საჯარო ვაჭრობით, აუქციონით დაპრივატიზება, რომელიც იმ რამდენიმე ათეული საცდელ-სადემონსტრაციო პრივატიზებისათვის გამოყოფილი ობიექტის ნუსხაში შედიოდა, რომელთა პრივატიზებაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე იგეგმებოდა, თუმცა ვერ მოესწრო.⁶ კავშირის დაშლის შემდგომ კი, მანამდე დაწყებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ყველა ზემოხსენებული მიზნისა და სახელმწიფოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საჭირო გახდა სახელმწიფოს საკუთრებაში აკუმულირებული უძრავი ქონების განსახელმწიფოებრიობა, ანუ კერძო პირებისათვის გადაცემა. ვინაიდან, ყველა სანივთო უფლება საკუთრებასთან ერთად, აბსოლუტური უფლებების ცენტრად განიხილება⁷ და სამოქალაქო ბრუნვისა და ეკონომიკის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს, საჭირო გახდა სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული უმნიშვნელოვანესი რგოლისათვის, ანუ კერძო პირებისათვის, მომხდარიყო ამ უფლების გადაცემა, რა საკვირველია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების გზით და სათანადო საკანონმდებლო რეგულირების დაწესების კვალდაკვალ.

3. პრივატიზაციის ისტორიული ნიშნები მიწის რეფორმის ფარგლებში

3.1. 1992 წლის მიწის რეფორმა, როგორც პრივატიზაციის პირველი ეტაპი

1992 წლის 18 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №48 დადგენილების გამოცემითა და მიწის ნაკვეთების მასობრივი განსახელმწიფოებრიობის გზით დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში მიწის ნაკვეთები დაიყო სახელმწიფო საკუთრების მიწების და მიწის რეფორმის ფონდებად, საიდანაც პირველ რიგში განკერძოებას ექვემდებარებოდა მიწის რეფორმის ფონდის მიწები. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში მიწა კერძო საკუთრებაში, მფლობელობაში და სარგებლობაში მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს გადაეცათ, როგორც სოფლად, ისე ქალაქად მაცხოვრებელ პირებს, მიუხედავად იმისა, დაკავებული იყვნენ თუ არა ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს კი, მიწის ნაკვეთები მხოლოდ სარგებლობაში გადაეცემოდათ.⁸

„საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების თანახმად, აღნიშნული დადგენილება ემსახურებოდა მიწის კერძოს საკუთრე-

⁵ ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 31.

⁶ ვაჩნაძე ნ., თომაძე ნ., დამარცხებული საქართველო (თბილისის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები) ნაწილი II, თბ., 2019, 107.

⁷ Seiler J. von Staudingers Komm. zum BGB mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Berlin, 2005, 878.

⁸ ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 18.

ბაში გადაცემით სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას, სასურსათო პროდუქტების წარმოების გამდიდრებასა და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მიზანს.⁹ ამ მიზნის ეფექტურად, უმოკლეს დროში მისაღწევად და რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამავე დადგენილებით განსაზღვრულ პირებს, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, საბალე და სააგარაკე მიწები უსასყიდლოდ გადაეცათ კერძო საკუთრებაში.¹⁰ აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობისაგან განსხვავებით, კერძო საკუთრებასა თუ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება საქართველოს მოქალაქეებს სასყიდლის გარეშე გადაეცათ საკუთრებაში, რაც უმეტეს შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის, საკუთრებისა და მართლობითი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მათთვის გადაცემით იქნა უზრუნველყოფილი. ძირითად, მიწის ფონდს სწორედ აღნიშნული მიწები წარმოადგენდა, რომელთა სასყიდლიანი პრივატიზაციის შემთხვევაში ქვეყანაში შესაძლოა სრულებით განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობა აღმოჩენილიყო, თუმცა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და მძიმე სოციალური პირობებიდან გამომდინარე, გაუმართლებელი იქნებოდა აღნიშნული გადასახადის მათთვის დაკისრება, ვინაიდან კანონით დადგენილი მიზნის მიღწევა, შესაძლოა სრულებითაც ვერ მომხდარიყო და მოქალაქეებს უარი ეთქვათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიღებასა და შესაბამისი მეურნეობის წარმოებაზე, რაც თავის მხრივ სასიცოცხლო მნიშვნელობის გარემოებას წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის.

1992 წლის მიწის რეფორმა თავისი შინაარსით პრივატიზაციის ცნებისათვის დამახასიათებელ ყველა ელემენტს შეიცავდა და თავისუფლად შესაძლოა მიჩნეულ იქნას, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების პირველ ტალღად, რომელმაც უდიდესი მასშტაბი მოიცვა და რომელიც, თითქმის ყველა მოქალაქის საკუთრების უფლებას შეეხო, ვინაიდან აღნიშნული რეფორმის შედეგად მოხდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად მაცხოვრებელი მოქალაქეებისათვის იმგვარი უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა, რომელიც ოფიციალურ, კანონიერ განკერძოებამდე სახელმწიფო საკუთრებად იყო მიჩნეული.

მიწის რეფორმის პროცესს, რა საკვირველია თავისი დამახასიათებელი კრიტერიუმები და გარკვეული წინაპირობები გააჩნდა. მაგალითად, სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებზე საკარმიდამო მიწის ნაკვეთები 1992 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული კომლების მიხედვით გაიცემოდა მიწის რეფორმის ფონდებიდან,¹¹ რომლებიც შექმნილი იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ხარჯზე.¹² მიწების არამიზნობრივი და ქაოტური განკერძოების თავიდან არიდების მიზნით, ასევე მოქალაქეთა მხრიდან არსებული შესაძლებლობის ბოროტად სარგებლობის გამოსარიცხად,

⁹ „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, 1, 31/01/1992.

¹⁰ იქვე, მე-5 მუხლი.

¹¹ ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 18.

¹² „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილება, მე-4 მუხლი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, 1, 31/01/1992.

ზემოხსენებული თარიღის შემდეგ ახალი კომლების წარმოშობა მხოლოდ არსებულის გაყრის-
/გაყოფის შედეგად შესაძლოა მომხდარიყო, იმ შემთხვევაში თუკი უკვე არსებულ კომლში
ორი ან მეტი სრულწლოვანი შვილი ირიცხებოდა და ერთ-ერთი მათგანი კომლის მემკვიდრედ
დარჩებოდა, რომელსაც საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ცალკე არ გამოეყოფოდა, ხოლო გაყრის
შედეგად წარმოქმნილი ახალი კომლის დაკმაყოფილება, ამ მიზნით შექმნილი მიწის სარეზერ-
ვო ფონდებიდან მოხდებოდა.¹³

„საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის
შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48
დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე“ საქარ-
თველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილე-
ბით განსაზღვრული იყო გადასაცემი მიწების ზღვრული ფართობები, კომლთა კატეგორიე-
ბის მიხედვით ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინე-
ბით, რომელიც გულისხმობდა, რომ სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობა-
ში დასაქმებული მოქალაქეებისათვის და სოფლად მუდმივად მცხოვრები სოფლის მეურნეო-
ბის სპეციალისტებისათვის ბარისა და ზეგნის რაიონებში გამოიყოფოდა 1 ჰექტარამდე მიწა,
ხოლო იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო – 1,25 ჰექტარამდე, მთის რაიონებში –
5 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები – 1 ჰექტარამდე); სოფლად მუდ-
მივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეებისათვის ბარისა და ზეგნის რაიონებში –
0,75 ჰექტარამდე, ხოლო მთის რაიონებში – 5 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსე-
ბული მიწები – 0,75 ჰექტარამდე); ქალაქად მცხოვრებთათვის, რომელთაც საკუთრების უფ-
ლებით მიღებული ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი, და ქალაქად მცხოვრე-
ბი იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურდათ სოფლად მიეღოთ საკარმიდამო მიწის ნაკვე-
თები საგარეუბნო ზონებში – 0,15 ჰექტარამდე, ბარისა და ზეგნის რაიონებში – 0,25 ჰექტა-
რამდე, ხოლო მთის რაიონებში – 1 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები
0,25 ჰექტარამდე); რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და დაბების დამტკიცებულ
საზღვრებში მუდმივად მცხოვრები და მომუშავე სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოქა-
ლაქეთათვის – 0,75 ჰექტარამდე, ხოლო სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეებისათვის (რომლე-
ბიც ცხოვრობენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე მიმაგრებულ მიწებზე) გამოიყოფოდა
0,5 ჰექტარამდე მიწა.¹⁴ ამავე დადგენილების მიხედვით განისაზღვრა ერთგვარი კონტროლის
მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო რეფორმით განსაზღვრული მიზ-
ნების მიღწევა. აღნიშნული კონტროლის მექანიზმში მოიაზრებოდა საკარმიდამოდ გადაცე-
მული მიწის ნაკვეთის ზედიზედ ორი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-
ბით გამოუყენებლობისა და აუთვისებლობის შემთხვევაში, ნაკვეთის კომლისათვის ჩამორ-
თმევა სასამართლო წესით და ამ მიწის სარეზერვო მიწის ფონდისათვის გადაცემა.¹⁵ აღნიშუ-

¹³ „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ საქარ-
თველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების პრაქტიკული
განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბი-
ნეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილება, მე-2 მუხლი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრ-
თა კაბინეტის დადგენილება, 9, 30/09/1992.

¹⁴ იქვე, პირველი მუხლი.

¹⁵ „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ საქარ-
თველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების პრაქტიკული
განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბი-

ლი მიუთითებს, რომ მიწის რეფორმის მიზანს არა მოქალაქეთათვის საკუთრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა, არამედ უმთავრესად სახელმწიფოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პრივატიზებული მიწის რესურსის სრული ათვისებით, რომელზეც გარკვეულ კონტროლის დანერგვა ერთგვარ გარანტიას შეუქმნიდა სახელმწიფოს, რომ მის მიერ უსასყიდლოდ გაცემული და განკერძოებული ქონება სათანადოდ იქნებოდა გამოყენებული მოქალაქეების მიერ. შესაბამისად, გამოდის რომ აღნიშნული რეფორმის ფარგლებში გადაცემული საკუთრების უფლება, სრულ, გარანტირებულ და ხელშეუხებელ უფლებას არ წარმოადგენდა და სახელმწიფოს მიერ დადგენილი, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რასაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მათი გამოუყენებლობა და ათვისებლობა წარმოადგენდა, შესაძლოა დაკარგულიყო კიდევ.

3.2. 1992 წლის მიწის რეფორმის შედეგად განკერძოებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემული უფლების დამდგენი დოკუმენტები

რეფორმის ფარგლებში მიწის ნაკვეთების განკერძოებაზე პასუხისმგებელ ორგანოს, რაიონის (ქალაქის) მმართველობის ორგანოს – საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, წარმოადგენდა სოფლის (დაბის) მმართველობის ადგილობრივი ორგანო.¹⁶ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით დამტკიცდა მოქალაქეთათვის სარგებლობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა, რომელიც მიწის რეფორმის დასრულებამდე გამოიყენებოდა.

რეფორმის ფარგლებში განკერძოებულ მიწის ნაკვეთს ოფიციალურად ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრი იღებდა, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით კომლის უფროსს წარმოადგენდა და სწორედ მასთან ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტი თუ სხვა უფლების დამდგენი დოკუმენტი. სწორედ ამ მიზეზით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საკუთრების უფლება რეგისტრირდება არა მხოლოდ აქტში მითითებულ პირზე, არამედ რეგისტრირებული კომლის ყველა წევრზე, ვინაიდან თუკი ოჯახზე გაიცა მიღება-ჩაბარების აქტი, ეს ყოველივე ნიშნავს, რომ სახელმწიფომ მიწის რეფორმა ამ ოჯახის მიმართ დაასრულა.¹⁷ თუმცა, სანამ რეფორმის ფარგლებში გაცემულ მიწის ნაკვეთებზე მიღება-ჩაბარების აქტები შედგებოდა, რომელიც საბოლოოდ საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტს წარმოადგენს, როგორც წესით ამ პროცესს წინ უსწრებდა მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შედგენა/გაცემა. ზოგადად უფლების დამდგენი დოკუმენტები კანონის ხედვით სწორედ ამ ორ, საკუთრების უფლებისა და მართლზომიერი მფლობელობის დამდგენი დოკუმენტების ჯგუფებად იყოფა.

ნეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილება, მე-5 მუხლი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, 9, 30/09/1992.

¹⁶ „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილება, მე-11 მუხლი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, 1, 31/01/1992.

¹⁷ ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 74.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტებს წარმოადგენს ა) მიღებადჩაბარების აქტი; ბ) აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობა და გ) სახელმწიფოს მიერ სასოფლოდსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე გაცემული საკუთრების დამდგენი დოკუმენტები, ხოლო მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამდგენი დოკუმენტებია ა) 2004 წლის 4 ოქტომბრამდე უძრავი ნივთის მფლობელად (მოსარგებლედ) ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხვის დამადასტურებელი ცნობა-დახასიათება; ბ) ამონაწერი საკომლო წიგნიდან; გ) მებალის წიგნაკი; დ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისთვის გადასახადის გადამხდელთა სია; ე) „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია; ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მშრომელთა საერთო კრებისა და კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ზ) სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწაზე მართლზომიერ მფლობელობას (სარგებლობას).¹⁸ ჩამოთვლილი დოკუმენტაციიდან ზოგიერთი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იწარმოებოდა, ხოლო ზოგიერთიც მიწის რეფორმის მიმდინარეობის პერიოდში შედგენილ და გაცემულ დოკუმენტებს წარმოადგენს. მაგალითად ცნობა-დახასიათებები, საკომლო წიგნები, მებალის წიგნაკები რეფორმამდელი პერიოდის დოკუმენტაციას წარმოადგენს. თუმცა, განსხვავებით მებალის წიგნაკისა და ცნობა-დახასიათებისა, საკომლო წიგნებში ცვლილებების შეტანა რეფორმის პერიოდშიც მიმდინარეობდა. მებალის წიგნაკსა და ცნობა-დახასიათებასთან მიმართებით მიწის რეფორმამ ის ცვლილება მოახდინა, რომ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები, ამ ნაკვეთების ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებულ სუბიექტებს საკუთრებაში გადაეცათ და ამის დამადასტურებლად, უმეტეს მათგანზე შედგა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ან გაიცა მიწის სარეგისტრაციო მოწმობა.¹⁹

მიწის რეფორმის ფარგლებში, როდესაც მიმდინარეობდა სახელმწიფო მიწის ფონდისა და მიწის რეფორმის ფონდის მიწების განკერძოება და კანონით დადგენილი ზღვრული ნორმის მიხედვით მოქალაქეთათვის განაწილება, მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდებოდა ინვენტარიზაცია, რომლის საფუძველზე დგებოდა მიწის ნაკვეთების განაწილების სია. აქედან გამომდინარე, მიწების განაწილების სია მიწის რეფორმის ფარგლებში შედგენილ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელში ასახულია კომლზე რიცხვული, მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული და რეფორმის ფარგლებში დამატებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართობები.²⁰ პრაქტიკის მიხედვით, რეფორმის პერიოდში წარმოებული განაწილების სიები სხვადასხვა რეკვიზიტ-

¹⁸ „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ე) და რ) ქვეპუნქტები, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 17/06/2016.

¹⁹ ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 86.

²⁰ იქვე, 91.

ტებისა და ინფორმაციის შემცველ დოკუმენტს წარმოადგენდა. ყველა რეგიონს თუ მუნიციპალიტეტს განსხვავებული ინფორმაციულობის მქონე სიები ჰქონდა ნაწარმოები, მაგალითად თუკი ზოგიერთი მათგანი დეტალურად შეიცავდა ინფორმაციას სახელის, გვარის, მამის სახელის, კომლის კატეგორიის, სულადობის, მიწის რეფორმამდე კომლზე რიცხული მიწის ფართობის, რეფორმის პერიოდისათვის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობისა და რეფორმის ფარგლებში დამატებით გამოყოფილი მიწის ფართობის შესახებ, ზოგიერთ რეგიონში ნაწარმოები საგადასახადო სია სახელის, გვარისა და რეფორმის ფარგლებში გადაცემული მიწის ფართობის გარდა სხვა დამატებით ინფორმაციას არ შეიცავდა, რაც ერთი ორად ართულებს პირის/კომლის იდენტიფიცირებისა და მათზე მიწის ნაკვეთის განკერძოების ფაქტის დადასტურებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიები არაერთ ხარვეზს შეიცავს, თანაც ზოგჯერ სულაც არ ასახავს სრულ და სწორ ინფორმაციას, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, სადაც გარკვეული მიზეზების გამო არ არსებობს საარქივო ჩანაწერები რეგისტრირებული კომლების შესახებ და არ არის მოსახლეობაზე გაცემული მიწის მიღება-ჩაბარების აქტები, ან იყო ყოველივე ზემოაღნიშნული და ხანძრის შედეგად განადგურდა, ან არ განხორციელებულა მიწის სისტემური რეგისტრაცია და არ გაცემულია სარეგისტრაციო მოწმობები, მუნიციპალიტეტების მიერ წარმოების მიწის განაწილების სიები ერთადერთ უფლების დამდგენ დოკუმენტს წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც შესაძლოა მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიღოს კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე, კონკრეტული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება.

ოჯახის/კომლის მიმართ მიწის რეფორმის დასრულების აღსანიშნად, ოჯახის სრულწლოვან წევრზე გაიცემოდა საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი – მიღება-ჩაბარების აქტი. „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს დოკუმენტის ლეგალიზაციის კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე უფლებები რეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტების საფუძველზე, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილად მიიჩნევა მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, თუ მასში მითითებულია მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და ფართობი და მასზე დასმულია მიწის რეფორმის კომისიის, მუნიციპალიტეტის ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს ბეჭედი, მიუხედავად იმისა, მასში მითითებულია თუ არა მიღება-ჩაბარების აქტის გაცემის წელი, ასევე მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც არ შეესაბამება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით დამტკიცებულ ფორმას, თუმცა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.²¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, როგორც მარეგისტრირებელი ორგანოს, ადრეული პრაქტიკის მიხედვით, მიწის რეფორმის დასრულების, 1999 წლის 01 თებერვლის შემდგომ გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტებს იურიდიული ძალა არ გააჩნდათ.²² აღნიშნული გულის-

²¹ „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტები, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 17/06/2016.

²² ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 74.

ხმობს იმას, რომ მარეგისტრირებული ორგანო ასეთ მიღება-ჩაბარების აქტებს არ თვლიდა რეესტრში საკუთრების უფლების ასახვისათვის საკმარის დოკუმენტად და ამგვარი დოკუმენტის საფუძველზე მოთხოვნილ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებით, უარის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა. თუმცა, 2020 წლის 01 იანვრის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, ზემოაღნიშნული პრაქტიკა შეიცვალა და მოიხსნა მიღება-ჩაბარების აქტისადმი დადგენილი ამგვარი მოთხოვნა, ვინაიდან „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა ახალი მუხლი, რომლის მიხედვითაც თუ 2007 წლის 20 სექტემბრამდე შედგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს, მაგრამ მასში მითითებულია დაინტერესებული პირის ვინაობა, უძრავი ნივთის მისამართი (ქალაქი, დაბა ან/და სოფელი) და ფართობი, ეს დოკუმენტი რეგისტრაციის საფუძველად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის 41-ე მუხლით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაციისა და დაინტერესებული პირის მიერ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი ფლობის დადასტურების შემთხვევაში.²³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არ შეიძლება განხილულ იქნეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1.დ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მართალია, მიღება-ჩაბარების აქტი გაცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მაგრამ აქტის გამოცემით განხორციელებული ქმედება არ არის მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს ნების შესაბამისად, ცალმხრივი და შესასრულებლად სავალდებულო ძალით უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმოშობისაკენ, ანუ მიწის მიღება-ჩაბარების აქტით ადმინისტრაციული ორგანო გადასცემს, ხოლო პირი იბარებს მიწის ნაკვეთს, რითაც ადმინისტრაციული ორგანო გამოხატავს არა ცალმხრივ ნებას მიწის გასხვისების შესახებ და აიძულებს კანონით აქტისთვის შესასრულებლად მინიჭებული სავალდებულო ძალით მიწის მიღებას ჩაიბაროს მიწის ნაკვეთი, არამედ ვლინდება ორივე მხარის ნება. მიღება-ჩაბარების აქტის გამოცემისას ადგილი აქვს მხარეთა ურთიერთთანხვედრ, საერთო მიზნისკენ მიმართულ ნების გამოხატვას“.²⁴ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, რაც ასევე კანონის ჩანაწერითაც დასტურდება (საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ადმინისტრაციული ხელშეკრულება (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა დოკუმენტი)²⁵), მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, იურიდიული ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას (გარიგებას), თუმცა ძირეულად განსხვავდება კლასიკური გაგების, დღეის მდგომარეობით დამკვიდრებული პრივატიზაციის ხელშეკრულებისაგან.

²³ „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-7 მუხლის მე-15 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 17/06/2016.

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-282-268(კ-06).

²⁵ „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 17/06/2016.

რეფორმის ფარგლებში განკერძოებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა დოკუმენტების ლეგალიზების საკითხის ლიბერალიზაციის შედეგად სახეზე გვაქვს შემდეგი გარემოება, რომ კანონით დადგინდა მიღება-ჩაბარების აქტის მინიმალური რეკვიზიტები, რომელსაც აქტი უნდა შეიცავდეს, იმისათვის რომ იგი საფუძვლად დაედოს საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას და კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების არსებობის დადგენას. აღნიშნულ კრიტერიუმებს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მიწის ფართობი და მასზე დასმული მიწის რეფორმის კომისიის, მუნიციპალიტეტის ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს ბეჭედი. მესაკუთრე აქტში შესაძლოა აღნიშნული იყოს სახელით, გვარით, მამის სახელით, სახელის ინიციალით ან მის გარეშე, თუმცა პირისადმი აღნიშნული დოკუმენტის კუთვნილების დასადაგენად სავალდებულოა, რომ აქტში გვარი მითითებული იყოს სრულად. ასევე, სარეგისტრაციო მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ მიღება-ჩაბარების აქტზე დატანილი იყოს თუნდაც 1 ბეჭედი მაინც, იქნება ეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ან მიწის მართვის დეპარტამენტის ბეჭედი, რომელიც უნდა იყოს კითხვადი.²⁶

4. მიწის რეფორმის შედეგები და კერძო მესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობა

1992 წელს დანერგული მიწის რეფორმა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. რეფორმის ფარგლებში სახელმწიფომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის, ძირითადად სახნავე-სათესი მიწის ნაკვეთები და მრავალწლიანი ნარგავების დიდი ნაწილი, მოსახლეობას გადასცა სარგებლობასა და მფლობელობაში, თუმცა საკუთრების უფლების ფორმალური არსებობის საკითხი ყურადღების მიღმა დარჩა.²⁷ ამასთან, საკუთრების უფლების საფუძვლების შესახებ თავად მოსახლეობასაც არ გააჩნდა სათანადო ინფორმაცია და არც და ამ უფლებით სარგებლობის სურვილი და შესაძლებლობა. რეფორმის მიმდინარეობისას უგულებელყოფილი აღმოჩნდა მიწათსარგებლობის მთავარი პრინციპები, რამეთუ მოხდა მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაცია და ძალიან მცირე ზომის მიწების მოსახლეობისთვის გადაცემა, ასევე არ იყო გათვალისწინებული ძირითადი ინფრასტრუქტურული საჭიროებები, საჯარო და კერძო სექტორის უფლებათა გამიჯვნის საკითხები და სხვა ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რას აუცილებელი იყო ქვეყანაში მიწის ბაზრის განვითარებისათვის. ამის შედეგად, მასობრივად დაზიანდა საგზაო ინფრასტრუქტურა, სარწყავი არხები, ქარსაფარი ზოლები და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობები.²⁸

რეფორმისა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის განკერძოების შედეგად მეტნაკლებად მოხდა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რამეთუ როგორც სოფლად, ისე ქალაქად მაცხოვრებელ მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, ეწოდნენ თუ არა ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, გადაეცათ მიწის ნაკვეთები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებისა და გასული საუკუნის 90-იან წლებში არსებული მწვავე პრობლემების ფონზე, მიწის რეფორმის ზედმიწევნით განხორციე-

²⁶ ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 76.

²⁷ მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ანალიზი და რეკომენდაციები, USAID GEORGIA, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013, 3.

²⁸ იქვე.

ლება თითქმის შეუძლებელიც კი იყო. თუმცა, მთელი რიგი სერიოზული ხარვეზების მიუხედავად, უნდა ჩაითვალოს, რომ მესაკუთრეთა კლასის ჩამოყალიბებისათვის სუსტი, მაგრამ აუცილებელი წინამძღვრები ნამდვილად შეიქმნა.²⁹

ხაზგასასმელია, რომ რეფორმის საწყის ეტაპზე, სახელმწიფოს მიერ კონტროლი შენარჩუნდა მრავალწლიან სათიბ-საძოვრებზე, პარალელურად კი დაიწყო სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფონდის იჯარით გაცემის პროცესი. საიჯარო ტერიტორიებს, ძირითადად, მიწის დიდი მასივები მოიცავდა, რომელთა ფაქტობრივ მფლობელებად სოფლისა თუ ქალაქის შედარებით ძლიერი მატერიალური მდგომარეობის მქონე მოსახლეობა წარმოადგენდა, ხოლო ეს პროცესი, დიდი ალბათობით, გარკვეულწილად, დარღვევებით და გაუმჭვირვალედ მიმდინარეობდა.³⁰

1992-1995 წლებში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სახელმწიფომ დაახლოებით 760 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადასცა მოსახლეობას, ხოლო მის ხელთ დარჩენილი დაახლოებით 460 ათასი ჰექტარის დიდი ნაწილი იჯარით გაიცა.³¹ „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილებით განსაზღვრული, კომლთა კატეგორიების მიხედვით გადასაცემი მიწების ზღვრული ფართობების შესაბამისად, მოსახლეობაზე გაიცა დადგენილი მიწის ფართობები. თუმცა, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის ამოქმედების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილებით, კომლებს (ოჯახებს), რომელთაც რეფორმის ფარგლებში ეკუთვნოდათ მიწის ნაკვეთი, მაგრამ ის დადგენილი წესით და ოდენობით არ გადასცემიან, მიწის ნაკვეთები საკუთრებაში უფასოდ გადაეცათ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში.³² მოგვიანებით აღნიშნული ვადა 1999 წლის 1 იანვრამდე გახანგრძლივდა. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე კი კერძო მესაკუთრეთა რიცხვი კიდევ უფრო გაფართოვდა, ვინაიდან სოფლად მცხოვრები იმ ოჯახების სტატუსი, რომლებიც მედიცინის, განათლებისა და კულტურის სფეროებში საქმიანობდნენ, სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა სტატუსს გაუთანაბრდა და მათთვის მიწების განაწილება დაიგეგმა, რაც დამოკიდებული იყო მიწის არსებული რესურსის სიდიდეზე და პირველი კატეგორიისთვის განკუთვნილი მაქსიმალური სიდიდით შემოიფარგლებოდა.³³

ხაზგასასმელია, რომ რეფორმის ფარგლებში განკერძოებული მიწის ნაკვეთები დანაწილებული, მცირე ფართობებად დაყოფილი, 3-4 და ხშირ შემთხვევაში მეტ ლოკაციაზე გახლდათ განლაგებული, განსხვავებით იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთებისაგან, რომლებიც

²⁹ მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ანალიზი და რეკომენდაციები, USAID GEORGIA, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013, 4.

³⁰ იქვე.

³¹ Terra Institute, LTD for USAID: Georgia Land Market Development Project Final Report, October, 2005, 4.

³² „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის ამოქმედების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილება, მე-3 მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 007, 30/04/1996 (ძალადაკარგულია – 25.06.2019).

³³ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, პარლამენტის უწყებანი, 15-16, 30/04/1998 (ძალადაკარგულია – 02.07.2019).

დიდი ზომითა და დანაწევრების ბევრად ნაკლები ხარისხით გამოირჩეოდა.³⁴ შესაძლოა ითქვას ისიც, რომ იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების ბუნებრივი მახასიათებლები ბევრად უკეთესად ხასიათდებოდა, ვიდრე მოსახლეობაზე განკერძოებული მცირე ზომის მიწები, რაც ასევე ინფრასტრუქტურულ მოწყობაზეც აისახებოდა.³⁵ საბოლოო ჯამში კი, რეფორმის შედეგად კერძო საკუთრებაში გადასული მიწის ნაკვეთები უკიდურესად დაწვრილმანებულ მიწებს წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი კომერციული წარმოებისათვის გამოუსადეგარი იყო, თუმცა უდიდეს საფუძველს წარმოადგენდა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, მიწის ნაკვეთებზე კერძო საკუთრების დადგენის, პრივატიზაციის უდიდესი ტალღისა და ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, რეფორმის დასრულების შემდეგ მაინც რთული იყო იმის განსაზღვრა თუ რა მოცულობის მიწა წარმოადგენდა კერძო სექტორის საკუთრებას და რა ნაწილი იყო დარჩენილი სახელმწიფოს საკუთრებაში. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ვინაიდან გამორიცხული და ფაქტობრივად შეუძლებელი იყო უფლებრივი მდგომარეობის გაურკვეველ სტადიაში მიტოვება, სახელმწიფოს მხრიდან მრავალჯერ დაინიცირდა მიწის რეფორმის განხორციელება. ამგვარი სახის რეფორმა 2012 წელს, შესაძლოა ითქვას, რომ წარუმატებლად განხორციელდა, ვინაიდან „საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივნისის №231 დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების დამდგენი დოკუმენტის გარეშე საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 450 ათასზე მეტ მიწის ნაკვეთზე, რომელმაც შედეგად იმაზე ქაოსური მდგომარეობა შექმნა საკუთრების უფლების უზრუნველყოფის თავლსაზრისით, ვიდრე მანამდე იყო. ეს ფაქტორი კი გამოწვეული გახლდათ უმეტესწილად მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობისა და რეგისტრირებული მონაცემების შეუსაბამობით, რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძვლების არარსებობითა და რეფორმის ფარგლებში თუ მანამდე გაცემული საკუთრებისა და მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უგულებელყოფით. აღნიშნული უდიდესი ხარვეზის გამოსწორების მიზნით 2016 წელს მიღებულმა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონმა არაერთი სიახლე შემოიტანა, რის შედეგადაც უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესის დადგენითა და რეგისტრაციის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა არსებული მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა და გადახედვა.³⁶

რა საკვირველია მიწის რეფორმა არც ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში დასრულებულა. წარსული პერიოდის უამრავმა ხარვეზმა, რომელიც თან სდევდა წლების განმავლობაში უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობას, ქვეყანა მიიყვანა იმ რეალობამდე რომ პირველადი რეგისტრაცია, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების ასახვისა, დღემდე არ არის ბოლომდე დასრულებული, წარმოადგენს კვლავ პრობლემურ საკითხს, რომელიც აქ-

³⁴ მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ანალიზი და რეკომენდაციები, USAID GEORGIA, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013, 4.

³⁵ იქვე.

³⁶ ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 47.

ტუალობას არ კარგავს მუდმივ რეჟიმში განახლებას საჭიროებს. ამ შესაძლებლობას კი სახელმწიფო მოქალაქეებს 2016 წლიდან მოყოლებული უწყვეტად სთავაზობს და პროექტებისა და რეფორმების ვადის გახანგრძლივებით, ცდილობს ხელი შეუწყოს იმ უმნიშვნელოვანესი უფლების რეალიზაციას, რასაც საკუთრების უფლება ჰქვია. შედეგად, 2016 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 ოქტომბრამდე, დარეგისტრირდა 730 000-ზე მეტი მიწის ნაკვეთი, რომელთა ფართობი ჯამში დაახლოებით 515 382 ჰექტარს შეადგენს (შედარებისთვის, დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე რეგისტრირებული იყო სულ 1 280 000 მიწის ნაკვეთი, საერთო ჯამური ფართობით – 1 212 173 ჰექტარი), ხოლო ამ პერიოდში მოსახლეობის მიერ დაზოგილმა ჯამურმა თანხამ 40 მილიონ ლარამდე შეადგინა.³⁷ 2020 წლიდან განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კი უფრო გაამარტივა საკუთრების უფლების მოპოვება და სარეგისტრაციო პროცესი მეტად მორგებული გახდა მოქალაქეთა ინტერესზე. ეს პროცესი დღემდე უწყვეტად მიმდინარეობს მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის სახით, რამაც შედეგად გამოიღო სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, საკუთრების უფლებისადმი მოქალაქეთა ინტერესის გაღრმავება და უფრო მეტი კერძო მესაკუთრის სამოქალაქო ბრუნვაში ჩაბმა.

5. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების განკერძოების თანამედროვე ასპექტები

განსხვავებით მიწის რეფორმის პირველი ეტაპისაგან, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვასა და განკარგვას, დღეის მდგომარეობით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.³⁸ ამავე კანონით ერთმანეთისგან გამიჯნულია უძრავი ნივთისა და უძრავი ქონების ცნება, სახელმწიფო საკუთრებასთან მიმართებით, რაც ერთგვარი დიფერენცირების საშუალებას იძლევა და საბოლოო ჯამში კანონმდებელს უფლებას აძლევს განსხვავებული წესი დაადგინოს უძრავი ქონებისა და უძრავი ნივთების განკერძოების პროცესისათვის. კერძოდ, კანონის მიხედვით უძრავ ნივთს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ტყე და ტყის მიწა, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია, ხოლო უძრავ ქონებას წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა – ნაგებობით (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), ხაზობრივი ნაგებობა და მიწაზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები.³⁹ აქედან გამომდინარე, კანონით ცალკეულად არის განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ფორმები, პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოები და ზოგადი წესები.

³⁷ ხუციშვილი ე., საქართველოს პარლამენტის 2019 წლის სამემოდგომო სესიის მუშაობა, დემოკრატიის ინდექსი – საქართველო, თბ., 2020, 22.

³⁸ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, სსმ, 48, 09/08/2010.

³⁹ იქვე, მე-2 მუხლის უ) და უ)¹ ქვეპუნქტები.

მიწის ბაზარზე დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები იდენტიფიცირებულია და ასე თუ ისე სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს რომელი ქონება წარმოადგენს მის საკუთრებას ან რომელია შესაძლო, რომ მომავალში გახდეს, უფლებრივ ნაწილში ბევრად გამარტივებულია სახელმწიფო საკუთრების განკერძოების პროცესი, ვიდრე ეს პოსტსაბჭოთა პერიოდში იყო. პროცესის გამარტივებაში, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ იგულისხმება გასავლელი ეტაპების სიმცირე ან პრივატიზაციის სიმარტივე და საყოველთაო ხელმისაწვდომობა, არამედ აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფოს გადმოსახედიდან, ან უკვე განკერძოებული უძრავი ნივთებისაგან განცალკევებით, განყენებულად მდგომი სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთების განსაკარგავად თავისუფლად მიქცევას და ეკონომიკური სარგებლის მიღებას, ისე რომ სხვისი საკუთრების უფლება არ იქნეს ხელყოფილი, რადგან ინვენტარიზაციის პროცესი დღეის მდგომარეობით უმეტესად დასრულებულია, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები რეგისტრირებულია და მათი განკერძოებისათვის საჭირო პროცედურის ეტაპების ნახევარი წინასწარ გავლილი გამოდის. იმის ფონზე, რომ პირველი მიწის რეფორმა ქვეყანაში ფაქტობრივად უსასყიდლოდ წარიმართა, ისე მოხდა მიწის ნაკვეთების კერძო მესაკუთრეებისათვის გადაცემა, რომ ის პირდაპირი შემოსავლის მომტანი არ ყოფილა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. ამასთან რეფორმა ძალიან ბევრი ხარვეზით წარიმართა და მესაკუთრეთა ბედი გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩა, ხოლო დღეს არსებული რეალობა, შესაძლოა ითქვას, რომ აბსოლუტურად განსხვავდება რამდენიმე ათწლეულის წინ არსებული მდგომარეობისაგან და კლასიკური პრივატიზაციის სახეს წარმოადგენს ქართულ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ სივრცეში.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება შესაძლებელია სამი ფორმით განხორციელდეს, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის გზით. პირდაპირი მიყიდვის ფორმას თავის მხრივ კიდევ ორი ქვეფორმა გამოეყოფა, როგორიც არის პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე და იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვა.⁴⁰ დღეს არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება სრულყოფილად არეგულირებს სახელმწიფო საკუთრების განკერძოების წესებს, რომლიც მიხედვითაც შექმნილია თავისუფალი, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე მიწის ბაზარი, რის პარალელურადაც გათვალისწინებულია საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით მიწის განკერძოების სასყიდლიანი შემთხვევები საკმაოდ დიდი თანხების ბრუნვისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების არაჩვეულებრივ მექანიზმს წარმოადგენს, არსებული საკანონმდებლო რეგულირება კვლავ ითვალისწინებს კერძო მესაკუთრეებისათვის გარკვეული კატეგორიის მიწის ნაკვეთების კერძო პირებისათვის საკუთრებაში სრულიად უსასყიდლო გადაცემას. ამგვარ მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს 2007 წლის 20 სექტემბრამდე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები,⁴¹ რომ-

⁴⁰ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, სსმ, 48, 09/08/2010.

⁴¹ თვითნებურად დაკავებული მიწა – ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული), აგრეთვე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლობაში მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომელთა ჯამური

ლებზეც საკუთრების უფლების აღიარება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში ფაქტობრივად უსასყიდლოდ ხდება,⁴² ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე.⁴³

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არაერთი რეფორმისა და პროექტის მიუხედავად, ფაქტია, რომ მიწის ნაკვეთებზე კერძო მესაკუთრეთა გამოვლენის პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა და დღემდე საკმაოდ აქტუალურ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. პოსტსაბჭოთა პერიოდის დროს არსებული ხარვეზები, რომლებმაც თავი ძალიან მალე იჩინა 1992 წლის მიწის რეფორმის დასრულების შემდეგ, დღემდე არ არის სრულყოფილად აღმოფხვრილი, შესაბამისად კლასიკური სახით ყველასთვის ცნობილი სახელმწიფო ქონების სასყიდლიან პრივატიზაციასთან და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან ერთად, დღემდე ხორციელდება სახელმწიფო მიწის იმგვარი განკერძოების მექანიზმი, რომელსაც გააჩნია სპეციალური მონესრიგება და არ რეგულირდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით.⁴⁴ მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, დაინტერესებული პირების, კერძოდ კი საქართველოს მოქალაქეების მიერ, რეფორმის პერიოდში მათზე ინდივიდუალურად და მათ კომლზე გაცემული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაციის მოთხოვნის გარდა, ასევე შესაძლოა მოთხოვნილი იყოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, მაგრამ მოქალაქეთა მიერ 2007 წლის 20 სექტემბრამდე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება. რა საკვირველია კანონით დადგენილია ყველა წინაპირობა, რასაც როგორც საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირი, ასევე საკუთრებასაღიარებელი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი უნდა აკმაყოფილებდეს. დღეის მდგომარეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა, ამგვარ და სხვა სახის უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილ ორგანოს, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებისა და

ფართობი ბარში არ აღემატება 1.25 ჰექტარს, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში – 5 ჰექტარს – „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის გ) ქვეპუნქტი, სსმ, 29, 27/07/2007.

⁴² „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლის 4¹ პუნქტი, სსმ, 29, 27/07/2007.

⁴³ იქვე., მე-4 მუხლი.

⁴⁴ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებზე და „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, პირველი მუხლის მე-5 პუნქტის გ) და დ¹) ქვეპუნქტები, სსმ, 48, 09/08/2010.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებულ მომსახურებას მოქალაქეებს სრულიად უსასყიდლოდ უწევს და წარმოშობს მათ საკუთრებას დაინტერესებაში არსებულ უძრავ ნივთებზე.

6. დასკვნა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა ქართული სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უნიკალური ფაქტორის გავლენა, კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლების რეალიზაციასთან მიმართებით, იმ ფაქტორის, რომელსაც მიწის რეფორმა ჰქვია, რომელმაც შექმნა აუცილებელი წინამძღვრები და უდიდესი როლი შეასრულა მესაკუთრეთა კლასის ჩამოყალიბებასა და სანივთოსამართლებრივი წესრიგის დამყარებაში. პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოსთვის, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად, სწორედ ის რომ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებად მიჩნეული მიწის ფართობების განკერძოება, ანუ პრივატიზაცია და კერძო მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა, რამეთუ ქართველ გლეხებს შესძლებოდათ საკუთარი ტერიტორიების დამუშავების, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოების, შესაბამისი პროდუქციის რეალიზაციითა და მყარი სოციალური პირობების შექმნის გზით დახმარებოდნენ სახელმწიფოს არსებული სიდუხჭირისა და კრიზისის დაძლევაში.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის რეფორმის განხორციელების ძირითადი მიზნები სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებოდა, შეუძლებელია ხაზი არ გაესვას იმ კერძოსამართლებრივი ინტერესის, აბსოლუტური უფლებების ცენტრის გაღვივებასა და გამოვლინებას, რასაც საკუთრების უფლება ჰქვია. საბჭოთა წარსული, რომლის რეალობაშიც საზოგადოებაში კერძო საკუთრების ცნება არ არსებობდა და ხალხი მოწყურებული გახლდათ საკუთარი მეურნეობისა თუ შემოსავლის მიღების სხვაგვარი წყაროების შექმნას, რასაც ფონად გასდევდა უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მიწის რეფორმა და ზოგადად, სახელმწიფო საკუთრების მიწების უსასყიდლო გადაცემა, ერთგვარი შვების მომგვრელი აქტი გახლდათ, რომელსაც დღემდე უდიდესი გავლენა აქვს ქართულ სამოქალაქო ბრუნვაში, ვინაიდან დღეს არსებული მესაკუთრეების აბსოლუტური უმეტესობა მიწის რეფორმის შედეგად გადაცემული ტერიტორიების მესაკუთრეებს წარმოადგენენ, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული იმ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, რასაც რამდენიმე ათეული წლის წინ ვერც კი წარმოიდგენდნენ.

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ფაქტორები და განმაპირობებელი გარემოებები, რომლის საფუძველზეც შესაძლოა დაუბრკოლებლად ითქვას, რომ 1992 წლის მიწის რეფორმა არსით და მახასიათებლებით სრულიად შეესაბამება კლასიკური პრივატიზაციის ცნებას და წარმოადგენს ქართულ სამართლებრივ სივრცეში საკუთრების უფლების წარმოშობის ისტორიულ კომპონენტს, რომლის მასშტაბიც იმდენად დიდია რომ მსგავსი არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ გვხვდება. მეტიც, ამგვარი ნიშან-თვისებებით არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა ასეთი სახის პროცესი. აღნიშნული მიწის რეფორმა პრივატიზაციის, კერძოდ კი სახელმწიფო საკუთრების მიწების კერძო პირებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის უდიდეს აქტს წარმოადგენს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე-

ობდა და საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის საკუთრების უფლებას დადებით ჭრილში შეეხო.

უამრავი ხარვეზისა და დაბრკოლების მიუხედავად, მინის რეფორმამ გარკვეულ პერიოდში გარკვეულ კულმინაციას მიაღწია, თუმცა სრულყოფილად მაინც არ დასრულებულა, რაც დღესდღეობით არსებული საყოველთაო მინის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობითაც დასტურდება. პრივატიზაციის ამ მასშტაბური აქტის პირველ ეტაზე, არასრულყოფილად მაგრამ მაინც, განხორციელდა მინის კანონმდებლობის ჩამოყალიბება, შესაბამისი უფლებამოსილებების დელეგირება, მინის ფართობების მოქალაქეებზე განაწილება კანონით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მინის ინვენტარიზაცია და ყოველივე ამის დოკუმენტური აღწერა. ამ პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე კი წლიდან წლამდე იცვლებოდა და იხვეწებოდა საკანონმდებლო მოწესრიგება, რაც სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა მეტად მიახლოებოდა იმ მიზნების მიღწევას, რაც თავიდანვე იყო დასახული.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აღნიშნულ პროცესს შედეგად მოჰყვა, ნათელია, რომ წარმოშობილი საკუთრებისა და მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის და ზოგიერთ შემთხვევაში უკვე რეგისტრირებული საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა წარმოადგენს. ეს გარემოება არაერთხელ დადასტურდა როგორც ზოგადად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების პრივატიზაციის, ასევე დღესდღეობით მიმდინარე სისტემური რეგისტრაციის პროცესშიც და იმ მრავალი მინის რეფორმის პროცესშიც, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო. 1992 წლის მინის რეფორმამ ის ძირითადი ნიადაგი შექმნა, რომლის საფუძველზეც კერძო მესაკუთრეები აღმოცენდნენ და სახელმწიფომ შეძლო მის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების დიფერენცირება, სამომავლოდ დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულმა შედეგად გამოიწვია სამოქალაქო ბრუნვის გაუმჯობესება, მესაკუთრეება საკმაოდ ძლიერი კლასის ჩამოყალიბება, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით სამომავლო საპრივატიზებო ობიექტების გამოვლენა და საკუთრების უფლების ინსტიტუტის გაძლიერება, იმ დოკუმენტაციის მოქალაქეებისათვის გადაცემით, რომელიც რეფორმის პერიოდში შეიქმნა. აღნიშნული დოკუმენტაცია კი, იქნება ეს მინაზე საკუთრების უფლებისა თუ მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი, რომელიც მინის რეფორმის ფარგლებში, ან მინის რეფორმამდე შეიქმნა ან/და მიმდინარე პროცესში დარედაქტირდა, ფაქტობრივად უტყუარ საფუძველს წარმოადგენს საჯარო რეესტრში პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციისა, ვინაიდან ამგვარი დოკუმენტაცია უნიკალური ხასიათისა და შინაარსისაა, რომელმაც დროსაც გაუძლო და უამრავ დაბრკოლებასაც. შესაბამისად, მიმდინარე კვლევის ფარგლებში, ნათელი გახდა თუ რა სამართლებრივ საფუძველს უნდა ემყარებოდეს მოქალაქის მოთხოვნა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რა ფარგლებს შესაძლოა მოიცავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნა და რა კრიტერიუმები უნდა იქნეს გათვალისწინებული მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ.

პრივატიზაციის თანამედროვე სახე ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ძალიან განსხვავდება იმ ისტორიული სახისაგან, რომელსაც მინის რეფორმის ფარგლებში შეხვდა ქართული საზოგადოება. დღეის მდგომარეობით უსასყიდლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემა ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, რასაც რა საკვირველია თავისი ახსნა და გამართლება აქვს. ასევე შეცვლილია სახელმწიფო ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო და მთლიან ის პროცესი რასაც პრივატიზაციის აქტი მოყვება შედეგად. დახვეწილია საკანონ-

მდებლო რეგულირება, განერილია დეტალური მონესრიგება, პროცესი ბევრად გამჭვირვალე და საჯაროა, ვიდრე ეს პოსტსაბჭოთა საქართველოს რეალობაში შესაძლოა ყოფილიყო. დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ ადმინისტრაციული ორგანოები მაქსიმალურად ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენონ კერძო პირებს საჯარო ინტერესის განხორციელების პროცესში, რაც უზრუნველყოფილია მაქსიმალური ჩართულობითა და სხვადასხვა უწყებებს შორის არსებული სრული კოორდინაციით, ერთმანეთისათვის პოზიციების გაზიარებისა და მოსაზრებების შეჯერების ხარჯზე.

დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გარდა იმ ისტორიული მნიშვნელობისა, რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების განკერძოებას ჰქონდა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, შესაძლოა ითქვას, რომ პრივატიზაცია სრულად ემსახურება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და სახელმწიფო ბიუჯეტის გამდიდრებას, რაც სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ კერძო მესაკუთრეთა გამოვლენის პროცესი მაინც არ არის ბოლომდე დასრულებული და კვლავ მიმდინარე პროექტს წარმოადგენს, სახელმწიფო ქონების განკარგვის უფლების მქონე ორგანოებმა შედარებით უკანა ფლანგზე გადაინაცვლეს საკუთრების უფლების წარმოშობის პროცესში და ასპარეზი დაუთმეს სხვა უწყებებს, ვინაიდან მიწის არაერთი რეფორმის ფარგლებში მათ საკუთარი თავი თითქმის ამოწურეს და სანივთო უფლებათა წარმოშობისა და რეგისტრაციის თვალსაზრისით გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ განსხვავებული ნაბიჯები იქნა გადადგმული. ამის უდიდეს მაგალითს წარმოადგენს როგორც მიწის განაწილების არაერთი რეფორმისა და პროექტის ერთგვარი დასრულება და არსებული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით ხელისშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, ასევე მიმდინარე მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, მოქალაქეთათვის საკუთრების უფლების აღიარების გზით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და სხვა მიწის ნაკვეთების კერძო პირებისათვის გადაცემა, რომელიც დღეის მდგომარეობითაც არ კარგავს აქტუალობას, წარმოადგენს საკმაოდ პრობლემურ საკითხს და მოქალაქე ინტერესის უდიდეს ობიექტს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ კვლავ შენარჩუნებულ იქნა ხელმისაწვდომობის პოლიტიკა და სარეგისტრაციო წარმოების პროცესისათვის საჭირო მოქმედებები სრულიად უსასყიდლოდ ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მესაკუთრეთა რიცხვის ზრდას, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების იდენტიფიცირებას, საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დროულ ასახვას და სანივთო უფლებათა რეალიზაციას.

ბიბლიოგრაფია:

1. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, 1, 31/01/1992.
2. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, 9, 30/09/1992.
3. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის ამოქმედების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილება, პარლამენტის უწყებანი, 007, 30/04/1996 (ძალადაკარგულია – 25.06.2019).

4. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, პარლამენტის უწყებანი, 15-16, 30/04/1998 (ძალადაკარგულია – 02.07.2019).
5. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 29, 27/07/2007.
6. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, სსმ, 48, 09/08/2010.
7. „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 17/06/2016.
8. ბოხაშვილი ვ., მიწის სამართალი, რიდერი – დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2020, 18, 31, 47, 74, 76, 86.
9. ვაჩნაძე ნ., თომაძე ნ., დამარცხებული საქართველო (თბილისის 1991-1992 წლების დეკემბერი-იანვრის მოვლენები) ნაწილი II, თბ., 2019, 107.
10. მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ანალიზი და რეკომენდაციები, USAID GEORGIA, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013, 3-4.
11. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2018, 62.
12. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8, თბ., 1984, 587
13. ხუციშვილი ე., საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საშემოდგომო სესიის მუშაობა, დემოკრატიის ინდექსი – საქართველო, თბ., 2020, 22.
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-282-268(კ-06).
15. Imomniyozov D., Economic and Legal Nature of The Concept of Privatization, Central Asian Journal of Theoretical and Applied Sciences, Vol. 04, Issue: 01, 2023, 81.
16. Nellis J., The World Bank, Privatization and Enterprise Reform in Transition Economics: A Retrospective Analysis, Washington D.C., 2002, 22.
17. Seiler J., von Staudingers Komm. zum BGB mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Berlin, 2005, 878.
18. Terra Institute, LTD for USAID: Georgia Land Market Development Project Final Report, October, 2005, 4.

რეზიუმე ფუტკარაძე*

მარნმუნებლის ქონების პრეზუმფცია კერძო სამართლის დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში

როგორც სამოქალაქო მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში, ისე სამოქალაქო საპროცესო სამართალში საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება პრეზუმფციების კატეგორიას. დოქტრინაში ცნობილია და სასამართლო პრაქტიკაც იყენებს ორგვარ პრეზუმფციას – იურიდიულ, ანუ სამართლებრივ პრეზუმფციას და ფაქტობრივ ანუ სასამართლოსმიერ პრეზუმფციას. პრეზუმფციის მნიშვნელოვან როლს ერთი მხრივ, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ზუსტი კვალიფიკაცია, მეორე მხრივ, მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების აუცილებლობა განაპირობებს.

წინამდებარე კვლევის საგანი ვინაა. კვლევის საგანს არ წარმოადგენს სამართალში არსებული პრეზუმფციების კატეგორიის სრული ანალიზი. ეს შეუძლებელიც არის სტატიის ფარგლებში. ამასთან, კვლევის საგნად შერჩეული იქნა ერთ-ერთი იურიდიული პრეზუმფცია – მარნმუნებლის ქონების პრეზუმფცია კერძო სამართალში, რომლის შემცველი დანაწესიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (მუხლი 716-ე) მრავალსახოვანი ნორმაა, რაც განაპირობებს ნორმით რეგულირებული ურთიერთობის კვალიფიკაციის სირთულეს. ქართულ სამართალში ამ პრობლემის ცალკე აღებული კვლევა არ განხორციელებულა, თუმცა ცხოვრება ცხადყოფს საკუთარი სახელით, მაგრამ მარნმუნებლის ხარჯზე წარმოშობილი ურთიერთობების პრაქტიკულ მნიშვნელობას. ნორმის სწორი გამოყენება კი, შეუძლებელია სათანადო მეცნიერული კვლევების არსებობის გარეშე. აქედან გამომდინარე კი, **კვლევის მიზანია** დადგინდეს მარნმუნებლის ქონების პრეზუმფციის შესახებ დანაწესის ზუსტი იურიდიული მნიშვნელობა, მოქმედების ფარგლები, ნორმის ადრესატი, ნორმის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი, ის, თუ ვის ინტერესებს იცავს მოცემული ნორმა. აღნიშნული პრობლემის კვლევის შედეგად

განისაზღვრება ნორმით გათვალისწინებული ინსტიტუტის ფუნქციური დანიშნულება, შემთხვევები, რომელთა მიმართაც არის დასაშვები ნორმის გამოყენება, ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობები, რაც შესაძლებელს გახდის მის სწორ შეფარდებას სასამართლოების მიერ, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და განავითარებს კერძო სამართლის დოქტრინას.

საკვანძო სიტყვები: მარნმუნებელი; რნმუნებული; რნმუნებულის კრედიტორი; მარნმუნებლის ქონება და უფლებები; პრეზუმფცია; დავალება; საკუთრების მინდობა; კომისიის ხელშეკრულება.

1. შესავალი

წინამდებარე სტატია შეეხება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში ასახულ დანაწესს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 716-ე მუხლი)¹, რომელიც დავალების ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ კონსტრუქციას შეიცავს და ასახავს მარნმუნებლის ქონების პრეზუმფციას. დავალების ხელშეკრულების კლასიკური კონსტრუქციისაგან განსხვავ-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი.

¹ შემდგომში – სკ.

ვებით, რომელიც გულისხმობს რწმუნებულის მოქმედებას მარნმუნებლის სახელითა და ხარჯზე (სკ-ის 709-ე მუხლი) მინდობილობის საფუძველზე, სკ-ის 716-ე მუხლში საუბარია პირიქით, რწმუნებულის მოქმედებაზე, თუმცა მარნმუნებლის ხარჯზე, მაგრამ საკუთარი (ანუ რწმუნებულის) სახელით. შესაბამისად, სტატიის მიზანია პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვებს: რა განაპირობებს საკუთარი სახელით მოქმედების განხორციელების რწმუნებულისა და მარნმუნებლის ურთიერთობად კვალიფიკაციას? შესაბამისად, რა თავისებურება ახასიათებს საკუთარი სახელით, მაგრამ სხვა პირის ხარჯზე მოქმედებას? დასახელებული ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობა ხომ არ წარმოადგენს დამოუკიდებელ, წარმომადგენლობისა და კომისიის ხელშეკრულების საფუძველზე² წარმოშობილი ურთიერთობისგან განსხვავებულ შემთხვევას? რამდენად ზუსტია სკ-ის 716-ე მუხლის დანაწესის ფორმულირება და რა იურიდიული შედეგი მოჰყვება მასში ნაგულისხმები ქონების მარნმუნებლის ქონებად გულისხმობას? რა სახის ვალდებულებით ურთიერთობას წარმოშობს ამგვარი პრეზუმფცია? დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია მატერიალურთან ერთად, პრობლემის პროცესუალური ასპექტების ანალიზის გარეშე. ქართულ ცივილისტურ მეცნიერებაში მარნმუნებლის ქონების პრეზუმფცია მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. რეალურ ცხოვრებაში კი, ხშირია სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილი დავები. პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ აღნიშნული დავები არასწორი კვალიფიკაციის გამო, მართებულად არ არის გადაწყვეტილი.

პრაქტიკაში უამრავია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის პირი ქონებრივი ხასიათის გარკვეულ სამართლებრივ სიკეთეს იძენს თავისი სახელით, მაგრამ სხვის ხარჯზე. უნდა მოექცეს თუ არა ამგვარი შემთხვევა სკ-ის 716-ე მუხლით შემოთავაზებულ კონსტრუქციაში, დამოკიდებულია აღნიშნული დანაწესის იურიდიული ბუნების განსაზღვრაზე. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, განაპირობებს კვლევის აქტუალობას. ცხადია, კვლევის განხორციელება შეუძლებელია სამართლის სისტემურობის გათვალისწინების გარეშე. გარდაუვალია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების, ზოგადად, კონტინენტური ევროპისა და სამართლის ანგლო-საქსური სისტემის მქონე ქვეყნების მიდგომის შესწავლა. შესაბამისად, კვლევისას გამოყენებულია სისტემურ-სტრუქტურული და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. პირველი მათგანი შესაძლებლობას იძლევა სკ-ის 716-ე მუხლი გაანალიზდეს სისტემაში მის მსგავს კონსტრუქციებთან მიმართებაში. ასეთია კომისიის, საკუთრების მინდობისა და დავალების ხელშეკრულებები. შედარებით-სამართლებრივი მეთოდი კი, საშუალებას იძლევა გამოტანილი იქნეს დასკვნა სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული მარნმუნებლის ქონების პრეზუმფციის თავისთავადობისა თუ ფუნქციურად მისი მსგავსი დანაწესის არსებობის შესახებ კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში, დადგინდეს მსგავსება და განმასხვავებელი ნიშნები ანალოგიურ დანაწესებთან. როგორც სისტემური, ისე შედარებითი ანალიზის მეთოდი შესაძლებლობას იძლევა მკაფიოდ განისაზღვროს ქართულ კერძო სამართალში არსებული

² როგორც ლიტერატურაშია მითითებული: დასახელებული ხელშეკრულებები ერთმანეთისგან უწინარეს ყოვლისა იმით განსხვავდებიან, რომ დავალების ხელშეკრულება წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებას წარმოადგენს, ე.ი. რწმუნებული მოქმედებს მარნმუნებლის სახელით მინდობილობის საფუძველზე, მაშინ როცა კომისიის ხელშეკრულება არ წარმოშობს წარმომადგენლობით ურთიერთობას. კომისიონერი მართალია კომიტენტის ინტერესების შესაბამისად, მაგრამ თავისი სახელით მოქმედებს, რაც გამორიცხავს წარმომადგენლობის ურთიერთობის წარმოშობის შესაძლებლობას. სხირტლაძე ხ. „კომისიის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება“, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, კვლევითი უნარების სასემინარო ნაშრომი, სამართლის სადოქტორო პროგრამა, თბ. 2022, გვ. 12

მარწმუნებლის ქონების პრეზუმფციის იურიდიული ბუნება, მისი პრაქტიკული დანიშნულება, პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობა, რაც ხელს შეუწყობს ქართული კერძო სამართლის დოქტრინის განვითარებას, დავალების ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტთა უფლება-მოვალეობების სწორად განხორციელებას, აღნიშნული ინსტიტუტის მნიშვნელობის ერთიან გაგებას პრაქტიკაში, საბოლოოდ კი – სამართლის განვითარებას.

მოცემული პრობლემის თაობაზე, თითქმის არ არსებობს სასამართლო პრაქტიკის ღირებული განმარტებები. სასამართლო განმარტებების სიმცირეც ართულებს კვლევას. მაგალითისთვის, ერთ-ერთ სარჩელზე, რომელიც სწორედ სკ-ის 716-ე მუხლს ეფუძნებოდა, საქმეზე მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული³ და ეს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამაც ძალაში დატოვა. სასამართლო აქტები დაეფუძნა სარჩელში მითითებული გარემოებების დამტკიცებულად ჩათვლას, რომელთა თანახმადაც მოსარჩელე მოპასუხეს ურიცხავდა თანხებს საზღვარგარეთიდან. მოპასუხემ ამ თანხით თავისი სახელით შეიძინა ბინა. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ბინის მისთვის მიკუთვნება. მართალია სარჩელის დაკმაყოფილება დაეფუძნა მარტოოდენ სარჩელში მიღებული გარემოებების უდავო მოცემულობად მიჩნევას და საკუთრივ სკ-ის 716-ე მუხლის ფუნდამენტური განმარტება არცერთ სასამართლოს(არც თბილისის საქალაქო და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოებს) არ გადმოუცია თავის აქტებში, მაგრამ რადგან სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად გამართლებულად იქნა მიჩნეული სასამართლოების მიერ, მაშასადამე სარჩელიც მართებულად ჩაითვალა, სწორედ სკ-ის 716-ე მუხლიდან გამომდინარე.

სხვა საქმეზეც სარჩელი სკ-ის 716-ე მუხლს ეფუძნებოდა. მოსარჩელის მტკიცებით, მან მოპასუხეს გადაურიცხა თანხა, რომლითაც ამ უკანასკნელმა შეიძინა და საკუთარ სახელზე დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი. უზენაესი სასამართლოს განმარტებით⁴ დავალების ხელშეკრულება ზეპირი ფორმითაც შეიძლება დაიდოს, თუმცა როდესაც დავალება ითვალისწინებს უძრავი ქონების შეძენას, ამგვარი დავალების შესრულება შეუძლებელია წერილობითი ფორმით გაცემული მინდობილობის გარეშე, რომელიც აუცილებელია სხვისი სახელით უძრავი ნივთის შეძენისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროს რწმუნებულის უფლებამოსილების დასადასტურებლად. აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ იმ პირობებშიც კი, თუ დადგინდებოდა, რომ ზეპირი დავალების ხელშეკრულების საგანი ნამდვილად კონკრეტულად განსაზღვრული უძრავი ნივთი იყო, აღნიშნული დავალების შესრულებას რწმუნებული ვერ შეძლებდა მარწმუნებლის მოქმედების გარეშე, რაც უნდა გამოხატულიყო მის მიერ რწმუნებულების გაცემაში. აშკარაა, რომ სასამართლომ ერთმანეთისგან არ გამიჯნა დავალების ხელშეკრულება და მინდობილობა. მინდობილობა უნდა გაემიჯნოს მის საფუძველზე განხორციელებული / განსახორციელებელი ურთიერთობისაგან (ძირითადი ურთიერთობისაგან), რაც გამომდინარეობს გერმანული სამართლისთვის დამახასიათებელი აბსტრაქციის პრინციპიდან,⁵ რაც სრულიად მართებულია და შესაბამისად, ესადაგება ქართულ სამართალსაც.

³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N2/23757-22.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე Nას-260-248-2017.

⁵ Shubert C. Münchener Kommentar zum BGB, 10 Auflage. 2025 §.164, Rn. 25.

ზემოაღნიშნულის საწინააღდეგოდ კი, სასამართლოს მოსაზრებით, მართალია დავალების ხელშეკრულებისათვის (სკ-ის 709-723-ე მუხლები) დადგენილი არ არის სავალდებულო სპეციალური ფორმა და მაშასადამე, ეს ხელშეკრულება ზეპირადაც შეიძლება დაიდოს, მაშინაც კი, როცა დავალება უძრავი ნივთის შეძენას ეხება, მაგრამ ყველა ხელშეკრულების, მათ შორის, ზეპირი დავალების ხელშეკრულების მიმართ, მოქმედებს სკ-ის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესი ხელშეკრულების დადებულად მისაჩნევად მის ყველა არსებით პირობაზე მხარეთა შეთანხმების აუცილებლობის შესახებ, რაც უნდა აისახოს შესაბამისი ფორმის დაცვით. სასამართლოს აზრით, სკ-ის 327-ე მუხლის ამ დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც დავალების ხელშეკრულების საგანი უძრავი ნივთის შეძენა, სადავოობის დროს მნიშვნელოვანია ხელშეკრულებიდან ცხადად ირკვეოდეს, თუ რომელ უძრავ ქონებას მიემართება ხელშეკრულება. თუ ხელშეკრულების საგანი დაკონკრეტებული არ არის,⁶ მაშინ მარნმუნებელს სკ-ის 715-ე მუხლის საფუძველზე შეუძლია მხოლოდ დავალების ფარგლებში გაცემული თანხის რწმუნებულისაგან დაბრუნება და არა უძრავი ნივთის დაბრუნება. აშკარაა, რომ დასახელებულ საქმეებზე, რომელთაც მსგავსი გარემოებები ედოთ საფუძვლად, სხვადასხვაგვარი შედეგი დადგა. საკუთრივ, უზენაესი სასამართლოს განმარტებებიც არ არის სკ-ის 716-ე მუხლის არსის სრულყოფილად ამსახველი.

სხვა საქმეზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმრგარემოებას, რომ დავის საგნად ქცეულ ამა თუ იმ ქონებაზე მარნმუნებლის საკუთრების უფლების აღიარებისათვის აუცილებელია დასტურდებოდეს მხარეთა შორის ქონების შეძენაზე დავალების ხელშეკრულების არსებობა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში რწმუნებულისათვის დავის საგნად ქცეული ქონების შესაძენად თანხის გადაცემა⁷, რამეთუ როგორც პრაქტიკის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, წარმომადგენლობის ყოველი შემთხვევა არ გულისხმობს სამართლებრივი შედეგების ავტომატურად მარნმუნებლისათვის დადგომას.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, როდესაც დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მათ შორის სკ-ის 716-ე მუხლის საფუძველზე დავა უძრავ ნივთს ეხება, სასამართლოები ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ იმაზე, რომ უნდა დასტურდებოდეს თანხის/ქონების მიღება რწმუნებულის მიერ, ამ უკანასკნელისათვის უფლების შესაძენად, არამედ დაცული უნდა იყოს გარიგების ფორმაც, რისთვისაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სკ-ის 103-ე და 107-ე მუხლების (აგრეთვე სკ-ის 327-ე მუხლის) მოთხოვნები.

2. მინდობილობის, კომისიის ხელშეკრულებისა და დავალების ურთიერთმიმართების საკითხისათვის

მინდობილობის გაცემაც და დავალების ხელშეკრულების დადებაც ნდობას ეფუძნება. ლიტერატურაში არსებული ერთ-ერთი მოსაზრების საპირისპიროდ⁸, ორივე მათგანი ფიქციური გარიგებაა. ამასთან, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი სამართლებრივი ბუნებით.

⁶ ანუ დადასტურებული არ არის, რომ რწმუნებულმა სადავო უძრავი ქონება სწორედ მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით შეიძინა.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე №ს-712-665-2017.

⁸ *Tuhr A., Allgemeiner Teil des schweizerischen Obligationenrechts. Tübingen, 1924, Halb bd 1, 181.*

თუ მინდობილობის საფუძველზე გარიგების დადების სამართლებრივ შედეგები გაცილებით ცხადია (სკ-ის 104-ე მუხლის გათვალისწინებით), თავისი სახელით, მაგრამ მარნმუნებლის ხარჯით მოქმედება მრავალნახნაგა საკითხია და შესაბამისად, უამრავი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ უფლებამოსილების მინიჭების ინტერესი შეიძლება გამომდინარეობდეს მარნმუნებელსა და წარმომადგენელს შორის არსებული როგორც პირადი, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომლის დადგენა არ წარმოადგენს არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას მინდობილობიდან გამომდინარე უფლებამოსილების შეფასებისას. სასამართლოს აზრით არსებითი ის არის, რომ მარნმუნებლის ნების ნამდვილობარდადგინდეს. თუ ნება გამოვლენილია, მაშინ ივარაუდება, რომ წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებები შეესაბამება მარნმუნებლის ინტერესებს. ეს პრეზუმფცია კანონიდან გამომდინარეობს, რომელიც, სასამართლოს სიტყვებით რომ ითქვას „თითქმის გაუბათილებელია“⁹ და უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, მინდობილობის გაცემასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობა დამოუკიდებელია მარნმუნებელსა და რნმუნებულს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან.

თუ მინდობილობა წარმომადგენლის უფლებამოსილებას ადასტურებს, მარნმუნებლის სახელით განხორციელოს გარკვეული მოქმედება, დავალების ხელშეკრულებით წესრიგდება ურთიერთობა მარნმუნებელსა და რნმუნებულს შორის. ამიტომ თუნდაც დავალების ხელშეკრულება დაარღვიოს რნმუნებულმა მარნმუნებლის მიმართ, ეს გავლენას ვერ მოახდენს მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ნამდვილობაზე.

მნიშვნელოვანია შემდეგი დეტალიც: სკ-ის 716-ე მუხლი საკუთარი სახელით მოქმედ პირს რნმუნებულს უწოდებს. მაშასადამე, რნმუნებულის სტატუსის შესაძენად არ არის აუცილებელი ამათუიმ სუბიექტზე გაცემული იყოს რნმუნებულება/მინდობილობა. გარდა ამისა, სკ-ის 716-ე მუხლში მითითებულ „რნმუნებულში“ ის სუბიექტიც უნდა იქნეს მოაზრებული, რომელიც მოქმედებს გადანდობის საფუძველზე, რამეთუ გადანდობა წარმოადგენს არა უფლებამოსილების გადაცემას, არამედ წარმომადგენლის (რნმუნებულის) მიერ წარმოდგენილი პირის (მარნმუნებლის) სახელით ახალი უფლებამოსილების გაცემას. ეს ახალი უფლებამოსილება თავისი შინაარსით უნდა ემთხვეოდეს თავდაპირველი უფლებამოსილების შინაარსს.¹⁰ გადანდობის შედეგად წინა უფლებამოსილება წყდება, ხოლო მონაცვლე ხდება მარნმუნებლის ახალი რნმუნებულის.

რაც შეეხება წარმომადგენლობის განსხვავებას კომისიის ხელშეკრულებისაგან, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი უპირატესად სამეწარმეო ბრუნვაში გამოიყენება, არსებობს სხვა განსხვავებაც: წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგი უშუალოდ წარმოდგენილ სუბიექტს წარმოეშობა. როდესაც რნმუნებული მესამე პირთან დებს გარიგებას, ის არ ხდება დავალების ხელშეკრულების შედეგად მარნმუნებლისა და მესამე პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარე, თავად რაიმე უფლებას ან მოვალეობას ამ გარიგებით არ იძენს. კომისიონერი კი პირიქით, თავის მიერ მესამე პირთან და-

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-398-377-2012.

¹⁰ Larenz K., Wolf M., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts. 8. Aufl. München, 1997, 911.

დებული გარიგების მხარე ხდება და იძენს უფლებებსა და მოვალეობებს. ის პირი, ვინც კომისიონერთან დებს გარიგებას, თავად არ ხდება კომისიის ხელშეკრულების მონაწილე.

კომისიის ხელშეკრულების წესები, მესამე პირის მონაწილეობით წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ, არ გამოიყენება. კომიტენტი არ წარმოადგენს თავისი ინტერესების შესაბამისად დადებული გარიგებების მონაწილეს, მაშინ როცა, მარწმუნებელი რწმუნებულის მიერ მესამე პირთან დადებული გარიგებების მონაწილედ მიიჩნევა და შესაბამისად ამ გარიგებებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს იძენს, ვინაიდან ეს გარიგებები მარწმუნებლისათვის იდება. აღსანიშნავია ისიც, რომ კომისიის ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია, დავალების ხელშეკრულებას შესაძლოა გააჩნდეს როგორც სასყიდლიანი ისე უსასყიდლო ხასიათი.¹¹

3. კვლევის ისტორიულ-შედარებითი ასპექტი

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ბრუნვაში (ბაზარზე) მონაწილეობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საჭიროებამ, განაპირობა მხარეთა შორის სხვადასხვაგვარი ურთიერთობის წარმოშობა, რომელთაგან ერთ-ერთია მესამე პირის მომსახურებით სარგებლობა. ასეთი მესამე პირი (მომსახურების გამწვევი) არ წარმოადგენს მომსახურების ფარგლებში დადებული ამა თუ იმ გარიგების მხარეს. საუბარია წარმომადგენლობაზე. სავაჭრო ურთიერთობებში გამოიკვეთება ამგვარი ურთიერთობის სპეციფიკური სახე – სავაჭრო წარმომადგენლობა. მაგალითად, ასეთი სახის წარმომადგენელია პროკურისტი გერმანულ სამართალში, კომივიოიაჟერი საფრანგეთში და ა.შ. ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილ პირს ამა თუ იმ მიზეზით არ სურს და ზოგჯერ, არც შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედება. ამიტომ ის ამჯობინებს ისარგებლოს წარმომადგენლის მომსახურებით. ასეთი წარმომადგენელი გარიგებას დებს მესამე პირთან. სწორედ ამის გამოა, რომ კანონმდებელი მათი მოქმედების აღსანიშნავად სხვადასხვა კონსტრუქციას იყენებს. სახელდობრ, კანონში ვხვდებით მოქმედების შესრულებას „სხვა პირის დავალებით“, „სხვა პირის სახელით“, „სხვის ხარჯზე“, „საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად“, ხოლო სკ-ის 716-ე მუხლში კი, შემოთავაზებულია „საკუთარი სახელით, მაგრამ მარწმუნებლის ხარჯზე“ მოქმედების კონსტრუქცია.

კერძოსამართლებრივ ბრუნვაში, წარმომადგენლების გარდა, დიდ როლს თამაშობენ სხვადასხვა სახის შუამავლებიც. შუამავალი, როგორც წესი, საკუთარი სახელით მოქმედებს, რის გამოც, შუამავლობა არ თავსდება წარმომადგენლობის ლეგალურ დეფინიციამ. შუამავლის (მაკლერის) საქმიანობის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს გარიგების დადებას, რასაც ის ახორციელებს გარიგების დადებით დაინტერესებული კონტრაჰენტების მოძებნის, თუ ხელშეკრულების პირობების მომზადებაში მონაწილეობით. მაგალითად, გერმანიაში ეს არის სავაჭრო მაკლერი¹², საფრანგეთში კურტიე¹³ (რომლის სხვადასხვა სახე არსებობს საფრანგეთში, კერძოდ სავაჭრო, საზღვაო, სადაზღვევო და სხვა).

¹¹ სხირტლაძე ხ., კომისიის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, კვლევითი უნარების სასემინარო ნაშრომი, სამართლის სადოქტორო პროგრამა, თბ., 2022, 13.

¹² German Commercial Code – გერმანიის სავაჭრო კოდექსი 1-ლი წიგნის მე-8 განყოფილება.

¹³ Commercial Code of France – საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის 1-ლი წიგნის, III ტიტუციის I თავი.

წარმომადგენლობითი და საშუამავლო ფუნქციები ზოგჯერ მჭიდროდ არიან ერთმანეთში გადაჯაჭვულნი, მაგრამ სავაჭრო წარმომადგენლისა და შუამავლის (მაკლერის) სამართლებრივი მდგომარეობა და ფუნქცია ერთმანეთისგან განსხვავებულია.¹⁴

არსებობს სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტების სხვა კატეგორიაც, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი სახელით, მესამე პირის ხარჯზე და საკუთარი ინტერესების შესაბამისად. სახელდობრ, ასეთი სუბიექტებია საბითუმო და საცალო გამყიდველები, რომლებიც მონაწილეობენ საქონლის გასაღების ოპერაციებში და არ არიან დამამზადებლის არც წარმომადგენლები, არც შუამავლები. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში ამგვარი ურთიერთობები შიდა ბაზარზე, აგრეთვე საქონლით საგარეო ვაჭრობისას ფორმდება კომისიის ხელშეკრულების სახით,¹⁵ რომელიც შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე გემის დაფრაბტვის შესახებ წარმოშობილ ურთიერთობებსაც, საბანკო ოპერაციებსაც, რომელთა საგანიც, უწინარეს ყოვლისა, ფასიანი ქაღალდებია და სხვა სახის ურთიერთობებს.

ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ხშირად სწორედ საკომისიო საწყისებზე მოქმედი ბანკების მეშვეობით ხორციელდება.

შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, ლიტერატურაში მართებული დასკვნაა გამოტანილი, რომ მესამე პირთა (წარმომადგენლები, მაკლერები, აგენტები) მომსახურების გამოყენების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირება განსხვავებულია ანგლო-საქსურ და კონტინენტურ სამართალში¹⁶.

კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში შემოღებულია სახელშეკრულებო ურთიერთობების სისტემა, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ხელშეკრულებაში. ხელშეკრულების სახელწოდება დამოკიდებულია ამგვარ ხელშეკრულებაში მესამე პირის მონაწილეობის ხასიათზე. ეს შეიძლება იყოს სავაჭრო წარმომადგენლობა, დავალების და კომისიის ხელშეკრულებები.

სამართლის ანგლო-საქსური სისტემის მქონე ქვეყნებში კი, წარმოშობილ ურთიერთობათა იურიდიული ბუნების მიუხედავად (კერძოდ, ეს ურთიერთობები წარმოადგენენ ფაქტობრივ თუ იურიდიულ ურთიერთობებს), ხელშეკრულების მხარეებს „აგენტი“ და „პრინციპალი“, ხოლო საკუთრივ ხელშეკრულებას, აგენტთან დადებული ხელშეკრულება ეწოდება¹⁷.

სხვაგვარად რომ ითქვას, პრინციპალსა (ანუ პირი, რომელიც სხვადასხვა სახის დავალებას აძლევს აგენტს) და აგენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერი სახე, მათი შინაარსის და შედეგების მიუხედავად, ანგლო-საქსური სისტემის ქვეყნებში, აგენტთან დადებულ ხელშეკრულებას/ურთიერთობას განეკუთვნება. ამიტომ, მხოლოდ თავად ხელშეკრულების შინაარსიდან ან აგენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილებებიდან შეიძლება იქნეს გამოტანილი დასკვნა მისი უფლებამოსილებების მოცულობის და მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლების შესახებ.

¹⁴ Schmittgoff C., Agency in International Trade. A Stude of Corporative Law, Collected Courses of the Hague Academy of International Law, vol. 129, 1970; *Leloup J. – M., Les agents commerciaux. Statuts juridiques. Strategies professionnelles.* Paris: DELMAS, 1993.

¹⁵ გოთუა ლ., საქართველოში ფაქტორინგის რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, „სამართლის ჟურნალი“ №2, 2018, 24.

¹⁶ Гражданское и торговое право зарубежных стран: Учебн. пособие, Под общей ред. В.В. Бузбаха и В.К. Пучинского, М. МЦФЭР, 2004, 210-211.

¹⁷ ინგლისურად ეს ხელშეკრულება იწოდება როგორც *agency agreement*.

საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში, ძირითად კომერსანტთან (პრინციპალთან) და იმ მესამე პირებთან ურთიერთობაში აგენტის როლის მიხედვით, რომლებსაც შესაძენად სთავაზობს საკუთარ მომსახურებას/საქონელს, გამოიკვეთება: ა) პირდაპირი წარმომადგენლობა, როცა ხელშეკრულებას აგენტი პრინციპალის სახელითა და დავალებით დებს, რის შედეგადაც ყველასთვის, ვისაც კავშირი აქვს ხელშეკრულებასთან, ნათელია როლების განაწილება, უწინარეს ყოვლისა ის, თუ სახელდობრ ვინ არის ხელშეკრულების მონაწილე და შესაბამისად, ვის ენიჭება აღნიშნულის შედეგად უფლებები და ეკისრება მოვალეობები (ასეთია კომერციული წარმომადგენლობისა და დავალების ხელშეკრულებები) და ბ) ირიბი წარმომადგენლობა, როდესაც იურიდიული თვალსაზრისით ხელშეკრულების მხარეს აგენტი წარმოადგენს, თუმცა კი, ეკონომიკური ასპექტით ასეთ ხელშეკრულებას დებს ან პრინციპალის ხარჯზე და პრინციპალის ინტერესების შესაბამისად, რომელიც საქონლის მესაკუთრედ რჩება (კომისიისა და კონსიგნაციის ხელშეკრულებები), ან აგენტის მიერ დამოუკიდებლად იდება, რომელიც საქონლის მესაკუთრე ხდება, თუმცა კი მოქმედებები შეესაბამებიან პრინციპალის ეკონომიკურ ინტერესებსაც. ამ უკანასკნელის ინტერესი, სახელდობრ, გამოიხატება საქონლის (მომსახურების) გასაღების ბაზრის გაზრდაში, ბაზარზე რეკლამირებაში.¹⁸

წარმომადგენლობის ამგვარის სახეები ასახულია „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში“ (თავი მე-3, 3-101 – 3-304-ე მუხლები)¹⁹, რომელიც შეიცავს „აგენტის უფლებამოსილებების“ შესახებ დანაწესებს²⁰.

„ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ (3-102-ე მუხლი) მიჯნავს პირდაპირ და ირიბ წარმომადგენლობას. მე-3 თავის მე-2 განყოფილება პირდაპირი წარმომადგენლობის თაობაზე შეიცავს დანაწესს, რომლის შესაბამისადაც პირდაპირ წარმომადგენლობას ადგილი აქვს, როდესაც აგენტი მოქმედებს პრინციპალის სახელით, ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თავიდანვე ცნობილიარპრინციპალის პიროვნება თუ მოგვიანებით გახდა ცნობილი მის შესახებ. მე-3 თავის მე-3 განყოფილებას ირიბ წარმომადგენლობაში ნაგულისხმები აქვს ორი შემთხვევა: როდესაც შუამავალი არა პრინციპალის, არამედ საკუთარი სახელით მოქმედებს ან მოქმედებს პრინციპალის მითითებისა და დავალების შესაბამისად, ან მხოლოდ პრინციპალის მითითების შესაბამისად, რის შესახებაც მესამე მხარემ არ იცის და არ აქვს საფუძველი იცოდეს.

რდასახელებულ პრინციპებში აისახა გაეროს 1983 წლის 17 თებერვლის კონვენციის (ჟენევის კონვენცია)²¹ დებულებები საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისას წარმომადგენლობის შესახებ.

¹⁸ *Вилкова Н.Г.*, Договорное право в международном обороте, М., Статут, 2002, 221-222; 273-274.

¹⁹ The principles of European Contract Law (PECL) <<https://pecl.php.net/>> [25.09.2025].

²⁰ მოცემული დანაწესები ანესრიგებენ აგენტის ან სხვა შუამავლის უფლებამოსილებებს დაავალდებულონ თავიანთი პრინციპალი მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ არ შეეხებიან აგენტსა და შუამავალს ან მის პრინციპალს შორის შიდა ურთიერთობებს.

²¹ ჟენევის კონვენცია არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 716-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების პრეზერვაციის მსგავს დებულებას. დასახელებული კონვენცია ასახავს სამართლის ორი ძირითადი სისტემის (კონტინენტური ევროპის და ანგლო-საქსური) პრინციპებს და გამიზნულია ისეთ შემთხვევაში გამოსაყენებლად, როდესაც პრინციპალსა და აგენტს თავიანთი კომერციული სანარმოები სხვადასხვა სახელმწიფოში აქვთ და აგენტი პრინციპალისაგან უფლებამოსილია დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება მესამე პირებთან. ამასთან, აგენტის მიერ შესრულებული მოქმედებები, რომლებიც სავალდებულოა პრინციპალისათვის, არ არის განსაზღვრული დასახელებული კონვენციით და შესაბამისად, დამოკიდებულია აგენტსა და პრინციპალს შორის დადებულ შეთანხმებაზე.

ნიშანდობლივია, რომ წარმომადგენლობის თანამედროვე ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმადაც სამართლებრივი შედეგი წარმოდგენილი პირისათვის დგება, რომის სამართალში გათვალისწინებული არ იყო.

როგორც ლიტერატურაში აღინიშნება, თავდაპირველად (იგულისხმება რომის სამართალი – ხაზგასმა ეკუთვნის სტატიის ავტორს) არცერთი წესით არ იყო გათვალისწინებული პირდაპირი წარმომადგენლობა²². ამგვარი წარმომადგენლობა მიჩნეულია „იურიდიულ სასწაულად“, რომლის გამოყენებაც პირველად მაშინ გახდა შესაძლებელი, როდესაც ბუნებითი სამართლის მომხრეები დაუბრუნდნენ სახელმეკრულებო სამართლის დასაბუთებას ნების ავტონომიის თავისუფლების იდეაზე დაყრდნობით²³. ჰუგო გროციუსი დასაშვებად მიიჩნევდა პირობის მიცემას „იმ პირის სახელით, ვისაც ნივთი უნდა გადაეცეს“. ასეთ შემთხვევაში, საკუთრების უფლებას უშუალოდ ის იძენს, „ვისი სახელითაც სწარმოებს საქმე“²⁴. და პირიქით, იმ პირობიდან, რომლის თანახმადაც უფლებამოსილმა პირმა გარიგება მესამე პირთან შემკვეთის „სახელით“ უნდა დადოს, გამომდინარეობს, რომ ეს გარიგება არავითარ იურიდიულ შედეგს არ წარმოუშობს შემკვეთს, თუკი უფლებამოსილი პირი, თუმცა მიცემული შეკვეთის ფარგლებში, მაგრამ არა შემკვეთის სახელით მოქმედებდა. თუკი ხელშეკრულების დამდები საკუთარი სახელით მოქმედებს, მაშინ არც წარმომადგენლობას აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ გარიგების დამდები იძენს უფლებებსა და მოვალეობებს დადებული გარიგების საფუძველზე, მაშინაც კი, როდესაც ეს პირი გარიგების დადებაზე შემკვეთის მიერ არის უფლებამოსილი. ის უნდა აწარმოებდეს საქმეს შემკვეთის „ხარჯზე“ და ამისათვის ანგარიში ჩააბაროს შემკვეთს. გაწეული სამუშაოსათვის შემკვეთისაგან შესაბამის გასამრჯელოსაც იღებს. ასეთია კონტინენტური სამართლის მიდგომა. ანგლო-საქსური სამართალი კი, ამგვარ შეზღუდვებს არ იცნობს. ის, რომ კონტინენტური ევროპის სამართალი განასხვავებს „საკუთარი სახელით“ და „სხვისი სახელით“ მოქმედებას, ინგლისელი იურისტებისათვის მიუღებელია და მისთვის გაუგებარი რჩება, მართლოდენ სხვისი სახელით მოქმედებისას რატომ წარმოადგენს უფლებამოსილი პირის მოქმედება შემკვეთის უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველს.

მაშასადამე, კონტინენტური ევროპის სამართალში მკაფიოდ არის გამიჯნული საკუთარი და სხვისი სახელით მოქმედების საკითხი, მაგრამ ამგვარი გამიჯვნა მკაცრად როდია დაცული. ამის დასტურია ის გარემოება, რომ დასახელებული სისტემის მქონე ქვეყნებში ამა თუ იმ პირის საკუთარი სახელით მოქმედებამაც შეიძლება წარმოშვას სამართლებრივი შედეგები იმ პირისათვის, ვის ხარჯზეც ეს პირი მოქმედებს.

როგორც საკუთარი სახელით, ისე სხვისი სახელით მოქმედებისას გარკვეულ როლს თამაშობს მონაწილეთა მოქმედებების ეკონომიკური სარჩული²⁵. როდესაც ერთი პირი მეორეს ავალებს მისთვის შეიძინოს რაიმე ქონება ან უფლება, მხარეთა მოქმედებების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მინდობილი პირის კლიენტი გახდეს ქონების ან უფლების მესაკუთრე, დაასახელოს ნასყიდობის/გარიგების ფასი, მინდობილ პირს აუნაზღაუროს ხარჯი და გადაუხადოს გასამრჯელო. შეკვეთა იმის მიუხედავად ხორციელდება/სრულდება, მინდობილმა პირ-

²² *Zweigert K., Kötz H., Einführung in die Rechtsvergleichung*, 3. Aufl. J.C.B. Mohr (Paul Siebeck) Tübingen, 1996, 130-141.

²³ იქვე, 130-141.

²⁴ იქვე, 130-141.

²⁵ *Zweigert K., Kötz H., Einführung in die Rechtsvergleichung*, 3. Aufl. J.C.B. Mohr (Paul Siebeck) Tübingen, 1996, 427-438.

მა მოლაპარაკებების წარმოშობისას აცნობა თუ არა მესამე პირს, ან მიანიშნა თუ არა მას,²⁶ იმის შესახებ, რომ ის მოქმედებს შემკვეთისათვის (შემკვეთი შეიძლება ცნობილიც იყოს და ანონიმურიც).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მართებულია შეფასება, რომ საკუთარი სახელით მოქმედება და სხვისი სახელით მოქმედება, თუკი მათ ეკონომიკური თვალსაზრისით განვიხილავთ, „ერთი ხის ტოტებს“ წარმოადგენენ²⁷. სწორედ ამის გამოა, რომ ანგლო-საქსური სამართალი წარმომადგენლობის კატეგორიის ფართო განსაზღვრებით²⁸ უკეთ ითვალისწინებს საკუთარი და სხვისი სახელით მოქმედების ასპექტებს, ვიდრე კონტინენტური სამართალი.

4. სკ-ის 716-ე მუხლით რეგულირებული ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციისათვის

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სკ-ის 716-ე მუხლის ცალკე გამოყოფის აუცილებლობა კანონმდებელს არ გააჩნდა²⁹. აღნიშნული მოსაზრების გაზიარება რთულია, ვინაიდან ნორმით რეგულირებულ ურთიერთობას არ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა არცერთი ინსტიტუტი. მეორე მხრივ, მართებულია დასკვნა, რომლის თანახმადაც დასახელებული ნორმა ყველაზე ახლოს დგას გერმანიის სავაჭრო კოდექსის 392-ე მუხლის მე-2 ნაწილთან³⁰. თუმცა, ეს არ ნიშნავს საქართველოს სამოქალაქო და გერმანიის სავაჭრო კოდექსებით გათვალისწინებული ურთიერთობების აბსოლუტურ მსგავსებას. გერმანიის სავაჭრო კოდექსის ხსენებული ნორმით მოწესრიგებულია კომიტენტის და კომისიონერის უფლება-მოვალეობები. გერმანიის სავაჭრო კოდექსის ზემოაღნიშნული დანაწესის მიზანი კომიტენტის უფლებების გაძლიერებულად დაცვაა.³¹ ნორმის თანახმად, კომისიის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები მიიჩნევა კომიტენტის საკუთრებად,³² თუნდაც ფორმალურად, ისინი კომისიონერის სახელზე იყოს დარეგისტრირებული.³³ მაშასადამე, მოქმედებს კომიტენტის ქონების კანონისმიერი (იურიდიული) პრეზუმფცია და შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმა მხოლოდ კომიტენტის ინტერესებს იცავს. ნორმის მოქმედების არეალი გერმანულ სამართალში კომერციულ ურთიერთობებს მოიცავს და მისი მიზანია ამ ურთიერთობების უსაფრთხოების³⁴ და სტაბილურობის უზრუნველყოფა³⁵. ზოგს კი მიაჩნია, რომ ნორმის მიზანი ქო-

²⁶ ან შესაძლოა ამის შესახებ საერთოდ, არაფერი გაუმხილა.

²⁷ Zweigert K., Kötz H., Einführung in die Rechtsvergleichung, 3. Aufl. J.C.B. Mohr (Paul Siebeck) Tübingen, 1996, 427-438

²⁸ რომ ეს არის აგენტის მოქმედება.

²⁹ რუსიაშვილი გ., სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულება (Geschäftsbesorgungsvertrag) და საკუთრების მინდობა, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, <<https://lawjournal.ge/3244235235-2/>> [25.09.2025].

³⁰ იქვე.

³¹ Koller I., Kindler P., Roth W.-H., Drüen K.-D., Handelsgesetzbuch: Kommentar, 9. Aufl., C.H. Beck 2019, 1027-1029.

³² Lieder J., Wüstenberg T., Kommissionsgeschäft und Forderungszuordnung – Dogmatische Grundsatzfragen des §392 Abs. 2 HGB, JURA 2016, 38 (11), 1229–1240.

³³ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განმარტება: BGH Urteil vom 12. März 2003 – VIII ZR 179/02:

³⁴ Schmidt K., Gesellschaftsrecht, 5. Aufl., 2022, 403.

³⁵ Zimmermann R., The Law of Obligations, Oxford University Press, 1996, 230.

ნების რეალური სტატუსის (რეალური მესაკუთრის სტატუსის) განსაზღვრა³⁶, რადგან ეს არის ერთგვარი საგამონაკლისო წესი იმ ფორმალური პრინციპიდან³⁷, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა საერთოდ საკუთრება (ხდება საკუთრების უფლების შეძენა). გერმანიის სავაჭრო კოდექსის 392-ე მუხლი ეფუძნება ეკონომიკური რეალობის პრინციპს, რომლის თანახმადაც საკუთრების უფლება მხარეთა ფაქტობრივ ურთიერთობას უნდა შეესაბამებოდეს. ამიტომ ფორმალური, ანუ იურიდიული (ტიტულიანი) მესაკუთრეობის მიუხედავად, აღნიშნული პრეზუმფცია სამართლებრივ შედეგს კომიტენტისათვის წარმოშობს. პრაქტიკაში კი, აქცენტი გადააქვთ კრედიტორთა მხრიდან განხორციელებული იძულებითი აღსრულებითი მექანიზმებისაგან მესაკუთრის დაცვაზე,³⁸ რადგან ქონება ითვლება მარწმუნებლის საკუთრებად და შესაბამისად, ქონება ან თანხა, რომელიც რწმუნებულმა თუ კომისიონერმა მიიღო, მარწმუნებელს ან კომიტენტს უნდა დაუბრუნდეს.

აღნიშნული შეხედულებები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. გერმანულის მსგავსად, სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმფციის მნიშვნელობის შესახებაც შესაძლებელია ზემოაღნიშნული მოსაზრებების გამოთქმა. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ეს ნორმა გაცილებით ფართო სახის ურთიერთობებს მოიცავს, რისი დასტურიც არის კომისიის ხელშეკრულების მოწესრიგება ცალკე ნორმით (სკ-ის 723-ე მუხლი). კომისიის ხელშეკრულებაზე ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. მართალია კომისიის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს სამწუხაროდ აღარ ვხვდებით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალ (მოქმედ) კანონში, მაგრამ კომისიის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა პრაქტიკაში უამრავია. კომისიის ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია, მაშინ როცა, დავალების ხელშეკრულება შესაძლოა წარმოიშვას ყოფითი (არაკომერციული) ურთიერთობების საფუძველზე. კომისიისა და სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობების სხვა განმასხვავებელ ნიშნებზეც შეიძლება მსჯელობა, თუმცა, ეს სცილდება მოცემული სტატიის მიზნებს.

5. მარწმუნებლის ქონების პრეზუმფციის დამდგენი ნორმის შინაარსის არასრულყოფილების შესახებ

სკ-ის 716-ე მუხლის შინაარსიდან აშკარაა, რომ მასში მითითებული და შესაბამისად, მარწმუნებლის ქონება, ასეთად ითვლება კრედიტორთან რწმუნებულის ურთიერთობაში. აღნიშნულის გამო, წამოიჭრება ორი საკითხი: პირველი ის, თუ ვინ იგულისხმება კრედიტორში? მეორე ის, თუ ვის ინტერესებს და უფლებებს იცავს მოცემული ნორმის დანაწესი? ორივე ეს საკითხი ერთმანეთთან განუყოფელ კავშირშია. უწინარეს ყოვლისა, ნორმის ფორმულირება არასრულყოფილია, როდესაც მას აქცენტი გადააქვს მარტოოდენ კრედიტორთან რწმუნებულის ურთიერთობაზე. ცხადია, თავისთავად ეს დანაწესი ერთი მხრივ სწორია, რადგან შესაძლოა რწმუნებული, თავის მხრივ, წარმოადგენდეს მესამე პირის მოვალეს და მაშასადამე, ჰყავდეს კრედიტორი. კრედიტორს არ უნდა ჰქონდეს უფლება გადახდევინება მიაქციოს ქო-

³⁶ *Canaris C.-W., Handelsrecht, München: C.H. Beck, 2001, 241-243.*

³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ესენია 183-ე და 327-ე მუხლები. ასევე მოძრავ ნივთზე უფლების შეძენის მომწერიგებელი ნორმა. ამიტომ გერმანულის მსგავსად, მათ შორის, უძრავ ნივთებზეც ვრცელდება იგივე გამონაკლისი. სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის დადგენის შემთხვევაში, უძრავ ნივთებზე უფლების შეძენის იმპერატიული წესების დაცვა აღარ უნდა იყოს საჭირო.

³⁸ *Oberlandesgericht Köln, Urteil vom 16.09.2010 – 18 U 87/09.*

ნებაზე, რომელიც სინამდვილეში რწმუნებულს (ამ შემთხვევაში კრედიტორის მოვალეს) არ ეკუთვნის. გასარკვევია კრედიტორის საკითხიც. ის ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. სახელდობრ, რწმუნებულის კრედიტორი შეიძლება არსებობდეს როგორც იმ ურთიერთობისგან დამოუკიდებლად, რომელიც ნაგულისხმევია სკ-ის 716-ე მუხლში, ისე კრედიტორის უფლება წარმოშობილი იყოს აღნიშნული ურთიერთობის საფუძველზე. გარდა ამისა, შესაძლოა მესამე პირი სულაც არ წარმოადგენდეს კრედიტორს და უბრალოდ, აყოვნებდეს ნივთის ან უფლების გადაცემას. ამ შემთხვევაში ეს პირი იქნება გამყიდველი. აქედან გამომდინარე, ტერმინი „კრედიტორი“ სრულად და ზუსტად ვერ ასახავს ურთიერთობის არსს. გარდა ამისა, სკ-ის 716-ე მუხლში ნაგულისხმევი ქონება არამარტო რწმუნებულის კრედიტორებთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში, არამედ რწმუნებულსა და მარნმუნებელს შორის ურთიერთობაშიც ასეთად უნდა ითვლებოდეს. თუ ქონება უძრავი ნივთია და რწმუნებულია მის მესაკუთრედ რეგისტრირებული, უძრავი ნივთის რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია თავის მოქმედებას შეწყვეტს მარნმუნებლის მიერ პრეტენზიის აღძვრისთანავე.

რაც შეეხება მეორე საკითხს, იმის შესახებ, თუ ვის იცავს მოცემული ნორმა, უწინარეს ყოვლისა, ის იცავს მარნმუნებელს, რამეთუ რწმუნებულის ვალების გამო დაუშვებელია მისმა კრედიტორმა გადახდევინება მიაქციოს აღნიშნულ ქონებაზე. დასახელებული ნორმა იცავს მარნმუნებლის კრედიტორის ინტერესებსაც კი, ვინაიდან მას შეიძლება მოთხოვნა გააჩნდეს მარნმუნებლის მიმართაც და შესაბამისად, უნდა შეეძლოს გადახდევინების მიქცევა მარნმუნებლის ქონებაზე. საბოლოო ანგარიშით კი, ქონების ან უფლების კუთვნილების საკითხის სწორი განსაზღვრით გამოირიცხება ამა თუ იმ სუბიექტის უსაფუძლო გამდიდრება.

6. კვლევის პროცესუალურ-სამართლებრივი ასპექტები

სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის საფუძველზე მარნმუნებლის მოთხოვნის პროცესუალური ადრესატი დავის შემთხვევაში შესაძლოა იყოს როგორც რწმუნებული, ისე ნორმაში ნახსენები კრედიტორი, ან ორივე მათგანი ერთად, იმის მიხედვით, თუ ვისთან იმყოფება მარნმუნებლისთვის გადასაცემი ქონება ან უფლება. შესაბამისად უნდა გადაწყდეს პროცესუალური საკითხიც. როდესაც მოპასუხე ორივე მათგანია, მაშინ დაშვებული იქნება თანამონაწილეობა. თანამონაწილეობის აუცილებლობა მაშინ იქნება სახეზე, როდესაც კრედიტორს რწმუნებულისთვის ჯერ არ გადაუცია ქონება ან უფლება. ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეობას განაპირობებს ის, რომ მარნმუნებელი ქონებას ან უფლებას ორივე მათგანს ეცილება.

სკ-ის 716-ე მუხლი არაფერს იუნწყება რწმუნებულის უფლებების დაცვის შესაძლებლობის შესახებ. ამიტომ მარნმუნებლის მიერ რწმუნებულისადმი ან სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული კრედიტორისადმი ქონების გადაცემის მოთხოვნის წარდგენის, თუ უფლების დათმობის მოთხოვნისას, წამოიჭრება საკითხი, აქვს თუ არა რწმუნებულს ქონების დაკავების უფლება. დაკავების უფლების შესახებ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში არაფერია ნათქვამი. აღნიშნულის გამო კი, საკითხი სკ-ის 369-ე მუხლით უნდა მოწესრიგდეს. საქმე ის არის, რომ დავალების სასყიდლიანი ხელშეკრულება სინალაგმატური ხელშეკრულებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ორივე მხარეს ერთდროულად უფლებებიც აქვთ და მოვალეობებიც ეკისრებათ აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე. თუკი

რწმუნებულისათვის გასამრჯელო გათვალისწინებული არ არის, მაგრამ დავალების შესრულებისას რწმუნებულმა გასწია ხარჯი, დავალების ხელშეკრულება თუმცა არასრულად ორმხრივ, მაგრამ მაინც ორმხრივ ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს. ამგვარ ხელშეკრულებებში, სკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დაყოვნების უფლება³⁹, ქონების გადაცემასთან მიმართებაში, ქონების დაკავების უფლებად უნდა დაკვალიფიცირდეს.⁴⁰ თავისი სამართლებრივი ბუნებით კი, დაკავების უფლება გადადების (დილატორული) ბუნების მქონე შესაგებელია⁴¹, რომლის განხორციელებაც ზღუდავს/აფერხებს რწმუნებულის მიმართ ქონების გადაცემის შესახებ მარწმუნებლის მიერ აღძრული მოთხოვნის განხორციელებას⁴².

7. დასკვნა

უამრავია შემთხვევა, როდესაც სხვა პირისაგან ფულისა თუ ქონების მიმღები ბოროტად სარგებლობს უფლებით და საკუთარი სახელით, მაგრამ სხვისი ქონების ხარჯზე დებს გარიგებას. ასეთი შემთხვევები ექცევიან სკ-ის 716-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში. აღნიშნული ნორმა ხელს უშლის რწმუნებულს დაუსაბუთებლად და საკუთარი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს მარწმუნებლის ქონება. არადა ხშირია შემთხვევა, როდესაც საბანკო და სავაჭრო გარიგებებში, რომლებშიც კომისიონერები (ბროკერი, აგენტი) ან სხვადასხვა სახის წარმომადგენლები მონაწილეობენ, დავალებულ მოქმედებათა შესასრულებლად საკუთარ ანგარიშზე ათავსებენ სხვა პირთა კუთვნილ თანხებს. როგორც კვლევამ აჩვენა, სკ-ის 716-ე მუხლის მიზანია როგორც მარწმუნებლის კრედიტორების დაცვა, ისე საკუთრივ მარწმუნებლის დაცვა რწმუნებულისაგან. აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს დასახელებული ნორმისათვის ფართო გაგების მინიჭების აუცილებლობას. რწმუნებულის მიერ მიღებულ ქონებაზე მარწმუნებლის იურიდიული საკუთრების წარმოშობამდე, ეს ქონება მხოლოდ დე-ფაქტო სახით არსებობს რწმუნებულის ხელში. საუბარია არა მარტო იმ ქონებაზე, რომელიც მარწმუნებელმა მანდატის შესრულებასთან დაკავშირებით მიიღო, არამედ დავალების შერულების მიზნით გადაცემულ ქონებაზეც. ამგვარი დანაწესი ზრდის მარწმუნებლის დაცულობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. გერმანიის სავაჭრო კოდექსის 392-ე მუხლის მე-2 ნაწილთან სკ-ის 716-ე მუხლის დანაწესის შედარებითა ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე ნორმის მიზანია ეკონომიკური საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა. ორივე ნორმა ხელს უწყობს სამართლებრივი განსაზღვრულობის უზრუნველყოფას. დასახელებული ნორმებით მკაცრად არის განცალკევებული კომიტენტისა და კომისიონერის, მარწმუნებლისა და რწმუნებულის მოთხოვნები. რწმუნებული ვერ მიიჩნევს დავალების შედეგად შეძენილ მოთხოვნებს საკუთარ მოთხოვნებად. ორივე ნორმა მნიშვნელოვანია იმით, რომ რწმუნებულის ვალების გამო პასუხისმგებლობისა და წარმომადგენელსა და მარწმუნებელს შორის ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის საშუალებას იძლევიან. კომისიონერს ან წარმომადგენელს ზოგჯერ საკუთარ

³⁹ ანუ ქონების გადაცემაზე მარწმუნებლის უფლების მიმართ რწმუნებულის საპირისპირო უფლება, არ გადასცეს ნივთი, ვიდრე მარწმუნებელი არ აანაზღაურებს ხარჯებს, ზიანს და ა.შ.

⁴⁰ Hopt K.J., Kumpan Ch., Leyens P.C., Merkt H., Roth M., *Handelsgesetzbuch: HGB, Beck'sche Kurz-Kommentare; Band 9, 41., neubearbeitete Auflage 2022, 1744-1787.*

⁴¹ Gernhuber J., *Das Schuldverhältnis*. Tübingen, 1989, 670.

⁴² Larenz K., *Lehrbuch des Schuldrechts*. 14 Aufl. München, 1987, Bd. 1, 12.

რი ვალდებულებები გააჩნია, საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლით. ამ ვალდებულებათა გამო დაუშვებელია მარნმუნებლის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა.

მარნმუნებლის სასარგებლოდ ნორმის ასამოქმედებლად საჭირო არ უნდა იყოს მინდობილობის გაცემა. დავალების ხელშეკრულება წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებად უნდა იქნეს მიჩნეული. დავალების ხელშეკრულება განსხვავდება კომისიისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულებებისაგან. თავის მხრივ, სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობა მართალია გარკვეულწილად კლასიკური დავალებისა და კომისიის ხელშეკრულების ნიშნებსაც მოიცავს, მაგრამ მას დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი გააჩნია, რაც სრულიად თავსდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის არსში. შესაბამისად, ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობები გაცილებით ფართო და მრავალასპექტიანია. სკ-ის 716-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი მარნმუნებლის დაცვის მექანიზმია, რომლითაც ხორციელდება ფორმის ბოროტად გამოყენების პრევენცია მესაკუთრის დადგენისას. მოცემულ ნორმას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია პროცესუალური და სააღსრულებო ასპექტითაც, ვინაიდან მარნმუნებელს უფლება აქვს რწმუნებულის კრედიტორებთან ურთიერთობაში მოითხოვოს თავისი ქონებისა და უფლებების გამიჯვნა მოვალის (რწმუნებულის) იმ ქონებისაგან, რომელიც აღსრულების მასას შეადგენს. შესაბამისად, მარნმუნებლის ქონება (როგორც რწმუნებულისთვის გადაცემული, ისე ამ უკანასკნელის მიერ მარნმუნებლისთვის შეძენილი) არ შეიძლება გახდეს მასზე სხვადასხვაგვარი საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენების და შესაბამისად, აღსრულების საგანი. ეს ქონება უნდა გამოცალკევდეს რწმუნებულის ქონებისაგან. აქედან გამომდინარე, სკ-ის 716-ე მუხლი წარმოადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებში სამართლებრივი უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის დამდგენ დანაწესს, რომელიც მარნმუნებლის საკუთრების დაცვით, მისი, როგორც მესაკუთრის სამართლებრივი სტატუსის მყარად განსაზღვრით, მაქსიმალურად ამცირებს იურიდიულ რისკებს და პრაქტიკაში ამ ნორმის გამოყენება ეფექტიანია. საკუთრების უფლების შეძენას, როგორც წესი, გამორიცხავს ამ უფლების წარმომშობი გარიგების ფორმასა და შინაარსში დისბალანსი. აღნიშნული პრეზუმფცია კი, ერთგვარად აღადგენს დისბალანსს ფორმისა და შინაარსის საკითხში. აქედან გამომდინარე, არასწორად უნდა ჩაითვალოს რწმუნებულსა და მარნმუნებელს შორის ურთიერთობის სავალდებულოდ წერილობითი ფორმით არსებობის მოთხოვნა, როგორც ეს პრაქტიკაშია განმარტებული. საკუთრების უფლება მარნმუნებელს წარმოეშობა რწმუნებულის მიერ შეძენილ ნებისმიერ, მათ შორის, უძრავ ქონებაზე, დავალების ხელშეკრულების ფორმის მიუხედავად, თუკი დასტურდება ამგვარი ხელშეკრულების არსებობა მხარეთა შორის.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სკ-ის 716-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საშუაშალო ხასიათის ურთიერთობებზე. გამოიკვეთა ისიც, რომ კონტინენტურ სამართალთან შედარებით, ანგლო-საქსურ სამართალში წარმომადგენლობის ინსტიტუტს ფართო მნიშვნელობა ენიჭება, რის გამოც უკეთ არის გათვალისწინებული საკუთარი და სხვისი სახელით მოქმედების ასპექტები. ქართულ კერძო სამართალში არსებული მარნმუნებლის ქონების პრეზუმფციის ფუნქციური დანიშნულების შედარებამ გერმანულ კერძო სამართალთან, აჩვენა, რომ მარნმუნებლის ქონების პრეზუმფციის მოქმედება ქართულ კერძო სამართალში არ შემოიფარგლება სავაჭრო ურთიერთობებით და მოქმედების გაცილებით დიდი არეალი აქვს. შესაბამისად, უფრო ეფექტიანია, ვიდრე გერმანული სამართალით გათვალისწინებული მოწესრიგება. აქედან გამომდინარე, გერმანიის სავაჭრო კოდექსის 392-ე მუხლის მე-2 ნაწილის და-

ნანესი არ წარმოადგენს სკ-ის 716-ე მუხლის ფუნქციურ ანალოგს, მის ზუსტ ასლს. სკ-ის 716-ე მუხლი ვრცელდება როგორც კომისიის ურთიერთობაზე, ფიზიკურ პირებზე, ისე სამეწარმეო ურთიერთობებზე.

რეკომენდაციის სახით კი, შეიძლება ითქვას შემდეგი: სკ-ის 716-ე მუხლის ფორმულირება საჭიროებს შეცვლას. მიზანშეწონილია მოცემული ნორმის შემდეგი სახით ფორმულირება: ქონება, რომელიც რწმუნებულმა დავალებული მოქმედების შესრულებისას შეიძინა მარწმუნებლის ხარჯზე და საკუთარი სახელით, ან მარწმუნებელმა გადასცა მას დავალებული მოქმედების შესასრულებლად, კრედიტორებთან რწმუნებულის ან რწმუნებულთან და ნებისმიერ მესამე პირთან, მათ შორის, რწმუნებულის კრედიტორთან მარწმუნებლის ურთიერთობაში, ჩაითვლება მარწმუნებლის ქონებად, მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის არსებული დავალების ხელშეკრულების ფორმის მიუხედავად.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.
2. კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის წარმომადგენლობის შესახებ“, 17/02/1983.
3. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 02/08/2021.
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997;
5. გოთუა ლ., საქართველოში ფაქტორინგის რეგულირების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, „სამართლის ჟურნალი“ №2, 2018.
6. რუსიაშვილი გ., სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულება (Geschäftsbesorgungsvertrag) და საკუთრების მინდობა, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, <<https://lawjournal.ge/3244235235-2/>> [25.09.2025].
7. სხირტლაძე ხ., „კომისიის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება“, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბ. 2022. [25.09.2025] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-260-248-2017;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-712-665-2017;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-398-377-2012;
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე #2/23757-22;
11. The principles of European Contract Law (PECL).
12. German Commercial Code, 10/05/1897.
13. Commercial code of France, 18/09/2000.
14. Canaris C.-W., Handelsrecht, München: C.H. Beck, 2001.
15. Gernhuber J., Das Schuldverhältnis. Tübingen, 1989.
16. Koller I., Kindler P., Roth W.-H., Drüen K.-D., Handelsgesetzbuch: Kommentar, 9. Aufl., C.H. Beck 2019.
17. Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts. 14. Aufl. München, 1987.
18. Larenz K., Wolf M., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts. 8. Aufl. München, 1997.
19. Leloup J.-M., Les agents commerciaux. Statuts juridiques. Strategies professionnelles. Paris: DELMAS, 1993.
20. Lieder J., Wüstenberg T., Kommissionsgeschäft und Forderungszuordnung – Dogmatische Grundsatzfragen des §392 Abs. 2 HGB, JURA 2016.
21. Schmidt K., Gesellschaftsrecht, 5. Aufl., 2022.

22. *Schmittgoff C.*, Agency in International Trade. Collected Courses of the Hague Academy of International Law, vol. 129, 1970.
23. *Shubert C.*, Münchener Kommentar zum BGB, 10 Auflage. 2025.
24. *Tuhr A.*, Allgemeiner Teil des schweizerischen Obligationenrechts. Tübingen, 1924, Halb bd 1.
25. *Вилкова Н.Г.*, Договорное право в международном обороте, М., Статут, 2002.
26. *Zimmermann R.*, The Law of Obligations, Oxford University Press, 1996.
27. *Zweigert K., Kötz H.*, Einführung in die Rechtsvergleichung, 3. Aufl. Tübingen, 1996.
28. *Бузбах В.В., Пучинский В.К.* (ред.), Гражданское и торговое право зарубежных стран: Учебн. пособие, М., МЦФЭР, 2004.
29. Oberlandesgericht Köln, Urteil vom 16.09.2010 – 18 U 87/09.
30. Oberlandesgericht München, Beschluss vom 25.01.2017 – 34 Wx 359/16.
31. BGH Urteil vom 12. März 2003 – VIII ZR 179/02.

ბიორგი აბულაძე*

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მიმართ შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები

ნაშრომი ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მიმართ შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლებს და მისი სამართლებრივი ბუნების ანალიზს. პოსტპანდემიური პერიოდის შემდეგ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მასშტაბური ზრდა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ საკითხს, რადგან დასაქმება, ერთი მხრივ, არის სოციალიზაციისა და კეთილდღეობის საფუძველი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი არქონა ან სამუშაოზე უთანასწორო მოპყრობა წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების მნიშვნელოვან რისკს.

სტატია გამოყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის ნიშნით დისკრიმინაციის სამართლებრივ ასპექტებს როგორც წინასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ურთიერთობების ეტაპზე, ისე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას. ნაშრომი აქცენტს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოსა და სასამართლოების გადაწყვეტილებების მიმოხილვაზე აკეთებს, წარმოაჩენს ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა დასაქმების პრაქტიკულ გამოწვევებს და მკითხველს აცნობს საუკეთესო პრაქტიკას. მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთებულია გონივრულ მისადაგებაზე, როგორც თანაბარი მოპყრობის პრინციპის იმპლემენტაციის ინსტრუმენტზე, ურომლისდაც ვერ მიიღწევა საჭიროების მქონე პირთა რეალური თანასწორობა და სამუშაო ადგილზე ინტეგრაცია.

კვლევის საგანს წარმოადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლების განსაზღვრა საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოსა და საუკეთესო პრაქტიკის განხილვის გზით და ასკვნის, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელ დაცულ ნიშნად ანტიდისკრიმინაციულ სამართალში, როგორც პროგრესირებადი და ხელშესახები გავლენის მქონე პრობლემის საპასუხო ნაბიჯი. ამგვარი მიდგომა შექმნის საფუძველს შრომით ბაზარზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების ღირსეული და თანასწორი ჩართულობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობის სამართალი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, გონივრული მისადაგება.

1. შესავალი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, მსოფლიოში ოთხიდან ერთ ადამიანს მაინც აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ნიშნები გამოხატული,¹ მონაცემებმა პროგრესირება კი, განსაკუთრებით, პოსტპანდემიურ პერიოდში დაიწყო.² დღესდღეობით, სოციალური მედიის აქტიური გამოყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების – შფოთვის, სტრესის, გუნება-განწყობის დაქვეითების, ადვილად გაღიზიანებადობის/აღზნებადობის – განვითარების მაპროვოცირებელი ფაქტორი შეიძლება იყოს.³

* სამართლის მაგისტრი, იურისტი, მედიატორი.

¹ WHO, Mental Disorders, Key Facts, 2022, <<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/mental-disorders>> [02.09.2025].

² Juraszek P., Sobczyk K., Grajek M., Mental health in a post-pandemic perspective: economic and social costs, Journal of Education, Health and Sport, №69, 2024, 3.

³ Durlowsky, P., Logged In and Stressed Out – How Social Media Is Affecting Your Mental Health and What You Can Do About It, UK, The Rowman & Littlefield Publishing Group, 2020, 9.

საზოგადოდ, ტერმინი „ფსიქიკური (მენტალური) ჯანმრთელობა“ ლინგვისტურადაც კი იშვიათად გამოიყენება კეთილდღეობის მნიშვნელობით, თითქმის ყოველთვის სერიოზულ, მწვავე აშლილობებს უკავშირდება და ევფემური ფორმით ანაცვლებს ტერმინს – „ფსიქიკური დაავადება“..⁴ არადა, იგი, მათ შორის, მოიაზრებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის „მსუბუქ“ და „დროებით“ ფორმებს, რომლებიც აშლილობის მძიმე დიაგნოზს, შესაძლოა, სულაც არ უკავშირდებოდეს.⁵

დამატებით, კვლევები აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი დისკურსი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე ხშირად ასოცირდება უარყოფით აღქმებთან,⁶ ხოლო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები – საშიშებად, არაკომპეტენტურებად და არასტაბილურებად.⁷ სტიგმა ხშირად იწყება ენობრივი სტერეოტიპებით, რომლებიც ბავშვობის ასაკიდანვე განამტკიცებენ მტრულ დამოკიდებულებას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების მიმართ.⁸ შედეგად, კვლევები ამტკიცებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანები განიცდიან არა მხოლოდ სოციალური იზოლაციის საფრთხეს, არამედ სერიოზულ დისკრიმინაციას საზოგადოებრივი ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა ასპექტში – იქნება ეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამუშაო ადგილზე დასაქმებისას ან სამუშაოს შესრულებისას თუ ჯანდაცვის სისტემაში.⁹

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულად სენსიტიური შრომითსამართლებრივ ურთიერთობაშია. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებისთვის დასაქმების უფლება, ერთი მხრივ, არის სოციალიზაციის შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, საარსებო წყაროთი უზრუნველყოფს პირს.¹⁰ ამასთანავე, უმუშევრობა/სამსახურის დაკარგვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია.¹¹

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის დიაგნოზის 84 142 შემთხვევა,¹² რომელთა 80% შრომისუნარიანი ასაკის პოპულაციას მიეკუთვნება.¹³ ამასთან, 2020 წლის მონაცემებთან შედარებით მაჩვენებელი 34,3%-

⁴ Price H., *The Language of Mental Illness: Corpus Linguistics and the Media*, Cambridge: Cambridge University Press, 2022, 124.

⁵ კლასიფიკაცია იხილეთ – *American Psychiatric Association, Diagnostic And Statistical Manual Of Mental Disorders: DSM-5-TR, Fifth edition, text revision*, 2022. აღნიშნული კლასიფიკაცია მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთ „დროებით“ და „მსუბუქ“ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, როგორებიცაა, მაგალითად, დეპრესია, სეზონური აფექტური აშლილობა (SAD), დისტიმია, გუნება-განწყობის ხანგრძლივი არასტაბილურობა, პრემენსტრუალური დისფორიული აშლილობა და სხვ..

⁶ Rössler W., *The stigma of mental disorders: A millennia-long history of social exclusion and prejudices*, EMBO reports, 2016, Vol 17, No 9, 1250.

⁷ Corrigan W. P., et al., *The Impact of Mental Illness Stigma on Seeking and Participating in Mental Health Care*, *Psychological Science in the Public Interest*, 2014, Vol. 15(2), 42..

⁸ Hinshaw S. P., *The Mark of Shame: Stigma of Mental Illness and an Agenda for Change*. New York: Oxford University Press, 2007, 10.

⁹ იქვე.

¹⁰ Subramaniam M. et al, *Employment of young people with mental health conditions: making it work*, *Disability and Rehabilitation*, 2020, 5.

¹¹ Stolove A. C., Galatzer-Levy R. I., Bonanno A. G., *Emergence of depression following job loss prospectively predicts lower rates of reemployment, analysis of the US Health and Retirement Study*, *Psychiatry Research* 253, 2017, 79-80.

¹² დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, *ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში – სტატისტიკური ცნობარი 2021, 2022*, 82, <<https://test.ncdc.ge/pages/user/News.aspx?ID=ea1784b5-d3d0-4dd9-b29f-1369f5d6bbec>> [18.09.2025].

¹³ იქვე, 83.

ით გაზრდილია.¹⁴ საპირნონედ, ქართულ რეალობაში პოლიტიკური და სტრატეგიული მიდგომა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობისთვის არ არსებობს. მეტიც, საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიაში არსებული ერთადერთი ჩანაწერი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შემუშავების შესახებ, რომელიც 2022 წელს უნდა განხორციელებულიყო, ფურცელზე დარჩა და რეალური ქმედითი ნაბიჯი, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, დღემდე არ შემუშავებულა.¹⁵ სახალხო დამცველი სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც უნდა ეხებოდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების მიმართულებებს, დეკლარაციული ხასიათის ჩანაწერად აფასებს და აღნიშნავს, რომ მათი განხორციელების მკაფიო გზები სტრატეგიით არ დასახულა.¹⁶

საქართველოში პრობლემურია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ დასაქმების უფლების რეალიზების პრაქტიკული ასპექტებიც. ასეთი საჭიროების მქონე პირი, ხშირ შემთხვევაში, ვერ საქმდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გამო, ხოლო სამუშაო ადგილზე მსგავსი პრობლემის გამოვლენა, როგორც წესი, ხდება მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. ტენდენციური გახდა შემთხვევები, როდესაც დამსაქმებლები შესაძლო სამართლებრივი შედეგის დადგომის თავიდან აცილების მიზნით, ქმნიან ფორმალურ სამართლებრივ საფუძველს პირის სამსახურიდან გათავისუფლებისთვის.¹⁷

მოცემული სტატიის მიზანია სამუშაო ადგილზე ფსიქიკური ჯანმრთელობის ნიშნით დისკრიმინაციის სამართლებრივი ბუნების, მისი ფარგლების განსაზღვრა და მისაწვდომი სამუშაო გარემოს მნიშვნელობის წარმოჩენა.

2. ფსიქიკური/მენტალური ჯანმრთელობის განსაზღვრება

ფსიქიკური ჯანმრთელობა ინდივიდის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის განუყოფელი ნაწილია.¹⁸ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, ჯანმრთელობა არის სრული კეთილდღეობის მდგომარეობა და არ შემოიფარგლება მხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობით.¹⁹

ფსიქიკური ჯანმრთელობა არის ემოციური, ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა,²⁰ როცა ინდივიდი აცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს, უმ-

¹⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები (2021), 2022, 1.

¹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, <<https://bit.ly/4b9705e>> [02.09.2025]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, <<https://bit.ly/4bdxd2D>> [02.09.2025].

¹⁶ სახალხო დამცველის განცხადება ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, <<https://bit.ly/4ewj0F>> [02.09.2025].

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1279-2021.

¹⁸ Prince M., Patel V., Saxena S., Maj M., Maselko J., Phillips R.M., Rahman A., No Health without Mental Health, The Lancet 370, no. 9590, 2007, 859–877.

¹⁹ WHO, Comprehensive Mental Health Action Plan 2013–2030, <<https://www.who.int/publications/i/item/9789240031029>> [04.09.2025].

²⁰ მახაშვილი, ნ., სილაგაძე, ქ., ფსიქიკური ჯანმრთელობის აქტუალური საკითხების პრაქტიკული გზამკვლევი, 2023, 9. ასევე, Mental Health America. (n.d.), Living well: How mental illness affects our lives, <<https://bit.ly/3RpnXS0>> [04.09.2025].

კლავდება ცხოვრების ჩვეულებრივ სტრესულ მდგომარეობას, მუშაობს ნაყოფიერად და პროდუქტიულად და საკუთარი წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.²¹

ფსიქიკური ჯანმრთელობა გავლენას ახდენს ჩვენს ფიქრებსა და გრძნობებზე და განსაზღვრავს მოქმედებას. ის ემყარება უნარს, მივიღოთ გადაწყვეტილებები, დავამყაროთ ურთიერთობები და საბოლოოდ, შემოვსაზღვროთ სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ.²² ფსიქიკური ჯანმრთელობა არის პირის შინაგანი მდგომარეობა და აქვს ინსტრუმენტული დანიშნულება, რომელიც გვეხმარება სხვებთან კავშირების დამყარებაში, ფუნქციონირებაში, პრობლემებთან გამკლავებასა და წარმატების მიღწევაში.²³

ფსიქიკურ ჯანმრთელობას სამი ძირითადი ასპექტი – ინდივიდის ემოციური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა – განსაზღვრავს.

ემოციური კეთილდღეობა ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის პირდაპირ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ვფიქრობთ, ვგრძნობთ და ვიქცევით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში²⁴ და მოიცავს თვითშეცნობის, ემოციების მართვისა და გამოხატვის, მედეგობის, პოზიტიური ურთიერთობისა და ადაპტაციის ელემენტებს.²⁵

ფსიქიკურ კეთილდღეობაში მოიაზრება მრავალნაზხნაგოვანი კონსტრუქცია, რომელიც მოიცავს „ინდივიდის ზოგადი ბედნიერების, ცხოვრებით კმაყოფილების, ცხოვრების მიზნის განსაზღვრისა და ჯანმრთელობის ელემენტებს.“²⁶

სოციალური კეთილდღეობის განსაზღვრება გულისხმობს „საზოგადოებაში საკუთარი შესაძლებლობების ფუნქციონირების შეფასებას.“²⁷ იგი იზომება ხუთი სიდიდით:²⁸ საზოგადოებაში ინტეგრაცია და მიკუთვნებულობა,²⁹ სოციალური წვლილი – სარგებლიანობის განცდა,³⁰ სამყაროს საზრისის შეცნობა, სოციალური მზარდობა³¹ და სხვისი მიმღებლობა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორები მოიცავს როგორც პირის ინდივიდუალურ თვისებებს, ასევე სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გარემო ფაქტორებს.³² ამასთან, ერთ შემთხვევაში, ცხოვრების პირობები ან პიროვნული თვისებები, რომლებიც ამცირებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების რისკს (დამცავი ფაქტორები),³³ სხვა შემთხვევისთვის შეიძლება ზრდიდეს ნეგატიური შედეგების დადგომის ალბათობას (რისკ ფაქტორები).³⁴ მეტიც, ფსიქიკური ჯანმრთელობა განმსაზღ-

²¹ WHO, Mental Health: Strengthening Our Response, 2018, <<https://bit.ly/3KGDc5i>> [04.09.2025].

²² WHO, World mental health report: transforming mental health for all, 2022, 7, <<https://www.who.int/publications/i/item/9789240049338>> [04.09.2025].

²³ იქვე, 11.

²⁴ Keyes L. M. C., Mental Illness and/or Mental Health? Investigating Axioms of the Complete State Model of Health, Emory University, 2005, 543.

²⁵ Keyes L. M. C., The Structure of Psychological Well-Being Revisited, 1995, 720.

²⁶ Yiğit B., Çakmak Y. B., Discovering Psychological Well-Being: A Bibliometric Review, Springer, 2024, 43.

²⁷ Keyes, C. L. M., Social Well-Being, Social Psychology Quarterly, Vol. 61, No. 2, 1998, 125.

²⁸ იქვე, 137.

²⁹ საკუთარი თავის საზოგადოების ნაწილად აღქმა და მიკუთვნება გარკვეული ჯგუფის მიმართ.

³⁰ ინდივიდის აღქმა, რომ პოზიტიური წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში და მისი წვლილი აღიარებულია.

³¹ საზოგადოების მზარდ და განვითარებად სივრცედ იდენტიფიცირება, სადაც ყველასთვის მისაწვდომი გარემო იქმნება.

³² WHO, mhgap community toolkit: field test version, 2019, 3, <<https://bit.ly/3tvva4e>> [04.09.2025].

³³ Substance Abuse and Mental Health Services Administration (SAMHSA), Risk and Protective Factors for Mental, Emotional, and Behavioral Disorders Across the Life Cycle, <<https://bit.ly/3KIPx98>> [04.09.2025].

³⁴ WHO, Promoting Mental Health: Concepts, Emerging Evidence, Practice, 2005, 133.

ვრელია პიროვნების საერთო ჯანმრთელობის მდგომარეობის და, პირიქით, ფიზიკური ჯანმრთელობა განმაპირობებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის.³⁵

3. ფსიქიკური ჯანმრთელობა სამუშაო ადგილზე

ღირსეული სამუშაო დადებითად მოქმედებს ინდივიდის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ის არა მხოლოდ ადამიანის საარსებო წყაროთი უზრუნველყოფის საშუალებაა, არამედ არის სივრცე სტრუქტურირებული საქმიანობისთვის, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების, მიზნის მიღწევისა და აღიარების მოსაპოვებლად.³⁶ ამასთან, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანისთვის დასაქმება განიხილება მკურნალობის ახალ პარადიგმად.³⁷

მეორე მხრივ, უმუშევრობა ან არასტაბილური დასაქმება, ცუდი სამუშაო გარემო – მათ შორის, დისკრიმინაცია და უთანასწორობა, გადაჭარბებული დატვირთვა, სამუშაოს დაბალი კონტროლი ან პირიქით და სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების განცდის ნაკლებობა/არარსებობა – შეიძლება იყოს სტრესის წყარო და საფრთხე პიროვნების ფსიქიკურ ჯანმრთელობისთვის.³⁸ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2019 წლის მონაცემების თანახმად, სამუშაო ასაკის ზრდასრულთა 15%-ს ფსიქიკური აშლილობა აღენიშნებოდა,³⁹ აშშ-ში კი დასაქმებულთა თითქმის მეხუთედი (19%) აფასებს საკუთარ ფსიქიკურ ჯანმრთელობას როგორც საყურადღებოს ან ცუდს და, ამასთანავე, მიუთითებენ, რომ დაახლოებით ოთხჯერ მეტი დაუგეგმავი გაცდენა უწევთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ვიდრე მათ კოლეგებს, რომლებსაც ასეთი პრობლემები არ აქვთ.⁴⁰ სხვა კვლევები მიუთითებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები უმეტესწილად არის თანამშრომლების მიერ სამსახურის მიტოვების მიზეზი. მაგალითისთვის, 2025 წლის მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში დასაქმებულთა 61%, რომლებმაც დატოვეს ან აპირებენ სამსახურის დატოვებას, მიზეზად ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებას ასახელებენ.⁴¹

აღიარებულია, რომ თანამშრომლების ფსიქიკური ჯანმრთელობა არის პირდაპირი ინდიკატორი ბიზნესის წარმატების.⁴² საპირწონედ, დასაქმებულის ხშირი გამოუცხადებლობა სამსახურში, პროდუქტიულობის და მოტივაციის ნაკლებობა და ამის გამო დამსაქმებლის მიერ გაღებული ხარჯები არის ტვირთი, რომლის განევაც დამსაქმებელს უწევს ინკლუზიური სამუშაო გარემოს არარსებობის გამო.⁴³

³⁵ *Nabi H., Kivimaki M., De Vogli R., Marmot Mg., Singh-Manoux A.*, Positive and negative affect and risk of coronary heart disease: Whitehall II prospective cohort study, *Bmj* 337, 2008, 5.

³⁶ *Subramaniam M. et al*, Employment of young people with mental health conditions: making it work, *Disability and Rehabilitation*, 2020, 5.

³⁷ *Drake R. E., Wallach A. M.*, Employment is a critical mental health intervention, *Epidemiology and Psychiatric Sciences* 29, e178, 2020, 1-3.

³⁸ *WHO*, Mental health at work, 2022, <<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/mental-health-at-work>> [06.09.2025]

³⁹ იქვე.

⁴⁰ *Gallup*, The Economic Cost of Poor Employee Mental Health, 2022, <<https://bit.ly/3xnuW79>> [06.09.2025].

⁴¹ *Spill.chat*, The cost of workplace mental health in the UK, 2025, <<http://bit.ly/4mnOz2g>> [09.09.2025].

⁴² *Montano D., Reeske A., Franke F., Hüffmeier J.*, Leadership, followers' mental health and job performance in organizations: A comprehensive meta-analysis from an occupational health perspective, *Journal of Organizational Behavior*, 38, 2017, 327-350.

⁴³ *Health and Safety Executive*, Managing the causes of work-related stress: a step-by-step approach using the management standards, 2007, 42.

სამსახურში, ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკები სხვა საკითხებთან ერთად, შეიძლება უკავშირდებოდეს სამუშაოს შინაარსს, გრაფიკს, სამუშაო ადგილის სპეციფიკურ მახასიათებლებსა თუ კარიერული განვითარების შესაძლებლობებს.⁴⁴

მრავალრიცხოვანია ჩამონათვალი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა, რომლებიც ადამიანს სამუშაო ადგილზე შეიძლება გამოუვლინდეს. კვლევების თანახმად, უმეტესწილად, სამუშაო ადგილზე ვლინდება დეპრესია ან/და შფოთვა.⁴⁵ გარდა ამისა, სამუშაო ადგილზე შესაძლოა პირს განუვითარდეს სტრესი, ქრონიკული დაღლილობის განცდა, პროფესიული გადანვა, ასევე, სუიციდური ფიქრები.⁴⁶ ნიშანდობლივია, რომ ფსიქიკური დაავადებები, როგორებიცაა დეპრესია, ბიპოლარული აშლილობა, ყურადღების დეფიციტი (ADHD) და შფოთვა, ჩვეულებრივ, განსხვავებულად ვლინდება სამუშაო ადგილზე, ვიდრე სხვა გარემოში.⁴⁷

უდავოა, ფსიქოსოციალური რისკფაქტორები შესაძლოა ყველა სექტორში არსებობდეს, თუმცა ზოგიერთი სამუშაო ადგილი მომატებული რისკის შემცველად მიიჩნევა.⁴⁸ საუბარია ისეთ სამსახურებზე, რომლებშიც შესასრულებელი სამუშაო ატარებს მაღალ ემოციურ ტვირთს ან პოტენციურად ტრავმული მოვლენების ზემოქმედება უფრო სავარაუდოა, მაგალითად, ჯანდაცვის სისტემა, გადაუდებელი დახმარების სამსახური, პენიტენციური სისტემა და სხვ.

4. შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ

4.1. შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა

დისკრიმინაცია, როგორც გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, არის თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფა⁴⁹. დისკრიმინაცია არის მნიშვნელოვნად/არსებითად თანასწორობის მიმართ თვითნებური, გაუმართლებელი არათანასწორი მოპყრობა, ასევე არსებითად არათანასწორობის მიმართ გაუმართლებელი, თვითნებური თანასწორი მოპყრობა.⁵⁰

შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ 111-ე კონვენციის თანახმად,⁵¹ დისკრიმინაცია მოიცავს: (ა) ყოველ განსხვავებას, დაუშვებლობას ან უპირატესობას რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის, უცხოური წარმოშობის ან სოციალური წარმოშობის ნიშნით, რაც იწვევს შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის განადგურებას ან დარღვევას შრომისა და საქმიანობის სფეროში; და (ბ) ყოველგვარ სხვა განსხვავებას, დაუშვებლობას ან უპირატესობას, რაც იწვევს დამქირავებლებისა და მუშაკების წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, სადაც ასეთები არსებობს, და სხვა შესაბამის

⁴⁴ WHO, guidelines on mental health at work, 2022, <<https://bit.ly/4c4mTew>> [06.09.2025].

⁴⁵ Rugulies R. et al, Work-related causes of mental health conditions and interventions for their improvement in workplaces, 2023, 1370.

⁴⁶ WHO, Mental health at work: policy brief, 2022, 4, <<https://bit.ly/3XjDkiC>> [06.09.2025].

⁴⁷ SoCal Empowered, Examples Of Mental Health Issues In The Workplace, <<https://socalempowered.com/guide-mental-health-in-the-workplace/>> [06.09.2025].

⁴⁸ WHO, Mental health at work: policy brief, 2022, 4, <<https://bit.ly/3XjDkiC>> [06.09.2025].

⁴⁹ ნადარეიშვილი, მ., ადამიანის უფლებები, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2005, 119.

⁵⁰ ერემაძე, ქ., ადამიანის უფლებები თავისუფლებისთვის, თბ., 2020, 20. ასევე იხ. Handbook on European non-discrimination law, European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010, 21.

⁵¹ ILO, The Discrimination (Employment and Occupation) Convention, 1958 (No. 111).

ორგანოებთან კონსულტაციის შედეგად შესაბამისი წევრის მიერ განსაზღვრული შრომისა და საქმიანობის სფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის განადგურებას ან დარღვევას.⁵²

დისკრიმინაციის კონვენციურ განმარტებას⁵³ აქვს სამი ელემენტი: დისკრიმინაციული მოპყრობა (ფაქტი) – „ყოველგვარი განსხვავება, დაუშვებლობა ან უპირატესობა [...]“; დისკრიმინაციის საფუძველი (მიზეზი) – „[...] რასის, კანის

ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის, უცხოური წარმოშობის ან სოციალური წარმოშობის ნიშნით [...]“; და დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგი (ეფექტი) – „[...] რაც იწვევს შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის განადგურებას ან დარღვევას შრომისა და საქმიანობის სფეროში.“⁵⁴ ამასთან, ნებისმიერი განსხვავება, გამონაკლისის დაშვება ან უპირატესობა კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებით, მისი სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად.⁵⁵

ამერიკის შეერთებული შტატების თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის კომიტეტი (EEOC), რომლის საქმიანობის სფეროც აშშ-ს ბაზრის ყველა დამსაქმებელზე ვრცელდება, შრომით დისკრიმინაციას განმარტავს, როგორც სამუშაოს მაძიებლისა და თანამშრომლის მიმართ არაგონივრულად გაუმართლებელ ქმედებას დაქირავების, დანიშნულების, განთავისუფლების, ანაზღაურების, დამატებითი შეღავათების, სამუშაო ტრენინგის, კლასიფიკაციის, მიმართვისა და დასაქმების სხვა ასპექტებში რაიმე ნიშნის საფუძველზე.⁵⁶

ამასთან, ევროსაბჭოს 2000/78/EC დირექტივა, რომელიც დასაქმებასა და შრომით საქმიანობაში თანაბარი მოპყრობის ზოგად ჩარჩოს აყალიბებს, შეზღუდული შესაძლებლობის⁵⁷ საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს შეიცავს.⁵⁸

თავის მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია განმტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ უფლებას შრომის სამართლიან და ხელსაყრელ პირობებზე, რაც მოიცავს თანაბარ შესაძლებლობებსა და ანაზღაურებას ერთი და იმავე შრომის შესრულებისათვის, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს, მათ შორის, დაცვას ძალადობისაგან და პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.⁵⁹

ამდენად, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის მიზანია შრომითსამართლებრივი წესრიგით ამგვარი ურთიერთობისათვის იმანენტურად დამახასიათებელი დისბალანსი აღადგინოს სუბიექტებს შორის უფლებათა სტრუქტურული ასიმეტრიის შეზღუდვის და ნეიტრალიზების გზით.⁶⁰

⁵² იქვე, მუხლი 1(1)(a)).

⁵³ იქვე.

⁵⁴ ILO Curriculum on Building Modern and Effective Labour Inspection Systems, Labour inspection and non-discrimination, module 13, 3.

⁵⁵ ILO, C111 – Discrimination (Employment and Occupation) Convention, 1958 (No. 111); Convention concerning Discrimination in Respect of Employment and Occupation (Entry into force: 15 Jun 1960).

⁵⁶ EEOC, Equal Employment Opportunity is THE LAW, <<https://bit.ly/3vsBOPi>> [09.09.2025].

⁵⁷ შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა არ იცნობს ფსიქიკური ჯანმრთელობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის სამართლებრივ სახეს (დეტალურად იხილეთ თავი 4.2.). ამასთან, გავრცელებული მიდგომით, ფსიქიკური ჯანმრთელობა, როგორც დაცული ნიშანი, განიხილება შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის ნიშნის ქვეშ.

⁵⁸ Council Directive 2000/78/EC of 27 November 2000 establishing a general framework for equal treatment in employment and occupation.

⁵⁹ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 27 (b).

⁶⁰ ბაქაქური ნ. (რედ.), თორდია თ. (რედ.), შველიძე ზ. (რედ.), ბოდონე ქ., ხაყოშია თ., გუჯაბიძე ნ., მესხიშვილი ქ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები –

4.2. ფსიქიკური ჯანმრთელობა, როგორც ცალკე მდგომი აკრძალული ნიშანი

ანტიდისკრიმინაციული კანონი აუცილებლად არის პასუხი უთანასწორობის კონკრეტულ გამოვლინებებზე, რომლებიც თავად ღრმად არის ჩადებული მოცემული საზოგადოების ისტორიულ თუ პოლიტიკურ კონტექსტში.⁶¹ ანტიდისკრიმინაციული კანონი ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩამოყალიბებულია იმ უთანასწორობის გამოვლინებებთან მართებაში, რომლებიც განვითარდა საზოგადოებაში.⁶²

დისკრიმინაციის საფუძველი (იგივე „აკრძალული საფუძველი“, „დაცული საფუძველი“, „ნიშანი“, „კრიტერიუმი“) არის პიროვნების ისეთი მახასიათებელი, რომლის ნიადაგზეც ხდება განსხვავებული მოპყრობა ამა თუ იმ უფლების განხორციელებისას.⁶³

დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამოთვლა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება იურიდიულ, სოციალურ და პოლიტიკის განსაზღვრის კონტექსტში.⁶⁴ აღნიშნული მიზნები, ფართო გადმოსახედიდან, მოიცავს კანონმდებლობაში სიცხადისა და სიზუსტის უზრუნველყოფას, ინკლუზიურობისა და თანასწორობის ხელშეწყობას, დაუცველი ჯგუფების დაცვას, მართლმსაჯულების ეფექტურად წარმართვისა და გადანაცვტილებების აღსრულების, ასევე, საზოგადოების ინფორმირებულობის ხელშეწყობას.

საერთაშორისო ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა დისკრიმინაციის საფუძვლების ფართე სპექტრს ჩამოთვლის.⁶⁵ ამასთანავე, თითოეული ასეთი კანონმდებლობა მიუთითებს, რომ ჩამონათვალი დახურული არ არის და ნებისმიერი სხვა საფუძველით დისკრიმინაციას დაუშვებლად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ იგი (i) იწვევს ან ამყარებს სისტემურ უსამართლო მდგომარეობას; (ii) აზიანებს ადამიანის ღირსებას; ან (iii) სერიოზულად ზღუდავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარ რეალიზებას, რაც არსებითად შედარებადია უკვე აკრძალულ საფუძვლებზე დისკრიმინაციასთან.⁶⁶

არცერთი საერთაშორისო აქტი დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამოთვლისას „ფსიქიკურ ჯანმრთელობას“ ცალკე ნიშნად არ მოიხსენიებს – იგი ან ჯანმრთელობის,⁶⁷ ან შეზღუ-

სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017, 14. შემდგომი მითითებით: *Goldin A., Global Conceptualizations and Local Constructions of the Idea of Labour Law, The Idea of Labour Law, Editors Davidov G., Langille B., Oxford University Press, 2011, 70.*

⁶¹ *Fredman, s., Discrimination Law, Oxford University Press USA, 2, 2011, 38.*

⁶² იქვე.

⁶³ *კვაჭაძე მ., ლეინჯილია ე., ჯუღელი ნ., დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, 2017, 36. შემდგომი მითითებით: კინწურაშვილი ნ., დისკრიმინაციის ძირითადი კონცეპტები საერთაშორისო სამართალში, 5.*

⁶⁴ *European network of legal experts in gender equality and non-discrimination, brochure about A comparative analysis of non-discrimination law in Europe, 2017.*

⁶⁵ მათ შორის, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკის თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა და თუ სხვა ნიშნის გამო. დამატებით, ევროპის საბჭოს დირექტივები კრძალავს დისკრიმინაციას რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობის (დირექტივა 2000/43/EC), რელიგიის, მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციის (დირექტივა 2000/78/EC, დირექტივის მითითება (COM(2008)462)), სქესის (დირექტივა 2006/54/EC, დირექტივა 2004/113/EC) ნიშნით.

⁶⁶ *Equal Rights Trust, Declaration of Principles on Equality, 2008, 5, 6.*

⁶⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ საქმეში დაუდგენია დისკრიმინაცია ჯანმრთელობის ნიშნით, იმ შემთხვევებისთვის, როცა საქმე ფსიქიკურ ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირს ეხებოდა. მაგალითისთვის, *Cîntă v. Romania*, [2020] ECHR.

დული შესაძლებლობის⁶⁸ ნიშნით დისკრიმინაციის ქოლგის ქვეშ მოიაზრება. მხოლოდ გაეროს გენერალური ასამბლეა „ფსიქიკური დაავადების მქონე პირთა დაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ზრუნვის გაუმჯობესების პრინციპების შესახებ“ რეზოლუციით⁶⁹ დაუშვებლად მიიჩნევს დისკრიმინაციას ფსიქიკური დაავადების გამო. ამავე რეზოლუციის თანახმად, სპეციალური ზომები მხოლოდ ფსიქიკური დაავადების მქონე პირთა უფლებების დასაცავად ან წინსვლის უზრუნველსაყოფად არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციულად.

ადამიანის ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა სფეროზე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას პროგრესირებადი გავლენის ალიარებისთვის მნიშვნელოვანია, დისკრიმინაციის იმ შემთხვევებში, რომლებშიც გამოკვეთილია პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ფაქტი, რომ პირის მიმართ განხორციელებული უთანასწორო მოპყრობა მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას უკავშირდება, აკრძალულ ნიშნად განისაზღვროს „ფსიქიკური ჯანმრთელობა.“ მხოლოდ დასაქმების სფეროს შესაფასებლად, კვლევების თანახმად, ფსიქიკური დაავადების გამო აშშ ეკონომიკას ყოველწლიურად 48 მილიარდი დოლარის ეკონომიკური ზარალი ადგება,⁷⁰ გლობალურად კი ყოველწლიურად დაახლოებით 12 მილიარდი სამუშაო დღე იკარგება მხოლოდ დეპრესიისა და შფოთვის გამო, რაც იწვევს 1 ტრილიონი აშშ დოლარის ზარალს.⁷¹

4.3. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები

კვლევები ადასტურებს, რომ პრობლემურია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანების დასაქმება, ხოლო ისინი, ვინც მუშაობენ, ნაკლებ შემოსავალს იღებენ, ვიდრე ფსიქიკური დაავადების არმქონე პირები.⁷² თუმცა შრომითსამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვან მოთხოვნას თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დაცვა წარმოადგენს, კვლევები მოწმობს, რომ დაახლოებით 22%-ით ნაკლებს გამოიმუშავენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები ასეთი პრობლემების არმქონე სხვა კოლეგებთან შედარებით,⁷³ მაშინ, როცა ქალებისა და მამაკაცების ანაზღაურებას შორის სხვაობა საშუალოდ 16%-ს წარმოადგენს.⁷⁴

მეორე მხრივ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირისთვის დასაქმებას დადებითი ეფექტის მოხდენა შეუძლია ამ პირის ეკონომიკურ⁷⁵ და ფსიქოსოციალურ⁷⁶ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

⁶⁸ Americans with Disabilities Act (ADA) ცალკე არ გამოყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას, როგორც დაცულ ნიშანს. სასამართლო პრაქტიკისა და აშშ თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების კომისიის (U.S. Equal Employment Opportunity Commission – EEOC) საქმიანობაში დამკვიდრდა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედება ფასდება „შეზღუდული შესაძლებლობების“ ნიშნით განხორციელებულ დისკრიმინაციად.

⁶⁹ Principles for the protection of persons with mental illness and the improvement of mental health care, General Assembly resolution 46/119, Principle 1 (4), 1991.

⁷⁰ Gallup, The Economic Cost of Poor Employee Mental Health, 2022, <<https://bit.ly/3xnuW79>> [09.09.2025].

⁷¹ WHO, Mental health at work: policy brief, 2022, 4, <<https://bit.ly/3XjDkiC>> [09.09.2025].

⁷² Levinson D. et al., Associations of serious mental illness with earnings: results from the WHO World Mental Health surveys, British Journal of Psychiatry, 2010, 197.

⁷³ Money and Mental Health Policy Institute, The link between money and mental health, 2019, <<https://bit.ly/45pZAJG>> [09.09.2025].

⁷⁴ American Association of University Women, The Gender Pay Gap, 2022, <<https://www.aauw.org/issues/equity/pay-gap/>> [09.09.2025].

⁷⁵ Cook J.A. et al., The employment intervention demonstration program: major findings and policy implications, Psychiatric Rehabilitation Journal, 2008, 31.

მარეობაზე. ზოგ შემთხვევაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები შეიძლება გახდეს პირის დასაქმებაზე უარის თქმის საფუძველი, ხოლო სხვა შემთხვევაში სამსახურიდან გათავისუფლების შიშით დასაქმებული ერიდებოდეს საკუთარი ჯანმრთელობის საკითხებზე საუბარს ან გონივრული მისადაგების მოთხოვნას.⁷⁷

ILO-ს თანასწორი მოპყრობის კონვენცია, მოქმედების სფეროს თვალსაზრისით, უნივერსალურია და არ შემოიფარგლება შრომითსამართლებრივი ურთიერთობით.⁷⁸ წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები და სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმების პროცესი მხარეებისთვის გარკვეულ ვალდებულებებს წარმოშობს.⁷⁹

წინასახელშეკრულებო ურთიერთობების დროს დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნა ვრცელდება შერჩევის კრიტერიუმებსა და დასაქმების პირობების განსაზღვრისას, აგრეთვე კარიერული წინსვლის მისაწვდომობის, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე საქმიანობის სფეროს მიუხედავად.

კანდიდატთა შერჩევის პროცესი, როგორც წესი, მოვლენების მთელი ჯაჭვია.⁸⁰ პირველი ნაბიჯი სამუშაო შესაძლებლობის შესახებ საჯარო განცხადება, ვაკანსიის გამოქვეყნებაა. შემდეგი ნაბიჯი შერჩევის ფაზაა, როდესაც დამსაქმებელი დამოუკიდებლად აფასებს განმცხადებლებს მათი შრომისუნარიანობის მიხედვით, ამ პროცესზე კი, შესაძლოა გავლენა იქონიოს მიკერძოებულობამ.⁸¹

წინასახელშეკრულებო ეტაპზე დისკრიმინაციული მოპყრობის კლასიკური შემთხვევაა დისკრიმინაციული ნიშნით დასაქმებაზე უარის თქმა.⁸² ამ შემთხვევაში, თუმცა კანდიდატი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი განაპირობებს დამსაქმებლის უარყოფით გადაწყვეტილებას.

ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანების მიმართ ფართოდ გავრცელებული სტიგმა ქმნის ბარიერს მათი დასაქმებისთვის.⁸³ კვლევების თანახმად, დამსაქმებლები ცდილობენ დაიქირაონ ყველაზე „პროდუქტიული“ კანდიდატები.⁸⁴ ვინაიდან მათ აქვთ შეზღუდული ინფორმაცია ცალკეული კანდიდატების შესახებ, ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს განსაზღვრული ფგუფების მიერ სუბიექტურად აღქმული მახასიათებლების საფუძველზე. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ სტერეოტიპული აღქმა დაკავშირებულია ადიქციურ ქცევასთან, არასანდოობასთან, ნაკლებად კომპეტენტურობასა და

⁷⁶ Fabian ES., Work and the quality of life, Psychosocial Rehabilitation Journal, 1989, 12.

⁷⁷ WHO, Mental health at work: policy brief, 2022, 4, <<https://bit.ly/3XjDkiC>> [09.09.2025].

⁷⁸ ILO, Equality of Treatment (Social Security) Convention, №118, 1962.

⁷⁹ ბაქაქუარი ნ. (რედ.), თორდია თ. (რედ.), შველიძე ზ. (რედ.), ბოდონე ქ., ხაჭომია თ., გუჯაბიძე ნ., მესხიშვილი ქ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები – სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017, 130.

⁸⁰ Frissen R., Adebayo J. K., Nanda R., A machine learning approach to recognize bias and discrimination in job advertisements, AI & SOCIETY 38, 2 (2023), 1027.

⁸¹ Österlund P, Preventing discrimination in recruiting through unconscious biases, 2020, 37.

⁸² კერესელიძე დ., ჩაჩავა ს., ზაალიშვილი ვ., შველიძე ზ., მესხიშვილი ქ., საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, 2023, 41.

⁸³ ILO, Occupational Safety and Health Convention, № 155, 1981. Promotional Framework for Occupational Safety and Health Convention, № 187, 2006.

⁸⁴ Dennis J. A., Cain G. G., Statistical theories of discrimination in labor markets, Ilr Review 30, 2, 1977, 175-187.

არაპროდუქტიულობასთან, ხოლო ზოგჯერ, ასევე, მათ შესაძლო სახიფათოობასთანაც.⁸⁵ მაშასადამე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანების დასაქმების პრობლემური დაკავშირებულია დამსაქმებლის არქეტიპულ ქცევასთან.

ვაკანსიის გამოცხადებისას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ აშკარად დისკრიმინაციული ენის გამოყენება წარმოადგენს წინასახელშეკრულებო ეტაპზე დისკრიმინაციული მოპყრობის სახეს და იგი შეიძლება განხორციელდეს აშკარა ან ნაგულისხმევი დისკრიმინაციული გამონათქვამების ფორმით. მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც დამსაქმებელი კრიტერიუმად იყენებს ისეთ ფრაზების, როგორებიცაა „კანდიდატი უნდა იყოს ფსიქიკურად სტაბილური“, „კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები“, „არ უნდა იყოს დეპრესიისკენ მიდრეკილი“ და მისთ.. ამასთან, აშკარა დისკრიმინაციული ენის გამოყენებად შეფასდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა გამოვლინებების პირდაპირი ხსენება, როგორც კრიტერიუმები.

ნაგულისხმევი დისკრიმინაციული ენის გამოყენება გულისხმობს შემთხვევებს, როცა ვაკანსიების განცხადებებში გამოყენებული ენა ან კრიტერიუმები ირიბად, მკაფიოდ გამოხატული დისკრიმინაციული განზრახვის გარეშე, გამორიცხავს ან ხელს უშლის პირებს კონკურსში მონაწილეობის მიღებაში.⁸⁶ ასეთია, მაგალითად, „მაღალი ემოციური სტაბილურობის“ ან „მდგრადობის“ მქონე კანდიდატებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე მითითება.

დისკრიმინაციის აკრძალვის საკანონმდებლო მოთხოვნა შრომითსამართლებრივ ურთერთობაში ყოფნის პროცესზეც ვრცელდება.⁸⁷ მისი ფარგლები მოიცავს შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს; პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) მისაწვდომობას; დასაქმებულთა გაერთიანების, დამსაქმებელთა გაერთიანების ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობას;

სამსახურებრივი სოციალური დაცვის, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებს.

თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის ვალდებულება მოითხოვს გონივრული მისადაგების უზრუნველყოფას სამუშაო ადგილზე,⁸⁸ ხოლო გონივრულ მისადაგებაზე უსაფუძვლო უარი აგრეთვე ჩაითვლება დისკრიმინაციად.⁸⁹ გონივრული მისადაგება გულისხმობს საჭიროების მქონე პირების მიერ თანაბარი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობის რეალიზების მიზნით აუცილებელ და შესაბამის მოდიფიცირებას, გაუმართლებელი სირთულეების დაძლევის გზით, დამსაქმებლისთვის არაპროპორციული ტვირთით დავალდებულების გარეშე.⁹⁰

⁸⁵ Angermeyer M. C., Dietrich S., Public beliefs about and attitudes towards people with mental illness: a review of population studies, *Acta Psychiatrica Scandinavica* 113, 3 (2006), 163-179.

⁸⁶ Mullainathan S., Bertrand M., Chugh D., Implicit Discrimination, *American Economic Review* 95(2), 2005, 96.

⁸⁷ ILO, Equality of Treatment (Social Security) Convention, № 118, 1962.


⁸⁸ Council Directive 2000/78/EC – establishing a general framework for equal treatment in employment and occupation, Article 5.

⁸⁹ UN General Assembly by resolution A/RES/61/106, Convention on the Rights of Persons with Disabilities, 2006.

⁹⁰ Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 8 (2022) on the right of persons with disabilities to work and employment, 2022, para. 19, 5. შემდეგი მითითებით: Committee on the Rights of Persons with Disabilities, general comment No. 6 (2018), para. 18 (c).

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით,⁹¹ დისკრიმინაციად უნდა შეფასდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირისთვის გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლება და დამატებით, ეროვნულ სასამართლოებს ეკისრებათ ვალდებულება, შეაფასონ, იყო თუ არა დამსაქმებლის მიერ გაწეული ძალისხმევა საკმარისი იმისთვის, რომ ჩაითვალოს გონივრულ მისადაგებად, დირექტივით⁹² გათვალისწინებული მნიშვნელობით.

CRPD/C/GC/6⁹³ განსაზღვრავს ექვს ძირითად პრინციპს გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად:⁹⁴



გონივრული მისადაგების დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტში განხილვა აჩვენებს, რომ ის აუცილებელი ელემენტია საჭიროების მქონე პირის მიერ კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისთვის.⁹⁶

ამასთანავე, საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს გონივრული მისადაგების პრაქტიკული განხორციელების წარმატების ისტორიებს, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებისთვის. სხვადასხვა ტიპის მიდგომა – ტექნიკური ადაპტაციების და მოქნილი სამუშაო გრაფიკებიდან დაწყებული, დამხმარე პერსონალისა და ტრენინგების შეთავაზებით დამთავრებული – არამხოლოდ აძლიერებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობ-

⁹¹ Case C-397/18, DW v Nobel Plastiques Ibérica SA, Judgment of the Court (First Chamber), 11 September 2019, EU:C:2019:703, para. 63-69.

⁹² Council Directive 2000/78/EC – establishing a general framework for equal treatment in employment and occupation.

⁹³ Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 6 on equality and non-discrimination, 2018.

⁹⁴ იქვე, para. 26, 7.

⁹⁵ ხომ არ აკისრებს იგი არაპროპორციულად მოქარბებულ ტვირთს დამსაქმებელს – იგი თავისუფლდება ვალდებულებიდან, თუ მისადაგება სამართლებრივად არ არის გამართლებული ან/და პრაქტიკული რეალიზება არაპროპორციულ ძალისხმევას მოითხოვს.

⁹⁶ Ferri D., Lawson A., A legal analysis of the situation in EU Member States, Iceland, Liechtenstein and Norway, European Commission 2016, 48, <<https://bit.ly/3xZrAos>> [12.09.2025].

ლემის მქონე პირების ინტეგრაციას შრომის ბაზარზე, არამედ ქმნის დადებით ეფექტს თავად კომპანიებისთვის.⁹⁷

დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზეც ვრცელდება და განსაზღვრავს შრომითსამართლებრივი ურთიერთობის დისკრიმინაციული საფუძვლით შეწყვეტის დაუშვებლობას.⁹⁸ ევროპის სოციალური ქარტია ავალდებულებს მხარეებს, აღიარონ ყველა დასაქმებულის უფლება, არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, ხოლო შეწყვეტა დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით.⁹⁹

აშშ-ს ფედერალური სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის შედეგად გამოწვეული ქცევა განიხილება პირის პირის ჯანმრთელობის ნაწილად და არა ცალკე მდგომი, არასასურველი ქმედებად.¹⁰⁰ ამიტომ, საჭიროების მქონე დასაქმებულის მიმართ სანქციის გამოყენებამდე, გონივრული იქნება, დამსაქმებელმა შეაფასონ არის თუ არა დასაქმებული „კვალიფიცირებული საჭიროების მქონე პირი“ და თუ ასეა, ეს ქცევა პოტენციურად განპირობებულია თუ არა თანამშრომლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემით. ზოგადად, დამსაქმებელმა უნდა მოითმინოს ექსცენტრული ან უჩვეულო ქცევა, რომელიც გამოწვეულია თანამშრომლის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემიდან, სანამ თანამშრომელს შეუძლია დამაკმაყოფილებლად შეასრულოს ძირითადი ფუნქციები.¹⁰¹

საერთაშორისო შრომის სტანდარტის თანახმად, ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპია, რომ როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იღებს მისი განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას, ვალდებულია, დაასაბუთოს მისი გადაწყვეტილების შესაბამისობა არა მარტო ანტიდისკრიმინაციულ კანონებთან, არამედ იმ სტანდარტებთანაც, რომლებიც საუკეთესო პრაქტიკების საფუძველზე სახელმძღვანელო პრინციპებადაა ჩამოყალიბებული. დამსაქმებელი ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს სხვადასხვა ფაქტორი: ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობის სიმწვავე/ბუნება, თანამშრომლის უნარები, ანუ ის, თუ რამდენად ხარისხიანად ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს და ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობის დამოკიდებულება თანამშრომლის საერთო პროდუქტიულობაზე.¹⁰²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჯანმრთელობის მდგომარეობის (ავადმყოფობის) გამო დაკავებული თანამდებობიდან/პოზიციიდან გათავისუფლების საქმეებზე, რამდენიმე საკვანძო სტანდარტს განსაზღვრავს. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული მექანიზმები და თანასწორობის პრინციპის მოთხოვნების განუხრელი დაცვა. გარდა ამისა,

⁹⁷ *KMU Forschung Austria*, Practices of providing reasonable accommodation for persons with disabilities in the workplace: 24 company case studies across Europe, 2008, 17.

⁹⁸ ILO, The Discrimination (Employment and Occupation) Convention, 1958 (No. 111).

⁹⁹ მუხლი 24 (ა).

¹⁰⁰ *Gambini v. Total Renal Care, Inc.*, 486 F.3d 1087, 2007.

¹⁰¹ *Chandler v. Specialty Tires of Am. (Tennessee), Inc.*, 134 F. App'x 921, 2005.

¹⁰² ILO Standards and Actions for the Elimination of Discrimination and the Promotion of Equality of Opportunity in Employment, Equality and Prohibition of Discrimination in Employment.

გასათვალისწინებელია ინდივიდუალური შეფასების, პროცედურული სამართლიანობისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების მისაწვდომობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს დასაქმებულთა უფლება, დაუსაბუთებლად არ გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.¹⁰³

აშშ-ის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ“ აქტი (ADA), რომელიც კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სამუშაო ადგილზე, განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანამშრომლების დისკრიმინაციის დაუშვებლობას, მათ შორის, ჯანმრთელობის დროებითი მოშლის შემთხვევაში, რომელიც გავლენას ახდენს თანამშრომლის უნარზე, განახორციელოს სამუშაო ფუნქცია-მოვალეობები. მეტიც, ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მიდგომა ეფუძნება იდეას, განსაკუთრებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებთან მიმართებით, რომ დამსაქმებლებმა უზრუნველყონ გონივრული სამუშაო პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე¹⁰⁴ თანამშრომლებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უქმნის გადაუღალავ სირთულეებს დამსაქმებელს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ავალდებულებს დამსაქმებელს, გათავისუფლების გადაწყვეტილებამდე უზრუნველყოს თანამშრომლის სამუშაო პირობების ადაპტაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო შეფასება, იკვლიოს ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები და გათავისუფლების შემთხვევაში წარმოადგინოს მკაფიო, ობიექტური დასაბუთება.¹⁰⁵

გონივრული მისადაგების პრინციპის პრაქტიკული იმპლემენტაცია დამსაქმებლის ვალდებულებაა, რამდენადაც, მას მეტი საბაზრო ძალაუფლება გააჩნია ეკონომიკურ პოლიგონზე და, შესაბამისად, შრომით ურთიერთობებზე მეტი გავლენის მოხდენა შეუძლია დასაქმებულთან შედარებით.

5. დასკვნა

ნაშრომი წარმოაჩენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას – ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების შრომითი უფლებების დაცვას და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხს.

არსებული სტიგმა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებს ხელს უშლის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სრულყოფილ მონაწილეობას, რამდენადაც საზოგადოებრივ დისკურსში ისინი, ხშირად, აღიქმებიან როგორც ნაკლებად კომპეტენტურები ან საშიშები.

კვლევა წარმოაჩენს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების პროგრესირებასთან ერთად მზარდია მისი გავლენა დასაქმების სფეროზე. მეორე მხრივ, პირდაპირპროპორციულია დასაქმების სფეროს გავლენა პიროვნების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე – ღირსეული სამუშაო პოზიტიურად მოქმედებს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, მაშინ როცა უმუშევრობა და არასტაბილური სამუშაო პირობები პირიქით, მნიშვნელოვან რისკს ქმნის.

¹⁰³ Carson and Others v. United Kingdom (2010).

¹⁰⁴ ტერმინი, ADA-ს მიზნებისთვის, მოიაზრებს პიროვნების უნარის ნებისმიერ შეზღუდვას, მათ შორის დროებითს.

¹⁰⁵ ILO, Convention No. 158 concerning Termination of Employment at the Initiative of the Employer, 1982.

ნაშრომი მიმოიხილავს დისკრიმინაციის ამკრძალავ საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს, ხაზს უსვამს გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის აუცილებლობას, საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენის გზით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების სამუშაო ადგილზე ინტეგრაციის კუთხით და წარმოაჩენს ფსიქიკური ჯანმრთელობის დამოუკიდებელ დაცულ ნიშნად აღიარების საჭიროებას. დამატებით, ნაშრომი ხსნის დისკუსიას ფსიქიკური ჯანმრთელობის სამართლებრივი საკითხების განხილვისთვის.

ბიბლიოგრაფია:

1. ბაქაძე ნ. (რედ.), თორდია თ. (რედ.), შველიძე ზ. (რედ.), ბოდონე ქ., ხაჭომია თ., გუჯაბიძე ნ., მესხიშვილი ქ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები – სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017.
2. ერემაძე ქ., ადამიანის უფლებები თავისუფლებისთვის, თბ., 2020.
3. კერესელიძე დ., ჩაჩავა ს., ზაალიშვილი ვ., შველიძე ზ., მესხიშვილი ქ., საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, 2023.
4. მახაშვილი ნ., სილაგაძე ქ., ფსიქიკური ჯანმრთელობის აქტუალური საკითხების პრაქტიკული გზამკვლევი, 2023.
5. ნადარეიშვილი მ., ადამიანის უფლებები, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2005.
6. კვაჭაძე მ., ღვინჯილია ე., ჯუღელი ნ., დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, 2017.
7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, <<https://bit.ly/4b9705e>> [02.09.2025].
8. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, <<https://bit.ly/4bdxd2D>> [02.09.2025].
9. სახალხო დამცველის განცხადება ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, <<https://bit.ly/4ewiJ0F>> [02.09.2025].
10. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში – სტატისტიკური ცნობარი (2021), 2022, <<https://test.ncdc.ge/pages/user/News.aspx?ID=ea1784b5-d3d0-4dd9-b29f-1369f5d6bbec>> [18.09.2025].
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებლები (2021), 2022.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1279-2021.
13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
14. American Psychiatric Association, Diagnostic And Statistical Manual Of Mental Disorders: DSM-5-TR, Fifth edition, text revision, 2022.
15. Angermeyer M. C., Dietrich S., Public beliefs about and attitudes towards people with mental illness: a review of population studies, Acta Psychiatrica Scandinavica 113, 2006.
16. Cook J.A. et al., The employment intervention demonstration program: major findings and policy implications, Psychiatric Rehabilitation Journal, 2008.
17. Corrigan W. P., Kleinlein P., The Impact of Mental Illness Stigma, 2005.
18. Dennis J. A., Cain G. G., Statistical theories of discrimination in labor markets, Ilr Review 30, 1977.
19. Drake R. E., Wallach A. M., Employment is a critical mental health intervention, Epidemiology and Psychiatric Sciences 29, e178, 2020.

20. *Durlowsky P.*, Logged In and Stressed Out – How Social Media Is Affecting Your Mental Health and What You Can Do About It, UK, The Rowman & Littlefield Publishing Group, 2020.
21. European network of legal experts in gender equality and non-discrimination, brochure about A comparative analysis of non-discrimination law in Europe, 2017.
22. Fabian ES., Work and the quality of life, Psychosocial Rehabilitation Journal, 1989.
23. *Fredman s.*, Discrimination Law, Oxford University Press USA, 2011.
24. *Frissen R., Adebayo J. K., Nanda R.*, A machine learning approach to recognize bias and discrimination in job advertisements, AI & SOCIETY 38, 2 (2023).
25. Handbook on European non-discrimination law, European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010.
26. Health and Safety Executive, Managing the causes of work-related stress: a step-by-step approach using the management standards, 2007.
27. *Hinshaw S. P.*, The Mark of Shame: Stigma of Mental Illness and an Agenda for Change. New York: Oxford University Press, 2007.
28. *Juraszek P., Sobczyk K., Grajek M.*, Mental health in a post-pandemic perspective: economic and social costs, Journal of Education, Health and Sport, №69, 2024.
29. *Keyes L. M. C.*, Mental Illness and/or Mental Health? Investigating Axioms of the Complete State Model of Health, Emory University, 2005.
30. *Keyes C. L. M.*, Social Well-Being, Social Psychology Quarterly, Vol. 61, No. 2, 1998.
31. *Keyes L. M. C.*, The Structure of Psychological Well-Being Revisited, 1995.
32. KMU Forschung Austria, Practices of providing reasonable accommodation for persons with disabilities in the workplace: 24 company case studies across Europe, 2008.
33. *Levinson D. et al.*, Associations of serious mental illness with earnings: results from the WHO World Mental Health surveys, British Journal of Psychiatry, 2010.
34. *Montano D., Reeske A., Franke F., Hüffmeier J.*, Leadership, followers' mental health and job performance in organizations: A comprehensive meta-analysis from an occupational health perspective, Journal of Organizational Behavior, 38, 2017.
35. *Mullainathan S., Bertrand M., Chugh D.*, Implicit Discrimination, American Economic Review 95(2), 2005.
36. *Nabi H., Kivimaki M., De Vogli R., Marmot Mg., Singh-Manoux A.*, Positive and negative affect and risk of coronary heart disease: Whitehall II prospective cohort study, Bmj 337, 2008.
37. *Österlund P.*, Preventing discrimination in recruiting through unconscious biases, 2020.
38. *Price H.*, The Language of Mental Illness: Corpus Linguistics and the Media, Cambridge: Cambridge University Press, 2022.
39. *Prince M., Patel V., Saxena S., Maj M., Maselko J., Phillips R.M., Rahman A.*, No Health without Mental Health, The Lancet 370, no. 9590, 2007.
40. *Rössler W.*, The stigma of mental disorders: A millennia-long history of social exclusion and prejudices, 2016, <<https://www.embopress.org/doi/full/10.15252/embr.201643041>> [02.09.2025].
41. *Rugulies R. et al.*, Work-related causes of mental health conditions and interventions for their improvement in workplaces, 2023.
42. *Stolove A. C., Galatzer-Levy R. I., Bonanno A. G.*, Emergence of depression following job loss prospectively predicts lower rates of reemployment, analysis of the US Health and Retirement Study, Psychiatry Research 253, 2017.
43. *Subramaniam M. et al.*, Employment of young people with mental health conditions: making it work, Disability and Rehabilitation, 2020.
44. *Yiğit B., Çakmak Y. B.*, Discovering Psychological Well-Being: A Bibliometric Review, Springer, 2024.

45. American Association of University Women, The Gender Pay Gap, 2022, <<https://www.aauw.org/issues/equity/pay-gap/>> [09.09.2025].
46. EEOC, Equal Employment Opportunity is THE LAW, <<https://bit.ly/3vsBOPI>> [09.09.2025].
47. Ferri D., Lawson A., A legal analysis of the situation in EU Member States, Iceland, Liechtenstein and Norway, European Commission 2016, <<https://bit.ly/3xZrAos>> [12.09.2025].
48. Gallup, The Economic Cost of Poor Employee Mental Health, 2022, <<https://bit.ly/3xnuW79>> [06.09.2025].
49. Mental Health America. (n.d.), Living well: How mental illness affects our lives, <<https://bit.ly/3RpnXS0>> [04.09.2025].
50. Money and Mental Health Policy Institute, The link between money and mental health, 2019, <<https://bit.ly/45pZAJG>> [09.09.2025].
51. SoCal Empowered, Examples Of Mental Health Issues In The Workplace, <<https://socalempowered.com/guide-mental-health-in-the-workplace/>> [06.09.2025].
52. Spill.chat, The cost of workplace mental health in the UK, 2025, <<http://bit.ly/4mnOz2g>> [09.09.2025].
53. Substance Abuse and Mental Health Services Administration (SAMHSA), Risk and Protective Factors for Mental, Emotional, and Behavioral Disorders Across the Life Cycle, <<https://bit.ly/3KIPx98>> [04.09.2025].
54. WHO, Comprehensive Mental Health Action Plan 2013–2030, <<https://www.who.int/publications/i/item/9789240031029>> [04.09.2025].
55. WHO, guidelines on mental health at work, 2022. <<https://bit.ly/4c4mTew>> [06.09.2025].
56. WHO, mhgap community toolkit: field test version, 2019, <<https://bit.ly/3tvva4e>> [04.09.2025].
57. WHO, Mental Disorders, Key Facts, 2022, <<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/mental-disorders>> [02.09.2025].
58. WHO, Mental Health: Strengthening Our Response, 2018, <<https://bit.ly/3KGDc5i>> [04.09.2025].
59. WHO, Mental health at work, 2022, <<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/mental-health-at-work>> [06.09.2025].
60. WHO, Mental health at work: policy brief, 2022, 4, <<https://bit.ly/3XjDkiC>> [06.09.2025].
61. WHO, World mental health report: transforming mental health for all, 2022, <<https://www.who.int/publications/i/item/9789240049338>> [04.09.2025].
62. WHO, Promoting Mental Health: Concepts, Emerging Evidence, Practice, 2005.
63. Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 6 on equality and non-discrimination, 2018.
64. Committee on the Rights of Persons with Disabilities, General comment No. 8 (2022) on the right of persons with disabilities to work and employment, 2022.
65. Council Directive 2000/78/EC of 27 November 2000 establishing a general framework for equal treatment in employment and occupation.
66. Equal Rights Trust, Declaration of Principles on Equality, 2008.
67. ILO, Convention concerning Discrimination in Respect of Employment and Occupation (Entry into force: 15 Jun 1960).
68. ILO, Convention No. 158 concerning Termination of Employment at the Initiative of the Employer, 1982.
69. ILO, Equality of Treatment (Social Security) Convention, N 118, 1962.
70. ILO, Occupational Safety and Health Convention, № 155, 1981. Promotional Framework for Occupational Safety and Health Convention, № 187, 2006.
71. ILO, The Discrimination (Employment and Occupation) Convention, 1958 (No. 111).
72. ILO Curriculum on Building Modern and Effective Labour Inspection Systems, Labour inspection and non-discrimination, module 13.

73. ILO Standards and Actions for the Elimination of Discrimination and the Promotion of Equality of Opportunity in Employment, Equality and Prohibition of Discrimination in Employment.
74. Principles for the protection of persons with mental illness and the improvement of mental health care, General Assembly resolution 46/119, Principle 1 (4), 1991.
75. UN General Assembly by resolution A/RES/61/106, Convention on the Rights of Persons with Disabilities, 2006.
76. Carson and Others v. United Kingdom (2010).
77. Case C-397/18, DW v Nobel Plastiques Ibérica SA, Judgment of the Court (First Chamber), 11 September 2019, EU:C:2019:703.
78. Cînța v. Romania, [2020] ECHR.
79. Chandler v. Specialty Tires of Am. (Tennessee), Inc., 134 F. App'x 921, 2005.
80. Gambini v. Total Renal Care, Inc., 486 F.3d 1087, 2007.

კობა ბარამია*

მოსამართლის შეკითხვების ფარგლები შეჯიბრებით პროცესში

სტატიაში განხილულია მოსამართლის მიერ მონმისათვის კითხვის დასმის შესაძლებლობის თავსებადობა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპთან, პროცესის შეჯიბრებითი მოდელში. კვლევის მიზანია, გაანალიზდეს თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაცია – მოსამართლის მიერ მონმეთათვის კითხვის დასმის შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად დამკვიდრებული ახალი პრაქტიკა – მოსამართლის მიერ მონმეთათვის შეკითხვების მხარეებთან შეუთანხმებლად დასმა, კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის დოგმატური გააზრება მხარეთა (ადვერსარულ) პროცესში, ქართული სამართლის სისტემის შედარებითი ანალიზი, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, აშშ-ის უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

სტატიის დასკვნით ნაწილში დადგენილია, რომ მიუხედავად შეჯიბრებითობის პრინციპის ცენტრალური მნიშვნელობისა, სასამართლოს დაკისრებული აქვს ვალდებულება უზრუნველყოს სამართლიანი მართლმსაჯულება, რის გამოც მოსამართლის მიერ კითხვის დამოუკიდებლად დასმა დასაშვებია, თუმცა მკაცრი ნეიტრალიტეტისა და თვითშეზღუდვის პირობებში, ისე, რომ არ დაირღვეს შეჯიბრებითობის პრინციპი. სტატიის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები საპროცესო ნორმების სრულყოფისთვის.

საკვანძო სიტყვები: შეჯიბრებითობის პრინციპი, შეჯიბრებითი მოდელი, მოსამართლის როლი, მონმის დაკითხვა, ნეიტრალური არბიტრი, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მოსამართლის შეკითხვის ფარგლები.

1. შესავალი

ქართული სისხლის სამართლის პროცესი შეჯიბრებითი მოდელის შესაბამისადაა კონსტრუირებული და გადახრილია ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემისკენ.¹ ამიტომ, ქართულ სისხლის სამართლის პროცესში ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესი ჩნდება, როდესაც საკითხი ეხება ანტაგონისტურ მხარეთა შეჯიბრში სასამართლოს, როგორც ე.წ. „პასიური არბიტრის“, პოზიციონირებას.

იურიდიულ წრეებში, მათ შორის საქართველოში, დისკუსიის საგნად რჩება თემა თუ რამდენად შეესაბამება მოსამართლის მიერ მონმისათვის დამოუკიდებლად, მხარეთა ნებართვის გარეშე, კითხვის დასმის შესაძლებლობა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, შეჯიბრებით (ადვერსარულ) მოდელში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, რამაც მნიშვნელოვნად გააქტიურა დისკუსია.²

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი.

¹ აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2016, 11.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება

დასავლურ იურიდიულ სამყაროში, მაგალითად, პროფესორი ჯონ დ. ჯექსონი მიუთითებს, რომ შეჯიბრებითი მოდელი მხარეებს აკისრებს მტკიცების ტვირთს, მაგრამ პრაქტიკაში მოსამართლეები ხშირად სცდებიან „არბიტრის“ როლს და აქტიურად ერევიან დაკითხვაში. ეს კი სისტემურად ასუსტებს მხარეთა შეჯიბრებითობას.³ უფრო თანამედროვე ლიტერატურაში ნათქვამია, რომ დაკითხვა ხშირად კარგავს სამართლიანი სასამართლოს შინაარსობრივ კომპონენტს და იქცევა ფსიქოლოგიურად დამთრგუნველ პროცედურად, რა ნაწილშიც მნიშვნელოვანია მოსამართლის ჩართულობა და მხარეთა შეკავება.⁴ ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამედროვე მტკიცებულებითი სამართალი სულ უფრო მეტად ეფუძნება მიზნობრივ-დასაბუთებულობას (*reasoned justification*) და არა ფორმალურ წესებს, რაც ზრდის ყურადღებას ფაქტების დადგენის მიმართ. ამიტომ მოსამართლის მტკიცებულებათა გამოკვლევის, მათ შორის, მოწმეთა დაკითხვის პროცესში, მონაწილეობის საკითხი სენსიტიური ხდება.⁵ გარდა ამისა, ემპირიული კვლევებიც მიუთითებენ, რომ მოსამართლის შეკითხვების პრაქტიკა შეჯიბრებით მოდელში ხშირად გადადის აქტიურ ჩარევაში.⁶

ამდენად, მიმდინარე დისკურსში ჩნდება შეკითხვა თუ სად გადის ლეგიტიმური ზღვარი შეჯიბრებით პროცესში მოსამართლის მიერ დამოუკიდებლად კითხვის დასმის უფლებასა და მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფას შორის. ე.ი. შეჯიბრებით მოდელში შეიძლება თუ არა მოსამართლემ მოწმეს დამოუკიდებლად დაუსვას შეკითხვა და თუ ეს დასაშვებია, მაშინ რა ფარგლებია დადგენილი, იმისათვის, რომ მოსამართლე არ პოზიციონირდეს, როგორც მხარე. სწორედ, ეს არის წინამდებარე სტატიის განხილვის საგანიც.

ზემოაღნიშნული საკითხების გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები. წამოჭრილი საკითხები გაანალიზდა ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, დედუქციურ-ინდუქციური, დოგმატური და ანალიტიკურ-სინთეზური მეთოდებით. სტატიის მომზადებისას გამოყენებულია საქართველოს, ევროპისა და აშშ-ის სამართლის ნორმატიული და პრეცედენტული ანალიზი, აგრეთვე თანამედროვე დასავლური ლიტერატურა და კვლევები.

2. ქართული სისხლის სამართლის პროცესის მოდელი

ქართული სისხლის სამართლის პროცესის მოდელთან მიმართებით ყველაზე რელევანტური საერთო სამართლისა (ე.წ. ანგლო-ამერიკული) და კონტინენტური სამართლის სისტემებია.⁷

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“.

³ Jackson J. D. and Doran S., Addressing the Adversarial Deficit in Non-Jury Criminal Trials, *Israel Law Review*, Vol. 31, 1997, 664-665.

⁴ Fairclough S., Resilience-building in Adversarial Trials: Witnesses, Special Measures and the Principle of Orality, *Social & Legal Studies*, 1-26, 2023, 2-4.

⁵ Roberts P., Theorising Evidence Law, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 43, No. 3, 2023, 629-649.

⁶ Lively J. C., Fallon L., Snook B. & Fahmy W., Objection, your Honour: Examining the Questioning Practices of Canadian Judges, *Psychology, Crime & Law*, 2022, 15.

⁷ მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2008, 350; ასევე, იხ. ჰეგერი მ., ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2016, 4-6.

ზემოაღნიშნულ სისტემათა შორის ძირითადი სხვაობა სამართლის დადგენის გზაშია.⁸ საერთო სამართლის (ე.წ. ანგლო-ამერიკული) სისტემისთვის დამახასიათებელია შეჯიბრებითი (ადვერსარული) ტიპის მოდელი, იგივე მხარეთა პროცესი, რაც ორი თანასწორუფლებიანი, ანტაგონისტური მხარის დაპირისპირებას გულისხმობს. ადვერსარულ პროცესში საქმის წარმოებაზე, მტკიცებულებათა მოპოვებასა და წარმოდგენაზე, პასუხისმგებელია მხარე, გადაწყვეტილებაზე – კი სასამართლო.⁹ კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელია ინკვიზიციური მოდელი. ინკვიზიციურ პროცესში მოსამართლე აქტიურად არის ჩართული მტკიცებულებების მოპოვებასა და გამოკვლევაში. ამ მოდელში სასამართლო ფლობს, როგორც პროცესის წარმოების ასევე, გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივას.¹⁰

დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ შეჯიბრებითი და ინკვიზიციური მოდელების მკაცრი დაყოფა თანამედროვე ევროპულ სამართალში მნიშვნელოვნად ეროზირებულია და აშშ-დან გადმოღებული პროცესუალური სტანდარტები ქმნის „ფუნქციური ჰიბრიდიზაციის“ ეფექტს.¹¹ საერთაშორისო სისხლის სამართალიც კი, ინკვიზიციური და ადვერსარული ელემენტების სტრუქტურულ შერწყმას წარმოადგენს.¹²

საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1998 წლის 20 თებერვალს.¹³ ეს კოდექსი ორიენტაციას ახდენდა კონტინენტურ-ევროპული სისხლის სამართლის სისტემაზე. შესაბამისად, პროცესის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენდა ლეგალურობა, ინკვიზიციურობა და ჭეშმარიტების დადგენა.¹⁴ საპროცესო კოდექსის მთელი რიგი მუხლები დაცვის მხარეს არ აძლევდა მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვების შესაძლებლობას.¹⁵ შესაბამისად, 1998 წელს მიღებული საპრო-

⁸ *Kremens K.*, *Inquisitorial and Adversarial Influences on the Examination of a Witness in the International Criminal Procedure*, *Przegląd Prawa i Administracji* C/2 Wrocław, 2015, 80.

⁹ *Jackson J. D.*, *The Effect of Human Rights on Criminal Evidentiary Processes: Towards Convergence, Divergence or Realignment?*, *The Modern Law Review*, Vol. 68, No. 5, 2005, 747; *Goodpaster G.*, *On the Theory of American Adversary Criminal Trial*, *The Journal of Criminal Law and Criminology*, Vol. 78, No. 1, 1987, 119-121; ასევე, იხ. *აქუბარდია ი.*, *მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში*, მზია ლეკვიშვილის საიუბილეო კრებული, თბ., 2014, 130; ასევე, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის №3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-75.

¹⁰ *თუმანიშვილი გ.*, *სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა*, თბ., 2014, 75; იხ. *აქუბარდია ი.*, *შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი*, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2016, 13; იხ. *ეზერი ა.*, *შეჯიბრებითი თუ ინკვიზიციური პროცესი: ოპტიმალური სტრუქტურების ძიებაში*, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №3, თბ., 2019, 77.

¹¹ *Grande E.*, *Legal Transplants and the Inoculation Effect: How American Criminal Procedure Has Affected Continental Europe*, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 64, No. 3, 2016, 586-588, 617-618.

¹² *Kremens K.*, *Inquisitorial and Adversarial Influences on the Examination of a Witness in the International Criminal Procedure*, *Przegląd Prawa i Administracji* C/2 Wrocław, 2015, 80-84.

¹³ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20/02/1998, (ძალადაკარგულია 01/10/2010).

¹⁴ *ლალიაშვილი თ.*, *ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის*, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, თბ., 2016, 18.

¹⁵ *ვეფხვაძე ლ.*, *შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების ეტაპზე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (შედარებითსამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე)*, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, თბ., 2017, 119-120.

ცესო კოდექსი, მასში შეჯიბრებითობის პრინციპის ასახვისა და ახალი კოდექსის მიღებამდე მასში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, მაინც ითვლება მეტწილად ინკვიზიციური ტიპის პროცესის მოდელად.¹⁶

საქართველოს პარლამენტმა 2009 წელს მიიღო ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბერს. 2009 წლის რეფორმამ მოსამართლე „პასიურ არბიტრად“ აქცია და მხარეებს დაუთმო ინიციატივა. სისხლის სამართლის პროცესის სისტემა ძირითადად გადაიხარა კონტინენტურ-ევროპულიდან ანგლო-ამერიკული მოდელისკენ.¹⁷ მოქმედი რედაქციის ფარგლებში მხარეებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ სასამართლოს წინაშე მტკიცებულებები.¹⁸ მოქმედი საპროცესო კოდექსი მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე მხარეს ანიჭებს სრულ უფლებამოსილებასა და თავისუფლებას განსაზღვროს მტკიცებულებათა გამოკვლევის რიგითობა და მოცულობა.¹⁹

საპროცესო კოდექსის ნაგულისხმები მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში სასამართლოს აქტიური როლი მინიმალურია, თუ არ ჩავთვლით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით განსაზღვრულ მოწმისათვის კითხვის დასმის შესაძლებლობას. თუმცა, ამავე მუხლებიდან გამომდინარეობს მოსამართლის ვალდებულება, განიხილოს მხარეთა შუამდგომლობები შეკითხვების განრიგების, ასეთ შეკითხვებზე გაცემული პასუხების დაუშვებლად ცნობისა და მხარისთვის (მოწმისთვის) გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე.²⁰

საერთო ჯამში, მიჩნეულია, რომ 2009 წელს მიღებული საპროცესო კოდექსი საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას წარმართავს შეჯიბრებითი მოდელის შესაბამისად.²¹

ამდენად, მოსამართლის მიერ მოწმისათვის კითხვის დასმის შესაბამისობა შეჯიბრებითობის პრინციპთან გაანალიზდება სწორედ, რომ შეჯიბრებითი მოდელის კონცეფციის გათვალისწინებით და შეფასდება რამდენად აქვს მოსამართლეს კითხვის დასმის პეროგატივა ადვერსარულ მოდელში.

¹⁶ კოჭლამაზაშვილი ბ., მხარის მიერ თავისი მტკიცებულების სადავოდ გახდომისა და გამოკვლევის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბ., 2023, 6.

¹⁷ მსხილაძე ლ., შეჯიბრებითობის პრინციპი თანამედროვე სამართლებრივ ოჯახებში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, თბ., 2021, 6; ხაჭვანი თ., შეჯიბრებითობის პრინციპი (შედარებითი ანალიზი), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, თბ., 2012, 62.

¹⁸ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 74; ასევე, იხ. ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი – ზოგადი ნაწილი, თბ., 2015, 119-120.

¹⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 242, 03/11/2009.

²⁰ გუნცაძე შ., წიგნში: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგაძე გ., (რედ.), თბ., 2015, 709-712.

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტიტოვ ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21; ასევე, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40.

3. მოსამართლის მიერ მოწმისათვის კითხვის დასმის შესაბამისობა შეჯიბრებითობის პრინციპთან

3.1. პრობლემის აქტუალობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მოსამართლე უფლებამოსილი იყო გამოናკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დაესვა დამაზუსტებელი შეკითხვა, თუ ეს აუცილებელი გახდებოდა სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.²² აღნიშნული მოწმისრიგება საკონსტიტუციო სამართლოს გადაწყვეტილებით შეიცვალა.

ქართულ იურიდიულ წრეებში ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული საპროცესო კოდექსი, რომელიც შეჯიბრებითობის ე.წ. კლასიკურ მოდელს ამკვიდრებს, აშშ-ის საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, მოსამართლეს დამოუკიდებლად მოწმის დაკითხვის შესაძლებლობას ართმევს, რაც მოსამართლის როლის დასუსტებაზე მეტყველებს.²³ აღნიშნული კი მოსამართლეს გადასაწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციის მიღებისგან ზღუდავს, რაც ზრდის არაინფორმირებული გადაწყვეტილების რისკებს.²⁴ უფრო მეტიც, „პასიური მოსამართლის“ განაჩენით შესაძლოა უდანაშაულო პირი დამნაშავედ იქნას ცნობილი.²⁵

საწინააღმდეგოდ, მიიჩნევენ, რომ მოწმისათვის კითხვის დასმით მოსამართლე ხდება პროცესის აქტიური მონაწილე, ერევა მხარეთა შეჯიბრებითობაში და ფაქტობრივად განსაზღვრავს პროცესის მიმდინარეობას, რა დროსაც მოსამართლე კარგავს ნეიტრალური არბიტრის ფუნქციას და აღიქმება ერთ-ერთი მხარის ინტერესების გამტარებლად.²⁶

პროფესორი სტივენ ა. ზალცბურგის შეფასებით ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემა და შესაბამისად პროცესის შეჯიბრებითი მოდელი „სიმართლის აღმოჩენისთვისაა“ შექმნილი.²⁷ ამიტომ, შეჯიბრებითობის მომხრეები ნაწილობრივ უარყოფენ მოსამართლის ე.წ. „პასიური მსმენელის“ ფუნქციას და მიიჩნევენ, რომ მოსამართლეს სიმართლის დასადგენად ფართო უფლებამოსილებები გააჩნია, რაც გამოიხატება საქმის განხილვის ხელმძღვანელობაში, მხარეთათვის მითითებების მიცემაში, ცალკეულ შემთხვევებში მოწმისათვის დამაზუსტებელი შეკითხვის დასმასა და ნაფიც მსაჯულთათვის განმარტებების გაკეთებაში.²⁸

თანამედროვე სამეცნიერო კვლევები ასაბუთებენ, რომ მხარეთა პროცესის მონაწილეები წარმოადგენენ ძლიერი კოგნიტური მიკერძოებების სუბიექტებს, რაც აჩენს საჭიროებას,

²² ლიპარტელიანი ლ., ნიგში: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგაძე გ., (რედ.), თბ., 2015, 149.

²³ აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2016, 13.

²⁴ თორდია ვ., მოსამართლის როლი და დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, თბ., 2017 102;

²⁵ ტურავა მ., ჰარმონიული კონვენციის საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესში და ქართული სისხლის სამართლის საპროცესო წესები, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, კორკელია კ., (რედ.), თბ., 2014, 74-75.

²⁶ ვეფხვაძე ლ., მოსამართლის როლი შეჯიბრებით პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, თბ., 2018, 122.

²⁷ Saltzburg A. S., The Unnecessarily Expanding Role of the American Trial Judge, Virginia Law Review, Vol. 64, No. 1, 1978, 11.

²⁸ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 76-77.

რომ მოსამართლე იყოს არა უბრალოდ „პასიური მსმენელი“, არამედ ნეიტრალური, მაგრამ კოგნიტურად ჩართული სუბიექტი.²⁹ ახალი სამეცნიერო მიგნებით მოწმის უშუალო დაკითხვა სხდომაზე იწვევს მოწმის სტრესსა და ინტერაქციის არათანმიმდევრულობას, რაც განაპირობებს მოსამართლის ჩარევის საჭიროებას ბუნდოვანი ჩვენების თავიდან ასაცილებლად.³⁰

ჩვენ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა და ძალადაკარგულად სცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზღუდავდა მოსამართლის მიერ კითხვის დასმის შესაძლებლობას. ამგვარად, საკუთრივ ორმაგად საინტერესო და აქტუალურია თუ რა არგუმენტ(ებ)ი უდევს საფუძვლად, ერთი მხრივ, მოსამართლის მიერ კითხვის დასმის უფლებამოსილებას შეჯიბრებით მოდელში და რა ფარგლებია დადგენილი ამისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, აქვს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას შესაბამისი დოგმატურ/პრაქტიკული გამართლება.

3.2. შეჯიბრებით მოდელში მოსამართლის მხრიდან კითხვის დასმის შესაძლებლობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით შეჯიბრებით მოდელში, შეჯიბრებითობის პრინციპი სასამართლოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, მხარის აქტიურობის მიუხედავად, სწორად და ჯეროვნად არ გამოიყენოს სამართლის ფუნდამენტური პრინციპები.³¹ მართალია, სახელმწიფო თავისუფალია მისი მიხედულების შესაბამისად შეარჩიოს საპროცესო მოდელი, თუმცა ნებისმიერი სისტემის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია კონსტრუირებული პროცესი უზრუნველყოფდეს, ერთი მხრივ, საჯარო, ხოლო, მეორე მხრივ, პროცესის ყველა მონაწილის ინტერესებს.³² ერთ-ერთი მთავარი ინტერესი და გამონკვევა სახელმწიფომ მთლიანობაში უზრუნველყოს სამართლიანი მართლმსაჯულება.³³

საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციით მართლმსაჯულების პროცესში სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია მოწმისთვის კითხვის დასმის შესაძლებლობა და ამ ფორმით ინფორმაციის მიღება. კოდექსში მოსამართლის მიერ კითხვის დასმის საკითხს შეეხება მხოლოდ 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებამდე, ეს მუხლი მოსამართლეს სამმაგი პირობით ზღუდავდა, კერძოდ: **(1)** კითხვა უნდა ყოფილიყო საგამონაკლისო; **(2)** კითხვის დასმა უნდა შეთანხმებულიყო მხარეებთან, წინააღმდეგ

²⁹ Simon D., The Adversarial Bias, Annual Review of Law and Social Science, 2025, 362-363.

³⁰ Fairclough S., Resilience-building in Adversarial Trials: Witnesses, Special Measures and the Principle of Orality, Social & Legal Studies, 1-26, 2023, 7-8.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-21.

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-91.

შემთხვევაში, მოსამართლე შეკითხვას ვერ დასვამდა და **(3)** კითხვა თავისი არსით დამაზუსტებელი ხასიათის უნდა ყოფილიყო.³⁴

სწორედ ამიტომ, თეთრინყაროს რაიონულმა სასამართლომ ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსის კონსტიტუციურობის საკითხი დააყენა. წარდგინებაში აღნიშნულია, რომ მოსამართლის მიერ კითხვის დასმის თაობაზე მხარეთა თანხმობის არარსებობის პირობებში, შეიძლება დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს უფლება.³⁵ თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა იმსჯელა საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების – „მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.“ – შესაბამისობაზე საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან – „საქმის სამართლიანი [...] განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“.³⁶

პლენუმმა აღნიშნა, რომ მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში, მხარეთა ნებისგან დამოუკიდებელმა, მონაწილეობამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს მხარეთა სტრატეგიაზე, დასმულმა შეკითხვებმა პროცესს მისცეს ისეთი მიმართულება, ვიდრე ამას ისურვებდნენ მხარეები.³⁷ თუმცა, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესის მიზანი საქმეზე სიმართლის დადგენა და მართლმსაჯულების განხორციელებაა, დაცული ვერ იქნება მხარის ინტერესი ხელოვნურად შეაფერხოს მოწმის დაკითხვა და მოწმისგან ინფორმაციის მიღება, რომელიც აუცილებელია სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის. ე.ი. სიმართლის დადგენის ინტერესი არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხარეთა სურვილზე ან კომპეტენციაზე.³⁸

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოსამართლისათვის კითხვის დასმის შესაძლებლობის შეზღუდვა არ გამომდინარეობს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებიდან და არსებითად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის მიზნებს. თავის მხრივ, კი მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი არ შეიძლება შედეგობრივად იწვევდეს სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენის ხელოვნურად შეფერხებას.³⁹ გარდა ამისა, თავად მოსამართლემ, შეჯიბრებით და თანასწორ პროცესში, მოწმის პირდაპირი ან ჯვარედინი დაკითხვისას, თავისი მონაწილეობით მხარეებს ხელი არ უნდა შეუშალოს მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევაში. პირიქით, სასამართლომ კითხვების დასმისას უნდა იხელმძღვანელოს გონივრული თვითშეზღუდვის პირობებში, რაც გულისხმობს მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, მოწმეთა დაკითხვაში, იმგვარ მონაწილეობას, რომ ხელი შეეწყოს ბუნდოვან საკითხში სიცხადის შეტანას და არა ახალი მტკიცებულების შექმნას.⁴⁰

³⁴ მსხილაძე ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, თბ., 2020, 11-13.

³⁵ ვრცლად იხ. თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის კონსტიტუციური წარდგინება №1478 საქმეზე, პუნქტი 37.

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“.

³⁷ იქვე, II-39.

³⁸ იქვე, II-40, 47, 50.

³⁹ იქვე, II-41, 58

⁴⁰ იქვე, II-42.

შედეგად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ზღუდავდა საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ კითხვის დასმის შესაძლებლობას, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით.

სასამართლოს ეს განმარტება, ცხადია, არ არის სიახლე იურიდიულ სფეროში. პირიქით, ის მნიშვნელოვნად ეყრდნობა ანგლო-ამერიკული პროცესის დოქტრინალურ გაგებასა და მისი კლასიკური მაგალითის აშშ-ის საპროცესო კანონმდებლობის შინაარსსა თუ სასამართლო განმარტებებს.

დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ თუ მოსამართლეებს აკისრიათ სიმართლის დადგენის ვალდებულება, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ უფლება აქტიურად ჩაერთონ მოწმეთა დაკითხვაში.⁴¹ არც ევროპული სასამართლო მოითხოვს ისეთი ტიპის ადვერსარულ პროცესს, სადაც პროცედურული კონტროლი მთლიანად მხარეების ხელში აღმოჩნდება. შეჯიბრებითობა არ გამორიცხავს მოსამართლის მონაწილეობას დაკითხვაში, უფრო მეტიც, მოსამართლის ჩარევა მოწმეთა დაკითხვისას დასაშვებია იქამდე, ვიდრე მხარეთა უფლებები არ შეიზღუდება.⁴²

პროფესორი სტივენ ა. ზალცბურგი მიიჩნევს, რომ ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში მოსამართლეს ნებადართული აქვს მოწმის დამატებითი დაკითხვა, მაგრამ ეს უფლება იმავე ლოგიკით იზღუდება, როგორც შეჯამება/კომენტარი განაჩენის დადგენამდე. მოსამართლე ვერ გამოიყენებს დაკითხვას სწორედ იმ მიზნით, რაც შეჯიბრებითი მოდელით მას ეკრძალება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უხეშად შეცვლის ძალთა ბალანსს მხარეთა შორის. პროფესორი მიუთითებს, რომ მოსამართლის აქტიური დაკითხვა კონსტრუქციულად ეწინააღმდეგება შეჯიბრებით მოდელს.⁴³

ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცებულებათა ფედერალური წესების 614(b) მუხლის მიხედვით, მოსამართლეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით გამოიძახოს და დაკითხოს მოწმე.⁴⁴ ფედერალური წესების 614-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის მიერ მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის წესებს. მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ან მხარეთა მონაწილეობით გამოიძახოს და დაკითხოს მოწმე, რაშიც მონაწილეობენ მხარეებიც; „ბ“ პუნქტის მიხედვით სასამართლოს შეუძლია დაკითხოს მოწმე მიუხედავად იმისა თუ ვინ გამოიძახა ის; „გ“ პუნქტის მიხედვით კი მხარეს შეუძლია გააპროტესტოს სასამართლოს მიერ მოწმის გამოძახება ან დაკითხვა, რისი განხილვაც უნდა მოხდეს ნაფიცი მსაჯულების დასწრების გარეშე.⁴⁵ აქვე, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით მტკიცებულებათა ფედერალური წესების 614(b) მუხლი მოსამართლეს უფლებას აძლევს

⁴¹ Kremens K., *Inquisitorial and Adversarial Influences on the Examination of a Witness in the International Criminal Procedure*, Przegląd Prawa i Administracji C/2 Wrocław, 2015, 104.

⁴² Jackson J. D., *The Effect of Human Rights on Criminal Evidentiary Processes: Towards Convergence, Divergence or Realignment?*, The Modern Law Review, Vol. 68, No. 5, 2005, 752-753.

⁴³ Saltzburg A. S., *The Unnecessarily Expanding Role of the American Trial Judge*, Virginia Law Review, Vol. 64, No. 1, 1978, 54-61.

⁴⁴ იქვე, 52.

⁴⁵ Rule 614 – Court's Calling or Examining a Witness, Federal Rules of Evidence, <<https://www.rulesofevidence.org/fre/article-vi/rule-614/>>, [15.11.2025]; იქვე, იხ. აშშ-ის მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესების 614-ე მუხლის განმარტება.

დაკითხოს მოწმეები და იმოქმედოს უფრო მეტად ვიდრე „უბრალო მოდერატორმა“.⁴⁶ მაგრამ მოსამართლემ არ უნდა დატოვოს თავისი როლი და არ უნდა იკისროს ადვოკატის ფუნქცია.⁴⁷

ამგვარად, ნათელია, რომ პლენუმის გადაწყვეტილებას აქვს, როგორც დოგმატური საფუძველი, ასევე პრაქტიკული წანამდღვარი. შეჯიბრებით მოდელშიც კი, სადაც ინიციატივა მეტწილად მხარეთათვისაა გადაცემული, ვინაიდან სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის გარანტიას მოსამართლე ქმნის, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოწმეს დაუსვას შეკითხვა და ამ გზით მიიღოს სათანადო ინფორმაცია სამართლის დასადგენად. ეს აბსოლუტურ თანხვედრაშია დასავლეთის ქვეყნების, ანგლო-ამერიკული სისტემის, დოგმატურ/პრაქტიკულ გამოცდილებასთან. პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოსამართლეს მოეხსნა შეზღუდვა, საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადებას მიეცა „ახალი სიცოცხლე“ და განესაზღვრა კონსტიტუციასთან შესაბამისი ნორმატიული შინაარსი.

3.3. კითხვები, რომლებიც მოსამართლემ არ უნდა დასვას

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსამართლის მიერ დასმული შეკითხვა არ უნდა წარმოშობდეს მიკერძოებულობის განცდას და არ უნდა აქცევდეს მას მხარედ.⁴⁸ ამასთანავე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვა.⁴⁹ ამგვარად, ცხადია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც ადამიანის სახელმწიფოს თვითნებობისგან დაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტია, სასამართლოს ავალდებულებს მოწმისათვის კითხვის დასმა უზრუნველყოს მიუკერძოებლად, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით.⁵⁰

პლენუმის ზემოაღნიშნული განმარტება გვაძლევს ერთგვარ ინდიკატორს, რის საფუძველზეც შესაძლებელია გაპროტესტდეს მოსამართლის მიერ დასმული შეკითხვა, როგორც მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპთან შეუთავსებელი ჩარევა. თუმცა, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა არ არის იმდენად მდიდარი, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოსამართლისათვის მინიჭებული უფლების სტანდარტები განგვისაზღვროს. ამიტომ ამ კუთხით მნიშვნელოვანია დასავლური დოქტრინალური გამოცდილებისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, გათვალისწინება.

⁴⁶ United States v. Green, District of Columbia Court of Appeals, 1976; ასევე, იხ. Quercia v. United States, United States Supreme Court, 1933.

⁴⁷ United States v. Adedoyin, United States Court of Appeals, Third Circuit, 2004.

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-36.

⁴⁹ ფაფიაშვილი ლ., ნიგნში: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგაძე გ., (რედ.), თბ., 2015, 84.

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-43.

ანგლო-ამერიკულ სისტემაში მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვა დასაშვებია მხოლოდ განმარტების მიზნით და ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც „ნებართვა, რომ მოსამართლე თავგადაკლული ჩაებას პაექრობაში და შეუზღუდავად ჩაატაროს მოწმის დაკითხვა“.⁵¹ კანადურ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით დგინდება, რომ მოსამართლეთა მიერ დასმული შეკითხვების მხოლოდ <1 % არის ღია ფორმატის, მაშინ როდესაც სწორედ ამ კატეგორიის კითხვის პასუხად მოდის ყველაზე ინფორმაციული ჩვენება. კვლევის შედეგები აჩენს ეჭვებს მასზე, რომ მოსამართლეები, რომლებიც სასამართლო პროცესში მტკიცებულებების „კარიბჭის მცველებად“ უნდა მიიჩნეოდნენ, შესაძლოა სათანადოდ ვერ იცავდნენ ინფორმაციის მოპოვების პროცესის ეფექტიანობას და ზოგ შემთხვევებში შესაძლოა თავადაც კი აქვეითებდნენ მოწმის ჩვენების ხარისხს.⁵²

დასავლურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასამართლოს მიერ მოწმის დაკითხვა არასდროს უნდა წარმოჩინდეს „სტრატეგიულად ამბივალენტური“ (**strategic ambivalence**), ვინაიდან მოსამართლეს არ აქვს კონკურენტული მიზანი, ის არ არის მხარე. შესაბამისად, მისი ჩარევა უნდა განსხვავდებოდეს მხარეებისგან, რომლებიც კანონიერად მუშაობენ მოწმის მიმართ „ზენოლის“ მოხდენაზე. მოსამართლე როდესაც ამ პროცესში დომინანტურად ერევა, ის არღვევს სტრატეგიულ ბალანსს მხარეთა შორის.⁵³

მკვლევარი კაროლინა კრემენსი საერთაშორისო სისხლის სამართლის პერსპექტივიდან, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს კონტინენტური-ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემების მახასიათებლებს, ასკვნის, რომ სიმართლის დადგენას ზიანი არ ადგება, თუ მოსამართლე მოიცდის, ვიდრე მხარე დაასრულებს დაკითხვას. პირიქით, კონტინენტურ სისტემაშიც კი დამაბნეველია, როდესაც მოსამართლე ხშირად წყვეტს მხარის დაკითხვას. მოსამართლეს შეუძლია მხოლოდ იმ საკითხების გასარკვევად დასვას შეკითხვები, რომლებიც მისთვის გაუგებარია, ან მხარის დაკითხვის დასრულების შემდეგ გამოავლინოს დამატებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა საქმის სრულყოფილ განხილვას ემსახურებოდეს.⁵⁴

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მოსამართლეს უფლება აქვს დაკითხოს ორივე მხარის მიერ გამოძახებული მოწმე, სასამართლო პროცესზე წარმოდგენილ მტკიცებულებებში აღქმული ბუნდოვანების გარკვევის მიზნით.⁵⁵ მაგრამ მოსამართლემ არ უნდა გადაიბაროს ბრალდების მხარის (ისევე, როგორც დაცვის მხარის) ჯვარედინი დაკითხვის ფუნქციური დატვირთვა, იმისათვის, რომ, ნებისთ თუ უნებლიედ, ხაზი არ გაუსვას ბრალდების მხარის მტკიცებულებების სანდოობას და ეჭვქვეშ არ დააყენოს ბრალდებულისა და მისი მოწმეების სანდოობა.⁵⁶ დაკითხვაში მოსამართლის მონაწილეობამ, დასმულმა შეკითხვებმა, არ უნდა შეუქმნას ნაფიც მსაჯულებს განცდა, რომ ბრალდებული დამ-

⁵¹ Kremens K., *Inquisitorial and Adversarial Influences on the Examination of a Witness in the International Criminal Procedure*, Przegląd Prawa i Administracji C/2 Wrocław, 2015, 99-100.

⁵² Lively J. C., Fallon L., Snook B. & Fahmy W., *Objection, your Honour: Examining the Questioning Practices of Canadian Judges*, Psychology, Crime & Law, 2022, 14-16.

⁵³ Archer D., *Cross-examining lawyers, facework and the adversarial courtroom*, Journal of Pragmatics, 43, 2011, 3216-3230.

⁵⁴ Kremens K., *Inquisitorial and Adversarial Influences on the Examination of a Witness in the International Criminal Procedure*, Przegląd Prawa i Administracji C/2 Wrocław, 2015, 101.

⁵⁵ *Washington v. The Attorney Gen.*, United States Court of Appeals, Fourth Circuit, 2017; ასევე, იხ. *United States v. Ottaviano*, United States Court of Appeals, Third Circuit, 2013.

⁵⁶ *United States v. Beaty*, United States Court of Appeals, Third Circuit, 1983.

ნაშავეა.⁵⁷ მნიშვნელოვანია, შეფასდეს ის, თუ რამდენად გამოიყენა მოსამართლემ წამყვანი კითხვები (**leading question**)⁵⁸ (მიმანიშნებელი შეკითხვები), რადგან წამყვანმა კითხვებმა შეიძლება აფიქრებინოს ნაფიც მსაჯულებს, რომ მოსამართლემ უკვე იცის გარკვეული ფაქტი და ცდილობს მოწმეს დაადასტურებინოს ის.⁵⁹

კანადური გამოცდილებით მოსამართლის გამონათქვამებისა და მოწმის პასუხების სიგრძის ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ გამონათქვამის ტიპს პირდაპირი გავლენა აქვს მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაციის რაოდენობაზე. მაგალითისთვის, ღია კითხვებმა მოწმეებისგან ყველაზე მეტი ინფორმაციის, საშუალოდ 50 სიტყვაზე მეტი თითოეულ პასუხში, მიღება განაპირობა, მიუხედავად იმისა, რომ თავად შეკითხვა იყო მოკლე (საშუალოდ 10 სიტყვა). საპირისპიროდ, მრავალკითხვიანი და იძულებითი არჩევანის მქონე კითხვები იყო ყველაზე გრძელი, მაგრამ ინვევდა გაცილებით მოკლე პასუხებს.⁶⁰

აშშ-ის სასამართლო ასევე, აღნიშნავს, რომ მოსამართლეებს გააჩნიათ განსაკუთრებული ავტორიტეტი ნაფიცი მსაჯულებისა და ზოგადად საზოგადოების თვალში, ამიტომ ისინი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ თავიანთ ქცევას საქმის განხილვის განმავლობაში.⁶¹

სასამართლომ მაშინაც კი, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულება, მოწმის ჩვენება, მასზე ტოვებს უარყოფით შთაბეჭდილებას, არ უნდა შეიმჩნიოს, მით უფრო, ნაფიცი მსაჯულებისთვის აღსაქმელად.⁶² სასამართლომ უნდა შეამციროს მოწმის დაკითხვის მოცულობა, ხანგრძლივობა, ვინაიდან ზედმეტი გულმოდგინება და ყურადღება, შესაძლოა ზიანის მომტანი აღმოჩნდეს და მსაჯულების თვალში არასწორი აღქმები გამოიწვიოს.⁶³

აშშ-ის სასამართლოს პრაქტიკით მოსამართლის მიერ დაკითხვის წესების დარღვევის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს, მათ შორის, შემდეგ საკითხებს: მოსამართლე დაკითხვისას თანაბრად ეპყრობოდა თუ არა ორივე მხარეს; მოწმის დაკითხვისას მოსამართლის მიერ მოწმისა და მხარისათვის მიცემული ინსტრუქციები ან ჩარევა იყო თუ არა მოწმეების მიერ პროცესის სწორად სამართავად; დაარღვია თუ არა მოსამართლემ მიუკერძოებლობის ვალდებულება; ეჭვი შეიტანა თუ არა მოწმის სანდოობაში და ა.შ..⁶⁴ თუმცა, არასათანადო დაკითხვა, იმთავითვე, არ არის იმ ტიპის დარღვევა, რომლის არსებობაც სასამართლო პროცესს ავტომატურად არასამართლიანს ხდის.⁶⁵ ამდენად, განაჩენი კანონიერია, თუ შეცდომამ სამართლიანი სასამართლოს უფლება არ უგულებელყო.⁶⁶ ამასთანავე, სამართლიანობის გან-

⁵⁷ United States v. Nobel, United States Court of Appeals, Third Circuit, 1982.

⁵⁸ ტერმინი „leading question“ უნდა გავიგოთ, როგორც პასუხზე მიმანიშნებელი შეკითხვის ტიპი. ეს არის შეკითხვა, რომელიც ადრესატს მიანიშნებს ან უბიძგებს პასუხისკენ. იხ. Legal Information Institute, Cornell Law School, <https://www.law.cornell.edu/wex/leading_question>, [15/11/2025].

⁵⁹ State v. Ross, Supreme Court of Tennessee, at Jackson, 2001.

⁶⁰ Lively J. C., Fallon L., Snook B. & Fahmy W., Objection, your Honour: Examining the Questioning Practices of Canadian Judges, Psychology, Crime & Law, 2022, 15.

⁶¹ United States v. Godwin, United States Court of Appeals, Fourth Circuit, 2001.

⁶² United States v. Beaty, United States Court of Appeals, Third Circuit, 1983.

⁶³ United States v. Ottaviano, United States Court of Appeals, Third Circuit, 2013; ასევე, იხ. United States v. Wilensky, United States Court of Appeals, Third Circuit, 1985.

⁶⁴ United States v. Wilensky, United States Court of Appeals, Third Circuit, 1985.

⁶⁵ United States v. Dominguez Benitez, Supreme Court of The United States, 2004; ასევე, იხ. United States v. Ottaviano, United States Court of Appeals, Third Circuit, 2013.

⁶⁶ Lutwak v. United States, United States Supreme Court, 1953.

საზღვრის აბსოლუტური წესიც არ არსებობს.⁶⁷ ასეთ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს იყო თუ არა, საქმის განმხილველი მოსამართლის შეცდომის/ჩარევის ფონზე პროცესი მთლიანობაში სამართლიანი.⁶⁸ მოსამართლის შეცდომა/ჩარევა უმნიშვნელოა, თუ შეცდომამ/ჩარევამ არ განაპირობა გადაწყვეტილების მიღება და შედეგი ასეთი დარღვევის გარეშეც დადგებოდა.⁶⁹ პრეტენზიის განმხილველმა სასამართლომ იმის შეფასებისას იყო თუ არა მოსამართლის დაკითხვაში ჩარევა აშკარა შეცდომა/დარღვევა, უნდა განიხილოს მოსამართლის ჩარევა მთლიან პროცესის კონტექსტში და არა კონტექსტიდან ამოგლეჯილად.⁷⁰ ამ გზით სასამართლო ანონ-დანონის მრავალჯერადი ინტერვენციის კუმულაციურ გავლენას და არ აღმოჩნდება ცალკეული, იზოლირებული შემთხვევის (კონტექსტიდან ამოგლეჯილი მომენტის) გავლენის ქვეშ.⁷¹

პროცესის სამართლიანობა იგივენიერადაა გაგებული და განმარტებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალშიც. ევროპული სასამართლოს მიდგომით შეფასება უნდა გაკეთდეს არა იზოლირებულად, არამედ უნდა განისაზღვროს იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი.⁷²

საერთო ჯამში გამოდის, რომ მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვაში მონაწილეობა, ადვერსარულ პროცესში, გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ემსახურება ბუნდოვანი გარემოებ(ებ)ის დაზუსტებას და არა ახალი მტკიცებულების შექმნას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებითა და შედარებითი სამართლის მაგალითებით იკვეთება სამი ძირითადი კრიტერიუმი: (1.) ნეიტრალიტეტი – მოსამართლე ვალდებულია შეკითხვა დასვას ისე, რომ არ წარმოშვას მიკერძოებულობის შესახებ ეჭვები და არ იქცეს მხარედ; (2.) თვითშეზღუდვა – შეკითხვები უნდა იყოს მხოლოდ დამაზუსტებელი ხასიათის და მიმართული უკვე განხილულ გარემოებებზე; (3.) პროცესის სამართლიანობა ერთობლიობაში – მოსამართლის ჩარევამ არ უნდა შეცვალოს მხარეთა სტრატეგია, არ უნდა დაარღვიოს მხარეთა თანასწორობა და ასეთმა ჩარევამ არ უნდა განაპირობოს პირის დამნაშავედ ცნობა. ამდენად, ჩარევა სამართლიანია მხოლოდ მკაცრი თვითშეზღუდვის პირობებში და მაშინ, როდესაც ეს აშკარად აუცილებელია სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად. ამის მიღმა ნებისმიერი აქტიური ჩარევა ქმნის საფრთხეს, რომ მოსამართლე დაკარგავს მიუკერძოებელი არბიტრის როლს და პროცესის სამართლიანობა ეჭვქვეშ დადგება.

4. სასამართლოს მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის გავლენა სისხლის სამართლის საქმეზე

აშშ-ის მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესების 614-ე მუხლისგან განსხვავებით, ქართული საპროცესო კოდექსი არ იცნობს მოსამართლის მიერ დასმული შეკითხვის გაპროტესტების მექანიზმს. ეს ბუნებრივია, რადგან პლენუმის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებამდე სასამართლო შეკითხვას აყალიბებდა მხარეთა წინასწარი თანხმობითა და საკითხის

⁶⁷ United States v. Beaty, United States Court of Appeals, Third Circuit, 1983.

⁶⁸ United States v. Wilensky, United States Court of Appeals, Third Circuit, 1985.

⁶⁹ United States v. Vosburgh, United States Court of Appeals, Third Circuit, 2010.

⁷⁰ United States v. Rivera-Rodriguez, United States Court of Appeals, First Circuit, 2014.

⁷¹ იქვე.

⁷² Khan v. United Kingdom, [ECtHR], App. No. 35394/97, March 25, 2000, §34; ასევე, იხ. Allan v. United Kingdom, [ECtHR], App. No. 48539/99, November 5, 2002, §42.

დაზუსტების მიზნით. შესაბამისად, მოსამართლის შეკითხვის გაპროტესტების საჭიროებაც არ არსებობდა.

ამ თვალსაზრისით, მაგალითად, ემპირიული კვლევის შედეგები გვაძლევს მნიშვნელოვან მიგნებას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევას არ შეუძნავლია თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მოსამართლეებს კითხვების კლასიფიცირება/შერჩევა, მათი მხრიდან არაეფექტური კითხვების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი მიაჩნდება იმაზე, რომ მოსამართლეებს შესაძლოა გაუჭირდეთ კითხვების გაფილტვრა მაშინ თუ მხარე აქტიურად არ იქნება ჩართული და პროტესტს არ განაცხადებს მოსამართლის შეკითხვებზე.⁷³

შესაბამისად, პლენუმის განმარტებისა და გადაწყვეტილების შემდეგ, მნიშვნელოვანია, ქართულ რეალობაში მხარეებს მიეცეთ სასამართლოს მიერ დასმული შეკითხვის გაპროტესტებისა და მისი მოხსნის, ხოლო დასმულ შეკითხვაზე გაცემული პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესაძლებლობა. ამასთანავე, მხარეებს დამატებით უნდა მიეცეთ უფლება მოსამართლის შეკითხვის შემდეგ, კვლავ დასვან შეკითხვა და გადააზღვიონ მოსამართლის მიერ, ნებისთი თუ უნებლიედ, დასმული მიკერძოებული შეკითხვის შედეგები. ამასთანავე, ახალი მარეგულირებელი ნორმების ჩამოყალიბება, მიზანშეწონილია, მოსამართლის მიერ კითხვების დასმის პროცესი დაექვემდებაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 244-ე, 245-ე და 246-ე მუხლების დანაწესს.

საქართველოს მსგავსად კანადურ პრაქტიკაშიც, განსხვავებით აშშ-ის მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესების 614-ე მუხლისა, მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვისას პროტესტის მექანიზმი პრაქტიკულად არ არსებობს და მხოლოდ აპელაციის ეტაპზე ხდება შეფასება, რაც სამართლიანი პროცესის გარანტიას ამცირებს.⁷⁴

მოსამართლის მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულვებელყოფით ნაწარმოები დაკითხვის შედეგი, რომელიც გამამტყუნებელ განაჩენში აისახება, ჩვენ შემთხვევაშიც, უნდა დაბალანსდეს განაჩენის გასაჩივრების გზით.

სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში მტკიცებულებათა სამართლიან ადმინისტრირებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, ვახსენოთ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ე.ი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტებითი ბარათი, რაც ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად საპროცესო კოდექსთან შედარებით სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის უპირატესი მნიშვნელობის წყაროა.⁷⁵

ევროპული სასამართლოს განმარტებით მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტირებას ახდენს,⁷⁶ ის არ შეიცავს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე რაიმე წესს. სასამართლოს პოზიციით მტკიცებულებათა დასაშვებობა ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია.⁷⁷ სასამართლოს მიდგომით მტკიცებულებათა რელევანტურობის განსაზღვრაც ეროვნული სასამართლოს

⁷³ *Lively J. C., Fallon L., Snook B. & Fahmy W., Objection, your Honour: Examining the Questioning Practices of Canadian Judges, Psychology, Crime & Law, 2022, 15.*

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 7, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 09/11/2009.

⁷⁶ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1950.

⁷⁷ *Schenk v. Switzerland, [ECtHR], Plenary, App. No. 10862/84, July 12, 1988, §45-46.*

ფუნქციაა და ის ამაში არ ერევა, რადგან ეროვნული სასამართლოები უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან.⁷⁸ სასამართლოს მსგავსი მიდგომა გააჩნია მტკიცებულებათა სანდოობის შეფასების თვალსაზრისითაც.⁷⁹ საჩივრის შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ კი, უნდა გასცეს პასუხი შეკითხვას იყო თუ არა სამართალწარმოება, მათ შორის მტკიცებულებათა გამოკვლევის ნაწილი, მთლიანობაში სამართლიანი.⁸⁰ ხოლო, იმის შესაფასებლად იყო თუ არა სამართალწარმოება ერთობლიობაში სამართლიანი მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, თუ რამდენად გადამწყვეტი იყო ეს მტკიცებულება (სადავოდ გამხდარი მტკიცებულება) სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების შედეგებისთვის.⁸¹

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვის მარეგულირებელი ნორმები, მხარემ მოსამართლის მიერ მოწმის დარღვევით ნაწარმოები დაკითხვა ზემდგომ ინსტანციაში უნდა გაასაჩივროს პროცესის ერთიანი სამართლიანობის კონტექსტში, როგორც ამას მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

5. დასკვნა

სისხლის სამართლის პროცესის მოდელთა შედარებითმა ანალიზმა გამოარკვია, რომ საქართველოში მოქმედი საპროცესო კოდექსი ჩამოყალიბებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებით, ადვერსარულ მოდელშიც კი, სასამართლო ვალდებულია არა მხოლოდ დაიცვას მხარეთა შეჯიბრებითობა-თანასწორობა, არამედ უზრუნველყოს სამართლიანი მართლმსაჯულება. შესაბამისად, მოსამართლის მიერ მოწმისათვის კითხვის დასმის შესაძლებლობა თავისთავად არ არის შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა. დასავლური იურიდიული დოგმატიკა, ასევე აშშ-ის სასამართლო გამოცდილებაც, ცხადყოფს, რომ მოსამართლის ჩარევა პროცესში დასაშვებია, მაგრამ მისი აქტიურობა არ უნდა აქცევდეს მას მხარედ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა სასამართლოს მიუკერძოებლობის პრეზუმფცია და ბრალდებულის უფლება სამართლიან სასამართლოზე. როგორც პროფესორი ზალცბურგი იტყოდა, მოსამართლის ზედმეტი ჩარევა არც სასამართლოს ღირსებას ემსახურება, არც საზოგადოების ნდობას, და ამიტომაც მისი აქტიურობა უნდა იყოს ფრთხილად დაბალანსებული, ასისტენტური, მაგრამ არასოდეს დომინანტური.⁸²

ამგვარად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვა დასაშვები და გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მიმართულია ბუნდოვანი გარემოების დაზუსტებისკენ და ხორციელდება მკაცრი ნეიტრალიტეტისა და თვითრეფლექსიის პირობებში.

⁷⁸ ნიპარიშვილი ბ., მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბ., 2017, 32.

⁷⁹ იქვე, 33.

⁸⁰ Khan v. United Kingdom, [ECtHR], App. No. 35394/97, March 25, 2000, §34; ასევე, იხ. Allan v. United Kingdom, [ECtHR], App. No. 48539/99, November 5, 2002, §42.

⁸¹ Gäfgen v. Germany, [ECtHR], GC, App. No. 22978/05, June 1, 2010, §164.

⁸² Saltzburg A. S., The Unnecessarily Expanding Role of the American Trial Judge, Virginia Law Review, Vol. 64, No. 1, 1978, 80-81.

ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფონზე, მიზანშეწონილია, საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბდეს მკაფიო მექანიზმები, რაც შესაძლებელს გახდის: (i.) მოსამართლის მიერ დასმული შეკითხვის გაპროტესტებას; (ii.) მოსამართლის კითხვაზე გაცემული პასუხის დაუშვებლად ცნობასა; და (iii.) მოსამართლის მიერ ნაწარმოები დაკითხვის შემდეგ მხარის მიერ დამაზუსტებელი შეკითხვების დასმას.

ცხადია, სტატია ვერ ამოწურავს საკვლევ თემას, თუმცა მჯერა, რომ ის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საკითხის გარშემო აკადემიური დისკუსიის გამძაფრებაში.

ბიბლიოგრაფია:

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1950.
2. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24/08/1995;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20/02/1998, (ძალადაკარგულია 01/10/2010);
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009.
5. საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 09/11/2009.
6. აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2016.
7. აქუბარდია ი., მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, მზია ლეკვეიშვილის საიუბილეო კრებული, თბ., 2014.
8. გუნცაძე შ., წიგნში: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგაძე გ., (რედ.), თბ., 2015.
9. ეზერი ა., შეჯიბრებითი თუ ინკვიზიციური პროცესი: ოპტიმალური სტრუქტურების ძიებაში, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №3, თბ., 2019.
10. ვეფხვაძე ლ., მოსამართლის როლი შეჯიბრებით პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, თბ., 2018.
11. ვეფხვაძე ლ., შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების ეტაპზე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, თბ., 2017.
12. თორდია ვ., მოსამართლის როლი და დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, თბ., 2017.
13. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014.
14. კოჭლამაზაშვილი ბ., მხარის მიერ თავისი მტკიცებულების სადავოდ გახდომისა და გამოკვლევის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბ., 2023.
15. ლალიაშვილი თ., ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, თბ., 2016.
16. ლალიაშვილი თ., სისხლის სამართლის პროცესი – ზოგადო ნაწილი, თბ., 2015.
17. ლიპარტელიანი ლ., წიგნში: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგაძე გ., (რედ.), თბ., 2015.
18. მელქაძე ო., კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2008.

19. მსხილაძე ლ., შეჯიბრებითობის პრინციპი თანამედროვე სამართლებრივ ოჯახებში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, თბ., 2021.
20. მსხილაძე ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის კომენტარი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, თბ., 2020.
21. ნიპარიშვილი ბ., მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბ., 2017.
22. ტურავა მ., ჰარმონიული კონვერგენცია საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესში და ქართული სისხლის სამართლის საპროცესო წესები, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, კორკელია კ., (რედ.), თბ., 2014.
23. ფაფიაშვილი ლ., წიგნში: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გიორგაძე გ., (რედ.), თბ., 2015.
24. ხაჭვანი თ., შეჯიბრებითობის პრინციპი (შედარებითი ანალიზი), ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, თბ., 2012.
25. ჰეგერი მ., ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2016.
26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“.
27. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის კონსტიტუციური წარდგინება №1478 საქმეზე.
28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
30. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-21.
32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
33. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის №3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

34. US Federal Rules of Evidence (1975), <https://www.rulesofevidence.org/fre/article-vi/rule-614/>, [15.11.2025].
35. *Archer D.*, Cross-examining lawyers, facework and the adversarial courtroom, *Journal of Pragmatics*, 43, 2011.
36. *Fairclough S.*, Resilience-building in Adversarial Trials: Witnesses, Special Measures and the Principle of Orality, *Social & Legal Studies*, 1–26, 2023.
37. *Goodpaster G.*, On the Theory of American Adversary Criminal Trial, *The Journal of Criminal Law and Criminology*, Vol. 78, No. 1, 1987.
38. *Grande E.*, Legal Transplants and the Inoculation Effect: How American Criminal Procedure Has Affected Continental Europe, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 64, No. 3, 2016.
39. *Jackson J. D. and Doran S.*, Addressing the Adversarial Deficit in Non-Jury Criminal Trials, *Israel Law Review*, Vol. 31, 1997.
40. *Jackson J. D.*, The Effect of Human Rights on Criminal Evidentiary Processes: Towards Convergence, Divergence or Realignment?, *The Modern Law Review*, Vol. 68, No. 5, 2005.
41. *Kremens K.*, Inquisitorial and Adversarial Influences on the Examination of a Witness in the International Criminal Procedure, *Przegląd Prawa i Administracji C/2 Wrocław*, 2015.
42. *Lively J. C., Fallon L., Snook B. & Fahmy W.*, Objection, your Honour: Examining the Questioning Practices of Canadian Judges, *Psychology, Crime & Law*, 2022.
43. *Roberts P.*, Theorising Evidence Law, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 43, No. 3, 2023.
44. *Saltzburg A. S.*, The Unnecessarily Expanding Role of the American Trial Judge, *Virginia Law Review*, Vol. 64, No.1, 1978.
45. *Simon D.*, The Adversarial Bias, *Annual Review of Law and Social Science*, 2025.
46. *Gäfgen v. Germany*, [ECtHR], GC, App. No. 22978/05, June 1, 2010.
47. *Allan v. United Kingdom*, [ECtHR], App. No. 48539/99, November 5, 2002.
48. *Khan v. United Kingdom*, [ECtHR], App. No. 35394/97, March 25, 2000.
49. *Schenk v. Switzerland*, [ECtHR], Plenary, App. No. 10862/84, July 12, 1988.
50. *Washington v. The Attorney Gen.*, United States Court of Appeals, Fourth Circuit, 2017.
51. *United States v. Rivera-Rodriguez*, United States Court of Appeals, First Circuit, 2014.
52. *United States v. Ottaviano*, United States Court of Appeals, Third Circuit, 2013.
53. *United States v. Vosburgh*, United States Court of Appeals, Third Circuit, 2010.
54. *United States v. Dominguez Benitez*, Supreme Court of The United States, 2004.
55. *United States v. Adedoyin*, United States Court of Appeals, Third Circuit, 2004.
56. *State v. Ross*, Supreme Court of Tennessee, at Jackson, 2001.
57. *United States v. Godwin*, United States Court of Appeals, Fourth Circuit, 2001.
58. *United States v. Wilensky*, United States Court of Appeals, Third Circuit, 1985.
59. *United States v. Beaty*, United States Court of Appeals, Third Circuit, 1983.
60. *United States v. Nobel*, United States Court of Appeals, Third Circuit, 1982.
61. *United States v. Green*, District of Columbia Court of Appeals, 1976.
62. *Lutwak v. United States*, United States Supreme Court, 1953.
63. *Quercia v. United States*, United States Supreme Court, 1933.
64. Legal Information Institute, Cornell Law School.
[https://www.law.cornell.edu/wex/leading_qu estion], [15.11.2025].

გიგა ნარიშკიძე*

ყადაღის გამოყენების საფუძვლები და მიზანშეწონილობის სამართლებრივი შეფასება სისხლის სამართლის პროცესში

2022 წლის 23 სექტემბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი N1854-IXმს-XXმპ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რა დროსაც მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ყადაღის მექანიზმის ძირეული შეცვლა, თუმცა სხვადასხვა საკითხები კვლავ ბუნდოვნად რჩება და არ არის რეგლამენტირებული საკანონმდებლო დონეზე, მათ შორის დასაბუთებულობის ნაწილში მტკიცებულებითი ტვირთი. სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იძულებითი ღონისძიება ყადაღა, რამაც ჰიპოთეტურად შესაძლოა ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დარღვევა გამოიწვიოს. საკუთრების უფლება დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტია, იმის გამო რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა საკითხი აქტუალურია და მიზანშეწონილია საკითხის სამეცნიერო დონეზე განხილვა რათა გამოიკვეთოს საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, მისი ეფექტურობის ხარისხი თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებაში უცხო ქვეყნის კანონმდებლობების მაგალითზე და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, საბოლოოდ კი შეფასდეს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული როგორც სანიმუშო და დადებითი ტენდენციები, ასევე გამოიკვეთოს არსებული პრობლემატური საკითხები რაზედაც წარმოდგენილი იქნება პრობლემების გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები: ყადაღა, გონივრული ვადა, პროპორციულობის პრინციპი.

1. შესავალი

საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, იგი ხელშეუვალი უფლებაა, დაუშვებელია საკუთრების გასხვისების ან შეძენის საყოველთაო უფლების გაუქმება.¹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) მე-17 მუხლი იცავს ადამიანის ძირითად უფლებას, როგორც არის საკუთრების უფლება, ადამიანს აქვს შესაძლებლობა, ფლობდეს საკუთრებას როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურ ფორმაში. ამავე დეკლარაციით გათვალისწინებულია, რომ არავის არ უნდა ჩამოერთვას საკუთრების უფლება თვითნებურად.² განსახილველი უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია მოხდეს მისი შეზღუდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისად, არსებობს რისკი კანონით დაცულ სფეროში ჩარევის დროს დაირღვეს უფლება სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ.

საზოგადოების გარკვეული კვოტა საკუთრების უფლების დაცვისთვის საკუთარ მატერიალურ აქტივებს უცვლის სახეს და ინახავს ციფრულ მდგომარეობაში, როგორც არის კრიპტო ვალუტა, NFT, მსხვილი განვითარებადი კომპანიების აქციების შეძენა, ფლობა და

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებელი.

¹ საქართველოს კონსტიტუცია (1995) მუხლი 21.

² Universal Declaration of Human Rights (1948) art. 17.

სხვა, რაც გარკვეულ სამართლებრივ სიბრტყეში შესაძლოა გამოწვევებთან იყოს დაკავშირებული, როგორც არის აქტივების მოძიება და შემდგომში ყადაღის გავცელება აქტივებზე, მისი ბუნებითი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ყადაღის გამოყენების სამართლებრივ მიზანს წარმოადგენს მისი შემდგომში ჩამორთმევის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ყადაღის დადება არის მნიშვნელოვანი საპროცესო იძულებითი ღონისძიება, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს საკუთრების უფლების ჩამორთმევა მოძრავ ან უძრავ ნივთზე, რის გამოც საკითხი აქტუალურია.

2. საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 1950 წელს მიიღეს, ხოლო 1952 წლის 20 მარტს მიღებული იქნა N1 დამატებითი ოქმი, რომლის პირველი მუხლი ეთმობა საკუთრების უფლებას მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. პირველი მუხლის დაყოფით შესაძლებელია სამი პრინციპის გამოკვეთა, პირველი, საკუთრების შეუფერხებლად ფლობა და სარგებლობა, მეორე, შესაბამისი საფუძვლით ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობა, მესამე, სახელმწიფოს უფლებამოსილება გააკონტროლოს „საკუთრების სარგებლობა“ საზოგადო ინტერესების მიხედვით, გადასახადების თუ ჯარიმების გადახდის უზრუნველყოფად.³

საკუთრების კონცეფცია კონვენციის კონტექსტში ავტონომიურად უნდა იქნეს განმარტებული, საკუთრების განსაზღვრის დროს არ ექცევა ყურადღება ნივთის ფიზიკური სახით ფლობას.⁴ იმის დასადგენად, კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა თუ არა ადგილი საკუთრების უფლების დარღვევას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სწავლობს, არსებობდა თუ არა განმცხადებლის საკუთრების უფლება N1 დამატებითი ოქმის მიზნებისთვის, შემდგომ ფასდება საკუთრების უფლებაში ჩარევა და ჩარევის სახე და განსაზღვრავს ჩარევის მიმართ გამოსაყენებელ წესს.⁵ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებაში ჩარევას მხოლოდ თანაზომიერების პრინციპით ამართლებს, რა დროსაც სახეზე უნდა იყოს კუმულაციურად სამი ჯაჭვი, ჩარევა უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით (კანონიერების პრინციპი), ჩარევა უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს, ჩარევა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ყადაღის გამოყენებასთან მიმართებაში თავისი არსით აკმაყოფილებს პროპორციულობის პრინციპს, ყადაღის გამოყენება გათვალისწინებულია კანონით, ყადაღის გამოყენება უკავშირდება ახალი დანაშაული აღკვეთას და მტკიცებულებების განადგურებისგან დაცვას, რაც საჯარო ლეგიტიმურ მიზანს წარ-

³ Sporrang and Lönnroth v. Sweden, [1982] ECHR, App. Nos. 7151/25, 7152/75, para. 61.

⁴ Denisova and Moiseyava v. Russia, [2010] ECHR, App. Nos. 16903/03, para. 47; Iatridis v. Greece [1999], ECHR, App. No. № 31107/96, para. 54.

⁵ Grgic A., Mataga Z., Longar M., Vilfan A., The right to property Under the European Convention on Human Rights, A Guide to the Implementation of the European Convention on Human Rights and its Protocols, Human Rights Handbooks, No. 10, Council of Europe, 2007, 10-11.

⁶ ცხვედია თ., კვაჭანტირაძე დ., ნოსელიძე ა., საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, 2019, 8.

მოადგენს, ხოლო რამდენად არის გამოყენებული ყადაღა აუცილებელი დემოკრატიული საჭიროებისთვის ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა იყოს განხილული.

ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა პროპორციულობის კუთხით უტოლდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს.

ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის 12-ე მუხლი მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გზით მოპოვებული შემოსავლების ან პროპორციული ქონების კონფისკაციასა ასევე ყადაღას ქონების ჩამორთმევის მიზნით, რათა მოხდეს დანაშაულის ჩადენის იარაღისა და სხვა საშუალებების კონფისკაცია.⁷ პალერმოს კონვენციით გათვალისწინებულია მათ შორის ქრთამის სახით გადაცემული ფულის ჩამორთმევა, დანაშაულებრივი გზით მიღებული სარგებელი და სხვა.⁸ სხვა საშუალებებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს კომპიუტერული ტექნიკა, რასაც დამნაშავეები იყენებდნენ დანაშაულის ჩასადენად.⁹ საქართველოს მიერ პალერმოს კონვენცია რატიფიცირებულია შესაბამისად მის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს, რაც რასაკვირველია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტებს უთანაბრდება.

3. საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდების მხარეს აძლევს შესაძლებლობას საფუძვლის არსებობის შემთხვევაში გამოიყენოს ყადაღა, არსებობს აბსტრაქტული საფრთხე უფლების დარღვევის პერსპექტივით, რადგან, შეიზღუდება საკუთრების ერთ-ერთი პოსტულატი ქონების განკარგვის შესაძლებლობა, რასაც შესაძლოა ქონების ჩამორთმევა მოჰყვეს. სახელმწიფო ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულება გააჩნია, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკის დონეზე და ჩამოაყალიბოს სამართლებრივი სივრცე იმგვარად, რომ თავიდან აიცილონ მესამე პირებისგან უფლების დარღვევა.¹⁰ უფლების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს გამოყენებული ყადაღის გასაჩივრების უფლება. ევროპული სასამართლო უთითებს, რომ ქონების დაყადაღებისა და ჩამორთმევის აუცილებლობის წარმოშობისას სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა დაადგინონ მესაკუთრეების ბრალეულობის ხარისხი ან მიზეზშედეგობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და პირის ქმედებას შორის.¹¹ ქონების დაყადაღებისა და ჩამორთმევის შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ეროვნულ დონეზე დაიცვას მისი კანონიერი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია ისეთი მექანიზმის არსებობასთან, რომელიც მესაკუთრეს მისცემს შესაძლებლობას შიდა ეროვნულ დონეზე დაასაბუთოს მისი პოზიციები და დაიცვას თავი უფლების დარღვევისგან,¹² გამოძიების ეტაპზე შიდა ეროვნულ დონეზე აუცილებელია გასაჩივრდეს გამოყენებუ-

⁷ The United Nations Convention against Transnational Organized Crime, 15/11/2000, art. 12.

⁸ McClean D., Transnational Organized Crime: A Commentary on the UN Convention and its Protocols, Oxford University Press, 1st ed., 2007, 144.

⁹ Lagidze E., Seizure and Confiscation as an Effective Means of Combating Transnational Organized crime, law and world, 2023, 148.

¹⁰ Golay Dr. C., Cismas I., Legal Opinion: The Right to Property from a Human Rights Perspective, 2010, 28.

¹¹ Ünsped paket servisi San. Ve tic. A.Ş. v. Bulgaria [2015] ECHR, App. No. 3503/08, para. 38; Yildirim v. Italy [2003] ECHR, App. No. 38602/02, para. 49.

¹² Agosi v. The United Kingdom [1986] ECHR, App. No. 9118/80, para. 54-55.

ლი ყადაღა იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრე ამტკიცებს, რომ მის მიმართ გამოყენებული ყადაღა უსაფუძვლოა, რაზედაც ექნება მტკიცების ტვირთი დაასაბუთოს სასამართლოს წინაშე მისი უდანაშაულობა და საკუთრებაში აღრიცხული ქონების კანონიერება, ასევე გააბათილოს მიზეზშედეგობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და მის ქმედებას შორის და მოუწვევს სასამართლოში დაამტკიცოს რომ ქონება არ არის მოპოვებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად.

საქმეზე აგოსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, სასამართლომ არ დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევა, განმცხადებელმა არ გამოიყენა შიდა ეროვნულ დონეზე გასაჩივრების უფლება და არ მიმართა შესაბამისი უფლებამოსილ ორგანოს საკუთრების უფლების დაცვის მოთხოვნით,¹³ სასამართლომ დაადგინა, რომ ბრიტანული მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემა უზრუნველყოფდა ქონების ჩამორთმევის პროცედურების განხილვას სამართლიანი წესით,¹⁴ რაც არ იქნა გამოყენებული შიდა ეროვნულ დონეზე, რის გამოც არ იქნა დადგენილი უფლების დარღვევა.

საქმეზე სილიკიენე (Silickienė) ლიტვის წინააღმდეგ, ბრალდებულის მეუღლეს ჩამოერთვა ქონება, არ მონაწილეობდა სისხლის სამართლის პროცესში, ჩამოერთვა ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა და განმარტა, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უკანონოდ მოპოვებული ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით იყო დასაბუთებული და ემყარებოდა სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც იძლეოდა სტანდარტს ქონების ჩამორთმევის.¹⁵ სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებულის მეუღლეს ჰქონდა შესაძლებლობა შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე გაესაჩივრებინა როგორც ქონების ჩამორთმევა, ასევე ყადაღის გამოყენება, რა დროსაც დაეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, რომ ქონება არ იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული¹⁶ რაც განმცხადებლის მიერ არ მომხდარა, რის გამოც სასამართლომ არ დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევა დასახელებულ საქმეზე.¹⁷

დასახელებული მაგალითებიდან, გამომდინარე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, დასაბუთებულობის მნიშვნელობას შემდგომში სასამართლო სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების ნდობის საკითხთან მიმართებაში. „სახელმწიფოს ქმედება, რომელიც ზღუდავს პირის თავისუფლებას, ფლობდეს, სარგებლობდეს, განკარგავდეს საკუთარ ქონებას *a priori* განიხილება როგორც ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ საკუთრების კონსტიტუციურ უფლებაში და საჭიროებს სათანადო კონსტიტუციურ-სამართლებრივ გამართლებას.“¹⁸

შემოთ მოყვანილი მაგალითებით თვალსაჩინოა, რომ, შიდა ეროვნულ დონეზე ყადაღის განჩინების გასაჩივრება მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების დაცვის მიზნებისათვის, რაც შესაძლოა გარკვეულ პრობლემებს უკავშირდებოდეს საქართველოს მაგალითზე.

¹³ იქვე, para. 55.

¹⁴ იქვე, para. 56-61.

¹⁵ Silickiene v. Lithuania [2012] ECHR, App. No. 20496/02 para. 68-69.

¹⁶ იქვე, para. 48.

¹⁷ იქვე, para 48-50.

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-7.

პრობლემატური საკითხია სასამართლოს განჩინების დასაბუთებულობის ხარისხი, იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს განჩინება არის ბუნდოვანი და მასში შაბლონურად არის მითითებული საკანონმდებლო ნორმები, ასეთ შემთხვევაში ვერ მოხერხდება აპელანტის მიერ საკუთარი პოზიციის სწორად წარმოჩენა, სასამართლოს განჩინებაში სულ მცირე მითითებული უნდა იყოს ის ფაქტობრივი გარემოებები რის საფუძველზეც ასაბუთებს პროკურორი ყადაღის გამოყენების აუცილებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება, მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს აკისრია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდების მხარე ვალდებულია დაასაბუთოს სასამართლოში პირის ბრალეულობა და მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას, ამასთანავე, ვალდებულია დაასაბუთოს ყადაღის ღონისძიების აუცილებლობა. ყადაღის განჩინების გასაჩივრებისას აპელანტს თუკი არ აქვს წარდგენილი ბრალდება მას ეზღუდება საქმის მასალებზე წვდომა, ხოლო აპელანტი ვალდებულია საჩივარში ან შუამდგომლობაში იმსჯელოს იმ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით რომლის საფუძველზეც ბრალდების მხარემ მოითხოვა ყადაღის ღონისძიების გამოყენების ნებართვა. სხვა გზით ფაქტობრივად შეუძლებელია დაარწმუნოს მოსამართლე და გააბათილოს ბრალდების მხარის არგუმენტები, ვფიქრობ, ირლვევა შეჯიბრებითობის პრინციპი და მტკიცების ტვირთი აპელანტზე გადადის იმ მიზეზით, რომ მან უნდა იმართლოს თავი რაზედაც არ აქვს ინფორმაცია. ამ გადმოსახედიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში ბრალდების მხარე წარმოადგენს ძლიერ მხარეს და მტკიცების ტვირთი იცვლება ბრალდების მხარის სასარგებლოდ რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრინციპებს.

დაყადაღებული ან/და ჩამორთმეული ქონების მესაკუთრეს უნდა ენიჭებოდეს მხარის სტატუსი და იგი უნდა მონაწილეობდეს იმ სისხლის სამართლის წარმოებაში, რომლის ფარგლებშიც ღონისძიებები განხორციელდა.¹⁹

პრობლემატური საკითხის გადაჭრის გზა შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგ ნაირად, მოვახდინოთ კანონის ანალოგია, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁹ მუხლის მესამე ნაწილით პირს გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება, და განემარტება აღნიშნული განჩინების გასაჩივრების უფლება. იმ შემთხვევაში თუ პირს გადაეცემა განჩინება 143⁹ მუხლის ანალოგიურად და ის მასალები, რომლის საფუძველზეც სასამართლომ მიიღო ყადაღის დადების განჩინება დაცული იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრინციპები.

პრობლემა შეიძლება გადაიჭრას იმ გზითაც, რომ კანონმდებლობაში დაემატოს განჩინების შედგენის მინიმალური სტანდარტის მუხლი, რომელიც იქნება ანალოგი 206-ე მუხლის მეექვსე ნაწილისა, სადაც ყადაღის განჩინების გამოტანის დროს მოსამართლე ვალდებული იქნება აღწეროს პროკურორის შუამდგომლობის სამოტივაციო ნაწილი და შემდგომში დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მტკიცებულებებზე მითითებით, რაც გაზრდის გასაჩივრების მქონე პირის შესაძლებლობას სრულყოფილად ჩამოაყალიბოს საჩივარი.

¹⁹ Veits v. Estonia [2015] ECHR, App. No. 12951/11 para. 59.

4. ყადაღა როგორც იძულებითი ღონისძიება

სისხლის სამართლის საპროცესო იძულებითი ღონისძიების ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს პირის ქონებას, რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა, მისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელი პირის ან მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადაამალავენ ან დახარჯავენ ან ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.²⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ტერმინის იძულებითი ღონისძიების მნიშვნელობა არ არის წარმოდგენილი საკანონმდებლო დონეზე და მასზე არ არის დათმობილი კონკრეტული მუხლი, რათა შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრადი განმარტების დეფინირება, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საპროცესო იძულებითი ღონისძიების ტერმინთან დაკავშირებით იძლევა განმარტებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსაზღვრება „სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება,“ არ არის განუსაზღვრელი და ტერმინის ფარგლებში კონკრეტიზირებულია შინაარსი,²¹ საპროცესო ინსტრუმენტები, რომლებსაც, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შემზღუდავი ეფექტი გააჩნია და აკმაყოფილებს საპროცესო იძულების ღონისძიებებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას. სამართლებრივ დოქტრინაში იძულებით ღონისძიებად მოიაზრება პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის მონაწილეების მხრიდან დაკისრებული მოვალეობების ჯერონად შესრულების გარანტიის შექმნას. საპროცესო იძულებითი ღონისძიების გამოყენება ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციას გამოძიებისა და არსებითი განხილვის სტადიებზე.²² აქტივების ჩამორთმევა არა მხოლოდ სადამსჯელო მექანიზმის ფუნქციას ასრულებს, არამედ პრევენციული ღონისძიების ფუნქციაც აკისრია, რომელიც ხელს უშლის უკანონო ფინანსური ნაკადების დინებას და ხელს უწყობს უკანონოდ მითვისებული სახელმწიფო რესურსების აღდგენის შესაძლებლობას.²³ საპროცესო იძულებითი ღონისძიებების სახეებს წარმოადგენს საპროცესო ინსტიტუტები, როგორიცაა აღკვეთის ღონისძიებები, დაკავება, სასამართლოში პირის იძულებით მიყვანა, ქონებაზე ყადაღის დადება, პირის თანამდებობიდან გადაყენება, საპროცესო კონფისკაცია და სხვა.²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იძულებითი სახე გამოიხატება იმაში, რომ შესაძლოა ყადაღის დადება მოხდეს დანაშაულებრივი საქმიანობის აღსაკვეთად, ყადაღის ეფექტურად გამოყენება მნიშვნელოვანია რათა არ განადგურდეს მტკიცებულებები და ჩატარდეს ეფექტური გამოძიება.²⁵

²⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 151.

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, №2/1/631, პ.16.

²² იქვე, პ.20.

²³ *Khalid M. N., Fatimah S., The Legal Politics of Establishing the Asset Seizure Law: A New Strategic Paradigm for Combating Corruption and Economic Crimes in Indonesia*, Jurnal Ilmu Hukum Kyadiren, Vol. 6, No.2, 2025, 106.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, № 2/1/631, პ.21.

²⁵ *Hryniewicz-Lach E., Improving Asset Confiscation: in the Quest for Effective and Just Solutions*, ERA Forum, 2024, 238.

5. „საკმარისი მონაცემები“ ყადაღის გამოყენებისთვის

საპროცესო კოდექსში ყადაღის გამოყენების დროს მითითებული სიტყვა „მონაცემები“ საერთო სასამართლოების მიერ შექმნილი პრაქტიკით ცხადჰყოფს, რომ საკუთარ თავში მოი-
აზრებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.²⁶ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყადაღის
გამოყენების შემთხვევაში გვხვდება ტერმინი „საკმარისი მონაცემები“ ყადაღის გამოყენები-
სათვის, აღნიშნული ტერმინის განმარტება უპირობოდ უნდა მოხდეს როგორც დასაბუთებუ-
ლი ვარაუდის სტანდარტი. მნიშვნელოვანია, აღნიშნოს, რომ ქონების შესაძლო ჩამორთმევის
უზრუნველსაყოფად შესაძლებელია ყადაღა დაედოს პირის საბანკო ანგარიშებს, თუ არსე-
ბობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან ქონება დანაშაულებრივი
გზით არის მოპოვებული. საკმარისი მონაცემები დაკავშირებულია დასაბუთებულობასთან,
რომელიც ბრალდების მხარეს აკისრია, შესაბამისად, ბრალდების მხარემ უნდა მოაგროვოს
მტკიცებულებები, რომლებიც იქნება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით გამყარებული,
რაც კანონიერია. ტერმინი „საკმარისი მონაცემები“ თავის თავში შესაძლოა აღნიშნავს დასა-
ბუთებული ვარაუდის სტანდარტს, მიზანშეწონილია კანონმდებლობაში ტერმინი – „საკმარი-
სი მონაცემების“ ნაცვლად მივუთითოთ დასაბუთებული ვარაუდი. სამართალწარმოება სა-
ქართველოში არის დოკუმენტური, ამრიგად, აუცილებელია საპროცესო დოკუმენტაცია იმ-
გვარად იყოს დასაბუთებული, რომ იკვეთებოდეს სისხლის სამართლის საქმის ყველა მნიშ-
ვნელოვანი დეტალი, რომელიც ობიექტურ პირს დააკმაყოფილებდა გამოსაყენებელი ყადა-
ღის აუცილებლობაში და კანონმდებლობაში ახალი ტერმინის შემოტანა, რომელსაც არ აქვს
კონკრეტული განმარტება კანონმდებლის მიერ არ არის მისასალმებელი.

6. გამოძიების ხანგრძლივობა და ყადაღის გამოყენების ვადა

2022 წლის 23 სექტემბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი №1854-IXმს-Xმპ სა-
ქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რა
დროსაც მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ყადაღის მე-
ქანიზმის ძირეული შეცვლა. საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის საფუძველი გახ-
და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილე-
ბა №2/1/1434,1466 სარჩელებზე, საქმეზე ოთარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს
პარლამენტის წინააღმდეგ. დასახელებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილე-
ბა გახდა ყადაღის მექანიზმის შეცვლის საფუძველი, კოდექსში არსებულ რედაქციაში ტენმი-
ნები არაკონსტიტუციურად ცნო სასამართლომ. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ
მნიშვნელოვან ქვაკუთხედად გაზიარებული იყო გამოძიების ხანგრძლივობა და მხედველობა-
ში იქნა მიღებული იმ პირის კავშირი დანაშაულთან რომლის მიმართაც გამოყენებული იქნა
ყადაღა, რაც სრულიად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტან-
დარტებს ყადაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სარჩელში არსებული პრობლემების მიხედვით მოხდა ძირეული ცვლილებები, თუმცა,
მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, რჩება საკითხები, რომლებიც დამატებით მო-
წესრიგებას საჭიროებენ. საკუთრების უფლებაში ჩარევის ინტენსივობას ზრდის ის ფაქტი,

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, № 2/1/631,
პ.53.

რომ კანონის დონეზე არ არის რეგლამენტირებული საგამოძიებო ორგანოების ვალდებულება, ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ჩაატარონ ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ბრალდებული პირის გამოსავლენად.²⁷ არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რედაქციით, ქონებაზე ყადაღის დადება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც 12 თვის ვადით და შემდგომში მოხდეს არსებული ყადაღის მოქმედების ვადის გაგრძელება მაქსიმუმ 4 ეტაპად,²⁸ ასევე შესაძლებელია, ქონებაზე ყადაღის დადება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, იმ შემთხვევაში, თუ დაყადაღებულია ბრალდებულის და ქურდული სამყაროს წევრის ან რეკეტული დაჯგუფების წევრების ქონებები, ასევე დაყადაღებულია ბრალდებულის ქონებები. შესულ საკანონმდებლო ცვლილებაში სახელმწიფო ბრალმძებელს უფლება აქვს ქონებაზე ყადაღის დადების წინა ეტაპზე დადგენილი 12-თვიანი ვადის ამოწურვამდე, თუ „კვლავ არსებობს ქონებაზე ყადაღის დადების შესაბამისი საფუძველი“,²⁹ პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით შემდეგ ეტაპზე დადგენილი 12 თვის ვადით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული თუ რას ნიშნავს ცნებაში კვლავ არსებობს ქონებაზე ყადაღის დადების შესაბამისი საფუძველი. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება და პირის ბრალდებულად ცნობისთვის საჭირო მტკიცებულებების შეკრება შესაძლებელია ხანგრძლივი პერიოდით გაგრძელდეს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ქონებაზე ყადაღის მოქმედების გაგრძელების საჭიროება, რაც გამოიწვევს საკუთრების უფლების ინტენსიურ შეზღუდვას. შეზღუდვის ინტენსივობას ის ფაქტიც ზრდის, რომ არ არსებობს ქონებაზე ყადაღის დადების პერიოდული გადასინჯვის მექანიზმი და არც მხარეს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს ყადაღის მოხსნის თაობაზე.³⁰ მიზანშეწონილია, კანონში დაემატოს ნორმა, რომელიც დაარეგულირებს, თუ რა ვადაში უნდა მიმართოს პროკურორმა არსებული ყადაღის 12 თვის ვადით გაგრძელების მოთხოვნით, ასევე დაემატოს ნორმა, რომელიც ცალსახად განმარტავს 12 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ ყადაღის მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას. მიზანშეწონილია, დაემატოს ნორმაში პროკურორის შუამდგომლობის დასაბუთებულობის ნაწილი, რომ პროკურორმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს დაუსაბუთოს რა ახალი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე არის მიზანშეწონილი არსებული ყადაღის 12 თვის ვადით გაგრძელება. ამ საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მტკიცებითი სტანდარტის გაზრდა ბრალდების მხარისათვის, რაც გამოიწვევს საგამოძიებო მოქმედებების ინტენსივობის გაზრდას და შეამცირებს გამოძიების დროს.

იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლი აწესებს პრევენციულ ყადაღას, რომლის მიზანია გამოძიების მიზნებისთვის ყადაღის გამოყენება მტკიცებულებების შენარჩუნების მიზნით,³¹ აღსანიშნავია, რომ იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს მკაფიო ვადას საქართველოს სისხლის სამართლის

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 25.02.2022 წლის გადაწყვეტილება N2/1/1434,1466 სარჩელებზე, საქმეზე ოთარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.11.

²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009), მუხლი 158.

²⁹ იქვე. მუხლი 154; 1¹ ნაწილი.

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 25.02.2022 წლის გადაწყვეტილება N2/1/1434,1466 სარჩელებზე, საქმეზე ოთარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ.18.

³¹ Codice di Procedura Penale 22/09/199 – art.321.

თლის საპროცესო კოდექსის ანალოგიურად და ყადაღის მოქმედება შესაძლოა გაგრძელდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არის ანალოგიური ბრალდებულის მიმართ ყადაღის გამოყენებასთან მიმართებაში, თუ პირი ბრალდებულია მის მიმართ შესაძლოა გამოყენებული იქნეს ყადაღა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც საჭიროა გამოძიებისა და ქონების ჩამორთმევის მიზნებისთვის, ასეთ ყადაღას ეწოდება **Restraint Order**.³² ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ არის ბრალდება წარდგენილი და მიმდინარეობს გამოძიება შესაძლოა გამოყენებული იქნეს **Seizure/Detention order** რომელიც შესაძლოა მაქსიმუმ 2 წლის ვადით გაგრძელდეს.³³

7. გამოყენებული ყადაღის გადასინჯვის შესაძლებლობა

„ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს საკუთრების უფლებაში აშკარად ინტენსიურ ჩარევას, რადგან იგი ქონების მფლობელს ან მესაკუთრეს უკრძალავს ქონების განკარგვას, აუცილებლობის შემთხვევაში კი – აგრეთვე, ქონებით სარგებლობას. მესაკუთრემ შესაძლოა თვეების ან წელიწადზე მეტი დროის განმავლობაშიც კი ვერ ისარგებლოს ჯეროვნად კუთვნილი ქონებით.“³⁴ საქართველოს 2022 წლის 23 სექტემბრის კანონის მიღებამდე, ანუ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე, პრობლემური იყო ქონებაზე ყადაღის მოქმედების ვადის საკითხი. საკუთრების უფლების შეზღუდვის ინტენსივობას ზრდიდა ის ფაქტი, რომ ნორმა ფორმალურად მიუთითებდა დანაშაულის ხანდაზმულობის ვადებზე და არ ითვალისწინებდა ქონებაზე ყადაღის მოქმედების საჭიროების გადასინჯვის მექანიზმს.³⁵ საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ამავე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იხილავს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარს საქართველოს საერთო სასამართლობის მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე, საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ კომპანიის დირექტორი დირექტორი, ი. ქ. მოითხოვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების გადასინჯვასა და ამ ქონებაზე რეგისტრირებული ყადაღის გაუქმებას, რასაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს და რის გამოც, სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, განიხილოს მითითებული შუამდგომლობა.³⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, არ არის ყადაღის გამოყენების გადასინჯვის მექანიზმი გათვალისწინებული კოდექსით. აღსანიშნავია, რომ ქონებაზე ყადაღის გამოყენების გადასინჯვის შესაძლებლობა მხარეს ეძლევა მხოლოდ გასაჩივრების შემთხვევაში, ვინრო გა-

³² Proceeds of Crime Act POCA 2002 POCA 2002 (UK), art. 40–44.

³³ Proceeds of Crime Act POCA 2002 POCA 2002 (UK), art. 303L.

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 18.04.2016 წლის გადაწყვეტილება № 2/1/631 სარჩელზე, საქმეზე თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, - პ. 3.18.

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 25.02.2022 წლის გადაწყვეტილება № 2/1/1434,1466 სარჩელზე, საქმეზე ოთარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 8.

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება №38აგ-22 საქმეზე, პ. 4.

გებით და ასევე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები რჩება მოუწესრიგებელი და არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო დონეზე, მათ შორის განჩინების დასაბუთებულობა არ არის რეგლამენტირებული საკანონმდებლო დონეზე, რათა საჩივარში დასაბუთებული პოზიცია არგუმენტირებულად წარადგინოს მომჩივანმა. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლი³⁷ განმარტავს, რომ პირებს შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ იმ ბრძანებებისა და მითითებების წინააღმდეგ, რომლებიც მათზე მოქმედებს. მოცემული ნორმა იძლევა ობიექტური თვალსაზრისით ყადაღის არსებობის გადასინჯვის შესაძლებლობას, რადგან პირს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს გამოყენებული ყადაღა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინებაში მიუთითებს, რომ არ არ არსებობს ყადაღის გადასინჯვის შესაძლებლობა ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ყოველივეს, ყადაღის განჩინება შესაძლებელია მიღებული იქნეს 12 თვის ვადით, ხოლო ვადის გასვლის შემდგომ, თუ კვლავ მოპოვებული იქნება განჩინება არსებული ყადაღის 12 თვის ვადით გაგრძელების შესახებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გამოყენებული ყადაღის გასაჩივრება.

მიზანშეწონილია გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებული იქნეს მუხლი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება საჩივარი შეიტანონ პირებმა იმ განჩინების წინააღმდეგ, რომლებიც მათზე მოქმედებს, რაზედაც შესაძლებელია იყოს დასაშვებობის ეტაპი და შემდგომში საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში მისი ზეპირი მოსმენით ან მოსმენის გარეშე დასაბუთებული განჩინების გამოტანა.

8. ქონებაზე ყადაღის დადების „შესაბამისი საფუძველი“ შემდეგ ეტაპზე დადგენილი 12 თვის ვადით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, „ამ კოდექსის 158-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ქონებაზე ყადაღის დადების წინა ეტაპზე დადგენილი 12-თვიანი ვადის ამოწურვამდე, თუ კვლავ არსებობს ქონებაზე ყადაღის დადების შესაბამისი საფუძველი, ბრალდების მხარე უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით შემდეგ ეტაპზე დადგენილი 12 თვის ვადით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.“³⁸ გადაწყვეტილება ქონების დაყადაღებისა თუ ჩამორთმევის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული – მასში ამომწურავად უნდა მიეთითოს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველები და ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.³⁹

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მითითებული ტერმინი „შესაბამისი საფუძველი“ არის შედარებით ბუნდოვანი და იძლევა საკითხის ორმხრივი განმარტების შესაძლებლობას, მაგალითად კოდექსში არ არის მითითებული რას ნიშნავს „შესაბამისი საფუძველი“ არ არის განმარტება გაკეთებული თუ შეიძლება ერთი და იგივე საფუძველით ყადაღის დადება და შემდგომში მისი 12 თვის ვადით გაგრძელება. ნორმები იმგვარად

³⁷ Reichsstrafprozessordnung (1887) art. 304.

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009) მუხლი 154, ნაწილის 1¹.

³⁹ ცხვედია თ., კვაჭანტირაძე დ., ნოსელიძე ა., საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, 2019, 15.

უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ არ შეიძლებოდეს მისი ორმხრივი განმარტება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი დარღვევები. დასახელებული საკითხი მნიშვნელოვანია დასაბუთებულობის ნაწილში, რადგან 12 თვის გასვლის შემდგომ, შესაბამისი შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, პირმა, ვის მიმართაც გამოყენებულია ყადაღა, თავად განსაზღვროს ერთი და იმავე საფუძვლით ხორციელდება ყადაღის დადება, თუ არსებობს სხვა საფუძველიც. ტერმინი თავისი არსით არის ბუნდოვანი და მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რომ ერთი და იმავე მტკიცებულებების საფუძველზე ყადაღის გამოყენება არ შეიძლება, აღნიშნულით თავიდან იქნება აცილებული შესაძლო დარღვევები და დაცული იქნება საზოგადოებრივი ინტერესები.

პრობლემის გადაჭრისთვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ნორმაში მითითებული იყოს, რომ ყოველ მომდევნო ჯერზე 12 თვის ვადით ყადაღის გაგრძელების მოთხოვნის შუამდგომლობაში ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს რა ახალი მტკიცებულებების საფუძველზე ხორციელდება ყადაღის გამოყენება, ერთი და იმავე საფუძვლით მოქმედი ყადაღის 12 თვის ვადით გაგრძელება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული შესაძლო რისკები, ამრიგად ბრალდების მხარე ვალდებული იქნება ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები შემჭიდროებულ ვადებში და შექმნას მაღალი მტკიცებულებითი სტანდარტი.

საკანონმდებლო დონეზე არ არის მოწესრიგებული 12 თვის ვადით ყადაღის გაგრძელების შემთხვევაში რა ვალდებულებები აკისრია ბრალდების მხარეს, მაგალითად, არ არის საკანონმდებლო დონეზე ასახული ყადაღის დადების ოქმის შედგენის ვალდებულება, ერთი მხრივ, აზრს მოკლებულია ყადაღის ოქმის შედგენა, რადგან ხდება უკვე არსებული ყადაღის ვადის გაგრძელება, რაც უკვე ცნობილია პირისათვის, ვის მიმართაც გავრცელდა ყადაღა, ხოლო მეორე მხრივ, არის პირის გასაჩივრების უფლება, არსებობს ზოგადი საკანონმდებლო ჩანაწერი, რომ ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში, ბრალდების მხარეს წარმოეშობა ყადაღის ოქმის შედგენის ვალდებულება. საკითხი დამატებით საჭიროებს მოწესრიგებას, რათა მხარეებს ჰქონდეთ კანონის ფარგლებში მოსალოდნელი ღონისძიებების შესახებ მოლოდინი.

საკითხის გადაჭრისთვის მნიშვნელოვანია დაემატოს კანონმდებლობას მუხლები, რომელიც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგ ნაირად, შემდეგ ეტაპზე ყადაღის დადების 12 თვის ვადით გაგრძელების განჩინების მიღებისას, გონივრულ ვადაში ჩაბარდეს განჩინება გასაჩივრების უფლების მქონე პირს და დაევალოს ბრალდების მხარეს შედგეს ყადაღის ოქმი.

9. ყადაღის განჩინების გასაჩივრება თუ მისი ვიწრო გაგებით გადასინჯვა

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2018 წელს გამოქვეყნდა ანგარიში შესაბამისი რეკომენდაციებით, მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოკვლეულ სისხლის სამართლის საქმეში გამოიკვეთა გარემოებები, რომ ქონებას 13 და 11 წლის განმავლობაში, ყადაღა, კერძოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 22 ნოემბრის ბრძანებით ყადაღა დაედო 240 მოქალაქის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებს, რომლებთან გამოძიების პროცესში ყადაღა მოეხსნა მხოლოდ 51 უძრავ ქონებას, ხოლო დარჩენილი უძრავი ქონება კვლავ ყადაღადადებული იყო; მეორე შემთხვევაში საქართველოს მოქალაქის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 მაისის ბრძანებით ყადაღა დაედო მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების

შენწყვეტამდე. სახალხო დამცველი ანგარიშში მიუთითებს, რომ ყადაღის დადების განჩინება მისი გადაცემიდან 48 საათში ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. მართალია, ყადაღის შუამდგომლობის ინიციატორი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია სასამართლოს განჩინებით ქონებაზე ყადაღის მოხსნა, თუ გამოძიების მიმდინარეობისას დადგინდება, რომ ყადაღის გამოყენების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები და მიზნები აღარ არსებობს, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა გამოძიების ეტაპზე ყადაღის დადების განჩინების ლეგიტიმურობის სასამართლოს მიერ პერიოდულ კონტროლს არ ითვალისწინებს, ასევე, არ არსებობს შესაძლებლობა, რომ ყადაღის საფუძვლიანობა გარკვეული პერიოდულობით შემოწმდეს იმ პირის შუამდგომლობის საფუძველზე, ვისი საკუთრების უფლებაც იზღუდება. სახალხო დამცველის აპარატი პრობლემატურად წარმოსახავს გამოძიების ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად ყადაღის გამოყენების გაგრძელებას, ან ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე მისი არაპროპორციულად დიდი ხნის ვადით შენარჩუნებას.⁴⁰

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში შეიზღუდა კანონის მოქმედების ვადა, რაც შეესაბამება ევრო სასამართლოს და საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა ამ დრომდე არ არის კანონში პირის მიერ ყადაღის გადასინჯვის შესაძლებლობა.

10. ყადაღის ხანგრძლივობის მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება არსებობს, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებასთან მიმართებაში. სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი და დემოკრატიულ სახელმწიფოში, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს „ინერტულობა“, გასატარებელი სამართლებრივი ღონისძიებების კონტექსტში, გამოიწვევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეექვსე მუხლის დარღვევას.⁴¹ ქონების ჩამორთმევის მიზანს ლეგიტიმურად მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, ბრალდებულისთვის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა არ არის დარღვევა.⁴² წარმოების ხანგრძლივობის „გონივრულობა“ ფასდება საქმის სირთულის მიხედვით, განმცხადებლისა და სახელმწიფო დაწესებულებების მოქმედებით დავის მნიშვნელობით განცხადებისათვის.⁴³ სუბიექტური შეხედულებით, არ უნდა იქნეს გამოყენებული ყადაღა იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმეზე არ მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები გამოძიების დასრულების მიზნით, თუკი სისხლის სამართლის საქმეს არ აქვს რეალური პერსპექტივა, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული ყადაღა შესაძლოა წარმოადგენდეს დარღვევას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიზნებთან მიმართებაში, რადგან ასეთ შემთხვევაში ხდება საკუთრების უფლების შეზღუდვა, თუმცა არ ხდება შესაბამისი ღონისძიებების გატარება საქმის დასრულების პერსპექტივით. „იმ შემთხვევებში, როდესაც გარემოებები აშკარად მიუთითებენ სახელმწიფოს მხრიდან წარმოების გაჭიანურებაზე, ევროპული სასამართლოსათვის საკმარისია მხოლოდ წარმოების ხან-

⁴⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2018, 281.

⁴¹ Scollo v. Italy [1995] ECHR, App. No. 19133/91, para. 44.

⁴² ფარულავა გ., ქონებაზე ყადაღის დადების ხანგრძლივობა საკუთრების უფლების კონსტიტუციურობის ჭრილში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 2021, N4, 25.

⁴³ Cocchiarella v. Italy[2006] ECHR, App. No. 64886/01, para.68;

გრძლივობის ფაქტი იმისათვის, რომ დაადგინოს კონვენციის ნორმების დარღვევა⁴⁴. „რაც მეტი დროის განმავლობაში მოქმედებს ყადაღის ღონისძიება, მით მეტია გავლენა პირის საკუთრების უფლებაზე“⁴⁵. სტრასბურგის სასამართლო შეისწავლის რამდენად არ არის ქონებაზე ყადაღის დადება პროპორციული და ერთადერთი გზა გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად, ასევე განიხილავს, თუ არსებობს საშუალება უფრო მსუბუქი მექანიზმის გამოყენებით მიღწეული იქნას მიზანი. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს გამოძიების მიმდინარეობისას რა ინტენსივობით ტარდება საგამოძიებო მოქმედებები, თუკი არ ტარდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები, სასამართლო უპირობოდ დაადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმით გათვალისწინებული უფლების დარღვევას.⁴⁶

ყადაღის სუბიექტის მხარედ ჩართვა მნიშვნელოვანია, რადგან მას ექნება შესაძლებლობა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ყადაღის გამოყენება, რაც იქნება მათ შორის გამოძიების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების კონტროლის მექანიზმი, რადგან საგამოძიებო ორგანო შეეცდება მოკლე ვადაში ჩაატაროს გამოძიება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებაში.

11. კრიპტო ვალუტის დაყადაღება

კრიპტო ვალუტა XXI საუკუნის თანამედროვე გამოწვევაა, ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავეთა სამყარო მას ანგარიშსწორებისთვისაც იყენებს. ინტერნეტ სივრცეში შევხვედრილვართ ბანერს, სადაც ტერორისტული ორგანიზაციის სახელით მოთხოვნილია დაფინანსება, ხოლო მსურველი პირისათვის კი მითითებულია კრიპტო ვალუტის საფულის მისამართი ტერორისტული ორგანიზაციის დაფინანსებისათვის. მაღალი ონლაინ აქტივობა დამნაშავეებს საშუალებას აძლევს დანაშაული ახალი გზით ჩაიდინონ, რაც კიბერდანაშაულის სახელით არის ცნობილი.⁴⁷ გამომძიებლებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს საეჭვო ანგარიშების დაყადაღების მიზნით, თუმცა, კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული გამოძიების დროს, საეჭვო ანგარიშის დაყადაღება რთულია, რადგან კრიპტოვალუტა ძირითადად დეცენტრალიზებულია⁴⁸ და არ არის დაკავშირებული არცერთ ფინანსურ ინსტიტუტთან. მეტიც, ფიზიკური ფიატ ვალუტისა და ოქროსგან განსხვავებით, კრიპტოვალუტა არ არსებობს ფიზიკური სახით, რომლის ჩამორთმევა და საცავში გადატანა იქნებოდა შესაძლებელი.⁴⁹ კრიპტო ვალუტა დამოკიდებულია ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, blockchain „ბოლოკჩეინ“ ინფრასტრუქტურაზე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დეცენტრალიზე-

⁴⁴ ცხვედია თ., კვაჭანტირაძე დ., ნოსელიძე ა., საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, 2019, 30.

⁴⁵ იქვე, 30.

⁴⁶ იქვე, 30-31.

⁴⁷ Sarkki P.A.H., Van 't Hoff-de Goede M.S., Van Leuken M.A.G., Van de Weijer S.G.A., Leukfeldt E.R., Fear of Cybercrime Victimization: Examining the Relationship Between Fear and Victimization, Journal of Criminal Justice, Article 102531, 2025, 1.

⁴⁸ Giudici G., Milne A., Vinogradov D., Cryptocurrencies: Market Analysis and Perspectives, Journal of Industrial and Business Economics. Springer International Publishing, 2019, 14.

⁴⁹ Taylor S., Ho-yong Kim S., Ariffin K. A. Z., Abdullah S. N. H. S., A comprehensive forensic preservation methodology for crypto wallets, Forensic Science International: Digital Investigation, 2022, 1.

ბული გადარიცხვა, რომელიც დაკავშირებულია ანონიმურობასთან და დანაშაულის ჩადენის ახალ შესაძლებლობას იძლევა,⁵⁰ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის და გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების“, (FATF-ის) რეკომენდაციების გამოყენების მიზნებისათვის, ქვეყნებმა ვირტუალური აქტივები უნდა განიხილონ, როგორც „ქონება“, „შემოსავლები“, „სახსრები“, „სახსრები ან სხვა აქტივები“ ან სხვა „შესაბამისი“ ღირებულებები. სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები ვირტუალური აქტივის მიმწოდებელი პროვაიდერების მიმართ, „Virtual asste service provider“ (VASP).⁵¹ ქვეყნებმა უნდა მოითხოვონ VASP-ებისგან, რომ გამოავლინონ, შეაფასონ და მიიღონ ეფექტური ზომები მათი ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და გავრცელების დაფინანსების რისკების შესამცირებლად.⁵² სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ VASP-ების კონტროლი ლიცენზიების და ნებართვების მიღების კუთხით და დაავალდებულონ ისინი გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან აცილების მიზნით.⁵³ საქართველოს კანონმდებლობა დროთა განმავლობაში ახორციელებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის შესაბამის რეკომენდაციის და VASP-ის მიმართ შექმნილია მთელი რიგი რეგულაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე და დაქვემდებარებულია ნებართვას/ლიცენზიას. 2025 წლის მდგომარეობით არსებობს 24 VASP, რომელთაგანაც შესაძლებელია განხორციელდეს კრიპტო ვალუტის დაყადაღება შესაბამისი განჩინების საფუძველზე. შესაძლებელია კრიპტო ვალუტის მიმართ ჩადენილ იქნას რამდენიმე სახის დანაშაული, კერძოდ მოპარული იყოს კრიპტო ვალუტა როგორც ფიზიკური სახით, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს კრიპტო თაღლითობა, მაგალითად საინვესტიციო თაღლითობა.⁵⁴ კრიპტო ვალუტის ფიზიკური სახით მოპარვა ნიშნავს, ცივი საფულის, ledger-ის და მისი აღმდგენი კოდების მოპარვას და მასზე არსებული კრიპტო ვალუტის დაუფლებას, ხოლო საინვესტიციო თაღლითობის დროს ხდება მოტყუება პირის და კრუპტო ვალუტის, როგორც მატერიალური აქტივის დაუფლება.

კრიპტო ვალუტის დეცენტრალიზებული სისტემა წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს, ქონების ჩამორთმევიდან გამომდინარე. საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა მოიქცეს საგამოძიებო ორგანო იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩენს ცივ საფულეს, რომელსაც აქვს გამხსენლი კოდები. შესაძლებელია განიმარტოს, რომ ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე გამოთხოვილ იქნას მონაცემებიდან ინფორმაცია, არსებობს თუ არა მასში კრიპტოვალუტა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება მასზე ბალანსი, შემდგომში განხორციელდეს მისი დაყადაღება და ამოღება. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სიახლესთან, რაც თანამედროვე გამოწვევაა ქართულ რეალობაში, არ უნდა მოხდეს საგამოძიებო მოქმედებების ხელოვნურად ჩატარება და აღნიშნულისთვის მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს კანონმდებლობა ამ ნაწილში. რაც შეეხება სავაჭრო პლატფორმაზე არსებული კრიპტო ვალუტის დაყადაღებას, აღნიშნულთან დაკავშირებით მარტივია გასატარებელი ღონისძიებები. მაგალითისათვის ავიღოთ სავაჭრო პლატფორმა „Coinbase“, აღნიშნული სავაჭ-

⁵⁰ Allen D. W E, Lane A. M., *Crypto Crime as Technology Entrepreneurship*, 2024, 3.

⁵¹ International Standards on Combating Money Laundering and the Financing of Terrorism & Proliferations Updated 2023, 76.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე, 77.

⁵⁴ Allen D. W E, Lane A. M., *Crypto Crime as Technology Entrepreneurship*, 2024, 6.

რო პლატფორმის ოფიციალურ ვებ გვერდზე ვხვდებით, რომ სასამართლოს განჩინების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს პიროვნების არსებული კრიპტო ვალუტის დაყადაღება – „freeze”,⁵⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია აღებულ იქნას საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სასამართლოს განჩინება, რომლის ფარგლებშიც დაყადაღდება კონკრეტული პიროვნების ანგარიშები. აღსანიშნავია, რომ დასახელებული სავაჭრო პლატფორმა არ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და სწორედ ამიტომ ხორციელდება საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ყადაღის გამოყენება, ამასთანავე სავაჭრო პლატფორმას აქვს მოთხოვნა, რომ დასაბუთების ფარგლებში უნდა იქნეს მითითებული თუ რატომ ხორციელდება კონკრეტული საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედება ამ ქვეყნიდან, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, უნდა იქნას მითითებული, რომ შუამდგომლობის გამგზავნი ქვეყნიდან არის ჩადენილი დანაშაული, ან დაზარალებულია შუამდგომლობის გამგზავნი სახელმწიფოს მოქალაქე. სავაჭრო პლატფორმა მოითხოვს დასაბუთებულობის მაღალ ხარისხს. ამასთანავე, შესაძლებელია სავაჭრო პლატფორმა **Binance**-ზე ყადაღის გავრცელება. ინტერნეტ სივრცეში ვკითხულობთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავები წარადგენენ შესაბამის სასამართლოს გადაწყვეტილებას ყადაღის გამოყენების შესახებ, პლატფორმა ვალდებული იქნება შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება და „გაყინოს“ ანგარიშები.⁵⁶ საბოლოო ჯამში შეიძლება შევჯერდეთ შემდეგნაირად, კერძოდ, არსებობს ცენტრალიზებული სავაჭრო პლატფორმები, რომლებიც თანამშრომლობენ საგამოძიებო ორგანოებთან, რომლებიც აწვდიან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას გამოძიებას. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არის ტერმინი კრიპტო ვალუტა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კრიპტო ვალუტა წარმოადგენს მატერიალურ სიკეთეს, რომელსაც აქვს ექვივალენტი დოლარში, იგი წარმოადგენს მატერიალურ სიკეთეს და მიზანშეწონილია მისი დაყადაღება.

იმ შემთხვევაში, თუ კრიპტო ვალუტის მოძიება ვერ ხერხდება, მაგალითად გამოყენებულია ცივი საფულე, საქმე რასაკვირველია რთულადაა. ამისათვის, მნიშვნელოვანია გატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები კრიპტო ვალუტის კვალის მიდევნების კუთხით. ამასთანავე, აღნიშნულ საკითხში მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ვალუტის ჯიხურებს, რომლებიც უნებართვოდ და ულიცენზიოდ ახორციელებენ კრიპტო ვალუტის ნადვილ ფულში გადაცვლას, რაც ართულებს არსებულ სიტუაციას.

12. დასკვნა

ყადაღის ღონისძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მნიშვნელოვან იძულებითი ღონისძიების ინსტიტუტს წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების თანამედროვეს, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს კრიპტო ვალუტის დაყადაღებასთან დაკავშირებულ შესაბამის ნორმებს და მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო ბაზა და მის საფუძველზე სანიმუშო პრაქტიკა, რათა პროცესის მონაწილე-

⁵⁵ იხ. <<https://help.coinbase.com/en/coinbase/other-topics/other/does-coinbase-freeze-accounts?contactusbanner=false#buying-and-selling-restrictions>> [02.09.2025].

⁵⁶ იხ. <<https://www.binance.com/en/square/post/18420338108202>>[02.09.2025].

ებს ჰქონდეთ გონივრული მოლოდინები საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელების ჭრილში, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას. მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ ყადაღის გამოყენების შემთხვევაში სასამართლოს აკისრია მნიშვნელოვანი როლი, დაასაბუთოს მისი გადაწყვეტილება, ყადაღის განჩინების ფორმალური დასაბუთება შესაძლოა აღმოჩნდეს ადამიანის უფლებების დარღვევის წინაპირობა, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც აპელანტი შეზღუდულია კანონით გათვალისწინებულ 48-საათიან ვადაში და არ აქვს შესაძლებლობა შემდგომში ახლად გამოვლენილი გარემოებების ფარგლებში მოითხოვოს გამოყენებული ყადაღის გადასინჯვა. შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნეს ცვლილება, რომელიც მისცემს აპელანტს შესაძლებლობას შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს ყადაღის მოხსნის მოთხოვნით ასეთი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში. მიზანშეწონილია, კანონმდებლობაში განისაზღვროს მკაფიოდ ყადაღის 12 თვის ვადით გაგრძელების შემთხვევაში ბრალდების მხარის მტკიცების ტვირთი, რათა კანონმდებლობა არ იყოს ბუნდოვანი და არ იძლეოდეს ნორმის ორმხრივად განმარტების შესაძლებლობა, ასევე მიზანშეწონილია ყადაღის განჩინების გასაჩივრების მქონე პირი ჩაერთოს მხარედ პროცესში, რაც ხელს შეუწყობს გამოძიების ეფექტურად წარმართვას და შეზღუდვას საგამოძიებო მოქმედებების ვადებს, ასევე პროცესი წარმართული იქნება ეფექტურად.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 03/11/2009.
3. ცხვედია თ., კვაჭანტირაძე დ., ნოსელიძე ა., საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში, 2019, 8, 15, 30.
4. ფარულავა გ., ქონებაზე ყადაღის დადების ხანგრძლივობა საკუთრების უფლების კონსტიტუციურობის ჭრილში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 2021, №4, 25.
5. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2018, 281.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება № 38აგ-22 საქმეზე.
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება № 2/1/1434,1466 სარჩელებზე, საქმეზე ოთარ მარშავა და მიხეილ ნოზაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/1/631 სარჩელზე, საქმეზე თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
10. Universal Declaration of Human Rights, 10/12/1948.
11. Reichsstrafprozessordnung 01/02/1887.
12. Codice di Procedura Penale 22/09/199.
13. Proceeds of Crime Act POCA 2002 (UK).
14. The United Nations Convention against Transnational Organized Crime, 15/11/2000

15. International Standards on Combating Money Laundering and the Financing of Terrorism & Proliferations Updated 2023, 76.
16. Sarkki P.A.H., Van 't Hoff-de Goede M.S., Van Leuken M.A.G., Van de Weijer S.G.A., Leukfeldt E.R., Fear of Cybercrime Victimization: Examining the Relationship Between Fear and Victimization, Journal of Criminal Justice, Article 102531, 2025, 1.
17. McClean D., Transnational Organized Crime: A Commentary on the UN Convention and its Protocols, Oxford University Press, 1 st ed., 2007, 144.
18. Lagidze E., Seizure and Confiscation as an Effective Means of Combating Transnational Organized crime, law and world, 2023, 148.
19. Khaliq M. N., Fatimah S., The Legal Politics of Establishing the Asset Seizure Law: A New Strategic Paradigm for Combating Corruption and Economic Crimes in Indonesia, Jurnal Ilmu Hukum Kyadiren, vol. 6, No.2, 2025, 106.
20. Golay Dr. C., Cismas I., Legal Opinion: The Right to Property from a Human Rights Perspective, 2010, 28.
21. Allen D. W E, Lane A. M., Crypto Crime as Technology Entrepreneurship, 2024, 3, 6.
22. Grgic A., Mataga Z., Longar M. and Vilfan A., The Right to Property Under the European Convention on Human Rights, A Guide to the Implementation of the European Convention on Human Rights and its Protocols, Human Rights Handbooks, No. 10, Council of Europe, 2007, 10-11.
23. Hryniewicz-Lach E., Improving Asset Confiscation: in the Quest for Effective and Just Solutions, ERA Forum, 2024, 238.
24. Giudici G., Milne A., Vinogradov D., Cryptocurrencies: Market Analysis and Perspectives, Journal of Industrial and Business Economics. Springer International Publishing, 2019, 14.
25. Taylor S., Ho-yong Kim S., Ariffin K. A. Z., Abdullah S. N. H. S., A comprehensive forensic preservation methodology for crypto wallets, Forensic Science International: Digital Investigation, 2022, 1.
26. Veits v. Estonia [2015] ECHR, App. No. 12951/11.
27. Ünsped Paket Servisi San. VE TİC. A.Ş. v. Bulgaria [2015] ECHR, App. No. 3503/08.
28. Silickiene v. Lithuania, [2012] ECHR, App. No. 20496/02.
29. Denisova AND Moiseyeva v. Russia, [2010] ECHR, App. No. 16903/03.
30. Cocchioarella v. Italy [2006] ECHR, App. No. 64886/01.
31. Yildirim v. Italy [2003] ECHR, App. No. 38602/02.
32. Iatridis v. Greece [1999], ECHR, App. No. 31107/96.
33. Sscollo v. Italy [1995] ECHR, App. No. 19133/91.
34. Agosi v. The United Kingdom [1986] ECHR, App. No. 9118/80.
35. Sporrang and Lönnroth v. Sweden, [1982] ECHR, App. Nos. 7151/25, 7152/75.
36. <<https://help.coinbase.com/en/coinbase/other-topics/other/does-coinbase-freeze-accounts?contactusbanner=false#buying-and-selling-restrictions>> [02.09.2025].
37. <<https://www.binance.com/en/square/post/18420338108202>> [02.09.2025].

ლევან ძნელაძე*

ფულის გათეთრება, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების კონფისკაციის შემაჯარებელი ფაქტორი

21-ე საუკუნეში ფულის გათეთრების პრობლემატიკამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ქონების კონფისკაციის შეფერხებასთან და ხშირ შემთხვევაში, შეუძლებლობასთან. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის კვლევა მეცნიერულ დონეზე ცალსახად აქტუალური და მნიშვნელოვანია.

წარმოდგენილი სტატია ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურის, კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.

ნაშრომის მიზანია ფულის გათეთრების და მასთან დაკავშირებული ქონების კონფისკაციის პრობლემატიკის მართებული გააზრების ხელშეწყობა და პრაქტიკაში დღეს არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება.

საკვანძო სიტყვები: ფულის გათეთრება, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, ქონების კონფისკაცია, ქონების ჩამორთმევა, ქონების კონფისკაციის პრობლემატიკა.

1. შესავალი

„ორგანიზებული დანაშაულობა XX საუკუნის დანაშაულობათა ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს ხელყოფს.“¹

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, კრიმინალური სამყარო აქტიურად იწყებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) გზების ძიებას, რომლის მიზანია დანაშაულებრივი ქონების იმგვარი გარდაქმნა, რომ კრიმინალური წარმომავლობის მქონე შემოსავალმა მიიღოს კანონიერი, ლეგალური სახე. „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ ინფორმაციით, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მსოფლიო ეკონომიკის ექვსიდან რვა პროცენტს უტოლდება.²

თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები, ბიზნესსაქმიანობის ცალკეულ მოქმედებათა გაციფრულება, ვირტუალური ფულის (აქტივის) მზარდი გამოყენება, უკანონო (დანაშაულებრივ) შემოსავალს წამიერად უცვლის, როგორც სახესა და ფორმას, ისე გეოგრაფიულ მდებარეობას, რასაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ახალი მეთოდებიც უწყობს ხელს.

„იურიდიულ ლიტერატურაში ფულის გათეთრებად მიიჩნევენ არალეგალურად (ნარკოტიკებით ვაჭრობა, იარაღით ვაჭრობა, გადასახადების დამალვა და სხვა.) მოპოვებული ქონების გადასვლას ლეგალურ საფინანსო-ეკონომიკურ მიმოქცევაში.“³

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების დოქტორანტი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი.

¹ ლლონტი გ. (რედ.), კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბ., 2008, 176.

² Shelley, L., Transnational organized crime and seized assets: moral dilemmas concerning the disposition of the fruits of crime, 7 Maastricht J. Eur. & Comp., 2000, 35.

³ გოგშელიძე ზ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, თბ., 2023, 43. <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Zurab_Gogshelidze.pdf>[14.06.2025].

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ფულის გათეთრების, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების კონფისკაციის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორის და ამავდროულად გავრცელებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის გააზრებასა და საერთო სასამართლოების უახლესი პრაქტიკის განხილვას.

2. ფულის გათეთრების ცნება და მნიშვნელობა

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია იმ სახის ტრანსნაციონალური დანაშაულია, რომელთან დაკავშირებითაც ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს“.

„ექსპერტების ვარაუდით, თანამედროვე გაგებით, ფულის გარეცხვის ისტორია იწყება 1920-იანი წლებიდან, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრალი კანონის ამოქმედებით მკვეთრად გაიზარდა ორგანიზებული დამნაშავეობა. სახელდობრ, აშშ-ის ე.წ. „მშრალი კანონი“ კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების თავისუფალ ბრუნვას, რამაც სათავე დაუდო ალკოჰოლის მასობრივ კონტრაბანდას (ბუთლეგერობა). ამგვარი საქმიანობით მიღებული ფული იდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით სამრეცხაოების განვითარებაში, რომელთა ანგარიშებიდან მიღებული შემოსავალი უკვე ლეგალურად გამოიყურებოდა.“⁴

„უკანონო შემოსავლის მიღების წყარო შეიძლება იყოს ნარკოტიკებით ვაჭრობა, სათამაშო და პორნობიზნესი, მექრთამეობა, უკანონო სამეწარმეო და სხვა არალეგალური საქმიანობა, რომლიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციასაც, ანუ კანონიერი სახის მიცემას ცდილობენ დამნაშავეები.“⁵ ფულის გათეთრების „კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის და უპირველეს ყოვლისა, ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვას დიდი მოცულობის არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოსვლისაგან, ამას მოითხოვს აგრეთვე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინტერესები.“⁶

„ფულის გათეთრების პრობლემა არის ფართო და კომპლექსური. ფულის გათეთრება ყოველთვის კავშირშია დანაშაულებრივ ქონებასთან. დანაშაულებრივი ქონება გროვდება სხვადასხვა წყაროებიდან, წარმოიშობა სხვადასხვა ტიპის დანაშაულებრივი საქმიანობიდან, როგორიცაა – ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), თაღლითობა, კორუფცია და კიდევ ბევრი ანგარებითი დანაშაული. დანაშაულებრივი ქონების წარმოშობის წყაროს განსხვავებულობა და პრედიკატული დანაშაულების სიმრავლე ქმნის საკვანძო კონცეპტუალურ და პრაქტიკულ გამოწვევებს.“⁷

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა, ორგანიზებული დანაშაულის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია.“⁸

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ევროპის კავშირის 2021-2025 წწ. სტრატეგიაში მითითებულია, – „ორგანიზებული დანაშაული, რომელიც, თავისი აქტივობების ჩრდილო-

⁴ ნაჭყებია გ. (რედ.), ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, 719-720.

⁵ გვენეტაძე ნ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბ., 2000, 24.

⁶ ტყეშელაძე გ., (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ნიგნი I), თბ., 2006, 366.

⁷ Button M., Hock B., Shepherd D., Economic Crime, London and New York, 2022, 163.

⁸ თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.), ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 805.

ვანი ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის შეუმჩნეველია, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ევროპის მოქალაქეებს, ბიზნესს, სახელმწიფო ინსტიტუტებს, ასევე მთლიანობაში ევროპის ეკონომიკას“.⁹

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, – „ორგანიზებული დანაშაული, ტრანსნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ორგანიზებული დანაშაული ხელყოფს საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს, აფერხებს ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას, ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის პრინციპებს და საფრთხეს უქმნის ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას“.¹⁰

ეროვნული სტრატეგია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, მისი ტრანსნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განიხილავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამოქალაქო და სეპარატული ომების პერიოდში, ამ მოვლენამ, საქართველოში, როგორც ნარკოტრანზიტისათვის ხელსაყრელ რეგიონში, განსაკუთრებით საშიში ფორმები მიიღო და ტრეფიკინგი (ადამიანებით ვაჭრობა), ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.¹¹

ფულის გათეთრების, როგორც ერთ-ერთი საკვანძო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მრავალი წელია ქართული სახელმწიფოს უცვლელი პრიორიტეტია, რაც აისახა, როგორც საკანონმდებლო, ისე შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია, 2014 წლიდან დღემდე, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, – ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია (2014-2017 წწ.),¹² ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023-2026 წლების ეროვნული სტრატეგია,¹³ მთავრობის განკარგულება საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე¹⁴.

⁹ The EU Strategy to tackle Organised Crime 2021-2025, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52021DC0170&qid=1632306192409>>, [03.08.2025].

¹⁰ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია, 2, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0>> [03.08.2025].

¹¹ *Ciklauri-Lammich E., Menschenraub, ein blühendes Gewerbe in der Kaukasusregion, Monatshefte für Osteuropäisches Recht, Hrsg. Dr. Günter Tontsch, Hamburg 2000, 2-9.*

¹² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №236 დადგენილება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284180?publication=0>> [04.06.2025].

¹³ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 04 აპრილის №135 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023 – 2026 წლების ეროვნული სტრატეგიისა“ და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2023 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5772532?publication=0>> [04.06.2025].

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 04 ივნისის №813 განკარგულება „საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

3. ფულის გათეთრება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობაში

„საქართველოში ფულის გათეთრება კრიმინალიზებული იქნა 1996 წლის 29 ოქტომბერს (წინამორბედი სსკ-ის 165¹-ე მუხლი, არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულადი სახსრების ლეგალიზება),¹⁵ რომლითაც იკრძალებოდა „არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულადი სახსრებით ან ქონებით საფინანსო ოპერაციების ჩატარება, ან ასეთი სახსრების ან ქონების გამოყენება ლეგალური სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის“.¹⁶

1999 წლის 22 ივლისს, მიღებული იქნა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც შემოგვთავაზა ფულის გათეთრების განახლებული დისპოზიცია, – „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის ანდა ქონებრივი უფლების დამალვა“¹⁷.

„თავდაპირველად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დასჯადობა მხოლოდ ერთი, 194-ე მუხლით განისაზღვრებოდა, ხოლო 2008 წლის 19 მარტს სსკ-ს დაემატა 194¹ მუხლი.“¹⁸

დღემდე არაერთი ცვლილება განიცადა სსკ-ის 194-ე მუხლმა, ხოლო 194¹ მუხლი მხოლოდ ერთხელ, – 2011 წელს დაკორექტირდა.

კერძოდ, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ 2006, 2007 და 2011 წლების ცვლილებებზე.

2006 წლის ცვლილებით, დანაშაულის სუბიექტად განისაზღვრა იურიდიული პირი. 2007 წლის ცვლილებით მუხლი გაფართოვდა, – დანაშაულის საგნად იქცა უკანონო ქონება, – ფულის გათეთრებისას, ქონება, დანაშაულებრივთან ერთად, შესაძლებელია იყოს სხვა სამართალდარღვევითაც მოპოვებული. ასევე, უკანონო შემოსავლის პარალელურად, გათვალისწინებულ იქნა დაუსაბუთებელი ქონება. შემოთავაზებულ იქნა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების განმარტება. თუმცა, თუ სსკ-ის 194-ე მუხლის კონვენციის შესაბამისად განიმარტება, მაშინ პრედიკატი ქმედება მხოლოდ დანაშაულებრივი უნდა იყოს. კერძოდ, „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ 1991 წლის 8 ნოემბრის კონვენციის (ე.წ. სტრასბურგის კონვენციის) 1-ელი მუხლის „e“ პუნქტის მიხედვით, „ძირითადი დანაშაული“ ნიშნავს ნებისმიერ სისხლის სამართლის დანაშაულს, რომლის შედეგადაც მოპოვებული იქნა შემოსავალი, რომელიც შეიძლება გახდეს დანაშაულის ობიექტი ამ კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №1757 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6190824?publication=0>>[04.06.2025].

¹⁵ დვალაძე ი., ხარანაული ლ., საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლა, მონოგრაფიაში: თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.), ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 807.

¹⁶ საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5748505?publication=167>> [05.06.2025].

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=0>> [05.06.2025].

¹⁸ დვალაძე ი., ხარანაული ლ., საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლა, მონოგრაფიაში: თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.), ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 807.

2011 წლის კანონით, მუხლს დაემატა სხვა პირისათვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების დახმარების მიზანი.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში წინადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2003 წლის 06 ივნისის მიღებული კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, რომლითაც, თავდაპირველ ეტაპზე, დარეგულირებული იქნა არაერთი საკითხი.¹⁹

2019 წლის 30 ოქტომბერს, მიღებულ იქნა ახალი კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, რომელიც უკეთ პასუხობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ არსებულ თანამედროვე გამოწვევებს.²⁰

ახალი კანონი, ფულის გათეთრებად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე, 194-ე და 194¹ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს მოიაზრებს.

სსკ-ის 194-ე და 194-ე¹ მუხლებს უკვე შეეცხეთ, ხოლო სსკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება.

რაც შეეხება უცხოურ კანონმდებლობას, აქ მხოლოდ მოკლედ იქნება განხილული გერმანიის და აშშ-ის გამოცდილება.

„გერმანიის ბუნდესტაგმა, 2017 წლის 23 ივნისის კანონით, ეროვნულ კანონმდებლობაში შეიტანა მთელი რიგი ცვლილებები. მანამდე, 2016 წლის 19 დეკემბერს ბუნდესტაგმა მიიღო თანხმობის კანონი, ევროპის საბჭოს 2005 წლის შეთანხმების საფუძველზე, ფულის გათეთრების, დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების გაყინვის, კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“.²¹

ფულის გათეთრება, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე პარაგრაფით, მოიცავს შემდეგ ელემენტებს: (1) ფული ან სხვა ქონება არის შემოსავალი პრედიკატული დანაშაულიდან, (2) შემოსავალი გამიზნულად იქნა გადამალული, შენიღბული ან შეძენილი (თავისთვის ან მესამე პირისთვის), გამოყენებული (თავისთვის ან სხვებისთვის), რათა მისი წარმომავლობა, კვალის მიგნება და კონფისკაცია შეუძლებელი ან გართულებული ყოფილიყო; (3) დამნაშავესათვის ცნობილია, რომ აქტივი არის შემოსავალი პრედიკატული დანაშაულიდან და მოქმედებს განზრახ. ასევე, დანაშაულია, თუ დამნაშავე მოქმედებს უხეში გაუფრთხილებლობით და არ იცის ქონების დანაშაულებრივი წარმომავლობის შესახებ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მაქსიმალური სასჯელი იქნება შემცირებული.

პრედიკატულ დანაშაულებად 261-ე პარაგრაფი მოიაზრებს:

1. მძიმე დანაშაულებს, სადაც მინიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია სულ მცირე ერთი წელით თავისუფლების აღკვეთა (მაგ. ძარცვა);
2. საჯარო მოხელეთა აქტიური და პასიური მექრთამეობა, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულები, საბაჟო წესების უხეში და ორგანიზებული დარღვევა, კონტრაბანდა, კონტრაბანდული საქონლის შეძენა;

¹⁹ საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, <<https://matsne.gov.ge/document/view/12580?publication=36#>>[05.06.2025].

²⁰ საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=12>>[05.06.2025].

²¹ გოგშელიძე ზ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, თბ., 2023, 266. <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Zurab_Gogshelidze.pdf>[14.06.2025].

ძირგამომთხრელი და ძალადობრივი აქტივობები, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო და საერთაშორისო ინსტიტუციის უსაფრთხოებას, ასევე დანაშაულებრივი ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ასეთი ორგანიზაციის წევრობა, თუ ეს უკვე არაა პრედიკატული დანაშაული.

ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაულები დაკვალიფიცირდება პრედიკატულ დანაშაულებად, თუ ის ჩადენილია განგრძობადად, როგორც კომერციული საქმიანობის ნაწილი ან ორგანიზებული გაერთიანების მეშვეობით:

გადასახადისათვის თავის არიდება, საკრედიტო ბარათების ჩეკების გაყალბება, სუტენიორობა, ადამიანით ვაჭრობა, შრომითი ექსპლუატაცია (მაგ, მონობა), ქურდობა, გადამალვა, გამოძალვა, მოპარული ნივთების მიღება, თაღლითობა და მისი სპეციფიკური ფორმები, მითვისება, დოკუმენტების გაყალბება და მასთან დაკავშირებული დანაშაულები, არაავტორიზებული თამაშების ორგანიზება, ტოქსიკური, რადიოაქტიური, ან სხვა მომნამკლელი ნარჩენებით არაავტორიზებული ვაჭრობა, კომერციული მოსყიდვა, მიგრანტების უკანონო გადაყვანა, თავშესაფრის მაძიებელთა ნაქეზება განაცხადის არასწორად შევსებაზე, ინსაიდერული ინფორმაციით ვაჭრობა, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულები, მაგ. სხვისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება.²²

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულის გათეთრება დანაშაულია 1986 წლიდან, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოარჩევს, როგორც ერთ-ერთ პირველ ქვეყანას, რომელმაც მოახდინა ფულის გათეთრების ქმედების კრიმინალიზაცია. არის ფულის გათეთრების ორი მუხლი აშშ-ის კოდექსში, – პარაგრაფები 1956 და 1975 (18 U.S.C. §§1956 და 1957).

ზოგადად, დანაშაულია ნებისმიერ ვირტუალურ ფინანსურ ტრანზაქციაში მონაწილეობა, თუ პირმა რომელმაც განახორციელა ტრანზაქცია იცოდა, რომ ფული იყო დანაშაულებრივი აქტივობებიდან მიღებული და თუ სახელმწიფო შეძლებს, დაამტკიცოს დანაშაულებრივი ქონება წარმოშობილი განსაზღვრული უკანონო ქმედებიდან. კრიმინალური ქმედება შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერი სისხლის სამართლის კანონის დარღვევას – ფედერალურის, ადგილობრივის ან უცხოურის. განსაზღვრული უკანონო ქმედებები მოიცავს 200 ტიპის დანაშაულებს დაწყებული ნარკოტრაფიკით, ტერორიზმით, თაღლითობით, გაგრძელებული დანაშაულებით, რაც დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულთან და კონკრეტული საერთაშორისო დანაშაულები.

სახელმწიფოს არ სჭირდება დაადასტუროს, პირი, რომელმაც ჩაიდინა ფულის გათეთრება, იცოდა, რომ დანაშაულებრივი ქონება იყო კონკრეტული უკანონო საქმიანობის შედეგი.

ცოდნა შეიძლება ეყრდნობოდეს განზრახ უცოდინრობას ან გაუფრთხილებელ ინდიფერენტულობას, – როცა არ ინტერესდები ქმედება დანაშაულებრივია.

1956 პარაგრაფის მიხედვით, ტრანზაქცია შეიძლება იყოს:

1. გამიზნული კონკრეტული უკანონო ქმედების განხორციელების დასახმარებლად;
2. იმ მიზნით, რომ არიდებულ იქნას აშშ-ის გადასახადების გადახდა და შევსებულ იქნას გადასახადის დაბრუნების ყალბი განაცხადი;
3. იმ ცოდნით, რომ ტრანზაქცია სრულად ან ნაწილობრივ მიზნად ისახავს დანაშაულებრივი ქონების ბუნების, ადგილმდებარეობის, წარმოშობის წყაროს, მესაკუთრის შენიღბვას;

²² The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019 (A practical cross-border insight into anti-money laundering law), 84, <https://www.acc.com/sites/default/files/resources/upload/AML19_E-Edition_0.pdf> [15.06.2025].

4. იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ტრანზაქციაზე შემდგომი ანგარიშის წარდგენის ფედერალური და შტატის კანონის ვალდებულება.

პარაგრაფი 1956 ასევე სჯის ფულის და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ტრანსპორტირებასა და გადაცემას (ქეში ან ფულადი აქციები გადატანითი ფორმით) იმ მიზნით, რომ 1) გაადვილდეს სპეციფიკური დანაშაულების ჩადენა, 2) იმ ცოდნით, რომ ფული და მონეტარული ინსტრუმენტები წარმოადგენს კონკრეტული სპეციფიკური დანაშაულის შემოსავალს და ტრანსპორტირება ემსახურება მთლიანად ან ნაწილობრივ დანაშაულებრივი ქონების ბუნების, ადგილმდებარეობის, წარმოშობის წყაროს, მესაკუთრის შენიღბვას.

პარაგრაფი 1957 დანაშაულად მოიაზრებს დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებულ ქონებასთან მიმართებით ფინანსურ ტრანზაქციებში მონაწილეობას აშშ-ის ბანკების ან უცხოური ბანკების გავლით თუ ტრანზაქციის მოცულობა აღემატება 10 000 აშშ დოლარს.

გადასახადისაგან თავის არიდება თავისთავად არ არის პრედიკატული დანაშაული, თუმცა ტრანზაქციების ორგანიზება, სხვა უკანონო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გამოყენებით, იმ მიზნით, რომ არიდებულ იქნას აშშ-ის ფედერალური გადასახადის გადახდა და შევსებული იქნას გადასახადის დაბრუნების ყალბი განაცხადი, წარმოადგენს 1956-ე პარაგრაფით დასჯის წინაპირობას.²³

4. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და ქართული გამოცდილება

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გასააქტიურებლად, დღემდე არაერთი საერთაშორისო (გაეროს), თუ რეგიონული (ევროპული) დოკუმენტი იქნა მიღებული, რამაც სხვადასხვა დროს ასახვა ჰპოვა ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაშიც.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზების ნიშნები მოცემულია გაეროს 1988 წლის 19 დეკემბრის კონვენციაში „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (ვენის კონვენცია). აღნიშნული კონვენცია მიუთითებს იმ ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებზე, რომლებიც ნარკოტიკული დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის ლეგალიზებას ახასიათებს.“²⁴

„ეს კონვენცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო აქტს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში.“²⁵

კონვენციის მიხედვით (მე-5 მუხლი), „თითოეული მხარე მიიღებს იმგვარ ზომებს, როგორიც აუცილებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რათა შესაძლებელი გახდეს, რომ კონფისკებულ იქნეს: (ა) შემოსავალი, რომელიც მიღებულია იმ სამართალდარღვევათა ჩადენის შედეგად, რომლებიც ასეთად მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად არის ცნობილი, ან საკუთრება,

²³ The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019 (A practical cross-border insight into anti-money laundering law), 243, <https://www.acc.com/sites/default/files/resources/upload/AML19_E-Edition_0.pdf> [15.06.2025].

²⁴ დვალაძე ი., ხარანაული ლ., საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლა, მონოგრაფიაში: დვალაძე ი., ხარანაული ლ., საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლა, მონოგრაფიაში: თუმანიშვილი გ., ჯიმკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.), ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 805.

²⁵ გოგშელიძე ზ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, თბ., 2023, 25. <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Zurab_Gogshelidze.pdf> [14.06.2025].

რომლის ღირებულებაც შეესაბამება ამგვარი შემოსავლის ღირებულებას; (b) ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები, მასალები და მოწყობილობა ან სხვა საშუალებები, რომლებიც რაიმენაირად გამოიყენება, ან რომელთა რაიმენაირად გამოყენებაც განზრახულია იმ სამართალდარღვევათა ჩადენისას, რომლებიც ასეთად მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად არის ცნობილი. 2. თითოეული მხარე მიიღებს აგრეთვე იმგვარ ზომებს, როგორიც აუცილებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რათა მის კომპეტენტურ ორგანოთათვის შესაძლებელი გახდეს ამ მუხლის 1-ელ პუნქტში მოხსენიებული შემოსავლის, საკუთრების, საშუალებების ან ნებისმიერი სხვა საგნების გამოვლენა, კვალის მიგნება და გაყინვა ან დაყადაღება მათი შემდგომი კონფისკაციის მიზნით.²⁶

„ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ზომების გატარება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას ორგანიზებული ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ კიდევ ევროგაერთიანების ფარგლებში 1991 წლის 10 ივლისს მიღებული იქნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ დირექტივა, რომლის მიზანი იყო ფინანსურ და საბანკო სექტორში ეფექტური საშუალებებით ბრძოლა.“²⁷

„ყველაზე მნიშვნელოვანი და საჩვენებელი გარდამავალი სისტემის მქონე ქვეყნებისთვის არიან (მივყვებით ქრონოლოგიურად), – „კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“ (1990 წელი), „კონვენცია მექრთამეობის წინააღმდეგ უცხოელ საჯარო მოხელეთა მხრიდან საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებისას“ (1997 წელი), „კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ“ (1999 წელი), „გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (2000 წელი), „ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ (2005 წელი), ევროკავშირის 2014/42 დირექტივა დანაშაულის საგნებისა და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის დაყადაღებისა და კონფისკაციის შესახებ (2014 წელი),“²⁸ რაც განახლებული იქნა 2024 წლის 24 აპრილს.²⁹

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საწინააღმდეგო სამართლებრივ აქტებში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია 1990 წლის 08 ნოემბრის კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ (სტრასბურგის კონვენცია).“³⁰

სტრასბურგის კონვენციის მიხედვით (მუხლი 6 – ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულები), თითოეული მხარე მიიღებს საკანონმდებლო ან სხვა აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ მისი შიდა სამართლით დანაშაულის კვალიფიკაცია ენიჭებო-

²⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 1988, <<https://matsne.gov.ge/document/view/2540250?publication=0>> [06.06.2025].

²⁷ ტურავეა მ., ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, 59.

²⁸ Orlovska, N., & Stepanova J., confiscation of proceeds and Property related to crimes: International standards and the ECHR practice, 10 Juridical Trib. 499-500, 2020, [24.01.2025].

²⁹ Directive (EU) 2024/1260 of the European parliament and of the council on asset recovery and confiscation, <<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2024/1260/oj>> [05.08.2025].

³⁰ თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე., ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 805.

დეს საერთაშორისო მასშტაბით ჩადენილ ქმედებებს: **a)** ქონების კონვერსია ან გადაცემა, როდესაც პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი, იმ მიზნით, რომ დაფაროს ან შეინიღოს ქონების არაკანონიერი წარმომავლობა ან დახმარება გაენიოს ძირითადი დანაშაულის ჩადენაში ჩარეულ ნებისმიერ პირს, მისი ქმედების იურიდიული შედეგების თავიდან აცილებაში; **b)** ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, მასზე ან მის ფლობაზე უფლებების დამალვა, როდესაც შესაბამისმა პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი; და მხარის კონსტიტუციური პრინციპების და მისი სამართლებრივი სისტემის ძირითადი კონცეფციების მხედველობაში მიღებით **c)** ქონების შეძენა, ფლობა და გამოყენება, როდესაც პირმა ქონების მიღების დროს იცის, რომ ასეთი ქონება წარმოადგენს შემოსავალს; **d)** ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის მიღება, ჩადენისათვის ჯგუფის გაერთიანება ან კონსპირაცია, ჩადენის მცდელობა ან ჩადენაში დახმარება, ნაქეზება, ხელის შეწყობა და რჩევების მიცემა³¹.

ასევე, გაეროს 2000 წლის 15 ნოემბრის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია“ არის ერთ-ერთი ჩარჩო საერთაშორისო ინსტრუმენტი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.³² „ეს იყო საუკუნის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა ქვეყნებისათვის ათასწლეულის მაღალი დონის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა იტალიაში, ქალაქ პალერმოში 2000 წლის 12 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე.“³³

„პალერმოს კონვენცია შეიქმნა, როგორც მექანიზმი ტრანსსასაზღვრო დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ, რაც იქცა საერთაშორისო პრობლემად. კონვენციის საკვანძო ასპექტები მოიცავს, – რომ ეროვნულ კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივად დასჯადი იყოს ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობა, ფულის გათეთრება, კორუფცია და მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა (1), ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმის განერას, რაც გულისხმობს ექსტრადიციას, ორმხრივ სამართლებრივ დახმარებას და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობას (2), ასევე ეროვნულ დონეზე საჯარო სამსახურების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას (3).“³⁴

„ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ (2005 წელი, ვარშავა),³⁵ „მოიცავს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებას. ასე მაგალითად, „შემოსავალი“ ნიშნავს სისხლის სამართლის დანაშაულიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოშობილ ან მიღებულ ნებისმიერ ეკონომიკურ სარგებელს. რაც შეეხება

³¹ ევროპის საბჭოს კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ, 1990, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1216554?publication=0>> [06.06.2025].

³² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, 2000, <<https://matsne.gov.ge/document/view/1485286?publication=0>> [27.11.2025].

³³ Ciopec F., compatibility of Romanian legislation with the UN convention against transnational organized crime, 39 Zbornik Radova (2005), 213.

³⁴ Borgstede G., Cultural property, the Palermo convention and transnational organized crime, 21 IJCP, 2014, 283.

³⁵ ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, 2005, <<https://matsne.gov.ge/document/view/2345907?publication=0>> [14.06.2025].

ქონებას, იგი მოიცავს ნებისმიერი სახის ქონებას, ქონებრივს ან არაქონებრივს, მოძრავს ან უძრავს, ან იურიდიულ აქტებს, ან დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ ამგვარ ქონებაზე უფლებას ან ნილს.³⁶

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან მიმართებით, ქართული გამოცდილებისა და მიყენებული ზიანის შესასწავლად, გაანალიზდა საერთო სასამართლოების 2021-2023 წლების პრაქტიკა (საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი 46 გამამტყუნებელი განაჩენი)³⁷.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სტატისტიკური მაჩვენებლები გასულ წლებთან შედარებით³⁸ მომატებულია, თუმცა მაინც მწირია.

ი. გრძელიძე ფულის გათეთრებასთან მიმართებით 2018-2021 წლების სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დასკვნით ნაწილში წერს, რომ საქმეთა სიმწირე „სავარაუდოდ გამოძიების მიერ სასამართლოში გადაგზავნილი საქმეების სიმცირით არის გამოწვეული. ამ საკითხთან მიმართებით აღნიშნული იქნა IDFI – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ შედგენილ ანგარიშში, რომელიც ეხებოდა MONEYVAL-ის შეფასებას საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ. ანგარიშის მე-10 გვერ-

³⁶ გოგშელიძე ზ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, თბ., 2023, 30. <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Zurab_Gogshelidze.pdf> [14.06.2025].

³⁷ სკკ-ის 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) მუხლთან დაკავშირებული 2021-2023 წწ. განაჩენები, – ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 სექტემბრის №1-1024/21 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 ნოემბრის №1-181/21 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის №1-453 /22 განაჩენი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის №1-711/23 განაჩენი, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 აპრილის №1/328-23 განაჩენი, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 06 ივლისის №1/659-23 განაჩენი, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 26 აპრილის №1/632-22 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1/3934-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 10 ნოემბრის №1/1044-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის №1/3944-20 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 ივნისის №1/4152-20 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №1/996-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მაისის №1/4697-20 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის №1/4744-20 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აგვისტოს №1/3611-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 აპრილის №1/4535-20 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის №1/4280-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 ოქტომბრის №1/4171-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ივლისის №1/3434-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 02 მაისის №1/4804-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მაისის №1/1434-22 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივნისის №1/1233-22 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 აპრილის №1/696-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 ივნისის №1/5434-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აპრილის №1/2181-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის №1/1708-22 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივლისის №1/1832-22 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის №1/4855-19 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 სექტემბრის №1/3065-20 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 თებერვლის №1/3270-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისის №1/3631-22 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 მაისის №1/2638-22 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 04 მაისის №1/292-22 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის №1/3845-21 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის №1/2716-23 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 სექტემბრის №1/2860-23 განაჩენი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 07 ივლისის №1/2951-23 განაჩენი,

³⁸ გრძელიძე ი., უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან (ფულის გათეთრება) მიმართებით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი 1, <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/fulis%20gatetreba.pdf>> [04.06.2025].

დზე მითითებულია: MONEYVAL-ის ანგარიში ცხადყოფს, რომ ფულის გათეთრების პოტენციური შემთხვევები საქართველოში საკმარისად არ არის გამოვლენილი. ფულის გათეთრების გამომძიების საერთო რაოდენობა მასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან შედარებით მცირეა.³⁹

2021-2023 წლების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფულის გათეთრებისას უმრავლეს შემთხვევაში პრედიკატულ დანაშაულებად გვევლინება თაღლითობა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრანსნაციონალური ხასიათის და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ჩადენილ თაღლითობას. მზარდია საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში კიბერკომპონენტით, მათ შორის ვირტუალური აქტივის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა, რისთვისაც ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურის სისტემაში 2023 წელს შეიქმნა საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი კიბერკომპონენტის შემცველი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო.⁴⁰

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შედეგად მიყენებული ზიანის მასშტაბისა და ჩამორთმეული დანაშაულებრივი ქონების მოცულობის სწორად და ადეკვატურად განსაზღვრისათვის აუცილებელია შეიქმნას ცენტრალიზებული ინსტიტუციური დანაყოფი, რაც ამ ეტაპზე არ არსებობს.⁴¹

5. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციები

ათწლეულების მანძილზე არაერთი საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაცია ებრძვის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს, მათ შორის, ფულის გათეთრებას.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაცია (Interpol).

„თანამედროვე დანაშაული არის მზარდი საერთაშორისო ხასიათის. ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ იყოს კოორდინაცია ყველა იმ მოთამაშეს შორის, რომლებსაც ევალებათ გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის შენარჩუნება. ინტერპოლი, როგორც გლობალური ორგანიზაცია, უზრუნველყოფს თანამშრომლობას იმ ქვეყნებს შორისაც, რომლებსაც ერთმანეთთან არ გააჩნიათ დიპლომატიური ურთიერთობა.“⁴²

„ინტერპოლმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საერთაშორისო სამართალდაცვითი თანამშრომლობა სამი მიმართულებით: 1. დააკავშირა ეროვნული ადგილობრივი საპოლიციო ძალები სანდო და სწრაფი ქსელით, 2. საერთაშორისო პროფესიული ასოციაციის მეშვეობით მხარეებს აწვდის ინფორმაციას სამართალდაცვით სფეროში ახალ მეთოდებზე და 3. ზრდის ჰარმონიზაციის ხარისხს მსოფლიო მასშტაბით სამართალდამცავ ორგანოებს შორის.“⁴³

„1989 წელს, პარიზში, დიდი შვიდეულის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის სამიტზე, შეიქმნა ფი-

³⁹ იქვე, 16, <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/fulis%20gatetreba.pdf>>[04.06.2025].

⁴⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 26 იანვრის N19 ბრძანება; <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/87634?publication=17>> [06.06.2025]

⁴¹ ძნელაძე ლ., კონფისკაცია, როგორც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებელი სისტემის სამართლებრივი მექანიზმი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2024, 246.

⁴² Interpol <<https://www.interpol.int/en/Who-we-are/What-is-INTERPOL>> [08.12.2025].

⁴³ Guymon C., International legal mechanisms for combating transnational organized crime: The need for a multilateral convention, 18 BERKELEY J. INT'L (2000), 73.

ნანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF). მისი მიზანია, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის შემუშავება და ფინანსური სისტემის ერთიანობის შენარჩუნება.⁴⁴

„ეს არის ორგანო, რომელიც ადგენს და აკონტროლებს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებს.⁴⁵ FATF-მა ფულის გათეთრება განმარტა, როგორც დანაშაულებრივი შემოსავლის დამუშავება მათი უკანონო წარმოშობის შენიღბვის მიზნით, დანაშაულით უკანონოდ მიღებული სარგებლის ლეგიტიმაციის მიზნით.“⁴⁶

„ევროპელები წლების განმავლობაში განიხილავდნენ ერთიანი საპოლიციო და საპროკურორო სისტემის შექმნის საკითხს“⁴⁷ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

1992 წელს შეიქმნა ევროპოლი (Europol), ხოლო მოგვიანებით 1999 წელს შეიქმნა ევროჯასტი (Eurojust).

„ევროპოლი ეხმარება წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა გზით, – ის ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ევროპოლის მეკავშირე ოფიცრებს შორის (ELOs), რომლებიც წარმოადგენენ შესაბამის ეროვნულ სამართალდამცავ უწყებებს. ევროპოლი ამზადებს ოპერატიულ ანალიზსა და სტრატეგიულ ანგარიშებს წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებული ოპერატიული და სადაზვერვო ინფორმაციის საფუძველზე. დამატებით, საჭიროებისამებრ, ევროპოლი უზრუნველყოფს ტექნიკურ და ექსპერტულ დახმარებას ცალკეული სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ოპერატიული და საგამოძიებო პროცესის მიმდინარეობისას. ასევე, ევროპოლი თავისი ანალიზებით ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და საგამოძიებო ტექნიკების ჰარმონიზაციის აუცილებლობას ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით ევროკავშირის მასშტაბით.“⁴⁸

„ეგმონტის ჯგუფი (სახელი დაერქვა 1995 წლის 09 ივნისს ბრიუსელში ეგმონტის არენბერგის სასახლეში გამართული პირველი შეხვედრის გამო – Egmont Group) არის საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ეროვნული ფინანსური დაზვერვის სამსახურებს, რომლებიც სპეციალიზდებიან ეროვნულ დონეზე ფულის გათეთრებისა და საექვო აქტივობებზე ანგარიშების მომზადებაზე“.⁴⁹

„ევროპის საბჭო, 1999 წლის ოქტომბერში, ფინეთის ქალაქ ტამპერეში გამართულ შეხვედრაზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა შეიქმნას ევროჯასტი მძიმე, ორგანიზებულ და ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან საბრძოლველად. ეროვნული მთავრობების შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროკურორები, მაგისტრი მოსამართლეები ან პოლიციის მუშაკები, რომლებიც წარმოდგენილი არიან წევრი სახელმწიფოების მხრიდან, ქმნიან ევროჯასტს. ეროვნული მთავრობები თავად წყვეტენ თუ რა სახის და მოცულობის მანდატს მიანიჭებენ თავიანთ წარმომადგენლებს. ევროჯასტის შესახებ კონვენციის მიზანია, კომპეტენტურ უწყებებს

⁴⁴ Leong A., The disruption of international organized crime, London, 2007, 58-59.

⁴⁵ FATF-ის მიერ შემუშავებული იქნა 40 რეკომენდაცია და 9 სპეციალური რეკომენდაცია.

⁴⁶ გოგშელიძე ზ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, თბ., 2023, 8, <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Zurab_Gogshelidze.pdf> [14.06.2025].

⁴⁷ Guymon C., International legal mechanisms for combating transnational organized crime: The need for a multilateral convention, 18 Berkeley J. Int'l, 2000, 73.

⁴⁸ Brazier, M. L., The European Unions's hot pursuit of organized crime groups, 7 New Eng. Int'l and Comp. L. Ann., 2001, 263 [24.01.2025].

⁴⁹ Leong A., The disruption of international organized crime, London, 2007, 62.

შორის ურთიერთთანამშრომლობის ინსტრუმენტების გააქტიურება დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით. კონვენციის მიხედვით, ევროპოლმა უნდა დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა ევროჯასტის შესაბამის დანაყოფებთან და სთხოვოს მათ დახმარება და სამართლებრივი კონსულტაცია. ევროპოლმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ევროჯასტს ყველა იმ გამოძიების და დევნის შესახებ, სადაც მონაწილეობს ერთზე მეტი წევრი სახელმწიფო. ევროჯასტი წამყვანი როლის ფუნქციით იმ ტიპის დანაშაულების გამოძიებათა და დევნაზე ახორციელებს კონტროლს, როგორცაა ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ტერორისტული საქმიანობა, ყალბი ფულის დამზადება, ასევე იმ საქმეებზე, სადაც არის ევროკავშირის ეკონომიკური და ფინანსური ინტერესი, დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) და კომპიუტერული დანაშაულები.⁵⁰

„2019 წლიდან ძალაში შევიდა თანამშრომლობის შეთანხმება საქართველოსა და EUROJUST-ს შორის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურად იყენებდა EUROJUST-ის საერთაშორისო ფასილიტაციის შესაძლებლობებს, ჯერ კიდევ არ აუთვისებია ისეთი მომსახურებები, როგორცაა ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების ფარგლებში თანამშრომლობა და ექსპერტულ ფორუმებში მონაწილეობა.“⁵¹

MONEYVAL – ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც არის ევროპის საბჭოს მუდმივმოქმედი მონიტორინგის ორგანო და ამონებს წევრი ქვეყნების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ არსებული საერთაშორისო სტანდარტების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის პროცესს, რა დროსაც გასცემს შესაბამის რეკომენდაციების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო ეროვნული მექანიზმების გაუმჯობესების მიმართულებით.⁵²

2020 წელს საქართველოს თავსებადობა, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან, შეამოწმა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტმა (შემდგომ – „**MONEYVAL**“)⁵³, სადაც გამოვლენილ იქნა გარკვეული ხარვეზები, თუმცა გატარებული ღონისძიებების უმეტესობა დადებითად შეფასდა და წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სფეროში.

საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების შესახებ 2024 წლის განახლებული ანგარიშის მიზანია, **MONEYVAL**-ის მიერ გამოვლენილი ცალკეული ხარვეზების გამოსწორება.

⁵⁰ *Brazier, M. L., The European Unions's hot pursuit of organized crime groups, 7 New Eng. Int'l and Comp. L. Ann., 2001, 264-265 [24.01.2025].*

⁵¹ საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია, 38, <<https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia.pdf>> [05.08.2024].

⁵² Moneyval in brief <<https://www.coe.int/en/web/moneyval/moneyval-brief>> [07.06.2025].

⁵³ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 04 ივნისის №813 განკარგულება საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №1757 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6190824?publication=0>> [04.06.2025].

6. ფულის გათეთრება და დანაშაულებრივი ქონების კონფისკაციის პრობლემა

„ფულის გათეთრების პრობლემასთან მიმართებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი,“⁵⁴ „რათა თავიდან იქნას აცილებული მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლით სარგებლობა.“⁵⁵

თანამედროვე ტექნოლოგიებმა საოცარი ბიძგი მისცა დანაშაულებრივ ბიზნესსაც. გადადილდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა (წინადადებათა) შესახებ ინფორმაციის მოპოვება. კიბერტექნოლოგიების გამოყენებამ თითქმის უსაზღვროდ გაზარდა ორგანიზებული დანაშაულობის ჩარჩოები და შესაძლებელი გახდა, მსოფლიო მასშტაბით, მათი შემოსავლების ასტრონომიული ზრდა. ასევე, ნარკო და კიბერდანაშაულები, ფულის გათეთრება და სახელისუფლო სისტემების კორუმპირების გზით წარმოებული უზარმაზარი სამშენებლო პროექტები საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების ხელყოფის ხარჯზე.⁵⁶

„მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ინსტრუმენტი, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (UNTOC), აჩვენებს, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული გადაიქცა იურიდიულ მოცემულობად.“⁵⁷

„მიუხედავად იმისა, რომ ორ ათწლეულზე მეტი გავიდა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის“ მიღებიდან, ნათელია, რომ ორგანიზებული დანაშაული ჯერ კიდევ კომპლექსური მოვლენაა, რომელსაც იზოლირებულად ვერცერთი სახელმწიფო ვერ მოერევს.“⁵⁸

„ორგანიზებული დანაშაულის ტრანსნაციონალური საფრთხე და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულის ევოლუციური ხასიათი (Modi Operandi), ფარული და ღია მოქმედების ხელწერა, საჭიროებს მიზანმიმართულ და განახლებულ ზემოქმედებას. ეროვნულ შესაბამის უწყებებს, რომლებსაც უწევთ წამყვანი როლის შესრულება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში, აუცილებელია, როგორც ევროკავშირის, ისე გლობალურ დონეზე ჰქონდეთ ეფექტური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა, ერთიანი სისხლის სამართლებრივი სისტემის მეშვეობით, ასევე – შესაბამისი მატერიალური რესურსები.“⁵⁹

„სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის უმეტესობის მთავარი მოტივატორი ფინანსური სარგებლის მიღება.“⁶⁰ 2012 წლის მარტის შუა რიცხვებში ევროკომისიამ თხოვნით მიმართა ევროპარლამენტს, რომ მომხდარიყო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მძიმე ტრან-

⁵⁴ ტურავა მ., ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010, 62.

⁵⁵ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 282.

⁵⁶ Cikliuri-Lammich E., Kapitel 2 Abschnitt 2. Der Kampf gegen die Korruption in den europäischen Ländern in der Monographie: Die Korruption in Georgien: Kriminologische Analysen und Kommentare der gerichtlichen Praxis, Hrsg. TSU & Tsereteli Inst., Tiflis 2010, 50-76.

⁵⁷ Hauck P. & Peterke S., organized crime and gang violence in national and international law, 92 Int'l Rev. Red. Cross, 2010, 408.

⁵⁸ UNODC, organized crime strategy toolkit for developing high-impact strategies, 1, <https://sherloc.unodc.org/cld/uploads/pdf/Strategies/OC_Strategy_Toolkit_Ebook.pdf> [07.12.2025].

⁵⁹ The EU Strategy to tackle Organised Crime 2021-2025 <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52021DC0170&qid=1632306192409>> [03.08.2025].

⁶⁰ საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია, 37, <<https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebisstrategia.pdf>> [03.08.2025].

სნაციონალურ დანაშაულებთან ბრძოლის საკითხში, რომ გაადვილებულიყო ორგანიზებული დანაშაულის კორუფციისა თუ სამეურნეო დანაშაულობათა გზით ქონების ამოღების საკითხები. რამეთუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ეს ფორმა დღეს დღეობით მიიჩნევა ყველაზე ეფექტურ ფორმად ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.⁶¹ იქვე ხაზგასმულია, რომ „დანაშაულთან და კერძოდ, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა მუდმივი პროცესია, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, სადაც, როგორც სამართალდამცავი სტრუქტურები, ასევე დამნაშავეთა სამყარო ავითარებს შესაძლებლობებს.“⁶²

„არაერთმა სახელმწიფომ დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ ფორმად აირჩია პასუხისმგებლობის სახით ქონების ჩამორთმევის შემოღება. მართალია, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია მისი გავრცელების ფარგლები, გამოყენების მასშტაბი, არაერთგვაროვანია მიდგომა ამ ინსტიტუტის სისხლის, ადმინისტრაციული, საბაჟო თუ სამოქალაქო ნორმებით რეგულირებასთან დაკავშირებით. თუმცა უდავოა, რომ პასუხისმგებლობის ეს ზომა, დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებით დასაშვებ, დემოკრატიული პრინციპების შესაბამის ინსტიტუტად არის მიჩნეული.“⁶³

სისხლის სამართლის კოდექსი იძლევა შესაძლებლობას ბრალდებულს, მსჯავრდებულს ჩამოერთვას ნებისმიერი სახის, მათ შორის ექვივალენტური ქონება ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. ორგანიზებული, მათ შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებისას მთელი აქცენტი სწორედ დანაშაულის შედეგად დაგროვებული ქონების მოძიებასა და დაბრუნებაზე უნდა გაკეთდეს.

7. ორგანიზებული, მათ შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ქონების ჩამორთმევის ქართული გამოცდილება

„ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულები განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ დონეზე,“ – ხაზგასმულია საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგიაში.⁶⁴

შეუძლებელია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახეების ამომწურავად ჩამოთვლა, რამეთუ ის თავს იჩენს თითქმის ყველა სფეროში, სადაც მაღალ მოგებას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი, რის შემდეგაც ადგილი აქვს ასეთი შემოსავლის უკანონო ლეგალიზაციას (ფულის გათეთრებას).⁶⁵

⁶¹ Vorschlag für eine RL des Europäischen Parlaments und des Rates über die Sicherstellung und Einziehung von Erträgen aus Straftaten in der Europäischen Union, COM, 2012, 85 final v 12.3.2012, kurz: RL-Entwurf, abrufbar unter <<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2012:0085:FIN:DE:PDF>> [03.08.2025].

⁶² ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია, 7, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0>, [03.08.2025].

⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 02 ივლისის № 1/2/384 გადაწყვეტილება, II-2, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=291>> [03.08.2025].

⁶⁴ საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია, 38, <<https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia.pdf>> [05.08.2024].

⁶⁵ ძნელაძე ლ., კონფისკაცია, როგორც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებელი სისხლისსამართლებრივი მექანიზმი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2024, 236-237.

საერთო სასამართლოების 2021-2023 წწ. პრაქტიკა, ცხადყოფს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით პირთა მსჯავრდებასთან ერთად, სასამართლოს მხრიდან აქტიურად გამოიყენება დამატებითი სასჯელად ქონების ჩამორთმევის მექანიზმი.

აქვე გაანალიზდება სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა დანაშაულთა ტრანსნაციონალური ხასიათი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის განაჩენით, ნ. კ. გასამართლდა თაღლითობისა და 17 900 ევროს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.⁶⁶

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მაისის განაჩენით, ფ. ო. კ. და სხვები გასამართლდნენ თაღლითობისა და 134 208 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა, თუმცა სასამართლოს მხრიდან განხორციელდა დანაშაულებრივი გზით ქ. თბილისში 10 200 აშშ დოლარად შეძენილი 49.19 კვ. საცხოვრებელი ბინის საპროცესო კონფისკაცია.⁶⁷

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ივლისის განაჩენით, ფ. ო. კ. და სხვები გასამართლდნენ 619 839 ლარისა 669 აშშ დოლარის დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვათ უკანონო შემოსავლის შესანიღბად 168 000 აშშ დოლარად შეძენილი ძვირადღირებული შვიდი ავტომობილი.⁶⁸

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 თებერვლის განაჩენით, მ. კ. და სხვები გასამართლდნენ თაღლითობისა 73 995 ევროს და 13 100 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.⁶⁹

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის განაჩენით, ნ. გ. გასამართლდა ქურდობისა და 41 212 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა, თუმცა სასამართლოს მხრიდან განხორციელდა საბანკო ანგარიშებზე არსებული 2118,72 ლარისა და 277.90 აშშ დოლარის საპროცესო კონფისკაცია.⁷⁰

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 მაისის განაჩენით, ჯ. ა. გასამართლდა 5 201.2 ლარის, 63 065 825.49 ევროს და 88 132 376.82 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხა, – 37 685.52 ლარის, 153 467.48 ევროს და 7 831 116.04 აშშ დოლარის ოდენობით.⁷¹

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 სექტემბრის განაჩენით, ვ. ლ. გასამართლდა თაღლითობისა და 206 782.2 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.⁷²

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის განაჩენით, ალ. ბ. გასამართლდა 102 000 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით

⁶⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №1/996-21 განაჩენი.

⁶⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მაისის №1/4697-20 განაჩენი.

⁶⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ივლისის №1/3434-21 განაჩენი.

⁶⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 თებერვლის №1/3270-21 განაჩენი.

⁷⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის №1/4855-19 განაჩენი.

⁷¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 მაისის №1/2638-22 განაჩენი.

⁷² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 სექტემბრის №1/3065-20 განაჩენი.

სასჯელად ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ღირებულების სამი უძრავი ქონება.⁷³

სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით, ამ ტიპის დანაშაულის გლობალური მასშტაბების მხედველობაში მიღებით, კონფისკაციას დაქვემდებარებული დანაშაულებრივი ქონების მოცულობა შედარებით მცირეა.

8. ორგანიზებული, მათ შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული, დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ქონების ჩამორთმევის უცხოური გამოცდილება

საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით, დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტია (CARIN, EU ARO PLATFORM).⁷⁴

კარინის ქსელი (Camden Asset Recovery Inter-Agency Network) 2004 წლის 22-23 სექტემბერს ჰააგაში ავსტრიის, ბელგიის, გერმანიის, ირლანდიის, ნიდერლანდებისა და დიდი ბრიტანეთის ინიციატივით შეიქმნა. ის წარმოადგენს პროფესიონალებისა და ექსპერტების გლობალურ ქსელს, რომლის მიზანია დანაშაულებრივი ქონებისა და დანაშაულთან კავშირში მყოფ სხვა აქტივებთან მიმართებით, მათი ტრანსნაციონალური იდენტიფიკაციის, დაყადაღებისა და კონფისკაციის მეთოდებისა და ტექნიკებზე არსებული ცოდნის გაძლიერება.⁷⁵

კარინი არის არაფორმალური ქსელი, რაც მოიცავს თანამშრომლობას დანაშაულებრივი ქონების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ასპექტში. მისი მიზანია ურთიერთთანამშრომლობით გაიზარდოს წევრი ქვეყნების ეფექტურობა და კრიმინალურ სამყაროს ჩამოერთვას დანაშაულებრივი ქონება.⁷⁶

არო (Informal platform of Asset Recovery Offices of the EU) არის არაფორმალური პლატფორმა ევროპის მასშტაბით. 2009 წლიდან, პერიოდული შეხვედრებისას, გროვდება ინფორმაცია კრიმინალურ აქტივებთან დაკავშირებით ევრორეგულაციების იმპლემენტაციაზე, ასევე წევრი ქვეყნების შესაბამისი აროების, ან იმ უწყებების საქმიანობაზე, რომლებიც დროებით ითავსებენ აროს ფუნქციას.⁷⁷

განხილვას იმსახურებს რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის კარინის დამფუძნებელი სახელმწიფოები, სადაც დაგროვდა დანაშაულებრივი ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით ათწლეულების გამოცდილება.

⁷³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის №1/2716-23 განაჩენი.

⁷⁴ საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია, გვ. 37, <<https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia.pdf>> [03.08.2025].

⁷⁵ White paper on best practices in asset recovery, 11, <<https://www.interior.gob.es/opencms/pdf/archivos-y-documentacion/documentacion-y-publicaciones/publicaciones-descargables/seguridad-ciudadana/White-paper-on-best-practices-in-asset-recovery-NIPO-126-12-071-X.pdf>> [05.08.2025].

⁷⁶ Camden Asset Recovery Inter-Agency Network (Carin Manual), 5, <<https://www.interior.gob.es/opencms/pdf/archivos-y-documentacion/documentacion-y-publicaciones/publicaciones-descargables/seguridad-ciudadana/White-paper-on-best-practices-in-asset-recovery-NIPO-126-12-071-X.pdf>> [05.08.2025].

⁷⁷ White paper on best practices in asset recovery, 12-13, <<https://www.interior.gob.es/opencms/pdf/archivos-y-documentacion/documentacion-y-publicaciones/publicaciones-descargables/seguridad-ciudadana/White-paper-on-best-practices-in-asset-recovery-NIPO-126-12-071-X.pdf>> [05.08.2025].

ირლანდია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც დანაშაულებრივი აქტივების ბიურო 1996 წელს შეიქმნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად (აღნიშნული განაპირობა ორგანიზებული დანაშაულის გააქტიურებამ და ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებულმა მკვლევლობებმა). მის საკვანძო ფუნქციად დანაშაულებრივი აქტივის მოძიება, დაყადაღება და კონფისკაცია განისაზღვრა. ბელგიაში საზოგადოებრივ პროკურატურასთან 2003 წელს შექმნა დაყადაღებისა და კონფისკაციის ცენტრალური სამსახური. მას დაევალა კრიმინალური აქტივის წინააღმდეგ ბრძოლის სრული კოორდინაცია და მათ შორის დანაშაულებრივი აქტივის რეალიზაცია. ბულგარეთში 2005 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონების გამოსავლენად. დიდ ბრიტანეთში 2002 წელს მიღებული იქნა დანაშაულებრივი ქონების აქტი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ფინანსური გამოძიების აკრედიტირებული სისტემა. გერმანიაში (BKA)-ის მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტი მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ახორციელებს ანალიტიკურ მხარდაჭერას ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ. 1994 წლიდან სამსახური კიდევ უფრო გაფართოვდა და დაემატა ფულის გათეთრების მიმართულება.⁷⁸

მიუხედავად არაერთი მოქმედი საერთაშორისო რეგულაციისა⁷⁹, 2024 წლის 24 აპრილს ევროპის კომისიის წარდგინებით, მიღებული იქნა განახლებული დირექტივა დანაშაულებრივი ქონების დაბრუნებასა და კონფისკაციაზე.⁸⁰

დირექტივის მიხედვით (2), კრიმინალური ორგანიზაციების, რომლებიც ტრანსნაციონალურად მოქმედებენ, მათ შორის მაღალი რისკის მქონე კრიმინალური ქსელების ძირითადი მოტივი ფინანსური სარგებელია. იმ სერიოზული საფრთხის შესამცირებლად, რასაც ქმნის ორგანიზებული დანაშაული, კომპეტენტურმა უწყებებმა მეტი ინსტიტუციური ძალისხმევა და ყურადღება უნდა დაუთმონ დანაშაულებრივი ქონებისა და დანაშაულებრივი საქმიანობისათვის აუცილებელი საგნების ეფექტურ მოძიებას, იდენტიფიკაციას, დაყადაღებას, კონფისკაციას და მართვას.

დანაშაულებრივი აქტივის დაბრუნების ეფექტური სისტემა გულისხმობს, ასეთი დანაშაულებრივი აქტივის და დანაშაულის საგნების სწრაფ მოძიებასა და იდენტიფიკაციას, სადაც არსებობს ეჭვი, რომ აქტივი არის დანაშაულებრივი წარმომავლობის. ასეთი საგნები, შემოსავალი და ქონება უნდა დაყადაღდეს, რათა თავიდან ავიცილოთ მისი გადამალვა, რის შედეგადაც სისხლის სამართლის პროცედურის ფარგლებში უნდა განხორციელდეს მისი კონფისკაცია.

დანაშაულებრივი აქტივის დაბრუნების ეფექტური სისტემა, ასევე მოიცავს ასეთი დაყადაღებული ქონების ეფექტურ მართვას (Asset management), რათა მისი ღირებულება მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული სახელწიფოსა თუ სხვა კერძო დაზარალებულების ზიანის ანაზღაურებისას.⁸¹

⁷⁸ White paper on best practices in asset recovery, 61-62, 85,87,91,95, <<https://www.interior.gob.es/opencms/pdf/archivos-y-documentacion/documentacion-y-publicaciones/publicaciones-descargables/seguiridad-ciudadana/White-paper-on-best-practices-in-asset-recovery-NIPO-126-12-071-X.pdf>> [05.08.2025].

⁷⁹ Orlovskaya, N., & Stepanova J., confiscation of proceeds and Property related to crimes: International standards and the ECHR practice, 10 Juridical Trib. 499-502 (2020) [24.01.2025].

⁸⁰ Directive (EU) 2024/1260 of the European parliament and of the council on asset recovery and confiscation, <<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2024/1260/oj>> [05.08.2025].

⁸¹ Directive (EU) 2024/1260 of the European parliament and of the council on asset recovery and confiscation (5).

საქართველოში, ამ ეტაპზე, კრიმინალური აქტივის დაბრუნებასა და მართვაზე პასუხისმგებელი უწყება ცენტრალიზებული სახით არ არსებობს. Asset Recovery-ის ფუნქციას ფუნქციურად ითავსებს საქართველოს პროკურატურა,⁸² რაც შეეხება დაყადაღებული დანაშაულებრივი ქონების მართვას (Asset Management), აღნიშნული ხორცილდება შესაბამისი საგამოძიებო დანაყოფების მხრიდან, სადაც მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე, სასამართლოს მხრიდან გამოყენებულია ყადაღის ღონისძიება. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სისტემაში, ამ სამსახურში მიმდინარე საგამოძიებო მიზნებიდან გამომდინარე, საპილოტე რეჟიმში 2023 წლიდან შეიქმნა დაყადაღებული აქტივების მართვის სამმართველო.⁸³

ევროკავშირისა და ევროსაბჭოს 2024 წლის 24 აპრილის დირექტივა ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს მოახდინონ შიდა საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია 2026 წლის 23 ნოემბრამდე.

9. დასკვნა

კვლევა ცხადყოფს, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შედეგად დაგროვებული დანაშაულებრივი ქონების მოძიება და კონფისკაცია პირდაპირ კავშირშია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლასთან, რომელიც, თავის მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულია.

ფულის გათეთრების გზით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ხელში მოქცეული ლეგალური შეფერილობის მქონე კრიმინალური ფინანსური რესურსების იდენტიფიცირება რთულდება, რაც დროის გასვლასთან ერთად, სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით დანაშაულებრივი ქონების მოძიებასა და კონფისკაციას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

ფულის გათეთრების ახალი მეთოდები კრიმინალურ შემოსავალს სწრაფად უცვლის როგორც ფორმას, ისე ადგილმდებარეობას, რასაც დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის მხრიდან ციფრული პროგრამებისა და ტექნიკის მზარდი გამოყენებაც უწყობს ხელს.

თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში არსებული გამოწვევების სწრაფი და ეფექტური გადაჭრის გაადვილების კარგი საშუალებაა, თავის მხრივ, დამნაშავეთა სამყაროსათვის, ბიზნესის, საბანკო სფეროს და ზოგადად, საჯარო და კერძო სექტორის თითქმის სრული გაციფრულებისა და ვირტუალურ ფულზე (აქტივზე) მოთხოვნის ზრდის ფონზე, არის კარგი შესაძლებლობა ახალი და მასშტაბური კიბერდანაშაულების ჩასადენად.

ორგანიზებული დანაშაული, თავისი ტრანსნაციონალური ხასიათით, ფულის გათეთრების თანამედროვე ფორმების მუდმივი ცვალებადობით, სულ უფრო მეტი ზიანის მომტანი ხდება საზოგადოებისათვის.

ფულის გათეთრების გზით, დიდი მოცულობის დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალურ ეკონომიკაში ჩართვას, ნებისმიერი, თუნდაც წარმატებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსთვისაც კი შესაძლოა დამანგრეველი ხასიათი ჰქონდეს.

⁸² საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=10>> [05.08.2025].

⁸³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 26 იანვრის N19 ბრძანება; <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/87634?publication=17>> [05.08.2025].

კვლევა ასევე ცხადყოფს, რომ ყოველწლიურად მილიარდობით დანაშაულებრივი შემოსავალი ექცევა ლეგალურ ეკონომიკაში, რომლის ლეგალური შემოსავლისგან გარჩევა შეუძლებელია.

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, საკმარისი ნორმატიული ინსტრუმენტები არსებობს, რაც მუდმივად საჭიროებს მათი პრაქტიკაში აქტიურად გამოყენების ხელშემშლელი ფაქტორების შესწავლასა და გააზრებას.

ერთი მხრივ, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულები და ფულის გათეთრება, თავისი ხასიათიდან და თავისუფლების აღკვეთის სახით არსებული სასჯელის სიმძიმიდან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ექვემდებარებიან.

მეორე მხრივ, ტრადიციულად დამნაშავის გასამართლებასთან ერთად, სამართალდამცავმა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ქონებრივი სანქციების გამოყენებას, მათ შორის დანაშაულისაგან მიღებული ქონების მოძიებასა და კონფისკაციას.

კვლევის დასასრულს ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ფულის გათეთრება ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორად გვევლინება, რაც ხელს უშლის დანაშაულებრივი საქმიანობიდან დაგროვილი ქონების ჩამორთმევას.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება საერთაშორისო და ეროვნულ ერთობლივ ძალისხმევაზე გადის.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1960.
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 1988.
4. ევროპის საბჭოს კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“, 1990.
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, 2000.
6. საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018.
7. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, 2010.
8. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია, 7, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0>>, [03.08.2024].
9. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №236 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284180?publication=0>> [04.06.2025].
10. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 04 აპრილის №135 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023-2026 წლების ეროვნული სტრატეგიისა“ და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2023-2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5772532?publication=0>> [04.06.2025]

11. საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური სისტემის სამართლის კოდექსი კანონი საქართველოს სსრ სისტემის სამართლის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5748505?publication=167>> [05.06.2025].
12. საქართველოს სისტემის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=0>> [05.06.2025].
13. საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ <<https://matsne.gov.ge/document/view/12580?publication=36#!>> [05.06.2025].
14. საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=12>> [05.06.2025]
15. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 1988, <<https://matsne.gov.ge/document/view/2540250?publication=0>> [06.06.2025].
16. ევროპის საბჭოს კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“, 1990, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1216554?publication=0>>, [06.06.2025].
17. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, 2000, <<https://matsne.gov.ge/document/view/1485286?publication=0>>, [27.11.2024].
18. სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესახებ – <https://www.fms.gov.ge/Uploads/files/GEO_28.05.2024_Annual_Report.pdf>, [06.06.2025].
19. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 26 იანვრის N19 ბრძანება; <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/87634?publication=17>>, [06.06.2025].
20. საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია, 37, 38, <<https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia.pdf>> [05.08.2024].
21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 02 ივლისის № 1/2/384 გადაწყვეტილება, II-2, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=291>> [03.08.2024].
22. საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=10>> [05.08.2024].
23. გოგშელიძე ზ., სისტემის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, თბ., 2023. <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Zurab_Gogshelidze.pdf> [14.06.2025].
24. გრძელიძე ი., „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან (ფულის გათეთრება) მიმართებით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი“, 1, 16. <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/fulis%20gatetreba.pdf>> [04.06.2025].
25. გვენეტაძე ნ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის სისტემის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბ., 2000, 24.
26. გოგშელიძე ზ., სისტემის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, თბ., 2023, 8, 25, 30, 43, 266.
27. თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე., ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისტემის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 805, 807.
28. ნაჭყეია გ. (რედ.), ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისტემის სამართალში, თბ., 2012, 719-720.
29. ტურავა მ., ევროპული სისტემის სამართალი, თბ., 2010, 59.
30. ტრექელი შ., ადამიანის უფლებები სისტემის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 282.
31. ტყეშელაშვილი გ. (რედ.), სისტემის სამართლის კერძო ნაწილი (ნიგნი I), თბ., 2006, 366.

32. ძნელაძე ლ., კონფისკაცია, როგორც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებელი სისხლისსამართლებრივი მექანიზმი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2024, 236-237, 246.
33. ლლონტი გ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბ., 2008, 176.
34. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 სექტემბრის №1-1024/21 განაჩენი.
35. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 ნოემბრის №1-181/21 განაჩენი.
36. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის №1-453 /22 განაჩენი.
37. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის №1-711/23 განაჩენი.
38. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 აპრილის №1/328-23 განაჩენი.
39. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 06 ივლისის №1/659-23 განაჩენი.
40. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 26 აპრილის №1/632-22 განაჩენი.
41. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1/3934-21 განაჩენი.
42. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 10 ნოემბრის №1/1044-21 განაჩენი.
43. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მარტის №1/3944-20 განაჩენი.
44. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 ივნისის №1/4152-20 განაჩენი.
45. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №1/996-21 განაჩენი.
46. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მაისის №1/4697-20 განაჩენი.
47. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის №1/4744-20 განაჩენი.
48. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აგვისტოს №1/3611-21 განაჩენი.
49. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 აპრილის №1/4535-20 განაჩენი.
50. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის №1/4280-21 განაჩენი.
51. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 01 ოქტომბრის №1/4171-21 განაჩენი.
52. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ივლისის №1/3434-21 განაჩენი.
53. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 02 მაისის №1/4804-21 განაჩენი.
54. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მაისის №1/1434-22 განაჩენი.
55. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივნისის №1/1233-22 განაჩენი.
56. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 აპრილის №1/696-21 განაჩენი.
57. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 ივნისის №1/5434-21 განაჩენი.
58. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აპრილის №1/2181-21 განაჩენი.
59. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის №1/1708-22 განაჩენი.
60. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივლისის №1/1832-22 განაჩენი.
61. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის №1/4855-19 განაჩენი.
62. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 სექტემბრის №1/3065-20 განაჩენი.
63. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 თებერვლის №1/3270-21 განაჩენი.
64. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისის №1/3631-22 განაჩენი.
65. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 მაისის №1/2638-22 განაჩენი.
66. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 04 მაისის №1/292-22 განაჩენი.
67. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის №1/3845-21 განაჩენი.
68. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის №1/2716-23 განაჩენი.
69. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 სექტემბრის №1/2860-23 განაჩენი.
70. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 07 ივლისის №1/2951-23 განაჩენი.
71. Brazier M. L., The European Unions`s hot pursuit of organized crime groups, 7 New Eng. Int'l and Comp. L. Ann., 2001, 263, 264-265.

72. *Borgstede G.*, Cultural property, the Palermo convention and transnational organized crime, 21 IJCP, 2014, 283.
73. *Button M., Hock B., Shepherd D.*, Economic crime, London and New York, 2022, 163.
74. *Ciklauri-Lammich E.*, Menschenraub, ein blühendes Gewerbe in der Kaukasusregion, Monatshefte für Osteuropäisches Recht, Hrsg. Dr. Günter Tontsch, Hamburg, 2000, 2-9.
75. *Ciopec F.*, compatibility of Romaninan legislation with the UN convention against transnational organized crime, 39 Zbornik Radova, 2005, 213.
76. *Guymon C.*, International legal mechanisms for combating transnational organized crime: The need for a multilateral convention, 18 Berkeley J. Int'l, 2000, 73.
77. *Ciklauri-Lammich E.*, Kapitel 2 Abschnitt 2. Der Kampf gegen die Korruption in den europäischen Ländern in der Monographie: Die Korruption in Georgien: Kriminologische Analysen und Kommentare der gerichtlichen Praxis, Hrsg. TSU & Tsereteli Inst., Tiflis, 2010, 50-76.
78. *Hauck P., Peterke S.*, organaized crime and gang violence in national and international law, 92 Int'l Rev. Cross, 2010, 408.
79. *Leong A.*, The disruption of international organized crime, London, 2007, 58-59, 62.
80. *Orlovska, N., Stepanova J.*, confiscation of proceeds and Property related to crimes: International standarts and the ECHR practice, 10 Juridical Trib., 2020, 499-502.
81. *Shelley L.*, Transnational organized crime and seized assets: moral dilemmas concerning the disposition of the fruits of crime, 7 Maastricht J. EUR. & Comp., 2000, 35.
82. The EU Strategy to tackle Organised Crime 2021-2025, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52021DC0170&qid=1632306192409>> [03.08.2025].
83. Directive (EU) 2024/1260 of the European parliament and of the council on asset recovery and confiscation, <<https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2024/1260/oj>> [05.08.2025].
84. Interpol <<https://www.interpol.int/en/Who-we-are/What-is-INTERPOL>> [08.12.2025].
85. Moneyval in Brief, <<https://www.coe.int/en/web/moneyval/moneyval-brief>>[07.06.2025].
86. UNODC,-organized crime strategy toolkit for developing high-impact strategies, 1, <https://sherloc.unodc.org/cld/uploads/pdf/Strategies/OC_Strategy_Toolkit_Ebook.pdf> [07.12.2025].
87. Vorschlag für eine RL des Europäischen Parlaments und des Rates über die Sicherstellung und Einziehung von Erträgen aus Straftaten in der Europäischen Union, COM(2012) 85 final v 12.3.2012, kurz: RL-Entwurf, abrufbar unter <<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2012:0085:FIN:DE:PPD>> [07.12.2025].
88. White paper on best practices in asset recovery, 11, <<https://www.interior.gob.es/opencms/pdf/archivos-y-documentacion/documentacion-y-publicaciones/publicaciones-descargables/seguridad-ciudadana/White-paper-on-best-practices-in-asset-recovery-NIPO-126-12-071-X.pdf>> [05.08.2025].
89. Camden Asset Recovery Inter-Agency Network (Carin Manual), 5, <<https://www.interior.gob.es/opencms/pdf/archivos-y-documentacion/documentacion-y-publicaciones/publicaciones-descargables/seguridad-ciudadana/White-paper-on-best-practices-in-asset-recovery-NIPO-126-12-071-X.pdf>> [05.08.2025].
90. The International Comparative Legal Guide to: Anti-Money Laundering 2019 (A practical cross-border insight into anti-money laundering law), 84, 234, 243. <https://www.acc.com/sites/default/files/resources/upload/AML19_E-Edition_0.pdf> [15.06.2025].

მარიამ ბალაშაძე*

ხელოვნური ინტელექტი და სიძულვილის ენა

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, დღითი დღე იმატებს სიძულვილის ენის გამოყენების მაჩვენებელი. ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით საყურადღებო ხდება სოციალური ქსელებისა თუ კომუნიკაციის სხვა ფორმებით გამოხატული სიძულვილის ენა, რომელიც შუღლს აღვივებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის. სიძულვილის ენა გამოირჩევა სწრაფი ესკალაციით, იგი მარტივად შეიძლება გადაიზარდოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში და სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, მასზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება ისე, რომ არ დაირღვეს გამოხატვის თავისუფლება.

ციფრული სამყაროს განვითარებასთან ერთად, იზრდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მაჩვენებელიც. აღნიშნულმა გარემოებამ კი საჭირო გახდა ხელოვნური ინტელექტისა და სიძულვილის ენის ურთიერთმიმართების შესწავლა. კერძოდ, კვლევის მიზანია, გაანალიზოს ხელოვნური ინტელექტის გავლენა სიძულვილის ენის გავრცელებასა და რეგულირებაზე ციფრულ სივრცეში. ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი სიძულვილის ენის დინამიკას და გამოხატვის თავისუფლების საზღვრებს. კვლევის ფარგლებში დადგენილია თუ რა სამართლებრივი ღონისძიებების გატარება საჭირო ახალ ტექნოლოგიურ რეალობასთან მორგების მიზნით.

წინამდებარე სტატიაში განხილულია სიძულვილის ენის არსი და მნიშვნელობა, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს სიძულვილის ენის გამოყენების შესაძლებლობას, ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირება და მისი გამოყენებისას დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სიძულვილის ენისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: სიძულვილის ენა, ხელოვნური ინტელექტი, გამოხატვის თავისუფლება, დისკრიმინაცია.

1. შესავალი

სიძულვილის ენა მზარდი პრობლემაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასეთი ქმედებები შეუწყნარებლობის გამოვლინებაა კონკრეტული ჯგუფების მიმართ. სიძულვილის ენა სწრაფად ვრცელდება საზოგადოებაში, იგი მარტივად შეიძლება გადაიზარდოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში, რაც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებისა და ქვეყნის სტაბილურობაზე. ასევე, სიძულვილის ენის შესახებ დაბალი ცნობიერება იწვევს მის სწრაფ ესკალაციას.

ენას აქვს ფუნდამენტური როლი საზოგადოებაში და ის შეიძლება გამოიყენონ დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მატარებელი ჯგუფის წინააღმდეგ აგრესიის გამოსახატად. სიძულვილის ენა გახდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის განხეთქილების წარმოქმნელი ძირითადი მექანიზმი, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

2023 წელს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, ანტონიო გუტერესმა განაცხადა: „სიძულვილის ენა განგაშის ზარია – რაც უფრო ხმამაღლა რეკავს, მით უფრო დიდია გენოციდის საფრთხე. ის წინ უსწრებს და ხელს უწყობს ძალადობას.“¹

თანამედროვე ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელოვნური ინტელექტის განვითარება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად აქცია სოციალური, სამართლებრივი და კულტურული პროცესების ფორმირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ახალ შესაძლებლობებს ხსნის, ის თანაბრად ახალ საფრთხეებსაც წარმოშობს — განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება სიძულვილის ენას. სოციალურ მედიასა და ციფრულ სივრცეში სიძულვილის ენით გავრცელებული სიძულვილით მოტივირებული შინაარსის აღმოჩენა და რეგულირება უკვე წლებია მწვავე პრობლემად რჩება. ხელოვნური ინტელექტი ამ პროცესში შეიძლება იყოს როგორც ეფექტური ინსტრუმენტი მის ამოსაცნობად და შესაზღუდად, ისე თავადვე გახდეს სიძულვილის ენის მწარმოებელი ან გაძლიერების უნებლიე მექანიზმი. სწორედ ამ ურთიერთდამოკიდებულებამ წარმოშვა დისკუსია იმაზე, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ეთიკური, სამართლებრივი და ტექნიკური სტანდარტები ისე, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ არ გაამწვავოს უკვე არსებული სოციალური დაძაბულობა.

წინამდებარე სტატიის მიზანია, განსაზღვროს სიძულვილის ენისა და ხელოვნური ინტელექტის ურთიერთდამოკიდებულება და მათი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები, ასევე, აღნიშნული რეგულაციების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.

სტატიაში გამოყენებულია დოქტრინალური სამართლებრივი მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებულია სიძულვილის ენასა და ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესწავლასა და გაანალიზებაზე. გარდა ამისა, იგი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც აფასებს თუ როგორ გამოიყენება საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები პრაქტიკაში ონლაინ ძალადობის, გამოხატვის თავისუფლებისა და სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ. ნაშრომში გამოყენებულია ისეთი მეორადი წყაროებიც, როგორებიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და საერთაშორისო და ადგილობრივი აკადემიური ლიტერატურა. აღნიშნული წყაროები უზრუნველყოფენ თემის კონტექსტუალურ და პრაქტიკულ გააზრებას, ასევე, ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირების შესახებ თეორიული ჩარჩოს განვითარებას.

კვლევას აქვს როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. სამეცნიერო თვალსაზრისით, ნაშრომი ავითარებს სამართლის თეორიას ხელოვნური ინტელექტის და სიძულვილის ენის ურთიერთმიმართების შესწავლით, ამდიდრებს დოქტრინალურ ანალიზს გამოხატვის თავისუფლების, ციფრული ეთიკისა და სახელმწიფო ვალდებულებების ჭრილში. პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ კვლევის შედეგები შეიძლება დაეხმაროს საქართველოს ხელოვნური ინტელექტის რეგულირების მიმართულებით კანონმდებლობისა და საჯარო პოლიტიკის გაუმჯობესებაში, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო ეფექტიანი მექანიზმები და ხელი შეუწყოს სამართლებრივი ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

¹ United Nations, <<https://www.un.org/en/hate-speech>> [20.08.2025].

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილული იქნება სიძულვილის ენის არსი და მნიშვნელობა, მისი საერთაშორისო დონეზე სამართლებრივი რეგულირება და საქართველოს კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები. ასევე, განხილული იქნება ხელოვნური ინტელექტის გავლენა სიძულვილის ენის ფორმირებასა და გავრცელებაზე. გარდა ამისა, ამ საკითხებთან დაკავშირებით, გაანალიზებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – სასამართლო) მიერ დადგენილი სტანდარტები.

2. სიძულვილის ენის არსი და მისი სამართლებრივი რეგულირება

სიძულვილის ენის განმარტების ბევრი ვერსია არის ხელმისაწვდომი, თუმცა დღეისათვის, ევროპულ თუ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართალში სიძულვილის ენის იურიდიულად სავალდებულო განმარტება არ არსებობს.² სიძულვილის ენა არის „ხელოვნების ტერმინი“, რომელიც გულისხმობს სიძულვილის კონკრეტულ გამოხატვას კონკრეტული ადამიანების (ჯგუფების) მიმართ, კონკრეტულ კონტექსტში.³ იგი არის შეგნებული და მიზანმიმართული საჯარო განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანთა ჯგუფის შეურაცხყოფას.⁴

სიძულვილის ენა საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ღირებულებებს, სოციალურ სტაბილურობასა და მშვიდობას. დუმილი შეიძლება მიუთითებდეს ფანატიზმისა და შეუწყნარებლობის მიმართ გულგრილობაზე.⁵ სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოში სათანადო სამართლებრივი მექანიზმების არსებობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა სიძულვილის ენის არსს არ განმარტავს. „სიძულვილის“ განმარტება სადავო საკითხია, რადგან იგი თითოეული ინდივიდის მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს აღქმული. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტები გვთავაზობენ სიძულვილის ენის დეფინიციას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის #R(97) რეკომენდაციის მიზნებისთვის, ტერმინი „სიძულვილის ენა“ გულისხმობს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აღძრავს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული სიძულვილის სხვა ფორმებს, მათ შორის, აგრესიული ნაციონალიზმისა და ეთნოცენტრიზმის მიერ გამოხატული შეუწყნარებლობა, დისკრიმინაცია და მტრობა უმცირესობების, მიგრანტებისა და იმიგრანტების მიმართ.⁶

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით, „სიძულვილის ენა“ გულისხმობს შეურაცხმყოფელ დისკურსს, რომლის სამიზნეა თანდაყოლილი მახასიათებლის (როგორიცაა რასა, რელიგია ან სქესი) მქონე ჯგუფი ან ინდივიდი და რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას

² Nave E., Hate Speech, Historical Oppressions, and European Human Rights, Buffalo Human Rights Law Review 29, 2023, 89, <<https://ssrn.com/abstract=4592218>> [12.11.2025].

³ Howard W. J., Free Speech and Hate Speech, Annual Review of Political Science, London, Volume 22, 2019, 95.

⁴ Paz A. M., Montero-Díaz J., Moreno-Delgado A., Hate Speech: A Systematized Review, SAGE Journals, Volume 10, Issue 4, 2020, 1.

⁵ UN, United Nations Strategy and Plan of Action on Hate Speech, 2019, 1.

⁶ COE, Recommendation No. R (97)20 of The Committee of Ministers to Member States on "Hate Speech", 1997, 107.

სოციალურ მშვიდობას.⁷ 2019 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სიძულვილის ენაზე. აღნიშნულ დოკუმენტში სიძულვილის ენა განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი სახის კომუნიკაცია გამოხატული მეტყველებით, წერით თუ ქცევით, რომელიც თავს ესხმის ან იყენებს დამამცირებელ ან დისკრიმინაციულ ენას პიროვნების ან ჯგუფის მიმართ იმის მიხედვით, თუ ვინ არიან ისინი. კერძოდ, მათი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რასის, კანის ფერის, სქესის ან პირის იდენტობის გამომხატველი სხვა ფაქტორების საფუძველზე.“⁸

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია სიძულვილის ენას განმარტავს, როგორც დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნის მქონე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ შეურაცხყოფას, სიძულვილს, მის ხელშეწყობას ან ნაქეზებას, ასევე, ნებისმიერი სახის შევიწროებას, ნეგატიურ სტერეოტიპებს, სტიგმატიზაციას ან მუქარას.⁹

სიძულვილის ენა შეიძლება იყოს მიმართული მხოლოდ ცალკეული პირების ან ინდივიდთა ჯგუფის მიმართ. ის არ მოიცავს სახელმწიფოებსა და მათ სტრუქტურებს, სიმბოლოებს ან საჯარო პირებს, არც რელიგიურ ლიდერებსა და რწმენის პრინციპებს.¹⁰

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2022)16¹¹ რეკომენდაციის მიზნებისთვის, სიძულვილის ენა განმარტებულია, როგორც „გამოხატვის ნებისმიერი ფორმა, რომელიც აღძრავს, ხელს უწყობს, ავრცელებს ან ამართლებს ძალადობას, სიძულვილს ან დისკრიმინაციას პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ, ან რომელიც ამცირებს მათ, მათი რეალური ან აღქმული პიროვნული მახასიათებლების ან სტატუსის გამო.“¹¹

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ ეფექტური სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მოიცავს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალს. სისხლის სამართალი უნდა გამოიყენონ როგორც უკიდურესი საშუალება სიძულვილის ენის ყველაზე მძიმე ფორმის გამოსაგვსად.¹²

საერთაშორისო სამართალი სიძულვილის ენას არ კრძალავს, თუმცა იგი კრძალავს დისკრიმინაციის, მტრობისა და ძალადობის ნაქეზებას. ნაქეზება სიძულვილის ენის ძალიან საშიში ფორმაა, რადგან ის აშკარად და მიზანმიმართულად იწვევს დისკრიმინაციას, მტრობასა და ძალადობას, რაც ასევე შეიძლება მოიცავდეს ტერორიზმს ან სხვა მძიმე დანაშაულებს. საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებისაგან არ მოითხოვს ისეთი სიძულვილის ენის აკრძალვას, რომელიც არ აკმაყოფილებს ნაქეზების მინიმალურ ზღვარს.¹³

⁷ United Nations, <<https://www.un.org/en/hate-speech/understanding-hate-speech/what-is-hate-speech#:~:text=In%20common%20language%2C%20%E2%80%9Chate%20speech,that%20may%20threaten%20social%20peace.>> [20.08.2025].

⁸ UN, United Nations Strategy and Plan of Action on Hate Speech, 2019, 2.

⁹ COE, ECRI General Policy Recommendation №15 on Combating Hate Speech, ECRI Publishing, Strasbourg, 2016, 3.

¹⁰ United Nations, <<https://www.un.org/en/hate-speech/understanding-hate-speech/what-is-hate-speech#:~:text=In%20common%20language%2C%20%E2%80%9Chate%20speech,that%20may%20threaten%20social%20peace.>> [20.08.2025].

¹¹ Recommendation CM/Rec(2022)16[1] of the Committee of Ministers to Member States on Combating Hate Speech, Appendix to Recommendation, 2022, 2.

¹² იქვე, 7.

¹³ UN, United Nations Strategy and Plan of Action on Hate Speech, 2019, 2.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლი კრძალავს სიძულვილის ენის გამოყენებას, თუმცა მასში ტერმინი „სიძულვილის ენა“ გამოყენებული არ არის. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კანონით უნდა აიკრძალოს ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რომელიც არის დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის ნაქეზება.¹⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ განსაზღვრავს „სიძულვილის ენის“ დეფინიციას, უფრო მეტიც, მასში საერთოდ არ არის მოხსენიებული აღნიშნული ტერმინი, თუმცა, ტერმინი „სიძულვილის ენა“ გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში. სასამართლო სიძულვილის ენას ზოგიერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს როგორც „გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აღძრავს, ხელს უწყობს ან ამართლებს შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს.“¹⁵

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოცემული ტერმინი პირველად 1999 წელს გამოიყენა თურქეთის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში.¹⁶ წინამდებარე საქმის¹⁷ ფაქტობრივი გარემოებები შეეხებოდა ჟურნალში გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო მომჩივანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. კერძოდ, პროკურორმა მომჩივნებს ბრალი წარუდგინა სახელმწიფოს განუყოფლობის წინააღმდეგ პროპაგანდის გავრცელებისთვის.¹⁸

სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ პრესამ არ უნდა გადალახოს კონკრეტული საზღვრები, რაც საფრხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას ან ტერიტორიულ მთლიანობას, მას მაინც ევალება, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია პოლიტიკურ საკითხებზე, მათ შორის დანაწილების თემაზე.¹⁹ იმისათვის, რომ მედია არ გახდეს სიძულვილის ენის გავრცელებისა და ძალადობის ხელშეწყობის საშუალება, მან განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს იმ ორგანიზაციათა შეხედულებების გამოქვეყნებისას, რომლებიც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართავენ ძალადობას.²⁰ მოცემულ საქმეში, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნების მიმართ გამოყენებული ღონისძიებები იყო დასახული მიზნების არაპროპორციული და, შესაბამისად, არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.²¹

სიძულვილის ენის გამოხატვის ფორმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტერნეტ სივრცეში გამოყენებული სიძულვილის ენა. 1990-იანი წლების დასაწყისში დიდი მომზადებისა და დაგეგმვის გარეშე დაიწყო ინტერნეტ რევოლუცია, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანების ცხოვრება. ამ რევოლუციამ საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ასპექტზე იმოქმედა.²² ინტერნეტის პირველმა თაობის კრიტიკოსებმა იგი მოიხსენიეს როგორც საშუა-

¹⁴ International Covenant on Civil and Political Rights, 1966, 20, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights>> [20.08.2025].

¹⁵ Weber A., Manual on Hate Speech, Council of Europe Publishing, 2009, 3.

¹⁶ ტარტარაშვილი თ., ფირცხალაიშვილი ნ., სიძულვილის ენა, თბ., 2017, 4.

¹⁷ Erdoğdu and İnce v. Turkey, [1999] ECHR.

¹⁸ იქვე, 8-10.

¹⁹ Erdoğdu and İnce v. Turkey, [1999] ECHR, 48.

²⁰ იქვე, 54.

²¹ იქვე, 55.

²² Cohen-Almagor R., Bullying, Cyberbullying and Hate Speech, International Journal of Technoethics (IJT), Volume 13, Issue 1, 2022, 6-7, <<https://ssrn.com/abstract=4033031>> ან <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.4033031>> [12.11.2025].

ლება, რომელსაც საზღვრების გადალახვა, დისტანციის აღმოფხვრა და რეალურ სამყაროში არსებული ბარიერების დანგრევა შეუძლია.²³ ინტერნეტი ქმნის კომუნიკაციის ყველა შესაძლო ფორმისთვის უპრეცედენტო პოტენციალს, მათ შორის მარტივად ხელმისაწვდომობას, ეფექტურობას, სისწრაფესა და მრავალმხრივობას, რომელიც არ საჭიროებს დიდ ფინანსურ ხარჯებს ან სპეციალურ რესურსებს.²⁴ ონლაინ გარემო ძირითად ვექტორად ჩამოყალიბდა დემოკრატიისთვის, თუმცა მან, ასევე, შექმნა სივრცე სიძულვილის ენისთვის და სიძულვილისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელებისა და ნაქეზების მცდელობებისთვის.²⁵ მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სივრცე ინფორმაციის მიწოდებისა და დებატების გამართვის საშუალებას იძლევა როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებზე, ის ასევე უსაფრთხო სივრცეა ისეთი შეხედულებების გამოსაქვეყნებლად, რომლებიც შეიძლება სიძულვილით იყოს გაჯერებული და ინვევდეს ძალადობასა და ადამიანის უფლებების დარღვევას. აღნიშნულს განაპირობებს ინტერნეტის საშუალებით უზრუნველყოფილი ანონიმურობის მაღალი ხარისხი.²⁶ ინტერნეტი ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გამოიყენონ სიძულვილის ენა. ისინი ფიქრობენ, რომ მათ მიერ ციფრულ სივრცეში გაჟღერებული კომენტარების ან/და გამოქვეყნებული ფოტო/ვიდეო მასალისთვის პასუხისგება არ მოუწევთ. სწორედ ეს ხდის ონლაინ სიძულვილის ენას ასე უნიკალურს, რადგან ამ დროს ადამიანები გაცილებით უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს სიძულვილის გამოხატვისას, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში, როდესაც მათ უწევთ თავიანთი ნათქვამის შედეგებთან გამკლავება.²⁷

ციფრულ სფეროში არსებულ სხვადასხვა საფრთხესთან გასამკლავებლად, ევროკავშირმა შეიმუშავა კანონებისა და ინიციატივების მთელი რიგი. მათ შორის, ციფრული სერვისების შესახებ კანონი პრიორიტეტულად განიხილავს მომხმარებელთა უსაფრთხოებას. ის მოიცავს ახალ ვალდებულებებს სიძულვილის ენასთან საბრძოლველად.²⁸

ციფრული პლატფორმებისა და სოციალური მედიის განვითარებამ ხელი შეუწყო გამოხატვის უფლებით სარგებლობის ახალი საშუალებების შექმნას. ამავდროულად, აღნიშნული საშუალებებით ხელმისაწვდომი გახდა სიძულვილის ენის ისეთი გზებით გავრცელება, რაც რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელიც კი იყო.²⁹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად 2015 წელს მიიღო გადაწყვეტილება ონლაინ სივრცეში განთავსებულ სიძულვილის ენის შემცველ კომენტარებთან დაკავშირებით.³⁰

²³ Banks J., Regulating Hate Speech Online, *International Review of Law, Computers and Technology*, 24, 3, 2010, 233, <<https://ssrn.com/abstract=2129412>> [12.11.2025].

²⁴ Roels J., The Battle against Hate Speech and Freedom of Expression Online, Charles University in Prague Faculty of Law Research Paper No. 2017/II/4, 2017, 7, <<https://ssrn.com/abstract=2954422>> ან <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2954422>> [12.11.2025].

²⁵ European Commission, No Place for Hate: A Europe United Against Hatred, 2023, 6. <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52023JC0051>> [04.09.2025].

²⁶ Gagliardone I., Mapping and Analysing Hate Speech Online, University of Oxford, 2014, 12 <<https://ssrn.com/abstract=2601792>> ან <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2601792>> [12.11.2025].

²⁷ Gagliardone I., Gal D., Alves T., Martínez G., Countering online hate speech, UNESCO Series on Internet Freedom, 2015, 14. <<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000233231>> [04.09.2025].

²⁸ European Commission, No Place for Hate: A Europe United Against Hatred, 2023, 6. <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52023JC0051>> [04.09.2025].

²⁹ Psychogiopoulou E., The Fight Against Digital Hate Speech: Disentangling the EU's Regulatory Approach and Hurdles, *German Law Journal*, 2024, 1182.

³⁰ European Court of Human Rights, Factsheet – Hate speech, 2023, 24. <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/fs_hate_speech_eng> [03.09.2025].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე კილინი რუსეთის წინააღმდეგ, შეეხებოდა მომჩივნის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ვიდრე და აუდიო ფაილების გამოყენებით ძალადობისა და ეთნიკური უთანხმოების საჯარო მონოდეზისტის. აღნიშნული ციფრული მასალა ხელმისაწვდომი იყო სოციალური ქსელში.³¹ სასამართლომ მოცემული საქმე გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში განიხილა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ძლიერ დაცვას, მაგრამ როდესაც გამოხატვა ხელს უწყობს ან ამართლებს ძალადობას, სიძულვილს, ქსენოფობიას ან შეუწყნარებლობის სხვა ფორმას, იგი ვერ მოხვდება გამოხატვის თავისუფლების დაცვის სფეროში.³²

იდეებისა და შეხედულებების ინტერნეტით გავრცელება შეიძლება უფრო მეტად აყენებდეს რისკის ქვეშ ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას, ვიდრე პრესით, რადგან „არაკანონიერი სიტყვა“, მათ შორის სიძულვილის ენა და ძალადობისკენ მონოდება, შეიძლება რამდენიმე წამში გავრცელდეს მთელ მსოფლიოში და, ზოგჯერ, მუდმივად ხელმისაწვდომი დარჩეს.³³ ამავდროულად, შეიძლება განსხვავდებოდეს ვებ-გვერდებსა თუ სოციალურ ქსელში განთავსებული განცხადებები იმითაც, თუ რამდენად მასშტაბური რაოდენობის მიმდევარი ჰყავს იმ მომხმარებელს, რომელმაც განათავსა ინფორმაცია. ონლაინ პუბლიკაციის პოტენციური გავლენის შესაფასებლად შესაძლოა საჭირო იყოს საზოგადოებისთვის მისი წვდომის ფარგლების განსაზღვრა.³⁴

მომჩივნის მიერ გავრცელებული რასისტული მასალის, ძალადობისკენ მონოდეზისტისა და მისი განზრახვის გათვალისწინებით, სასამართლომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა მიიჩნია გამართლებულად და არ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.³⁵

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ სიძულვილის ენის არსის გააზრება და მისი სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება თანამედროვე ციფრულ სივრცეში, სადაც ონლაინ კომუნიკაცია ინფორმაციის გაცვლის მთავარ პლატფორმად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოები ცდილობენ სიძულვილის ენის პრევენციას, ინტერნეტისა და სოციალური მედიის სპეციფიკა ამ პროცესს არსებითად ართულებს. სიძულვილის ენა სოციალურ პლატფორმებზე მრავალფეროვანია და ის უკიდურესად მაღალი სიჩქარით ვრცელდება.³⁶ ტექნოლოგიური პროგრესის, განსაკუთრებით კი ხელოვნური ინტელექტის, სწრაფი განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიძულვილის ენის გავრცელების ფორმებსა და მასთან ბრძოლის მეთოდებზე. შესაბამისად, აუცილებელია საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ხელოვნური ინტელექტის გავლენა აღნიშნულ საკითხზე, რათა შეფასდეს მისი როგორც საფრთხის, ისე დადებითად გამოყენების შესაძლებლობის პოტენციალი.

³¹ Kilin v. Russia, [2021] ECHR, 1.

³² Perinçek v. Switzerland, [2015] ECHR, 230.

³³ Delfi As v. Estonia, [2015] ECHR, 110, 133.

³⁴ Savva Terentyev v. Russia, [2018] ECHR, 79.

³⁵ Kilin v. Russia, [2021] ECHR, 93-94.

³⁶ Battista D., Molano J. C., How AI Bots Have Reinforced Gender Bias In Hate Speech, ex æquo 48, 2023, 57.

3. ხელოვნური ინტელექტი და მისი სამართლებრივი რეგულირება

ხელოვნური ინტელექტი, რომლის ცნობადობა და გამოყენების მაჩვენებელი ყოველდღიურად იმატებს, დიდი შესწავლისა და კვლევის საგანია.³⁷ მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ პირველად 1950-იან წლებში გამოიყენეს,³⁸ მისი სამართლებრივი განმარტება მხოლოდ და მხოლოდ უახლოეს წარსულში გახდა შესაძლებელი.

2017 წლიდან 69 ქვეყანამ ერთობლივად მიიღო ხელოვნური ინტელექტის 800-ზე მეტი რეგულაცია. რეგულაციების მიზანია ისეთი საკითხების მოგვარება, როგორებიცაა მიკერძოება, დისკრიმინაცია, კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება.³⁹

მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტის გარშემო არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, როგორც მოქმედი რეგულაციების, ისე სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით. მხოლოდ და მხოლოდ ერთი წლის წინ, 2024 წელს, მიიღეს ევროპის საბჭომ და ევროკავშირმა პირველი იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავენ სახელმწიფოებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას ხელოვნური ინტელექტის სისტემების სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობისა და ადამიანის უფლებებზე მათი გავლენის რეგულირებისთვის.⁴⁰

ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ⁴¹ (ამ თავის მიზნებისთვის, შემდგომში – კონვენცია) ამ სფეროში პირველი საერთაშორისო, იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებაა, რომელიც თითოეულ მხარეს ავალდებულებს უზრუნველყოს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სრულად შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას. გარდა ამისა, აღნიშნული კონვენციის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ციფრულ სამყაროში დისკრიმინაციის რისკების არსებობა.⁴²

კონვენციის მე-2 მუხლში განერილია ხელოვნური ინტელექტის განმარტება. კერძოდ, „ხელოვნური ინტელექტის სისტემა“ ნიშნავს მანქანაზე დაფუძნებულ სისტემას, რომელიც, პირდაპირი ან არაპირდაპირი მიზნების მისაღწევად, მიღებული მონაცემების საფუძველზე, ადგენს როგორ შექმნას ისეთი შედეგები, როგორებიცაა პროგნოზები, შინაარსი, რეკომენდაციები ან გადაწყვეტილებები, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ფიზიკურ ან ვირტუალურ გარემოზე. სხვადასხვა ხელოვნური ინტელექტის სისტემა, დანერგვის შემდეგ, ავტონომიის და ადაპტაციის დონით განსხვავდება ერთმანეთისგან.⁴³

კონვენციის მიღებამდე, ხელოვნური ინტელექტის განმარტების სხვადასხვა ვერსია არსებობდა. მათი ანალიზის საფუძველზე კი შეიძლება გამოიყოს ხელოვნური ინტელექტისთვის

³⁷ Battista D., Molano J. C., How AI Bots Have Reinforced Gender Bias In Hate Speech, *ex æquo* 48, 2023, 59.

³⁸ McCarthy J., Minsky M. L., Rochester N., Shannon C. E., A Proposal for the Dartmouth Summer Research Project on Artificial Intelligence, 1955.

³⁹ Romanishyn A., Malytska O., Goncharuk V., AI-driven disinformation: policy recommendations for democratic resilience, 2025, 5.

⁴⁰ Background paper for the Judicial Seminar 2025: Protecting human rights in a world of Artificial Intelligence, algorithms and big data, 2024, 2.

⁴¹ Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law, 17/05/2024, <<https://rm.coe.int/1680afae3c>> [21.08.2025].

⁴² იქვე, პრეამბულა.

⁴³ იქვე, მუხლი 2.

დამახასიათებელი შემდეგი ძირითადი თვისებები: ტექნიკურ მოწყობილობებზე (სისტემებზე) ხელმისაწვდომობით ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის შესაძლებლობა; ავტონომიურობა წინასწარ განსაზღვრულ დონეზე, ადამიანის ჩარევის გარეშე; შესწავლილ მონაცემებზე დაფუძნებული ინფორმაციის დამუშავების/გაანალიზებისა და გონივრული გადაწყვეტილებების მიღების უნარი; თვითმომზადებისა და დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიების უნარი.⁴⁴ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს ახასიათებთ ისეთი უნარებიც, რომლებიც ადამიანის შესაძლებლობებს წააგავს. მაგალითად, ინფორმაციის აღქმა, არგუმენტაცია, განსჯა, მოქმედება და სხვა.⁴⁵ ხელოვნური ინტელექტის ძირითადი მიზანია ისეთი ალგორითმებისა და მექანიზმების განვითარება, რომლებიც ადამიანის ტვინის კოგნიტური ფუნქციების მიბაძვასა და მათ მოდელირებაზეა ორიენტირებული.⁴⁶

ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ კონვენციის თითოეული ხელმომწერი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ხელოვნური ინტელექტის საშუალებით განხორციელებული აქტივობების ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებებთან შესაბამისობა,⁴⁷ მათ შორის, გენდერულ თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპთან შესაბამისობა.⁴⁸

გარდა კონვენციისა, ევროკავშირის მიერ 2024 წელს მიღებული ხელოვნური ინტელექტის შესახებ კანონი⁴⁹ მიზანია ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა ხელოვნური ინტელექტის სისტემების პასუხისმგებლიანი განვითარებისა და დანერგვის უზრუნველსაყოფად, ევროკავშირის მიერ დაცული ღირებულებების, მათ შორის, ფუნდამენტური უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პოტენციური რისკების გათვალისწინებით.⁵⁰

ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტიურად მიმდინარეობს ხელოვნური ინტელექტის შესახებ ფედერალური პოლიტიკის შემუშავება. თეთრი სახლის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პოლიტიკის ოფისმა გამოაქვეყნა ხელოვნური ინტელექტის შესახებ კანონის კონცეფცია, რომელშიც ხაზგასმულია ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელობა და ამავედროულად გამოთქმულია შეშფოთება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე მისი გავლენის შესახებ. კონცეფციის თანახმად, რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიკვეთა, მათ შორისაა დისკრიმინაციის პრევენცია. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის სისტემები უნდა შემუშავდეს და გამოყენებულ იქნას იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული რასის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა და სხვა მახასიათებლების საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმა.⁵¹

⁴⁴ გაბისონია ზ., ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია საქართველოსთვის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 8/2021, 24.

⁴⁵ გოდერძიშვილი ნ., ხელოვნური ინტელექტი: არსი, საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკური ნორმები და რეკომენდაციები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2021, 10.

⁴⁶ არეშიძე მ., ხელოვნური ინტელექტი სისხლის სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი №2(82), 2024, 154.

⁴⁷ Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law, 17/05/2024, article 4, <<https://rm.coe.int/1680afae3c>> [21.08.2025].

⁴⁸ იქვე, მუხლი 10.

⁴⁹ Artificial Intelligence Act, 13/06/2024, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L_202401689> [21.08.2025].

⁵⁰ Background paper for the Judicial Seminar 2025: Protecting human rights in a world of Artificial Intelligence, algorithms and big data, 2024, 2.

⁵¹ Shadska U. et al., Human rights in the era of Artificial Intelligence: challenges and legal regulation, 2024, 16-17.

მართალია, ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირება ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, თუმცა უკვე აშკარაა მისი ზეგავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ შორის კომუნიკაციის ფორმებსა და ონლაინ სივრცეში ურთიერთობებზე. კერძოდ, სოციალურ მედიასა და სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე აქტიურად გამოიყენება ალგორითმები და ავტომატური სისტემები, რომლებიც განსაზღვრავენ რა შინაარსის მატარებელი ინფორმაცია დაინახოს მომხმარებელმა, როგორ გაფილტრონ ან წაშალონ პოტენციურად საზიანო ინფორმაცია და როგორ იმოქმედონ სიძულვილის ენის გავრცელებაზე. სწორედ ხელოვნური ინტელექტის ამგვარი ჩარევა ქმნის ახალი ტიპის დინამიკას სიძულვილის ენის გამოვლენასა და მასზე რეაგირებაში, რაც საჭიროებს დამოუკიდებელ ანალიზს ტექნოლოგიურ და სამართლებრივ ქრილში.

4. ხელოვნური ინტელექტის გავლენა სიძულვილის ენაზე

ბოლო წლებში დიდი დაკვირვების საგანი გახდა ხელოვნური ინტელექტით განპირობებული სიძულვილის ენის ახალი გამოვლინებები. დაკვირვების შედეგად ვლინდება თუ როგორ აძლევს საშუალებას ხელოვნური ინტელექტის განვითარება ინდივიდებსა და ჯგუფებს, შექმნან რეალურთან მიახლოებული სიძულვილით სავსე სურათები, ვიდეოები და ტექსტები, რომლებიც შექმნილია არსებული ცრურწმენების საფუძველზე, მავნე სტერეოტიპების გასაძლიერებლად ან/და განხეთქილების დასათესად. მსგავსი ტიპის ინფორმაციის შესაქმნელად აღარ არის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევების ქონა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია მინიმალური ძალისხმევით შექმნას მისთვის სასურველი შინაარსის მქონე ციფრული მასალა.⁵²

ნეგატიური სტერეოტიპების გასაძლიერებლად ხშირად მულტიმედიური ფორმატები გამოიყენება. ონლაინ გარემო ხელს უწყობს ფართო აუდიტორიაში დისკრიმინაციული და ცრურწმენებით სავსე შეტყობინებების სწრაფ გავრცელებას.⁵³ სოციალურ მედიაში სიძულვილის ენა შეიძლება გავრცელდეს ისეთი ფორმებით, როგორებიცაა ტექსტები, აუდიოჩანაწერები, ფოტოები ან/და ვიდეოები.⁵⁴ ამ მიმართულებით, დიდ როლს თამაშობს ხელოვნური ინტელექტი. კერძოდ, ერთის მხრივ, მას აქვს პოტენციალი დადებითი გავლენა იქონიოს სიძულვილის ენის გამოვლინებისა და აღკვეთის თვალსაზრისით, ხოლო, მეორეს მხრივ, შეშფოთებას იწვევს მისი საპირისპირო მიზნით გამოყენების შესაძლებლობა და მაჩვენებელი.

სიძულვილის ენაზე ხელოვნური ინტელექტის შესაძლო პოზიტიური გავლენიდან აღსანიშნავია მისი გამოყენება ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის ამოსაცნობად. სოციალური მედიის პლატფორმებისა და ბლოგების სწრაფად მზარდმა გამოყენებამ მსოფლიოში 3.8 მილიარდზე მეტი სოციალური მედიის აქტიური მომხმარებლის შექმნა განაპირობა, რომლებიც კომუნიკაციის ძირითად საშუალებად ტექსტს იყენებენ. აღნიშნულ მომხმარებელთა ნაწილი იყენებს ენას, რომელიც გამოხატავს სიძულვილს კონკრეტული ჯგუფის მიმართ.⁵⁵ ონლაინ

⁵² Regeni P., Wallner C., Online Hate Speech and Discrimination in the Age of AI, Conference Report, 2025, 3-4, <<https://static.rusi.org/online-hate-speech-and-discrimination-in-the-age-of-ai-june-2025.pdf>> [25.08.2025].

⁵³ Battista D., Molano J. C., How AI Bots Have Reinforced Gender Bias In Hate Speech, ex æquo 48, 2023, 55.

⁵⁴ Saleh H., Alhothali A., Moria K., Detecting White Supremacist Hate Speech using Domain Specific Word Embedding with Deep Learning and BERT, 2020, 2.

⁵⁵ Wullach T., Adler A., Minkov E., Towards Hate Speech Detection at Large via Deep Generative Modeling, 2020, 1.

სივრცეში განთავსებული პოსტების მონიტორინგი და სიძულვილის ენის გამოვლინება პრობლემური საკითხია, რადგან იგი მოითხოვს უზარმაზარ რესურსს, მათ შორის მაღალი ხარისხის გამოთვლებს და ათასობით ექსპერტს.⁵⁶ სწორედ ამ მიზეზით, დღეისათვის საკმაოდ პოპულარულია ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული სიძულვილის ენის ამომცნობი ალგორითმები.⁵⁷ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელი იქნება სიძულვილის ენის სწრაფად და მარტივად გამოვლენა, ასევე, სხვადასხვა მახასიათებლებით დაჯგუფება, გავრცელების არეალის დადგენა და ყველა სხვა რელევანტური მახასიათებლების შეგროვება და ანალიზი. გარდა ციფრულ სივრცეში უკვე განთავსებული სიძულვილის ენის გამოვლინებისა, ზოგიერთი მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს, ალგორითმების გამოყენებით, სოციალური მედიის იმ მომხმარებელთა წინასწარ დადგენას, რომლებიც სავარაუდოდ გაავრცელებენ სიძულვილის ენას.⁵⁸ ზოგიერთი მკვლევარი კი მიიჩნევს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია ხელახალი ვიქტიმიზაციის რისკების პროგნოზირება.⁵⁹

ხელოვნური ინტელექტის პოზიტიური კუთხით გამოყენების ამ მცდელობას თან ახლავს რისკიც. კერძოდ, პროგრამული ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, იგი შეიძლება გახდეს გამოხატვის თავისუფლების არამართლზომიერი შეზღუდვის საფუძველი.⁶⁰ მაგალითად, ამოცნობილი ნიმუშების საფუძველზე, ხელოვნური ინტელექტს შეუძლია იწინასწარმეტყველოს, შეიცავს თუ არა ჯერ კიდევ უცნობი ტექსტი სიძულვილის ენას.⁶¹ თუმცა, სიძულვილის ენისთვის დამახასიათებელი საკვანძო სიტყვები შეიძლება გამოყენებულ იქნას ისე, რომ არ ჩაითვალოს სიძულვილის ენად ან სიტყვები, რომლებიც გამოიყენება როგორც სიძულვილის ენა, შეიძლება იყოს სიძულვილის შემცველი მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში.⁶² გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ხელოვნური ინტელექტს, ალგორითმების შედგენის საშუალებით, ქმნის ადამიანი, იგი შესაძლოა იმთავითვე დისკრიმინაციული პარამეტრებით შეიქმნას.⁶³ თუმცა, ამ ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტ-მომხმარებელს ყოველთვის ჰქონდეს მის მიერ გამოქვეყნებული მასალის წაშლასთან დაკავშირებით საჩივრის დაწერის შესაძლებლობა.⁶⁴

რაც შეეხება სიძულვილის ენაზე ხელოვნური ინტელექტის უარყოფით გავლენას, მათგან აღსანიშნავია რამდენიმე შემთხვევა.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ Khan W. Z., Kibriya H., Siddiq A., Khurram khan M., Towards Safer Online Communities: Deep Learning and Explainable Ai for Hate Speech Detection and Classification, 2023, 11, <<https://ssrn.com/abstract=4620796>>; <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.4620796>> [12.11.2025].

⁵⁸ Masud S., Dutta S., Makkar S., Jain C., Goyal V., Hate is the New Infodemic: A Topic-aware Modeling of Hate Speech Diffusion on Twitter, 2020, 11.

⁵⁹ Gonzalez-Prieto A., Bru A., Nuno J., Gonzalez-Alvarez J., Machine learning for risk assessment in gender-based crime, 2021, 8.

⁶⁰ გვარამაძე თ., ადამიანის უფლებები და ხელოვნური ინტელექტი, ბურდული ი. (რედ.), „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2024, 147.

⁶¹ Dietrich F., AI-based removal of hate speech from digital social networks: chances and risks for freedom of expression, Springer, 2024, 2946.

⁶² Parker S., Ruths D., Is hate speech detection the solution the world wants?, Published by PNAS, 2023, 1.

⁶³ გვარამაძე თ., ადამიანის უფლებები და ხელოვნური ინტელექტი, ბურდული ი. (რედ.), „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2024, 149.

⁶⁴ Dias T., Tackling Online Hate Speech through Content Moderation: The Legal Framework Under the International Covenant on Civil and Political Rights, 2022, Bahador, Hammer and Livingston (eds), Countering online hate and its offline consequences in conflict-fragile settings, 2024, 9 <<https://ssrn.com/abstract=4150909>> [12.11.2025].

დღეისათვის ხელოვნური ინტელექტი⁶⁵ ფართოდ გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო პლატფორმა, რომლის დახმარებით ადამიანები ურთიერთობენ ხელოვნურ ინტელექტთან მრავალფეროვან თემებზე, სვამენ კითხვებს, იღებენ რჩევებს და ეძებენ საჭირო ინფორმაციას. მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებმა შესაძლებელი გახადა, ნებისმიერმა პირმა მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია ინტერნეტ სივრცეში.⁶⁶ თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის ძირითადი მონაცემთა ბაზა არის ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია. რაც ნიშნავს იმას, რომ ის, როგორც წესი, შეიცავს არასანდო განცხადებებს, ადამიანურ მიკერძოებებს და შეურაცხმყოფელ ენას. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ ინტელექტს არ აქვს ამის განზრახვა, კომუნიკაციისას მან შეიძლება შეეძინოს შეურაცხმყოფელი ან დისკრიმინაციული ტექსტები.⁶⁷

ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ტექსტის გენერირების ინსტრუმენტები ორლესულ მახვილებად იქცა. ისინი ეფექტურობასა და შემოქმედებითობას გვთავაზობენ, მაგრამ არასწორ ხელში მოხვედრამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ცრუ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და დამაჯერებლობა.⁶⁸

გარდა ხელოვნური ინტელექტის მიერ დისკრიმინაციით გაჯერებული ინფორმაციის შესაძლო მონოდებისა, ასევე, განსახილველად მნიშვნელოვანია მის მიერ შექმნილი სხვადასხვა ციფრული მასალა, უფრო კონკრეტულად კი „ღრმა ფალსიფიკატი“⁶⁹.

„ღრმა ფალსიფიკატი“ არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ციფრული მედიის (ტექსტები, აუდიოჩანაწერები, ფოტოები, ვიდეოები) აღსანიშნავად და რომელიც შექმნილი ან რედაქტირებულია ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებით.⁷⁰ იგი იქმნება ღრმა ნეირონული ქსელების გამოყენებით და ასახავს მოვლენებს, რომლებიც არასდროს მომხდარა. იგი შეიძლება შეიქმნას გასართობად, პირის ცილისწამებისთვის, ყალბი ამბების გასავრცელებლად და სხვა. ხელოვნური ინტელექტის მუდმივი განვითარება ხელმისაწვდომს ხდის „ღრმა ფალსიფიკატის“ შექმნას უფრო ფართო სპექტრისთვის. უმარტივესი ხელსაწყოებიც კი აღჭურვილია გრაფიკული ინტერფეისით, რომელიც გამოუცდელ მომხმარებლებს „ღრმა ფალსიფიკატის“ შექმნის საშუალებას აძლევს.⁷¹

⁶⁵ მაგალითად, OpenAI.

⁶⁶ მგელაძე მ., გორგოშაძე მ., მაღალი ხელოვნური ინტელექტის, რობოტის მიმართ ადამიანის ზოგიერთი უფლების გავრცელების სამართლებრივი რეგულირების საკითხები, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, №1, 2019, 65.

⁶⁷ Chiu K., Collins A., Alexander R., Detecting Hate Speech with GPT-3, University of Toronto, 2022, 1-2.

⁶⁸ Romanishyn A., Malytska O., Goncharuk V., AI-driven disinformation: policy recommendations for democratic resilience, 2025, 14.

⁶⁹ ე.წ. deepfake არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს სინთეზური მედიის ქვეჯგუფს. თავად ტერმინი არის სიტყვების „deep learning“ და „fake“ კომბინაცია (Firc A., Malinka K., Hanacek P., Deepfakes as a threat to a speaker and facial recognition: An overview of tools and attack vectors, Brno, Heliyon 9 (2023), 1). ტერმინი „deepfakes“ 2017 წელს შეიქმნა და მისი გამოყენების ტექნოლოგია პირველად ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, როდესაც Reddit-ის ანონიმურმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა პორნოგრაფიული ვიდეოები, სადაც სხვისი სახე სხვის ტანზე იყო განთავსებული, ხოლო მოგვიანებით GitHub-ზე გამოაქვეყნა შესაბამისი კოდი (Pawelec M., Deepfakes and Democracy (Theory): How Synthetic Audio-Visual Media for Disinformation and Hate Speech Threaten Core Democratic Functions, 2022, 21-22).

⁷⁰ Lyu S., DeepFake the menace: mitigating the negative impacts of AI-generated content, Organizational Cybersecurity Journal: Practice, Process and People, 2023, 1-3.

⁷¹ Firc A., Malinka K., Hanacek P., Deepfakes as a threat to a speaker and facial recognition: An overview of tools and attack vectors, Brno, Heliyon 9, 2023, 1.

„ღრმა ფალსიფიკატის“ პოპულარობა და მარტივი ხელმისაწვდომობა საჭიროს ხდის იმის გამოკვლევას, თუ რა საფრთხეები და ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს მას კიბერსივრცე-სა და სიძულვილის ენაზე.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული „ღრმა ფალსიფიკატი“ არის ქალის გამოსახულებით შექმნილი პორნოგრაფიული ვიდეოები. 2019 წელს „ღრმა ფალსიფიკატი“ ვიდეოების 96% იყო სწორედ ქალის გამოსახულებით შექმნილი ყალბი პორნოგრაფიული ვიდეოები. მსგავსი ტიპის ვიდეოების შექმნა გაამარტივა ხელოვნურმა ინტელექტმა, უფრო მეტიც, გაამარტივე-ბასთან ერთად, ხელოვნურმა ინტელექტმა უფრო მეტად რეალური გახადა ისინი. პორნოგრა-ფიულმა „ღრმა ფალსიფიკატმა“ ვიდეოებმა შეიძლება მსხვერპლს სერიოზული ფსიქოლოგიუ-რი ზიანი მიაყენოს, მათ შორის შფოთვა და დეპრესია. მათ შეუძლიათ მსხვერპლისთვის არა-ხელსაყრელი გარემო შექმნან, მაგალითად, პროფესიულ საქმიანობაში. ისინი, ასევე, საფ-რთხეს უქმნიან მსხვერპლის თანასწორობასა და თავისუფლებას. ზოგიერთ შემთხვევაში ქა-ლებს უწევთ სახელის შეცვლა ან ონლაინ სივრცეში აქტიურობის შეწყვეტა. მსგავსი ტიპის პორნოგრაფია ქალებს ხელს უშლის აქტიურად მიიღონ მონაწილეობა როგორც რეალურ, ისე ვირტუალურ სამყაროში.⁷²

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და თვალსაჩინო მაგალითია ჩრდილოეთ ირლანდიის პარ-ლამენტის წევრი კარა ჰანტერი, რომელიც „ღრმა ფალსიფიკატი“ პორნოგრაფიის კამპანიის სამიზნე გახდა. დაუდგენელმა პირმა ხელოვნური ინტელექტი გამოიყენა მისი პიროვნების სექსუალურ ვიდეოზე გადასატანად და შემდგომ ყალბი ვიდეო ციფრულ სივრცეში გაავრცე-ლა. პერსონალური ზიანის (რეპუტაციის დაზიანება და ემოციური ტრავმა) გარდა, არსებობს რისკი, რომ გამოგონილი და დამამცირებელი შინაარსის შემცველი მასალების გავრცელება ქალებსა და ახალგაზრდებს პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილს დაუკარგავს. ამ კონკრე-ტულმა საქმემ დიდ ბრიტანეთს ყურადღება მიაქცევინა „ღრმა ფალსიფიკატი“ ჩავვრის წი-ნააღმდეგ უფრო ძლიერი სამართლებრივი საშუალებების საჭიროებაზე. ერთ-ერთი დებატე-ბის დროს, განხილულიც კი იქნა მსგავსი შემთხვევების შესაძლო კრიმინალიზაცია.⁷³

გარდა ქალებისა, „ღრმა ფალსიფიკატები“ გავლენას ახდენენ დისკრიმინაციის სხვა ნიშ-ნების წარმომადგენლებზეც (მაგალითად, განსხვავებული კანის ფერის მქონე ადამიანები, ლგბტ+ თემის და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლები). „ღრმა ფალსიფიკა-ტი“ უპირატესად აზიანებს დემოკრატიულ ნორმებს. სიძულვილის ენის სხვა ფორმების მსგავ-სად, ის ამძაფრებს არსებულ დისკრიმინაციას დაშინებისა და დამცირების გზით. ის მარგინა-ლიზებული ჯგუფების წევრებს ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასა და საკუთარი უფლებების სრულად რეალიზებაში.⁷⁴

ხშირია შემთხვევა, როდესაც აუდიტორია აღიქვამს, რომ ციფრულ სივრცეში განთავსე-ბული მასალა არის ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შექმნილი, მაგრამ აღნიშნული მა-სალის ძირითად ნარატივს კვლავაც აქვს გამოხმაურება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ეხება პირის რწმენებს და მიკერძოებულ დამოკიდებულებებს. ხშირ შემთხვევაში, „შეტყობი-

⁷² Pawelec M., *Deepfakes and Democracy (Theory): How Synthetic Audio-Visual Media for Disinformation and Hate Speech Threaten Core Democratic Functions*, 2022, 22.

⁷³ Romanishyn A., Malyska O., Goncharuk V., *AI-driven disinformation: policy recommendations for democratic resilience*, 2025, 12.

⁷⁴ Pawelec M., *Deepfakes and Democracy (Theory): How Synthetic Audio-Visual Media for Disinformation and Hate Speech Threaten Core Democratic Functions*, 2022, 22-23.

ნების შესაბამისობა არსებულ მიკერძოებებთან უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ტექნიკური ავთენტურობა“.⁷⁵

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ხელოვნური ინტელექტის შესაძლო უარყოფით გავლენაზე სიძულვილის ენის გავრცელების პროცესში, თუმცა ამის აღმოსაფხვრელად ტექნოლოგიური განვითარების შეჩერება არ უნდა გახდეს გამოსავალი. აუცილებელია, ხელოვნური ინტელექტის განვითარების პროცესს მიეცეს სწორად რეგულირებული და ეთიკურად ორიენტირებული მიმართულება, რაც ხელს შეუწყობს მის პასუხისმგებლიან და საზოგადოებრივად სასარგებლო გამოყენებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილ დისკუსიებში, ყოველთვის ჟღერდება მოსაზრებები დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინკლუზიური და მონაწილეობითი ციფრული გარემოს შექმნის აუცილებლობის თაობაზე. ხელოვნური ინტელექტის მიერ ხელშეწყობილ სიძულვილის ენასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლა მოითხოვს არა მხოლოდ მარეგულირებელ და ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, არამედ გრძელვადიან ინვესტიციებს ისეთი ციფრული სივრცეების შესაქმნელად, რომლებიც მომხმარებლებს გააძლიერებს და არა პირიქით.⁷⁶

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტის გავლენა სიძულვილის ენის გავრცელებასა და პრევენციაზე ორმხრივია — ერთი მხრივ, ის წარმოშობს ახალ საფრთხეებს, მათ შორის ავტომატიზებული დისკრიმინაციისა და ციფრულ სივრცეში სიძულვილის გავრცელების რისკს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სიძულვილის ენის ამოსაცნობად და მისი პრევენციისთვის. იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით სიძულვილის ენის შემცველი ციფრული მასალის შექმნა და გავრცელება, აუცილებელია ინკლუზიური ციფრული უსაფრთხოების სტრატეგიის შექმნა, რომელიც გააერთიანებს როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს, ისე სხვა პრევენციულ ღონისძიებებს.

5. დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოსთვის სიძულვილის ენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. იგი ძირს უთხრის სოციალურ ერთიანობას, ანადგურებს საერთო ფასეულობებს, საფუძველს უყრის ძალადობას და საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას. იგი არა მხოლოდ ზიანს აყენებს ადამიანს პიროვნულ დონეზე და აღვივებს ძალადობას, არამედ, არღვევს ინკლუზიურობას, მრავალფეროვნებასა და ადამიანის უფლებებს.

სიძულვილის ენა მჭიდროდაა დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან, რაც თავის მხრივ ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს საწყისს წარმოადგენს. ბალანსი უნდა იყოს დაცული, ერთი მხრივ, სიძულვილის ენასთან ბრძოლასა და, მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლების დაცვას შორის.

სტატიაში მიმოხილულმა საერთაშორისო თუ ადგილობრივმა საკანონმდებლო ჩარჩომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ და სხვა კონკრეტულმა შემთხვე-

⁷⁵ Regeni P., Wallner C., Online Hate Speech and Discrimination in the Age of AI, Conference Report, 2025, 5, <<https://static.rusi.org/online-hate-speech-and-discrimination-in-the-age-of-ai-june-2025.pdf>> [25.08.2025].

⁷⁶ Regeni P., Wallner C., Online Hate Speech and Discrimination in the Age of AI, Conference Report, 2025, 9, <<https://static.rusi.org/online-hate-speech-and-discrimination-in-the-age-of-ai-june-2025.pdf>> [25.08.2025].

ვებმა ცხადყო სიძულვილის ენის მანერე გავლენა საზოგადოებაზე და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მასთან ბრძოლის მნიშვნელობას. მისი უარყოფითი გავლენიდან გამომდინარე, არსებითად მნიშვნელოვანია სიძულვილის ენის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, გამოვლენილ ქმედებებზე სათანადო რეაგირება და პრევენციის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან, სათანადო ღონისძიებების გატარება.

ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მთავარი ხელსაწყო, რომელიც საზოგადოებას დაეხმარება ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის კონტროლში ან პირიქით, ხელს შეუწყობს მისი ახალ-ახალი ფორმებით გავრცელებას. ხელოვნური ინტელექტის წარმატება დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად დინამიურად შეძლებს სოციალურ და კულტურულ ცვლილებებთან ადაპტირებას.

ამავდროულად, თანამედროვე სამართლებრივი ჩარჩოები სულ უფრო ხშირად აწყდებიან ახალი ტიპის გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება როგორც ციფრული ტექნოლოგიების, ისე ხელოვნური ინტელექტის სწრაფ და ნაკლებად პროგნოზირებად განვითარებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია სიძულვილის ენის რეგულირება იმ კონტექსტში, სადაც შინაარსის შექმნაში, გადაცემასა და გავრცელებაში ჩართულია ავტომატიზებული სისტემები.

საჭირო ხდება ნორმატიული ჩარჩოების ხელახალი გააზრება, რათა უზრუნველყოფილი იყოს როგორც ადამიანის ღირსების დაცვა, ისე ტექნოლოგიური პროგრესის სამართლებრივი მართვა. სიძულვილის ენისა და ხელოვნური ინტელექტის გადაკვეთის წერტილები გვიჩვენებს, თუ რამდენად აუცილებელია რეგულაციათა ანალიზი არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ სისტემური და ეთიკურ-სამართლებრივი პერსპექტივიდან.

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარებისა და სიძულვილის ენის საფრთხეების გათვალისწინებით, კრიტიკულად აუცილებელია, სახელმწიფოებმა ეფექტიანი პოლიტიკით უზრუნველყონ ტექნოლოგიების განვითარებისა და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიული დაბალანსება.

ბიბლიოგრაფია:

1. *არეშიძე მ.*, ხელოვნური ინტელექტი სისხლის სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი №2 (82), 2024, 154.
2. *გაბისონია ზ.*, ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია საქართველოსთვის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 8/2021, 24.
3. *გვარამაძე თ.*, ადამიანის უფლებები და ხელოვნური ინტელექტი, *ბურდული ი. (რედ.)*, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2024, 147, 149.
4. *გოდერძიშვილი ნ.*, ხელოვნური ინტელექტი: არსი, საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკური ნორმები და რეკომენდაციები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2021, 10.
5. *მგელაძე მ.*, *გორგოშაძე მ.*, მაღალი ხელოვნური ინტელექტის, რობოტის მიმართ ადამიანის ზოგიერთი უფლების გავრცელების სამართლებრივი რეგულირების საკითხები, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, №1, 2019, 65.
6. *ტარტარაშვილი თ.*, *ფირცხალაიშვილი ნ.*, სიძულვილის ენა, თბ., 2017, 4.
7. Artificial Intelligence Act, 13/06/2024, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L_202401689> [21.08.2025].
8. Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law, 17/05/2024, <<https://rm.coe.int/1680afae3c>> [21.08.2025].

9. International Covenant on Civil and Political Rights, 1966, 20, <<https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights>> [20.08.2025].
10. Background paper for the Judicial Seminar 2025: Protecting human rights in a world of Artificial Intelligence, algorithms and big data, 2024, 2.
11. *Banks J.*, Regulating Hate Speech Online, *International Review of Law, Computers and Technology*, 24, 3, 2010, 233, <<https://ssrn.com/abstract=2129412>> [12.11.2025].
12. *Battista D., Molano J. C.*, How AI Bots Have Reinforced Gender Bias In Hate Speech, *ex æquo* 48, 2023, 55, 57, 59.
13. *Chiu K., Collins A., Alexander R.*, Detecting Hate Speech with GPT-3, University of Toronto, 2022, 1-2.
14. COE, ECRI General Policy Recommendation №15 on Combating Hate Speech, ECRI Publishing, Strasbourg, 2016, 3.
15. COE, Recommendation No. R (97)20 of The Committee of Ministers to Member States on "Hate Speech", 1997, 107.
16. Cohen-Almagor R., Bullying, Cyberbullying and Hate Speech, *International Journal of Technoethics (IJT)*, Volume 13, Issue 1, 2022, 6-7, <<https://ssrn.com/abstract=4033031>> ა6 <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.4033031>> [12.11.2025].
17. *Dias T.*, Tackling Online Hate Speech through Content Moderation: The Legal Framework Under the International Covenant on Civil and Political Rights, 2022, Bahador, Hammer and Livingston (eds), Countering online hate and its offline consequences in conflict-fragile settings, 2024, 9, <<https://ssrn.com/abstract=4150909>> [12.11.2025].
18. *Dietrich F.*, AI-based removal of hate speech from digital social networks: chances and risks for freedom of expression, Springer, 2024, 2946.
19. European Commission, No Place for Hate: A Europe United Against Hatred, 2023, 6. <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52023JC0051>> [04.09.2025].
20. European Court of Human Rights, Factsheet – Hate speech, 2023, 24. <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/fs_hate_speech_eng> [03.09.2025].
21. *Firc A., Malinka K., Hanacek P.*, Deepfakes as a threat to a speaker and facial recognition: An overview of tools and attack vectors, *Brno, Heliyon* 9 (2023), 1.
22. *Gagliardone I., Gal D., Alves T., Martínez G.*, Countering online hate speech, *UNESCO Series on Internet Freedom*, 2015, 14. <<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000233231>> [04.09.2025].
23. *Gagliardone I.*, Mapping and Analysing Hate Speech Online, University of Oxford, 2014, 12, <<https://ssrn.com/abstract=2601792>>; <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2601792>> [12.11.2025].
24. *Gonzalez-Prieto A., Bru A., Nuno J., Gonzalez-Alvarez J.*, Machine learning for risk assessment in gender-based crime, 2021, 8.
25. *Howard W. J.*, Free Speech and Hate Speech, *Annual Review of Political Science*, London, Volume 22, 2019, 95.
26. *Khan W. Z., Kibriya H., Siddiq A., Khurram khan M.*, Towards Safer Online Communities: Deep Learning and Explainable Ai for Hate Speech Detection and Classification, 2023, 11, <<https://ssrn.com/abstract=4620796>> ა6 <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.4620796>> [12.11.2025].
27. *Lyu S.*, DeepFake the menace: mitigating the negative impacts of AI-generated content, *Organizational Cybersecurity Journal: Practice, Process and People*, 2023, 1-3.
28. *Masud S., Dutta S., Makkar S., Jain C., Goyal V.*, Hate is the New Infodemic: A Topic-aware Modeling of Hate Speech Diffusion on Twitter, 2020, 11.
29. *McCarthy, J., Minsky, M. L., Rochester, N., & Shannon, C. E.*, A Proposal for the Dartmouth Summer Research Project on Artificial Intelligence, 1955.

30. Nave E., Hate Speech, Historical Oppressions, and European Human Rights, Buffalo Human Rights Law Review 29, 2023, 89, <<https://ssrn.com/abstract=4592218>> [12.11.2025].
31. Parker S., Ruths D., Is hate speech detection the solution the world wants?, Published by PNAS, 2023, 1.
32. Pawelec M., Deepfakes and Democracy (Theory): How Synthetic Audio-Visual Media for Disinformation and Hate Speech Threaten Core Democratic Functions, 2022, 21-23.
33. Paz A. M., Montero-Díaz J., Moreno-Delgado A., Hate Speech: A Systematized Review, SAGE Journals, Volume 10, Issue 4, 2020, 1.
34. Psychogiopoulou E., The Fight Against Digital Hate Speech: Disentangling the EU's Regulatory Approach and Hurdles, German Law Journal, 2024, 1182.
35. Recommendation CM/Rec(2022)16[1] of the Committee of Ministers to Member States on Combating Hate Speech, Appendix to Recommendation, 2022, 2, 7.
36. Regeni P., Wallner C., Online Hate Speech and Discrimination in the Age of AI, Conference Report, 2025, 3-5, 9, <<https://static.rusi.org/online-hate-speech-and-discrimination-in-the-age-of-ai-june-2025.pdf>> [25.08.2025].
37. Roels J., The Battle against Hate Speech and Freedom of Expression Online, Charles University in Prague Faculty of Law Research Paper No. 2017/II/4, 2017, 7, <<https://ssrn.com/abstract=2954422>> ა6 <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2954422>> [12.11.2025].
38. Romanishyn A., Malytska O., Goncharuk V., AI-driven disinformation: policy recommendations for democratic resilience, 2025, 5, 12, 14.
39. Saleh H., Alhothali A., Moria K., Detecting White Supremacist Hate Speech using Domain Specific Word Embedding with Deep Learning and BERT, 2020, 2.
40. Shadska U. and others, Human rights in the era of Artificial Intelligence: challenges and legal regulation, 2024, 16-17.
41. UN, United Nations Strategy and Plan of Action on Hate Speech, 2019, 1, 2.
42. United Nations, <<https://www.un.org/en/hate-speech/understanding-hate-speech/what-is-hate-speech#:~:text=In%20common%20language%2C%20%E2%80%9Chate%20speech,that%20may%20threaten%20social%20peace.>>> [20.08.2025].
43. United Nations, <<https://www.un.org/en/hate-speech>> [20.08.2025].
44. Weber A., Manual on Hate Speech, Council of Europe Publishing, 2009, 3.
45. Wullach T., Adler A., Minkov E., Towards Hate Speech Detection at Large via Deep Generative Modeling, 2020, 1.
46. Kilin v. Russia, [2021] ECHR, 1, 93-94.
47. Savva Terentyev v. Russia, [2018] ECHR, 79.
48. Delfi As v. Estonia, [2015] ECHR, 110, 133.
49. Perinçek v. Switzerland, [2015] ECHR, 230.
50. Erdoğan and İnce v. Turkey, [1999] ECHR, 8-10, 48, 54-55.

ლევან ღავთაძე*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობის განხილვისას**

საქართველოს კონსტიტუცია, ერთი მხრივ, პარლამენტის წევრის განსაკუთრებულ სტატუსს განსაზღვრავს, ხოლო, მეორე მხრივ, „*Numerus clausus*“ პრინციპით პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს ადგენს. საქართველოს კონსტიტუცია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას საქართველოს პარლამენტს ანიჭებს. გამომდინარე იქიდან, რომ პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლოა დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ნორმა-პრინციპები, შესაბამისად, საკითხის თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ დასახელებულ საკითხზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლის განხორციელება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიაკუთვნა.

წინამდებარე სტატიის მიზანია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტთან დაკავშირებული აქტუალური საკითხებისა და განსახილველი საკითხების თაობაზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გაანალიზება, რაც, თავის მხრივ, დაინტერესებულ მკითხველს მისცემს შესაძლებლობას გამოიტანოს სათანადო დასკვნები. ამასთანავე, სტატიის ფარგლებში, გამოიკვეთება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არსებული გამოწვევები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემოთავაზებული იქნება ავტორის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციური სამართალი, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, *Numerus clausus* პრინციპი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნება, მიხედულების ფარგლები, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე ხელმისაწვდომობა, საკონსტიტუციო კონტროლი.

1. შესავალი

„ხელისუფლებაში რომ ანგელოზები ყოფილიყვნენ, არც მისი შინაგანი კონტროლი იქნებოდა აუცილებელი და არც გარეგანი.“¹

საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტი არაერთი ასპექტისგან შედგება, რომელიც, ერთი მხრივ, ემსახურება დემოკრატიის დაცვას (არ მოხდეს საპარლამენტო საქმიანობის განხორციელება იმ პარლამენტის წევრების მი-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ლექტორი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი.

** შენიშვნა: მსგავს თემატიკაზე ავტორს გამოქვეყნებული აქვს სტატია „საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკის ჟურნალის“ 2022 წლის №1 საიუბილეო გამოცემაში, თუმცა წარმოდგენილ სტატიაში განხილული საკითხი შეიცავს განსხვავებულ ასპექტებს და შემოთავაზებული იქნება საკითხის ახლებურად გააზრება.

¹ The Federalist Papers: No. 51, <<https://guides.loc.gov/federalist-papers/text-51-60>> [20.09.2025].

ერ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან პარლამენტის ფექტიან ფუნქციონირებას/ავტორიტეტს), ხოლო, მეორე მხრივ, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მექანიზმის გამოყენებით არ მოხდეს ხალხის მიერ გამოვლენილი ნების თვითნებური დაძლევა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების კონსტიტუციური გარანტიის განუყოფელი ნაწილია მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისგან დაცვა. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის უფლებებში ჩარევის ყველაზე ინტენსიური ფორმაა“.²

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების კონსტიტუციური გარანტიის არსებით შემადგენელ ნაწილს სწორედ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისგან დაცვა წარმოადგენს. ამასთანავე, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, საკითხის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლის განსაზღვრა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შეფასებისას.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობის შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს, როლის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გამომდინარე იქიდან, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციით ამომწურავადაა ჩამოთვლილი, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხის კონსტიტუციურობის შეფასებისას უნდა დაადგინოს, საქართველოს პარლამენტმა გადაწყვეტილების მიღებისას რამდენად კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად გამოიყენა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონკრეტული საფუძველი.

აღნიშნული სტატიის ფარგლებში განხილული იქნება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტის არსი; დადგინდება რა ინტერპრეტაციის სივრცეს ტოვებს 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად დამატებული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ახალი საფუძველი. გამოიკვეთება რა დანიშნულება აქვს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების სუბიექტთა წრესა და ვადას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დასადგენად გაანალიზდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული საკითხის შეფასების ფარგლები; საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადის პრობლემატიკა; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

ამდენად, ზემოაღნიშნული საკითხების სამეცნიერო ანალიზი ღირებული იქნება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მართლწესრიგის გასააზრებლად.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/7/1688 გადაწყვეტილება საქმეზე „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14.

2. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტის არსი

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების 40%-ზე მეტს კონსტიტუციის დონეზე აქვთ დარეგულირებული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები, დანარჩენი ქვეყნები კი აღნიშნულ საკითხს საკანონმდებლო დონეზე არეგულირებენ.³ საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს საკანონმდებლო დონეზე მონესრიგებულია საქართველოს კონსტიტუციით⁴ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.⁵ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი, სად და ვის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ეს გადაწყვეტილება და ის საფუძვლები, რომლებიც დღის წესრიგში აყენებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, იგი ადგენს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთვის შესაბამის ნორმატიულ საფუძვლებს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცედურული თვალსაზრისით, რომლებიც ქმნიან სამართლებრივ ნიადაგს კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაუსაბუთებელი წინაპირობებით არ მოხდეს თვითნებურად, ხოლო, მეორე მხრივ, პროცედურის დეტალურად მონესრიგებით უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალობა, რაც მინიმუმამდე შეამცირებს შეცდომის დაშვების რისკს.⁶

ვენეციის კომისიის განმარტებით, პარლამენტის წევრის უფლებებისა და საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების საკითხი დემოკრატიის „გულშია“ და მის ფუნქციონირებას განსაზღვრავს.⁷ ამდენად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი გონივრულ მიდგომას საჭიროებს, რადგან შესაბამისი საფუძვლისა და პროცედურის გარეშე პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა წარმოადგენს ამომრჩეველთა აქტიური საარჩევნო უფლების ფარგლებში გამოხატული ნების დაძლევას. ამასთანავე, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იყოს, პარლამენტის როლი და დანიშნულება, აგრეთვე, პარლამენტის წევრის სტატუსი და ფუნქციები, რადგან სწორედ ეს საკითხები უზრუნველყოფენ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელების კონსტიტუციური გარანტიების შექმნას. პარლამენტის წევრები, პირველ რიგში, ხალხის მანდატის მატარებლები არიან, მათი სახელით მოქმედებენ და ემსახურებიან მთელ ერს.⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს

³ Venice Commission, Report on the exclusion of offenders from parliament, CDL-AD(2015)036, Opinion No. 807/2015, Strasbourg, 23 November 2018, §79.

⁴ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის ზ) ქვეპუნქტი, პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

⁵ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14/05/2025.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის #1/7/1688 გადაწყვეტილება საქმეზე „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

⁷ Venice Commission, Amicus Curiae Brief for the Constitutional Court of Ukraine on draft law 1027 on the early termination of a Deputy's mandate, CDL-AD(2019)029, Opinion No. 971/2019, Strasbourg, 9 December 2019, §17.

⁸ Nemtoi G., Nesteriuc O., The Status of the Member of Parliament in Relationship with the Legal and Ethical Norms, European Journal of Law and Public Administration. 2019, Vol. 6, Issue 2, 248.

იურისპრუდენციით, „სწორედ დემოკრატიის მოთხოვნაა, რომ არ მოხდეს ხალხის ნების იგნორირება, მათ მიერ მინიჭებული მანდატი არ იქნეს დაძლეული“.⁹ დემოკრატიათან თავსებადია მანდატის შეზღუდვის ის შემთხვევები, რომლებიც ლეგიტიმურია და გონივრულია დასახული მიზნის მისაღწევად.¹⁰

დეპუტატი სარგებლობს თავისუფალი მანდატით¹¹ და მისი იძულება განახორციელოს სადეპუტატო საქმიანობა დაუშვებელია, თუმცა, არსებობს შემთხვევები როცა ამ უფლებას დეპუტატი იყენებს ბოროტად,¹² ე.წ. დესტრუქციული უარი მანდატზე (**Destruktiver Mandatsverzicht**), როცა ხდება დეპუტატთა ნაწილის (და მათი შემცველების) მიერ კოლექტიურად უარის თქმა მანდატებზე. თავისუფალი მანდატი ანიჭებს დეპუტატს არამარტო პრივილეგიას, არამედ მას აკისრებს ვალდებულებებსაც. კონსტიტუცია არ აიძულებს დეპუტატს მთელი 4 წლის განმავლობაში სრულფასოვნად აითვისოს მანდატი, თუმცა მან ასევე არ უნდა მოახდინოს მანდატზე უარის თქმის უფლების დისფუნქციურად გამოყენება, რითაც ის საფრთხეს მიაყენებს პარლამენტის ფუნქციონირებას.¹³ მანდატზე უარის თქმის უფლება არ უნდა იყოს გაგებული როგორც დეპუტატის ძირითადი უფლება. ინგლისელი პოლიტოლოგის და მეცნიერის ედმუნდ ბერკის მოსაზრებით, საკუთარი ხალხის (ამომრჩევლის) ღალატის მსგავს ქმედებად ჩაითვლება ისეთი ქმედება, როცა არჩეული დეპუტატი საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე ამბობს უარს და ამ უარის თქმას არ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი.¹⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა კომპლექსური საკითხია, რომელიც, ერთი მხრივ, დემოკრატიის უშუალო მოთხოვნაა, რათა არ მოხდეს უმრავლესობის ნების თავად დემოკრატიის საწინააღმდეგოდ გამოყენება და საფრთხე არ შეექმნას პარლამენტის ეფექტიან ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ უფლებამოსილების ბოროტად ან არასწორად გამოყენება შეიცავს ძალაუფლების უშუალო წყაროს – ხალხის ნების დაძლევის რისკებს. საკუთრივ დემოკრატიის ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს, რომ არსებობდეს ხალხის წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მექანიზმი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი საფუძველი, კერძოდ, როდესაც უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა გამართლებულია ხელისუფლების სიჯანსაღის დაცვისა და მისდამი ხალხის ნდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობა მართლაც არის გარკვეული რისკების შემცველი. სწორედ აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი ექსკლუზიურად და ამომწურავად ჩამოთვლის იმ საფუძველებს, რომელთა არსებობაც იწვევს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას და მინიმუმამდე ამცირებს ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დისკრეცი-

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

¹⁰ Venice Commission, Report on Democracy, Limitation of mandates and Incompatibility of political functions, CDL-AD(2012)027rev, Study No.646/2011, Strasbourg, 31 January 2013, §116.

¹¹ Sajó A., Uitz R., The Constitution of Freedom: an Introduction to Legal Constitutionalism, Oxford University Press, 2017, 221.

¹² Dicke K., Stoll T., Freies Mandat, Mandatsverzicht Des Abgeordneten Und Das Rotationsprinzip Der GRÜNEN, Zeitschrift Für Parlamentsfragen, vol. 16, no. 4, 1985, 457.

¹³ Ziekow J., Rotation Von Mandatsträgern, Zeitschrift Für Parlamentsfragen, vol. 21, no. 4, 1990, 636.

¹⁴ Winfried S., Edmund Burke: Zur Vereinbarkeit Von Freiem Mandat Und Fraktionsdisziplin, Zeitschrift Für Parlamentsfragen, vol. 12, no. 1, 1981, 119.

ის ფარგლებს“. ¹⁵ ამასთანავე, პარლამენტის მხრიდან პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების არ შეწყვეტა შესაძლოა მიზნად ისახავდეს პარლამენტის ეფექტიანი ფუნქციონირების დაცვას ¹⁶ ან პარლამენტის წევრისთვის შესაძლო პასუხისმგებლობის დაკისრების არიდებას. ¹⁷

2.1. *Numerus clausus* პრინციპი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებთან მიმართებით

კონსტიტუციას განსაკუთრებული ადგილი უკავია სამართლებრივ სისტემაში (იგი წარმოადგენს პოლიტიკურ-სამართლებრივ დოკუმენტს) და ისეთი როლი აკისრია, რომელსაც ვერცერთი სხვა დოკუმენტი ვერ ჩაანაცვლებს. ¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში დღის წესრიგში დგება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. აღნიშნული პუნქტით პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია “*Numerus clausus*” პრინციპით, რომელიც ლათინური სიტყვაა. ქართულად დახურულ რიცხვს ნიშნავს და გულისხმობს კანონით გათვალისწინებულ ამომწურავ ჩამონათვალს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ საფუძვლები პირობითად რამდენიმე კატეგორიად დაყო: 1) პარლამენტის წევრს არ სურს უფლებამოსილების განხორციელება და პირადი განცხადებით ითხოვს უფლებამოსილების შეწყვეტას; 2) პარლამენტის წევრი ვერ ან არ ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას (არასაპატიო მიზეზით არ ესწრება სხდომებს; სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებადრდა მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად; გარდაიცვალა); 3) როდესაც პარლამენტის წევრი, საკუთარი ქმედებებიდან გამომდინარე, აღარ უნდა ახორციელებდეს საკუთარ უფლებამოსილებას (მაგალითად, იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ახორციელებს ამგვარ საქმიანობას; დამნაშავედ იქნა ცნობილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით; დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას). ¹⁹ 4) 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად დამატებული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ახალი საფუძველი – ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საინტერესოა უკრაინის კონსტიტუციის მიდგომა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით არსებულ პროცედურაზე, კერძოდ, გა-

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

¹⁶ Chafetz J., Leaving the House: The Constitutional Status of Resignation from the House of Representatives, Duke Law Journal, Vol. 58, No2, 2008, 226.

¹⁷ Strøm K., Mueller W. C., Bergman T., Delegation and Accountability in Parliamentary Democracies, Oxford University Press, 2005, 354.

¹⁸ Barak A., Purposive Interpretation in Law, Translated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005, 371.

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

დანყვეტილების მიმღები სუბიექტი დამოკიდებულია უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველზე, მაგ: პირადი განცხადების, მოქალაქეობის დაკარგვის/უკრაინიდან საზღვარგარეთ მუდმივი საცხოვრებლად გამგზავრების საფუძველით პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უკრაინის უმაღლესი რადა (პარლამენტი), ხოლო, მაგ: თუ უკრაინის პარლამენტის წევრის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი შევა კანონიერ ძალაში ან ქმედუზნაროდ/უგზო-უკვლოდ დაკარგულად იქნება ცნობილი, უფლებამოსილება შეუწყდება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლით, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში – გარდაცვალების მოწმობით დადასტურებული გარდაცვალების დღიდან.²⁰ ფინეთის კონსტიტუციის თანახმად, თუ პარლამენტის წევრი არსებითად და არაერთხელ უგულუბელყოფს წარმომადგენლობითი მოვალეობების შესრულებას, პარლამენტი უფლება აქვს, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სამართლის კომიტეტის დასკვნის მიღების შემდეგ, პარლამენტის წევრს შეუწყვიტოს უფლებამოსილება მუდმივად ან შეზღუდული პერიოდით.²¹

2.2. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების ექსკლუზიური უფლებამოსილება პარლამენტს გააჩნია. მას შემდეგ, რაც წარმოიშობა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი დგება კენჭისყრაზე და პარლამენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. პარლამენტს თეორიულად ორი სახის გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით: პირველი) დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და მეორე) დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არშეწყვეტის შესახებ.²² პარლამენტის დასახელებული გადაწყვეტილება თავისი ბუნებით პოლიტიკურ-სამართლებრივია, რადგან პარლამენტის, როგორც პოლიტიკური ორგანოს, გადაწყვეტილებები ვერ იქნება პოლიტიკური კონტექსტისგან დაცლილი. გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე არის ის საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტით, ხოლო როდესაც სამართლებრივი საფუძველი გაჩნდება პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სადაც საკანონმდებლო ორგანოს მიხედულების გარკვეული ფარგლები გააჩნია.

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან საქმე **Kart v. Turkey (Application no. 8917/05)**, რომელშიც სადავოდ იყო გამხდარი პარლამენტის წევრის მიერ საპარლამენტო იმუნიტეტის დათმობის შეუძლებლობა. მომჩივანი არჩეულ იქნა თურქეთის დიდ ეროვნულ ასამბლეაში და, შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა საპარლამენტო იმუ-

²⁰ Constitution of Ukraine, Article 81, <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/254%D0%BA/96-%D0%B2%D1%80#Text>> [20.09.2025].

²¹ Constitution of Finland, section 28, <<https://oikeusministerio.fi/en/constitution-of-finland>> [20.09.2025].

²² კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში – თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბ., 2011, 278.

ნიტეტი. მომჩივანმა ასამბლეის გაერთიანებული კომიტეტის წინაშე დააყენა საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნის საკითხი, თუმცა მომჩივანს არ მოეხსნა იმუნიტეტი და სისხლის სამართლის საქმის წარმოება მის წინააღმდეგ გადაიდო პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება მომჩივანმა გაასაჩივრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რადგან თვლიდა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე მისი საქმე უნდა განხილულიყო და ეს პროცესი არ უნდა შეეფერხებინა საპარლამენტო იმუნიტეტს, როგორც პრივილეგიას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საინტერესო განმარტებას აკეთებს მსგავსი ტიპის გადაწყვეტილების ბუნებასთან დაკავშირებით კერძოდ, საპარლამენტო პასუხისმგებლობის მექანიზმი საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნის ან არ მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით წარმოადგენს საპარლამენტო ავტონომიის ერთ-ერთ საშუალებას. ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები თავისი ბუნებით წარმოადგენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და არა სასამართლოს გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები არ აკმაყოფილებენ და არც არის აუცილებელი აკმაყოფილებდნენ იმავე კრიტერიუმებს, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებებს მოეთხოვება.²³

საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტთან – გადაწყვეტილების მიღების ფორმის მიხედვით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი²⁴ დიფერენცირებას ახდენს მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს შორის, კერძოდ:

- დასახელებული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ დადგენილების მიღებას საჭიროებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემდეგი საფუძვლები, მაგ: ჩაიდინა მოსამართლისთვის შეუფერხებელი საქციელი და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.; ყველა ეს საფუძველი საჭიროებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმზე კენჭისყრას და დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი; შესაბამისად, თეორიულად შესაძლებელია წარმოიშვას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი, თუმცა პლენუმმა მოსამართლეს მაინც არ/ვერ შეუწყვიტოს ვადამდე უფლებამოსილება. ამ ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტის ბუნება მსგავსია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტთან.
- საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების მეორე კატეგორიაა, მაგ: დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა; გადადგა თანამდებობიდან და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“-„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები ყველა ამ საფუძველთან მიმართებით, დასახელებული კანონის

²³ Kart v. Turkey, ECHR (Application no. 8917/05), 3 December 2009, §101 <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-96007>> [20.09.2025].

²⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996.

მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ამონებს წარდგენილ საბუთებს და მათში მოცემული ფაქტების დადასტურების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აფორმებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. ამდენად, დასახელებული საფუძვლები არ მოითხოვს კენჭისყრას და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია ფაქტების დადასტურების შემთხვევაში გააფორმოს განკარგულება მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ამ ნაწილში თვისობრივად განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტის ბუნება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტისგან, რადგან პარლამენტის წევრის მიერ პარლამენტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ პირადი განცხადებით მიმართვა არ არის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თვითკმარი საფუძველი გადაწყვეტილების მისაღებად (პარლამენტმა საკითხს კენჭი უნდა უყაროს).

3. 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმა და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ახალი საფუძვლის გაჩენა (ბუნდოვანი ჩანაწერი და სივრცე ინტერპრეტაციისთვის)

2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, გარდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლების რედაქტიული ცვლილებებისა, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტში გაჩნდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ახალი საფუძველი, კერძოდ, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამავე რეფორმის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის განხილვასთან ერთად, აგრეთვე განიხილოს იმავე პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხიც (საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი). მნიშვნელოვანია, კონსტიტუციის ამა თუ იმ ტერმინის განმარტება მოხდეს მისი ნამდვილი შინაარსის შესაბამისად.²⁵ აკადემიკოს ჯონი ზეცურიანის მოსაზრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პოლიტიკური პარტიის აკრძალვას შედეგად უნდა მოსდევდეს ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ამ პარტიიდან არჩეული წევრებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, ოღონდ ეს უნდა იყოს პარლამენტის და არა საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა.²⁶

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით (არც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და არც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით) არ არის დარეგულირებული ზემოაღნიშნული საფუძვლით პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურა. ამდენად, ბუნდოვანია თუ

²⁵ Redish M. H., Arnould M. B., Judicial Review, Constitutional Interpretation, and the Democratic Dilemma: Proposing a “Controlled Activism” Alternative, Florida Law Review, Vol. 64, Issue 6, 2012, 1486.

²⁶ ზეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბ., 2020, 226, 227.

რომელ შემთხვევას მიემართება დასახელებული საფუძვლით პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და რჩება სივრცე ინტერპრეტაციისთვის, კერძოდ, განსახილველ საფუძველში ხომ არ იგულისხმება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რა დროსაც სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება კი არ გამოიწვევს პარლამენტის წევრს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება პარლამენტში მსჯელობის დაწყების საფუძველი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით. ასეთი განმარტების პირობებში, აზრი დაეკარგება საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ეფექტურობას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ნათლად არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევები იგულისხმება ზემოაღნიშნულ საფუძველში, კონსტიტუციის სულისკვეთების გაანალიზებით²⁷ მოაზრებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის ვ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ სარჩელს – დადგინდება, ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიის აკრძალვა (რეგისტრაციის აქტის გაუქმება), ხოლო, მეორე მხრივ ამ პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის/წევრების უფლებამოსილების შეწყვეტა. აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები საქართველოს პარლამენტია, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე არ შეუწყვიტოს. დასახელებული შემთხვევა მსგავსია იმპიჩმენტის პროცედურისა, რა დროსაც შესაძლოა სახეზე გვექონდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, რომლითაც დასტურდება საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, თუმცა საქართველოს პარლამენტმა მაინც არ დაუჭიროს მხარი კონკრეტული თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

საგულისხმოა, რომ ასეთი განმარტების პირობებშიც შესაძლებელია არაორდინალური მოცემულობა შეიქმნას, კერძოდ: სახეზე გვექონდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც აიკრძალა პოლიტიკური პარტია და, იმავდროულად, ამ პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ექვემდებარება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. პარლამენტმა საკუთარი გადაწყვეტილებით კი პარლამენტის წევრს ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას. შედეგად, იქმნება მოცემულობა, რა დროსაც საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე, თუმცა თეორიულად შესაძლებელია იგივე საკითხის კონსტიტუციურობის შეფასება კიდევ მოუწიოს, რაც გარკვეულწილად არაორდინალურ მოცემულობას ქმნის. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია, კანონმდებლობით დეტალურად მოწესრიგდეს წინამდებარე თავში დასახელებული საფუძვლით პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურა.

²⁷ Solum L. B., *The Interpretation-Construction Distinction*, Georgetown Law Faculty Publications and Other Works, 2010, 102.

4. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების სუბიექტთა წრისა და ვადის დანიშნულება

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების – შეაფასოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობა – განხილვისას აუცილებელია, გაანალიზდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების სუბიექტთა წრისა და ვადის დანიშნულება.

4.1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების სუბიექტთა წრის დანიშნულება

საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად²⁸, არანორმატიულია საქართველოს პარლამენტის დადგენილება, რომელიც საკადრო ან პერსონალურ საკითხებს ეხება, შესაბამისად, პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით პერსონალურ საკითხს ეხება და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო იმ შემთხვევაში განიხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობას, თუ პარლამენტი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ამ უკანასკნელს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს უფლებამოსილი სუბიექტი. განსახილველ საკითხზე შეიტანება კონსტიტუციური სარჩელი, შესაბამისად, პროცესი მიმდინარეობს მოსარჩელისა და მოპასუხის მონაწილეობით. კონსტიტუციური სარჩელის უფლებამოსილ სუბიექტებს წარმოადგენენ – პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი (იგულისხმება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედი) ან შესაბამისი პირი, ხოლო მოპასუხე მხარეა საქართველოს პარლამენტი – ორგანო, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ექსკლუზიურ კომპეტენციას ანიჭებს. დასახელებული წინაპირობების გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედისთვის კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილების მინიჭება დაკავშირებულია საპარლამენტო უმცირესობის დაცვის ფუნქციასთან²⁹, კერძოდ, საპარლამენტო უმცირესობას შესაძლებლობა აქვს საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში დღის წესრიგში დააყენოს საპარლამენტო უმრავლესობას მიკუთვნებული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების კონსტიტუციურობის საკითხი.

საინტერესოა, თუ ვის მოიაზრებს საქართველოს კონსტიტუცია ტერმინ „შესაბამის პირი“, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანუ-

²⁸ საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1876, 09/11/2009.

²⁹ Vanberg G., Legislative-Judicial Relations: A Game-Theoretic Approach to Constitutional Review, Florida State University, American Journal of Political Science, Vol. 45, No.2, 2001, 347.

ლი კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი ბუნდოვნად განმარტავს კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრეს, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს: ა) საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს; ბ) იმ მოქალაქეს, რომლის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილება არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა. დასახელებული დებულების ანალიზიდან გამომდინარე, იქმნება ისეთი მოცემულობა თითქოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე არშეწყვეტის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება მხოლოდ პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს გააჩნია, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან.

თუ ვის მოიაზრებს საქართველოს კონსტიტუცია ტერმინ „შესაბამის პირში“ დამოკიდებულია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე:

- თუ პარლამენტის წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, მაშინ მოაზრებული უნდა იყოს ის პირი, რომელსაც საქართველოს პარლამენტმა ვადამდე შეუწყვიტა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.
- თუ პარლამენტის წევრს ვადამდე არ შეუწყდა უფლებამოსილება, მაშინ უნდა მოვიაზროთ ის პარლამენტის წევრი, რომელსაც პარლამენტმა ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება ან/და ის პირი, რომელიც ადგილმონაცვლეობის წესით გახდებოდა პარლამენტის წევრი³⁰ (მაგ: პარლამენტის წევრი გარდაიცვალა და პარლამენტმა არ შეუწყვიტა უფლებამოსილება, ასეთ დროს ტერმინ „შესაბამის პირში“ კონსტიტუციური სარჩელის შემტან უფლებამოსილ სუბიექტად, ვფიქრობ, სწორედ პარტიულ სიაში მყოფი ადგილმონაცვლე მოიაზრება).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად დაზუსტდება ტერმინ „შესაბამისი პირის“ დეფინიცია და განისაზღვრება კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე. ამ კუთხით, აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 5 აპრილის N3/5/1565,1568,1569 საოქმო ჩანაწერი,³¹ რომლითაც არსებითად განსახილველად იქნა მიღებული ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, თამარ კორძაიასა და ელენე ხოშტარიას კონსტიტუციური სარჩელები. დასახელებული კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ იყო გამხდარი პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს პარლამენტმა მოსარჩელებს ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის ზ) ქვეპუნქტში არსებულ ტერმინ „შესაბამის პირში“ მოიაზრა ის პარლამენტის წევრი, რომელსაც პარლამენტმა ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება.

³⁰ კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2019, 233.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის №3/5/1565,1568,1569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

4.2. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დანიშნულება

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის საკითხი დარეგულირებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით – „კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედებიდან“. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 131-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პარლამენტის დადგენილება, გარდა ნორმატიული ხასიათის დადგენილებისა, ძალაში შედის მიღებისთანავე, თუ ამ დადგენილებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

დასახელებული კონსტიტუციური სარჩელის შეტანისთვის ორ კვირიანი ვადის არსებობა განპირობებულია იმ მიზნით, რომ, ერთი მხრივ, არ მოხდეს საკანონმდებლო ორგანოში ისეთი პირის დაშვება, რომლისთვისაც პარლამენტს უნდა შეენწყვიტა უფლებამოსილება, ხოლო, მეორე მხრივ, პირს ჰქონდეს შესაძლებლობა რაც შეიძლება სწრაფად აღიდგინოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, თუ პარლამენტმა კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით შეუწყვიტა უფლებამოსილება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის კანონით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება. აღსანიშნავია, რომ საპატიო მიზეზების ჩამონათვალი განსაზღვრული არ არის კანონმდებლობით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილი ვადის დარღვევისას ჩაითვლება თუ არა კონკრეტული მიზეზი საპატიოდ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 48-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის თანახმად, ბუნდესტაგის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი საჩივრდება ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში ბუნდესტაგის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან ორი თვის ვადაში.³²

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო საქართველოს პარლამენტის წევრის შალვა ნათელაშვილის კონსტიტუციური სარჩელი კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას მისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე არ შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული დადგენილება მიღებულ იქნა 2021 წლის 2 თებერვალს და ამოქმედდა მიღებისთანავე. შესაბამისად, მისი კანონით დადგენილი ორკვირიანი გასაჩივრების ვადის ათვლაც ამ მომენტიდან დაიწყო. მოსარჩელე მხარემ საკონსტიტუციო სასამართლოს მომართა 2021 წლის 23 მარტს, კანონით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. ამავდროულად, კონსტიტუციური სარჩელიდან არ იკვეთება რაიმე ისეთი გარემოება, რაც გასაჩივრების ვადის დარღვევის საპატიო გარემოების არსებობაზე მიუთითებდა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მოსარჩელისთვის პარლამენტის წევრის უფლება-

³² The Act on the Federal Constitutional Court of Germany, Sec. 48, <<https://www.gesetze-im-internet.de/bverfgg/index.html>> [20.09.2025].

მოსილების ვადამდე არშენწყვეტის შესახებ სადავო დადგენილების კონსტიტუციურობის თაობაზე.³³

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება (შეფასების ფარგლები) პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვისას

„ძალაუფლება უნდა აკავებდეს ძალაუფლებას“³⁴

საკონსტიტუციო სასამართლო „ძლევამოსილ“ სახელისუფლებო ინსტიტუტთა კატეგორიას მიეკუთვნება. სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი სპეციალური ორგანოს შექმნა შეფასებულია როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ერთდერთი საფუძველი.³⁵ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტმა შეიძლება მიიღოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების როგორც ვადამდე შეწყვეტის, ისე ვადამდე არშენწყვეტის გადაწყვეტილება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში ორივე შემთხვევა შეიძლება გახდეს დავის საგანი. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს, ამოცანაა შეამოწმოს ადგილი ხომ არ ჰქონდა პარლამენტის მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილების მიღებას.³⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს არსებობდა თუ არა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, ასევე, სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს რამდენად სრულყოფილად და ობიექტურად გამოიკვლია პარლამენტმა გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო რელევანტური გარემოებები.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საკითხის შეფასებისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები, თუმცა მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმა-პრინციპები, რამეთუ სწორედ ძირითადი პრინციპები განსაზღვრავენ კონსტიტუციური მართლწესრიგის მთლიანობას.³⁷ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება – „საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციით დასაშვები ფარგლების ანალიზი უნდა განხორციელდეს პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის შინაარსისა და დანიშნულების, პარლამენტის წევრის სტატუსისა და ფუნქციების გათვალისწინებით“.³⁸ ამდენად, საკონსტიტუციო

³³ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 5 აპრილის N3/1/1581 განჩინება საქმეზე „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1, 2.

³⁴ Montesquieu, *The Spirit of Laws*, 11:4.

³⁵ Loladze B., *Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens*, Potsdam, 2015, 376.

³⁶ ლოლაძე ბ., *მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა.*, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბ., 2021, 269.

³⁷ Roznai Y., *The Straw that Broke the Constitution's Back? Qualitative Quantity in Judicial Review of Constitutional Amendments*, *Constitutionalism: Old Dilemmas, New Insights*, edited by Alejandro Linares Cantillo, Oxford University Press, 2021, 149.

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

სასამართლოს მიერ დასახელებული საკითხის, კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მართებულად გადასაწყვეტად აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული პარლამენტისა და პარლამენტის წევრის სტატუსთან დაკავშირებული გარანტიებიც.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო ითვალისწინებს არა მხოლოდ კანონმდებლობის ფორმალურ მოთხოვნებს, არამედ მხედველობაში იღებს საკითხის შინაარსობრივ და ფაქტობრივ მხარეს. საკონსტიტუციო სასამართლომ ვალერი გელაშვილის საქმეზე განმარტა, თუ რა ფაქტორებს მიიღებს მხედველობაში, კერძოდ: „კონსტიტუციურ-სამართლებრივად შეფასებას მოკლებული ვერ იქნება საწარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფაქტობრივი განხორციელება. როცა საუბარია დეპუტატის მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობაზე, მართლწესრიგისათვის მიუღებელია ამ საქმიანობის არა მარტო ჩვეულებრივი სახით (ფორმალური ნიშნების დაცვით) განხორციელება, არამედ ფაქტობრივი განხორციელებაც. როცა დაუშვებელ საქმიანობაზეა საუბარი, საჯარო წესრიგისათვის საშიში იქნება ფაქტობრივი სინამდვილის იგნორირება და არსებულად მხოლოდ იმისი აღიარება, რაც მხოლოდ ფორმალურად არსებულა. ასეთი მიდგომა ხელ-ფეხს გაუხსნიდა თანამდებობის პირებს, განხორციელებინათ სამეწარმეო საქმიანობა და ფორმის არარსებობის მოტივით ემართლებინათ თავი. ამდენად, ის, რაც ფორმის დაცვითაც მიუღებელია, ივარაუდება, რომ ფაქტობრივადაც მიუღებელია“.³⁹ ამ კუთხით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომელიც გამოიყენა საქმეზე **KOKËDHIMA v. ALBANIA** (Application no. 55159/16). სასამართლომ კონვენციასთან თავსებადად მიიჩნია პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ინტერესთა შეუთავსებლობის, კერძოდ, ბიზნეს საქმიანობის განხორციელების გამო. სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა, თუ რამდენად შეეძლო განმცხადებელს საკმარისად განეჭვრიტა ის სამართლებრივი ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაეღა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ კომპანიამ შეწყვიტა მონაწილეობა საჯარო ტენდერებში მისი პარლამენტის წევრად არჩევისთანავე, თუმცა კომპანია აგრძელებდა შემოსავლის მიღებას სახელმწიფო ორგანოებთან ადრე დადებული ხელშეკრულებებიდან. ალბანეთის ეროვნული კანონმდებლობისთვის გადამწყვეტი იყო არა კონტრაქტების დადების დრო, არამედ ის ფაქტი, რომ ამ კონტრაქტების ფარგლებში კომპანიისთვის სახელმწიფო გადახდები გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც მომჩივანი ახორციელებდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილებას. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ განმცხადებლისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის გადაწყვეტილებაში ვერ დაინახა თვითნებობის ელემენტები და თავსებადად მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან.⁴⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი პრაქტიკით გამიჯნა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის შემოწმებისა და

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, V.

⁴⁰ *Kokëdhima v. Albania*, ECHR, (Application no. 55159/16), 11 June 2024, §66-70, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-234125>> [20.09.2025].

სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირების მიმართ უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასების მასშტაბი. ვინაიდან პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები კონსტიტუციით ამომწურავადაა განსაზღვრული, შესაბამისად, ნებისმიერი სხვა საფუძვლით პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შეენიანაღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, „სხვა სახელმწიფო თანამდებობისაგან განსხვავებით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობის შემოწმებისას სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს არა შეზღუდვის პროპორციულობის ან/და გათავისუფლების დასაბუთებულობის გზით, არამედ იმის შეფასებით, თუ რამდენად სწორად გამოიყენა საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის ესა თუ ის დებულება, რომელიც სადავო დადგენილების მიღებას დაედო საფუძვლად“.⁴¹ აღნიშნული მიდგომა გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, კერძოდ: „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის შემოწმება არსებითად განსხვავდება იმ შემთხვევებისგან, როდესაც სასამართლოს უნევს სხვა სახელმწიფო თანამდებობების განხორციელების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე მსჯელობა, შეფასების კლასიკური ტესტების საფუძველზე“.⁴²

აღსანიშნავია კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც შეეხება საკითხს, თუ კონსტიტუციის რომელ დებულებასთან მიმართებით უნდა შეფასდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობა. განხილულ საქმეებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგნად განისაზღვრა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა ცალკეულ კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით, რომელიც პარლამენტის დადგენილების მიღებას დაედო საფუძვლად. ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ, თეიმურაზ ტულუშმა – „გამომდინარე იქიდან, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 კვირას საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან... შესაძლოა, ხსენებული კომპეტენციის ფარგლებში კონსტიტუციურ სარჩელში უფლების დამდგენი რომელიმე კონსტიტუციური დებულების მიუთითებლობამ მოსარჩელეს სამუდამოდ წაართვას დარღვეული უფლების აღდგენაზე დავის შესაძლებლობა. ასეთ საქმეებზე დავის საგანი უნდა იყოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა კონსტიტუციის დებულებების სახელდებით მითითების გარეშე, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, სრულყოფილად შეაფასოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხი მისი სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით“.⁴³

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/7/1688 გადაწყვეტილება საქმეზე „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14.

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თეიმურაზ ტულუშის თანმხვედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის N3/1/1473 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით, II-7,8.

5.1. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადის პრობლემატიკა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯადია, ამასთან, ამავე კანონის 21¹-ე და 21²-ე მუხლებით გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის განსჯადი საკითხის გადაცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისთვის. პლენუმისთვის საქმის გადაცემის ინიციატორი შეიძლება იყოს:

- საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია ან კოლეგიის წევრი – თუ მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოსატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.
- საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე – თუ შემოსული კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სამართალწარმოებით გათვალისწინებული წესით საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებს შორის განაწილებისას მივა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში იყო პრეცედენტები, როდესაც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელები საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განიხილა, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ №1473 კონსტიტუციური სარჩელი („ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და №1565, №1568, №1569 კონსტიტუციური სარჩელები („ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს განსახილველად იმ არგუმენტაციით, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა. აღნიშნული წინადადება გაზიარებული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ.⁴⁴

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის ვადის საკითხი მოწესრიგებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგის-

⁴⁴ <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=3730>> [20.09.2025]; <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10762>> [20.09.2025].

ტრაციის მომენტიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში სარჩელის განხილვის ვადას არა უმეტეს 2 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ჩანაწერის ნაკითხვა შეიძლება იმგვარად, რომ დასახელებული ვადები მიემართება მხოლოდ კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვას და არ მოიცავს გადაწყვეტილების მიღების საკითხს. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების ვადები საკმაოდ ხანგრძლივია (ხშირ შემთხვევაში რამდენიმე წელიც კი გრძელდება). ამ მხრივ, გამონაკლისს არც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი წარმოადგენს. აღნიშნულის ნათელსაყოფად კარგი მაგალითია **#3/5/1565,1568,1569** კონსტიტუციური სარჩელები („ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). დასახელებული კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ იყო გამხდარი პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს პარლამენტმა მოსარჩელებს ვადამდე არ შეუწყვიტა უფლებამოსილება. საქმის არსებითი განხილვა გაიმართა 2021 წლის 10-11 ივნისს (მოსარჩელე თამარ კორძაიამ უარი თქვა სარჩელზე (**#1568**) და საქმის განხილვა გაგრძელდა დარჩენილი ორი მოსარჩელის მიმართ).⁴⁵ 2 წელზე მეტია გასული და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე პარლამენტმა ორივე მოსარჩელეს ზურაბ გირჩი ჯაფარიძესა⁴⁶ და ელენე ხოშტარიას⁴⁷ ვადამდე შეუწყვიტა უფლებამოსილება. ანუ, ფაქტობრივად, მოსარჩელებისთვის დაიკარგა ინტერესი კონსტიტუციური სარჩელების მიმართ, რადგან თეორიულად რომც დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელები, მოსარჩელების მიზანი (უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა) უკვე მიღწეულია.

გამოკვეთილი პრობლემის აღმოსაფხვრელად არსებობს გადაწყვეტის ორი შესაძლო გზა: 1) განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება“საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის განხილვა/გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგინდება შემჭიდროებული ვადები. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა განსაზღვრულია არაერთი ქვეყნის კანონმდებლობით, მაგ: ლატვიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობის თანახმად, სამართალწარმოების თითოეული სტადიისთვის ვადა ცალ-ცალკეა დადგენილი.⁴⁸ განსახილველ საკითხზე საუბრისას უნდა აღინიშნოს სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის 79-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღება სარჩელის შეტანიდან არა უგვიანეს 30 დღისა.⁴⁹

⁴⁵ <<https://www.youtube.com/watch?v=jCdylScSZa0>> [20.09.2025];
<<https://www.youtube.com/watch?v=OquLhUduZi8>> [20.09.2025].

⁴⁶ იხ. პარლამენტის დადგენილება <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/285316?>> [20.09.2025].

⁴⁷ იხ. პარლამენტის დადგენილება <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/295030?>> [20.09.2025].

⁴⁸ Constitutional Court Law of the Republic of Latvia <<https://www.satv.tiesa.gov.lv/en/2016/02/04/constitutional-court-law/>> [20.09.2025].

⁴⁹ Constitutional Law of the Republic of Armenia on the Constitutional Court <<https://www.concourt.am/en/normative-legal-bases/constitutional-law#49>> [20.09.2025].

2) საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენოს შიდა მექანიზმი და დასახელებული საქმე განიხილოს პრიორიტეტულად, რის შესაძლებლობასაც აძლევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია უფლებამოსილია, მიიღოს დასაბუთებული საოქმო ჩანაწერი საქმის სხვა საქმეებთან შედარებით პრიორიტეტულად განხილვა/გადაწყვეტის შესახებ.

5.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას“. შესაბამისად, ეს რეგულირება ვრცელდება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ დადგენილებაზეც.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით დარეგულირებულია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. ამასთან, სამართლებრივი შედეგი დამოკიდებულია გასაჩივრებული დადგენილების შინაარსზე, კერძოდ:

- თუ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებულია დადგენილება, რომლითაც პარლამენტის წევრს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, მაშინ დასახელებული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას. აღნიშნული ჩანაწერის კონსტიტუციასთან შეუსაბამობაზე ყურადღებას ამახვილებს აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი და აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალა ენიჭება, რაც შეიძლება სამართლიანიც იყოს, მაგრამ წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის დებულებასთან, რომელიც იმპერატიულად ადგენს – არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას. შესაბამისად, ორგანული კანონი, კონსტიტუციასთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით, საჭიროებს ცვლილებას.⁵⁰
- თუ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებულია დადგენილება, რომლითაც პარლამენტის წევრს ვადამდე არ შეუწყდა უფლებამოსილება, მაშინ დასახელებული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის გ) ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამარ-

⁵⁰ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბ., 2020, 208.

თლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს შესაბამისი დადგენილების ძალა-
დაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნე-
ბის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად სავალდებულო
მოთხოვნის გათვალისწინებით, პრობლემურია ზემოთ განხილული პირველი შემთხვევა. რო-
გორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის დაკმა-
ყოფილების შედეგად დღის წესრიგში დგება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღ-
დგენა, თუმცა კანონმდებლობით (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი) არ არის და-
რეგულირებული ისეთი შემთხვევა, როდესაც პარლამენტმა ადგილმონაცვლეობის წესით
ცნო სხვა პირის უფლებამოსილება. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხ-
ლით (პარლამენტის წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრინციპები) მო-
წესრიგებულია ერთადერთი შემთხვევა, რომელიც შეეხება კანონიერ ძალაში შესული სასა-
მართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე პარლამენტის წევრის უფლებამოსილე-
ბის შეწყვეტას, კერძოდ: რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პირს პარლა-
მენტის დადგენილებით აღუდგება პარლამენტის წევრის უფლებამოსილება იმ შემთხვევაში,
თუ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდა კანონიერ ძალაში შესული სასამარ-
თლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, რომელიც შემდგომ გამამართლებელი განა-
ჩენით იქნა შეცვლილი. ამასთან, მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილება (პარლამენტის
წევრის) არ უნდა იყოს ცნობილი. პარლამენტის წევრს უფლებამოსილების აღდგენის შეუძ-
ლებლობის შემთხვევაში შესაბამისი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ჩაეთ-
ვლება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების საერთო ვადაში და მიეცემა კომპენსაცია
აღნიშნული ვადის შესაბამისად. ამდენად, თუ პარლამენტმა ცნო ადგილმონაცვლის უფლება-
მოსილება, შეუძლებელი იქნება პირისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგე-
ნა. კომპენსაციის მიცემაც მხოლოდ განხილულ შემთხვევაშია გათვალისწინებული, ხოლო
დანარჩენი შემთხვევები კანონმდებლობით არაა მოწესრიგებული.

2024 წლიდან საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული სისტე-
მით, რომლისთვისაც დამახასიათებელია პარტიული სიები და საჭიროების შემთხვევაში ად-
გილმონაცვლეობის წესით პარლამენტის წევრის ჩანაცვლება (განსხვავებით მაჟორიტარუ-
ლი წესით არჩეული პარლამენტის წევრისგან, რომლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვე-
ტის შემთხვევაში ინიშნება შუალედური არჩევნები). უფლებამოსილების აღდგენის საკითხის
პრობლემურ მხარეზე ყურადღებას ამახვილებს საკონსტიტუციო სასამართლოც, კერძოდ:
„ნიკანორ მელიას შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი მიღებულია პირველი ინსტანციის
სასამართლოს მიერ და იგი გასაჩივრდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. იმ შემთხვე-
ვაშიც კი, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ნიკანორ მელიას ცნობს უდანაშაულოდ,
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, მისთვის უფლებამოსილების აღდგენა
იქნება შეუძლებელი, რამდენადაც „საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ნიკა-
ნორ მელიას ადგილმონაცვლის ბადრი ბასიშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ სა-
ქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 იანვრის №5699-რს დადგენილებით უკვე მოხდა
ბადრი ბასიშვილის უფლებამოსილების ცნობა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიკა-
ნორ მელიას უფლებამოსილების აღდგენა შეუძლებელია მაშინაც კი, თუ იგი გამართლდება
სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს მიერ“.⁵¹

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება
საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18,19.

დასახელებული პრობლემის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია, კანონმდებლობაში დაინერგოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეჩერების ინსტიტუტი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე ან/და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის დადგენილების კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის გასვლამდე. გასათვალისწინებელია, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეჩერების ინსტიტუტს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს, კერძოდ, რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „პარლამენტის წევრის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემთხვევაში დაკავებულ ან დაპატიმრებულ პარლამენტის წევრს დაკავების ან დაპატიმრების პერიოდით შეუჩერდება უფლებამოსილება დადგენილებით, პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით“. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის გაჭიანურების გამოსარიცხად აუცილებელია, კანონმდებლობით დადგინდეს საკონსტიტუციო სასამართლოში საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის შემჭიდროებული ვადები.

6. დასკვნა

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტი, ერთი მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს, ემსახურება პარლამენტის ავტორიტეტის დაცვასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებას, ხოლო, მეორე მხრივ, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის არასათანადოდ გამოყენება იწვევს ხელისუფლების წყაროს – ხალხის ნების დაძლევას. საქართველოს კონსტიტუცია „Numerus clausus“ პრინციპით განსაზღვრავს პარლამენტის წევრის საქმიანობის ბუნებასთან შეუთავსებელ საფუძვლებს და, იმავდროულად, განამტკიცებს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების თვითნებურად ვადამდე შეწყვეტისგან დაცვის გარანტიებს.

საგულისხმოა, რომ ვენეციის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, კონსტიტუციით დარეგულირდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინსტიტუტის არსებითი ასპექტები.⁵² აღნიშნულ საკითხზე საჭიროა გავრცელდეს პროცედურული გარანტიები. პარლამენტის გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება, როგორც ჩანს, დამატებით გარანტიას წარმოადგენს, მაგრამ არ უნდა ჩაითვალოს აუცილებელ მოთხოვნად.⁵³ გამომდინარე იქიდან, რომ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა იწვევს უფლებაში ჩარევას, აუცილებელია, დაცული იყოს პროპორციულობა კერძოდ, გათვალისწინებული იყოს ისეთი, ფაქტორები: როგორიცაა დანაშაულის ხასიათი, მისი სიმძიმე ან/და სასჯელის ხანგრძლივობა.⁵⁴ ასეთ შემთხვევაში საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებამოსილების ჩამორთმევა ემსახურება დემოკრატიული წყობის გამართული ფუნქციონირებისა და მისდამი ნდობის შენარჩუნების ლეგიტიმურ მიზანს.⁵⁵

⁵² Venice Commission, Report on the exclusion of offenders from parliament, CDL-AD (2015)036, Opinion No. 807/2015, Strasbourg, 23 November 2018, §179.

⁵³ Venice Commission, Amicus curiae brief for the European Court of Human Rights in the case of Berlusconi v. Italy, CDL-AD(2017)025, Opinion No. 898/2017, Strasbourg, 9 October 2017, §34.

⁵⁴ Venice Commission, Report on the exclusion of offenders from parliament, CDL-AD (2015)036, Opinion No. 807/2015, Strasbourg, 23 November 2018, §168-171.

⁵⁵ M.D.U. v. Italy, ECHR, (Application no. 58540/00), 28 January 2003, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-44046>> [20.09.2025].

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ამა თუ იმ საფუძვლის დღის წესრიგში დაყენება ავტომატურად პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას არ იწვევს, რადგან საკითხი დგება კენჭისყრაზე და საჭიროებს პარლამენტის თანხმობას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც შეიძლება დაირღვეს კონსტიტუციით დადგენილი ნორმები. ამდენად, დავის საგნის თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ აღნიშნული საკითხის კონსტიტუციურობის შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას მიაკუთვნა.⁵⁶ გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსებითი შემადგენელი ნაწილია⁵⁷, შესაბამისად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლი არა მხოლოდ ფორმალური მხარის შეფასებით უნდა შემოიფარგლოს, არამედ მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების შინაარსობრივი მხარის კონსტიტუციურობა.⁵⁸

სტატიაში გამოკვეთილი პრობლემატური საკითხების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელდეს შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები:

- დაზუსტდეს თუ ვის მოიაზრებს საქართველოს კონსტიტუცია ტერმინ „შესაბამის პირში“, განისაზღვროს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილი სუბიექტები, რის შედეგადაც აღმოიფხვრება საკანონმდებლო კოლიზია საქართველოს კონსტიტუციასა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს შორის.
- საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის განხილვის/გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად (რასაც პრაქტიკაც ადასტურებს), აუცილებელია განისაზღვროს შემჭიდროებული ვადები.
- ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, დაზუსტდეს რა შემთხვევას/შემთხვევებს მიემართება 2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტში დამატებული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ახალი საფუძველი და დეტალურად მონესრიგდეს აღნიშნული საფუძველით საკითხის განხილვის პროცედურა.

სტატიის ფარგლებში შემოთავაზებული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეჩერების ინსტიტუტის კანონმდებლობაში დამკვიდრება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვე-

⁵⁶ ბეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბ., 2020, 196.

⁵⁷ ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, #9, 2016, 3.

⁵⁸ ბეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხებზე, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(42)14, 2014, 19.

ტის საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას შემჭიდროებულ ვადებში, ხოლო, მეორე მხრივ, პირს აძლევს შესაძლებლობა აღიდგინოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დააკმაყოფილებს მის კონსტიტუციურ სარჩელს და ძალადაკარგულად ცნობს დადგენილებას, რომლითაც მას ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მექანიზმის გამოყენებით არ უნდა დაზიანდეს ამომრჩევლის ინტერესები, რომელიც შეიძლება დაირღვეს როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით, ისე – არშეწყვეტით. კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა იწვევს ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი ნების თვითნებურ დაძლევას, ხოლო როდესაც უფლებამოსილება ვადამდე არ უწყდება პარლამენტის წევრს, რომელსაც არ სურს განახორციელოს უფლებამოსილება და, ამავდროულად, დღის წესრიგში დგება მანდატის ათვისება (ადგილმონაცვლეობის წესით) – აგრეთვე ირღვევა ამომრჩევლის ინტერესი საკუთარი ძალაუფლება განახორციელოს თავისი წარმომადგენლის/წარმომადგენლების მეშვეობით. ამდენად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებაზე საკონსტიტუციო კონტროლის გავრცელება უზრუნველყოფს განსახილველი საკითხის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად გადაწყვეტას.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996.
3. საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1876, 09/11/2009.
4. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14/05/2025.
5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1008-VIმს-Xმპ, 16/11/2021.
6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1008-VIIIმს-Xმპ, 15/02/2022.
7. კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში – თეორია და კანონმდებლობის ანალიზი, თბ., 2011, 278.
8. კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2019, 233.
9. ლოლაძი ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბ., 2021, 269.
10. ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბ., 2020, 226, 227.
11. ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხებზე, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(42)14, 2014, 19.
12. ხუბუა გ., საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N9, 2016, 3.
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/7/1688 გადაწყვეტილება საქმეზე „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის №3/5/1565, 1568, 1569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

15. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2021 წლის 5 აპრილის N3/1/1581 განჩინება საქმეზე „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თეიმურაზ ტულუშის თანმხვედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის #3/1/1473 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით.
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
20. Constitution of Finland, section 28, <<https://oikeusministerio.fi/en/constitution-of-finland>> [20.09.2025].
21. Constitution of Ukraine, Article 81 <<https://zakon.rada.gov.ua/laws/show/en/254%D0%BA/96-%D0%B2%D1%80#Text>> [20.09.2025].
22. The Act on the Federal Constitutional Court of Germany, Sec. 48, <<https://www.gesetze-im-internet.de/bverfgg/index.html>> [20.09.2025].
23. Constitutional Court Law of the Republic of Latvia <<https://www.satv.tiesa.gov.lv/en/2016/02/04/constitutional-court-law/>> [20.09.2025].
24. Constitutional Law of the Republic of Armenia on the Constitutional Court <<https://www.concourt.am/en/normative-legal-bases/constitutional-law#49>> [20.09.2025].
25. Barak A., Purposive Interpretation in Law, Translated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, New Jersey, 2005, 371.
26. Dicke K., Stoll T., Freies Mandat, Mandatsverzicht Des Abgeordneten Und Das Rotationsprinzip Der GRÜNEN, Zeitschrift Für Parlamentsfragen, vol. 16, no. 4, 1985, 457.
27. Chafetz J., Leaving the House: The Constitutional Status of Resignation from the House of Representatives, Duke Law Journal, Vol. 58, No2, 2008, 226.
28. Nemtoi G., Nesteriuc O., The Status of the Member of Parliament in Relationship with the Legal and Ethical Norms, European Journal of Law and Public Administration. 2019, Volume 6, Issue 2, 248.
29. Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015, 376.
30. Montesquieu, The Spirit of Laws, 11:4.
31. Redish M. H., Arnould M. B., Judicial Review, Constitutional Interpretation, and the Democratic Dilemma: Proposing a “Controlled Activism” Alternative, Florida Law Review, Vol. 64, Issue 6, 2012, 1486.
32. Roznai Y., The Straw that Broke the Constitution’s Back? Qualitative Quantity in Judicial Review of Constitutional Amendments, Constitutionalism: Old Dilemmas, New Insights, edited by Alejandro Linares Cantillo, Oxford University Press, 2021, 149.
33. Sajó A., Uitz R., The Constitution of Freedom: an Introduction to Legal Constitutionalism, Oxford University Press, 2017, 221.
34. Solum L. B., The Interpretation-Construction Distinction, Georgetown Law Faculty Publications and Other Works, 2010, 102.
35. Winfried S., Edmund Burke: Zur Vereinbarkeit Von Freiem Mandat Und Fraktionsdisziplin, Zeitschrift Für Parlamentsfragen, vol. 12, no. 1, 1981, 119.
36. Strøm K., Mueller W. C., Bergman T., Delegation and Accountability in Parliamentary Democracies, Oxford University Press, 2005, 354.
37. Vanberg G., Legislative-Judicial Relations: A Game-Theoretic Approach to Constitutional Review, Florida State University, American Journal of Political Science, Vol. 45, No.2, 2001, 347.

38. Ziekow J., Rotation Von Mandatsträgern, Zeitschrift Für Parlamentsfragen, vol. 21, no. 4, 1990, 636.
39. Venice Commission, Amicus Curiae Brief for the Constitutional Court of Ukraine on draft law 1027 on the early termination of a Deputy's mandate, CDL-AD (2019)029, Opinion No. 971/2019, Strasbourg, 9 December 2019, §17.
40. Venice Commission, Report on the exclusion of offenders from parliament, CDL-AD (2015)036, Opinion No. 807/2015, Strasbourg, 23 November 2018, §179.
41. Venice Commission, Amicus curiae brief for the European Court of Human Rights in the case of Berlusconi v. Italy, CDL-AD (2017)025, Opinion No. 898/2017, Strasbourg, 9 October 2017, §34.
42. Venice Commission, Report on Democracy, Limitation of mandates and Incompatibility of political functions, CDL-AD (2012)027rev, Study No.646/2011, Strasbourg, 31 January 2013, §116.
43. Kokëdhima v. Albania, ECHR, (Application no. 55159/16), 11 June 2024, §66-70 <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-234125>> [20.09.2025].
44. Kart v. Turkey, ECHR (Application no. 8917/05), 3 December 2009, §101 <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-96007>> [20.09.2025].
45. M.D.U. v. Italy, ECHR, (Application no. 58540/00), 28 January 2003, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-44046>> [20.09.2025].

ნანა ღვალაძე*

ექსტრადიციის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების ჭრილში: საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები

სისხლის სამართლის სფეროში საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის კონტექსტში, ექსტრადიციის პროცესში მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს სტანდარტების დაცვა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის¹ (შემდგომში – ევროპული კონვენცია) ცალკეული მუხლების ანალიზს, როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. წინამდებარე კვლევის მიზანია, ექსტრადიციის პროცესში ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების დაცვის სტანდარტების ანალიზი და მათი განხორციელების ხარისხის შეფასება საქართველოს პრაქტიკის მაგალითზე. სტატიაში გაანალიზებულია, რამდენად ეფექტიანად აფასებს საქართველოს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება რეალურ რისკებს ექსტრადიციის საქმეებში და რამდენად უზრუნველყოფილია ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვა.

ექსტრადიციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, სადაც პრაქტიკა აჩვენებს სამართლებრივი სტანდარტების ფორმალურ, მაგრამ არა ყოველთვის ეფექტიან აღსრულებას. კვლევა ამ პრობლემას განიხილავს როგორც საქართველოს შიდა სამართლებრივ სისტემაში არსებულ სუსტ რგოლს და საერთაშორისო პასუხისმგებლობის პოტენციურ წყაროს. სტატიაში განხილულია ექსტრადიციის დროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან მიმართებით საქართველოში კვლავ არსებული გამოწვევები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები: ექსტრადიცია, ექსტრადიცია და ადამიანის უფლებები, წამების აკრძალვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება.

1. შესავალი

ექსტრადიციას, როგორც ფორმალურ-სამართლებრივ ურთიერთობას სახელმწიფოთა შორის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა დასჯისა და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში.² იგი ასევე კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია სახელმწიფოებისთვის ტრანსნაციონალურ დანაშაულებთან და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.³ საქართველოს შემთხვევაში საქმეების ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს მუდმივ, საკმარისად აქტიურ სამართლებრივ მექანიზმს, ხოლო მეორე მხრივ, მიმდები ქვეყნების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია.⁴

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

¹ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, CETS, 1950.

² Moodrick-Even Khen H., Mutual Legal Assistance and Double Criminality: Bolstering the Struggle against Impunity Outside the ICC Framework, Journal of International Criminal Justice, Vol. 23, №1, 2025, 87, 93-94.

³ Clarke A., Terrorism, extradition, and the Death Penalty, William Mitchell Law Review, Vol. 29, №3, 2003, 783, 785-87.

⁴ იხ. ექსტრადიციის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი: <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/eqstraditsia.pdf>> [29.08.2025].

წამებისგან ადამიანის დაცვა, რომელიც ასევე მოიცავს არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯის ან მოპყრობის აკრძალვასაც,⁵ აბსოლუტური უფლებაა და მისგან გადახვევა საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროსაც დაუშვებელია.⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – ევროპული სასამართლო ან სასამართლო) პრაქტიკით დადგენილი სტანდარტით, ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტისას ამ უფლების დაცვის გაანალიზება სკულპულოზურ შემოწმებას იმსახურებს.⁷ სამართლიანი სასამართლოს უფლების⁸ დაცვის არანაკლებ მყარი ვალდებულება ეკისრებათ ევროპული კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებს. სტატიში გაანალიზებულია ასპექტები, რომლებიც სახელმწიფომ ამგვარი შემოწმებისას უნდა გაითვალისწინოს და კრიტიკულად არის შეფასებული მათი სამართლებრივი და პრაქტიკული გამოყენების საკითხები საქართველოს პრაქტიკაში.

საქართველოს კანონმდებლობა ზოგადად, პირდაპირ არ განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტს, არამედ იგი ეყრდნობა საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსა თუ ადგილობრივ პრაქტიკას. შესაბამისად, კვლევის ცენტრალურ კითხვას წარმოადგენს, თუ რამდენად უზრუნველყოფს საქართველოს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ექსტრადიციის საქმეებში კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევის რეალური საფრთხის სწორად შეფასებას და თავიდან აცილებას. საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, საფრთხეთა არასწორმა შეფასებამ შესაძლოა, არამხოლოდ გამოავლინოს საქართველოს სამართლებრივი სისტემის თეორიული და პრაქტიკული ხარვეზები, არამედ დააყენოს სახელმწიფოს შემდგომი, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც, როგორც ევროპული⁹ ისე სხვა საერთაშორისო სასამართლოების წინაშე. დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ როგორც საერთო ინტერესი, ისე ვალდებულება უზრუნველყონ წამების პრევენცია, ხოლო ამ ვალდებულების შესრულება სავალდებულოა ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში.¹⁰

ადამიანის უფლებების შესაბამისი სტანდარტით დაცვასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობისაა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს დიპლომატიური გარანტიები, რაც ექსტრადიციის პროცესში ზოგჯერ კრიტიკულ როლსაც შეიძლება, თამაშობდეს.¹¹ თუმცა, სტატიის ფორმატი და მოცულობა არ იძლევა ამ საკითხის დეტალურად განხილვის საშუალებას.

კვლევა ეფუძნება დოქტრინალურ მეთოდოლოგიას, რომლის საფუძველზეც განხორციელდა, როგორც ნორმატიული აქტების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების შეჯამება და ანალიზი, რათა უკეთ მომხდარიყო თეორიული მოსაზრებების პრაქტიკული სისწორის შემოწმება.¹² ექსტრადიციის სფეროში საქართველოს გამოწვევების საილუსტრა-

⁵ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, მუხლი 3, CETS, 1950.

⁶ იქვე, მუხლი 15.

⁷ Dugard J., Van den Wyngaert C., Reconciling Extradition with Human Rights, The American Journal of International Law, Vol.92, №2, 1998, 187, 197-99.

⁸ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, მუხლი 6, CETS, 1950.

⁹ Soering v. United Kingdom [1989] ECHR (Ser. A.), 161, § 91; Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom [2012] ECHR, § 183-187; Mamatkulov and Askarov v. Turkey [2005] ECHR, § 69.

¹⁰ Questions relating to the Obligation to Prosecute or Extradite (Belgium v. Senegal), Judgment, [2012] ICJ Reports, 422, § 69.

¹¹ Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom [2012] ECHR, § 73, § § 188-189.

¹² Brownsword R., An Introduction to Legal Research, essay King's College London, 2006, 3.

ციოდ სტატია ასევე შეეხება აზერბაიჯანელი ჟურნალისტების ბოლოდროინდელ გახმაურებული საქმეებს¹³ იმ ხარვეზების წარმოსაჩენად, რომელიც, როგორც სასამართლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების პრაქტიკის ანალიზით ვლინდება. სტატიაში გაანალიზებულია საკითხი, თუ რამდენად უზრუნველყოფს საქართველოს მოქმედი ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო ეფექტიან შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკური დევნის, იძულებითი გადაცემისა და არაადამიანური მოპყრობის რისკებს.

სტატია ავითარებს ქართულ იურიდიულ დისკურსს ექსტრადიციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ურთიერთმიმართების შესახებ, ამავდროულად ავსებს ქართულ სამართალში არსებულ ცოდნას საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკულ დანერგვასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებისას, რისკების შეფასების კრიტერიუმების დახვეწისა და სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციის მიზნით.

2. ექსტრადიციის განხორციელების სამართლებრივი მექანიზმები

კვლევის მიზნების მისაღწევად, წინამდებარე თავი გაანალიზებს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ექსტრადიციის სამართლებრივ ჩარჩოს, მის მიზნებსა და მნიშვნელობას ნევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის პროცესში, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობაში ამ მექანიზმის განხორციელების პრაქტიკასა და არსებულ გამოწვევებს.

ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენცია¹⁴ (შემდგომში – ექსტრადიციის კონვენცია ან კონვენცია) წარმოადგენს ექსტრადიციის თაობაზე პირველ მრავალმხრივ ხელშეკრულებას რეგიონულ დონეზე.¹⁵ კონვენციის მონაწილეა ევროპის საბჭოს წევრი ყველა სახელმწიფო მისი რატიფიცირების ან მასთან შეერთების შემდგომ.¹⁶ კონვენციით ასევე უზრუნველყოფილია ევროსაბჭოს არაწევრი სახელმწიფოების შესაძლებლობა გახდნენ მისი მონაწილეები, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, ეთანხმებიან მის წევრობას.¹⁷ რუსეთის ფედერაცია აგრეთვე რჩება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოდ უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ომის წარმოების დაწყების შემდგომ ევროპის საბჭოს წევრობიდან მისი გარიცხვის მიუხედავად.¹⁸ მექანიზმი შექმნილია

¹³ A.S. v. Georgia [2025] ECHR.

¹⁴ European Convention on Extradition, European Treaty Series, 1957. საქართველო ასევე არის ექსტრადიციის ევროპული კონვენციის პირველი და მეორე ფაკულტატური ოქმის ხელშეკრველი სახელმწიფო და ხელმოწერილი აქვს მესამე და მეოთხე ფაკულტატური ოქმები. იხ.: <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list>> [29.08.2025].

¹⁵ Bassiouni M. C., International Extradition United States Law and Practice, 6th ed., Oxford, 2014, 23-24.

¹⁶ იხ.: <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatyenum=024>> [20.09.2025].

¹⁷ European Convention on Extradition, მუხლი 30, European Treaty Series, 1957. ევროპის საბჭოს არაწევრი კონვენციის ხელშეკრველი სახელმწიფოებია: ისრაელი, კორეის სახელმწიფო, სამხრეთ აფრიკის სახელმწიფო, ჩილე და რუსეთის ფედერაცია. იხ.: <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatyenum=024>> [29.08.2025].

¹⁸ რუსეთის ფედერაციის ევროპის საბჭოს წევრობიდან გარიცხვის თაობაზე იხ.: Resolution CM/Res(2022)1 on legal and financial consequences of the suspension of the Russian Federation from its rights of

ექსტრადიციითა დასარეგულირებლად და რჩება ამ სფეროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.¹⁹

გარდა ექსტრადიციის კონვენციისა, საქართველო ასევე ხელშემკვრელი სახელმწიფოა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენციისა,²⁰ (მინსკის კონვენცია), რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული მრავალმხრივი შეთანხმებაა, ხოლო საქართველომ ამ კონვენციის წევრობა შეინარჩუნა მისი დსთ-დან გასვლის მიუხედავად.²¹

ექსტრადიციის კონვენცია განსაზღვრავს ექსტრადიციის საკითხზე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ფორმალურ ჩარჩოსა და არ ეხება კონკრეტული პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დადგენას ექსტრადიციის დამაკმაყოფილებელი სახელმწიფოს მხრიდან. კონვენციის პროექტის განხილვის დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოკვეთილი იყო ორი მიდგომა; განიხილებოდა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა მინიჭებოდა უპირატესობა, თუ ჰუმანიტარულ შეზღუდვებსა და ორმხრივი/მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმებას.²² ამ პროცესში, სკანდინავიის ქვეყნების წინადადება, რომელიც ინდივიდუალური უფლებების დაცვასა და ურთიერთნდობას უსვამდა ხაზს, ფართოდ არ იქნა გაზიარებული, რის შედეგადაც სახელმწიფოები შეთანხმდნენ ტრადიციულ ექსტრადიციის ხელშეკრულებებზე, ჰუმანიტარული გამონაკლისებისა და დამატებითი მტკიცებულებების მოთხოვნის შესაძლებლობით.²³ მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის შეთანხმებების სიმრავლე ასუსტებს ექსტრადიციის კონვენციის ერთგვაროვნებას, რადგან მჭიდრო კავშირების მქონე სახელმწიფოებს სჭირდებათ უფრო სპეციფიკური რეგულაციები, იგი მაინც რჩება წარმატებულ და ეფექტიან ინსტრუმენტად მთელ კონტინენტზე.²⁴

როგორც კონვენციის, ასევე სახელმწიფოთა შორის მრავალსაუკუნოვანი თანამშრომლობის შესაბამისად, ექსტრადიციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, სასამართლო ხელისუფლებისა, თუ პროკურატურის ცალკეულ ეტაპებზე მონაწილეობის მიუხედავად, პოლიტიკური ორგანოების კომპეტენციად რჩება.²⁵ სასამართლო ხელისუფლების როლი შემოიფარგლება გადაწყვეტილების ერთჯერადი გასაჩივრების უფლებით, საბოლოო გადაწყვეტილება კი აღმასრულებელ ორგანოს ეკისრება.²⁶ ამ საერთაშორისო სტანდარტს

representation in the Council of Europe adopted by the Committee of Ministers on 2 March 2022 at the 1427th meeting of the Ministers' Deputies, § 6.

¹⁹ *Zanotti I.*, *Extradition in Multilateral Treaties and Conventions*, Netherlands, 2006, 1.

²⁰ „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენცია, CIS-2-93-01, დადებული 1993 წელს.

²¹ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1993 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდების“ მოქმედების საქართველოს მიმართ შეწყვეტის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილება, სსმ, 117, 14.08.2008.

²² Explanatory Report to the European Convention on Extradition, §§ 9-10, <<https://rm.coe.int/16800c92bc>>. [29.08.2025].

²³ იქვე, § 13.

²⁴ *Gilbert G.*, *Responding to International Crime*, Netherlands, 2006, 38.

²⁵ *Caraballo A.L., Conti-Cook C., Pierre Y., McGrath M., Aarons H.*, *Extradition in Post-Roes America*, City University of New York Law Review, Vol. 26, №1, 2023, 1, 40-41.

²⁶ იქვე, 39.

ეფუძნება და აღასრულებს საქართველოს ეროვნული კანონმდებლობაც, სადაც ექსტრადიციასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – კანონი).²⁷ მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიციის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება იუსტიციის მინისტრს ეკუთვნის.²⁸

კანონი ასევე არეგულირებს გარემოებებს, როდესაც დაუშვებელია ექსტრადიცია. მაგალითად, თუ პირის გადაცემა დაკავშირებულია დევნის, წამების, არაადამიანური მოპყრობის, არასრულწლოვანობისა თუ ჯანმრთელობის გამო სტანდარტების უხეში დარღვევის, სპეციალური ტრიბუნალის მიერ გასამართლების, ან საქართველოს სუვერენიტეტთან, უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ვალდებულებებთან წინააღმდეგობის რისკთან.²⁹ მიუხედავად კანონმდებლობის ზემოაღნიშნული დანაწესებისა, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს უფლებების დარღვევის რისკების შეფასების სტანდარტებს.

საკითხის დემონსტრირებისა და თეორიული მსჯელობის პრაქტიკული ასპექტების უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილია საქართველოს იურისდიქციაში განხილული უახლესი საქმეების ანალიზის შემოტანა. ამ ჭრილში საინტერესოა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან სადიგოვის საქმე,³⁰ რომელიც ნათლად წარმოაჩენს, რომ ექსტრადიციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის, ხოლო რიგ შემთხვევაში – თუნდაც პრაქტიკის, მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა საკმარისი არ არის.³¹ აღნიშნული საქმე ასევე აჩვენებს, რომ სერიოზული გამოწვევაა ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დაბალანსება, რადგან ჟურნალისტი, რომელსაც ბაქოში პოლიტიკური ნიშნით დევნილად და პოლიტპატიმრად აღიარებენ, რეალურად ექვემდებარებოდა დევნისა და არაადამიანური მოპყრობის რისკს.³²

სადიგოვის არაერთი განცხადებისა და დაცვის მხარის არგუმენტების მიუხედავად, საქართველოს მიერ საბოლოოდ დაკმაყოფილებულ იქნა მისი ექსტრადიციის მოთხოვნა.³³ ეს გადაწყვეტილება, მართალია, ერთი მხრივ შეესაბამება კანონმდებლობის ფორმალურ-სამართლებრივ მოთხოვნას, თუმცა მეორე მხრივ, ევროპული სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების ფარგლებში მისი აზერბაიჯანში ექსტრადიციის აკრძალვის მოთხოვნა, რითაც უზრუნველყოფილ იქნა ჟურნალისტის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დროებითი დაცვა,³⁴ ცხადად აჩვენებს პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დროებითი

²⁷ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, სსმ, 48, 09/08/2010.

²⁸ იქვე, მუხლი 34.

²⁹ იქვე, მუხლი 29.

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 2კ-211-1-24.

³¹ იქვე.

³² Amnesty International's International Secretariat Letter to the Georgian Ministry of Justice <https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/TG-EUR-56.2024.6250_1731662698.pdf?ref=oc-media.org> [20.09.2025].

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 2კ-211-1-24.

³⁴ A.S. v. Georgia [2025] ECHR.

ლონისძიებები, როგორც წესი, ევროპული სასამართლოს მიერ უკიდურესად შეზღუდულად გამოიყენება და მხოლოდ მაშინ მიიღება, თუ არსებობს გამოუსწორებელი ზიანის მიყენების გარდაუვალი რისკი.³⁵ შესაბამისად, სადიგოვის უფლებების შესაძლო ავტორიტარული დევნისგან დაცვა სწორედ ევროპული სასამართლოს ჩარევამ გახადა შესაძლებელი.

მართალია, უშუალოდ ექსტრადიციასთან კავშირში არ არის, თუმცა სადიგოვის საქმე არ არის საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის აზერბაიჯანელ ჟურნალისტთან დაკავშირებული პირველი შემთხვევა. მძიმე ფაქტებს შეიცავს მეორე აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეც, რომელიც მისი შინაარსით დაკავშირებულია პირის გატაცებასთან.³⁶ ევროპის სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებული სარჩელი ეხებოდა მომჩივნის სავარაუდო გატაცებას, არასათანადო მოპყრობასა და იძულებით გადაყვანას აზერბაიჯანში, ასევე ამ ფაქტებზე არაეფექტიან გამოძიებას, რაც მიზნად ისახავდა პირის ჟურნალისტური საქმიანობის ჩახშობას.³⁷ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველომ ვერ ჩაატარა ეფექტური გამოძიება განმცხადებლის სავარაუდო გატაცებისა და გადაცემის ფაქტზე.³⁸ ადგილი ჰქონდა გამოძიების გაჭიანურებას, ვიდეოსათვალთვალო კამერის ძირითადი მტკიცებულებების არასათანადო დამუშავებას და აზერბაიჯანის მხარის ჩვენებების გადამოწმების ძალისხმევის ნაკლებობას.³⁹ ნებისმიერ შემთხვევაში, პირის ერთი სახელმწიფოს იურისდიქციიდან სხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში გადაყვანა მხოლოდ ერთადერთ მიზანს, სასჯელის მოხდას ან სასამართლო მოსმენების უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდეს.⁴⁰ უფრო მეტიც, გადაწყვეტილებამ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს საგამოძიებო სტრუქტურებმა ვერ უზრუნველყვეს საქმის ეფექტიანი გამოძიება და შვიდ წელზე მეტია, პასუხგაუცემელია მთავარი კითხვა, ვისი დავალებითა და რატომ მოხდა ჟურნალისტის გატაცება.⁴¹

წინამდებარე თავში განვითარებული ანალიზი ცხადყოფს, ექსტრადიციის კონვენციისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის მიერ შექმნილი ფორმალური სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის მიუხედავად, საერთაშორისო ვალდებულებებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს შორის დაბალანსების პრობლემა პრაქტიკაში კვლავ ყურადღებასიმაქცევ საკითხთა შორის რჩება. საქართველოსთვის გადამწყვეტია ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების მკაცრი დაცვა, რისკების შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების ჩამოყალიბება და პოლიტიკური მოსაზრებებისგან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალში ანალოგიური დარღვევები. იმის გათვალისწინებითაც, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალური უფლებების დარღვევას; იგი ასევე წარმოშობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების ფარგლებში, რაც ერთდროულად მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ განზომილებას.

³⁵ Mamatkulov and Askarov v. Turkey [2005] ECHR, § 104.

³⁶ Mukhtarli v. Azerbaijan and Georgia [2024] ECHR.

³⁷ იქვე, § 1.

³⁸ იქვე, §§ 157-69.

³⁹ იქვე.

⁴⁰ Arnell P., Walker C., The Resurrection of the Political Offence Exception to Extradition in UK Law, New Journal of European Criminal Law, Vol. 15, №4, 2024, 412, 413.

⁴¹ Mukhtarli v. Azerbaijan and Georgia [2024] ECHR, §§ 158-60.

3. ევროპული სასამართლოს სტანდარტი ექსტრადიციისას

სტატიის ეს თავი გააანალიზებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და ექსტრადიციის მექანიზმების გადაკვეთას, იმის წარმოსაჩენად, თუ რაოდენი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და სახელმწიფოთა შორის ნაცვალებების საფუძველზე კეთილსინდისიერი საერთაშორისო თანამშრომლობის დაბალანსებას.⁴²

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები ექსტრადიციებს გამოკვეთილად, პირდაპირ არ შეეხება, შესაბამისად, არც კრძალავს და არც აღიარებს მას.⁴³ თუმცა, მრავალწლიანი სასამართლო პრაქტიკა, ისევე როგორც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, ნათლად ასახავს ექსტრადიციასა და ადამიანის უფლებებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირს.⁴⁴ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი აწესებს შეზღუდვებს იმ პირობებზე, რომელთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შეუძლებელი გახდება გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილება პირთა ექსტრადიციის დროს.⁴⁵

3.1. ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დაცვის სტანდარტი ექსტრადიციისას

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და ექსტრადიციის პირველი არსებითი გადაკვეთა დაფიქსირდა ზოერინგის საქმეში,⁴⁶ სადაც სასამართლომ ექსტრადიციის პროცესში ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევაზე იმსჯელა და ჩამოაყალიბა რამდენიმე ფუნდამენტური სტანდარტი.⁴⁷ აღნიშნული სტანდარტები უკვე ათწლეულებია გამოიყენება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არა მხოლოდ ექსტრადიციის, არამედ დეპორტაციისა და გაძევების საქმეების შეფასებასაც.⁴⁸

ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოები, როგორც წესი, ვალდებული არიან უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები მხოლოდ მათ იურისდიქციაში მყოფი პირებისთვის და არ არიან პასუხისმგებელი კონვენციის სტანდარტების არანეგირი სახელმწიფოებისთვის დანესებაზე.⁴⁹ სასამართლომ ასევე აღიარა ის ფაქტი, რომ სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორიცაა 1951 წლის ლტოლვილთა კონვენცია,⁵⁰ 1957 წლის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია⁵¹ და 1984 წლის გაეროს

⁴² Arnell P., The Universality of Human Rights in UK Extradition Law, Transnational Criminal Law Review, Vol.1, №1, 2022, 52, 60-61.

⁴³ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, CETS, 1950; American Convention on Human Rights, UNTS, 1969, 144; African Charter on Human and Peoples' Rights, UNTS, 1981, 217.

⁴⁴ Magnuson W., The Domestic Politics of International Extradition, Virginia Journal of International Law Vol. 52, №4, 2012, 839, 852-54.

⁴⁵ Gilbert G., Aspects of Extradition Law, Netherlands, 2022, 80-81.

⁴⁶ Soering v. United Kingdom [1989] ECHR (Ser. A.), 161.

⁴⁷ Arnell P., The Universality of Human Rights in UK Extradition Law, Transnational Criminal Law Review, Vol.1, №1, 2022, 52, 57.

⁴⁸ ხუციშვილი ქ., ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, კრებულში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კორკელია კ. (რედ.), თბილისი, 2006, 313, 317-20.

⁴⁹ Soering v. United Kingdom [1989] ECHR (Ser. A.), 161, § 86.

⁵⁰ Convention Relating to the Status of Refugees, მუხლი 33, UNTC, 1951, 137.

⁵¹ European Convention on Extradition, მუხლი 11, European Treaty Series, 1957

წამების წინააღმდეგ კონვენცია,⁵² კონკრეტულად ეხება სხვა იურისდიქციაში გადაყვანით (გადაცემით) გამოწვეულ რისკებს.⁵³ მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ეს მოსაზრებები არ ათავისუფლებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან ექსტრადიციის პროგნოზირებად შედეგებზე.⁵⁴ აღნიშნულით დაადგინა პრინციპი, რომ ექსტრადიციის განმახორციელებელ სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ გადაცემა პირს წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის რეალურ საფრთხეს უქმნის („რეალური რისკის“ ტესტი).⁵⁵ შესაბამისად, პირდაპირი იურისდიქციის არქონის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო ვალდებულია არ მოახდინოს გადაცემა, თუ არსებობს წამების ან არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკი, რაც მოითხოვს მიმღები ქვეყნის სამართლებრივი სისტემისა და გარემოებების ღრმა და დამოუკიდებელ შეფასებას.⁵⁶

ამავე საქმეში სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონვენცია, როგორც ადამიანის უფლებათა კოლექტიური აღსრულების ხელშეკრულება, უნდა იქნას განმარტებული ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი დაცვის მექანიზმების პრაქტიკული და ეფექტური, დემოკრატიული საზოგადოების იდეალებთან შესაბამისობაში გამოყენება.⁵⁷ პირის ექსტრადიცია იმ სახელმწიფოში, სადაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, შეუთავსებელია კონვენციის არსთან.⁵⁸ მიუხედავად იმისა, რომ მე-3 მუხლი პირდაპირ არ მოიხსენიებს ექსტრადიციას, სასამართლომ სახელმწიფოებისთვის დაადგინა ნაგულისხმევი ვალდებულება, არ გადასცენ პირები ისეთ გარემოებებში, სადაც ისინი აღმოჩნდებიან რეალური რისკის წინაშე.⁵⁹ ამგვარად, კონვენციის დაცვის მექანიზმი ექსტრატერიტორიულად გაფართოვდა.

მოგვიანებით, „რეალური რისკის“ ტესტმა მოიცვა მე-3 მუხლის დარღვევის „არსებითი საფუძვლების“ შეფასება არა მხოლოდ ექსტრადიციის, არამედ დეპორტაციისა და გაძევების საქმეებშიც.⁶⁰ სასამართლოს მიერ „რეალური რისკის“ ტესტის დეპორტაციის საქმეში გამოყენების ერთ-ერთი მაგალითია ჩაჰალის საქმე, სადაც რისკის შეფასებისას, სასამართლო დაეყრდნო გაეროს ექსპერტების შეფასებებს, Amnesty International-ის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის და სხვა ორგანიზაციების ანგარიშებს.⁶¹ აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პასუხისმგებლობა წარმოიშობა არა მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენიდან, არამედ ექსტრადირების განმახორციელებელი სახელმწიფოს მიერ პირის წინასწარ განჭვრე-

⁵² Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, მუხლი 3, UNTC, 1984, 113.

⁵³ Soering v. United Kingdom [1989] ECHR (Ser. A.), 161, § 86.

⁵⁴ Arnell P., The Imposition of European Convention on Human Rights Standards in Extradition, Scots Law Times, 2024, 221, 222.

⁵⁵ Soering v. United Kingdom [1989] ECHR (Ser. A.), 161, § 86.

⁵⁶ Shea M.P., Expanding Judicial Scrutiny of Human Rights in Extradition Cases After Soering, Yale Journal of International Law, Vol. 17, 1992, 85, 86.

⁵⁷ Soering v. United Kingdom [1989] ECHR (Ser. A.), 161, § 87.

⁵⁸ იქვე. § 88.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იხ.: Ahmed v. Austria [1996] ECHR; H.L.R. v. France [1997] ECHR; D v. United Kingdom [1997] ECHR; Mamatkulov and Askarov v. Turkey [1999] ECHR. იხ. ასევე: Cruz Varas and Others v. Sweden [1991] ECHR, § 75-76, Vilvarajah and Others v. UK [1991] ECHR, § 107.

⁶¹ Chahal v. the United Kingdom [1996] ECHR § 95-107.

ტადი არასათანადო მოპყრობის საფრთხის წინაშე დაყენების აქტიდან.⁶² იმისათვის, რომ არასათანადო მოპყრობა მოხდეს მე-3 მუხლის ფარგლებში, მან უნდა მიაღწიოს სიმძიმის მინიმალურ ზღვარს, რომელიც განისაზღვრება მათ შორის ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ბუნება, ხანგრძლივობა, მეთოდი და შედეგები, ბრალდებები უნდა იყოს დასაბუთებული შესაბამისი მტკიცებულებებით.⁶³

შედარებით ახალ საქმეებში სასამართლო აღნიშნავს, რომ პირს არ უნდა შეექმნას „დაუსაბუთებელი რისკი“ ისეთ სახელმწიფოში გადაყვანით, სადაც სისტემური ხარვეზებია თავშესაფრის სისტემაში და ეს მიდგომა ვრცელდება ნებისმიერი ფორმის იძულებით გადაყვანაზე.⁶⁴ სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ თავი შეიკავოს ექსტრადიცია/დეპორტაცია/გაძევებისგან რისკის არსებობის შემთხვევაში, არამედ მიიღოს სათანადო ზომები ამ რისკის შესაფასებლად და თავიდან ასაცილებლად.⁶⁵ აღნიშნული მოიცავს დეტალურ შეფასებას გადაცემამდე, საჭიროების შემთხვევაში, დროებით ღონისძიებებს, მათ შორის, დიპლომატიური გარანტიების რეალურ და არა ფორმალური შემოწმებას. რისკების დასაბუთებულად შეფასებას⁶⁶ საფუძვლად უნდა ედოს საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის წყაროები, მათ შორის გაეროს სპეციალური მოხსენებები, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, საელჩოების ინფორმაციული მონაცემები. შესაბამისად, დაყრდნობა უნდა მოხდეს არამხოლოდ ფორმალურ გარანტიებზე, არამედ მიმღები ქვეყნის ფაქტობრივ პრაქტიკაზე.⁶⁷

ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლო მუდმივად ამკაცრებს შეფასების სტანდარტებს ისეთ ქვეყნებთან მიმართებით, სადაც ფიქსირდება წამების შემთხვევათა სისტემატურობა ან/და მატება.⁶⁸ განსაკუთრებით მწვავეა მიდგომა ავტორიტარული რეჟიმების მიმართ,⁶⁹ სადაც სასამართლო პრაქტიკულად მიიჩნევს, რომ იქ არსებული სისტემური დეფიციტები შეუძლებელს ხდის ინდივიდუალურად უსაფრთხო გადაცემის უზრუნველყოფას.⁷⁰

რეალური რისკის შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია მტკიცებულებების ტვირთის და სტანდარტის შეფასება. აქ იმთავითვე ხაზგასასმელია, რომ მტკიცებულებებზე საუბრისას არ განიხილება ბრალის დამტკიცებასთან დაკავშირებული სტანდარტი, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ცნობილია, როგორც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი დანაშაულისთვის, და დასაბუთებული ვარაუდი ბრალისთვის.⁷¹ ექსტრადიცია ის პროცედურაა, როდესაც პირის წარდგენა ხდება სხვა სახელმწიფოს მართლმსაჯულების სისტემისთვის და ამ პროცესში წარმოებს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის დახმარება. მტკიცებულება, რომელიც ამ პროცესშია საჭირო, ეხება ისეთი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლას, რაც მოიცავს უშუალოდ ექსტრადიციის გამომრიცხავი ან დამაბრკოლებელი გა-

⁶² Mamatkulov and Askarov v. Turkey [2005] ECHR, § 67-70.

⁶³ იქვე.

⁶⁴ M.S.S. v. Belgium and Greece, [2011] ECHR, § 341-343.

⁶⁵ Gilbert G., Responding to International Crime, Netherlands, 2006, 371-73.

⁶⁶ J.K. and Others v. Sweden, [2016] (GC) ECHR, § 87-88, ასევე § 91.

⁶⁷ იქვე, § 89-90.

⁶⁸ Saadi v. Italy [2008] (GC) ECHR, § 127-33; Hirsi Jamaa and Others v. Italy [2012] (GC) ECHR, § 122-25.

⁶⁹ Shamayev and Others v. Georgia and Russia, [2005] ECHR, § 344-53; Garabayev v. Russia, [2007] ECHR, § 72-80; Ismoilov and Others v. Russia, [2008] ECHR, § 121-27; Mammadov (Jalaloglu) v. Azerbaijan, [2007] ECHR, § 66-75; M.A. v. France, [2018] ECHR, § 54.

⁷⁰ Ismoilov and Others v. Russia [2008] ECHR, § 121; Garayev v. Azerbaijan [2010] ECHR, § 74.

⁷¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტები 11 და 13, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009.

რემოების შესწავლას. შესაბამისად, თუკი არ არსებობს ამ პროცესის დამაბრკოლებელი კანონისმიერი, სახელშეკრულებო ან სხვა გარემოებები, პირი მიიჩნევა ექსტრადირებად პირად. სწორედ ამ პროცესის უზრუნველსაყოფად და პოზიციის გასამყარებლად დამატებითი მტკიცებულებების მოთხოვნა შესაძლებელი ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე მტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელიც აცხადებს რისკზე და სწორედ ის არის ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულებები.⁷² ამის შემდგომ ტვირთი გადადის სახელმწიფოზე, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ასეთი რისკი არ არსებობს.⁷³

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, მიუხედავად სახელმწიფოთა სუვერენული კონტროლისა ექსტრადიცია/გაძევება/დეპორტაციაზე, ეს უფლება შეზღუდულია კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი ვალდებულებით: არცერთ ხელშემკვერელ სახელმწიფოს არ შეუძლია პირის გადაცემა სხვა იურისდიქციისთვის, სადაც არსებობს აკრძალული არასათანადო მოპყრობის რეალური რისკი. ვინაიდან პასუხისმგებლობა ეკისრება გადაცემის განმახორციელებელ სახელმწიფოს, რისკის შეფასება უნდა იყოს ზუსტი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და კონვენციის ფუნდამენტურ ღირებულებებთან შესაბამისი.

3.2. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის სტანდარტი ექსტრადიციისას

ერთია მტკიცებულებების წარდგენა/მოთხოვნა ექსტრადიციის დასაშვების საკითხის განხილვის მიზნით, თუმცა მეორე საკითხია სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა ექსტრადიციისას ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში.⁷⁴ ევროპულ სასამართლოს 22 წელი დასჭირდა, დაედგინა აღნიშნული მუხლის დარღვევა გაძევების საქმეზე.⁷⁵ შედარებით ადრინდელ საქმეებში,⁷⁶ სასამართლო თანმიმდევრულად ამტკიცებდა, რომ დავები, რომლებიც დაკავშირებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების „შესვლასთან, ბინადრობასთან და დეპორტაციასთან,“ არ გულისხმობდა განმცხადებლის სამოქალაქო უფლებების, მოვალეობების ან სისხლის სამართლის ბრალდების განხილვას, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 6(1) მუხლით.⁷⁷

სასამართლოს თანახმად, მე-6 მუხლის პირველ პუნქტში „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ და „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ ცნებები კონვენციის მიხედვით ავტონომიური ცნებებია და მათი განსაზღვრა მხოლოდ შიდა კანონმდებლობით არ შეიძლება.⁷⁸ ექსტრადიციის თაობაზე სასამართლო განხილვისას სასამართლო ადგენს, დაცულია თუ არა პირის ექსტრადიციისთვის საჭირო სამართლებრივი მოთხოვნები.⁷⁹ საქმის რეალური არსებითი განხილვა და დანაშაულის დადგენა მოხდება პირის ექსტრადიციის შემდგომ, იმ სახელმწიფოში, სადაც მოხდება მისი გადაცემა. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს

⁷² Saadi v. Italy, [2008] ECHR, § 129; NA. v. the United Kingdom [2008] ECHR, § 111.

⁷³ იქვე.

⁷⁴ ზოერინგის საქმეში მომჩივანი ასევე ითხოვდა ევროპული კონვენციის 6(3)(c) მუხლის დარღვევის ცნობას, რაც არ დააკმაყოფილა სასამართლომ და არ დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევ საქმეზე. იხ.: Soering v United Kingdom [1989] ECHR, § 113.

⁷⁵ Langford P., Extradition and Fundamental Rights: The Perspective of the European Court of Human Rights, The International Journal of Human Rights, Vol. 13, №4, 2009, 512, 515-18.

⁷⁶ Mamatkulov and Askarov v. Turkey [2005] ECHR, § 82.

⁷⁷ Maaouia v. France [2000] ECHR, § 40.

⁷⁸ იქვე, § 34.

⁷⁹ Gilbert G., Aspects of Extradition Law, Netherlands, 2022, 89.

უფლებათა სრული პაკეტი, რომელიც სასამართლო პროცესს უკავშირდება, ექსტრადიციის ეტაპზე არ მოითხოვება.⁸⁰

წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გაანალიზებაც. კონვენციის ამ დანაწესის თანახმად, პირი „უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“ იმ მომენტიდან, როდესაც ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო პირის ექსტრადირებას დანაშაულის ჩადენის გამო ეძიებს, ამ მუხლის მიზნებისთვის პირი ითვლება „ბრალდებულად“. უდანაშაულობის პრეზუმფცია არის ფუნდამენტური სტატუსი, რომელიც ბრალდების წაყენების მომენტიდან მოქმედებს.⁸¹ შესაბამისად, „სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებითი განხილვა“ ეხება ძირითად სასამართლო პროცესს, სადაც პირის დამნაშავეობა წყდება. რადგან საექსტრადიციო მოსმენის ფარგლებში ეს არ ხდება, მე-6 მუხლის პირველი და მასთან დაკავშირებული მე-3 პუნქტის უფლებები არ გამოიყენება. ბრალდებულის სტატუსთან დაკავშირებით,⁸² მიუხედავად იმისა, რომ პირის სასამართლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა იმ ქვეყანაში, რომელიც ექსტრადიციას ახორციელებს, მას უკვე მინიჭებული აქვს „ბრალდებულის“ სტატუსი. სწორედ ეს სტატუსი ააქტიურებს მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ დაცვას, უდანაშაულობის პრეზუმფციას.

აბუ ქატადას საქმე წარმოადგენს სტრასბურგის სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრეცედენტს, სადაც დადგენილ იქნა, რომ გაძევება შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს, თუ არსებობს რეალური რისკი, რომ სასამართლოში გამოიყენება წამებით მოპოვებული მტკიცებულებები.⁸³ ამ საქმეში სასამართლომ თავისი შეფასებისას დარღვევა დაადგინა მთლიანად მუხლთან, და არა მის რომელიმე პუნქტთან, მიმართებით.⁸⁴

ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე, ბრიტანეთის ეროვნულ იურისდიქციაში ლორდთა პალატამ დაასკვნა, რომ აბუ ქატადას იორდანიაში დეპორტაცია, მიუხედავად წამებით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების რეალური რისკისა, არ აღწევდა „სამართლიანობის უარყოფის“ იმ სტანდარტს, რომელიც ევროპული სასამართლოს პრაქტიკით იყო განსაზღვრული.⁸⁵ ბრიტანეთის მიერ გამოყენებული ეს დაბალი სტანდარტი იმთავითვე მიანიშნებდა, რომ საქმე ევროპულ სასამართლოში გადახედვის საგანი გახდებოდა.⁸⁶

ევროპული სასამართლოს თანახმად, ისეთი საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა ვარაუდი, რომ მიმღები სახელმწიფოს მართლმსაჯულება ვერ უზრუნველყოფს კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამის სამართლიანი სასამართლოს უფლე-

⁸⁰ Arnell P., The Contrasting Evolution of the Right to a Fair Trial in UK Extradition Law, The International Journal of Human Rights, Vol. 22, №7, 2018, 869, 874.

⁸¹ Caraballo A.L., Conti-Cook C., Pierre Y., McGrath M., Aarons H., Extradition in Post-Roe's America, City University of New York Law Review, Vol. 26, №1, 2023, 1, 30.

⁸² ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების კონტექსტში.

⁸³ Othman (Abu Qatada) v. UK, [2012] ECHR, § 265-85.

⁸⁴ იქვე, § 287.

⁸⁵ RB (Algeria) (FC) and another (Appellants) v Secretary of State for the Home Department OO (Jordan) (Original Respondent and Cross-appellant) v Secretary of State for the Home Department (Original Appellant and Cross-respondent), [2009] UKHL 10.

⁸⁶ Garrod M., Deportation of Suspected Terrorists with 'Real Risk' of Torture: The House of Lords Decision in Abu Qatada, Modern Law Review, Vol. 73, №4, 2010, 631, 634-36.

ბას,⁸⁷ ექსტრადიციის დაუშვებელია.⁸⁸ ასეთ დროს სახელმწიფოს სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის, მტკიცებულებების მოპოვების გზებისა და სასამართლო პროცესის სხვა არსებითი გარანტიების შეფასება ევალება.⁸⁹

მიუხედავად, იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ექსტრადიციის საკითხებს ევროპული კონვენციისა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად არეგულირებს, საქართველოს ბოლოდროინდელი საქმეების⁹⁰ ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არის მკაფიო, რამდენად აფასებს საქართველოს სასამართლო პირის ექსტრადიციისას, უზრუნველყოფილი იქნება თუ არა მის მიმართ საქმის განხილვა მიმღებ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად.⁹¹ ექსტრადიციის სისტემის გაძლიერება გულისხმობს ევროპული სასამართლოს სტანდარტებზე დაფუძნებული პრაქტიკის განხორციელებას და ამ პროცესში სასამართლოს როლის გაძლიერებას.⁹² საქართველოს სასამართლოები კი ხშირად ვერ უზრუნველყოფენ ამ ვალდებულებების სათანადო შესრულებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება პირების გადაცემას ავტორიტარული რეჟიმებისათვის.

4. დასკვნა

საქართველოს ექსტრადიციის სამართლებრივი ჩარჩოს ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების ჭრილში ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საერთაშორისო სტანდარტებთან ფორმალური შესაბამისობის მიუხედავად, პრაქტიკაში მექანიზმი, განსაკუთრებით პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეებში, ინდივიდუალური დაცვის რეალურ გარანტიებს სრულად ვერ უზრუნველყოფს.

სტატიაში განხილული ჟურნალისტის საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სადიგოვის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ფაქტობრივი გადაცემის შემთხვევაში, მის მიმართ, მაღალი ალბათობით, საქართველოს მხრიდან დაირღვეოდა ევროპული კონვენციის, როგორც მე-3, ასევე მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებები. შესაბამისად, ეს საქმე მიუთითებს არამხოლოდ ექსტრადიციის პროცესში არსებულ კონკრეტულ დარღვევებზე, არამედ საქართველოში ამ უფლებათა დაცვის ჭრილში არსებულ სისტემურ პრობლემაზეც.

წარმოებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ მიუხედავად საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიული ჩარჩოების არსებობისა, საქართველოს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება რეალურ რისკებს ხშირად სათანადოდ ვერ აფასებს და ახდენს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების ფორმალურ გამოყენებას.

⁸⁷ Arnell P., Walker C., The Resurrection of the Political Offence Exception to Extradition in UK Law, *New Journal of European Criminal Law*, Vol. 15, №4, 2024, 412, 429.

⁸⁸ Parlanti v. Germany [2005] ECHR, § 5; *Othman v. UK*, [2012] ECHR, § 258.

⁸⁹ *Othman v. the United Kingdom* [2012] ECHR, § 266-67.

⁹⁰ <<https://www.supremecourt.ge/ka/cases>> [20.09.2025].

⁹¹ პრაქტიკიდან ასევე არ იკვეთება, რამდენად დეტალურად და ევროპული სასამართლოს სტანდარტის შესაბამისად ამონმებს ქართული სასამართლო დიპლომატიურ გარანტიებს. ამ საკითხზე ზოგადად იხ.: *Hawkins K. R.*, The Promises of Torturers: Diplomatic Assurances and the Legality of Rendition, *Georgetown Immigration Law Journal*, Vol. 20, 2006, 213.

⁹² ღვალადე ნ., საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულება – სამართლებრივი ანალიზი და აღსრულებასთან დაკავშირებული პერსპექტივები, *სამართლის ჟურნალი*, №1, 2025, 499, 506-09.

საქართველოსთვის გადამწყვეტია ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტების მკაცრი დაცვა, რისკების შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმების დანერგვა და გადამწყვეტილებების პოლიტიკური გავლენების მიღმა მიღება, მომავალში სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის თავიდან არიდებისა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების რეალური დაცვის უზრუნველსაყოფად.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, სსმ, 48, 09/08/2010.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009.
3. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ კონვენცია, CIS-2-93-01, დადებული 1993 წელს.
4. „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1993 წლის 22 იანვრის გადამწყვეტილებით დამტკიცებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდების“ მოქმედების საქართველოს მიმართ შეწყვეტის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილება, სსმ, 117, 14.08.2008.
5. ღვალაძე ნ., საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულება – სამართლებრივი ანალიზი და აღსრულებასთან დაკავშირებული პერსპექტივები, სამართლის ჟურნალი, №1, 2025, 499, 506-09.
6. ხუციშვილი ქ., ექსტრადიციისა და დეპორტაციის საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, კრებულში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კორკელია კ. (რედ.), თბილისი, 2006, 313, 317-320.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 დეკემბრის განჩინება საქმეზე № 2კ-211-1-24.
8. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, CETS, 1950.
9. American Convention on Human Rights, UNTS, 1969, 144.
10. African Charter on Human and Peoples' Rights, UNTS, 1981, 217.
11. European Convention on Extradition, European Treaty Series, 1957.
12. Resolution CM/Res (2022)1 on legal and financial consequences of the suspension of the Russian Federation from its rights of representation in the Council of Europe, adopted by the Committee of Ministers on 2 March 2022 at the 1427th meeting of the Ministers' Deputies.
13. Arnell P., The Contrasting Evolution of the Right to a Fair Trial in UK Extradition Law, The International Journal of Human Rights, Vol. 22, №7, 2018, 869, 874.
14. Arnell P., Walker C., The Resurrection of the Political Offence Exception to Extradition in UK Law, New Journal of European Criminal Law, Vol. 15, №4, 2024, 412, 413, 429.
15. Arnell P., The Universality of Human Rights in UK Extradition Law, Transnational Criminal Law Review, Vol. 1, №1, 2022, 52, 57, 60-61.
16. Arnell P., The Imposition of European Convention on Human Rights Standards in Extradition, Scots Law Times, 2024, 221, 222.
17. Bassiouni M. C., International Extradition United States Law and Practice, 6th ed., Oxford, 2014, 23-24.
18. Brownsword R., An Introduction to Legal Research, essay King's College London, 2006, 3.

19. Clarke A., Terrorism, extradition, and the Death Penalty, William Mitchell Law Review, Vol. 29, №3, 2003, 783, 785-87.
20. Caraballo A.L., Conti-Cook C., Pierre Y., McGrath M., Aarons H., Extradition in Post-Roes America, City University of New York Law Review, Vol. 26, №1, 2023, 1, 30, 39, 40-41.
21. Dugard J., Van den Wyngaert C., Reconciling Extradition with Human Rights, The American Journal of International Law, Vol. 92, №2, 1998, 187, 197-99.
22. Garrod M., Deportation of Suspected Terrorists with 'Real Risk' of Torture: The House of Lords Decision in Abu Qatada, Modern Law Review, Vol. 73, №4, 2010, 631, 634-36.
23. Gilbert G., Aspects of Extradition Law, Netherlands, 2022, 80-81, 89.
24. Gilbert G., Responding to International Crime, Netherlands, 2006, 38, 371-73.
25. Hawkins K. R., The Promises of Torturers: Diplomatic Assurances and the Legality of Rendition, Georgetown Immigration Law Journal, Vol. 20, 2006, 213.
26. Langford P., Extradition and Fundamental Rights: The Perspective of the European Court of Human Rights, The International Journal of Human Rights, Vol. 13, №4, 2009, 512, 515-18.
27. Magnuson W., The Domestic Politics of International Extradition, Virginia Journal of International Law Vol. 52, №4, 2012, 839, 852-54.
28. Moodrick-Even Khen H., Mutual Legal Assistance and Double Criminality: Bolstering the Struggle against Impunity Outside the ICC Framework, Journal of International Criminal Justice, Vol. 23, №1, 2025, 87, 93-94
29. Shea M.P., Expanding Judicial Scrutiny of Human Rights in Extradition Cases After Soering, Yale Journal of International Law, Vol. 17, 1992, 85, 86.
30. Zanotti I., Extradition in Multilateral Treaties and Conventions, Netherlands, 2006, 1.
31. A.S. v. Georgia [2025] ECHR
32. Mukhtarli v. Azerbaijan and Georgia [2024] ECHR.
33. M.A. v. France, [2018] ECHR.
34. J.K. and Others v. Sweden, [2016] (GC) ECHR.
35. Hirsi Jamaa and Others v. Italy [2012] (GC) ECHR.
36. Questions relating to the Obligation to Prosecute or Extradite (Belgium v. Senegal), Judgment, [2012] ICJ Reports, 422.
37. Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom [2012] ECHR.
38. M.S.S. v. Belgium and Greece, [2011] ECHR.
39. Garayev v. Azerbaijan [2010] ECHR.
40. RB (Algeria) (FC) and another (Appellants) v Secretary of State for the Home Department OO (Jordan) (Original Respondent and Cross-appellant) v Secretary of State for the Home Department (Original Appellant and Cross-respondent), [2009] UKHL 10.
41. Ismoilov and Others v. Russia [2008] ECHR.
42. N.A. v. the United Kingdom [2008] ECHR.
43. Saadi v. Italy [2008] (GC) ECHR.
44. Garabayev v. Russia, [2007] ECHR.
45. Mammadov (Jalaloglu) v. Azerbaijan, [2007] ECHR.
46. Mamatkulov and Askarov v. Turkey [2005] ECHR.
47. Parlanti v. Germany [2005] ECHR.
48. Shamayev and Others v. Georgia and Russia, [2005] ECHR.
49. Maaouia v. France [2000] ECHR.

50. D v. United Kingdom [1997] ECHR.
51. H.L.R. v. France [1997] ECHR.
52. Ahmed v. Austria [1996] ECHR.
53. Chahal v. the United Kingdom [1996] ECHR.
54. Cruz Varas and Others v. Sweden [1991] ECHR.
55. Vilvarajah and Others v. the United Kingdom, [1991] (Ser. A), 215.
56. Soering v. United Kingdom [1989] ECHR (Ser. A.), 161.
57. ექსტრადიციის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/ANALITIKURI/eqstraditsia.pdf>> [04.11.2025].
58. Explanatory Report to the European Convention on Extradition <<https://rm.coe.int/16800c92bc>> [04.11.2025].
59. Amnesty International's International Secretariat Letter to the Georgian Ministry of Justice <https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/TG-EUR-56.2024.6250_1731662698.pdf?ref=oc-media.org> [04.11.2025].
60. <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=024>> [04.11.2025].
61. <<https://www.supremecourt.ge/ka/cases>> [04.11.2025].

ნიკოლოზ წერეთელი*

ფრანგული LAÏCITÉ და სინდისის თავისუფლება

ეკლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების სწორად და-რეგულირება სახელმწიფოების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოების ისტორიული განვითარების შესაბამისად სახელმწიფოები სხვადასხვა დროს ცდილობდნენ შეემუშაებინათ იმგვარი მმართველობითი ფორმა, რომელშიც ეკლესიის ინსტიტუციაც საკუთარი ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი. ამ მხრივ ერთ-ერთ განსაკუთრებულ ურთიერთობის სეკულარულ ფორმას ფრანგული *Laïcité* წარმოადგენს. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული მოდელის წარმოშობის ისტორია და განვითარების დინამიკა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის როლს თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებაში და, საბოლოოდ, ეკლესიისა და სახელმწიფოს მშვიდობიან თანაცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: ფრანგული *Laïcité*, სინდისის თავისუფლება, კონსტიტუცია, სეკულარიზმი.

1. შესავალი

მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: „მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.“
სახერაბაჲ მარკოზისი, 12,17.

სახელმწიფო, როგორც ადამიანთა ორგანიზებული თანაარსებობა, უძველესი წეს-რიგია.¹ ეკლესიასა და სახელმწიფოს საქმიანობის განხორციელების თავ-თავიანთი მექანიზმები გააჩნიათ, თუმცა რთული სათქმელია რამდენად არსებობს მათ შორის რაიმე სახის კავშირი.²

ისტორიული ქარტეხილები ცხადყოფს, რომ რელიგია საზოგადოების ფორმირებასა და კოლექტიური იდენტობის შენარჩუნებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა.³ ნიშანდობლივია, რომ სარწმუნოება გარდა თავისი მეტაფიზიკური და ტრანსენდენტული ბუნებისა, ატარებდა პოლიტიკურ და მათ შორის, სამართლებრივ ბუნებასაც. ამის საუკეთესო მაგალითია ერთის მხრივ საეკლესიო დოგმატიკისა და მეორეს მხრივ, კანონიკური სამართლის ჩამოყალიბების ისტორიული ასპექტები. ყოველივე ამის გათვალისწინებით არ არის მოულოდნელი, რომ რელიგია კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე განიცდიდა ჩაგვრასა და დევნას, ხოლო იმპერიალიზმის გაძლიერების ფონზე, სახელმწიფოებმა დაიწყეს რელიგიური ინსტიტუციების იდეოლოგიური მექანიზმების გამოყენება.⁴ მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია არ შეიძლება რომელიმე პოლიტიკური სისტემის თუ დაჯგუფების მომხრედ აღიქმებოდეს, ის შეძლებ-

* აღმოსავლეთ ევროპის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

¹ ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბ., 2007, 187.

² ხუცურაული ი., ქრისტიანული რელიგიისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოში, ჟურნალი „სამართალი“, #9-10, 2001, 21.

³ Ferrari S., Introduction to European Church and State Discourses, in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen, 2010, 26.

⁴ ლოქლინი რ. ბ., კედლის ბევრი ფანჯარა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, #5, 2012, 91.

ისდაგვარად ნეიტრალურ პოზიციას უნდა ინარჩუნებდეს.⁵ მიუხედავად ამისა, ქრისტიანობამ თავის მხრივ მიიღო სახელმწიფო მმართველობითი სისტემა, როგორც ანარქიისადმი ბრძოლის საუკეთესო მექანიზმი⁶ და მასთან თანამშრომლობითი ურთიერთობა საეკლესიო კანონიკური სამართალითაც კი განიმტკიცა – „სახელმწიფო და ხელისუფლება ღმერთის მიერ დადგენილ მმართველობად მიიჩნევა, ყოველ ქრისტიანს კი ევალება, დაემორჩილოს მას.“⁷

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება.⁸ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სეკულარიზმა გარკვეული ფორმები შეიძინა, თუმცა აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ფრანგული *Laïcité* განსაკუთრებულ ადგილს იკავებს.

სწორედ აღნიშნული პერსპექტივიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმ ურთიერთიმართების ხაზგასმა, რომელიც დაკავშირებულია სინდისის თავისუფლებასთან, სეკულარიზმის წარმოშობასთან და *Laïcité*-ს შექმნასთან.

2. სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური უფლება

„...მაშ ასე: ჩვენ ვთხოულობთ რწმენის სრულ თავისუფლებას...“⁹

სეკულარული სახელმწიფოს ფორმირებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას ამ პროცესის წმინდა სამართლებრივ ასპექტებში გადაყვანა წარმოადგენს. იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება სახელმწიფო ორგანოების სრული სეკულარიზაციის შესახებ, ამისათვის საჭიროა, არსებობდეს საკონსტიტუციო სამართლებრივი არგუმენტი, რომლის განხორციელების მიზანიც ინდივიდთა კონკრეტული უფლების დაცვა იქნება. სწორედ ასეთ დაცულ სფეროს წარმოადგენს სინდისის თავისუფლება, რომელიც თავისი არსით რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უმთავრესი გარანტორია. სინდისზე საუბრისას, განსაკუთრებულ სირთულეს მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა წარმოადგენს, ვინაიდან მისი ფუნქცია ცდება წმინდა სამართლებრივ ჩარჩოებს და უპირველესად წმინდა ფილოსოფიური მსჯელობის საგანს წარმოადგენს. როგორც სინდისის თავისუფლება არის ინდივიდის თავისუფლების დასაწყისი, ისე ნეიტრალობა არის თანამედროვე სახელმწიფოს დასაწყისი.¹⁰

2.1. სინდისის თავისუფლების ჩამოყალიბების ისტორიული ასპექტები

ხშირად მიჩნეულია, რომ რელიგიის მიმართ ნეიტრალიტეტის იდეა საუკეთესო ინტერპრეტაციაა იმ რთული წესების კომპლექტისა, რომელიც არეგულირებს სამართლისა და რელიგიის ურთიერთობას დემოკრატიულ სახელმწიფოში.¹¹ როგორც სიდნი ჰუკმა აღწერა ნიგ-

⁵ ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძე (მთარგ.), თბ., 2007, 188.

⁶ ხუცურაული ი., ქრისტიანული რელიგიისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოში, ჟურნ. „სამართალი“, #9-10, 2001, 22.

⁷ ეპისტოლე პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ, 13, 1.

⁸ „მიუგო პეტრე და მოციქულთა და ჰრქუეს: მორჩილებაა ჯერ-არს ღმრთისაჲ უფროჲს ვიდრე კაცთაჲ“, საქმე წმიდათა მოციქულთაჲ (აღწერილი ლუკა მახარებლისაჲ), 5.29.

⁹ მიხეილ ჯავახიშვილი, გლეხის წერილები, 1906.

¹⁰ Böckenförde E., Religion, Law, and Democracy, Oxford University Press, 2022, 185.

¹¹ McConnell M.W., Posner R.A., An Economic Approach to Issues of Religious Freedom, University of Chicago Law Review, 56, 1989, 1-60.

ნში, „რელიგია თავისუფალ საზოგადოებაში“, „ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოა, განსაკუთრებით ის, რომელიც რელიგიური რწმენების მრავალფეროვნებას მოიცავს, უნდა იყოს ნეიტრალური რელიგიის საკითხებში და განიხილოს იგი, როგორც არსებითად პირადი საქმე“.¹² აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ არაერთგზის დაადასტურა თავისი ერთგულება „სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტისადმი, როგორც სხვადასხვა რელიგიებს შორის, ასევე რელიგიურ და არარელიგიურ საქმიანობებს შორის“.¹³ ასევე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მიმართვა სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტისადმი კარგად ეხმიანება თანამედროვე ლიბერალური თეორიების მნიშვნელოვან დებულებას, რომელიც ამ მორალურ ნეიტრალიტეტს აღიქვამს, როგორც ლიბერალური სახელმწიფოს საუკეთესო ინტერპრეტაციას, რომელიც ერთგულია ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვისადმი, ჯონ სტიუარტ მილის „სხვისთვის ზიანის მიყენების“ პრინციპის შესაბამისად.¹⁴

სინდისის თავისუფლების იდეა წარმოიშვა მე-16 და მე-17 საუკუნეების კონფესიურ და პოლიტიკურ დავებში. იგი პირველად ცხადად გამოჩნდა 1579 წლის უტრეხტის კავშირში და შემდგომში 1648 წლის ვესტფალიის ზავში.¹⁵ აღნიშნული ზავი გაფორმდა ერთი მხრივ „საღვთო რომის იმპერიასა“ და მეორე მხრივ შვედეთს და საფრანგეთს შორის. სწორედ ამ ზავის წყალობით დასრულდა თითქმის 30 წლიანი ომი და საფუძველი ჩაეყარა სინდისის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას.¹⁶

თუ სამართლებრივი სახელმწიფოს (*Rechtsstaat*) და ლიბერალური დემოკრატიის მთავარი მიზანი ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფაა, მაშინ ინდივიდის სინდისი, რომელიც მისი პიროვნების უმნიშვნელოვანესი ბირთვია, უნდა იყოს ხელშეუვალი და სახელმწიფოსგან დაცული. შესაძლებელია თუ არა, რომ სინდისი, აღიქმებოდეს იმგვარ ავტორიტეტად, რომელზეც სახელმწიფო სისტემა შეუფერხებლად აშენდება? ქრისტიანული თეოლოგია მსგავს მსჯელობას ერიდება თეოლოგიურ არგუმენტაციაში შესაძლო მეთოდით. ერთი მხრივ, ის აღიარებს ინდივიდუალურ სინდისს, როგორც უშუალო ნორმასა და სავალდებულო ავტორიტეტს კონკრეტული ეთიკური და მორალური ქმედებისთვის; მეორე მხრივ, ქადაგებს სინდისის წარმართვისა და ჩამოყალიბების ვალდებულებას რწმენის ნორმებისა და ეკლესიის სწავლების შესაბამისად.¹⁷ აღნიშნულ პოზიციას ეხმიანება კანტისეული მიდგომა, რომლის მიხედვითაც განსჯა არ არსებობს მჭვრეტელობის გარეშე, მაგრამ მჭვრეტელობის გარეშე არ არსებობს შემეცნების სხვა სახეობა, გარდა ცნებებით შემეცნებისა.¹⁸ აქვე კანტი ავითარებს ძალიან საინტერესო მსჯელობას, რომელიც შესაძლოა ნებისმიერი ერთობის მთავარ ქვაკუთხედად მოვიაზროთ. მისი აზრით, ერთდროულად ყოფნის ძირითადი დებულება, ურთიერთმოქმედების ანუ ურთიერთკავშირის კანონის თანახმად არსებობს. ყველა სუბსტანცია, რამდენადაც ისინი შეიძლება ერთდროულად იქნენ აღქმული სივრცეში, სრულ ურთიერთობაში არიან.¹⁹ შესაბამისად, კანტისეული მიდგომით სინდისის თავისუფლება შესაძლოა აღვიქვათ არა მხოლოდ შინაგანი ღირებულებების გარეგანი გამოხატულების შესაძლებლობაში, არამედ

¹² Hook S., *Religion in a Free Society*, Lincoln: University of Nebraska Press, 1967, 27.

¹³ Roemer V., *Board of Public Works*, 426 U.S. 1976, 744-746.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.

¹⁷ Böckenförde E., *Religion, Law, and Democracy*, Oxford University Press, 2022, 169.

¹⁸ კანტი ი., წმინდა გონების კრიტიკა, *პაპუაშვილი შ.*, (მთარგ.) 1979, 82.

¹⁹ იქვე, 171.

იმ რეალურ მოცემულობად, რომელიც ორი ინდივიდის თანაარსებობით იმთავითვე არსებობს. თუმცა ერთია არსებობდეს ბუნებით მოცემული გარემოება და მეორე სახელმწიფო უზრუნველყოფდეს ბუნებითი უფლების დაცვას. სწორედ ამ კუთხით საინტერესოა ქართველი კანტიანელის, სოლომონ დოდაშვილის მიდგომა, რომლის მიხედვითაც შემეცნების პროცესი წარმოადგენს ცნობიერებისა და შემეცნების საგნის ურთიერთმიმართებას. შემეცნება იწყება ცნობიერებაზე გარეგანი ზემოქმედებით.²⁰ სწორედ ამიტომ, სინდისის თავისუფლების წყალობით ხდება შესაძლებელი რწმენისა და აღმსარებლობის ფუნდამენტური უფლების დაცვის აუცილებლობა სახელმწიფოთა მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა როგორც ვაიმარის კონსტიტუციის 135-ე მუხლი, ისე მისგან გამომდინარე ძირითადი კანონის მე-4 მუხლი, რომლებიც გარე ფორმითა და საკონსტიტუციო სამართლის ტრადიციებით მეცხრამეტე საუკუნის კონსტიტუციებში არსებულ „რწმენისა და სინდისის თავისუფლების“ ფუნდამენტურ უფლებას უკავშირდება.²¹ იმ დროს ამ ფუნდამენტური უფლების შინაარსი გარკვევით იყო განსაზღვრული, თუმცა მისი დადგენა დოკუმენტების ტექსტის მიხედვით რთულია და მით უმეტეს შეუძლებელია იმ ღირებულებათა თანმიმდევრობის მიხედვით, რომლებიც ამ დოკუმენტებშია ასახული; მისი არსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ საკონსტიტუციო ისტორიის მიხედვით, სინდისის თავისუფლების განვითარებით. ვაიმარის კონსტიტუციამ, მიუხედავად 136-ე მუხლისა და მისი შემდეგი მუხლების ცალკეული პუნქტებით, სახელმწიფოს რელიგიური და ეკლესიური სუვერენიტეტის გაუქმებით, დააკნინა სარწმუნოების და სინდისის თავისუფლება.²² ვაიმარის რესპუბლიკის 1919 წლის კონსტიტუციამ ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან ოფიციალურად გამიჯნა, თუმცა იგი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სოციალურ-კულტურულ თემებში თანამშრომლობას ითვალისწინებდა.²³

2.2. სინდისის თავისუფლების მოქმედების ფარგლები და მისი ასახვა სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ აქტებში

მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა „რელიგია“ დღემდე არ არის განმარტებული არც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-9 მუხლით და არც ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. რა თქმა უნდა ეს არ არის შემთხვევითი, ვინაიდან ნებისმიერი ტერმინის სამართლებრივი განმარტება ზღუდავს მისი გამოყენების ფარგლებს, რაც შესაძლოა მთავარი პრობლემა გახდეს სინდისის თავისუფლების დაცვის პროცესში. ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მიზანია უფლებათა და თავისუფლებათა პრაქტიკულ ჭრილში დაცვა, ვინაიდან დაუშვებელია ნორმების იმგვარად განმარტება, რომელიც შეზღუდავს რელიგიათა არატრადიციულ ფორმებს.²⁴

სამართლებრივი ცნების სახით, სინდისის თავისუფლებას ყოველთვის ჰქონდა დაცვითი უფლების მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდს პირდაპირი იძულებისგან იცავდა რელიგიის საკითხებში. ის მხოლოდ რწმენისა და რელიგიის საკითხებს ეხებოდა; ამიტომაც გაჩნდა

²⁰ დოდაშვილი ს., ლოგიკა, იაშვილი ბ.ბ. (მთარგ.), 1949, 56.

²¹ ბავარიის 1818 წლის კონსტიტუცია, IV.9.I; ვიურტემბერგის 1819 წლის კონსტიტუცია;

²² რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რობერსი გ. (რედ.), მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ., 2011, 86.

²³ იქვე, 90.

²⁴ İzzettin Doğan და სხვები თურქეთის წინააღმდეგ [GC], §114; <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-162697>.

შემდგომში ტერმინი „რწმენისა და სინდისის თავისუფლება“, რომელიც სტანდარტად იქცა. ეს ეხებოდა სუვერენული მმართველის რელიგიურ აკრძალვას (*Religionsbann*) და *ius reformandi*-ს, რომელთა წინააღმდეგაც ინდივიდუალური თავისუფლების გარკვეული სფერო სამართლებრივად განისაზღვრა და დაიცვა.²⁵

საინტერესოა შეერთებული შტატების მიერ განვლილი პოლიტიკურ-სამართლებრივი გზაც, რომლის მიხედვითაც სინდისის თავისუფლებამ გარკვეული ცვლილებები განვლო. ხაზგასასმელია, რომ შეერთებული შტატების კონსტიტუციის თავდაპირველ პროექტში გამოყენებულია ტერმინი *liberty of conscience*-სინდისის თავისუფლება, თუმცა საბოლოო არჩევანი გაკეთდა „*free exercise*“-ზე, რომლის თანახმადაც მაშინდელი მოსაზრებით გაცილებით ეფექტურად მოხდა რწმენისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა.²⁶ აღნიშნულის გათვალისწინებით თანმიმდევრულად განვითარდა შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაც. თავდაპირველად, სასამართლომ 1878 წლის საქმეში რეინოლდსი აშშ-ის წინააღმდეგ,²⁷ არ დააკმაყოფილა მორმონების ეკლესიის მიერ წარდგენილი სარჩელი იმ კანონების მოქმედების ფარგლებზე, რომელიც ზღუდავდა პოლიგამიური ურთიერთობებს. სასამართლომ განმარტა, რომ კანონთა მოქმედება ვრცელდება ნებისმიერი რელიგიის მქონე ადამიანზე, მოქმედების ფარგლების დადგენა კი სასამართლო ხელისუფლების ნაცვლად, იყო საკანონმდებლო ხელისუფლების, კერძოდ კონგრესის საქმე.²⁸ ამით სასამართლომ, დაიცვა ხელისუფლების დანაწილების მყიფე პოზიტივისტური მოდელი და უარი თქვა ნორმის ფართო განმარტებაზე. რაც შეეხება 1963 წელს, სასამართლომ საქმეში შერბერტი ვერნერის წინააღმდეგ,²⁹ აბსოლუტურად განსხვავებულად განმარტა სინდისის თავისუფლების ფარგლები და საკითხის შეფასებისას გამოიყენა უფლების შემოწმების მკაცრი ტესტი- *strict scrutiny test* და სასამართლომ განამტკიცა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც აიკრძალა რელიგიის გამოხატვის უფლება ზოგადი და ფართო სამართლებრივი ნორმებით.³⁰

ამ თვალსაზრისით, გერმანული საკონსტიტუციო განვითარების შემთხვევაშიც სინდისის თავისუფლება იყო პირველი ფუნდამენტური უფლება, ზუსტად იმ მნიშვნელობით, როგორც სეკულარული ინდივიდუალური თავისუფლების უფლება, რომელიც ინდივიდს საკუთარი თავისთვის ეკუთვნოდა, მას გარკვეული ვალდებულებებისგან სამართლებრივად ათავისუფლებდა და ამ თავისუფლების სფეროს სუვერენის ჩარევისგან იცავდა.³¹ სინდისის თავისუფლება, რომელიც უტრეხტის კავშირსა და ვესტფალიის ზავში აღიარეს, ინდივიდზე

²⁵ Maclure J., Taylor, C., Todd J. M., *Secularism and freedom of conscience*, .92-107 Harvard University Press, 2011, <<https://doi.org/10.4159/harvard.9780674062955>> [25.10.2025].

²⁶ Gedicks F., McConnell M., *The Free Exercise Clause*, 2001, 122.

²⁷ United States v. Reynolds, 2021 U.S. Dist. LEXIS 160409, <<https://plus.lexis.com/document/openwebdocview/United-States-v-Reynolds-2021-U-S-Dist-LEXIS-160409/?pdocfullpath=%2Fshared%2Fdocument%2Fcases%2Furn%3AcontentItem%3A63FT-KVC1-F06F-2282-00000-00&pdoccomponentid=6416&cbc=0&pdmfid=1530671&crd=b3f64ab2-a5f0-41d2-a00e-cbaa6a3d8d09#/document/8e11a083-18f9-4007-8fe5-b498c799e340>> [25.10.2025].

²⁸ Marin K., *Employment Division v. Smith: The Supreme Court Alters, The State of Free Exercise Doctrine*, *The American University Law Review*, Vol. 1436, 1991.

²⁹ Sherbert v. Verner, 374 U.S. 1963, 1963, 398, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/374/398/>> [25.10.2025].

³⁰ Marin K., *Employment Division v. Smith: The Supreme Court Alters, The State of Free Exercise Doctrine*, *The American University Law Review*, Vol. 1436, 1991.

³¹ Böckenförde E., *Religion, Law, and Democracy*, Oxford University Press, 2022, 171.

იყო ორიენტირებული და მმართველისგან დამოუკიდებელი, რაც ასევე ხსნიდა კარს რელიგიური უმცირესობებისა და რელიგიური სხვათა უფლებების აღიარებისკენ.³²

სინდისის თავისუფლების შინაარსი და მოქმედების ფარგლები, ცხადია, შეზღუდული იყო. შინაარსობრივად, ეს მხოლოდ ეხებოდა იძულებისგან გათავისუფლებას, რომ ინდივიდს მიეღო ან შეენარჩუნებინა კონკრეტული რწმენა ან კონფესია; ის მოიცავდა საკუთარ რელიგიის მიხედვით შინაგან ლოცვას და ემიგრაციის უფლებას, რათა საკუთარი რელიგიის პრაქტიკის საშუალება ჰქონოდა.³³ უფრო მეტიც, ეს თავისუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ სამ ქრისტიანულ კონფესიაზე.

ამ ვერსიით, რწმენისა და სინდისის თავისუფლება შევიდა „სამოქალაქო უფლებების“ ნუსხაში, რომელიც წარმოდგენილია 1949 წლის 1 სექტემბრის ფედერალური აქტის მე-16 მუხლში.³⁴ ამ თავისუფლების კავშირი რელიგიის საკითხებთან კვლავ არსებითად შენარჩუნდა.

რწმენისა და სინდისის თავისუფლება წარმოდგენილი იყო პაულისკირხეს კონსტიტუციაში სრულ საკულტო თავისუფლებასთან და რელიგიური შეკრების თავისუფლებასთან ერთად, და ამავე გზით, მან თავისი ადგილი დაიკავა ვაიმარის კონსტიტუციაშიც. ეს ნაწილობრივ განპირობებული იყო კონსტიტუციურ ტექსტებში ტრადიციის გარკვეული ელემენტის შენარჩუნებით, მიუხედავად საკონსტიტუციო სამართლის შეცვლილი გარემოებებისა; თუმცა, ეს ასევე უკავშირდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ინტელექტუალურ მოძრაობებში და პოლიტიკურ დებატებში სინდისის თავისუფლებისთვის მინიჭებულ უზარმაზარ მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობა სათავეს იღებდა პიროვნების ავტონომიის იდეაში, ასევე ადამიანის თანდაყოლილი აზროვნებისა და განსჯის თავისუფლების კონცეფციაში, რომელიც პირველად ევროპული რაციონალიზმის მოაზროვნებმა ჩამოაყალიბეს მე-17 საუკუნიდან და განსაკუთრებით გამოკვეთეს კანტის ფილოსოფიაში.³⁵

სინდისის იქცა ინდივიდის მორალური ცნობიერების ორგანოდ, რომელშიც ის უშუალოდ უკავშირდებოდა საკუთარ თავს და თავად ადგენდა მოქმედების კანონებს.³⁶ ამგვარად, სინდისის თავისუფლება ნიშნავდა არა მხოლოდ საკუთარ რელიგიურ პრაქტიკასე სუვერენის წინააღმდეგ; იგი ასევე ნიშნავდა რელიგიის თავისუფლებას და ამ საზღვრებს მიღმა, უფრო ზოგად თავისუფლებას, რომ ინდივიდს ნებადართული ყოფილიყო ემოქმედა და მოქცეულიყო საკუთარი სინდისით მისთვის დანესებული კანონების შესაბამისად.³⁷ სწორედ ამ სინდისის თავისუფლებას ეწინააღმდეგებოდა რომის კათოლიკური ეკლესია მეცხრამეტე საუკუნეში.³⁸

მასშტაბით, რომლითაც ეს შეხედულება გავრცელდა იმ პერიოდის ინტელექტუალურ გარემოში, განუყოფელად წარმოიშვა ახალი შეკითხვა სინდისის თავისუფლების შინაარსის შესახებ საკონსტიტუციო სამართალში.³⁹ ეს შეკითხვა, ცხადია, ასევე წარმოიშვა ვაიმარის კონსტიტუციის მიღებით გამოწვეული საკონსტიტუციო სამართლის ცვლილებებიდან. ვაი-

³² იქვე.

³³ Instrumentum Pacis Osnabrugense, Article V, sections 34, 35, 37.

³⁴ 1949 წლის 1 სექტემბრის Bundesakte-ის ფედერალური აქტი.

³⁵ Böckenförde E., Religion, Law, and Democracy, Oxford University Press, 2022, 174.

³⁶ იქვე, 175.

³⁷ იქვე.

³⁸ Doyle A. M., Catholic Church and state relations in French education in the nineteenth century: the struggle between laïcité and religion. International Studies in Catholic Education, 9(1), 2017, 108–112.

³⁹ იქვე, 110–122.

მარის კონსტიტუციამ, რელიგიური და საეკლესიო სუვერენიტეტის ძირეულად აღმოფხვრით, მიუხედავად 136 მუხლისა და მომდევნო მუხლებში მოცემული ნარჩენი ელემენტებისა, წაშალა რწმენისა და სინდისის თავისუფლების საყრდენი წერტილი.

აღნიშნული ისტორიული პერსპექტივებიდან გამომდინარე საინტერესოდ ჩამოყალიბდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც, რომელმაც დაადგინა იმ პირთა არეალი, რომლებზეც უნდა გავრცელდეს კონვენციის მე-9 მუხლი ერთ-ერთ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ცალსახად განავითარა მსჯელობა, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ფუნდამენტური ღირებულებაა რელიგიისადმი სკეპტიკურად განწყობილი პირებისათვის, ათეისტებისათვის და აგნოსტიკოსებისათვის.⁴⁰

3. ფრანგული *Laïcité*

დიდწილად, ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება ქრისტიანულ ეკლესიებთან უკვე განსაზღვრულია. დავის საგანი არის რელიგიების ადგილი საზოგადოებრივ სივრცეში ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე. სეკულარული სამართალი აწყდება სირთულეებს ახალი რელიგიური ხმების რეგულირებისას, რომლებიც მოითხოვენ მეტ დაცვას, მეტ მონაწილეობას და გამონაკლისს, როდესაც სეკულარული სამართალი წინააღმდეგობაში მოდის რელიგიურ ნორმებთან.⁴¹ კანონსა და რელიგიას შორის კონფლიქტები უბრალოდ ვერ იქნება აღმოფხვრილი ან აცილებული. ისინი კვლავ და კვლავ იჩენენ თავს სხვადასხვა ფორმით. ამ კონფლიქტებთან გამკლავების გზა არ არის სეკულარული სამართლის მიტოვება ან მისი კომპრომეტირება ქცევის რეგულირების სხვა ფორმებთან. სეკულარული სამართალი წარმოადგენს აუცილებლობას იურიდიულ-პოლიტიკური ჩარჩოსთვის, რომელიც არ ეყრდნობა ტრანსცენდენტალურ მსოფლმხედველობას, არამედ მყარად დაფუძნებულია იმანენტურ (ამქვეყნიურ) სამყაროზე. სეკულარული სამართალი არის ის ინსტრუმენტიც, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია იურიდიულ პოლიტიკური ჩარჩოს რეგულირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანთა კეთილდღეობა და სოციალური მშვიდობა.⁴²

ცენტრალურ ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა ეკლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ახლებურად ჩამოყალიბება. არ არის შემთხვევითი, რომ სეკულარიზმის განსხვავებული და ორიგინალური მოდელი სწორედ, რომ საფრანგეთში ჩამოყალიბდა.

ლაიციზმი – *Laïcité*, 1905 წლის 9 დეკემბრის კანონთან ერთად, რომელიც ეხება ეკლესიებისა და სახელმწიფოს განცალკევების საკითხს, წარმოადგენს უნიკალურ ფრანგულ მოდელს ეკლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივ ურთიერთობაში. მნიშვნელოვანია, აღნიშნული მოდელის მიღებისა და განვითარების ისტორია, რომელიც ჯერ კიდევ ფრანგული რევოლუციის დროს დაიწყო და აისახა 1789 წლის ადამიანის და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის მე-10 მუხლში. მისი დღევანდელი მნიშვნელობა დაცულია საფრანგეთის კონსტიტუციის პირველ მუხლში და 1905 წლის 9 დეკემბრის კანონში.

⁴⁰ Kokkinakis საბერძნეთის წინააღმდეგ Greece, § 31; [https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57827>](https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57827>[25.10.2025])

⁴¹ Zucca L., *A Secular Europe*, Oxford, 2012, 190.

⁴² Zucca L., *A Secular Europe – Law and Religion in the European Constitutional Landscape*, Oxford university Press, 2012, 191.

3.1. Laïcité-ს შექმნის ისტორია

საფრანგეთში სეკულარიზმი მხოლოდ სოციალური ევოლუცია არ არის, ის ასევე – და უმთავრესად – წარმოადგენს პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესს. სწორედ ამას უწოდებენ „ლაისიტეს“.⁴³ „ლაისიტე“ ფრანგული რესპუბლიკური იდეოლოგიის ნაწილია. ეს სიტყვა, რომელიც ქრისტიანული ლექსიკონიდან მომდინარეობს, თავს იმკვიდრებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში.⁴⁴ კათოლიციზმში „ლაიკი“ (Laïc) არის ადამიანი, რომელიც სასულიერო პირი არ არის.⁴⁵ შესაბამისად, ლაიკური სახელმწიფო ან ლაიკური საზოგადოება არის სახელმწიფო ან საზოგადოება, რომელიც ნათლად და ნებაყოფლობით დისტანცირებულია ნებისმიერ საეკლესიო გავლენისგან.⁴⁶

რესპუბლიკელების იდეოლოგია ემყარებოდა პოზიტივიზმის იდეებს, ხოლო მათი რაციონალისტური რწმენის თანახმად, ისინი ცდილობდნენ ფრანგული საზოგადოება გაეთავისუფლებინათ რელიგიური სულისკვეთებისგან, განსაკუთრებით – კათოლიციზმისგან. ამ თვალსაზრისით, Laïcité მეტწილად არის იდეალი ვიდრე სამართლებრივი ცნება. უფრო კონკრეტულად კი, „ლაისიტე“ ეს არის ანტირელიგიური იდეოლოგია.⁴⁷

პოლიტიკური თვალსაზრისით, კათოლიკურმა ეკლესიამ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მხარი დაუჭირა მეფეებს (ლუი XVIII და შარლ X) და იმპერატორებს (ნაპოლეონ I და III), ხოლო როდესაც რესპუბლიკელები 1879 წელს მოვიდნენ ხელისუფლებაში, ანტიკლერიკალიზმი აღიქმებოდა, როგორც აუცილებელი პოლიტიკა ახალი დემოკრატიული ინსტიტუტების გასამყარებლად.⁴⁸

ფრანგული რევოლუციის შემდეგ, რელიგია სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა.

1801 წელს ნაპოლეონის მიერ ვატიკანთან დადებულმა კონკორდატმა დროებით აღადგინა საფრანგეთის კათოლიკური იდენტობა, მაგრამ საუკუნის შემდეგ ეკლესიისა და სახელმწიფოს განყოფილება საბოლოოდ განმტკიცდა. აღნიშნულმა მოვლენამ, დიდი ავტორიტეტი შესძინა ნაპოლეონს და საშუალება მისცა მთელს ქრისტიანულ სამყაროში დიდი ავტორიტეტით ესარგებლა.⁴⁹ 1791 წლამდე კათოლიკური ეკლესია საუკუნეების განმავლობაში საფრანგეთში „დანიშნული“ ეკლესიის სტატუსს ინარჩუნებდა. ეს სტატუსი აღდგა 1801 წლის ნაპოლეონის კონკორდატით, როგორც ოთხი ოფიციალური რელიგიიდან ერთ-ერთის, თუმცა 1905 წლის კანონის მიხედვით კათოლიკური ეკლესია ჩამოშორდა დროებით საკითხებს და დაუბრუნდა მხოლოდ სულიერ როლს. მას შემდეგ იგი განიდევნა საერო განათლებიდან: სკოლებში რელიგიას არ ასწავლიან, სასულიერო პირები არაღ არიან მასწავლებლები, მოსწავლეებს ეკრძალებათ რელიგიური სიმბოლოებისა და ტანსაცმლის ტარება, ხოლო კლასებში

⁴³ Davis S. M., *Rise of French Laïcité: French Secularism from the Reformation to the Twenty-first Century*, 1st ed., Vol. 7, 2020, 85-110.

⁴⁴ Davis S. M., *Rise of French Laïcité: French Secularism from the Reformation to the Twenty-first Century*, Pickwick Publishers, 2020, 25-40.

⁴⁵ Nathalie Caron, *Laïcité and Secular Attitudes in France*, Institute for the Study of Secularism in Society and Culture 114-115.

⁴⁶ იქვე;

⁴⁷ Kaczmarczyk R., *Laicism vs Freedom To Manifest And Practice Religion On The Example Of Muslim Clothing Issues In France*, 2016, 31-40.

⁴⁸ Hirschl R., *Comparative Constitutional Law and Religion*, in: *Comparative Constitutional Law*, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011, 423.

⁴⁹ Géraud A., *The Lateran Treaties: A Step in Vatican Policy*, *Foreign Affairs*, #7, 1928-1929, 572;

რელიგიური ხატები და ორნამენტები აკრძალულია. ასევე, ეკლესია არ მონაწილეობს ქორწინების ოფიციალურ პროცესებში. სახელმწიფოსა და რელიგიის გაყოფის პრინციპის მკაცრი დაცვის გამო, საფრანგეთი ეროვნულ ცენზში რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებულ მონაცემებს არ ითხოვს.⁵⁰

აღნიშნული განათლების „სეკულარიზაცია“, რომელიც განხორციელდა 1881–1882 წლების კანონებით და რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უზრუნველყო უფასო და სავალდებულო საჯარო განათლება, მალევე მოჰყვა სხვა საზოგადოებრივი სარგებლის მქონე დანესებულებების (მაგალითად, საავადმყოფოების) ეკლესიისგან სახელმწიფოზე გადაცემაც. 1880-იანი წლების „სეკულარიზაციის დიდი კანონების“ მეშვეობით, რამდენიმე წელიწადში სეკულარული სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომელიც მთლიანად თავის თავზე იღებდა საზოგადოების სარგებლობისთვის აუცილებელი ეროვნული სერვისების მიწოდებას, რაც მანამდე კათოლიკური ეკლესიების დანაწევრებული ქსელის პასუხისმგებლობა იყო.⁵¹

როგორც გვეჩვენებს კალვესი განმარტავს: გჰ „ნაპოლეონის სისტემის მიხედვით, რომელიც ოთხ „აღიარებულ რელიგიას“ გულისხმობდა, ყველა სასულიერო პირი სახელმწიფოს მიერ ინიშნებოდა და ხელფასს იღებდა. ეს პრაქტიკა დღემდე გრძელდება ალჟასსა და მოსელში, ორ დეპარტამენტში, რომლებიც გერმანიის იმპერიის ნაწილი იყო 1905 წლის სტატუსის მიღების დროს (როდესაც ეს ტერიტორიები 1918 წელს საფრანგეთს დაუბრუნდა, მათი ადგილობრივი კანონები ძალაში დარჩა)“.⁵²

რადგან ეპისკოპოსები პასუხისმგებელნი არიან ეკლესიის საქმეების მართვაზე, სახელმწიფოს მიერ მათი დანიშვნისა და მათზე ვეტოს უფლების გამოყენება პირდაპირ გავლენას ახდენდა ეკლესიის მმართველობის სისტემასა და ადგილობრივ ეკლესიებსა და საბჭოებს შორის ურთიერთობაზე საფრანგეთის მასშტაბით. თუმცა ეს უფლება ახლა ბევრად შეზღუდულია და გამოიყენება მხოლოდ სტრასბურგსა და მეცში.⁵³

ხაზგასასმელია, ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სეკულარული პროცესების დაწყების პირველ წინაპირობად უნდა აღვიქვათ 1879-1886 წლებში სკოლებიდან დაწყებული მოვლენები. აღნიშნული მიზნად ისახავდა ახალი რესპუბლიკელი მოქალაქის ფორმირებას, რომელიც აღზრდილი იქნებოდა საერთო ეროვნულ მორალურ ღირებულებებში.⁵⁴ რელიგია ჩანაცვლდა მოქალაქეობრივი და მორალური სწავლებებით საჯარო სკოლებში, სასულიერო პირები ჩამოშორდნენ განათლების პროცესებს, ხოლო ჯვარი აკრძალეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ ყველა წლის განმავლობაში ლაიკიზაციის პროცესი შეეხო უმეტეს საჯარო სერვისებს: სასაფლაოებს (1882), პარლამენტს (1884), საჯარო ლოცვების გაუქმებით, სასამართლოებს, მერიებს.⁵⁵

ეს პროცესი ასევე გავრცელდა სამოქალაქო კანონმდებლობაზე, განსაკუთრებით 1884 წლის ნაკეის აქტით, რომელმაც კვლავ გააუქმა განქორწინება, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში იყო ლეგალიზებული, სანამ ნაპოლეონმა საფრანგეთის სამოქალაქო

⁵⁰ იქვე, 323.

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე.

⁵⁴ *Daly E., The Ambiguous Reach of Constitutional Secularism in Republican France: Revisiting the Idea of Laïcité and Political Liberalism as Alternatives. Oxford Journal of Legal Studies, 32, 2012, 583-588.*

⁵⁵ *Religion, Rights and Secular Society: European Perspectives, 2012; აგრეთვე იხ: Edward Elgar Publishing, Incorporated, 149-152;*

კოდექსი არ გამოაცხადა. ეკლესიისა და სახელმწიფოს საბოლოო განყენება მიღებული იქნა 1905 წელს, 9 დეკემბრის კანონით, რომელიც აქვეყნებდა სტატუტორულ ეკლესიების სისტემის გაუქმებას (სისტემა დე კოლტ რეკონიუ), რომელიც არსებობდა 1801 წლიდან და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში.⁵⁶

ამას წინ უძღოდა ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც ეკლესიის სოციალური ფუნქციები სახელმწიფოს გადაეცა. 1792 წლიდან დაიწყო ეკლესიის სტატუსისა და სოციალური როლის შემცირება: ქორწინებები სამართლებრივად სამოქალაქო აქტად გამოცხადდა და რელიგიური ხასიათი დაკარგა;⁵⁷ დაბადების, ქორწინების და სიკვდილის რეგისტრაცია ეკლესიისგან სახელმწიფოს გადაეცა;⁵⁸ 1793 წელს სამუშაო კვირა გაიწოდა კვირა დღის ჩათვლით. 1879 წელს მღვდლები მოიხსნენ საავადმყოფოების და საქველმოქმედო საბჭოების ადმინისტრაციებიდან. 1880-იან წლებში საავადმყოფოებში მონაზვნებს საერო ქალები ჩაენაცვლნენ. 1881-1882 წლებში მიღებულმა ჟიულ ფერის კანონებმა განათლება საერო გახადა და ყველა სკოლაში რელიგიური სწავლება აკრძალა.⁵⁹ 1886 წელს ყველა პედაგოგიური პოზიცია საერო გახდა. სახელმწიფოს მიერ ეკლესიის ტრადიციული სამოქალაქო პასუხისმგებლობების აღება გაგრძელდა: განქორწინების დანერგვით; სკოლებისა და საავადმყოფოების სრული სეკულარიზაციით; პარლამენტისა და ადგილობრივი მთავრობის სხდომების ლოცვით დაწყების აკრძალვით;⁶⁰ სასამართლოებში რელიგიური სიმბოლოებისა და ფიცის რელიგიური ელემენტების ამოღებით; და შეიარაღებული ძალების რელიგიური პროცესიის თანხლების პრაქტიკის დასრულებით.⁶¹

1905 წლის კანონი რელიგიური თავისუფლების გარანტიას ქმნის, რომელიც მოიცავს „სინდისის თავისუფლებას“ და „რელიგიის თავისუფლად განხორციელებას“. თუმცა, ეს დაცვის მექანიზმი იზღუდება იმით, რომ ის ექვემდებარება სახელმწიფოს ინტერესს საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაში. კანონი ასევე ადგენს, რომ სახელმწიფო არ ანაზღაურებს და არ აფინანსებს რელიგიურ საქმიანობას.⁶²

თეორიულად, 1905 წლის კანონი გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ რელიგიის მხარდაჭერის შესაძლებლობას, მაგრამ პრაქტიკაში სახელმწიფო მაინც ახორციელებს ამას, მათ შორის: რელიგიური სკოლების პერსონალის ანაზღაურებისა და ფუნქციონირების ხარჯების დაფარვით; ეკლესიებისა და სხვა რელიგიური შენობების მოვლითა და შენახვით; რეგისტრირებული საკულტო დაწესებულებებისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭებით. მიუხედავად იმისა, რომ სანყის ეტაპზე სახელმწიფო მკაცრად ზღუდავდა კათოლიკურ ეკლესიას ტრადიციულ სამოქალაქო ფუნქციებში და მკაცრად განაცალკევებდა ეკლესიასა და სახელმწიფოს ინსტიტუტებს, 1920-იან წლებში გარკვეული შერიგება დაიწყო. ეს პროცესი დასრულდა 1926 წლის ბრიან-ჩერეტის შეთანხმებით ვატიკანთან, რომლის საფუძველზეც სახელმწიფომ დაიბრუნა როლი ეპარქიების ეპისკოპოსების არჩევის პროცესში.

⁵⁶ იქვე, 151.

⁵⁷ ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ., 2011, 209, იქვე.

⁵⁸ Davis S. M., Rise of French Laïcité: French Secularism from the Reformation to the Twenty-first Century, Pickwick Publishers, 2020, 212-220.

⁵⁹ O'Halloran K., State Neutrality-the sacred, the secular and equality law, Cambridge University Press, 2021, 309.

⁶⁰ Géraud A., The Lateran Treaties: A Step in Vatican Policy, Foreign Affairs, #7, 1928-1929, 572.

⁶¹ 1905 წლის 9 დეკემბრის კანონი, მუხლები 1 და 2.

3.2. *Laïcité*-ს ეტიმოლოგიური და შინაარსობრივი განმარტება

საფრანგეთში ქრისტიანობა მეორე საუკუნეში დამკვიდრდა და დაახლოებით 1500 წლის განმავლობაში სახელმწიფოსთან სიმბიოტურად თანაარსებობდა. ამ პერიოდში საფრანგეთი „ეკლესიის უფროს ქალიშვილად“ მიიჩნეოდა, ხოლო სახელმწიფო მონარქით იყო განსახიერებული.⁶³ თუმცა, ფრანგული რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფო გათავისუფლდა როგორც მონარქიის, ისე ეკლესიის გავლენისგან.⁶⁴ სწორედ ამ პერიოდიდან, *Laïcité*-ს პრინციპი გახდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მთავარი განმსაზღვრელი საფრანგეთში.⁶⁵

პოსტრევოლუციურ საფრანგეთში 1795 წლიდან დაიწყო სახელმწიფოსა და ეკლესიის სრული სეკულარიზაციის პროცესი. აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით მოსაზრებები მრავალმხრივ იქნა გამოთქმული.⁶⁶ გარკვეული ჯგუფებისათვის ფრანგული მოდელი ფასდებოდა დიდ გამარჯვებად საერო ხელისუფლებისა, ნაწილი კი აღნიშნულ პროცესებს ეკლესიისადმი ბრძოლის გამოცხადებად აღიქვამდა.⁶⁷

სიტყვა – „ლაისიტე“ (*Laïcité*) ექსკლუზიურად ფრანგული სიტყვაა, რომელსაც ზუსტი ეკვივალენტი ინგლისურ ენაში არ გააჩნია. ყველაზე გავრცელებული თარგმანი „ლაისიტესთვის“ არის სეკულარიზმი.⁶⁸ თუმცა, პირიქით, სიტყვა „სეკულარიზმი“ ფრანგულ ლექსიკონში საერთოდ არ არსებობს. მასთან ყველაზე ახლოს მდგომი სიტყვა – „სეკულარიზაცია“ – გამოიყენება სოციოლოგიის სფეროში და ის არ არის სამართლებრივი ტერმინი.⁶⁹

ფრანგულ ენაში „სეკულარიზაცია“ აღწერს ქვეყნის მდგომარეობას, სადაც რელიგიამ დაკარგა თავისი გავლენა საზოგადოებაზე და, შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებაზე.⁷⁰ გარკვეულწილად, სეკულარიზმი არის იმ დასავლური მატერიალისტური საზოგადოებების მდგომარეობა, სადაც რელიგიურ ჯგუფში ყოფნა არ გულისხმობს რაიმე განსაკუთრებულ ვალდებულებას. იგი წარმოადგენს მხოლოდ თითოერთი ინდივიდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს არის ის, რასაც საფრანგეთში სეკულარიზმს უწოდებენ.⁷¹

Laïcité-ს მიზანი, ძირითადად, სახელმწიფოს ავტორიტეტის რელიგიური გავლენისგან გათავისუფლების აუცილებლობიდან გამომდინარეობს. რელიგიას, მისი ისტორიიდან გამომდინარე აქვს პოტენციალი იმისა, რომ შეარყიოს სახელმწიფო მთლიანობა. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ შესუსტდეს რელიგიური ინსტიტუციების გავლენა სახელმწიფოს ორგანოებზე და მოხდეს მათი სრული პრივატიზება კერძო სამოქალაქო სივრცეში. საბო-

⁶³ O'Halloran K., *State Neutrality-the sacred, the secular and equality law*, Cambridge University Press, 2021, 309.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ Torfs R., *Church and State in France, Belgium, and the Netherlands: Unexpected Similarities and Hidden Differences*, „Brigham Young University Law Review“, #4, 1996, 951.

⁶⁷ ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მეორე გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011, 180.

⁶⁸ Norton B. J., *A Question of Balance: A Study of Legal Equality and State Neutrality in the United States, France, and the Netherlands*, Lexington Books, 2016, 47-48;

⁶⁹ იქვე, 47-49.

⁷⁰ Baubérot, J., Willaime, J.-P., Portier P., *A brief history of French laïcité*. In *Religion and Secularism in France Today*, 2022, 11-15,

⁷¹ Portier P., Willaime J.-P., *The three stages of French secularism*. In *Religion and Secularism in France Today*, 2022, 23-27,

ლოოდ, რელიგიამ უნდა დაიკავოს ადგილი კერძო სივრცეში, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთმა მძლავრმა წარმომადგენელმა.

3.3. Laïcité-ს სამართლებრივი დეფინიცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, Laïcité საფრანგეთში პირველად არსებობდა როგორც ფრანგი რესპუბლიკელების იდეალი. იგი თანმიმდევრულად იყო დადგენილი როგორც „იდეა“, „იდეოლოგია“, „კულტურა“ ან „მოსაზრება“, „ემანსიპაციის სულისკვეთება“, „დოქტრინა“ ან კიდევ „ეთიკა“. თუმცა ამის მიუხედავად აღნიშნულმა პრინციპმა უპირველესად შეასრულა სამართლებრივი ფუნქცია და ამიტომაც უმთავრეს გამოწვევას მისი სამართლებრივი განმარტება წარმოადგენს. ფორმალურად, „ლაისიტე“-ს სამართლებრივი კონცეფცია გახდა 1946 წლის კონსტიტუციაში არსებული ტექსტი.⁷² ეს სიტყვა არ იყო გამოყენებული 1905 წლის აქტში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წელს, საფრანგეთის მე-4 რესპუბლიკის ასამბლეამ გადაწყვიტა, რომ Laïcité-ს ადგილი დაეკავებინა კონსტიტუციაში.⁷³ საინტერესოა პირველ მუხლში განვრცობილი „ლაისიტე“-ს საფრანგეთი იქნება განუყოფელი, ლაისიტური, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა“. აღნიშნულს მხარი დაუჭირეს ქრისტიან-დემოკრატებმა, რომლებმაც დებატებში აღნიშნეს, რომ Laïcité უნდა ყოფილიყო აღქმული როგორც სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტი. საბოლოოდ, პირველი მუხლი მიღებულია ერთხმად.

1946 წლის კონსტიტუციაშიც არის მითითება Laïcité-ს შესახებ სკოლებთან მიმართებით: „სახელმწიფო გარანტიას მისცემს ბავშვებისა და მოზრდილების თანასწორ წვდომას განათლებაზე, პროფესიულ მომზადებასა და კულტურაზე. ყველა დონეზე უფასო ლაიკი საჯარო განათლების ორგანიზება იქნება სახელმწიფოს ვალდებულება“.⁷⁴ 1958 წელს, პირველი მუხლი პირდაპირ იქნა გადმოწერილი ახალ კონსტიტუციაში. დამატებულ იქნა მხოლოდ 2 წინადადება, რომელიც თავად დე გოლმა დაამატა: „საფრანგეთი იქნება განუყოფელი, ლაისიტური, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა. იგი უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე, წარმოშობის, რასის ან რელიგიური მიკუთვნების გარეშე. იგი პატივს სცემს ყველა რწმენას“.⁷⁵ გარდა ამისა, 1958 წლის კონსტიტუციის პრეამბულა პირდაპირ ეყრდნობა 1946 წლის პრეამბულას, რაც ნიშნავს, რომ მისი სოციალური უფლებების დეკლარაცია (და განსაკუთრებით ლაიკური საგანმანათლებლო სისტემის მითითება) კვლავაც მოქმედებს. აქვე ხაზგასასმელია, რომ კონსტიტუციის აღნიშნულმა ჩანაწერმა პირდაპირი მოქმედების შესაძლებლობა ვერ ჰპოვა. აღნიშნულის მთავარ მიზეზად უნდა აღვიქვათ კონსტიტუციური კონტროლის არარსებობა 1958 წლამდე. აღნიშნული ჩამოყალიბდა მოგვიანებით, 70-იან წლებში. მეორე მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ისიც, რომ Laïcité-ს არ ჰქონდა არსებითი დეფინიცია. ამიტომ, სასამართლოებმა თავი შეიკავეს მისი განმარტებისგან, რათა თავი აერიდებინათ ისეთი საკითხების განხილვისაგან როგორიცაა რელიგიური ნეიტრალიტეტი, სინდისის თავისუფლება ან რელიგიებისადმი სახელმწიფო დაფინანსების აკრძალვა.

⁷² Constitutional Secularism in an Age of Religious Revival. (2014), OUP Oxford, 154-155.

⁷³ იქვე, 155-159.

⁷⁴ Pacillo V., Secularism in French Cultural Discourse: Timeless Laïcité, Cambridge Scholars Publishing, 2024, 140-143.

⁷⁵ O'Halloran K., State Neutrality-the sacred, the secular and equality law, Cambridge University Press, 2021, 310.

1959 წლის „დებრეს კანონი“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ. ამ კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მიერ კერძო სკოლების, მათ შორის კათოლიკური სკოლების, დაფინანსების სისტემა.⁷⁶

1965 წლამდე, როდესაც ვატიკანის II კრებამ გამოსცა ადამიანის ღირსების დეკლარაცია (*Dignitatis Humanae*), კათოლიკურმა ეკლესიამ ფორმალურად არ მიიღო რელიგიური თავისუფლების პრინციპი. ამავე დროს, ეკლესიამ აღიარა, რომ სახელმწიფოს შეეძლო ამ პრინციპის დაცვა ნეიტრალიტეტის პოზიციის მიღებით.⁷⁷

ამის შემდეგ, სტეფანი ჰენეტ-ვორჟე ამტკიცებს, რომ მეოცე საუკუნის უმეტესი ნაწილის განმავლობაში სახელმწიფო *Laïcité*-ს განმარტავდა, როგორც პრინციპს, რომელიც ავალდებულებდა საჯარო ხელისუფლებას, პატივი ეცა მოქალაქეების მიმართ და, მიუხედავად რელიგიური თავისუფლების გარანტიისა, სახელმწიფო ორგანოებისგან მოითხოვდა მკაცრ რელიგიურ ნეიტრალობას.⁷⁸

თანამედროვე ფრანგული *Laïcité* იძენს არალიბერალურ განზომილებებს და განისაზღვრება, როგორც რელიგიური თავისუფლების ანტონიმი – იურიდიული საფუძველი სხვადასხვა შეზღუდვების გასამართლებლად.“

ფრანგული რევოლუციის პროდუქტად მიჩნეული *Laïcité*⁷⁹ – ფართო გაგებით, საერო პრინციპი – გულისხმობს სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას და, მინიმუმ, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას. ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ და, ზოგადად, საზოგადოებრივმა ცხოვრებამ უნდა დაიცვას თავი რელიგიის ან რელიგიური ორგანიზაციების ნებისმიერი გავლენისგან.⁷⁹

მისი დღევანდელი სტატუსი განსაზღვრა 1905 წლის კანონის მიღებამ, რომელმაც ოფიციალურად გამიჯნა ეკლესია და სახელმწიფო და აკრძალა სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი რელიგიის აღიარება ან დაფინანსება. თუმცა, *Laïcité* სცდება ეკლესიისა და სახელმწიფოს გავლენის სფეროების ნეიტრალურ გამიჯვნას, როგორცაა, მაგალითად, აშშ-ში მიღებული მიდგომა. ის გულისხმობს რელიგიისა და ნებისმიერი იდეოლოგიის უფრო მკაცრ უარყოფას საჯარო საქმეებში, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ეს, შესაძლოა, აიხსნას რევოლუციური და კონსტიტუციური აქცენტით თანასწორობაზე, რაც ყველა მოქალაქისგან მოითხოვს სახელმწიფოს მიმართ ერთნაირ ერთგულებას, სტატუსის ან კონფლიქტური ერთგულებებისგან გამონეული არეულობის გარეშე.⁸⁰

4. დასკვნა

საკითხის საბოლოო შეფასების მიზნით შესაძლებელია გამოვყოთ ის სამი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა. იმისათვის, რომ თანამედროვე სამართლებრივი ტიპის სახელმწიფოებმა უპასუხონ უმთავრეს გამოწვევებს და ადამიანის კეთილდღეობა დააყენონ ხელისუფლების ძალაუფლების განხორციელების

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ An Introductory Dictionary of Theology and Religious Studies, Liturgical Press, 2007, 348-349.

⁷⁸ Vauchez S. F., Is French *Laïcité* Still Liberal? The Republican Project under Pressure, Human Rights Law Review, vol. 17, 2017, 285–312, 286–287.

⁷⁹ O'Halloran K., State Neutrality-the sacred, the secular and equality law, Cambridge University Press, 2021, 310.

⁸⁰ იქვე.

ცენტრში, ეკლესიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად, აუცილებელია მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება, რომელიც უპირველესად უნდა დაეფუძნოს სინდისის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას; აგრეთვე, აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუციების სრული სეკულარიზაცია და აღნიშნული სეკულარიზაციის პროცესში ისეთი მოდელის შერჩევა, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს ადამიანთა მშვიდობიან თანაარსებობას. სწორედ ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ზუსტად შეირჩეს კონკრეტული სახელმწიფოსთვის სეკულარიზმის შესაფერისი მოდელი, აუცილებელია კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით ზუსტად იქნეს ჩამოყალიბებული სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების დეფინიცია, მისი მოქმედების ფარგლები და ის ინსტიტუციები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონსტიტუციური ნორმების რეალურ მოქმედებაში მოყვანას.

როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი წარმოადგენს წმინდა სამართლებრივ პროცესს, რომლის უზრუნველსაყოფადაც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკა. აღნიშნული უფლების სრულყოფა, საფუძველი უნდა გახდეს სეკულარიზმის მოდელის შერჩევისა, რაც მეტწილად პოლიტიკურ პროცესს წარმოადგენს. როგორც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ფრანგული *Laïcité* მისი შექმნისა და განვითარების დიაპაზონში აღმოჩნდა ისეთი სეკულარიზმის ფორმა, რომელიც დაეფუძნა საერო ხელისუფლების რელიგიური გავლენებისგან სრულ გამიჯვნას და ამით პოლიტიკური ინსტიტუციების გავლენა საზოგადოების თვალში კიდევ უფრო გაიზარდა, სწორედ აღნიშნული *Laïcité* აღმოჩნდა ის მოდელი, რომელმაც უზრუნველყო საფრანგეთის სახელმწიფოს სამართლებრივი განვითარება და მოქალაქეების დაცვა, განურჩევლად მათი რელიგიური რწამისა. ბუნებრივია, აღნიშნულმა მიდგომამ უამრავი პრობლემა გააჩინა რელიგიურ საზოგადოებაში და სახელმწიფოსა და საერო ინსტიტუციების სრული სეკულარიზაციით ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებით შეიზღუდა მოქალაქეთა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. წინამდებარე თემის მთავარი საკვლევი საკითხიც, სწორედ იმ ბალანსის პოვნაა, რომელიც ერთი მხრივ სახელმწიფო ინსტიტუციებს გაათავისუფლებს რელიგიური ზეგავლენებისგან, ხოლო მეორე მხრივ ნაკლებად შეზღუდავს მოქალაქეთა რელიგიურ თავისუფლებებს.

საბოლოოდ, ჩნდება კითხვა, ვინაიდან სინდისის თავისუფლების გარანტიები ეხმარება საკითხის სრულ სამართლებრივ ასპექტებში განხილვას, ხოლო სეკულარიზმის ფორმის შერჩევა წარმოადგენს წმინდა პოლიტიკური დებატების შედეგებს, მათ შორის დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში სამართლებრივი არგუმენტით უნდა შეიზღუდოს პოლიტიკური წესრიგი, თუ პოლიტიკური არგუმენტაციებით უნდა მოხდეს სამართლებრივი ნორმის მოქმედების არეალების შემჭიდროვება? სწორედ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის წინამდებარე პირველი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მიეძღვნა სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების, სეკულარიზმისა და ლაისიტეს წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

ბიბლიოგრაფია:

1. საქმე წმიდათა მოციქულთაჲ (აღწერილი ლუკა მახარებელისაჲ).
2. ეპისტოლე პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ.
3. საფრანგეთის კონსტიტუცია [03.09. 1791].

4. ბავარიის სამეფოს კონსტიტუცია [26.05.1818].
5. ვიურტემბერგის სამეფოს კონსტიტუცია [25.09.1819].
6. საფრანგეთის კანონი ეკლესიებისა და სახელმწიფოს გამიჯვნის შესახებ. [09.12.1905].
7. Bundesakte-ის ფედერალური აქტი [01.09.1949].
8. საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, დამტკიცებული საფრანგეთის კონსტიტუციით [04.10.1958].
9. ბასდევან-გოდემე ბ., სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ., 2011.
10. ბუმისი პ.ი., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძე (მთარგ.), თბ., 2007.
11. დოდაშვილი ს., ლოგიკა, იაშვილი ბ.ბ. (მთარგ.), 1949.
12. კანტი ი., წმინდა გონების კრიტიკა, პაპუაშვილი შ. (მთარგ.), 1979.
13. ლოქლინი რ. ბ., კედლის ბევრი ფანჯარა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, #5, 2012.
14. რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნში: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რობერსი გ. (რედ.), მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ., 2011.
15. ხუცურაული ი., ქრისტიანული რელიგიისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოში, ჟურნალი „სამართალი“, #9-10, 2001.
16. ჯავახიშვილი მ., გლეხის წერილები, თბ., 1906.
17. ჯავახიშვილი მ., პაპობის ისტორია შუა საუკუნეებში, თბ., 2015.
18. *An Introductory Dictionary of Theology and Religious Studies*, Liturgical Press, 2007.
19. Baubérot J., Willaime J.-P., Portier P., A Brief History Of French laïcité. In Religion and Secularism in France Today, 1st ed., 2002.
20. Böckenförde E., Religion, Law, and Democracy, Oxford University Press, 2022.
21. *Constitutional Secularism in an Age of Religious Revival.*, OUP Oxford, 2014.
22. Daly E., The Ambiguous Reach of Constitutional Secularism in Republican France: Revisiting the Idea of Laïcité and Political Liberalism as Alternatives. Oxford Journal of Legal Studies, 32(3), 2012.
23. Davis S. M., Rise of French Laïcité: French Secularism From The Reformation To The Twenty-first Century (1st ed., Vol. 7), 2020.
24. Doyle A. M., Catholic Church and state relations in French education in the nineteenth century: the struggle between laïcité and religion. International Studies in Catholic Education, 9(1), 2017.
25. Ferrari S., Introduction to European Church and State Discourses, in: Law & Religion in the 21st Century – Nordic Perspectives, Edited by L. Christoffersen, K. Å. Modeér, S. Andersen, Copenhagen.
26. Gedicks F., McConnell M., The Free Exercise Clause, 2001.
27. Géraud A., The Lateran Treaties: A Step in Vatican Policy, Foreign Affairs, #7, 1928-1929.
28. Hirschl R., Comparative Constitutional Law and Religion, in: Comparative Constitutional Law, Edited by T. Ginsburg and R. Dixon, Cheltenham, 2011.
29. Kaczmarczyk R., Laicism vs Freedom To Manifest And Practice Religion On The Example Of Muslim Clothing Issues In France, 2016.
30. Maclure J., Taylor, C., Todd, J. M., Secularism and freedom of conscience, 92–107, Harvard University Press, 2011.
31. Marin K., Employment Division v. Smith: The Supreme Court Alters The State of Free Exercise Doctrine, The American University Law Review, Vol. 1436.
32. McConnell M.W., Posner R.A., An Economic Approach to Issues of Religious Freedom, University of Chicago Law Review, 1989.

33. Caron N., *Laïcité and Secular Attitudes in France*, Institute for the Study of Secularism in Society and Culture.
34. Norton B. J., *A Question of Balance: A Study of Legal Equality and State Neutrality in the United States, France, and the Netherlands*, Lexington Books, 2016.
35. O'Halloran K., *State Neutrality-the sacred, the secular and equality law*, Cambridge University, 2021.
36. Pacillo V., *Secularism in French Cultural Discourse: Timeless Laïcité*, Cambridge Scholars Publishing, 2024.
37. Portier P., Willaime, J.-P., *The three stages of French secularism*. In *Religion and Secularism in France Today* (1st ed. Routledge), 2022.
38. *Religion, Rights and Secular Society: European Perspectives*, Edward Elgar Publishing, Incorporated, 2012.
39. Roemer V., *Board of Public Works*, 426 U.S. 1976.
40. Hook S., *Religion in a Free Society*, Lincoln: University of Nebraska Press, 1967.
41. Torfs R., *Church and State in France, Belgium, and the Netherlands: Unexpected Similarities and Hidden Differences*, "Brigham Young University Law Review", #4, 1996.
42. Vauchez S. F., *Is French Laïcité Still Liberal? The Republican Project under Pressure (2004-15)*, *Human Rights Law Review*, vol. 17, 2017.
43. Von Ranke L., *Französische Geschichte*, ed. Willy Andreas, Wiesbaden, 1957.
44. Zucca L., *A Secular Europe – Law and Religion in the European Constitutional Landscape*, Oxford University Press, 2012.
45. *İzzettin Doğan and Others v. Turkey.*, 26.4.2016.
46. *Kokkinakis v. Greece*, 25.05.1993.
47. *Sherbert v. Verner.*, 374 U.S. 398, 17.06.1963.
48. *United States v. Reynolds.*, 345 U.S. 1, 09.03.1953.
49. <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-162697>> [11.02.2025].
50. <<https://doi.org/10.4159/harvard.9780674062955>> [05.02.2025].
51. <https://plus.lexis.com/document/openwebdocview/United-States-v-Reynolds-2021-U-S-Dist-LEXIS-160409/?pddocfullpath=%2Fshared%2Fdocument%2Fcases%2Furn%3AcontentItem%3A63FT-KVC1-F06F-2282-00000-00&pdcomponentid=6416&cbc=0&pdmfid=1530671&crd=b3f64ab2-a5f0-41d2-a00e-cbaa6a3d8d09#/document/8e11a083-18f9-4007-8fe5-b498c799e340> [15.02.2025].
52. <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/374/398/>> [12.02.2025].
53. <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57827>> [09.02.2025].

ანდრეას კანი*

დავიდ კ. დონალდი**

გიორგი მახარობლიშვილი (მთარგმნელი)***

აღმასრულებელ პირთა კომპენსაციის რისკები და უპირატესობები¹

1. მოვალეობათა შესრულებაზე დამოკიდებული კომპენსაცია და მორალური რისკები/საფრთხეები

აღმასრულებელ პირთა ანაზღაურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მენეჯმენტის სტიმულირებისათვის, რის გამოც ის არის კორპორაციული მართვის ინსტრუმენტი, მაგრამ, მენეჯმენტი ხშირად აკონტროლებს იმ მექანიზმებს, რომელიც საკუთარი თავის კომპენსაციის განსაზღვრას უკავშირდება და ასევე ანაზღაურების განსაზღვრულ სახეთა ბუნებიდან გამომდინარე, ის იმავდროულად შეიძლება იყოს მორალური რისკის წარმომშობი – სტიმული დირექტორებისათვის დაარღვიონ თავიანთი ფიდუციური მოვალეობა. სამუშაოს შესრულებაზე მიბმულმა ანაზღაურებამ დირექტორების ინტერესები შეიძლება გაათანაბროს აქციონერთა ინტერესებთან იმდენად, რამდენადაც მენეჯერს, რომლის ანაზღაურება იზრდება კომპანიის წარმატებასთან ერთად აქვს ეკონომიკური სტიმული ასეთი წარმატება მოიტანოს მისმა პირადმა მმართველობამ და სამუშაოს შესრულებამ. მენეჯერის მიმართ, რომელიც კომპანიის აქციებს ან შესყიდვის ოფციებს ფლობს, არსებობს მოლოდინი, რომ აქციონერთა თანაზიარი ინტერესი ექნება კომპანიაში. მეორე მხრივ, დირექტორისათვის აქციებისა და ოფციონის მიცემამ შეიძლება წარმოშოს მმართველობის რისკის საფუძველი, რომელიც არ იარსებებდა პირდაპირი ანაზღაურების შემთხვევაში.

ანაზღაურების ხელშეკრულება ისეთივე რისკებს განაპირობებს, როგორც დირექტორსა და კომპანიას შორის დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება: დირექტორები თავიანთი ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას ტრანზაქციის ორივე მხარეს დგანან და როდესაც ოფიცერთა ანაზღაურებას განსაზღვრავენ, მათი გადაწყვეტილება შესაძლოა ამ ოფიცერთა ზეგავლენის ქვეშ მოექცეს. აქციები და ოფციები სხვა საფრთხეების შემცველია, რადგან ისინი წარმოშობენ მენეჯენტისთვის სტიმულს ან დანაშაული ჩაიდინონ ან გასწიონ გაუმართლებლად მაღალი რისკის შემცველი ბიზნეს რისკი, რათა გაზარდონ აქციისა და მათი ოფციონის ღირებულება. აღმასრულებელ პირთა ანაზღაურება ასევე დაკავშირებულია კულტურულ კონცეფციასთან, როგორიც არის ის, თუ რამდენად არის ინდივიდი მოტივირებული და როგორ ხელმძღვანელობას იმსახურებს. აშშ-ში, უმაღლესი აღმასრულებელი ოფიცერი განხილულია მისი ფირმის წარმატების დომინანტური ფაქტორის კონტექსტში და

* სამართლის პროფესორი, გოეთეს უნივერსიტეტის სამართლისა და ფინანსების ინსტიტუტის დირექტორი (ფრანკფურტი).

** ჩინეთის ჰონკონგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, PhD ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბუფალო), JD ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, Dr Jur ფრანკფურტის უნივერსიტეტი.

*** სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

¹ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მე-14 თავის თარგმანს წიგნიდან: Chan A., Donald D. C., *Comparative Company Law, Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA*, Cambridge University Press, 2011.

მიჩნეულია, რომ აღმასრულებელი პირის შედეგიანობა შეიძლება გაიზარდოს მისი ანაზღაურების გაზრდის მეშვეობით. ამას მიეყვარათ იმ კულტურამდე, რასაც კომენტატორთა უმრავლესობა ძვირადღირებულ აღმასრულებელ პირთა კომპენსაციას უწოდებს. გერმანიაში ბორდი გაგებულია როგორც კოლეგიური ორგანო და დირექტორთა ანაზღაურება, ტრადიციულად, არაოფიციალურად განპირობებულია აქციებიდან, რომელიც ჩვეულებრივ დაქირავებულთა ანაზღაურებასთან მიმართებით სწორ თანაფარდობას ადგენს.

აქციებითა და ოფციონებით ანაზღაურების დადგენა ასევე წარმოშობს კითხვებს კორპორაციის ფინანსებთან და ბუღალტრულ მონაცემებთან დაკავშირებით. გაცემული აქცია ან მინიჭებული ოფციონი ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასანაწილებლად, რაც ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი აქციები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ან კაპიტალი უნდა გაიზარდოს და ნებისმიერი უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა გაუქმდეს (უარი იქნეს ნათქვამი). აღნიშნული გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში პროცედურულად უფრო გართულებულია ევროპის კავშირის მეორე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივის მოთხოვნების გამო, რომელიც მე-6 და მე-8 თავებშია განხილული. უფრო მეტიც, მენეჯმენტისთვის ფასიანი ქაღალდებით დაჯილდოება დაფიქსირებულ (შეტანილ) უნდა იქნეს კომპანიის საბუღალტრო მონაცემებში, საიდანაც შესაძლებელია იმის განსაზღვრა თუ რამდენად თავისუფლად შეიძლება განაწილდეს ის.

II. კომპენსაცია როგორც კომპანიის მართვის ინსტრუმენტი

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი მენეჯერი დაინტერესებულია საინტერესო სამსახურის მოძიებით და კარგი რეპუტაციის მოპოვების სურვილით, რომელიც განპირობებულია კომპენსაციისგან განსხვავებული ფაქტორებით, ასეთი ტიპის (აქციებით და ოფციონით) კომპენსაცია მათ ქცევაზე უდავოდ მოახდენს ზეგავლენას. პირდაპირმა (სწორხაზოვანმა) ანაზღაურებამ შეიძლება მენეჯერის გადამეტებული ყურადღებიანობა გამოიწვიოს, რადგან უფრო მეტად მენეჯერის ძირითადი მიზანი იქნება, რომ კომპანია გადახდისუუნარობამდე არ მიიყვანოს რათა არ მოისპოს მისი ხელფასის წყარო, ხოლო ფირმის ღირებულების ზრდა მისთვის მეორეხასხოვნად დარჩება. მაგალითად, 1970-იან წლებში, როდესაც აშშ-ში აღმასრულებელ მენეჯმენტს ფულადი კომპენსაცია ეძლეოდათ ფირმის მთლიანი შემოსავლების გაზრდის განზრახვით, მენეჯერების მიდრეკილება ჩამოყალიბდა შეექმნათ დიდი, დივერსიფიცირებული კონგლომერატი, რომელიც, მიუხედავად მისი არაეფექტურობისა, ზრდიდა სამართავი აქტივების მთლიან შემოსავალს (და შესაბამისად ხელფასს) და ასევე ახდენდა გადახდისუუნარობის რისკის მიმართ დივერსიფიცირებას.² როდესაც ასეთი იმპერიის მშენებლობის შესაძლებლობა არ არსებობდა, მენეჯმენტი დიდი სიფრთხილით ახდენდა თანხების აკუმულირებას ფულად რეზერვებში, რომელიც შემდგომ განაპირობებდა გათვინცობიერებული ინვესტორისაგან მტრული დაუფლების დანყებას ამ კონგლომერატის გასატყეხად (გაზრდილი გამოსავლიანობის გამო) და აკუმულირებული ნაშთი ფულადი თანხის აქციონერებისათვის განაწილებას (ე.ი. საკუთარი თავისთვის განაწილებას).³

კომპენსაცია, რომელიც მენეჯმენტს აძლევს კომპანიის საუკეთესო ინტერესებში მოქმედების სტიმულს, ასევე ეხმარება მათ ისეთ გარე კონტროლის მექანიზმს აარიდონ

² Jensen, Murphy da Wruck (2004:26-27).

³ Jensen, Murphy da Wruck (2004:27).

თავი, როგორც კორპორაციული კონტროლის ბაზარია. პროფესორი მაიკლ ჯენსენი, კევინ მერფი და ერიკ ბრუქი აღნიშნავენ, რომ:

აღმასრულებელ პირთა (ორგანიზაციის ყველა დონის დასაქმებულთა) კარგად გაწერილი ანაზღაურების პაკეტი სამ მიზანს მიაღწევს: მოიზიდავს კვალიფიციურ აღმასრულებელ პირს მინიმალური დანახარჯებით; შეინარჩუნებს კვალიფიციურ აღმასრულებელ პირს მინიმალური დანახარჯებით (და ნაახალისებს აღმასრულებელ პირს დატოვოს კომპანია სათანადო დროს) და აღმასრულებელ პირებს შეუქმნის მოტივაციას იმოქმედონ იმგვარად, რომ შექმნან აქციონერთა გრძელვადიანი კეთილდღეობა და თავიდან აიცილონ ქმედებები, რომელიც ასეთ ღირებულებას (კეთილდღეობას) გაანადგურებს.⁴

კომპენსაციის პაკეტი ელემენტები, რომელმაც შეიძლება მსგავსი შედეგი გამოიწვიოს, მოიცავს ფულად ანაზღაურებას, ფულად ბონუსებს, სესხებს,⁵ აქციებს, აქციათა ოფციონებსა და გათავისუფლების გეგმებს, მათ ნებისმიერ ნაზავ მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან პირობებს, აგრეთვე, „თანამდებობაზე ყოფნის სახელფასო დანამატის“ სხვა სახეებს.⁶ კომპენსაციის სახით მიცემული აქციები „შეზღუდულია“ იმ გაგებით, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათით ვაჭრობა არ შეიძლება,⁷ ხოლო ოფციონი შეზღუდულია მისი ფასით, რომელ ფასადაც ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს და უფლების გამოყენების ვადით. გათავისუფლების გეგმით განსაზღვრული უფლებები წარმოიშობა (ე.ი. ძალაში შედის კომპანიის წინააღმდეგ) მხოლოდ კომპანიისთვის განსაზღვრულ პერიოდში განეული მომსახურების შემდგომ. კომპენსაციის პაკეტში აღნიშნულ ელემენტთა ნაზავი გამოიყენება აღმასრულებელ პირთა მოსაზიდად, მოტივებისათვის და მათი გათავისუფლებისათვის სპეციფიკურ შემთხვევებში. მაგალითად, არსებობს მოსაზრება, რომ კალიფორნიის „სილიკონ ვალეიში“ ქონებრივი კომპენსაციის ზრდა გამოწვეული იყო სულ მცირე ნაწილობრივ მაინც კალიფორნიის სამართლის ხარვეზის გამო, რომელიც არ იცნობდა კონკურენტ კომპანიასთან

⁴ Jensen, Murphy და Wruck (2004:19).

⁵ სადაც ეს კანონით არის დასაშვები. როგორც მე-12 თავშია განხილული, აშშ-ის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ კანონის §13(კ) კრძალავს ლისტიנגში გატარებული კომპანიის მენეჯმენტისათვის სესხის მიცემას. აღნიშნული დანაწესის დარღვევის მაგალითი იყო უორდკომის უმაღლესი აღმასრულებელი ოფიცერის, ბერნარდ ებსისათვის \$400 მილიონის სესხის მიცემა წლიურ 2.15%-ად. როგორც მე-12 თავშია განხილული, დიდი ბრიტანეთის სამართალი მოითხოვს, რომ ღია კომპანიის დირექტორისთვის მიცემული კრედიტი მოწონებულ იქნეს ნევრების (მართვის ორგანოს) მიერ; გერმანია ამ კუთხით ნაკლებად მკაცრია, სადაც ზედამხედველი ან მმართველი დირექტორისათვის მისაცემი სესხი დამტკიცებულ უნდა იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

⁶ ისეთი „დამატებითი გადასახადი“, როგორიც კომპანიის თვითმფრინავი, ავტომობილი, კლუბის წევრობა და დანახარჯების ანგარიშია, რომელიც მიჩნეულია „თანამდებობაზე ყოფნის სახელფასო დანამატებად“ („პერკუისიტე“, „perquisite“), მას ინგლისურად ასევე ეწოდება „პერსკი“ („პრანჭვა“, „perks“). სიტყვა „პერკუისიტეს“ („perquisite“) თავისებური ჟღერადობა მომდინარეობს შუა საუკუნეების ინგლისური „პერკუისიტესებისგან“ („perquisites“), რომელიც ნიშნავს „არა მემკვიდრეობით მიღებულს, არამედ სხვაგვარად შეძენილს“; ეს უკანასკნელი ეტაპობრივად ჩამოყალიბდა, რომელიც წარმოიშვა შუა საუკუნეების ლათინური „პერკუიზიტუმისგან“ („perquisitum“), რომელიც „შეძენას“ ნიშნავდა, ხოლო თავად „პერკუიზიტუმი“ მომდინარეობს ლათინურიდან, „პერკუირერეს“ („perquirere“) გარდაუვალი ნამყოს მიმღეობა, რომელიც ნიშნავდა „რაიმეს გულმოდგინედ ძებნას“. ამერიკის ტრადიციული ლექსიკონი (2004:1038), ამგვარად, სულ მცირე ლინგვისტურად, გულმოდგინება აღმასრულებელ პირთა „პერსკის“ საფუძვლებშია.

⁷ იმ შემთხვევაში კი, თუ კომპენსაციის გეგმა არ კრძალავს კომპანიისგან მიღებული აქციებით ვაჭრობას, აშშ-ის სამართლის მიხედვით, აქცია, რომელიც არ არის რეგისტრირებული, შეთავაზების გზით გასხვისებული არ შეიძლება ხელახლა გასხვისდეს გამყიდველის დამზღვევის რეგისტრაციის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გარკვეული პირობებია სახეზე, მათ შორის თუ გასულია ლოდინის პერიოდი. იხილეთ 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსი, §230.144.

სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის აკრძალვას, შედეგად, ტექნოლოგიური კომპანიისთვის აღმასრულებელ პირთა კონკურენტ კომპანიაში გადასვლის ხელშეშლის, პრევენციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა აქცია, ოფციონი და გრძელვადიანი ანაზღაურების გეგმა.⁸

ქონებრივი ანაზღაურება შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს, რომელიც გამომდინარეობს აქციის ბუნებიდან, კერძოდ, მისი ღირებულებიდან, რომელიც უფრო მეტი ზეგავლენის მომხდენია, ვიდრე ინდივიდის მიერ შესრულებული სამუშაო. პირველი, აქციათა ღირებულება აიწევს ან დაიწევს, რომელიც ბაზირებულია გამომშვების პროსპექტზე და არა გამომშვების ცალკე გამოყოფაზე.⁹ ამგვარად, თუ სააქციო საზოგადოება დაიმლერის აღმასრულებელი თვალყურს ადევნებს „მოქნილი“ გაყოფის განვითარების პროცესს, მაგრამ უფრო დიდი მერსედესის გაყოფას გაცილებით მაღალი გავლენა აქვს დაიმლერის აქციათა ფასზე, დაიმლერის აქციებით კომპენსაცია არ იქნება აღმასრულებელი პირის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული და ამით შემოსაზღვრული. ასეთი მდგომარეობისას, „მონიტორინგს დაქვემდებარებული აქცია“, რომელიც დამოკიდებულია ერთი კომპანიის გაყოფის პროცესის შესრულებაზე, ან ფულადი ბონუსები, შესაძლოა, ანაზღაურების ყველაზე მისაღებ ფორმებს წარმოადგენდნენ. მეორე, კომპანიის აქციების ღირებულება მიდრეკილია ფასის მატების ან შემცირებისკენ ეკონომიკის იმ სექტორში, რომელშიც ის ფუნქციონირებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფოს „ეიჩესბისი“ ბანკის მენეჯმენტმა 2007 წელს სწრაფად მოახდინა რეაგირება ამერიკული იპოთეკური სესხების დაუცველობის შეზღუდვასთან მიმართებით, რომელიც 2008 წელს იქნა საჯაროდ გაცხადებული, მისი აქციების ფასი კვლავ განიცდიდა გაუფასურებას (ვარდნას), რამდენადაც ფინანსური კრიზისით გამოწვეული პანიკამ საბანკო სექტორი აქტიურად მოიცვა. მენეჯმენტის საუკეთესო მცდელობა (ძალისხმევა) საბაზრო ტენდენციებში მდგომარეობდა. მესამე, აქციისა და ოფციონის ღირებულება მჭიდრო კავშირშია კომპანიის შესახებ არსებულ ინფორმაციასა და მათი გამოშვების პირობებთან. მენეჯმენტს მნიშვნელოვანი კონტროლის განხორციელების საშუალება აქვს ორივე მათგანზე.

ამიტომ, ქონებრივი ანაზღაურების გეგმის კონსტრუქცია არის გადამწყვეტი მის ეფექტიანობასთან მიმართებით, როგორც ანაზღაურებისა და მოტივირების ინსტრუმენტი.

III. აღმასრულებელ პირთა კომპენსაციის რისკები

A. საკუთარ თავთან დადებული გარიგება: სამუშაოს ანაზღაურების მოცულობის გაზრდის მორალური რისკები

მენეჯმენტსა და კომპანიას შორის არსებული ყველა ხელშეკრულების მსგავსად, ანაზღაურების ხელშეკრულების შესახებ წარმოებული მოლაპარაკება და მასზე ხელის მოწერა წარმოშობს საკუთარ თავთან დადებული გარიგების თაობაზე კითხვებს. ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს საკითხი და მის მიმართ გამოსაყენებელი წესები და სტანდარტები დირექტორთა მოვალეობების მე-12 თავში და ჩვენ ასევე განვიხილავთ წესებს კაპიტალის ბაზარზე ფუნქციონირებადი კომპანიის მიმართ მე-15 თავში. თუმცა, აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების ხელშეკრულებას აქვს გარკვეული ოდენობის სახასიათო ნიშანი, რომელიც მას განასხვავებს მენეჯმენტსა და კომპანიას შორის დადებული სხვა გარიგებებისგან:

⁸ Gilson (1999:602-613); Booth (2006).

⁹ იხილეთ Booth წარმოდგენილი ანალიზი (2006:7-10).

- ეს ხელშეკრულებები წინასწარგანჭვრეტადად მეორდება და ერთმანეთთან ფორმით ძალიან ახლოს დგანან, რამდენადაც მენეჯმენტი უფასოდ არ მუშაობს და კომპენსაციის სტრუქტურა ნაკარნახევია საბაზრო ძალების მიერ.
- კომპანიასთან დადებული სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული ხელშეკრულების სამართლიანობა ძალიან რთულია შემოწმდეს და შეფასდეს, რამდენადაც სუბსტანციური ელემენტების საუკეთესო ნაზავი და პირობები პრაქტიკულად შეუძლებელია განისაზღვროს.
- აქციების ან აქციების შეძენის ოფციონის ფორმით კომპენსაცია მენეჯმენტს მორალური რისკების წინაშე აყენებს, რამდენადაც მათ აქვთ ანაზღაურების ღირებულებით მანიპულირების ძალაუფლება.

რაც შეეხება აღნიშნული ხელშეკრულების სამართლიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების კონსულტანტ ექსპერტებს აქვთ საკმარისი უნარ-ჩვევები გაუმკლავდნენ აღნიშნულ კითხვებს, ასეთი კონსულტანტები ძირითადად დასაქმებულნი არიან კომპანიის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ზედა რგოლის მენეჯმენტის წინაშე და ამიტომ, უფრო მეტად მიდრეკილია მენეჯმენტის ინტერესების განხორციელებისკენ, ვიდრე კომპანიის ინტერესებში მოქმედებისკენ.¹⁰ მაგალითად, კვლევებმა აჩვენა, რომ იმ შემთხვევაში კი, როდესაც კომპანია ბაზარზე ფუნქციონირებს იმაზე ნაკლებად, ვიდრე მოსალოდნელი იყო, კონსულტანტები კომპანიის ანაზღაურების სისტემას გამოიყენებენ როგორც ნიშნულს და დაასაბუთებენ, რომ უმაღლეს აღმასრულებელ პირთა კომპენსაცია უნდა იყოს მაღალი, იმისათვის, რომ მან შეძლოს გაბატონებულ ინდუსტრიულ სფეროებზე რეაგირება.¹¹ ჯენსენი და მერფი განმარტავენ, რომ „ყველა ეს შეთანხმება მენეჯმენტისათვის უზრუნველყოფს კომპენსაციას მათი რაიმე მიზეზით გათავისუფლების შემთხვევაში, მაგრამ არა მათი მხრიდან მორალური სულმდაბლობის შემთხვევაში, უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ან სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციაზე უარის თქმა არ შეიძლება დაქირავებული პირის არაკომპეტენტურობის გამო.“¹² ბებჩუკი და ფრედი განმარტავენ აშკარად მკაცრი შეთანხმების დეტალებს:

„როდესაც მათელის უმაღლესი აღმასრულებელი ოფიცერი ჯილ ბერადი სამსახურიდან იქნა გათავისუფლებული, ბორდმა მას \$4.2 მილიონი სესხი აპატია, მისცა მას დამატებით \$3.3 მილიონი, რათა დაეფარა საგადასახადო ვალდებულებები, რომელიც სხვა ვალის პატიების შედეგად წარმოიშვა და მისცა ოფციონის ავტომატურად გამოყენების უფლება. აღნიშნული უსასყიდლო სარგებელი იყო განსაზღვრული (დადგენილი) სარგებლის დანამატი, რომელსაც ის ღებულობდა სასამსახურე ხელშეკრულების შედეგად, რომელიც მოიცავდა ხელშეკრულების შეწყვეტისათვის \$26.4 მილიონის გადახდას და გათავისუფლების ბენეფიტების მთელ წყებას, რომლის ღირებულება წელიწადში \$700,000-ს აღემატებოდა.“¹³

როგორც ბებჩუკმა და ფრედმა შენიშნა, „ადვილი არ არის ასეთი უსასყიდლო ანაზღაურების თაობაზე ოპტიმალური შეთანხმების მოდელის მიღწევა მოლაპარაკების გზით. ბორდს აქვს უმაღლესი აღმასრულებელი ოფიცერის გათავისუფლებისა და მისთვის სახელშეკრულებო ბენეფიტების გადახდის უფლებამოსილება. ამიტომ, არ არსებობს ასეთი დირექტორის გათავისუფლებისათვის რაიმე „ქრთამის“ მიცემის საჭიროება.“¹⁴ შეუსაბამოდ მაღალი აღმასრულებელი ანაზღაურება, იმ დროს, როცა ის სრულად აკრძალული აშშ-ში არ არის, უფრო მეტად გამორჩეული გახდა აშშ-ში ბოლო დეკადის განმავლობაში. 2006 წელს, ოცი

¹⁰ Jensen, Murphy da Wruck (2004:55).

¹¹ Bebchuk და Fried (2003:79), შემდგომი მითითებებით ; აგრეთვე იხილეთ Bebchuk და Fried (2004:39).


¹² Jensen, Murphy და Wruck (2004:29).

¹³ Bebchuk და Fried (2003:81); აგრეთვე იხილეთ Bebchuk და Fried (2004:88).

¹⁴ Bebchuk და Fried (2003:12); აგრეთვე იხილეთ Bebchuk და Fried (2004:88).

ევროპული კომპანიის აღმასრულებელ პირთა უმაღლესი ანაზღაურება აღწევდა 12.5 მილიონ ამერიკულ დოლარს მაშინ, როცა აშშ-ში ანალოგიური სტატისტიკა 36.4 მილიონ ამერიკულ დოლარს უტოლდებოდა, დაახლოებით სამჯერ მეტი ოდენობით.¹⁵ 14.1 ცხრილი აჩვენებს საშუალო ჯერადს, რომლითაც უმაღლესი აღმასრულებელი ოფიცერის ანაზღაურება აღემატება კომპანიაში დასაქმებულის საშუალო ანაზღაურებას აშშ-სა და გერმანიაში.

2008 წლის ფინანსური კრიზისის კვალდაკვალ, როგორც აშშ-მა, ისე გერმანიამ დირექტორის ანაზღაურების გარკვეული შეზღუდვები დააწესა, სადაც აქცენტი გააკეთეს კომპანიებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევაზე, რათა დაანგარიშებულიყო აღმასრულებელ პირთა შეუსაბამოდ ექსტრაგაგანტული ბონუსური ანაზღაურება მაშინ, როცა აქციათა ფასი განაგრძობდა ვარდნას და ათასობით დასაქმებული სამსახურის გარეშე რჩებოდა. მომდევნო პრობლემა იყო ის, რომ სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული ბონუსები და ქონებრივი ანაზღაურება, რომელიც დირექტორის ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენდა, ასევე იყო დირექტორის მხრიდან გადაჭარბებული რისკის გაწევის მასტიმულირებელი, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იყო იმ რწმენაზე, რომ აღნიშნული ქვეყნების ხელისუფლება, სადაც მათი ინსტიტუციები იყო ბაზირებული, აუცილებლად დააზღვევდნენ რისკებს დეპოზიტორთა და ფინანსური სისტემის საცალო მონაწილეთა დასაცავად. ჩვენმა ყველა იურისდიქციამ მსგავსი ქმედებები განახორციელა. იმ გაგებით, რომ ეს ქმედებები ზოგადად კომპანიათა მიმართ გამოიყენება, მიმდინარე თავის IV ნაწილში წარმოდგენილია ამ ქმედებათა სხვა გამოსაყენებელ წესებთან ერთად მოკლე ანალიზი.



ცხრილი 14.1. აღმასრულებელ პირთა საშუალო ანაზღაურების თანაფარდობა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ანაზღაურებასთან მიმართებით (ზედა წრფე აშშ-ის მდგომარეობას ასახავს, ქვედა წრფე – გერმანიისას)

¹⁵ Anderson, Cavanagh, Collins, Pizzigati და Lapham (2007:17).

B. გამომუშავებაზე მყოფი მენეჯმენტი

აქციებით ან ოფციონით ანაზღაურებამ შესაძლოა დირექტორი ცდუნებაში შეიყვანოს და გამოიყენოს მისი ცოდნა და ძალაუფლება კომპანიის აქციის ღირებულებაზე მანიპულირებისათვის. აღმასრულებელი მენეჯერები სწორედ იმიტომ არიან დაქირავებულნი, რომ ისინი ჭკვიანები არიან, შეუძლიათ ბოლომდე ივაჭრონ და გამოიყენონ ყველა უპირატესობა, რომელიც მათ აქვთ. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია დღესდღეობით უფრო აშკარაა ვიდრე ის ტენდენცია, როდესაც დირექტორი მის ინტელექტსა და შესაძლებლობას საკუთარი თავის დასაცავად იყენებს და თავის ანაზღაურების სისტემას კომპანიის აქციონერთა ხარჯებს მიაბავს. ამასთან, ჩვენ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ თვით-შეზღუდვამ და ფიდუციურმა მოვალეობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მენეჯმენტის მხრიდან თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დაცვას მაშინაც კი, როცა დირექტორს აქვს მოვალეობების ძლიერი აღქმა და ეთიკური მხარე, თვით-შეზღუდვა უსარგებლო იქნება, თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, როგორც ასეთი, არ იქნება აღიარებული და გამოაშკარავებული. როგორც მომდევნო თავში დავინახავთ, გერმანიაში ინსაიდერული ინფორმაციით ვაჭრობა 1995 წლამდე უკანონოდ არ იყო აღიარებული და ამერიკელი მკვლევარები დღესაც ამტკიცებენ, რომ ეს არის ფასების ფორმირების ხელშემწყობი. ამასთან არსებობს რამდენიმე დაბრკოლება: პირველი დაბრკოლება არის საეჭვო პრაქტიკის ცოდნა, მეორე დაბრკოლებაა მისი ხარისხის შეფასება, მესამე – თუ ასე გადანყდება – მისი თავიდან მოშორება და დასრულება.

თუ დირექტორი ფლობს კომპანიის n რაოდენობის აქციებს შეძენის P ფასად, ან n ოფციას მისი გამოყენების P ფასად, კომპანიის წმინდა შემოსავლების გაზრდით მას შეუძლია სულ მცირე დროებით მიაღწიოს კომპანიის აქციათა გაზრდას $P+I$ ფასამდე, ისე, რომ აქციათა იმწუთიერი გასხვისება ან ოფციონის გამოყენება ამ ფასად მას მოუტონს $I \times N$ მოგებას. ამგვარად, კომპენსაციის სტრუქტურამ, რომელიც ისეა ფორმირებული რომ გაათანაბროს მენეჯმენტისა და აქციონერის ინტერესი, შესაძლოა გამოიწვიოს პირველის ქმედებით მეორეს ინტერესის მიტაცება.¹⁶ როგორც პროფესორი ჯონ კოფი განმარტავს, 1990-იან წლებში ღოთ-კომის თაღლითობის უმრავლესობა გამოწვეული იყო მენეჯმენტის მხრიდან სამომავლო შემოსავლებზე მცდარი წარმოდგენის შექმნით და მათზე წინსწრებით, ნაადრევად მოხსენების გაკეთებით.¹⁷ თუმცა, გამომუშავებაზე დამოკიდებული მენეჯმენტის ანაზღაურების სახეები იმდენად ფართოა, რამდენადაც ანგარიშშორების წარმოსახვითი საშუალებები. რამდენიმე პოპულარული მექანიზმი მოიცავს: (i) ანგარიშგების პირობების არასწორ კლასიფიკაციას, როგორც არის მიმდინარე აქტივების ან პასივების აღრიცხვა მაშინ, როდესაც ისინი რეალურად სახეზე არ არის; (ii) კომპანიის საბალანსო მონაცემებიდან ვალდებულებათა არასწორ ამორიცხვას; (iii) შერწყმის ან შეძენის ეტაპზე აქტივების (ქონების) არასწორ აღრიცხვას ან რაიმე უზუსტობის დაშვებას და (iv) არასწორად ხარჯების ან გასავლების აღწერასა და დანახარჯების არასწორ კაპიტალიზაციას.¹⁸ როგორც მომდევნო თავშია

¹⁶ Coffee (2004b:275-279).

¹⁷ Coffee (2004b:285).

¹⁸ შეერთებული შტატების სამთავრობო ანგარიშგების ორგანომ (საო) მოამზადა გარკვეული ტიპის ანგარიშები, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განზრახ არასწორი წარმოდგენისა და შეცდომებისაგან დაცვას ემსახურება. იხილეთ სამთავრობო ანგარიშგების ორგანოს მონაცემთა ბაზა (საო-06-1079სპ),

განხილული, აშშ-ის სარბანეს-ოქსლეის აქტი მოიცავს გარკვეული კატეგორიის მექანიზმებს, რომელიც ანგარიშგების ასეთი მანიპულირების წინააღმდეგ არის მიმართული, მათ შორის, ანგარიშგების ზედამხედველ პროფესიონალთა რესტრუქტურზაცია, აუდიტორებისთვის საკონსულტაციო მომსახურების განევის აკრძალვა, აუდიტორთა როტაციის მოთხოვნა, ლისტინგში გატარებული კომპანიებისთვის აუდიტის კომიტეტის მოთხოვნა, აღმასრულებელი პირების მიერ ფინანსური ანგარიშის დამოწმების მოთხოვნა და ასევე ადგენს მკაცრს წესებს საბალანსო ტრანზაქციების შესახებ მოხსენებების გაკეთებისა და *pro forma* (ფორმალური) ანგარიშგებისათვის.¹⁹ ანალოგიური მოთხოვნები იქნა ევროპაში დადგენილი გამჭვირვალობის დირექტივის მეშვეობით, გაერთიანებული სამეფოს და გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსებითა და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების რეგულაციების მიერ.

C. ოფციონის ღირებულებით მანიპულირება

აქციათა ოფციონი²⁰ გამოიყენება აღმასრულებელ პირთა ანაზღაურებისათვის, რომელიც ადგენს ოფციის „გამოყენებით“ ან „წინასწარ განსაზღვრულ“ ღირებულებას (ფასს), რაც ნიშნავს, რომ ოფციაში განსაზღვრული ფასი, რომელიც ოფციონის მიცემის მომენტისათვის არსებობდა იქნება ის ფასი, რომელიც ოფციონის უფლების გამოყენების დროს (სამომავლოდ) ექნება ამ ოფციონს.²¹ ოფციონის წინასწარ განსაზღვრულ, შეთანხმებულ ფასსა და აქციის საბაზრო ფასს შორის სხვაობა ოფციონის გამოყენების დღისათვის წარმოადგენს ოფციის ღირებულებას. ოფციონი უფრო ღირებულია, თუ აქციის ფასი მისი გამოშვების შემდგომ სწრაფად იზრდება. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, თუ ნეგატიური ინფორმაცია იმწუთიერად გაქრება მას შემდეგ, რაც ოფციონი გაიციმა, რაც აქციის ფასს ქვემოთ დასწევდა, ან თუ პოზიტიური ინფორმაცია ოფციონის გაცემასთან ერთად დაუყოვნებლივ გამჟღავნდებოდა, რაც აქციის ფასს გაზრდის.

იმ დროს, როცა ოფციონის გაცემა გამიზნულია მენეჯმენტისათვის ხელის შეწყობისა და წაქეზებისათვის, რომ გაზარდოს კომპანიისა და აქციების ღირებულება, ბევრი მენეჯერი ცდილობს გაზარდოს მხოლოდ მისთვის მიცემული ოფციონის ღირებულება თაღლითური მექანიზმების გამოყენების გზით. რამდენადაც ბორდი აკონტროლებს ბაზრისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და მის გასაჯაროებას, ის ხშირად თვლის, რომ ოფციონის მიღებამდე და მასზე თანხმობის გაცხადებამდე მათ უზრალოდ შეუძლიათ უარყოფითი ინფორმაციის გაჟღერება, რაც აქციის ფასს დაბლა დასწევს (მიჩნეულია ე.წ. ტყვიის თავიდან არიდებად) ან ოფციონზე თანხმობის შემდგომ დადებითი ინფორმაციის გამოყენება, რაც აქციის ფასს გაზრდის (მიჩნეულია ე.წ. ნახტომისებურ შევსებადად).²² „ნახტომისებურად შევსებადი“ ოფციონის შემთხვევაში, დელავერის სასამართლომ დაადგინა, რომ „სადაც დირექტორთა ბორდი დამალავს სააქციო ოფციონის რეალურ ბუნებას, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ ეს ოფციონი არ იყო შესაბამისობაში ფიდუციური მოვალეობის უმაღლეს ერ-

ხელმისაწვდომია: www.gao.gov და საო-ის მოხსენებები შემდეგი ნომრებით: საო-03-138, საო-03-395რ და საო-06-1053რ.

¹⁹ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ კანონი, §§10A და 13; ასევე, სარბანეს-ოქსლეის აქტი, I თავი.

²⁰ ე.ი. გამოსყიდვის ოფციონი, აქციათა შეძენა წინასწარ შეთანხმებულ ფასად.

²¹ Bebchuk და Fried (2003:84-85); ასევე იხილეთ Bebchuk და Fried (2004:159-162), და Bebchuk, Grinstein და Peyer (2006).

²² Simmons (2009:317).

თვლების მოვალეობასთან.²³ მომდევნო თავში ინსაიდერული ვაჭრობის (შეთანხმების) კითხვისას, დაუფიქრდით და განიხილეთ, თუ როდის იქნება საკუთარი თავისთვის ოფციონის მიცემამდე ფასისთვის სენსიტიური, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნება („ნახტომისებურად შევსებადი“) ინსაიდერული ვაჭრობა (შეთანხმება).

ფასთა ცვლილება ბაზრის ახირებასა და კაპრიზებზე რომ არ იყოს დამოკიდებული, ზოგიერთი მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ოფციონი მარტივად დაათარილოს იმ დღით, როდესაც კომპანიის აქციის ღირებულება მის ისტორიულ დაბალ ნიშნულზე იდგა. ისინი მიიღებენ ოფციონს T დღეს, მაგრამ კორპორაციული ჩანაწერები იქნება გაყალბებული, რომელიც აჩვენებს თარიღად, მაგალითად, $T - 14$ დღეს, როდესაც კომპანიის აქციის ღირებულება მის ისტორიულ დაბალ მაჩვენებელზე იდგა. ფართოდ გავრცელებული ოფციონის გასული დღით დათარიღება პირველად უოლ-სტრიტის 2006 წლის ჟურნალში იქნა გამოქვეყნებული (გასაჯაროებული).²⁴ ერთ-ერთო საქმე, რომელში ბატონი იაკობ „კობი“ ალექსანდერი იყო ჩართული, კომვერს ტექნოლოჯის ინკორპორაციონის თავმჯდომარე და უმაღლესი აღმასრულებელი დირექტორი (ოფიცერი), რომლის წინააღმდეგაც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კომისიამ შეიტანა სამოქალაქო სარჩელი მილიონობით დოლარის ფასიანი ქაღალდებით მანიპულირებისა და თაღლითობის გზით მითვისების გამო (სხვათა შორის, 10ბ-5 წესის მიხედვით), რომელიც განმარტავდა, რომ: „გარკვეულ მომენტში, ოფციონზე თანხმობის პროცესში, ალექსანდერმა თანხმობის (ოფციონის მიღების) საუკეთესო თარიღი შეარჩია (ე.წ. cherry-picked). მან გადაამონმა კომვერს ტექნოლოჯის ინკორპორაციონის აქციის ისტორიული ღირებულება და მან, სარგებლის მიღების სურვილით განპირობებული წინდაუხედაობით, შეარჩია ოფციონის მიღების დღედ თარიღი, როდესაც კომვერს ტექნოლოჯის ინკორპორაციონის ჩვეულებრივი აქციის სავაჭრო ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალი იყო.“²⁵ მიუხედავად იმისა, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კომისიის საქმე შესაძლოა საკმაოდ ძლიერი საქმე ყოფილიყო, სასამართლო არ მივიდა მისთვის სახასიათო დასკვნამდე ბატონი ალექსანდერის მიმართ, როგორც კარგი მენეჯმენტისთვის დამახასიათებელი კრეატიული და ენერგიული პირის მიმართ, რომელმაც აიღო მისი მილიონები და გაიქცა ნამიბიაში, რომელსაც აშშ-თან ექსტრადიციის ოფიციალური ხელშეკრულება გაფორმებული არ აქვს.²⁶

D. ფინანსური ოპერაციების რისკისგან დაზღვევა აქციათა გაცვლითა და ნულოვანი ღირებულების სტრატეგიით (zero-cost collars): ფიდუციური მოვალეობის დარღვევა?

ქონებრივი, სააქციო ანაზღაურების კონსტრუქცია განკუთვნილია იმისთვის, რომ მენეჯერები იგივე რისკის ქვეშ დააყენოს, როგორც აქციონერები არიან – ეკონომიკური ბედი, რომელიც მიბმულია აქციის ღირებულებასთან. როგორც დამქირავებლები, აღმასრულებელი პირებიც კომპანიაში მნიშვნელოვან ადამიანურ კაპიტალინვესტიციას ახორციელებენ. ადამ-

²³ *In Re Tyson Foods, Inc.*, 2007, WL 2351071, მე-5 გვერდზე (დელავერის სასამართლო 2007) (No. CIV.A. 1106-CC).

²⁴ *Forelle da Banler* (2006).

²⁵ ფასიანი ქაღალდებისა და ვაჭრობის კომიტეტის სარჩელი იაკობ „კობი“ ალექსანდერის წინააღმდეგ, დევიდ კრეინბერგი და უილიამ სორინი, აშშ-ის საოლქო სასამართლო ნიუ-იორკის აღმოსავლეთ ოლქისთვის, 2006 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: www.sec.gov.

²⁶ Stecklow (2008).

იანური კაპიტალით ინვესტიციასა და აქციებით კომპენსაციის ეფექტს შორის, დირექტორის ფინანსები შესაძლოა კომპანიის აქციათა ფასებზე ძალიან მტკიცებულად აისახოს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთი მენეჯერი ცდილობს ფინანსური ოპერაციების რისკისგან თავის დაზღვევას „ნულოვანი ღირებულების სტრატეგიითა“ და „აქციათა გაცვლის“ მეთოდის გამოყენებით. თუ მენეჯერი ყიდის კომპანიის აქციათა შეძენის (შესყიდვის) ოფციას და ცდილობს იმავდროულად და იმავე ფასად შეიძინოს გაყიდვის ოფციონი, შექმნის ნულოვანი ღირებულების სტრატეგიას.²⁷ ამგვარად, მაგალითად, თუ კონკრეტული მომენტისათვის მენეჯერს აქვს საბაზრო p ღირებულების მქონე კომპანიის აქციები, მას შეუძლია გაყიდოს გაყიდვის ოფციონი შეთანხმებულ (დადგენილ) $p+10$ ფასად და შეიძინოს შესყიდვის ოფციონი $p-5$ ფასად, რომელიც გამოიყენება მისი პოტენციური მოგების გაზრდისთვის აქციაზე პოტენციური დანაკარგების 5-მდე შემცირებით.²⁸ თუ დირექტორი მისი აქციიდან მიღებულ შემოსავალს გაცვლის სხვა აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადზე, როგორც არის ინდექსირებული კაპიტალი (ფონდი) ან რისკისგან თავისუფალი ფასიანი ქაღალდი, მას განხორციელებული ექნება აქციათა გაცვლა, რომელიც ასევე იქნება მისი ფინანსური ოპერაციების რისკისგან დაზღვევისკენ მიმართული, რომელიც, გარკვეულ შემთხვევაში (მათ შორის საკუთარი არასწორი მართვის გამო) შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის აქციათა ღირებულებაზე.²⁹ ორივე მექანიზმი მენეჯერს იცავს აქციის ღირებულების ვარდნისაგან და ამით ამცირებს სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული ანაზღაურების უარყოფით ელემენტებს. ისინი ამას ზღუდავენ იმ ხარისხით, რომლითაც დირექტორის ინტერესი გათანაბრებულია აქციონერის ინტერესებთან, რასაც აღწევენ აქციებით კომპენსაციის რისკების მოშორებით მაშინ, როცა რისკებთან ერთად უარს ამბობენ ასეთი კომპენსაციის ბევრ უპირატესობაზე.

ფიქრობთ თუ არა, რომ კანონმა მენეჯერს ასეთი მექანიზმების გამოყენების ნება უნდა დართოს იმისათვის, რათა თავი დაიზღვიონ იმ კომპანიის რისკებისგან, რომელსაც ისინი მართავენ? წარმოშობს თუ არა აქციათა გაცვლა კონკურენტი კომპანიის აქციებში ან მაღალი ოდენობის გაყიდვის ოფციონში გაცვლა ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც დირექტორის ფიდუციურ მოვალეობას არღვევს?

IV. ანაზღაურება ჩვენ იურისდიქციებში: მიღება, ანგარიშგება, გახსნილობა

A. შეერთებული შტატები

როგორც 14.1 ცხრილიდან ჩანს, აშშ-ში აღმასრულებელ პირთა ანაზღაურება ძალიან სწრაფად იზრდებოდა 1980 წლიდან 2000 წლამდე. სინამდვილეში, 1970 წლიდან 2000 წლამდე 30 წლიან შუალედში, აღმასრულებელ პირთა საშუალო ანაზღაურება იზრდებოდა 6 კოეფიციენტით, დაახლოებით \$850,000 – დან 1970 წელს და \$14 მილიონამდე 2000 წელს.³⁰ 1992-დან 2002 წლამდე ათწლიან პერიოდში აშშ-ში კომპენსაციის ქონებრივი ელემენტი თითქმის გაორმაგდა, 24%-დან 47%-მდე (რომელიც 2001 წელს არსებული 54%-დან შემცირდა).³¹ კომპენსაციის აბსოლუტურმა მოცულობამ და მორალურმა რისკებმა, რომელიც დირექტორს

²⁷ Bettis, Bizhak, Lemmon (1999:345).

²⁸ იხილეთ, ე.წ. Hu da Black (2008: 706-207).

²⁹ Bettis, Bizhak, Lemmon (1999:345).

³⁰ Jensen, Murphy და Wruck (2004:24).

³¹ Jensen, Murphy და Wruck (2004:31, მე-3 ცხრილი).

წარმოშობა, აშშ-ის დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომელზეც სამი ძირითადი გადან-ყვეტის საშუალება იქნა შემუშავებული: გახსნილობა, კომპენსაციის კომიტეტში ზედამხედ-ველი დირექტორისათვის დახმარებისთვის მიმართვა და აქციონერთა გადანყვეტილების მილ-ების უფლებათა გაზრდა. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კომიტეტის წესებსა და კანონში ცვლილებები განხორციელდა დოთ კომის თაღლითობის გამომჟღავნებისა და ახალი მსოფლიო ფინანსური კრიზისის წარმოშობის შემდგომ. ქვემოთ წარმოდგენილი ქვესექციები მიმოიხილავს აშშ-ს მიმდინარე წესებს.

1. აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების გამჭვირვალობის მოთხოვნა. არც დელა-ვერის სამართალი და არც მოდელური კანონი აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების გამ-ჭვირვალობას არ ითხოვს. კომპანიებს მოეთხოვებათ ანგარიშის წარდგენა ფასიანი ქაღალ-დებით ვაჭრობის კომიტეტში, რამდენადაც მათ უნდა წარმოადგინონ ფართო, ვრცელი გახ-სნილობა ანაზღაურების პოლიტიკასთან მიმართებით და თავად ანაზღაურებაზე თავიანთი ხმის მინდობილებით მიცემის განაცხადებში. კომპენსაციის წესებთან მიმართებით რამდენ-იმე ცვლილება შევიდა, რომელიც უკავშირდებოდა საკითხს, რომ გახსნილობა არაეფექტური და დაუსრულებელი იყო, რის შედეგადაც უახლესი ცვლილება 2006³² და 2009³³ წლებში გან-ხორციელდა. აშშ-ის არსებული რეგულაციები მოითხოვენ არა მარტო უმაღლესი აღმას-რულებელი ოფიცერის, უმაღლესი ფინანსური ოფიცერისა და კიდევ სხვა სამი კატეგორიის ოფიცერის ანაზღაურების შესახებ მაღალი დონის გამჭვირვალობას, არამედ კომპანიის ზოგადი პოლიტიკის თაობაზე ინფორმაციას ანაზღაურებასთან მიმართებით და პრაქტიკას-თან დაკავშირებით, მათ შორის ანაზღაურების პოლიტიკისა და პრაქტიკის ნებისმიერ რისკ-თან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიის წინაშე წარმოდგეს. გამჭვირვალობის ძირითადი ნაწილი ცხრილების სახით არის წარმოდგენილი, რომელსაც სათაურად აქვს წანამ-ძღვრები „ანაზღაურების განხილვები და ანალიზი“, რომელშიც კომპენსაციის პროგრამის მიზნები და პოლიტიკა და სპეციფიკურ გარემოებათა სიაა წარმოდგენილი, რომელთა არ-სებობის შემთხვევაში კომპენსაციის პოლიტიკამ კომპანიისთვის შეიძლება წარმოშოს გარკ-ვეული რისკები. განხილვა მოიცავს კომპენსაციის გზით ანაზღაურების სტრუქტურის ხას-იათის განმარტებას, კომპენსაციის თითოეულ ელემენტსა და მის მიზანს, მოიცავს მეთოდს, თუ როგორ უნდა იქნეს ასეთი ელემენტები განსაზღვრული და მიღებული და თითოეული ელემენტის დანიშნულებას მთლიანი პროგრამისათვის.³⁴ ცხრილები დაყოფილია სამ ძირითად კატეგორიად: (i) ბოლო სამი წლის ანაზღაურება; (ii) სააქციო ინტერესის ფლობა კო-მპანიაში, რომელიც კომპენსაციის სახით არის მიღებული და, (iii) გათავისუფლების გეგმა, გადავადებულ ანაზღაურებასა და სხვა პოსტსამსახურებრივი გადახდები და სარგებელი. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს თითოეული აღმასრულებელი ოფიცერის მიმართ და უნდა მოიცავდეს:

³² რეგულაციები წარმოდგენილია ფედერალური რეგულაციების კოდექსში, 17, §229.402, რეგულაცია S-K-ში, 402 ნაწილში და ასევე (ერთობლიობაში) მოცემულია რეგულაცია ფედერალური რეგულაციების კოდექსში, 17, §240.14a-101, მე-8 და მე-10 ნაწილებში.

³³ ცვლილებები 2009 წელს ასევე შევიდა რეგულაცია S-K-ში და რეგულაცია 14 ა-ში. ისინი გამოყენებულ იქნა საბოლოო წესებში: ხმის მინდობილობით მიცემის გამჭვირვალობის გაზრდა (მომავტება), ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კომიტეტის განაცხადება №33-9089 და 34-61175, 74 ფედერალური მარეგისტ-რირებული (2009 წლის 23 დეკემბერი).

³⁴ ფედერალური რეგულაციების კოდექსი, 17, §229.402(ბ)(1).

- ხელფასსა და ბონუსებს;
- აქციისა და აქციათა ოფციონის ღირებულებას, რომელიც გაიცემა;
- ყველა ღირებულებას, რომელიც გაიცემა არა სააქციო ანაზღაურების გეგმის მიხედვით;
- არსებულ აკუმულირებულ საპენსიო ბენეფიტებში ნებისმიერ წლიურ ცვლილებას;
- ნებისმიერ დამატებით პერკუიზიტს (უპირატესობას: დაზღვევა, კომპანიის ავტომობილით სარგებლობა და ა.შ.), რომელიც აღემატება \$10,000;
- გათავისუფლების გადასახადისა და „ოქროს პარაშუტზე“ შეთანხმებას, და
- ანაზღაურების საერთო ღირებულებას.³⁵

თითოეული აღმასრულებელი პირის ქონებრივი ინტერესი გახსნილი და გამჟღავნებული უნდა იქნეს, ასევე მისი მიცემის თარიღი, დარჩენილი სამომავლო გადასახადები, აქციების ან ოფციონის რაოდენობა, რომელიც გადახდის გეგმის პირობების შესრულების არსებობისას უნდა იქნეს გადახდილი, შეთანხმებული ფასები, ვადის გასვლის თარიღები და ყველა ოფციონის სამართლიანი ფასი.³⁶ თითოეული აღმასრულებელი პირის საპენსიო ბენეფიტი გახსნილი და გამჟღავნებული უნდა იქნეს, ასევე, შეთანხმების გეგმაში მომსახურების განვლის წლები და გეგმის მიხედვით აკუმულირებული ბენეფიტების მიმდინარე ღირებულება, აგრეთვე, ნებისმიერი შეთანხმების დეტალებს, რომელიც სხვა ტიპის გადახდებს ან სარგებელს უზრუნველყოფს გათავისუფლებისას ან გათავისუფლების შემდგომ, მათ შორის პასუხისმგებლობაში ცვლილებებს, ან კომპანიის კონტროლში ცვლილების განხორციელებას.³⁷

2. ზედამხედველი დირექტორების შემოღება. როგორც წინა თავებში იქნა განხილული, საკუთარ თავთან დადებული გარიგებების შემცირებისთვის გამოყენებულ მექანიზმთა უმრავლესობა უკავშირდება ბორდის სტრუქტურაში ზედამხედველი დირექტორების შემოღებას. გერმანიაში ყოველთვის გამოიყენებოდა ეს როგორც საბაზისო კორპორაციული მართვის მექანიზმი სააქციო საზოგადოებაში, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს მეშვეობით მიიღწევა ხოლმე. აშშ-სა და ინგლისში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დაიწყო არა აღმასრულებელი დირექტორების შემოღების რეკომენდაციებით, რომელიც (ზედამხედველობის ეს მექანიზმი) შემდგომ გამყარებულ იქნა დირექტორთა აუდიტის კომიტეტის შემოღებით, რომელთაც ერთდროულად ექნებოდათ როგორც დამოუკიდებლობა, ისე ფინანსური გამოცდილება. აღნიშნული მექანიზმი აშშ-ის ლისტინგში გატარებული კომპანიებისათვის სავალდებულო გახდა 1990-იანი წლების ბუღალტრული სკანდალების შემდგომ.³⁸ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა მოითხოვს ასევე კომპენსაციის კომიტეტის არსებობას,³⁹ ისევე როგორც ამას მოითხოვს ფასიანი ქაღალდების დილერთა ავტომატური კოტირების ეროვნული ასოციაცია.⁴⁰ 2008 წლის მსოფლიო კრიზისის შემდგომ, ახალი საკანონმდებლო წინადადებები იქნა წარმოდგენილი, რათა საფინანსო ინსტიტუტებში მათი დახმარების მიზნით შექმნილიყო

³⁵ ფედერალური რეგულაციების კოდექსი, 17, §229.402(c).

³⁶ ფედერალური რეგულაციების კოდექსი, 17, §229.402(დ)(ფ)(გ).

³⁷ ფედერალური რეგულაციების კოდექსი, 17, §229.402(h),(j).

³⁸ იხილეთ 15 USC 78j-1(m), ფედერალური რეგულაციების კოდექსში, 17, §240.10ა-3.

³⁹ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, პარაგრაფი 303ა.05.

⁴⁰ უმაღლესი აღმასრულებელი ოფიცერის ანაზღაურება მოწონებულ უნდა იქნეს კომპენსაციის კომიტეტის ან ბორდის მიერ, რომელთა უმრავლესობას დამოუკიდებელი დირექტორები წარმოადგენენ. ფასიანი ქაღალდების დილერთა ავტომატური კოტირების ეროვნული ასოციაციის საბაზრო წესები, წესი 5605(დ).

ასეთი კომპენსაციის კომიტეტები, რამდენადაც კონგრესმა შვიდი წლით ადრე მიიღო აუდიტის კომიტეტთან მიმართებით გადანყვეტილება.⁴¹

3. აქციონერთა ქმედება კომპენსაციასთან დაკავშირებით. დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართალი დირექტორთა ბორდს პირდაპირ განუსაზღვრავს უფლებამოსილებას დაადგინონ საკუთარი ანაზღაურება, თუ დაფუძნების სერტიფიკატში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.⁴² უფრო მეტიც, გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ის საკორპორაციო სამართალში უპირატესი უფლებები უფრო მეტად გამონაკლისის სახით არსებობს, ვიდრე წესის სახით და რადგან დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართალი და მოდელური კანონი შესაძლებლობას იძლევა დაფუძნების სერტიფიკატით ბორდისთვის აქციათა გამოშვების უფლებამოსილების დელეგირება რომ მოხდეს,⁴³ საკორპორაციო სამართალი არ ადგენს აქციონერთა მხრიდან რაიმე გადანყვეტილების საჭიროებას აქციებით ანაზღაურების გეგმის შედგენის ეტაპზე. თუმცა, 1990-იან წლებში შემოსავლების მართვის პრობლემების შემდგომ, რომელიც ზემოთ იქნა განხილული, აშშ-ის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კომისიამ შეზღუდა აქციონერთა მხრიდან გადანყვეტილების მიღების მოთხოვნა ნებისმიერი აქციური ანაზღაურების მიღებისას (იქნება ეს აქცია თუ ოფციონი) მოსამსახურის თუ დირექტორის მიერ. ამჟამად, როგორც ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, ისე ფასიანი ქაღალდების დილერთა ავტომატური კოტირების ეროვნული ასოციაცია მოითხოვს აქციონერთა მხრიდან მენეჯმენტისათვის როგორც ქონებრივი ანაზღაურების გეგმის შექმნის შესახებ, ისე მატერიალური განაწილების გეგმის მიღებისთვის აქციონერთა საერთო კრების გადანყვეტილებას.⁴⁴

გაერთიანებული სამეფოსგან განსხვავებით, არც დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართალი და არც მოდელური კანონი არ მოითხოვს აღმასრულებელ პირთა კომპენსაციის პაკეტის მიღებას. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კომიტეტის რეგულაციები და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წესები მკაცრი არ არის. თუმცა, 2008 წლის მსოფლიო კრიზისის შემდგომ, კანონმდებლებმა კომპანიებს გაუწიეს დახმარება და შემოიღეს აღმასრულებელ პირთა კომპენსაციის გეგმის მიღებისას აქციონერთათვის სათათბირო ხმის უფლება (**non-binding vote**)(ხმის მიცემა, რომელსაც მხოლოდ ხასიათი არ აქვს და უფრო მხადაჭერის გამოხატავია), რომელიც ხმის მინდობილობით მიცემის შეტყობინების განაცხადით გახსნილობის საგანს წარმოადგენს, როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული.⁴⁵ აღნიშნული „თქვი რაიმე გადახდაზე“ წესი მოდელირებულ იქნა გაერთიანებულ სამეფოში 2002 წელს, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

⁴¹ იხილეთ ამერიკის გადაფარვისა (ანაზღაურებისა) და რეინვესტირების შესახებ 2009 წლის კანონი, ნაწილი 111(ე), საჯარო სამართალი 111-5.

⁴² იხილეთ §122(15) §141(h)-თან ერთობლიობაში.

⁴³ იხილეთ დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართალი, §151(ა).

⁴⁴ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, პარაგრაფი 303ა.08, რომელიც აქციონერთა მხრიდან ქონებრივი ანაზღაურების გეგმის მიღებას მოითხოვს, და ფასიანი ქაღალდების დილერთა ავტომატური კოტირების ეროვნული ასოციაციის საბაზრო წესები, წესი 5635(c).

⁴⁵ იხილეთ ამერიკის გადაფარვისა (ანაზღაურებისა) და რეინვესტირების შესახებ 2009 წლის კანონი, ნაწილი 111(ე) და ფინალური ნორმები: აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების აქციონერთა მხრიდან მიღება (მოწონება), რომლის მიმღებია პრობლემური აქტივებისგან გათავისუფლების პროგრამა, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კომისია, განცხადება #34-61335, ფედერალური სარეგისტრაციო 2789 (2010 წლის 19 იანვარი).

4. ოფციონების ანგარიშგების სისტემა. ფართო ქონებრივი ანაზღაურების სხვა შემაკვეთელი ფაქტორია კომპანიისათვის ასეთი კომპენსაციის ღირებულება. აშშ-ში, 2004 წლამდე, ლისტინგში გატარებულ კომპანიებს მათ მიერ დაქირავებულთათვის გამოშვებული ოფციონები უნდა განეხილათ ანგარიშგების მიზნებისათვის, რომელიც გამოშვებული იყო „ინტრისიკული (შიდა) ღირებულებით“ (დადგენილ ფასსა და საბაზრო ფასს შორის არსებული სხვაობა), რომელიც აისახებოდა ოფციონზე, რომელიც იქნებოდა ნულოვანი ღირებულების, თუ ის გამოშვებულ იქნებოდა იგივე ფულადი ღირებულებით (*at-the-money* – შემთხვევა, როცა ოფციონის შეთანხმებული ფასი და ამ ფასის განსაზღვრის საფუძველი ფასიანი ქაღალდის ღირებულება იდენტურია. ასეთ შემთხვევაში, ოფციონს ინტრისიკული (შიდა) ღირებულება არ აქვს.). ამგვარად, კომპანიას ოფციონის გამოშვების ეტაპზე არავითარი ხარჯი არ აქვს და არც ამ ოფციონის გამოყენების ეტაპზე ექნება რაიმე ხარჯი, არც ახალი აქციების გამოშვები ეტაპზე წარმოიშობა რაიმე ტიპის ხარჯები, მაგრამ დაიბეგრება საგადასახადოს კუთხით დადგენილ (შეთანხმებულ) ფასსა და არსებულ, მიმდინარე საბაზრო ფასს შორის სხვაობისათვის. დამატებით, რადგან მოსამსახურეები, რომლებიც აქციონერები ხდებიან კომპანიისგან აქციათა მიღების შედეგად, არ იქნებიან დივერსიფიცირებულნი, ისინი ღებულობენ ოფციონზე (როგორც ფულადი კომპენსაციის საპირისპირო მოცემულობაზე) რისკის დისკონტს (შემცირებას). ჯენსენი, მერფი და ვრუქი აღნიშნავენ, რომ „ეს ფაქტორები, რომლებიც კომპანიისთვის ოფციონის აღქმულ ხარჯებს გაცილებით დაბალს წარმოსახავს, ვიდრე ეკონომიკურ ხარჯებს და ხშირად უფრო დაბალს, ვიდრე მოსამსახურეებისათვის მიცემული ოფციონის ღირებულებაა. შედეგად, ბევრი ოფციონი გადაეცა ბევრ ხალხს, საიდანაც ოფციონი სასურველი (მისაღები) ანგარიშგების სისტემით გაცილებით მეტი სტიმულირებითა და უპირატესობით სარგებლობს, ვიდრე ნაკლებად მისაღები ანგარიშგების სისტემის მქონე ოფციონი.“⁴⁶

2002 წელს საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ წარმოადგინა ერთი, სამართლიან ფასზე დაფუძნებული ანგარიშგების მეთოდი ნებისმიერი აქციების გეგმასთან მიმართებით, რომლის (გეგმის) მიხედვითაც ოფციონის გაცემა ხდებოდა. 2004 წელს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ შეიმუშავა 123(რ) © რეგულაცია, რომელიც მოითხოვდა, რომ ოფციონი გამოანგარიშებულ უნდა ყოფილიყო სამართლიანი ფასის მეთოდის გამოყენებით, რომელიც მხედველობაში იღებს: დადგენილ, შეთანხმებულ ფასს, ოფციონის მოსალოდნელ პირობებს, აქციის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას, ოფციონის საფუძველი აქციის მოსალოდნელ დივიდენდს და მოსალოდნელ რისკისგან თავისუფალ შემოსავლების პროცენტს.⁴⁷ ანგარიშგაღებულ კომპანიებს მოეთხოვებათ მუშა-მოსამსახურეთათვის მიცემული ყველა ოფციონის სამართლიან ფასად გამოშვება და დათვლა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭო მიერ მიღებული 123(რ) წესის მიხედვით.

B. გერმანია

1. აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების გამჭვირვალობის მოთხოვნა. გერმანული გამჭვირვალობის წესები მოიცავს როგორც ლისტინგში გატარებულ კომპანიებს, ისე ლისტინგში გაუტარებელ კომპანიებს. ლისტინგში არ არსებულმა კომპანიებმა უნდა გაასა-

⁴⁶ Jensen, Murphy და Wruck (2004: 39).

⁴⁷ Neuhausen, Kesner and Maffei (2006).

ჯაროვონ მათ წლიურ ანგარიშში მთლიანი კომპენსაციის ოდენობა, რომელიც მიღებული აქვთ გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.⁴⁸ განსხვავებით აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოსგან, გერმანული სამართალი არ ითხოვს კომპანიის ანაზღაურების მიზნებისა და პოლიტიკის გახსნილობას.⁴⁹ დანარჩენი ორი სისტემის მსგავსად, სავაჭრო კოდექსი, გარკვეულწილად, ითხოვს ანაზღაურების ყველა ელემენტის გახსნილობას, მათ შორის ფულად ანაზღაურებას, მოგებაში მონაწილეობას, აქციაზე დაფუძნებულ ყველა ანაზღაურებას, დანახარჯების კომპენსაციას, გათავისუფლების გადასახადებს, გადასახადებს და ყველა სახის დამატებით სარგებელს (პერკუიზიტს), აგრეთვე გადავადებულ ანაზღაურებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გადახდილი.⁵⁰ ოფციონის ღირებულების ზუსტი რიცხვი და აქციის თარიღიც აუცილებლად უნდა იქნეს გამჟღავნებული.⁵¹ ლისტინგში გატარებულმა კომპანიებმა გამგეობის თითოეული წევრის შესახებ უნდა წარმოადგინონ კომპენსაციის რიცხვები პირდაპირ სახელფასო ანაზღაურებასა და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ანაზღაურების ელემენტების შესახებ, აგრეთვე გათავისუფლების გადასახადის შესახებ შეთანხმების ინფორმაცია და მესამე პირის კუთვნილი ნებისმიერი გადახდის თაობაზე მონაცემები.⁵²

გერმანიაში გახსნილობის წესებს ექსტრა ნაწილებიც აქვს, რომლითაც ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს, რომ კომპენსაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ბორდის წევრისათვის მიცემული დავალებისა და კომპანიის მიერ შემოთავაზებული პირობებისა,⁵³ აგრეთვე, ეს წესები მოიცავენ გერმანული სამართალდამცავების მზადყოფნას, რომ შეიტანონ საჩივარი მენეჯმენტის წინააღმდეგ მაშინ, თუ სახეზე იქნება პირადი მიზნით გამოუმუშავებული გარკვეული თანხების მითვისება ან გამოუმუშავებული შემოსავლების მიღება, როგორც ეს *მანესმენის* საქმეში იქნა წარმოდგენილი. სავალდებულო ზომების ხელმისაწვდომობა და მოქმედების სურვილის არსებობა წარმოსახავს გამჭვირვალობის ისეთ სასარგებლო მხარეს, რომელიც არც აშშ-ში და არც გაერთიანებულ სამეფოში არ არის ხელმისაწვდომი, სადაც რეაგირების ქმედება, როგორც წესი, შეზღუდულია მხოლოდ ფლუსტრაციით ან დირექტორთა მომავალ კორპორაციულ არჩევნებში კონკრეტული დირექტორისთვის მხარდაჭერის აღმოუჩენლობით.

2. ზედამხედველი დირექტორების შემოღება. გერმანული სააქციო საზოგადოების ბაზისურ სტრუქტურაში ზედამხედველი დირექტორების დაქირავება გადამწყვეტი კორპორაციული მართვის მექანიზმია. სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს გამგეობის წევრებთან ანაზღაურების შეთანხმებაზე კომპანიის სახელით მოლაპარაკების მწარმოებელ ორგანოს,⁵⁴ ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება განსაზღვრულია ან წესდებით ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.⁵⁵ სააქციო საზოგადოება მკაფიოდ უზრუნველყოფს, რომ გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭო წევრთა ანაზღაურება უნდა იყოს სათანადო პროპორციულობის ბორდის წევრთა დავალებებთან მიმართებითა და

⁴⁸ სავაჭრო კოდექსი, §285(9), რომელშიც ცვლილება განხორციელებულია VorstOC-ით.

⁴⁹ Langenbucher (2008:31).

⁵⁰ სავაჭრო კოდექსი, §285, №9.

⁵¹ სავაჭრო კოდექსი, §285, №9.

⁵² სავაჭრო კოდექსი, §285, №9.

⁵³ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §87(1).

⁵⁴ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §112.

⁵⁵ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §113.

კომპანიაში არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში, ხოლო ლისტინგში გატარებული კომპანიის გამგეობის წევრთა ანაზღაურებამ უნდა შექმნას გრძელვადიანი სტიმული სამენარმეო საქმიანობის უწყვეტი განვითარებისათვის.⁵⁶ ზედამხედველმა დირექტორებმა აღმასრულებელ პირთა ანაზღაურება უნდა შეამცირონ, თუ ამას კარნახობს კომპანიის პირობების გაუარესება.⁵⁷ სავალდებულო საკანონმდებლო დონეზე ზედამხედველი დირექტორების მოთხოვნის დაწესებით მოთხოვნა ზედამხედველ დირექტორთა მცირე ჯგუფებს კი არ მოერგო, არამედ გაფართოვდა სამეთვალყურეო საბჭოს უფლებები და მოვალეობები. სინამდვილეში, უახლესი ცვლილება იქნა მიღებული მენეჯმენტში სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ანაზღაურებასთან დაკავშირებით და ის ბორდს დაუბრუნდა.⁵⁸

3. აქციონერთა ქმედება კომპენსაციასთან დაკავშირებით. აშშ-ის სამართლის მსგავსად, გერმანიის სააქციო საზოგადოებათა სამართალი აქციონერს ხმის მიცემის უფლებით აღჭურავს მხოლოდ აქციებით ანაზღაურების დადგენის შემთხვევაში და არა სხვა ტიპის და სახის ანაზღაურების შემთხვევაში. გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის ახალი §120(4) რედაქცია, რომელიც 2009 წლის აღმასრულებელ პირთა ადეკვატური ანაზღაურების შესახებ კანონით იქნა დადგენილი აქციონერს აძლევს არა მხოლოდ (სათათბირო) ხმის უფლებას აღმასრულებელი დირექტორის ანაზღაურებასთან დაკავშირებით; რამდენადაც გადაწყვეტილება სამართლებრივად მხოლოდ არ არის, აქციონერთა ძირითად ბერკეტად რჩება მათი გადაწყვეტილების საჭიროება კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით და უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებასთან მიმართებით.

აქციები, რომელიც ემსახურება აქციებით ანაზღაურების გეგმას ან გამოსყიდულ უნდა იქნეს ან ახალი აქციები უნდა გამოიცეს და განსხვავებით დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართლისაგან, გერმანიის სააქციოს საზოგადოებათა შესახებ კანონი მოითხოვს აქციონერთა გადაწყვეტილებას ორივე ქმედების განხორციელებისათვის. როგორც მე-9 თავშია განხილული, სააქციო საზოგადოების ყველა წევრს ახალი აქციების შეძენაზე უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს.⁵⁹ უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გაუქმდეს კაპიტალის გაზრდის შესახებ ან აქციათა გამოსყიდვის შესახებ აქციონერთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.⁶⁰ როგორც მე-6 თავშია განხილული, პირობითი კაპიტალის გაზრდისათვის აუცილებელია ხმის უფლების მქონე დამსწრე პირთა სამი მეოთხედი.⁶¹ როდესაც პირობითი კაპიტალი გამოიყენება აქციით ანაზღაურების გეგმისათვის, გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს აქციათა შეთანხმებულ განაწილებას და ფლობის პერიოდს, რომელიც არ შეიძლება ოთხ წელზე ნაკლები იყოს.⁶² ოფციონის გეგმისთვის პირობითი კაპიტალის გაზრდა არ უნდა აღემატებოდეს კორპორაციის კაპიტალის ერთ მეათედს.⁶³ ოფციონისათვის აქციათა ნებისმიერ გამოსყიდვას სჭირდება აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის უფლების მქონე აქციონერთა

⁵⁶ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §87(1), ხოლო სამეთვალყურეო საბჭო წევრთა ანაზღაურებასთან დაკავშირებით, იხილეთ: გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §113(1).

⁵⁷ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §87(2).

⁵⁸ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §107(3).

⁵⁹ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §186(1).

⁶⁰ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §186(3), 71, №8.

⁶¹ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §193.

⁶² გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §193(2), №4.

⁶³ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §192(3).

უმრავლესობა, ასევე, ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე შეიძლება უარი იქნეს ნათქვამი რეალურ გამოსყიდვამდე ხუთი წლის განმავლობაში.⁶⁴

ორსაფეხურიანი მართვის სისტემა დირექტორებისათვის განსხვავებულ დავალებებსა და სტიმულებს ადგენს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ძირითადი მოვალეობაა ზედამხედველობა, ვიდრე კომპანიისა და მისი ბიზნეს აქტივობების მართვა. ამიტომ გასაგებია, რომ უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ რეგრესული მოთხოვნა არ შეიძლება არც პირობითი კაპიტალის შექმნას ჰქონდეს და არც აქციათა გამოსყიდვას, რომელიც მიმართულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა აქციათა ოფციონის მიცემისაკენ.⁶⁵

4. ოფციონების ანგარიშგების სისტემა. საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების რეგულაციების მიხედვით, წევრი სახელმწიფოების სამართლის მიხედვით დარეგისტრირებულ ყველა ლისტინგში გატარებულ კომპანიას 2005 წლის იანვრიდან მოეთხოვება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით.⁶⁶ 2002 წელს, საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ გამოსცა სტანდარტი II აქციაზე დაფუძნებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს სამართლიან ფასზე დაფუძნებულ მეთოდს, რომელიც იზომება მისი გაცემის თარიღით ან მომსახურების მიღების თარიღით, რათა შედგეს ყველა სააქციო გეგმის შესახებ ანგარიში, რომელიც უშვებს ოფციონებს. ლისტინგში გაუტარებელი (არასაჯარო) კომპანიებისა და ინდივიდუალური ანგარიშგებისათვის, სავაჭრო კოდექსის §285, 9, lit. (a) ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აქციათა ოფციონის ანგარიში მენეჯმენტისათვის მოთხოვნილ ანგარიშში, როგორც ზემოთ იქნა განხილული, „მათი მიღებისას არსებული მიმდინარე ღირებულებით“, აღნიშნული ინსტრუქცია განმარტებული იქნა იმ მნიშვნელობით, რომ გერმანიის ანგარიშგების პრინციპები მოითხოვს ოფციონის დაფიქსირებას მისი გაცემის დღეს არსებულ შეთანხმებულ ფასსა და მიმდინარე საბაზრო ფასს შორის არსებული სხვაობით (როგორც ეს აშშ-ს ნორმებით არის დადგენილი).⁶⁷ როგორც ზემოთ იქნა განხილული, ამას გავლენა ექნება ხარჯების არმქონე ოფციონზე, თუ ის გაცემულია იდენტიური ფულადი ღირებულების სახით.

C. გაერთიანებული სამეფო

1. აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების გამჭვირვალობის მოთხოვნა. როგორც 2006 წლის კომპანიათა შესახებ კანონი, ისე ლისტინგში გატარებულ კომპანიათა წესები მოითხოვს ლისტინგში გატარებული კომპანიებისაგან აღმასრულებელ პირთა კომპენსაციის გამჭვირვალობას. 2002 წლიდან მოყოლებული გაერთიანებული სამეფოს კოტირებულ კომპანიებს მოეთხოვებათ დირექტორთა კომპენსაციის შესახებ ანგარიშის წარდგენა კომპანიის ყველა საფინანსო წელს.⁶⁸ აშშ-ის წესების მსგავსად, საიდანაც მათი მოდელირება მოხდა ინგლისში, დირექტორის კომპენსაციის შესახებ ანგარიშს ორმაგი ხასიათი აქვს, რომლის ერთ

⁶⁴ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §71(1), №8.

⁶⁵ გერმანიის ფედერალური კრებული სამოქალაქო საქმეებზე 158, 122 (მობილკომი).

⁶⁶ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები, მუხლი 4.

⁶⁷ Lange, სავაჭრო კოდექსის მიუნხენის კომენტარებში (2001: §285 შენიშვნა 157).

⁶⁸ 2006 წლის კომპანიების შესახებ კანონი, ნაწილი 420; ასევე, იხილეთ: Davies (2008:385-389). დირექტორისათვის მიცემული სესხი, რომელიც მე-12 თავშია განხილული, ამ კონტექსტშიც მნიშვნელოვანია.

ნაწილს მოიცავს ანაზღაურების სისტემის მიზნები და პოლიტიკა და მეორე ნაწილი წარმოადგენს ციფრებს. დირექტორის კომპენსაციის ანგარიშის ერთი ნაწილი უნდა მოიცავდეს ანაზღაურების კომიტეტის სტრუქტურას, ასევე გამოყენებულ კრიტერიუმებს და იმას, თუ რამდენად არის მუშა-მოსამსახურეთათვის შეთავაზებული პირობები ანაზღაურებასთან კავშირში (შესაბამისობაში) და რამდენად უკავშირდება ის აქციონერთა შემოსავლებს.⁶⁹ სხვაგვარად, შემონმბულ ნაწილში, დირექტორის კომპენსაციის ანგარიში უნდა წარმოადგენდეს სახელფასო ციფრებს, ბონუსების რიცხვებს, აქციათა ოფციონებს, გათავისუფლების გადასახადებს და საპენსიო სარგებლებს.⁷⁰ ლისტინგის წესები საკუთრივ მოიცავს კორესპონდენციას, ზოგჯერ უფრო შეზღუდულად, მაგრამ მაინც ადგენს აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების გამჭვირვალობის მოთხოვნებს, რომელიც მოითხოვს აქციონერთა წინაშე წლიური ანგარიშის წარდგენას, რათა ახსნილი და განმარტებულ იქნეს კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკა და მისი ყველა კომპონენტი და კომპენსაციის ვადები.⁷¹ ეს წესები კომპანიათა აქტში დირექტორთა კომპენსაციის ანგარიშგების მითითებას არ შეიცავს, მაგრამ ქმნის გარკვეული რაოდენობის საფუძვლებს აზრთა შესაძლო განსხვავებულობასთან მიმართებით. ფინანსური მომსახურების სააგენტოს განსაზღვრული უნარები, რომლითაც ფინანსური მომსახურების სააგენტო ევროპის კავშირის წესების გატარებას ახორციელებს მის რეგულაციებში თითქმის აზრის ვერბალური ფორმირების გზით – რის გამოც აღმოფხვრის მნიშვნელობისა და რეგულირების სფეროში წარმოშობილ გაურკვევლობას – წესების ეს დუბლირება საეჭვო ფასეულობის მქონეა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ორივე წესი გამოიყენება გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული ლისტინგში გატარებული კომპანიების მიმართ.⁷²

აშშ-გან განსხვავებით, დირექტორის კომპენსაციის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია და ლისტინგის წესების მიხედვით შესრულებული ყოველწლიური ანგარიში ბორდის ყველა დირექტორზე ვრცელდება და არა მხოლოდ ხუთ ყველაზე მაღალანაზღაურებად აღმასრულებელ დირექტორზე.⁷³ აშშ-ის ნორმების მსგავსად, გაერთიანებული სამეფოს გახსნილობის წესები ცდილობენ წევრთა პირდაპირი ანაზღაურების, აქციებით ანაზღაურებისა და საპენსიო სარგებელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება-გამოვლენას იმისათვის, რომ შეფასდეს არის თუ არა აღმასრულებელ პირთა ანაზღაურება სამართლიანი და ღირსეული. ორივე ანგარიში უნდა შეიცავდეს თითოეული დირექტორის გრძელვადიანი სტიმულირების სქემის დეტალებს და ნებისმიერ უფლებას ან მოვალეობას, რომელიც აღნიშნული სქემის შედეგად მიენიჭა (დაეკისრა) წლის განმავლობაში იმაზე მითითებით, თუ როდის წარმოიშვა ასეთი უფლება-მოვალეობა.⁷⁴ ანგარიში ასევე უნდა შეიცავდეს გაცემულ აქციათა ოფციონის სპეციფიკურ პირობებს (ტერმინებს) და მონეტარულ ღირებულებას და აქციათა რაოდენობას, ფულად გადასახადებს ან სხვა ბენეფიტებს, ამასთან ერთად, ანგარიში უნდა შეიცავდეს დირექტორის

⁶⁹ SI 2008. No. 410, ცხრილი 8, paras. 2-6.

⁷⁰ SI 2008. No. 410, ცხრილი 8, paras. 7-16.

⁷¹ ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები, წესი 9.8.8.

⁷² ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები, წესი 9.8.8 ერთობლიობაში 9.8.6 წესთან ერთად.

⁷³ SI 2008. No. 410, ცხრილი 8, para. 7(1); ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები, წესი 9.8.8(2)(ა).

⁷⁴ SI 2008. No. 410, ცხრილი 8, para. 11; ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები, წესი 9.8.8(3)-(4).

კომპენსაციის ელემენტების ახსნა-განმარტებებს გარდა საბაზისო სახელფასო ანაზღაურებისა, რომელსაც პენსიის მიღების უფლება გააჩნია.⁷⁵ დირექტორის გათავისუფლებისას გადასახდელის შესახებ მონაცემები, რომელიც მან შეიძლება მიიღოს წლის განმავლობაში ან სამომავლოდ, ასევე უნდა იქნეს გასაჯაროებული.⁷⁶ და ბოლოს, დირექტორის კომპენსაციის ანგარიში უნდა შეიცავდეს თითოეული დირექტორისთვის საპენსიო სქემის ფასების დაშლის დეტალებს.⁷⁷ რამდენადაც დირექტორის ანაზღაურების ანგარიში შეიცავს ყველა ზემოაღნიშნულ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვება ყოველწლიურ ანგარიშში და რომელიც მოცემულია ლისტინგის წესებში და ორივე მათგანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს წლიურ საერთო კრებაზე, კომპანიას შეუძლია ორივე მიზნის მისაღწევად მხოლოდ ერთი ანგარიში გამოიყენოს.

1. ზედამხედველი დირექტორების შემოღება. გაერთიანებული სამეფოს სამართალი უფრო მეტად უცხადებს ნდობას აქციონერთა გადანყვევტილების მიღების უფლებას, ვიდრე ზედამხედველი დირექტორის ინსტიტუტის შემოღებას. კომბინირებული კოდექსი აწესებს ლისტინგში გატარებული კომპანიებისთვის მოთხოვნას, რომ მათ შექმნან ანაზღაურების კომიტეტი, რომელსაც ფორმირებული იქნება დამოუკიდებელი, არააღმასრულებელი დირექტორებით.⁷⁸ როგორც მომდევნო თავში უფრო ფართოდ არის განმარტებული, გარკვეულწილად, კოდექსთან შესაბამისობაში ყოფნა უფრო მეტად არის „დამოწმებული ან განმარტებული“ ბაზაზე მიღებული, რომელიც საბაზრო რეპუტაციით არის განპირობებული და არა მკაცრად მხოლოდ კანონის ძალით. თუ ანაზღაურების კომიტეტი შექმნილი, კოდექსი ადგენს, რომ ის უნდა იყოს აღმასრულებელ პირთა ანაზღაურების ფორმულირებაზე პასუხისმგებელი.⁷⁹

2. აქციონერთა ქმედება კომპენსაციასთან დაკავშირებით. გერმანიის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის მსგავსად, კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონიც იზიარებს ევროპის კავშირის მეორე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივის სულისკვეთებას, შედეგად, აქციონერებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელიც შესაძლოა თავისუფლად იქნეს გაუქმებული მანამ, სანამ ახალი აქციები განაწილდება. თუმცა, განსხვავებით გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონისგან, კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი პირდაპირ აუქმებს უპირატესი შესყიდვის უფლებას იმ აქციებთან მიმართებით, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა აქციათა სქემაშია გამოყენებული.⁸⁰ აღნიშნული კანონი არ ადგენს აქვს თუ არ ყველა დაქირავებულს ასეთ სქემაზე წვდომის უფლება ან თუ არის პირდაპირ აკრძალული ასეთი სქემის აღმასრულებელი პირების მიმართ გამოყენება.⁸¹ მიუხედავად ამისა, გადაიღახება რა ეს სირთულე, კაპიტალის შენარჩუნების მეორე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივის მოთხოვნები, რომელიც ინკორპორირებულია გაერთიანებულ სამეფოშიც, ასევე გამოიყენება ინგლისში, რომლის მიხედვითაც, კაპიტალის გაზრდა ან აქ-

⁷⁵ SI 2008. No. 410, ცხრილი 8, para. 9-10; ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები, წესი 9.8.8(5)-(7).

⁷⁶ SI 2008. No. 410, ცხრილი 8, para. 7(1)(d), 11(5)(b); ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები, წესი 9.8.8(2), (8) (თუ გადასახადის რაოდენობა აღემატება ერთი წლის ხელფასს).

⁷⁷ SI 2008. No. 410, ცხრილი 8, para. 13-14; ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები, წესი 9.8.8(11)-(12).

⁷⁸ კომბინირებული კოდექსი, პარაგრაფი B.2.1.

⁷⁹ კომბინირებული კოდექსი, პარაგრაფი B.2.2.

⁸⁰ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 566.

⁸¹ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 1166.

ციათა გამოსყიდვა მოითხოვს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას.⁸² გარდა ამისა, აღნიშნული კანონი პირდაპირ მოითხოვს დირექტორთან დასადები სასამსახურო ხელშეკრულების მოწონებას აქციონერთა მხრიდან, თუ ასეთი ხელშეკრულება ორ წელზე მეტი ვადით იდება.⁸³

ლისტინგში გატარებული კომპანებისათვის, ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები მოითხოვს, რომ აქციონერთა მიერ იქნეს მიღებული მუშა-მოსამსახურეთა აქციათა სქემები და გრძელვადიანი მასტიმულირებელი პროექტები, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის კომპანიის ყველა დასაქმებულისათვის.⁸⁴ კოტირებულ კომპანიათა აქციონერებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ან არ მიიღონ დირექტორის კომპენსაციის ანგარიში საერთო კრების ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით,⁸⁵ მიუხედავად იმისა, რომ ხმის მიცემის ასეთი სქემა აფიქსირებს მხოლოდ აქციონერის პოზიციას და არ წარმოშობს კომპანიის მხრიდან დირექტორთათვის გადახდის რაიმე ვალდებულებას.⁸⁶

3. ოფციონების ანგარიშგების სისტემა. ისევე როგორც გერმანიაში, გაერთიანებული სამეფოს კომპანიებიც ევროპის კავშირის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების რეგულაციების ობიექტია⁸⁷ და ამგვარად, საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების ბორდის სტანდარტი II გამოიყენება ასეთი კომპანიების კონსოლიდირებული ანგარიშგების წარმოებისათვის. კომპანიებს ინდივიდუალური ანგარიშის მომზადება შეუძლიათ როგორც საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების, ისე კომპანიების შესახებ კანონის მიხედვით.

⁸² კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 551, 693. უნდა გვახსოვდეს, რომ აქციათა გამოსყიდვა როგორც ბაზარზე მანიპულირების შესაძლო წყარო, ასევე მოწესრიგებულია ბაზრის ბოროტად გამოყენების დირექტივითა და ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესებით, წესი 12.2.1.

⁸³ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 188.

⁸⁴ იხილეთ ფინანსური მომსახურების სააგენტოს ლისტინგის წესები, წესი 9.4.

⁸⁵ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 439.

⁸⁶ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 439(5).

⁸⁷ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 395(1). კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 403 ადგენს, რომ კონკრეტული (ე.ი. ლისტინგში გატარებული) კომპანიები ვალდებული არიან მოამზადონ ერთობლივი ანგარიში საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნინო ვაჩეიშვილი
ხათუთა ბადრიძე
მარიამ ებრაღიძე
ნათია ჩიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

კობა ბარამია

მოსამართლის შეკითხვების ფარგლები შეჯიბრებით პროცესში

გიგა ნარიმანიძე

ყადაღის გამოყენების საფუძვლები და მიზან შენონილობის სამართლებრივი შეფასება სისხლის სამართლის პროცესში

ლევან ძნელაძე

ფულის გათეთრება, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების კონფისკაციის შემაფერხებელი ფაქტორი

მარიამ ბალავაძე

ხელოვნური ინტელექტი და სიძულვილის ენა

ლევან დავთაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კონსტიტუციურობის განხილვისას

ნანა ღვალაძე

ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების ქრილში: საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები

ნიკოლოზ წერეთელი

ფრანგული Laïcité და სინდისის თავისუფლება

ანდრეას კანი, დევიდ კ. დონალდი, გიორგი მახარობლიშვილი (მთარგმნელი)

აღმასრულებელ პირთა კომპენსაციის რისკები და უპირატესობები